И (Дат)
839 . 81—31
3 608

ცნობილი დანიელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ჰენრიკ პონტოპიდანის (1857—1943) კალამს ეკუთვნის მთელი რიგი რეალისტური მოთხრობები, რომანები: ტრილოგია „აღთქმული მიწა“, „დიადი ზმანება“, „სიკვდილის ქვეყანა“, ავტობიოგრაფიული ციკლი „მოგონებანი“ და სხვ.

მისი მონუმენტური რომანი „ბედის ნებიერი პერი“, რომელიც ორი წიგნისგან შედგება, ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, ღრმად ტრაგიკული წიგნია სიჰაბუკის იმედებსა და მის გაცრუებულ ოცნებებზე.

თარგმნეს
დიანა თათარაშვილმა და
ნათელა ლორთქიფანიძემ

7—3—4
—68 ადგ.

ვენერიკ პოღოსოვიდანი

ბელის ნეკიერი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი 1966

თავი I

იუტლანდიის აღმოსავლეთით, ტყიანი ფიორდის სათავესთან, მწვანე ბორცვებში ჩაკარგულ პატარა პროვინციულ ქალაქში, ჯერ კიდევ ომამდე ცხოვრობდა პასტორი იოჰან სიდენიუსი. ღვთისმოშიში და მკაცრი კაცი იყო. არც გარეგნობით, არც ცხოვრების ყაიდით არ ჰგავდა სხვა ქალაქელებს და ამიტომაც მრავალი წლის განმავლობაში უცხოსავით ექცეოდნენ. პასტორის ახირებულობაზე ისინი ხან მხრებს იჩეჩდნენ, ხან ბრაზობდნენ. ქალაქის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში შეხვდებოდით ამ წარმოსადეგ, ზვიად კაცს, შინნაქსოვი მაუდის რუხი გრძელკალთებიანი სერთუკი რომ ეცვა და დიდი ლურჯი სათვალე ეკეთა. პასტორი ქოლგის ტარს მაგრად ჩაბღუჯავდა და თან ყოველ ნაბიჯზე, თითქოს თავისი ფეხის ხმას უწყობსო, ამ ქოლგას ქვაფენილზე მძიმედ აბჯენდა. გამვლელ-გამომვლელნი. უნებლიეთ მოტრიალდებოდნენ და თვალს აყოლებდნენ, ხოლო ისინი, ვინც შინ ისხდნენ და ფანჯრიდან უყურებდნენ, მის დანახვაზე ხითხითებდნენ ან ცხვირს იბზუებდნენ. ქალაქის მამანი, მოხუცი ვაჭრები და ფეხზე მოვაჭრენი არ ესალმებოდნენ მაშინაც კი, როცა სრული შესამოსელი ემოსა. მათ საძრახისად არ მიაჩნდათ, თუ თავად ქუჩაში ხის ქოშებს ან გაქონილ ტილოს ქურთუკს ჩაიცვამდნენ, თან ყალიონსაც გაიჩრიდნენ პირში, თავიანთი ქალაქის დიდ შეურაცხყოფად კი იმას თვლიდნენ, რომ ასეთი ართვალი პასტორი ჰყავდათ: ჯერ ერთი, სოფლის გაძვალტყავებული დიაკვანივით არის ჩაცმული, თანაც, ეტყობა, წელებზე ფეხს იდგამს, რომ გამოკვებოს ბავშვების მთელი გროვა.

არა, ისინი აქ სხვანაირ ღვთისმსახურებს არიან შეჩვეულნი, იმათ, ვინც ლამაზ შავ სერთუკებს და თეთრი ბატისტის ჰალსტუ-

ხებს ატარებს, ვინც თავისი საქმეებით მშობლიურ ქალაქს და მის ეკლესიას სახელს უხვეჭს, შემდეგ ზოგი დეკანოზი ხდება, ზოგიც — ეპისკოპოსი, თანაც არასოდეს ყოყოჩობენ თავიანთი ღვთისმოსაობით, არასოდეს აყენებენ თავიანთ თავს ადამიანებზე მაღლა, თავი ისე არ უჭირავთ, თითქოს არ შეშვენოდეთ საერო საქმეებში ჩარევა და ნაირ-ნაირ თავშესაქცევებში მონაწილეობა.

წინათ პასტორის წითელი აგურის დიდი სახლი სტუმართმოყვარეობით განთქმული იყო. ზოგჯერ ვერც მოასწრებდი მასთან საქმის მოგვარებას, რომ შეგიპატიჟებდნენ სასტუმრო ოთახში, სადაც პასტორის მეუღლე და ახალგაზრდა ქალიშვილები მოგართმევდნენ ყავას, ან (თუ წესიერ კაცად გიცნობდნენ) ღვინოს და ნაირ-ნაირ შინაურულ ნამცხვარს, თან ცხელ-ცხელ ამბებზე გაგიბამდნენ მასლაათს. ახლა კი ამ სახლში, თუ არა რაიმე გაჭირვება, ისე ფეხს არავინ შედგამდა და თუ შედგამდა, სულ ერთია, სენაკის მსგავს კაბინეტს იქით ვერ შეაღწევდა; ამ კაბინეტში მუდამ ფარდები იყო ჩამოფარებული, რადგან პასტორის თვალები ვერ იტანდა ვიწრო ქუჩის მეორე მხარეს ქვის კედელზე არეკლილ მზის შუქს.

მთხოვნელებს ფეხზე მდგარი იღებდა, დაჯდომას არავის შესთავაზებდა, გულგრილად უსმენდა და ცდილობდა, რაც შეიძლება მალე მოეშორებინა ისინი თავიდან. ყველაზე უცხვირპიროდ იმათ ღებულობდა, ვისაც, თითქოს, გულითადი მიღების ყველაზე მეტი იმედი უნდა ჰქონოდა. ქალაქის ჩინოვნიკებმაც კი შეწყვიტეს მასთან სადარბაზოდ სიარული, რადგან სიდენიუსს მათთვის გამასპინძლების მაგიერ ბევრჯერ მოუწყვია ნამდვილი გამოცდა რწმენის საკითხებში და, საერთოდ, ისე იჭერდა თავს, თითქოს მის წინ ახლადმირონცხებულები მდგარიყვნენ.

მაგრამ ყველაზე მეტად ხალხი მასზე ბრაზობდა საზეიმო დასაფლავებების დროს, როცა კუბოს მისდევდა დიდებული პროცესია, ორკესტრი გრიალებდა, ჰაერში კრეპით მორთული ამქრული დროშები ფრიალებდა, მოდიოდნენ ჩინოვნიკები, რომელთაც ოქროთი ნაქარგი მუნდირები ეცვათ, ბუმბულებიანი შლიაპები ეხურათ და განსვენებულის ოჯახში მირთმეული საუზმისა და პორტვეინის შემდეგ ერთობ განწყობილიყვნენ ღვთისმოსაობაზე საფიქრებლად. იმის მაგიერ, რომ, ჩვეულებისამებრ, სათანადო პატივი მიეზღო განსვენებულის სიქველისათვის, პასტორი მოკლე ლოცვით კმაყო-

ფილდებოდა, თითქოს ვინმე ღატაკს, ან მოუნათლავ ჩვილ ბავშვს ასაფლავებდნენ. ერთ სიტყვასაც არ იტყოდა განსვენებულის კრისტალურ პატიოსნებაზე, მის უდიდეს შრომისმოყვარეობაზე, კრინტსაც არ დაძრავდა მის ფასდაუდებელ დამსახურებაზე მშობლიური ქალაქის წინაშე, მის თავგანწირულ ერთგულებაზე რიყისქვიანი ქვაფენილების ან კანალიზაციის დანერგვის იდეისადმი და, თუკი საერთოდ ახსენებდა განსვენებულის სახელს, უსათუოდ დააყოლებდა: „ერთი მუჭა საცოდავი ფერფლიო“, ანდა „ჭიების სარფაო“. რაც უფრო ხალხმრავალი და საპატიო თავყრილობა იყო, რაც უფრო მეტი დროშები ფრიალებდა გაჭრილი სამარის თავზე, მით უფრო შეამოკლებდა ლოცვას, მით უფრო ნაკლები მოწიწებით იხსენიებდა ცხედარს, რომლის საპატივცემულოდაც შეიკრიბა ხალხი. ისე რომ, ზოგჯერ უკმაყოფილება იქვე, სასაფლაოზეევე იჩენდა ხოლმე თავს.

მხოლოდ ქალთა მონასტრის მორჩილი, ორი კუზიანი დედაბერი ჰყავდა მიღებული პასტორს, თერძის ფერმკრთალი ქარგალი, წვერები იესო ქრისტეს რომ მიუგავდა და რამდენიმე ღატაკი ხსნილსული, რომელთაც, როგორც იქნა, მოიპოვეს დიდი ხნის ნანატრი თავშესაფარი ამქვეყნიური ზრუნვით გართულ ქალაქში. კაცმა რომ თქვას, არც ამას ეთქმოდა ოჯახური ნაცნობობა სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით — თუნდაც მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ფრუ სიდენიუსი ავადმყოფი ქალი იყო და მრავალი წლის განმავლობაში ლოგინიდან არ ამდგარა. რაც მთავარია, პასტორი სიდენიუსი ძალზე უცხვირპირო კაცი იყო და მისი თანამოაზრენი მასთან მხოლოდ საქმეზე დადიოდნენ. სამაგიეროდ ყოველ კვირა დღეს ბეჯითად ცხადდებოდნენ ეკლესიაში, დგებოდნენ მუდამ ერთსა და იმავე ადგილას—პირდაპირ კათედრის წინ და ლაზათიანად უწყალებდნენ გულს დანარჩენ მლოცველებს იმით, რომ ყველა ფსალმუნს, ყველაზე გრძელსაც კი, ისე მღეროდნენ, დავითნში ჯიბრზე არ ჩაიხედავდნენ.

პასტორი სიდენიუსი უძველეს მრავალრიცხოვან პასტორთა მოდგმისა იყო, მისი საგვარტომო ნუსხა თვით რეფორმაციის დრომდე არსებობდა. როგორც გინდათ თქვით და, სამასი წელი ზედიზედ სასულიერო ხარისხი, როგორც წმიდათა წმიდა მემკვიდრეობა, მამიდან ვაჟიშვილზე და ქალიშვილზეც კი გადადიოდა, როცა ქალი მამის ქორეპისკოპოსზე ან ძმის პურისმტეზე თხოვდებოდა, ამიტომ იყო, რომ სიდენიუსთა ქადაგებებში, უხსოვარი დროიდანვე გამო-

სჭვიოდა მქადაგებელთა საკუთარი ღირსების გრძნობა. ძნელად თუ მოიპოვებოდა ქვეყანაზე ისეთი კუთხე, სადაც გასულ საუკუნეში გულმოდგინებით თავი არ გამოეჩინა ამ განთქმული მოდგმის თუნდაც ერთ შთამომავალს, ვინც თვით ყველაზე ურჩებსაც კი აიძულებდა ქედი მოედრიკათ ეკლესიის ნების წინაშე.

რა თქმა უნდა, ეკლესიის ყველა ეს მრავალრიცხოვანი მსახური ერთნაირად ღვთისმოშიში არ იყო. მათშიაც გამოერეოდა ზომაზე მეტად ამქვეყნიური გონების კაცი, ვისშიაც მძაფრად იფეთქებდა თაობიდან თაობაში ჩახშული სიცოცხლის წყურვილი. ასე, მაგალითად, ასიოდე წლის წინათ ვენსიუსელში ცხოვრობდა პასტორი, მეტსახელად „ეშმაკეული სიდენიუსი". ეს პასტორი - მონადირის მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა, სერავდა იუტლანდიის ტყეებს, სამიკიტნოების ხშირი სტუმარიც იყო, სვამდა გლეხებთან ერთად და იმ ზომამდე ილოთა, ერთხელ აღდგომა დღეს შიგ ეკლესიაშივე სცემა თავის მედავითნეს და საკურთხევლის საბურველი მთლად სისხლით მოსვარა.

მაგრამ სიდენიუსების უმრავლესობა ეკლესიის გულმოდგინე მსახური იყო, ზოგჯერ კი მეტად განათლებული, სწავლული, ჭეშმარიტი მკვლევარი-ღვთისმეტყველიც კი გამოერეოდათ ხოლმე. განმარტოებით ცხოვრობდნენ სოფლად, სადაც სევდიანი და უფერული წლები ერთმანეთს მისდევდა. რომ რითიმე მაინც აენაზღაურებინათ ეს უღიმღამოდ გატარებული ცხოვრება, მთლიანად ეძლეოდნენ იდეათა სათნო სამყაროს, თავიანთ შინაგან სამყაროში იკეტებოდნენ, იქ ხედავდნენ არსებობის ნამდვილ აზრს, მის უდიდეს ბედნიერებას, მის საბოლოო მიზანს.

სწორედ წარმავალ ამქვეყნიურ კეთილდღეობისადმი ეს სიძულვილი ერგო მემკვიდრეობად იოჰან სიდენიუსს, იქცა მის საყრდენად ცხოვრებისეულ ბრძოლაში, დაეხმარა, ქედი არ მოედრიკა და სულით არ დაცემულიყო სიღარიბისა და მუდმივი ბედუკუღმართობის გამო. მეუღლეც შესაფერი ჰყავდა, ისე სიამტკბილობით განვლეს ერთად ცხოვრების გრძელი გზა, რომ ერთმანეთს სულში იძვრენდნენ, თუმცა ერთი შეხედვით გეგონებოდათ, სულ სხვადასხვა ადამიანები არიანო. ქალიც ღრმა რელიგიური ბუნებისა იყო, თუმცა ამ პირქუშ და წონასწორობას მოკლებულ ქალს, ქმრისაგან განსხვავებით, ცხოვრებისაც კი რაღაცნაირი გაურკვეველი შიში ჰქონდა.

მშობლებისაგან მტკიცე რწმენა არ გამოჰყოლია, მხოლოდ შემდეგ, ქმრის გავლენით, გახდა რელიგიისადმი თავდადებული, ხოლო ყოველდღიური ლუკმისათვის ბრძოლამ და უთვალავმა მშობიარობამ ამქვეყნიურ ტვირთზე და ქრისტიანულ მოვალეობაზე უზომოდ გაზვიადებული წარმოდგენა შეუქმნეს. ხანგრძლივ ავადმყოფობას (ბოლო მშობიარობის შემდეგ ვეღარ გამომჯობინდა და წლების მანძილზე ლოგინად იყო ჩავარდნილი — აშმორებულ ბნელ ოთახში იწვა), სამარცხვინო ომს, მტრის ჯარისკაცების ჩასახლებას ყოველ სახლში, სისხლს, სირცხვილს, დამცირებას არ შეეძლო სულიერად გაემხნევებინა იგი.

ქმარი ხშირად საყვედურობდა, რას ჩამოგტირის ცხვირ-პირიო, მაგრამ მაინც ვერ შეაცვლევინა ნირი. ქალს კარგად ესმოდა, ჩემი სიტყვები უთუოდ იმას მოწმობენ, რომ განგების ლმობიერებაში ეპვი შემაქვსო, მაინც მოხერხებულ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა და თავის ბავშვებს შთააგონებდა, ყველაფერში უკიდურესობამდე ზომიერი იყავით, ეს ღვთისა და ხალხის წინაშე უწმინდესი მოვალეობააო. გმობდა და მძიმე დანაშაულად მიაჩნდა ცხოვრების ეს წესი, რომელსაც ქალაქელები მისდევდნენ, მათი წვეულებები, სადაც ნაირ-ნაირ კერძებსა და ღვინოებს მიირთმევდნენ, სადაც ქალები აბრეშუმის კაბებით მორთულნი დადიოდნენ, ხოლო ქალიშვილებს ოქროს სამკაულები ეკეთათ, და მარტო სხვებს კი არა, საკუთარ ქმარსაც საყვედურობდა, როცა სეირნობიდან დაბრუნებული რაიმე უბრალო საჩუქარს მოუტანდა და უსიტყვო თავაზიანობით წინ დაუდებდა — ქაღალდის პარკში გახვეული ორიოდე ვარდი იქნებოდა ეს, ცოტაოდენი ძვირფასი ხილი თუ ხველის საწინააღმდეგო მურაბა. ცხადია, ქმრის ყურადღება ქალს ახარებდა და სიამოვნებდა, მაგრამ მაინც, ნაზად ხელზე რომ ეამბორებოდა, აუცილებლად ეტყოდა:

— ამაოდ დაგიხარჯავს ფული, ჩემო კარგო.

აი ასეთ ოჯახში იზრდებოდა მთელი ნაბარტყი — თერთმეტი ლამაზი, თუმცა, ცოტათი სისხლნაკლული ბავშვი: ხუთი ნაცრისფერთვალა ბიჭუნა და ექვსი ნაცრისფერთვალა გოგონა; ქალაქელ ბავშვებში მათ ხელად გამოარჩევდით, რადგან ყველას დიდი, უცნაურ თარგზე გამოჭრილი საყელო ეკეთა. ამ საყელოების გამო იყო, რომ ბიჭები გოგონებს ჩამოჰგავდნენ, ხოლო გოგონები — ბიჭებს. თანაც

ბიჭებს გრძელი, თითქმის მხრებამდე ჩამოშვებული წაბლისფერი კულულები ეყარათ, გოგონები კი თმას მეტისმეტად სადად ივარცხნიდნენ, მხოლოდ საფეთქლებიდან იწნიდნენ მოკლე. მჭიდრო ნაწნავებს და კვერივით ილაგებდნენ ყურებზე.

მშობლებსა და შვილებს შორის დამოკიდებულება, ისევე, როგორც ყველაფერი ამ სახლში, ღრმად პატრიარქალური იყო. ღარიბული, შეიძლება ითქვას, ლატაკური ტრაპეზის დროს, რაც უეჭველად ლოცვით იწყებოდა, მამა იჯდა გრძელი, ვიწრო მაგიდის თავში. ერთ მხარეს უფროს-უმცროსობის მიხედვით ხუთი ვაჟი მიუსხდებოდა; მეორე მხარეს იმავე წესით — ხუთი ქალი, ხოლო უფროსი ქალიშვილი, კარგი მეოჯახე სიგნე, მას შემდეგ, რაც დედა ლოგინად ჩავარდა, მის ადგილს იკავებდა მაგიდის ბოლოში, მამის პირდაპირ. არც ერთ ბავშვს აზრად არ მოუვიდოდა ხმა გაეღო მაგიდასთან ჯდომის დროს, თუ რაიმეს არ ჰკითხავდნენ. თავად მამა კი ხშირად გაუბამდა საუბარს ბავშვებს — როგორ მეცადინეობთ სკოლაში, ვისთან მეგობრობთ, გაკვეთილად რა გაქვთო; მერე სიტყვას მოაყოლებდა და რაიმეს უამბობდა ბავშვებს. დამრიგებლური ტონით მოუთხრობდა თავისი ყრმობის წლებზე, მაშინდელ სკოლაზე, იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდნენ მისი პასტორი-მამა-პაპანი ალიზის სახლში და ა. შ. ზოგჯერ, როცა კარგ გუნებაზე იყო, უამბობდა სტუდენტობისდროინდელ სასაცილო თავგადასავლებს, კოპენჰაგენის სტუდენტთა კვარტალის ცხოვრების ან პოლიციასთან და ღამის დარაჯებთან შეტაკების ამბებს. მაგრამ, როცა ბავშვებს აცინებდა, არასოდეს გაუშვებდა შემთხვევას, თავისი ამბავი დარიგებით დაემთავრებინა და შეეხსენებინა ბავშვებისათვის ცხოვრების სერიოზული მხარეები და ადამიანის მოვალეობანი.

პასტორი სიდენიუსი ამაყობდა შვილებით, მათი წარმატებებით სკოლაში და ცხოვრებაში, იგი თავმდაბლური მადლიერებით ღებულობდა ამ წარმატებებს, იმის დასტურის ნიშნად, რომ მის სახლში ღვთის მადლი სუფევდა. მართლაც საზრიანი, ცოდნას მოწყურებული ბავშვები იყვნენ, და რაც მთავარია, მოვალეობის გრძნობა დიდად ჰქონდათ განვითარებული. ერთი სიტყვით, სიდენიუსები იყვნენ სულით ხორცამდე; ერთმანეთის მიყოლებით მამის მაგალითზე იზრდებოდნენ. გარეგნობითაც მამას დაემსგავსნენ: მამასავით წარმოსადეგები იყვნენ, თანაბარი, ჯარისკაცური ნაბეჯებით სიარულიც კი მა-

მისაგან გადაიღეს. მხოლოდ ერთი მათგანი უჩენდა მშობლებს დარდსა და საზრუნავს. ეს იყო შუათანა ვაჟი, პეტერ-ანდრეასი. სკოლაში პეტერი მთლად ხელიდან წავიდა და მუდამ უჩიოდნენ. მაგრამ უფრო მეტად საშიში სხვა რამ იყო: პატარა პეტერი ოჯახურ ჩვეულებასა და წესებს წინ აღუდგა. ათი წლისაც არ იყო, რომ მშობლებს აღარ ემორჩილებოდა, მომდევნო წლებში კი სწორედ იმის კეთება დაიწყო, რისი წინააღმდეგიც უფროსები იყვნენ, მასთან აღარ სჭრიდა არც დარიგება, არც დასჯა, აღარც ღმერთის ეშინოდა.

პასტორი სიდენიუსი ხშირად სასოწარკვეთილი იჯდა ცოლის სარეცელთან და დაუსრულებლად ლაპარაკობდა შვილზე. მშობლები თავიანთსავე საუბედუროდ ბიჭს ვენსიუსელელ „ეშმაკეულ პასტორს“ ამსგავსებდნენ, რომლის სახელსაც თითქოს სისხლი მოეცხოს დიადი შთამომავლობის ხისათვის. მამის შემხედვარე და-ძმებიც არ ეკარებოდნენ პეტერს და არ სურდათ მასთან თამაში. რა გაეწყობა. ბიჭი ცუდ დროს დაიბადა, როცა მამამისი მიკარგული, ღარიბი და პატარა მრევლიდან აქ გადმოიყვანეს, შედარებით დიდ სავაჭრო ქალაქში, და მთელი არსებით ჩაეფლო სამსახურებრივ საქმიანობაში. ამგვარად, სწორედ პეტერ-ანდრეასით დაწყებული, მამა იძულებული გახდა პირველ ხანებში ბავშვების აღზრდა მთლიანად დედისათვის მიენდო; მაგრამ, სანამ პეტერ-ანდრეასი შედარებით პატარა ჰყავდა, დედა ისედაც გაწამაწიაში იყო უფრო პატარების აღზრდით. ხოლო როცა ავადმყოფობისაგან ლოგინს მიჯაჭვული შეეცადა გარშემო შემოეკრიბა ყველა თავისი პატარა, პეტერი უკვე საკმაოდ გაზრდილიყო და ლოგინიდან მისი მეთვალყურეობა შეუძლებელი გახდა.

ამას მოჰყვა ის, რომ პეტერ-ანდრეასი, ასე ვთქვათ, აკვნიდანვე უცხო შეიქნა მშობლიურ ოჯახში. თავისი შეგნებული ცხოვრების პირველ წლებში მთელ დღეებს ხან შინამოსამსახურეთა ოთახში ატარებდა, ხან მოხუც შეშისმჭრელის ფარდულში; ამ მოხუცის საღმა მსჯელობამ ყოველივე იმაზე, რაც ამქვეყნად ხდება, ადრე შეუქმნა ბიჭს საგნებზე პრაქტიკული შეხედულება. მოგვიანებით სხვა თავშესაფარი იშოვა, ეს იყო მეზობელი ვაჭრების შეშის საწყობები, აქ, მსახურთა და ნოქართა საზოგადოებაში უფრო განუმტკიცდა საღი დამოკიდებულება ცხოვრებისა და ამქვეყნიური სიკეთისადმი.

სუფთა ჰაერზე ყოფნამ გამოაწრთო პეტერი, მრგვალი ლოყები მზეზე გაერუჯა, მუქი აგურისფერი გაუხდა.

სულ მალე ქუჩის ბიჭებიც დააშინა მისმა მუშტებმა. ბოლოს პეტერი მცირეწლოვან ყაჩაღანების წინამძღოლი გახდა. უხამსად იქცეოდნენ ისინი ქალაქში. შინ არავის შეუმჩნევია, როგორი უხიაკი ბიჭი გახდა პეტერი. მოგვიანებით, როცა წამოიზარდა, უფრო ზუსტად, როცა ცხრა წელი შეუსრულდა და ადგილობრივ გიმნაზიაში მიაბარეს, მისი საშიში ოინები გამოაშკარავდა და მშობლებს და მასწავლებლებს დიდი ჯაფა დაადგათ, რომ მასში ცუდი ყლორტები ამოეძირკვათ.

მაგრამ გვიანღა იყო.

* * *

გვიანი შემოდგომა იდგა. პასტორ სიდენიუსს კაბინეტში ქალაქის ერთ-ერთი მცხოვრები ეახლა. კვირას მღვდელი სჭირდებოდა ნათლობისათვის და იმის სათქმელად მოსულიყო. რამდენიმე სიტყვით მოახსენა თავისი სათხოვარი და ის იყო კარის სახელურს წაავლო ხელი, რომ უცებ ჩაფიქრდა, კვლავ პირი იბრუნა პასტორისაკენ და საკმაოდ მოურიდებლად უთხრა:

— ბარემ ისიც მინდა გთხოვოთ, ბატონო პასტორო, რომ სხვა სამსახურიც გამიწიოთ: როგორმე თქვენი ვაჟი ჩემს ბაღს ჩამოაშორეთ. იმან და რამდენიმე ყაჩაღანამ ვაშლი არ შეარჩინეს ხეს, მე კი, მართალი გითხრათ, სულაც არ მეჭაშნიკება ეს ამბავი.

როცა მომსვლელმა ამის ლაპარაკი დაიწყო, პასტორ სიდენიუსს ლურჯი სათვალე შუბლზე აეწია, საწერ მაგიდაზე დახრილიყო და წიგნში ახალშობილის მამის სახელს წერდა, მაგრამ ბოლო სიტყვების გაგონებაზე ნელა აიღო თავი, სათვალე ჩამოიწია და აღშფოთებით ჰკითხა:

— რას ლაპარაკობთ? თავს ნებას აძლევთ თქვათ, თითქოს ჩემი ვაჟი...

— დიახ, სწორედ რომ ვაძლევ თავს ნებას,—იმწამსვე ჩამოართვა სიტყვა მოსაუბრემ და გამომწვევად შემოიყარა დონჯი, კმაყოფილი იყო, რომ ამ თავდაჯერებულ პასტორს უსიამოვნება მიაყენა. — ბატონ პასტორის ვაჟი პეტერ-ანდრეასი არამზადების წინამძღოლია და სხვათა ბაღებში დაძვრება. ამის უფლება კი არავის

არა აქვს, ვინც არ უნდა იყოს, თუნდაც პასტორის ვაჟი. გახლდეთ. პოლიციაში ნუ მაჩივლებინებთ, მაშინ ბიჭს საჯაროდ დასჯიან რატუშაში. ეს კი მაინცდამაინც სასურველი არ უნდა იყოს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რა მდგომარეობა უჭირავს ჩვენს ქალაქში ბატონ პასტორს.

პასტორმა სიდენიუსმა ნერვიული მოძრაობით კალამი განზე გადადო და მთელი ტანით გასწორდა.

— ჩემი ვაჟი... — და აცახცახდა.

სანამ პასტორის კაბინეტში ეს ამბავი ხდებოდა, პატარა დამნაშავე გაკვეთილზე იჯდა, მასწავლებლებსა და კლასის ამხანაგებს თვალს არიდებდა, წიგნებს ეფარებოდა, სინდისი ქენჯნიდა. სკოლაში რომ მიდიოდა, გზაზე ის განაწყენებული მოქალაქე შემოხვდა და მთელი ქუჩის გასაგონად მიაძახა:

— აბა ახლა კი მიფრთხილდი! მამაშენთან მივდივარ და ყველაფერს ვეტყვი.

აქამდე პეტერ-ანდრეასს მაინცდამაინც არ ეშინოდა მამის რისხვისა, მაგრამ დღეს თავად გრძნობდა, რომ უღირსი რამ ჩაედინა და რაც უფრო ახლოვდებოდა მეცადინეობის დამთავრების დრო, უფრო და უფრო უკანკალებდა გული.

ყურები უხურდა, კუტიკარში რომ მიძვრებოდა. ცუდს რასმეს თუ ჩაიდენდა, წინკარში, ფანჯარასთან, მუდამ მამა ელოდებოდა ხოლმე; ახლა კი ფანჯარა მაგრა იყო მიკეტილი. არც ეზოში, სამზარეულოსაკენ მიმავალ გზაზე შემოხვედრია მამა და პეტერმა შვებით ამოისუნთქა. „მაშ იმ ძიამ მხოლოდ შემაშინა“,—გაიფიქრა და, საღილად რა გვაქვსო, ამის გასაგებად სამზარეულოში შეეკრიტა. ერთი პირობა ისე გათამამდა, ისიც კი იფიქრა, საწოლ ოთახში შევალ და დედას მივესალმებიო. მაგრამ კარებშივე შედგა, ისე პირქუშად შეხვდა დედა და მკაცრად, თითქოს სხვისი ხმით უბრძანა:

— შენს ოთახში წადი, შენი დანახვაც კი არ მსურს.

ბიჭმა თვალებზე შეატყო, რომ დედა ნამტირალევი იყო და ფეხი აითრია.

— ხომ გაიგონე, რაც გითხრეს? წადი შენს ოთახში, და ელოდე, ვიდრე დაგიძახებენ.

ბიჭი უხმოდ დაემორჩილა.

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში მოხუცმა ცალთვალა გადიამ შემოი-

ხედა და პეტერს სუფრასთან უხმო. უკვე ყველა გრძელ მაგიდას უსხდა, ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ და თითქოს რაღაცას ელოდნენ. როცა პეტერი გამოჩნდა, უცებ ხმა გაკმინდეს. სახეები ისეთი იდუმალებით ჰქონდათ მოცული და სიჩუმეც ისე მოულოდნელად ჩამოვარდა, პეტერი მიხვდა, აქაც იცოდნენ ყველაფერი. ნაძალადევი მშვიდი იერით დაებერტყა ბიჭი სკამს და ხელები ჯიბეში ჩაიწყო მაგრამ არავის მიუხედია მისკენ. მხოლოდ მაგიდის ბოლოდან მიაშტერდა წყვილი თვალი. ეს დის, სიგნეს დიდი, შუქიანი, ჩაფიქრებული, გადაბმულ წარბებს ქვემოდან გამომზირალი თვალები იყო.

ამ დროს მეზობელ ოთახში ფეხის ხმა გაისმა. როცა კარებში მამა გამოჩნდა, პეტერი შეკრთა. მამა ბავშვებს არ მისალმებია, როგორც იცოდა ხოლმე, ჩუმად დაჯდა თავის ადგილას, თავი ჩაქინდრა და ხელები ისე დაიკრიფა, თითქოს სალოცავად მოემზადაო.

მაგრამ კი არ ულოცია, ბავშვებს მიუბრუნდა და მოკლე სიტყვა უთხრა. მამას (ასე დაიწყო მან, თან ლურჯ სათვალეს ქვეშ თვალები მოჭუტა), სერიოზული, ძალზე სერიოზული საფიქრალი გასჩენია და ვიდრე ტრაპეზს შეუდგებოდნენ, სწორედ ამის შესახებ სურდა თავის ძვირფას ბავშვებთან ესაუბრა. თქვა ეს მამამ და ბავშვებს უამბო, რაც დააშავა მათმა ძმამ; ზოგს უკვე დედისგან გაეგო.

— რაც მოხდა, იმისი არც წაყრუება შეიძლება, არც გამართლება, — განაგრძო მამამ, — არის ღვთის განგება იმაში, რომ ბნელეთის ყოველგვარი ნაყოფი, ადრე თუ გვიან, დღის სინათლეზე გამომზეურდეს. აი, ეს საიდუმლოც ნათელი გახდა, რათა განსჯილ იქნეს. პეტერ-ანდრეასმა აბუჩად აიგდო ღვთის მცნებანი. როგორც ღვიძლი მამისა და დედის გულს განერიდა, ისევე გადააბიჯა ღვთის მცნებასაც, რომელიც ღაღადებს: „არ იქურდო“. დიახ, შვილო ჩემო, მე ვერ დაგინდობ, შენს მიერ ჩადენილ ცოდვას თავისი სახელი უნდა ეწოდოს. ისიც შეიგნე, რომ მამაშენი, დედაშენი, შენი უფროსი და უმცროსი და-ძმა მხოლოდ იმიტომ უხმობენ შენს სინდისს, რომ უყვარხარ მათ. იმიტომ გევედრებით, რომ იმედს არ ვკარგავთ, ოდესმე შენი გულისკენაც გავიკვლიოთ გზა, რამეთუ არ გვინდა შენც ისე დაასრულო დღენი შენი, ვითარცა ერთმა ბედოვლათმა ძმამ, რომელსაც ღმერთმა საშინელი წყევლა დაატეხა თავს: „განდევნილი ყარიბად დაეხეტებოდე ქვეყნად“.

მაგიდის ირგვლივ ხან წითლად, ხან ლურჯად კუბოკრული ცხვირ-

სახოცები ელავდა, ყველა და ტიროდა. უფროსი ძმებიც ძალზე აღელვებულები იყვნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ ცრემლების შეკავებას, განსაკუთრებით, როცა მამამ თავისი სიტყვა ასე დაამთავრა:

— სათქმელი ვთქვი. თუ შენ, პეტერ-ანდრეას, ამ სიტყვებს გულში ჩაიმარხავ და პატიოსნად ეცდები დაიმსახურო ღვთისა და ხალხის შენდობა, მაშინ არასდროს აღარ გაგიხსენებთ ამ დანაშაულს, ეს ამბავი გაქრება და ამოიშლება ჩვენი ხსოვნიდან. მოდით, ძვირფასო ბავშვებო, ერთად აღვავლინოთ ლოცვანი ჩვენი ზეციერი მამის წინაშე. რათა მადლი მოფინოს თქვენს გზააბნეულ ძმას. მოათვინიეროს მისი ურჩი სული და იხსნას იგი ურიცხვ ცოდვათაგან, ჩამოაცილოს ბიწიერების გზას. გვისმინე, ღმერთო, ყოვლად მოწყალეო, ყოვლისშემძლეო, ყოვლისმხილავო, და დაე ნურც ერთი ჩვენთაგანი ნუ გამოაკლდება ფარას, როცა საშინელი განკითხვის დღეს ავმხედრდებით და უაღრესი დიდების ნიშნად მუხლს მოვიდრეკთ შენი ტახტის კვარცხლბეკთან. ამინ!

დამსწრეთაგან მხოლოდ ერთი იყო, ვისზედაც ამ ტირადას საესურველი ზემოქმედება არ მოუხდენია, მართალი რომ ვქვათ, პირიქით, საწინააღმდეგოდ განაწყო. ეს თავად პეტერ-ანდრეასი გახლდათ. საერთოდ, პეტერი მაინცდამაინც პატივს არ სცემდა მამის ქადაგებებს, რადგან დიდად ბეჯითი მოწაფე გახლდათ თავისი ასაკგადასული მეგობრებისა—მუშებისა და ნოქრებისა. ისინი კი ბატონ პასტორის პიროვნებას ფრიად უპატივცემულოდ ეკიდებოდნენ. კაცმა რომ თქვას, პეტერი აქამდე არც მთლიანად უგულისყურო იყო ღვთის მოწოდებათა და ბიბლიიდან ამოღებულ გამონათქვამთა მიმართ, რომელთა დახმარებითაც მისი მშობლები ცდილობდნენ პეტერის სინდისი გაეღვიძებინათ; ხოლო კვირაობით, როცა თეთრად შემოსილი მამა საკურთხევლის წინ მუხლს მოიყრიდა, ან მოჩუქურთმებულ ჩარდახქვეშ კათედრაზე დადგებოდა, პეტერს წამით მოწიწების გრძნობაც კი შეიპყრობდა ხოლმე.

თუმცა ამჯერად ბიბლიის სიტყვები მას არც ესმოდა. მართალია, პირველად ჭკუის დარიგების ამ არაჩვეულებრივმა ფორმამ ბიჭი გააოცა, მაგრამ მხოლოდ წამით დაიბნა. ბავშვური გამჭრიახობით განსაჯა, რომ ღვთისადმი ამ საზეიმო მოწოდებასა და ორ მკვახე ვაშლს შორის, რომელიც სხვის ბაღში მოიპარა, მეტად აშკარა შეუსატყვი-

სობა არსებობდა, და რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა მამა და რაც უფრო ხმამაღლა ქვითქვითებდნენ ირგვლივ და-ძმანი, ეს შფოთისთავი მით უფრო მშვიდდებოდა და გულგრილი ხდებოდა.

თერთმეტი წლის ბიჭმა სწორედ ამ წუთს განიცადა გარდატეხა რელიგიასთან თავის დამოკიდებულებაში. ქადაგების დასასრულს პეტერი უკვე ქედმაღლურად უცქეროდა დანარჩენებს, ხოლო როცა შენიშნა, ტყუპებსაც, აქამდე რომ თვალებს აფახულებდნენ, ცრემლები სდიოდათ, ღიმილი ვეღარ შეიკავა.

თქმა არ უნდა, ეს მოჩვენებითი ყოყოჩობა იყო, რადგან ამ დამამცირებელმა სცენამ ბიჭს ყველაზე ძლიერი გრძნობა — საკუთარი ღირსების გრძნობა — შეულახა. პეტერი გაფითრდა. თვალები საშინელი ბოღმით, შურისძიების გააფთრებული წყურვილით დაენისლა.

ამ დღემ საბედისწეროდ შეცვალა პეტერის დამოიკიდებულება რელიგიისადმი და არა მხოლოდ რელიგიისადმი. ბიჭის აქამდე უზრუნველ გონებაში მშობლიური სახლისადმი შეურიგებელი მტრობის გრძნობამ გაიდგა ფესვები, ქედმოუხრელი მარტოობის გრძნობით აევსო სული და ეს გრძნობა გახდა მთელი მისი ცხოვრების მამოძრავებელი ძალა. მშობლიურ ჭერქვეშ თავს წინათაც ისე გრძნობდა, თითქოს ერთი ტიალი, უპატრონო ვინმე იყო. ახლა კი თავის თავს ეკითხებოდა, იქნებ სულაც არ ვშობილვარ ამ სახლში, სხვისი შვილი ვარ და პასტორმა სიდენიუსმა მიშვილაო. რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე, მით უფრო რწმუნდებოდა, ნამდვილად ასეაო. იმ ავბედითი დღის შემდეგ და-ძმანიც ისეთი შიშით ერიდებოდნენ, ეჭვები კიდევ უფრო უძლიერდებოდა. განა ასჯერ თავისი ყურით არ მოისმინა, პეტერი სხვებს არ ჰგავსო? აბა ერთხელაც თუ მოფერებია მამა, ერთხელ თუ უთქვამს ტკბილი სიტყვა. გარეგნობას აღარ იტყვით? აბა სარკეში ჩაიხედოს, იმწამსვე აშკარად ჩანს, რომ დანარჩენ და-ძმაზე უფრო შავგვრემანი, ლოყებღაღაა, მათზე უფრო თეთრი, მაგარი კბილები აქვს. პეტერს კარგად ახსოვს, ერთხელ მეზობლის მუშამ თითქოს ხუმრობით ბოშა რომ უწოდა.

იმის ფიქრი, — პასტორის ღვიძლი შვილი არა ვარო, მთელი ყრმობა არ მოშორებია და ბოლოს აკვიატებულ იდეად ექცა. ამას რომ ფიქრობდა, გასაგები იყო, რატომ ჰქონდა მშობლიურ სახლში განსაკუთრებული მდგომარეობა და თან მის ბიჭურ პატივმოყვარე-

ობასაც საკმოდ უღიტინებდა. აბა რა სასურველი იყო მთელი ქალაქის სამასხრო ბრუტიანი უკბილო მოხუცის შვილობა! მერე რა დამამცირებელია, რომ მთელი ოჯახი ასეთ სიღარიბეში ცხოვრობს. პატარაობისას პეტერს ერჩია მთელი დღე მშიერი ყოფილიყო სკოლაში, ვიდრე ყველას დასანახად შინიდან წამოღებული ლორი და პური ეჭამა. ერთხელ დედამ მამის სტიქარიდან საზამთრო ქურთუკი გამოუკერა. პეტერმა არ ჩაიცვა, რადგან მაუდი ისე პრიალებდა, აშკარად ეტყობოდა, რა ახალიც იყო, ხოლო როცა დედამ ძალა დაატანა, აცრემლებულმა ბიჭმა ქურთუკი დახია და იატაკზე მოისროლა.

ახლა პეტერი იმ ამაყი ოცნებით იმშვიდებდა თავს, თითქოს როშელილაც ბოშათა ბანაკმა იგი პასტორს მიუგდო; სწორედ იმ ბოშებმა, ვისზედაც ხშირად უამბობდა მოხუცი ცალთვალა ძიძა. ეს ბოშები შუაგულ ველზე ბანაკდებოდნენ, სადაც წინათ პეტერის დედამამა ცხოვრობდა. თავისი ნამდვილი მამა პეტერს ბოშათა ბანაკის ზორზოხ წინამძღოლად წარმოედგინა, ვისაც მოლურჯო შავი თმა ზურგზე ეფინა, მხრებზე განიერი მოსასხამი მოეგდო, ხოლო გარუჯულ ძლიერ ხელში მუხის კვერთხი ეჭირა... ერთი სიტყვით, პეტერის მამა ალბათ სრულუფლებიანი მბრძანებელი იყო თვალუწვდენელი პირქუში ველების სამეფოსი, სადაც თავისუფლება მეფობს და მძვინვარე ქარები დანავარდობენ.

პეტერი სწორედ იმ ასაკში იყო, როცა ოცნება იღვიძებს და ფანტაზია ფრთებს ისხამს. მის წარმოსახვებს საზღვარი არ ჰქონდა. როცა საქმე პირადად მას შეეხებოდა, შეუძლებლად არაფერი მიაჩნდა. ფანტაზიით ჰაეროვან კოშკებს აგებდა. იქამდე იოცნება, თავისი თავი, სკოლაში ყურმოკრულ ისტორიის გმირივით, მოხეტიალე ტომის მიერ მოტაცებულ მეფის შვილად წარმოიდგინა, რომელიც შემდეგ პასტორს მიჰყიდეს და ახლა მის სახლში ჰყავთ ჩაკეტილი. ისე შეესისხლხორცა ამ თავისი წარმოსახვის ნაყოფს, დროდადრო თითქოს თავისი ბედნიერი ბავშვობის წვრილმან ამბებსაც იგონებდა, ხედავდა მარმარილოს სვეტებიან უზარმაზარ დარბაზს, თეთრი და შავი ფილებით მოფენილ იატაკს, სადაც მსუბუქად დასრიალებს თვითონ... მაღალ მთებს შორის მომწყვდეულ ცისფერ ტბას... ოქროს გალიაში ჩასმულ მაიმუნს. წითელმოსასხამიანი წარმოსადეგი კაცი სტაცებს ხელს, ცხენზე შემოისვამს და დაბურულ ტყისკენ გააჭროლებს-

ბიჭს მშობლებმაც შეატყვეს და სკოლის მასწავლებლებმაც,

დაღვრემილი და გულჩათხრობილი რომ გახდა და ზოგჯერ მანიაკივით ესწრაფვოდა განმარტოებას. შინ პეტერი ხმას არ იღებდა, ოთახიდან ოთახში დადიოდა და ყველაფრისადმი გულგრილი იყო. არავინ იცოდა, რას აკეთებდა, როცა შინიდან მიდიოდა. მამა სიტყვასაც ვერ დააცდევინებდა; ერთ დროს დედასთან უფრო გულახდილი იყო ხოლმე, დედა ყველაზე უმალ გაუგებდა და მიუტევებდა, როცა ბიჭს უჭირდა, ახლა კი წლითიწლობით უფრო და უფრო შორდებოდა მასაც. ზოგჯერ შებინდებისას, დედა რომ მარტო დარჩებოდა, პეტერი შევიდოდა მასთან, ლოგინთან დაუჯდებოდა და თხოვნაც არ უნდოდა, მტკივან ფეხებზე დაკვანძულ ვენებს უზელდა. მაგრამ თუ დედა შეეკითხებოდა, რა გაწუხებს ან რაზე ფიქრობო, მისი პირისგან „კი“ და „არას“ მეტს ვერაფერს გაიგონებდა.

ერთი პირობა დედაცა და მამაც ცდილობდნენ როგორმე თავი იმით ენუგეშებინათ, თითქოს პეტერი რომ გულჩათხრობილი გახდა, უეჭველად ბიჭში გარდატეხა ხდებაო. მაგრამ ერთხელ ისეთი რამ მოხდა, მშობლებს უკანასკნელი იმედიც გადაუწყდათ.

* * *

ერთ საღამოს, ასე, ცხრა საათი იქნებოდა, მთელ ოჯახს სასტუმრო ოთახში მოეყარა თავი, ელოდნენ, როდის ამცნობდა ღამის დარაჯი დასაძინებლად წასვლის დროს. წითელი ხის მაგიდასთან, ტახტზე ჩინებული დიასახლისი სიგნე იჯდა. წინ დადებულ „ფედრელანდეტის“ ახალ ნომერს უკითხავდა მამას პატარა ლამპის მბჟუტავ შუქზე და თან ხელგაუჩერებლად ქსოვდა. მამა თავის ჩვეულ ადგილზე იჯდა ძველმოდური სწორზურგიან მაღალ საავარძელში, რომელსაც ყველაზე იაფფასიანი ჭრელი ჩითი ჰქონდა გადაკრული. თავჩაღუნული, წელში მოხრილიყო, ხელები გულზე დაეკრიფა, თვალებზე დიდი მწვანე წინაფრა ჩამოეფხატა და დანაოჭებული, უწვერო მიწისფერი სახის ნახევარი არ უჩანდა. ძილი მორეოდა და მაინც უსმენდა, თან არც უსმენდა საგარეო პოლიტიკაზე დაწერილ ოთხსვეტიანი სტატიის მონოტონურ კითხვას. პასტორი სიდენიუსი ეკუთვნოდა მათ რიცხვს, ვინც მამლის ყივილზე დგება. ზამთარშიც, როგორც კი საათი ექვსს დაჰკრავდა, ფეხზე იყო. თანაც არაფერი სწამდა გაზეთებისა და ყოველგვარი საერისკაცო საკითხავისა. მათ ერთგვარ ძილისმომგვრელ საშუალებად იყენებდა, რომლისგანაც ასე ტკბილად ჩასთვლემს ხოლმე კაცი ნასადილევს. ან ნავახშმევს.

მაგიდასთან, სიგნეს გარდა, იჯდა კიდევ ორი უმცროსი ქალიშვილი, მათ ფლანელის უჯრედებიანი ხალათები ეცვათ; დიდი ხანია, თვალები ებლიტებოდათ, მაგრამ გულმოდგინედ ქსოვდნენ. ორივე უფროსი დის გამეორება იყო — მათაც სიგნესავით თავიანთი ასაკისათვის შეუფერებელი სერიოზული გამომეტყველება, ოდნავ წამობურცული დიდრონი შუქიანი თვალები და გადაკალმული წარბები ჰქონდათ, მათაც კვერებივით მიეკრათ ნაწნავები ყურებთან. საწოლი ოთახის კარი შეღებული იყო; დედას რომელიღაც უმცროს შვილთაგანი უჯდა და მტკივან ფეხს უზელდა.

პეტერ-ანდრეასიც აქვე იყო. შორიახლო ფანჯარასთან იდგა და წამდაუწუმ ჩუმად დასცქეროდა საათს. პეტერი უკვე მეთხუთმეტე წელში გადადგა, მკვრივად ჩასხმული ტლანქი ყმაწვილი გახლდათ, კოსტუმი დაპატარავებოდა. ორი უფროსი ძმა კარგა ხანია წავიდა სახლიდან და კოპენჰაგენის უნივერსიტეტში სწავლობდნენ. შინ დარჩენილ ვაჟიშვილებს შორის უფროსმა პეტერმა მემკვიდრეობით მიიღო ძმების ოთახი — სენაკი მეზონინზე და თუკი შინ იყო, მუდამ იქ იჯდა ხოლმე.

როგორც კი სიგნემ სტატია ჩაათავა, პეტერმა ისარგებლა პაუზით, ყველას ღამე მშვიდობისა უსურვა და ოთახიდან შეუმჩნეველად გაძრომა დააპირა, მაგრამ მამამ კარებში შეაჩერა, რად მიდიხარ ასე ადრეო, პეტერმა უპასუხა, ერთი წერითი სავარჯიშო არ გამიკეთებიაო.

— არის მანდ კიდევ რაიმე საინტერესო? — იკითხა ჯერ ისევ მთვლემარე მამამ, როცა პეტერი წავიდა.

— რომელი საათია, შვილებო? — მოისმა საწოლი ოთახიდან დედის სუსტი ხმა.

— ათის ათი წუთია, — საათს შეხედეს და ერთხმად მიუგეს გოგონებმა.

გამეფდა სიჩუმე. წუთით წუთზე ელოდნენ გუშაგს. ვიღაცებმა გაიარეს სახლის წინ, ისმოდა მხოლოდ მათი ლაპარაკი, ნაბიჯების ხმას ახლად მოსული თოვლი ახშობდა.

— გავაგრძელო კითხვა? — ჰკითხა სიგნემ მამას.

— არა, აღარა ღირს, — უპასუხა მან, მოიხსნა წინაფრა და საღამოს ლოცვის წინ რომ გამოფხიზლებულიყო, ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ფანჯრის ქვევით მოისმა ღამის გუშაგის ბურტყუნი. კაცს ეგონებოდა, ვიღაც ლოთი თავის თავს თუ ელაპარაკებაო. გოგონებმა აალაგეს საქსოვი. სიგნემაც დაიწყო ღამისთვის მზადება. სამზარეულოდან გამოიხმეს ორივე მოსამსახურე და სიგნე ახდილ ფორტეპიანოს მიუჯდა.

საწოლი ოთახიდან ხელახლა მოისმა დედის სუსტი ხმა:

— მოდით დღეს „ვადიდოთ შემოქმედი“ ვიმღეროთ.

— გესმის, სიგნე? — ჰკითხა მამამ, თავისი სავარძლის უკან დადგა და ხელები ზურგზე შემოიწყო.

სიგნეს ლამაზი, ძლიერი სოპრანო ჰქონდა და დიდი გატაცებითაც მღეროდა, თუმცა დანარჩენში, ყველაფერში, უმკაცრესი ზომიერებით იქცეოდა. როცა იჯდა, სიძველისაგან გაყვითლებულ კლავიშებზე უხეშ, წითელ, შრომასშეჩვეულ ხელებს დააწყობდა და ცისკენ თვალებს აღაპყრობდა, ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, თუ რა დიდი რწმენა, იმედი და სიყვარული უნდა ჰქონოდა ამ ქალიშვილს, ოცი წელიც რომ არ შესრულებოდა ჯერ, რომ ასე თავგანწირვით შეეწირა თავისი სიყრმე ოჯახისთვის, უმცროსი ძმებისა და დების კეთილდღეობისთვის. მაგრამ ოცნების ექსტაზი კი არ აცისკროვნებდა მის მრგვალ სახეს, როცა ფსალმუნს მღეროდა, ეს არამიწიერი აღფრთოვანება კი არ იყო, რომლის დროსაც იხსნება ცა და სულს ნათელი მოჩვენებანი ეცხადებიან. არა, სიგნე სიდენიუსების გვარის ღირსეული ნაშიერი იყო და კათოლიციზმის მისტიკისადმი მიდრეკილება არ გააჩნდა. ურყევ სასოებას, რომელიც თვალებში უბრწყინავდა და მის ხმას ასეთ გულში ჩამწვდომს ხდიდა, საფუძვლად ედო მტკიცე და ფხიზელი რწმენა, რომ ის, სიგანე, ეკუთვნის რჩეულთა მცირე ჯგუფს, მათ, ვინც მიდის ალალმართლობის ვიწრო ბილიკით, მათ, ვისი ხვედრიც ამქვეყნად გადატანილ შრომისა და გაჭირვების ჯილდოდ არის სამარადისო, ციური ნეტარება.

მეორე სტროფი არც კი ჩაეთავებინათ, რომ მამამ უცბად შეწყვიტა სიმღერა, თავი ასწია და ყური მიუგდო.

— ჩუმად! — ბრძანა მან.

გალობა შეწყდა.

იმავე წამს საწოლი ოთახიდან მოისმა დედის ხმა:

— ჩვენთან ვიღაც რეკავს.

დანარჩენებმაც გაიგონეს ზარის გუგუნი და ამ უჩვეულო ბგერებმა ღამის სიჩუმეში უნებლიეთ შეაშინა ყველა.

მამამ მეზობელი ოთახი გაიარა და თავის კაბინეტში გავიდა. მისი კაბინეტი ყველა ოთახზე ახლოს იყო შესასვლელ კართან, ფანჯარა გააღო და დაიყვირა:

— ვინ რეკავს ამ შუაღამისას?

სასტუმრო ოთახში გაიგონეს, რომ მამაკაცის ხმამ უპასუხა.

ვიდრე უმცროსი დები დაბნეული უცქერდნენ ერთმანეთს და უფროს დას, რომელიც ისევ ფორტეპიანოსთან იჯდა, მამა გაბრაზებული განაგრძობდა:

— აჰ, ბავშვი გყავთ ავად... ვინა ხართ, ან სად ცხოვრობთ?.. კრანკსტიუეჰადე... ჰო, ჰო... გასაგებია... რა ხნისაა?.. წლის?.. უგუნურობა არ არის, რომ აქაურ ხალხს პასტორი მხოლოდ მაშინ გაახსენდება, როცა უბედურება კარზე მიადგებათ ხოლმე! სხვა დროს კი არ გრძნობენ ღმერთთან სიახლოვის მოთხოვნილებას. რატომ მაშინვე არ მონათლეთ ბავშვი?... რა თქმა უნდა, მოვალ. წაბრძანდით შინ და მოამზადეთ ყველაფერი ჩემი მოსვლისათვის... კიბეზე სინათლის დანთება არ დაგავიწყდეთ! — მიაძახა მთხოვნელს.

პასტორი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა და პეტერ-ანდრეასი მოიკითხა.

— ახლავე დავუძახებ, — გამოეპასუხა სიგნე, იცოდა, მამას სუსტი მხედველობა ჰქონდა და არ უყვარდა ღამით ან ყიხვაში შინიდან მარტო გასვლა.

— ბოელმა დაუძახოს, — უბრძანა პასტორმა მოხუც ნოსამსახურეს, ხოლო თავად შესამოსავად საწოლი ოთახისკენ გაემართა. — შენ კი, სიგნე, აქ დარჩი, ჩაცმა მიშველე.

ამასობაში საწოლ ოთახში ღამის ნათურა აანთეს.

— იოჰანეს, თბილად ჩაიცვი, — მიმართა დედამ ჩვეულებრივ შეწუხებული ხმით. — ზარის ხმით ვხვდები, რომ გარეთ ყინავს. სიგნე, ბეწვიანი ქურთუკი მოუტანე მამას, კარადაში ჰკიდია.

ამ დროს მოხუცი ბოელი მოვიდა და მოახსენა, მთელი სახლი გადავაქოთე, მაგრამ პეტერი არც თავის ოთახშია და არც სხვაგან სადმეო.

პასტორი იჯდა, რომ სიგნეს ქინძისთავით მოხერხებულად შეეკრა უკან ნაოჭებიანი საყელო და უნებლიეთ სკამიდან წამოხტა.

მოსამსახურეს ისეთი დაბნეული სახე ჰქონდა, პასტორმა შეატყო, უფრო მეტი იცოდა, ვიდრე თქვა. იგი მიუახლოვდა მოსამსახურეს და მრისხანედ ჰკითხა:

— სად არის პეტერი?.. თქვი! ვხედავ, რაღაცას მიმალავ.

პასტორის რისხვით აკანკალებულმა მსახურმა აღიარა, მას შემდეგ, რაც პეტერ-ანდრეასს მეზონინში ოთახი მიეცით, რამდენჯერმე შუაღამისას იქიდან ფეხის ხმა მომესმაო. ახლა, როცა მისი ოთახი ცარიელი ვნახე, გულმოდგინედ გამოვიკვლიე ყველაფერი და აღმოვაჩინე: პირველი — წინკარში ფანჯარაა ღია, მეორე — ფანჯრის ქვეშ თოვლზე ახალი ნაკვალევი ატყვიაო.

დედა შეეცადა ლოგინში წამომჯდარიყო, მაგრამ შესაბრალისი გოდებით დაემხო ბალიშებს და სახეზე ხელი აიფარა, თითქოს თავბრუ დაეხვაო.

პასტორი მივიდა ცოლთან და მეორე ხელზე ხელი მოკიდა.

— დამშვიდდი, დედავ, დამშვიდდი, — უთხრა ცოლს, თუმცა თვითონაც უთრთოდა ხმა.

— ღმერთო, გადმოგვხედე წყალობის თვალით! — დაიკვნესა ქალმა.

— ამინ, — მტკიცედ წარმოთქვა პასტორმა და ცოლის ხელს ხელი არ შეუშვა.

* * *

ამ დროს პეტერ-ანდრეასი მთელი გულით მხიარულობდა ქალაქის ჩრდილოეთით მდებარე მთაზე. აქ მთვარიან ღამეებში იკრიბებოდნენ ყოჩაღი ყმაწვილები და ციგებით დასრიალებდნენ. დასრიალებდნენ „მეფის გზატკეცილზე“ — ფართო, დამრეც გზაზე, რომელიც ბორცვის მწვერვალიდან ძირამდე რკალს ხაზავდა და პირდაპირ ქალაქში ეშვებოდა. ისე რომ, თუ კარგა მაგრად გააქანებდი ციგას და ღამის გუშაგების არ შეგეშინდებოდა, შეგეძლო გრიგალივით შეჭრილიყავი დაქანებულ ნერეჰადეში, თვით რატუშის მოედნამდე.

რა მშვენიერი ხედი იშლებოდა, როცა ეშვებოდი! დათოვლილი ქალაქი, მოწითალო ფარნები ქუჩებში, მთვარის შუქზე ვერცხლისფრად აპრიალებული სახლის სახურავები; იქით ჩანდა გაყინული ფიორდი, გათოშილი მდელოები და, ბოლოს, მთელი თვალუწვდენე-

ლი ვაკე — თოვლით დაფარული სოფლები, ტყეები, მინდვრები. და ამ დიდებული სანახაობის თავზე — მაღალი გადათეთრებული ცა, სადაც მთვარე და ვარსკვლავები თვალს გიკრავდნენ ღრუბლებიდან, თითქოს ამ მოხუც, დარბაისელ მნათობებსაც გადასდებოდათ ბავშვური მხიარულება.

— ჰეი, ფრთხილად! — ყურთასმენის წამღებ სტვენაში და ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოძახილებში მიჰქრიან რკინამიჭედებული ციგები გალიპულ გზაზე, რკინისბუნიკიანი გრძელი ჯოხი საჭესავით გაუშვერიათ, ხტიან ბორცვებზე და თუ წინ რაიმე გადაეღობებათ, ისე ადვილად გადაუფრენენ თავს, როგორც ნიავი ასრიალდება ხოლმე აქოჩრილ ტალღაზე. გზის ორივე მხარეს ჯგუფ-ჯგუფად დგანან ახალგაზრდა შინამოსამსახურენი, თავზე შალები მოუხვევიათ, ხელები წინსაფრებში ისე გაუყრიათ, თითქოს მუფტაში ჰქონდეთ. თუ რომელიმე მორბენალს უმუხთლებს ბედი და უნაგირიდან ჩამოვარდნილი რაინდივით ციგიდან გადმოვარდნილი შუა გზაზე ჩაჯდება, ყოველი მხრიდან დააყრიან ქალები სიცილს. მათ გამვლელები აძლევენ ბანს.

ყველაზე ცუდ დღეში ამ დროს გიმნაზიის მოწაფეები — „თითქმის სტუდენტები“ იყვნენ. იმიტომ, რომ ისინი აქ უმცირესობას შეადგენდნენ. არც პეტერ-ანდრეასი დაზოგავდა, თუ ვინმე შეარცხვენდა მის ამხანაგებს.

თვითონ მშვენივრად მართავდა ციგას. ახალი, წითელი ციგისთვის სახელიც ზვიადი შეერქმია—„სისხლიანი არწივი“. მშობლების მალულად ნისიად გამოერთმია მებორბლისათვის და დღისით მეზობლის შეშის ფარდულში მალავდა. მსუბუქად, თითქმის უხმაუროდ მიჰქროდა მშვენიერ ინგლისურ კავებზე და წამდაუწუმ გაჰყვიროდა: „ფრთხილად! გზიდან ჩამოეცალე!“ პუტკუნა ლოყები გავარვარებოდა, თვალები გამარჯვებულის ზეიმით და სპორტული აზარტით უბრწყინავდა. ზოგჯერ წამოდგებოდა, აიქნევდა ჯოხს, როგორც რაინდი შუბს და იყვირებდა: „ჰე-ჰე-ჰე!“ სიცოცხლის აჩუხჩუხებული წყურვილი, ახალგაზრდული, პატივმოყვარული სიმამაცე, რომელსაც შინ ახშობდა, ასეთ წუთებში ქედმაღლობად ექცეოდა, რაც პეტერს, ცოტა არ იყოს, სასაცილოს ხდიდა ახლო მეგობრების თვალშიც კი.

უეცრად მთის ძირიდან მოისმა გამყივანი, შეშინებული ყვირილი. თვალის დახამხამებაში სპორტსმენები გაიფანტნენ და გზისპირა

თხრილებში თოვლში ჩაწვნენ. ვინც ციგით მაღლა მიცოცავდა, ახლა ბუჩქებსა და ნამქერს ამოეფარა, მხოლოდ გოგონები არ დაძრულან ადგილიდან, ახითხითდნენ და უფრო მიეკვრნენ ერთმანეთს.

ქვემოთ, ქალაქისკენ მოსახვევში, ღამის დარაჯის ფიგურა აღიმართა. გრძელკალთებიანი ტყაპუჭი ეცვა, პრიალა ბალთა ებნია გულზე და მთვარით გაკაშკაშებული ბნელი ქუჩის კუთხეში აღმართულიყო. რაკი ქალაქში ცხენოსანი გლეხები ჩამოდიოდნენ, ციგაობას სოფლის გზებზე მკაცრად კრძალავდნენ, ამიტომაც ბიჭები მთის ძირში ყარაულს აყენებდნენ, რომ მოულოდნელი თავდასხმისაგან თავი დაეზღვიათ. ახლა წესრიგის მრისხანე დამცველი ქვემოთ იდგა და უეცრად დაცარიელებულ გზას ათვალიერებდა, ხოლო გზისპირა თხრილებიდან ყრუდ გაისმოდა ხან „კუ-კუ", ხან—კნავილი, რომელსაც თან ფრუტუნი და სიცილი მოჰყვებოდა. დარაჯმა მუქარით აღმართა ჯოხი, თავი გადააქნია და ქალაქში დაბრუნდა.

ჯერ არც კი იყო წასული, რომ ყარაულების სიგნალი მოისმა და რამდენიმე წუთის შემდეგ მხიარულება კვლავ ეაჩაღდა.

ერთ-ერთმა უფროსმა მოწაფეთაგანმა თავის ციგაში ახალგაზრდა შინამოსამსახურე შეიტყუა, ამის მნახველი პეტერ-ანდრეასის პატივმოყვარეობა კოცონივით აენთო. პეტერმა თავისი გაქანებული ციგა მოკისკისე ქალიშვილების გუნდთან გააჩერა, ყველაზე მაღალი გოგონა ამოარჩია და თავისთან მიიწვია. ქალიშვილი ჯერ შეყოყმანდა, შემდეგ კი ციგაზე პეტერის წინ დაჯდა. პეტერმა უტიფრად შემოხვია ხელი თავის ნადავლს და „სისხლიანი არწივი" ქვევით გაქროლდა.

— ფრთხილად! — ღრიალებდა პეტერი რაც ღონე ჰქონდა, აბა სხვაფრივ როგორ ვააგებინებდა მთელ ქვეყანას თავისი გამარჯვების ამბავს.

— ერთი უყურე პეტერ-ანდრეასს!.. ყოჩაღ, პერ! — ყვიროდნენ მთაზე მიმავლები. პეტერს გული უფრთხიალებდა აღტაცებისაგან — ამ შეძახილებით იგრძნო, რომ აღფრთოვანება გამოიწვია.

თავად ქალიშვილიც — შავთვალა, შავ ხუჭუჭთმიანი მოსამსახურე — სრიალის დროს მისკენ მოტრიალდა და მადლიერებით გაუღიმა დიდი, წითელი, ნახევრადღია პირით. პეტერს ლოყებზე ხანძარი მოედო, — ოცნებამ ბოშურ ცხოვრებასა და უკიდეგანო ველებში განსაცდელ ბედნიერებაზე, უზრუნველად ხეტიალზე, სახლის მაგიერ

კარავსა ან მიწურში ისეთივე თავისუფალ ცხოვრებაზე. როგორც ვარსკვლავები და ღრუბლები არიან ცაში — ხელახლა გაიტაცა იგი.

ციგები ქალაქის ახლოს შეჩერდნენ, ქალიშვილი ადგა, რათა მეგობრებთან დაბრუნებულიყო. მაგრამ პეტერმა ძალით შეაჩერა, — არ უნდოდა გაეშვა — და ციგა მთაზე აათრია. ნება-ნება ადიოდა მაღლა და მიეზიდებოდა თავის მძიმე ტვირთს. თავი მეომრად წარმოედგინა, მეკობრედ, რომელიც გამარჯვებული დაბრუნდა შორეული ქვეყნებიდან და ნადავლი მოიტანა — მშვენიერი ტყვე, მოტაცებული პრინცესა და წაიყვანა დაბურულ ტყეში, თავის ძელურ სახლში; აქ თავის მონა-მორჩილად გაიხდის ქალს... თავისივე ფანტაზიით აღგზნებული პერი ისე მიფოფხავდა გაყინულ ფერდობზე, შუბლზე ოფლმა დაასხა.

როცა მწვერვალს მიაღწიეს და პეტერმა დაჯდომა დააპირა, რათა კვლავ ძირს დაშვებულიყო, ქალიშვილმა მოულოდნელად ჰკითხა:

— მართალს ამბობენ, რომ პასტორის ვაჟი ხარ?

ქალის შეკითხვამ პეტერი ოცნებიდან გამოიყვანა. გაფითრდა.

— ა-არა, — ნაძალადევად წარმოთქვა მან და ისე დააჭირა კბილი კბილს, ტკივილი ფეხებშიც კი იგრძნო. „სუსლიანი არწივი" ხელახლა გაფრინდა ქვევით, კავებმაც კვლავ სტვენა და სიმღერა გააბეს.

ამ წუთამდე პეტერს არასოდეს ასე გარკვევით არ შეუგნია, რამდენად უცხო იყო მისთვის ნახევრად ბნელი, შმორიანი ოთახები, სადაც მამა და და-ძმანი ფსალმუნებს გალობდნენ, ბურტყუნებდნენ ლოცვის სიტყვებს და ვერ ხედავდნენ ამ დიდებულ სანახაობას. ისინი თიოქოს მიწამძრომელა ჯუჯები იყვნენ, რომელთაც აბრმავებთ დღის ბრწყინვალება, აშინებთ სიცოცხლე და მისი მადლი. პეტერი კი შორს, შორს არის მათგან, ათასი მილის მანძილზე, სხვა მხარეში, სადაც მეგობრობენ მზესთან, ვარსკვლავებთან და ცაზე მოცურავე ღრუბლებთან.

ჩუ! შეჩვეულმა ყურმა ნაცნობი ხმა დაიჭირა... ზარი რეკავს! ეს ხმა მიწისქვეშა სამყაროდან ცნობასავით მოვიდა, გააპო ყინვიანი ღამის ვერცხლისფერი ჰაერი. თერთმეტი მძიმე, ნაღვლიანი ნელი დარტყმა. ოჰ, როგორ სძულდა პეტერს ეს ხმა! მუდამ, დღისით თუ ღამით, იგი მრისხანე გაფრთხილებასავით იჭრებოდა მის ოცნე-

ბებში. ვერსად გაექცეოდა, ყველგან ეწეოდა. უხილავი სულივით სდევნიდა ყველა აკრძალულ გზიდან. მაშინაც, როცა გაზაფხულზე მინდორში დარბოდა და ხელში ვეებერთელა ფრანი ეჭირა, მაშინაც, როცა ზაფხულში ნავით ფიორდზე დაცურავდა და ქორჭილებს იჭერდა, ყოველ თხუთმეტ წუთში უზუზუნებდა ყურებში ზარის სამარისეული გუგუნი, თითქოს ავბედითად ჩაჰბუტბუტებდა ვიღაც.

— ე-ჰე-ჰეი! — დაიღრიალა ბიუმმა, რომ ჩაეხშო ეს ხმა და განგებ უფრო მაგრად შემოხვია ხელი აწოწილ ქალიშვილს. ქალმა ღიმილით შეხედა პეტერს, ყმაწვილს ტკბილმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში.

— ლამაზი ხარ! — ჩასჩურჩულა ყურში ქალს, — რა გქვია?

— ოლინა.

— სად ცხოვრობ?

— სმედესტრედეზე... რიისაგერებთან. შენ?

— მე?

— ჰო, შენ... თუ პასტორის ვაჟი არა ხარ, მაშ ვინა ხარ?

— ვინა ვარ?.. მე?... ამას ვერ გეტყვი. მოდი, შევხვდეთ ხვალ საღამოს, შებინდებისას, ვოლსტრედეზე.

— მოდი.

ხიფათი გულში არც კი გაუვლია პეტერს, ისე გადაჭრა ქალაქი და მთელი სიჩქარით გაექანა ნერეჰადეზე. მაგრამ პირველსავე კუთხეში ვიღაც ახოვანმა კაცმა გადაუჭრა გზა, მჭექარე ხმით „სდექო“— დასძახა და თავისი ჯოხი ციგის დასაჯდომს წამოსდო. ციგა გადაბრუნდა და ჩახუტებული წყვილი პირდაპირ თოვლში გადაკოტრიალდა. აღრიალებული გოგო გაიქცა, პეტერს კი ღამის დარაჯმა ოლემ საყელოში ჩასჭიდა თავისი ძლიერი ხელი.

— აბა, ერთი აქეთ მოდი! აი, თქვე ეშმაკებო, მე გასწავლით, როგორ უნდა უფროსების პატივისცემა... რატუშაში რომ გიკრავ თავს. ულაპარაკოდ! აი, შე ეშმაკის შვილო. ვისი ხარ?

პეტერ-ანდრეასი წამსვე მიხვდა, თუ რამეს არ მოიგონებდა, ხაფანგიდან თავს ვერ დააღწევდა. სხაპასხუპით, თითქოს ყელში წაუჭირესო, წამოისროლა:

— აჰ, რა კარგია, რომ შეგხვდით! ზემოთ ისეთი მუშტი-კრივია გამართული! ივერსენის ქარგალმა — აი, ასეთი აყლაყუდა რომ არის, — დანა იძრო.. იჩქარეთ... მთლად თავს გაუვიდა!

— რას ამბობ?

— ჰო, ჰო, დანა დაარტყა ალ-ფრედს, ბურგომისტრის ვაჟს. მეშინია, არ მოკვდეს ალფრედი. სისხლ'ში ცურავს.

— ბურგომისტრის ვაჟს. — ამოიკვნესა დარაჯმა და ხელები გაასავსავა.

— მე გავიქცევი, შევატყობინებ მის ოჯახს და ექიმ კარლსენს, — უთხრა პეტერმა და ციგას ხელი სტაცა. დარაჯმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ პეტერის კვალიც კი გაქრა.

თორმეტს აღარაფერი უკლდა, როცა პეტერი მეზობლის ღობეზე გადახტა და წინკარში შეძვრა ფანჯრიდან, რომელიც წასვლის წინ განგებ დატოვა ღია. წაღები იქვე, თოვლში გაიხადა და ჩუმად, ფეხაკრეფით აუყვა თავის ოთახში ამავალ კიბეს, მაგრამ უცბად გაიღო კაბინეტის კარი და ზღურბლზე გამოჩნდა მამა ლამპით ხელში.

რამდენიმე წამს მამა და შვილი ჩუმად უცქერ'ოდნენ ერთმანეთს. ისმოდა მხოლოდ, როგორ ელრიალებდა ლამპა პასტორ სიდენიუსის აკანკალებულ ხელში.

— როგორ იპარები მამის სახლში, ან როგორ წახვედი აქედან, — აღმოთქვა ბოლოს პასტორმა. — სად იყავი? — დაუმატა ჩაწყვეტილი ხმით, თითქოს ძალა აღარ შესწევდა პასუხის მოსასმენად.

პეტერს არც არაფრის დამალვა' უცდია, არც არაფერი შეულამაზებია. ყველაფერს, როგორც იყო, ისე მოყვა, ისე ეზიზღებოდა მამა ამ წუთში, რომ არც ეშმაკური ხერხის მოგონება სურდა არც თავის დაძვრენა. თუ აღიარებაა, აღიარება იყოსო და ბარემ „სისხლიანი არწივის" ყიდვისა და მებორბლის ვალის ამბავიც დაფქვა.

— მაშ ასე შორს წავიდა საქმე? — თქვა მამამ, არ გამოუმეღავნებია, თუ პეტერის პასუხმა სულიდან მძიმე ტვირთი მოხსნა. იცოდა, რომ ქალაქში არის გარყვნილთა ბუნაგები და ეშინოდა, ვინმეს ცუდად არ აჰყოლოდა და იქ არ შეეტყუებინათ მისი ვაჟი. — წადი, დაიძინე, — უბრძანა მან. — მუდამ ცოდვის შვილი იყავი და ისეთივე დარჩი... ხვალ უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ შენს საქციელზე.

როცა მეორე დილით პეტერს სასტუმრო ოთახში საერთო ლოც-

ვისთვის დაუძახეს, დარწმუნებული იყო, დღეს მამა კვლავ შემარცხვენს, როგორც ამასწინათ მიყო, როცა ვაშლის მოპარვაში დამიჭირესო. სიგნე უკვე ფორტეპიანოსთან იჯდა, სადაც ერთადერთი სანთელი ენთო. დიდი ოთახის დანარჩენი ნაწილი ჩაბნელებული იყო და ისე ციოდა, გალობისას პირიდან ორთქლი ამოსდიოდათ.

იგალობეს პირველი ფსალმუნი, მეორე ფსალმუნი, წაიკითხეს „მწამს“, პეტერისთვის კი სიტყვაც არავის უთქვამს გუშინდელი ამბის თაობაზე. პასტორი სიდენიუსი მთელი დილა ცოლს უჯდა ლოგინთან და ორივენი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამიერიდან უსარგებლოა ცდა, შეგონებით რაიმე ზეგავლენა მოახდინონ ბიჭზე. დარჩა მხოლოდ იმედი, რომ დრო და ცხოვრებისეული გაჭირვებანი ღვთის წყალობით თავისას გაიტანენ. ერთადერთი ქმედითი ღონისძიება ჩაატარეს: მეზობლის ღობეზე დაარჭეს ლურსმნები, თანაც ამიერიდან ყოველ საღამოს ძილის წინ მამას პირადად უნდა შეემოწმებინა, იწვა თუ არა ლოგინში პეტერი.

მაგრამ პეტერს ყოველივე ეს სულაც არ აწუხებდა. როგორც არ უნდა მოქცეოდნენ შინ — კარგად, თუ ავად, ახლა ამას აღარ დარდობდა. წავიდა ის დრო, როცა აკვიატებული ჰქონდა, რაიმე არაჩვეულებრივი საქმე ჩაედინა: აშკარად ამბოხებულიყო თუ ჩუმად გაქცეულიყო, ოღონდ კი როგორმე ტყვეობისათვის თავი დაეღწია და ალალბედად შესდგომოდა დედამიწაზე იმ სამეფოს ძებნას, რომელზედაც ოცნებობდა სიზმრებში. ახლა საკმაოდ მოზრდილი და გონიერი იყო და ესმოდა, რომ სანატრელ დამოუკიდებლობას უფრო სწრაფად და საიმედოდ მხოლოდ მაშინ მიაღწევდა, თუ შეიარაღდებოდა მოთმინებით და სკოლას დაამთავრებდა. ამავე დროს ძალიან მალე მოიფიქრა, როგორ აეცდინა მამის თვალყური. როგორც კი შინ ყველაფერი მიჩუმდებოდა, ბაგირით ეშვებოდა თავისი ფანჯრიდან ალაყაფზე, იქიდან კი წყალსადინარი ღარით პირდაპირ შესახვევში გაჩნდებოდა, — ამგვარად კვლავ ბევრი მთვარიანი ღამე გაატარა ფიორდთან ანკესით ხელში, ხოლო დაჭერილ თევზს უკან დაბრუნებისას ღამის დარაჯს აძლევდა, რომ მას არ გაეცა.

პეტერმა განაახლა ნაცნობობა შავთვალა ოლინასთან, რომელიც რიისაგერებთან ცხოვრობდა. რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს საღამოობით დიდი შეშის საწყობში, მაგრამ სხვათა შორის, მალე აუცრუვდათ გული ერთმანეთზე. ოლინა ისე თამამად იქცეოდა და

ლაპარაკობდა, პეტერი თავს უხერხულად გრძნობდა, ხოლო, როცა ქალმა პეტერის სათნოების ხელყოფა სცადა, ვაჟმა შიშით ხელი ჰკრა და აღარც უფიქრია მასთან შეხვედრაზე.

პეტერს ძალზე იზიდავდა პორტი. იქნებ შფოთიანი არც იყო ის ცხოვრება, პეტერს ასე რომ ხიბლავდა, ცხოვრება, რომელიც დუღდა ნავსაბელთან, დიდ სანახშირე გემებსა და პატარა შვედურ ხე-ტყის მზიდავ გემებს შორის. იქვე იდგა სასურსათო გემი, მის პატრონთან პეტერმა ნაცნობობა გააბა. აქ ატარებდა მთელ თავის თავისუფალ დროს და ისმენდა მეზღვაურების ნაამბობს, მათი უცხო მხარეში მოგზაურობის თავგადასავლებს, ვეებერთელა საოკეანო გემებისა, რომელთაც ერთ რეისზე ორიათასამდე მგზავრი გადაჰყავდათ და დიდი საპორტო ქალაქების ცხოვრების ამბებს, სადაც გიგანტური ნავსაშენები და ნავსაკეთებლებია.

მაგრამ მეზღვაურის ბედი არ ხიბლავდა. პეტერმა უფრო მაღალი მიზანი დაისახა. სურდა, ინჟინერი გამხდარიყო. ფიქრობდა, ეს პროფესია მისცემდა ყველაზე დიდ შესაძლებლობას თავისი ოცნება განეხორციელებინა — ეცხოვრა თავისუფლად და დამოუკიდებლად, თავგადასავლებით და ამაღელვებელი მოვლენებით აღსავსე ცხოვრებით. გარდა ამისა, ასეთი წმინდა პრაქტიკული ასპარეზის არჩევით უნდოდა უჯრო მტკიცედ გამოყოფოდა თავის ნათესავთა წრეს და თავი დაეღწია მათი დიდად პატივცემული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისათვის. არჩევანი, პირველ ყოვლისა, მამის ჯიბრზე გაკეთა, რადგან მამა ქედმაღლურად უყურებდა იმ ადამიანებს, ვისაც ტექნიკის მიღწევები აღაფრთოვანებდა. მაგალითად, ერთხელ ქალაქის მცხოვრებლები დიდად ააღელვა ცნობამ ფიორდის კალაპოტის გაღრმავების პროექტის შესახებ. ამ პროექტს უწინდელივით დიდი გაქანება უნდა მიეცა ამჟამად ჩამორჩენილი ნაოსნობისათვის, მამა კი ამ წამოწყებას უსაზღვრო ზიზღით შეხვდა. „ოჰ, ეს კაცუნები რამდენ რამეს ეპოტინებიან, მაშინ როცა ერთი რამ არის საჭირო“,— ამბობდა ის. სწორედ იმ დღიდან პეტერ-ანდრეასმა მტკიცედ გადაწყვიტა გამხდარიყო ინჟინერი.

სკოლამაც ხელი შეუწყო ამ საქმეში. იმ დროს, როცა მასწავლებელთა უმრავლესობამ მალე ჩაიქნია მასზე ხელი პეტერის მშობელთა მსგავსად, და ფიქრობდნენ, მისგან ხეირიანი კაცი არ დადგებაო, ბიჭმა მათემატიკის მასწავლებლის სახით მოულოდნელი მეგო-

ბარი და მფარველი შეიძინა. მათემატიკის მასწავლებელი, სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი მოხუცი, განსაკუთრებით უქებდა შვილის ნიჭს პასტორ სიდენიუსს, როცა ამ უკანასკნელს ხშირად მთლად დაკარგვია მოთმინება და პეტერის სკოლიდან გაყვანა, დაუყოვნებლივ რაიმე ხელობის შესასწავლად მისი მიბარება გადაუწყვეტია. გეგონებოდათ, მოხუცი ჯარისკაცი სწორედ იმიტომ აქებდა ამ ბიჭის ნიჭს, რომ თანაუგრძნობდა მას და კმაყოფილი რჩებოდა, როცა ამჩნევდა, ულმობელი პასტორი კრინტსაც ვერ სძრავდა ამ ქების პასუხად.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის მცხოვრებთა დამოკიდებულება პასტორ სიდენიუსისადმი საგრძნობლად შეიცვალა. დრომ და შეჩვევამ თავისი დამამშვიდებელი გავლენა იქონია. თანაც ბევრი უფროსი თაობის სოვდაგარი და საქონლით მოვაჭრე, რომლებიც ერთ დროს საზოგადოებრივ აზრს განსაზღვრავდნენ, განვლილი წლების განმავლობაში მამა-პაპათა გზას ასცდა, რის შედეგადაც — და ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა — გამოირკვა, რომ არც სავაჭრო მიმოქცევა, არც ვაჭართა უმრავლესობის ქონება არ კმაროდა, რომ კვლავ თავდაჯერებულად განეგოთ ქალაქის ყველა საქმე. ყველანი ძველი ყაიდის საქმოსნები იყვნენ, გლეხური ყოყოჩობა მოსდგამდათ და არ სურდათ შეემჩნიათ, რომ დრო წინ მიდის, უგულებელყოფდნენ იმ სიახლეებს, რაც ვაჭრობაში მუდამ თან სდევს მიმოქცევის გზების განვითარებას. ბევრი საუკეთესო ოჯახი ქალაქში, ისინი, ვინც მდიდარი მემკვიდრეობის წყალობით ხელგაშლილად ცხოვრობდა, ომის შემდეგ თითქმის გამათხოვრდა. რაც უფრო ელეოდათ სიმდიდრე, მით უფრო მეტად უჩნდებოდათ რელიგიის მოთხოვნილება. პასტორ სიდენიუსის ყველა სიტყვა ყოველგვარ მიწიერ ამაოებაზე, ჭეშმარიტ სიმდიდრეზე, რაც მიწიერ სიკეთეთა უარყოფაში და სიღარიბეში მოიპოვება, ყოველდღიურად სულ ახალ-ახალ გულისხმიერ მსმენელს იზიდავდა, პირველ ყოვლისა, იმათთაგან, ვისაც წინათ მისი არაფერი სწამდა. სულ უფრო და უფრო მეტი მორწმუნენი იკრიბებოდნენ მის საკვირაო ქადაგებაზე. ახლა უკვე აღარ შეიძლებოდა ქალაქის მცხოვრებთაგან ვინმე არ მისალმებოდა პასტორს შეხვედრისას, მით უმეტეს, თუ სრული შესამოსელი ემოსა.

* * *

ასე მიდიოდა ყველაფერი თავისი რიგით. ამასობაში, როგორც იქნა, დადგა პეტერ-ანდრეასის განთავისუფლების საათი. მოხუცი მათემატიკოსის დაუღალავმა შუამდგომლობამ გატეხა მამა და შვილს ნება დართო დედაქალაქის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოწყობილიყო. პეტერი იმ დროს თექვსმეტი წლისა იყო.

შემოდგომის ერთ მოწმენდილ საღამოს, როცა ყოველკვირეული სამგზავრო გემი ფიორდის მთლად გამეჩეჩიანებულ საქცევებში მიცურავდა, პეტერ-ანდრეასი კიჩოზე იდგა, მხარზე ჩანთა გადაეკიდა და უყურებდა, როგორ მუქდებოდა და ქრებოდა ოქროსფერ-მოწითალო დაისის ფონზე ქალაქი. მშობლიურ სახლთან განშორების გამო ცრემლები არ მოდგომია თვალზე, არც დედასთან გამოთხოვებას აუღელვებია მაინცდამაინც. მაგრამ ახლა, როცა მკერავისაგან ეს-ეს არის გამოტანილი კოსტუმი ეცვა და გემბანზე იდგა, თან ჟილეტის სარჩულში ჩაკერებული ასტალერიანი ეგულებოდა და გასცქეროდა, როგორ იმალებოდა კაშკაშა ცის კიდურში ქალაქის სახლების სახურავები, როგორ თანდათან ეკარგებოდა თვალიდან ეკლესიის აგურის გოდოლი, გული დაუმძიმდა და მადლიერების მსგავსი რაღაც იგრძნო. თავად მიხვდა, ხეირიანად არც შინაურებს გამოვმშვიდობებივარ, არც მშობლებსო, მოხარული იქნებოდა შესაძლებელი რომ ყოფილიყო უკან დაბრუნებულიყო და გულთბილად დამშვიდობებოდა ყველას.

მწუხრის ზარის რეკვის ხმაც კი, რომელმაც მდელოები და მინდვრები გადაიარა და პეტერამდე მიაღწია, მშობლიური მიწის უკანასკნელ ამოძახილად ჩაესმა — „მაპატიეო“ და გული სიყვარულით და ყოვლისშემნდობი გრძნობით აევსო.

კოპენჰაგენშიაც ეს გრძნობა გაჰყვა და რაც უფრო მეტად გრძნობდა თავის სიმარტოვეს, მით უფრო უძლიერდებოდა (ასე ემართება ყველა პროვინციელს, ვინც ბედმა დიდ ქალაქში მოახვედრა): საითაც გაიხედავ და, ყველგან უცხო და გულგრილი სახეები ხვდებოდა თვალს. პეტერი კოპენჰაგენში არც ერთ სულიერს არ იცნობდა. თანაკლასელთაგან ჯერჯერობით არავინ ჩამოსულიყო. ისინი ისევ მეცადინეობდნენ, რათა უნივერსიტეტის სტუდენტები გამხდარიყვნენ. პირველ ხანებში პეტერს ძალიან აწუხებდა მარტოობა და

ხშირად დადიოდა ბირჟაზე — იქნებ ვინმე ჩვენებური კაპიტანი შემხვდეს, რომ ჩემს ქალაქზე და საერთო ნაცნობებზე ვემუსაიფოო. ერთი კი იყო, რომ მამისადმი დამოკიდებულება აქაც არ შეუცვლია და თუ ზოგჯერ წერილს გააგზავნიდა შინ, ყოველთვის მხოლოდ დედის სახელზე წერდა.

პეტერის ერთმა უფროს ძმათაგანმა. თომასმა, შარშან დაამთავრა კურსი და სადღაც სოფელში ქორეპისკოპოსად დანიშნეს. მეორე, ებერხარდი, მუდმივად აქ ცხოვრობდა, მაგრამ ახლა, თითქოს ბედზე, სადღაც წასულიყო, შემდეგშიაც, როცა დაბრუნდა, ძმები თითქმის არ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ებერხარდი მეტისმეტად წინდახედული და ფრთხილი ყმაწვილი იყო, მწირივით კარჩაკეტილი ცხოვრობდა და სულ იმას ცდილობდა, როგორმე, ღმერთო დამიფარე და რაიმე საქმეში არ გავება, რაც რეპუტაციას შემილახავსო. როდესაც ბედუკუღმართი ძმა ეწვია, ჯერ სტუდენტიც რომ არ იყო და, კაცმა არ იცის, რა დადგებოდა, ებერხარდს ძალიან არ ესიამოვნა, ეუხერხულა კიდეც.

პირველი რამდენიმე თვე პეტერ-ანდრეასმა ქალაქის ცენტრში იცხოვრა ლატაკურ სენაკში სხვენზე, საიდანაც სახლების წითელი სახურავების მეტი არაფერი მოჩანდა. მერე ნიუბოდერში გადავიდა და ერთ ხანშიშესულ ცოლ-ქმართან დაბინავდა.

როცა დაზამთრდა და საცა იყო შობის დღესასწაულებიც უნდა დამდგარიყო, პეტერმა დაიწყო ფულის დაზოგვა, რომ არდადეგებზე შინ მშობლების დაუხმარებლად წასულიყო. უფრო მეტად კვებისა და გათბობის ფულს უჭერდა ხელს, ბოლო დღეებში კი მხოლოდ პურითა და ყავით ითქვამდა სულს.

შობის წინა დღეს პეტერი შინ გაემგზავრა. წინასწარ ორიოდე სიტყვით აცნობა მშობლებს, ჩამოვალო. დაუსრულებლად დიდხანს, მთელი დღე მიჩანჩალებდა მატარებელი ზელანდიასა და ფიუნზე. ხალხით სავსე იყო სადღესასწაულოდ გამოცოცხლებული ვაგონები. ყოველ სადგურზე მგზავრებს მხიარულად ხვდებოდნენ ნათესავები და მეგობრები. ამან პეტერს გული სასიხარულო მოლოდინით აუვსო და საზეიმოდ განაწყო. გაახსენდა, როგორი მღელვარებით ელოდნენ ხოლმე შინ ძმებს: ყველა ოთახებში სინათლეს ანთებდნენ, მატარებლის მოსვლამდე არ ვახშმობდნენ, რომ შეხვედრა უფრო საზეიმო

ყოფილიყო, თავისი ძველი მეგობრებიც მოაგონდა — იქნებ გაიგეს, რომ მივდივარ და სადგურზე ჩემს შესახვედრად გამოვიდნენო.

სანამ იუტლანდიას გაივლიდნენ, კუპე დაცარიელდა და პეტერი მარტო დარჩა. დაბნელდა, ჭერზე ფარანი აანთეს; ქარ-წვიმა შხაპუნობდა ფანჯრებზე. საათნახევრის გზა დარჩა. პეტერი გაიჭიმა თავისუფალ სკამზე და დაიძინა.

როცა გაეღვიძა, მატარებელი რომელიღაც ხიდზე გადიოდა. გული უფრო აუძგერდა, ბორბლების ასეთი ნაწყვეტ-ნაწყვეტ რახარუხს კარგად იცნობდა: მაშ, შერბეკის ხიდზე გადიოდნენ. ხუთი წუთის შემდეგ შინ იქნება.

პეტერმა ხელით გაწმინდა დაორთქლილი ფანჯარა... ჰო, აი ისიც, მდინარე... მდელოებიც, შჩერბეკის ბორცვებიც. აქ გზა უხვევდა. შესაგებებლად ნისლში გამოცურდნენ ქალაქის პირველი სინათლეები.

მის შესახვედრად სიგნე მოსულიყო. როგორც კი პეტერმა ბაქანზე თვალი მოჰკრა დას, გუნება გაუფუჭდა. იდგა პატარა, ოდნავ წელში მოხრილი ქალიშვილი, მოკლე, საშინლად ძველმოდური სალოფი და შავი შალის ხელთათმანები ეცვა, თან ქვედატანის ბოლო აეწია, გამხდარი კანჭები გამოეჩინა, დიდი ტერფები ღრმა კალოშებში ჩაედგა. პეტერი გაბრაზდა, ასე რას გამომდგარა მთელი ქვეყნის დასანახადო. ესეც არ იყოს, იმედი ჰქონდა, უმცროსი ტყუპი ძმები შეხვდებოდნენ და ეჭვი შეეპარა, სიგნე უთუოდ განგებ გამოგზავნეს, რადგან მე და ის უფრო ვერ ვეწყობით ერთმანეთს, ვიდრე სხვებიო.

შინისკენ მიმავალმა სიგნეს სიტყვებიდან დაასკვნა, რომ მშობლები სრულიად არ იყვნენ აღფრთოვანებული მისი ჩამოსვლით და შეუწყნარებელ თავქარიანობად მიაჩნდათ არდადეგებზე ჩამოსვლა, რადგან ჯერ ხეირიანად სწავლას არც კი შესდგომოდა. — ასეთი მგზავრობა იაფი როდი ჯდება, — ანგარიშიანად დაუმატა სიგნემ თავის მხრივ, — ამიტომაც საჭირო იყო ჯერ მამას მოთათბირებოდი და თანხმობა გეთხოვა.

მოკლედ, ვერ მოასწრეს სახლამდე მისვლაც, რომ პეტერ-ანდრეასს გული გაუცივდა, ხოლო როცა სასტუმრო ოთახში შევიდნენ და პეტერმა დაინახა მამა, იმავე ადგილზე, იმავე ჩამოგლეჯილ სა-

ვარძელში რომ იჯდა და ისევ ის წინაფრა ეფარა თვალებზე, კიდევაც ინანა, კოპენჰაგენიდან რად წამოვედიო. მამა რაღაცნაირად, ძალდატანებით მიესალმა შვილს და ლოყაზე ხელი მოუთათუნა. სასადილო ოთახის კარი მიხურული იყო, მაგრამ პეტერმა გაიგონა იატაკის ფხეკის ხმა, ხოლო სინზე რამდენიმე ბუტერბროდი შენიშნა და მიხვდა, რომ დანარჩენებს უკვე ევახშმათ. დედა წინანდებურად ლოგინში დაუხვდა, აი ის კი საკმაოდ ალერსიანად და გულღიად შეხვდა შვილს, აღელვებულმა ორივე ლოყაზე აკოცა, მაგრამ ამან პეტერს გული ვერ გაუფბო.

ბიჭი ძალიან ახალგაზრდა იყო და ვერ მიხვდა, რომ არავითარი უსამართლობა არ მომხდარა, რომ მას უბრალოდ იგივე ბედი ეწია, რაც ჩვეულებრივად ეწევა ხოლმე უმცროს ბავშვებს მრავალშვილიან ოჯახებში, სადაც პირველ შვილებს ერგებათ მშობლიური სიყვარულის მთელი სითბო: ქრება სიახლის ის სიმშვენიერე, ის სიხარული, რაც თან სდევს უფროსების თითოეულ მარჯვე ნაბიჯს. ბოლოს, როცა თავის ოთახში აღმოჩნდა, პეტერმა გადაიხარხარა. გაბრაზებული უფრო იყო, ვიდრე ნაწყენი. დასცინოდა თავის თავს, სულელურ სანტიმეტალობას, რომელმაც სევდა გაუღვიძა სამშობლოსადმი, ასე ვთქვათ, მშობლიური სახლისადმი და ფიცი დადო, ამიერიდან აღარასოდეს ამიტაცებს მსგავსი გრძნობებიო.

ამას ზედ დაერთო შობა მთელი თავისი მაღალფარდოვანი ზეიმით, დაუსრულებელი ღამისთევებით ეკლესიაში და საგალობლებით, რაც პეტერს სულაც არ ეპრიანებოდა. საათებს ითვლიდა მანამდე, ვიდრე კვლავ კოპენჰაგენში დაბრუნდებოდა და თავისუფალ, დამოუკიდებელ ადამიანად იქცეოდა. მეგობრებთან შეხვედრამაც მხოლოდ გული გაუტეხა. ბევრი მათგანი თავიანთი მშობლების ზეგავლენით ძლივს ესალმებოდა პეტერს. რაკი მამას და ოჯახის ყველა წევრს პეტერის ხსენება მაინცდამაინც არ ეჭაშნიკებოდა, აქაურებმა გადაწყვიტეს, ბიჭი, ალბათ, გზას ასცდაო, თანაც ზოგმა ძველმა მეგობარმა წინასწარ წარმოიდგინა თავი სტუდენტად და აუტანლად გაყოყოჩდა. პეტერმა ჩამოსვლისთანავე მოინახულა ყველა მათგანი, მაგრამ ბევრი ცუდად შეხვდა და ერთსაც არ უთხოვია, კვლავ შემოიარეო.

ახალი წელი გავიდა თუ არა, პეტერი კოპენჰაგენში დაბრუნდა.

თავი II

ყველა იმათგან, ვინც ჩვენს მიერ აღწერილ დროს ნიუბოდერში ცხოვრობდა, ყველაზე ცნობილი დ საპატიო პირი უეჭველად სამსახურიდან გადამდგარი ხიორტენსფრიუდჰადელი მოხუცი ობერბოცმანი, ბატონი ოლუფსენი იყო. პატარა, ორსართულიანი სახლის ზედა სართულში ცხოვრობდა. ყოველ დღე, როგორც კი წმ. პავლეს ეკლესიაში საათი თერთმეტს დარეკდა, შეიძლებოდა თვალი მოგეკრათ მისი მაღალი, გამხდარი, ცოტათი მოხრილი ტანისათვის — ამ დროს იგი პატარა, ორსართულიანი სახლის დაბალი კარიდან გამოდიოდა. წამით ობერ-ბოცმანი ზღურბლზე შედგებოდა, რათა, ძველი მეზღვაურის ჩვეულების მიხედვით, სახლის სახურავებისა და ღრუბლებისათვის მოევლო თვალი, თითქოს გემსართავები ყოფილიყვნენ. ცოტა არ იყოს გაცვეთილი, მაგრამ გულდასმით გაწმენდილი სერთუკი ეცვა და ღილის კილოზე დანებროგის ორდენის ფართო ლენტი ებნია. ჭაღარა თავს რუხი ფერის ცილინდრი უმშვენებდა, მარცხენა ხელზე, რომლითაც ქოლგას ეყრდნობოდა, რუხი ფერის ლაიკის ხელთათმანი ემოსა.

მარჯვენა ხელს ზურგზე შემოიდებდა და ნელა, ფრთხილად მიაბიჯებდა ამოჩიჩქნილ ქვაფენილზე. ამ დროს ფანჯრის წინ სარკეში მისი მეუღლის სახე მოჩანდა, აქედან უთვალთვალებდა ქალი ქმარს მანამ, ვიდრე არ დარწმუნდებოდა, რომ ის მშვიდობით გადავიდა თხრილზე ელსდიურსჰადეს კუთხეში. ქალი ფანჯარასთან იდგა, სრული, ყვავილებით მოჩითული ხალათი ეცვა, ყურებს ზემოთ პაპილოტები უჩანდა. ამაყი სიხარულით, ისეთი თვითკმაყოფილებით გასცქეროდა ქმარს, თითქოს ეს კაცი მისი ხელით იყო შექმნილი.

ნიუბოდერის საგუშაგოს რომ ჩაუვლიდა, სადაც კადონზე სახანძრო ზარი ქანაობდა, ბოცმანი ქოლგას უეჭველად მარჯვენა ხელში გადაიტანდა, რომ გუშაგს ხელთათმანიანი ხელით მისალმებოდა, თუ სადარაჯო რაზმიდან ვინმეს აზრად მოუვიდოდა სამხედრო პატივი ეცა მისთვის — ეს იყო აქტი, რომელსაც ის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა და დიდი მოუთმენლობით ელოდა. აქედან კამელენჰადეზე ჩაუხვევდა და ამალიენბურგის სასახლის წინ მდგარ მოედნამდე მივიდოდა, სადაც ყოველდღე აკვირდებოდა დარაჯების ცვლას. მუსიკის მოსმენის შემდეგ, რომელიც თან სდევდა ცერემო-

ნიას, კუნგენსჰადეს გაივლიდა, მერე ბურგერჰადეს და უფრო შორსაც — ქალაქში გავიდოდა.

აქ მისი წარსული მეუფობის სფერო არ იყო, აქ არავინ იცოდა, რომ მის წინაშე ობერ-ბოცმანი ოლუფსენია, რომელმაც თვით მეფის ხელიდან მიიღო დანებროგის ორდენი, აქ ის ჩვეულებრივი გამვლელი იყო, მისთვის ნიდაყვის წაკვრაც კი ყველას დაუსჯელად შეეძლო და ობერ-ბოცმანს უნებურად მუხლები ეკვეთებოდა, წელში იხრებოდა და წინ და უკან გამალებით მოსიარულე ადამიანების გვერდით კოჭლობით მიჩანჩალებდა თავისი ავადმყოფი ფეხებით. ჩობმაჰერჰადეს არასოდეს გასცდებოდა, რადგან ყოველთვის, რაც გაღმა მხარეს იყო, ნამდვილ ქალაქად, კოპენჰაგენად კი არ თვლიდა, კოპენჰაგენის გარეუბნად, სადღაც ცხრა მთას იქით მიგდებულ უბნად მიაჩნდა და ვერ გაეგო, როგორ შეეძლო ხალხს იქ ცხოვრება.

ის სცნობდა მხოლოდ ადელჰადეს და ბურჰერჰადეს, დედაქალაქის ცენტრალურ არტერიებად მიაჩნდა, და თუ ამას გრენე, სვერტე, და რენჰადეთი შექმნილ კვარტალს, საბაჟოს და სასახლის კუნძულს მივუმატებთ, მთელი მისი სამყარო ამით ამოიწურებოდა. როცა ანტონიასტრედეზე უკანასკნელ დამგველამდე მიაღწევდა, ან სილკეჰადეზე მოხუცებული ფრეკენ იორდანის ბიბლიოთეკაში მივიდოდა, საიდანაც ცოლისთვის წიგნები გამოჰქონდა, ბოცმანი უკან ბრუნდებოდა.

ამ გასეირნებას რამდენიმე საათს ანდომებდა, იმიტომ, რომ ჩვეულებად ჰქონდა ყოველ კუთხეში შეჩერებულიყო და ხალხისა და ეკიპაჟებისათვის ეცქირა. თუმცა ოთხმოცი წლისა იყო და თვალებიც ეცრემლებოდა, ობერ-ბოცმანს შინამოსამსახურეთა მიმართ არაჩვეულებრივად მახვილი თვალი ჰქონდა, განსაკუთრებით არ გამოეპარებოდა ისინი, ვისაც მოკლესახელოიანი კაბა ეცვა, თუ ასეთ ვინმეს შეეფეთებოდა, გააჩერებდა, საალერსო სიტყვებს ჩაუჩურჩულებდა და დარცხვენილი ხითხითით გაეცლებოდა.

ხშირად ჩერდებოდა მაღაზიის ვიტრინის წინაც, რათა ყურადღებით დაეთვალიერებინა ყველაფერი, რაც კი იყო იქ გამოფენილი, ხოლო შემდეგ კი შეესწავლა უკლებლივ ყველა საქონლის ფასი, ტრიკოტაჟით მოვაჭრის ვიტრინაში თბილი ქვედა საცვლით დაწყებული იუველირის ბრილიანტის მორთულობით გათავებული. თანაც ობერ-ბოცმანი სრულებითაც არ აპირებდა რომელიმე ამ ნივთის შეძენას. ამის თავი და თავი მიზეზი მისი ცოლი გახლდათ, რომელიც

არასოდეს არ აძლევდა ქმარს ხელზე ფულს, რაკი კარგად უწყოდა, რა სუსტიც ბრძანდებოდა მშვენიერი სქესის მიმართ მისი ქმარი. მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო, თუ ჯიბეცარიელი შევიდოდა მაღაზიაში, ნოქრების თავაზიანობით დატკბებოდა და აიძულებდა მათ, გადმოელაგებინათ ნაირ-ნაირი საქონელი, იკითხავდა ყველაზე ძვირფასი ნივთის ფასს, ბოლოს შეჰპირდებოდა, „სხვა დროს შემოვიელიო“ და შინისაკენ გაუდგებოდა გზას.

ნასადილევს ბოცმანი შინ რჩებოდი ხოლმე, სასტუმრო ოთახში, ან „დარბაზში“, როგორც ეძახდნენ ნიუბოდერელები. ეს კაიუტის მსგავსი დაბალჭერიანი ოთახი გახლდათ, მისი ჩამწკრივებული ფანჯრები ქუჩაში გამოდიოდა. უსერთუკოდ იყო, თავზე ჩაჩი ეხურა, იჯდა ფანჯარასთან და საათობით ადევნებდა თვალს, როგორ იხევდნენ ყელს ჩხავილით მინდვრიდან მოფრენილი თითქმის მოშინაურებული ყვავები მეზობელი სახლის ლავგარდანზე ან რა გააფთრებული ჭაპანწყვეტა ჰქონდათ ნარცხის კასრებთან. ეს კასრები წყნარი, უკაცრიელი შუკის გაყოლებით ნაშუადღევს კარგა ხანს იდგა ხოლმე ყველა სახლის კარის წინ. ზოგჯერ ჩაბეუტულ თვალებზე აფსკი გადაეფარებოდა, თავი ნელ-ნელა ჩამოუვარდებოდა და პირი ღია დარჩებოდა.

— ეჰე, მამილო კვლავ გაემგზავრა მუხუდოს მოსახარშად, — იტყოდა მისი ცოლი, როცა გაიგონებდა, დაძინებამდე რა უცნაურ ბგერებს გამოსცემდა ბოცმანი. ქალბატონ ოლუფსენსაც ჰქონდა თავისი ამოჩემებული ადგილი — დაბალ სკამზე ღუმელის გვერდით. ნასადილევს საქსოვს აიღებდა და მოიკალათებდა იქ, თან წინასწარ მუხლებზე კითხვისაგან გაცვეთილ რომელიმე რომანს გადაიშლიდა. რომანს ნიდაყვით ფურცლავდა, რომ ქსოვას არ მოსცდენოდა. ფანჯრებით ეზოში გამავალი მეზობელი ოთახის ღია კარებიდან დაინახავდით საკერავზე დახრილ ქერათმიან ქალიშვილს. ეს იყო ტრინე, ოლუფსენების ნაშვილები. იქვე ფანჯარაზე იდგა გალია, მის ქანდარაზე კი იადონი დახტოდა.

- ქალბატონი ოლუფსენი თითქმის ქმრის სიმაღლე იყო და, საერთოდ, ცხენოსანი გვარდიელის ტანადობა ჰქონდა, თანაც ზედა ტუჩზე ძლივს შესამჩნევად გასდევდა ულვაშის ზოლი, ამით კიდევ უფრო მიაგავდა გვარდიელს. დილაობით, როცა ყვავილებიანი ხალათი ეცვა, თავზეც პაპილოტები ეკეთა და ისე დასეირნობდა, გულახ-

დილად უნდა ითქვას, ვერ იყო მაინცდამაინც მოხდენილი. მაგრამ ნასადილევს, როცა კორსეტს შემოიჭერდა და შავი შალის კაბას ჩაიცვამდა, როცა თმაგაცვენილ თავს ფურჩალებიანი და ბაბთებიანი თავსაბურავი დაუფარავდა, რომლიდანაც საფეთქლებზე ჩამოშვებული კულულები ჩარჩოსავით ევლებოდა მის ჯერ ისევ დაუმჭკნარ ღაწვებს, მნახველი მაშინვე მიხვდებოდა, რატომ ამბობდნენ ნიუბოდერში მასზე, ერთ დროს ლამაზი ქალი იყოო.

ერთი სიტყვით, ქალბატონი ოლუფსენი და მისი მეუღლე ლამაზი წყვილი გახლდათ. თანაც ბედნიერი წყვილი. თუ თვითონ ობერბოცმანი მაინცდამაინც მკაცრად არ იცავდა მეექვსე მცნებას, სამაგიეროდ ქალბატონი ოლუფსენი ორივეს მაგიერ ერთგული იყო ამ მცნების, თუმცა ახალგაზრდობაში მაცდუნებლები საკმაოდ დასტრიალებდნენ თავს. თუ ნათქვამს დავუჯერებთ, ერთხელ, საღამო ხანს, ჰარეჰადენის კუთხეში ერთ მემკვიდრე პრინცს შეუჩერებია, პრინცი ნიუბოდერში დასეირნობდა თურმე და დაეძებდა ახალგაზრდა ქალებს, იმათ, ქმრები რომ შორეულ ცურვაში ჰყავდათ წასულები. შეუჩერებია ამ პრინცს ქალბატონი ოლუფსენი, უთქვამს თავისი ვინაობა და ორაზროვანი წინადადება მიუცია. ქალბატონ ოლუფსენს რევერანსი გაუკეთებია, თვალები დაუხრია და უსიტყვოდ გაჰყოლია ქალაქგარეთ ბნელ ხეივანში. მაგრამ აქ, როგორც კი მარტო დარჩენილა პრინცთან, მაშინვე ცალ მუხლზე გადაუკიდია ეს გალეული აღმატებულება, და მთელი ძალითა და ღონით მიუტყეპია. თუმცა ეს პირველი გაკვეთილი როდი იყო პრინცისათვის პატიოსნებაშელახული ნიუბოდერელი ქალებისაგან, მაგრამ ყველაზე სამახსოვრო გაკვეთილი კი იქნებოდა.

პატივისცემას, რომლითაც სარგებლობდა ი.ანამოქალაქეთა შორის მოხუცი წყვილი, დიდი ხნის ისტორია ჰქონდა და მათი სახლი ნიუბოდერის მრავალი პატივცემული მკვიდრისთვის დღემდე ითვლებოდა თავშეყრის სასურველ ადგილად. ყველგან ვერ შეხვდებოდით ამ ჩვენი ხიერტენსფრეუდჰადელი ორი მოხუცისთანა სტუმართმოყვარე ხალხს. გარდა ჩვეულებრივი საეკლესიო დღესასწაულებისა, ყოველი ქრისტიანი რომ ხელგაშლილად აღნიშნავს, მოხუცები იხდიდნენ მთელ რიგ ოჯახურ ზეიმებს და აღნიშნავდნენ პირადად მათთვის სამახსოვრო თარიღებს. ასე მაგალითად, ეწყობოდა კენარ პეტერის ოლუფსენების ოჯახში გამეფების წლისთავი და აღაპი

ბოცმანის ფეხის ცერისა, მრავალი წლის წინ მჭამელა რომ გაუჩნდა და მოაჭრეს; მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ზეიმი სისხლის-გამოშვების გამო. ყოველ წელს, როგორც კი ჰაერში გაზაფხულის სუნი დატრიალდებოდა, ქალბატონი ოლუფსენი სისხლს გამოიშვებდა ხოლმე და ეს საბაბი ხდებოდა ამ ოპერაციის გამკეთებელი დალაქის პატივსაცემად გამართული საუცხოო საუზმისა, სადაც შოკოლადიც მიჰქონდათ.

ამ განსაკუთრებული შემთხვევების დროს მუდამ ერთი და იგივე ხალხი — ექვსი თუ შვიდი ამ ოჯახის მეგობარი იყრიდა თავს, ისინი აი უკვე ორმოც წელზე მეტი იყო, ერთმანეთთან მიდიოდნენ ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ოჯახური მოვლენის აღსანიშნავად. ესენი იყვნენ სამსახურიდან გადამდგარი ტიულპანჰადეელი უფროსი გემის დურგალი ბენეი, გადამდგარი კვარტირმეისტერი დელფინჰადელი მერუპი, კროკოდილენჰადელები: უფროსი მეზარბაზნე იენსენი და მემოქლონე ფუსი. ყველას, რასაკვირველია, თანამეცხედრენიც ახლდნენ. დღესასწაულის პროგრამაც უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე თითქმის ერთი და იგივე იყო. როგორც კი შეიკრიბებოდნენ ოთახში, რომლის ფანჯრები ეზოში გადიოდა, ობერ-ბოცმანი გააღებდა „დარბაზის“ კარს, აქ უკვე თვალს გჭრიდათ გაშლილი სუფრა, ობერ-ბოცმანი უეჭველად იხუმრებდა, უკვე დროა „მოუკუპრავშიც გადავაგდოთ რამეო“ და სტუმრებს მაგიდასთან მიიწვევდა. მერე კი, როცა ყველანი დასხდებოდნენ და დიასახლისი მაგიდაზე აოხშივრებულ ბატს ან გოჭს დადებდა, მემოქლონე ფუსი წინასწარ სკამზე გადაიშხლართებოდა, აქაოდა განცვიფრებისაგან დავმუნჯდიო, და უეჭველად იტყოდა: „ეს ძალიან კვერცხი დადეთ, ქალბატონო ოლუფსენ“! ამაზე ქალბატონი ბებერ ყბედს უწოდებდა, რის შემდეგაც სტუმრებს სთხოვდა, ნუ გაინაზებით და ისე იგრძენით თავი, როგორც საკუთარ ოჯახშიო.

ხშირად ამ დროს გაიღებოდა კარი და ზღურბლზე გამოჩნდებოდა ხუჭუჭთმიანი ახალგაზრდა, რომლის დანახვაც საერთო სიხარულს იწვევდა. მოხუცები პატივისცემით წამოდგებოდნენ ადგილებიდან, რათა ხელი ჩამოერთმიათ მისთვის, ხოლო პატარა ტრინეს — ნაშვილევ ქალს — უმალ ფერი წაუვიდოდა, გვერდით ოთახში სკამისათვის გავიდოდა, თან სუფთა ხელსაწმენდს ამოიღებდა და შემთბარ თეფშსაც მოიტანდა სამზარეულოდან.

ეს გახლდათ ოლუფსენების მდგმური, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსმენელი სიდენიუსი, ოცდაერთი წლის ყმაწვილი. უკვე რამდენიმე წელი იყო, ოლუფსენების ორი პატარა ოთახი ეჭირა პირველ სართულზე. ამ ოთახების ფანჯრები ეზოში გადიოდა. მოხუცებს ძალიან უყვარდათ ეს ყმაწვილი და რაც უფრო სუფთავდებოდა თეფშები და იცლებოდა ბოთლები, მაგიდის გარშემო მსხდომთ უფრო და უფრო ემატებოდათ ხალისი.

მხოლოდ პატარა ტრინე ემსახურებოდა მაგიდას და ხმას არ იღებდა. ავსებდა ჭიქებს, მოჰქონდა პური, ცვლიდა თეფშებს, სანთელს ნაღვენოს აცლიდა, საიდანღაც სამარილეებს გამოძებნიდა, თუ ვინმეს ცხვირსახოცი დაუვარდებოდა, მიაწოდებდა, თუ რომელიმე ქალბატონს სული ეხუთებოდა, ან ასლოკინებდა, წყლის მოსატანად გარბოდა—ყველაფერ ამას ისე წყნარად, უხმაუროდ აკეთებდა, რომ ვერავინ გრძნობდა თუ ტრინე იქ იყო; თითქოს მათ მაგიდაზე უხილავი სული ემსახურებოდა. მართლაცდა, შეიძლებოდა სულაც ვერ შეგენიშნათ ტრინე, ისეთი ციცქნა და სუსტი იყო, თუმცა უკვე ცხრამეტი წლისა გახდა. მოხუცები მას ბავშვად თვლიდნენ, თანაც საკმაოდ განუვითარებელ ბავშვად. ცოტას მართლაც მოისულელებდა. ოლუფსენებმა აიყვანეს ღარიბი ობოლი გოგო, ვინ იყო და საიდან — არავინ იცოდა. სილამაზით არ გამოირჩეოდა და ახალგაზრდა სიდენიუსისთვისაც კი ეს ქალიშვილი მხოლოდ უხილავი საგანი იყო, რომელიც ფეხსაცმელს უწმენდდა და გასარეცხად აძლევდა მის თეთრეულს.

როცა თასით პუნშს და შაქარმოყრილ ვაშლიან ღვეზელს შემოიტანდნენ, საზოგადოება ერთხანს პატრიოტული და ხალხური სიმღერებით ერთობოდა, განსაკუთრებით გამოირჩეოდა იშვიათი დისკანტის მფლობელი ქალბატონი ფუსი — იმდენად ლამაზი ხმა არ ჰქონდა, რამდენადაც ძლიერი.

სიმღერის დროს, როცა დარწმუნდებოდა, მაგიდაზე ყველაფერი საჭირო დევს და სტუმრებს არაფერი აკლიათო, ტრინე შეუმჩნევლად გაიპარებოდა. გავიდოდა სამზარეულოში, კერაში ჩაფერფლილი ნაკვერჩხლებით ლამპას აანთებდა და გემის კიბის მსგავსი წვრილი და ციცაბო კიბით ჩავიდოდა ძირს, რათა ღამისთვის სიდენიუსის ოთახები დაელაგებინა. ბატონ სიდენიუსს ეკავა მეტისმეტად ღარიბული ავეჯით მორთული ორი პატარა, ბნელი, ნესტიანი სენაკი. მისი

ავეჯი ძირითადად მუშამბაგადაკრული პუფი იყო და გასაწევი მაგიდა, სავსე წიგნებით, ნახაზებით და ქაღალდის რულონებით, გრაფიტიანი თითების ანაბეჭდები რომ აჩნდა.

ტრინე ლამპას მაგიდაზე დადგამდა, ფანჯარას გამოაღებდა, რაფაზე დაყრდნობილი გასცქეროდა საპირფარეშოსა და ღობეს შორს მოქცეულ მთვარის რომანტიული შუქით სავსე პაწაწინა ბაღს და ტკბილ ფიქრებს ეძლეოდა. მერე შეკრთებოდა, თითქოს საკუთარი აზრებისა შეეშინდაო და უდიდესი გულმოდგინებით შეუდგებოდა თავის უმადურ სამუშაოს — ამ ქაოსის წესრიგში მოყვანას. მოხვეტავდა სკამებზე მიყრილ-მოყრილ ტანსაცმელს და საწოლ ოთახში ფარდის უკან დაჰკიდებდა, შემდეგ წიგნებს მაგიდაზე დაალაგებდა, სახაზავ მრწყობილობას კი ფრთხილად ინახავდა თითოეულს თავის ბუდეში: თუმცა მის ჭაბუკ მბრძანებელს არასოდეს მოუღია მოწყალება მიეთითებინა რაიმე, ტრინემ ზუსტად იცოდა, სად რა უნდა დაედო და სად რა ნივთს მოძებნიდა ყმაწვილი. იმ უტყუარი ინსტინქტით, რომლითაც სიყვარული აჯილდოებს მეტისმეტად ჭკუამოკლე ადამიანებსაც კი, ტრინე სხვის დაუხმარებლად მიხვდა ყველაფერს, შეისწავლა ამ ახალგაზრდა კაცის ყველა ჩვევა, გაიწაფა მისი სურვილების გამოცნობაში, არასოდეს იბნეოდა მისი წუთიერი კაპრიზების ლაბირინთში და მის განწყობილებათა გაუთვალისწინებელი ცვლის დროს თითქოს ზეშთაგონებით მუდამ ზუსტად ხვდებოდა, რა ნებავდა ყმაწვილს. ჭაბუკმა ერთხელ და სამუდამოდ განუცხადა და როცა ამას ეუბნებოდა, საჩვენებელი თითი მრისხანედ ჰქონდა მაღლა აშვერილი, — ამდაგვარი ზრუნვა შენს მთავარ ამოცანად უნდა დაისახო, ის კი არა-და, შენი ცხოვრების მიზნადაც კიო, განკითხვის დღეს ღმერთი არ გაპატიებს, თუ საკმაოდ კეთილსინდისიერი არ იქნებიო.

ამიტომაც ტრინეს მთელი გულით სწამდა, რომ ამ ჭაბუკის ოთახების დასუფთავებით, მისი ნივთების დალაგებით ღვთის სამადლო საქმეს აკეთებდა. განსაკუთრებული მოკრძალებით დიასახლისობდა ბატონ სიდენიუსის პატარა საწოლ ოთახში — ასწორებდა ლოგინს, საშინაო ტუფლებს საწოლის წინ პატარა ხალიჩაზე ალაგებდა, ისე, რომ ჭვინტები ამ ტუფლებს ოთახის შუაგულისაკენ ჰქონოდა მიშვერილი, ასანთს შანდალზე საწოლის მხარეს დებდა. როცა ბოლოს ბალიშს აიღებდა ხელში, რათა კარგად დაებერტყა, წამით გულზე მიიკრავდა და ნეტარებით ხუჭავდა თვალებს.

ამ დროს მოხუცები „დერბაზში“ რაც შეეძლოთ მხიარულობდნენ. მემოქლონე ფუსი გადმოიღებდა თავის გიტარას და, ცოლის შეგონების მიუხედავად, ასრულებდა პოპულარულ კუპლეტებს: „რკალივით მოღუნული მოხუცი ქალი მარტო მიდიოდა“, კაცები სიცილით იჭაჭებოდნენ. იცინოდა ახალგაზრდა სიდენიუსიც, ხოლო ოთხმოცდაოთხი წლის ხურო ბენცს ყელი ლუდის ბოთლივით უთუხთუხებდა. მაშინ ქალები შეურაცხოფილ სახეს მიიღებდნენ, ადგებოდნენ და მეზობელ ოთახში გავიდოდნენ, სადაც მათთვის გაწყობილი იყო ყავა აუცილებელი დამატებებით — კამფეტებით და მოცხარის ნაყენით.

მხიარულება მხოლოდ გათენებისას წყდებოდა და დაწყვილებული მეუღლენი შინისაკენ ისე გულარხეინები და დაშოშმინებულები გასწევდნენ, ერთმანეთს ქუჩაში კოცნიდნენ, ხელებს უტყაპუნებდნენ და ეხვეოდნენ კიდეც.

* * *

აი ამ ხალისიან ბებრებთან, რომელთაც ღრმა მოხუცებულობამდე შემორჩენოდათ უნარი უშფოთველად შეესვათ სიტკბოების ფიალა, ჰპოვა პეტერ-ანდრეასმა თავისი პირველი თავშესაფარი, პირველი დროებითი ბინა ბედნიერების ქვეყნისაკენ, მისი ოცნებების აღთქმულ ქვეყნისაკენ მიმავალ გზაზე. აქ ყველაზე უფრო მისი ხასიათის ის მხარეები მოსწონდათ, რომელთა გამოც შინ შეუბრალებლად ლანძღავდნენ და რომელშიაც ეშმაკის ხელს ხედავდნენ. განსაკუთრებით თავისი კოპენჰაგენური ცხოვრების პირველ წლებში, მარტოობის წლებში, ღრმა მადლობას სწირავდა ბედს იმისათვის, რომ ქვეყნად ეს სახლი და ნიუბოდერი არსებობდა, მხიარული, იდილიური ნიუბოდერი, პროვინციის კუთხე დიდ ქალაქში. მოგვიანებით, როცა მისი ნაცნობობის წრე გაფართოვდა, ისე დიდად აღარ მეგობრობდა მოხუცებთან, მაგრამ მთლად არ გაუწყვეტია ურთიერთობა, მათაც კვლავ ძველებურად უყვარდათ პეტერი და მასზე ნათესავივით ზრუნავდნენ. მოხუცები მალე მიხვდნენ, რომ ყმაწვილი ღარიბი იყო, თუმცა პეტერი მთელი მონდომებით ცდილობდა დაემალა ეს. ალბათ, ბევრჯერ მშიერი მუცლითაც დაწვებოდა, თუ ასეთ დროს ქალბატონი ოლუფსენი დიდად თავაზიანად არ დაპატიჟებდა, ერთი ამ ახალი ხარისხის ყველის „გემო გასინჯეო“, ან მითხარი, „ნამდვილად მოგწონს თუ არა ეს ახლადშებოლილი ლორიო“.

მაგრამ მოხუცებმა მთლად კარგად არ იცოდნენ მისი მდგომარეობა. თუმცა ზოგჯერ ენამახვილობდა და ყბედობდა კიდეც, თავის თავზე და თავის გეგმებზე ლაპარაკი არ უყვარდა, მხოლოდ ხუმრობით თუ იტყოდა რამეს, თუ კითხავდნენ, უპასუხებდა, „ვსწავლობ, რომ მინისტრი გამოვიდეო“. ასევე დაჟინებით კრინტს არ ძრავდა მშობლიურ სახლზე და არ ამხელდა, რა ურთიერთობა ჰქონდა მშობლიურ ოჯახთან, თუმცა ქალბატონი ოლუფსენის გამოკითხვებით გული ჰქონდა გაწყალებული. პეტერმა წესად გაიხადა, საკუთარი წარსული განეხილა, როგორც კარგა ხნის მივიწყებული, უკვე მკვდარი რამ და ამაზე წუთითაც აღარ უნდა ეფიქრა. ის მიისწრაფოდა თავისი სულიერი სამყაროს სისაძაგლისაგან განეწმინდა, თავის სულიდან ყველა მწარე და დამამცირებელი მოგონება აღმოეფხვრა, რათა მარმარილოს დაფასავით სუფთა ჰქონოდა მანამდე, ვიდრე ბედი კეთილ ინებებდა, მასზე რქროს ასოებით წაეწერა გამარჯვება და ბედნიერება. ამიტომ არც მაგიდაზე ედო, არც ოთახის კედლებზე ეკიდა ერთი პორტრეტიც კი, რომელიც მოაგონებდა მას ან სხვას მოუთხრობდა რაიმეს მის მშობლიურ სახლზე. ეს სახლი პეტერმა მიატოვა და მანამდე არ სურდა მისი ნახვა, სანამ არ მოიპოვებდა უფლებას, პასუხი მოეთხოვა იქ ან სამართალი გადაეწყვიტა. უეცრად რომ მომკვდარიყო და მთლად გადაექექათ მისი ნივთები, ვერავინ იპოვიდა მათში ვერც ძველ წერილს, ერთ შენიშვნასაც კი, ვერაფერს, რასაც შეეძლო ეთქვა ვინ იყო და სადაური. სახელიც კი შეიცვალა, რამდენადაც შეეძლო, რათა აღმოეფხვრა ყოველგვარი ხსოვნა წარსულისა. როცა ხელს მოაწერდა, პეტერ-ანდრეასს კი არ აწერდა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პერს და ძალიან წუხდა, რომ არ შეეძლო ასევე ადვილად ეშოვა თავისთვის სხვა, უფრო შესაფერისი გვარი.

სახლთან კავშირი თანდათან თითქმის გაწყვიტა, მხოლოდ მოკლე წერილებს აგზავნიდა სამ თვეში ერთხელ და შინაურებს ატყობინებდა, მივიღე გამოგზავნილი თანხაო, ამ თანხას პერი აქამდე ღებულობდა მშობლებისაგან ისე, რომ არ გრძნობდა სინდისის ქენჯნას. ეს ფული, სულ ერთია, ძლივს ყოფნიდა საცხოვრებლად — ისეთ დიდ ხარჯს მოითხოვდა ლექციების მოსმენა, წიგნებისა და სახაზავი მოწყობილობების შეძენა, — ერთი სიტყვით, მეცადინეობისათვის აუცილებლად საჭირო ნივთების ყიდვა. როგორმე რომ ეარსება,

თვრამეტი წლისამ არითმეტიკის სწავლება დაიწყო ვაჟების სკოლაში, თან სამუშაო ნახაზების ასლებსაც იღებდა ერთი ხელოსნისათვის. ძველ ამხანაგთან, რომელთაგან ბევრი უკვე კოპენჰანგენში ცხოვრობდა და უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, პერი არ ანახლებდა კავშირს და თითქმის არ ხვდებოდა მათ. პერმა რამდენჯერმე მისცა თავს უფლება დაეცინა ამხანაგებისათვის, როცა ისინი სტუდენტებად აღიარეს და თავიანთი საუკეთესო გრძნობაშელახული შეურაცხყოფილი ამხანაგები თანდათანობით ჩამოსცილდნენ, თან ისეთივე (ოდნავ თიალიბაზური) შიში ჰქონდათ პერისა, როგორც მის ძმებს.

პერი ამას გულგრილად შეხვდა, თუმცა მისი გულგრილობა, ცოტა არ იყოს, ნაძალადევი იყო. დროდადრო მეტისმეტად სევდიანი განწყობილება ეუფლებოდა ხოლმე. მარტო სიღარიბე და, უწინარეს ყოვლისა, დაწყებით სკოლაში მუშაობა კი არ სტანჯავდა, ამაზე არასოდეს არავისთან დაუძრავს კრინტი, არა, გაცილებით უფრო უარესი რამ სჭირდა: გულგატეხილობა შეეპარა საკუთარ საქმიანობისადმი, — უკეთ პერსპექტივებისადმი, რომლებიც მას გადაეშალა. როცა ხუთი წლის წინ პირველად მიუახლოვდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობას, მოკრძალებულმა თრთოლამ აიტანა. პეტერს წარმოდგენილი ჰქონდა ის ტაძრად, აზრის დიდებულ სახელოსნოდ, სადაც ქექა-ქუხილში იჭედება კაცობრიობის მომავალი ბედნიერება და კეთილდღეობა. სინამდვილეში კი ეპისკოპოსის ძველი სახლის უკან შეუმჩნეველი უშნო შენობა დაინახა, ამ შენობის შიგნით თამბაქოსა და ქონის სუნით გაჟღენთილი ბნელი ოთახების ლაბირინთი იყო მოთავსებული და ვიწრო, ქაღალდგადაფარებულ მაგიდებს გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა რამდენიმე ახალგაზრდა, დანარჩენები მიმსხდარიყვნენ კუთხეებში, გრძელი ჩიბუხები გაერჭოთ პირში და ლექციების ჩანაწერებს კითხულობდნენ ან მალულად თავდავიწყებით თამაშობდნენ ბანქოს. თავისი მომავალი დამრიგებლები პეტერს წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სამღვთო წერილების მგზნებარე მქადაგებლები, ხოლო აუდიტორიებში შეხვდა მოხუც, გამოფიტულ ლექტორებს, ისინი ოდნავ თუ განსხვავდებოდნენ მისი სკოლის მასწავლებლებისაგან. ერთ მათგანს, ნამდვილ მუმიას, წამდაუწუმ უწყდებოდა ხმა და იძულებული იყო ყელის ჩასაწმენდად წამალი მოეყლურწა, თავის მოსწავლეებს ჰანს-ქრისტიან ერსტედისდროინდელ თეორიას ასწავლიდა. მეორე, პრო-

ფესორი სანდრუპი, სპეციალურ საინჟინრო დისციპლინებში კითხულობდა ლექციებს, თეთრ ჰალსტუხს ატარებდა და ღვთისმეტყველების კანდიდატს, უფრო კი პასტორს ჰგავდა. განთქმული იყო, როგორც დიდად ერუდირებული თეორიტიკოსი, მაგრამ არაჩვეულებრივი პედანტი იყო და თავისი პედაგოგიური გულმოდგინეობით აღფრთოვანებულმა შეადგინა ვრცელი, მეცნიერულად დაფორმულებული აღწერანი ისეთი უმარტივესი იარაღებისაც კი, როგორიცაა ცული და ურიკა. თან სტუდენტებისაგან მოითხოვდა, გამოცდებზე მათაც სიტყვა-სიტყვით ჩაერაკრაკებინათ ეს დაფორმულებანი.

პერი ყოველ ნაბიჯზე თავისი თვალით ხედავდა და რწმუნდებოდა, რომ საქმიანი ინჟინერი ის ამაყი, თავისუფალი და ზღაპრული გმირი კი არ არის, რომელიც მან თავისთვის გამოიგონა, არამედ ჩვეულებრივი ჩინოვნიკი, კეთილსინდისიერი დამთვლელი მანქანაა, სახაზავ დაფაზე გაკრული მოარული ცხრილი. მის ამხანაგთა უმრავლესობა — სწორედ ისინი, ვისაც მასწავლებლებიც და სხვა სტუდენტებიც ყველაზე უფრო ნიჭიერებად თვლიდნენ — სხვა არაფერზე ოცნებობდნენ, ერთი უბრალო სახელმწიფოებრივი თანამდებობის მიღება უნდოდათ, ამით საშუალება მიეცემოდათ დროთა განმავლობაში ოჯახის ბედნიერი მამები გამხდარიყვნენ და ეცხოვრათ პატარა-ბაღიან საკუთარ კოხტა სახლში, რათა ორმოცი წლის უმწიკვლო სამსახურის შემდეგ დაესვენათ, მცირე პენსია და რომელიმე უმნიშვნელო ორდენი ან იუსტიციის მრჩეველის ტიტული მიეღოთ.

მაგრამ ასეთი პერსპექტივები პერს არა ხიბლავდა. ფიქრობდა, უფერული ცხოვრებისა და მეშჩანური კეთილდღეობისთვის არა ვარ შექმნილიო. თავის ძარღვებში მეფური სისხლის ჩქროლვას გრძნობდა და თავისუფალთა და მონობიდან განთავისუფლებულთა ნადიმზე კუთვნილ საპატიო ადგილს მოითხოვდა.

ტყულიად კი არ შეირჩია თავიდანვე საშუალებები, რომელნიც სასურველი დამოუკიდებლობის მიღწევაში უნდა დახმარებოდნენ. ბეჯითად ესწრებოდა ლექციებს, ასრულებდა ყველა დავალებას, არ უკადრისობდა დამამცირებელ წვრილ შემოსავალს, რითაც ლუკმაპურს შოულობდა, თანაც მალულად მუშაობდა ფიორდის დონის რეგულირების და ჰიდრონაგებობათა სისტემის დიდ პროექტზე, რომლის იდეაც თითქმის კოპენჰანგენში ჩამოსვლისთანავე დაებადა. ის კი არა და, მართალი რომ ვთქვათ, გაცილებით ადრე, დიდი ხნის წინ,

ყრმობის დროს, როცა მთელი ქალაქი ლაპარაკობდა, გაღარიბებული ნაოსნობის აღორძინებაა საჭირო ფიორდის გაწმენდის, მისი სანაპირო ხაზის გასწორების და მთელი პორტის გადაკეთების გზითო — მაშინ ჩაესახა ეს იდეა. პასტორ სიდენიუსს ყურადღება არ. მიუქცევია ამ წამოწყებისათვის და ქალაქის მცხოვრებთ კიცხავდა, ნეტავ რას იტკივებენ თავსო. მაგრამ მაშინ ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა. სწორედ იმ დღეებში გაივლო გუნებაში პერმა გამხდარიყო ადამიანი, რომელიც გრანდიოზულ გეგმას განახორციელებდა და იმის წყალობით მშობლიური ქალაქის გაღატაკებულ პორტს ახალი წყლები, მსოფლიო ვაჭრობის ოქროს ნიაღვარი მოასკდებოდა.

ამ დროიდან პერს, რომელიც ხედავდა ქალაქის დაკნინებას, არ შორდებოდა ოცნება გამხდარიყო მისი გამაბედნიერებელი. მარცხიანი საშობაო ვიზიტის შემდეგ ეს ოცნება მთლად დაეუფლა მის გონებას. როცა მარტო რჩებოდა, ეს ოცნებაც თან ახლდა და ისე აეკვიატა, ამ აკვიატებული აზრით შეპყრობილი, ვით ჭეშმარიტი მორწმუნე, მის განხორციელებაში ხედავდა თავის უახლეს მიზანს და მთელი თავისი ცხოვრების დანიშნულებას.

სამი წლის განმავლობაში — მას შემდეგ, რაც გენერალური შტაბის რუკაზე აღნიშნული ადგილის რელიეფის მიხედვით არხის პროფილის შედგენა ისწავლა — პერი თავის პროექტზე მუშაობდა. გამუდმებით იტეხდა ძილს, რათა გაეანგარიშებინა საჭირო ფართობი ან დინების სიჩქარე, გამოეხაზა ფიჩხკონის ნაგებობანი ან ყრილები, ხიდწინა სიმაგრენი და ნავსაბელები. წლიდან წლამდე თავის გეგმას უფრო და უფრო აფართოებდა, შეჰქონდა მასში ხან ერთი, ხან მეორე სიახლე, გიგანტურ გაქანებას აძლევდა მას. პერმა იშოვა ამ საკითხზე დაწერილი პოპულარული გერმანული შრომები და მათი ზეგავლენით წამოაყენა იდეა, რომ ჰოლანდიური ნიმუშის მიხედვით, გაღრმავებული ფიორდი ქალაქის მეორე მხარეზე, არხის ან არხების მთელი სისტემის სახით გაეგრძელებინათ. საბოლოო დიდ მიზნად პერი ისახავდა მოეწყო წყლის არტერიათა რთული ქსელი, რომელიც დააკავშირებდა შუა იუტლანდიის ყველა მსხვილ მდინარეს, ტბას და ფიორდს და ამით დამუშავებულ ველს, აყვავებულ ქალაქ-ახალშენებს ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებთან შეაერთებდა.

მაგრამ მუდამ, როცა კი აზრებით ცას ეწეოდა, წამსვე გულგატეხილობა შეიპყრობდა. ბანჯგვლიანი ჯუჯები შემოესეოდნენ მაგი-

დის გარშემო და სიცილ-ხარხარს აყრიდნენ მის კადნიერ ოცნებებს. „ჭკუაზე შეიშალე! — უყვიროდნენ ისინი, — ვიდრე არ გაჭაღარავ-დები და არ დაბერდები, ტყუილად ნუ გექნება იმედი, რომ ნებართვა მიიღო შენი პროექტის განხორციელებისა იმ ქვეყანაში, სადაც კად-ნიერებად ითვლება, თუ ახალგაზრდა კაცს გააჩნია სხვა რაიმე პატივ-მოყვარული მიზანი, გარდა მაგიდასთან ჯდომით კუზის შეძენისა, ქვეყანაში, სადაც თუკი ინჟინერს სურს შეინარჩუნოს თანამოქალა-ქეთა პატივისცემა და უფროსების ნდობა, და ბედი გაუღიმებს, შე-უძლია გაბედულად იოცნებოს იმაზე, რომ მეფემ გზის ზედამხედვე-ლად დანიშნოს. ნუთუ დაგავიწყდა, რა გითხრა ღვთის კაცმა, ღირს-პატივცემულმა პროფესორმა სანდრუპმა, რა ჭეშმარიტად მამობრივი მზრუნველობით გსაყვედურობდა, როცა მოისურვე გამოცდაზე გა-დმოგეფრქვია გერმანულ ჟურნალებში ამოკითხული ახალი ამბები (აქვე უნდა დავძინოთ, ისინი რეკომენდებული ლიტერატურის სია-ში არ შედიოდნენ): „ახალგაზრდავ, ეცადეთ დასძლიოთ თქვენი უშართებულო მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი“. ხომ გითხრა? გითხრა. რა ჭკუისსასწავლი, როგორი ბრძნული და მრავლისაღმთქმელი სიტყვებია!“

თუმცა პერი მაინცდამაინც არ ეძლეოდა მწარე ფიქრებს. ძალზე ახალგაზრდა იყო და ძალზე ცვალებადი ბუნებისა. ცოტას გაისეი-რნებდა, ლამაზ ქალს ნახავდა, მოხუცებთან წაიქეიფებდა ან კეთილ მეგობრებთან ერთად კაფეში საღამოს გაატარებდა და კაცმა რომ თქვას, მეტი არაფერი იყო საჭირო, რომ სახიდან ღრუბელი გადაჰ-ყროდა. ქალები კი ყველაზე მეტად გამოდგებოდნენ მეხამრიდად, თუ ჭექა-ქუხილი ახლოვდებოდა. პერი ხომ ის იყო ოცდაერთისა გა-ხდა და მისი ფიქრები ლამაზი სქესისადმი ინტერესმა შეიპყრო, სხვა მხრით წარმართა მისი ფანტაზია.

* * *

ერთ საღამოს მან მეგობართან ერთად დედაქალაქის მხატვართა და ლიტერატორთა ბოჰემის მრავალრიცხოვან წარმომადგენელთა თავშეყრის საყვარელ ადგილას, შვეიცარიულ კაფეში შეიარა. მეგობარი დამსწრეთა შორის ყველაზე პოპულარულ მხატ-ვრებსა და მწერლებს უჩვენებდა. მაგრამ პერი, რომელსაც ცხოვ-რების ეს მხარე სულაც არ აინტერესებდა, თვალებდაჭყეტილი მის-

ჩერებოდა დახლთან მდგომ მაღალ, ტანად ქალიშვილს, საუცხოო მოოქროსფერო-წითური თმა თავზე რომ დაეზვინა.

— ეს წითური ლიზბეტია, — აუხსნა მეგობარმა, — ივერსენის ვენერას და პეტერსენის სუსანას მოდელი. კარგი ვინმეა, არა? თანაც რა კანი აქვს!

ამ დროიდან პერმა მოუხშირა კაფეში სიარულს, თანაც ისეთ საათებს ირჩევდა, როცა იქ ხალხი ნაკლებად იყო. დაუოკებლად იზიდავდა ეს ქალიშვილი; და როგორც კი გაირკვა, რომ ქალსაც ასევე იზიდავდა ვაჟი, ბევრი აღარ ულაპარაკიათ, უნაზესი კავშირით დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

რაც დრო გადიოდა, პერი სულ უფრო მეტად ამაყობდა თავისი გარეგნობით. ძლიერი კუნთებიანი სხეული ჰქონდა, მკაცრი შუბლი, მუქი ხვეული თმა, გადაბმული წარბები და დიდრონი ლურჯი თვალები. ამობურცულ ტუჩებს ზემოთ ულვაში აბიბინებოდა. ქალბატონი ოლუფსენის დედობრივი მზრუნველობის წყალობით წინანდებურად ჩასუქებული იყო და ლოყებიც კვლავ წითლად უღაჟღაჟებდა. ხალხში ყოფნისას ხშირად ისე იღიმებოდა, თვითონ ვერც კი გრძნობდა და ამ მუდმივ, ცოტა არ იყოს უაზრო ღიმილს შეცდომაში შეჰყავდა ისინი, ვინც მას არ იცნობდა, აფიქრებინებდა, თითქოს მის წინ იყო არსება, რომელიც ბავშვური ასაკიდან ჯერ არ გამოსულიყო და სრულიად კმაყოფილი იყო ცხოვრებითაც და თავისი თავითაც. პერმა მთლად ვერაფრით ვერ მოიშორა პროვინციული იერი, მაგრამ როცა კოხტად გამოეწყობოდა, თვალში მოსახვედრი ყმაწვილი იყო. ამ დროს მსუბუქად და თავდაჯერებულად გრძნობდა თავს და ღირსეულად იქცეოდა. თუმცა ფული ხშირად უჭირდა, ტანსაცმლის შესაძენად არ ენანებოდა. ქუჩაში მაინც ისე არ გავიდოდა, თუ კარგად არ ეცვა. ცოტა გამოცდილება მიეღო ცხოვრებაში და ეს საკმარისი იყო გაეგო, რომ ზოგჯერ გაქათქათებულ თეთრ ხალათს და უნაკლოდ მორგებულ სერთუკს ახალგაზრდის ბედისათვის მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე თავგამოდებული გულმოდგინე შრომის წლებს, რადგან სანამ დაცულია გარეგნული კეთილსახიერება, ჯერ კიდევ არაფერია დაკარგული. სამაგიეროდ შინ დაუდევრობის განსახიერება იყო, და კიდეც მოსწონდა, რაღაც ძველმანები რომ ეცვა.

პერი კაფეს მუდმივი სტუმარი გახდა და მეტ დროსა და ფულს ხარჯავდა, ვიდრე ამის თავი ჰქონდა; ამ კაფეს „ქვაბი“ ერქვა და

ოპოზიციურად განწყობილი არისტოკრატული დამქაშების, „დამოუკიდებელთა“ თავშესაფერი იყო. იქაურ წრეს შეადგენდა მუზის ახალგაზრდა, ზოგჯერ კი არც მთლად ახალგაზრდა მსახურნი, უეჭველად ნიჭიერი, მაგრამ ახირებული ხალხი, ერთნი ჯერ ხეირიანად არც კი გაზრდილიყვნენ, მეორენი — ადრე დაბერებულიყვნენ.

საღამოობით იქ იჯდა ბრგე ვიკინგი, ხუჭუჭა თმა-წვერიანი მარინისტი ფრიტიოფ იენსენი და დაუსრულებელი კამათის საბაბი იყო ხოლმე. ჭეშმარიტად გენიალურ მხატვარს ფანტაზიის დაუოკებელი აღმაფრენა გააჩნდა, მომხიბლავი ხუმარა და სასიამოვნო თანამეინახე ფიცხი გახლდათ და ჩამოუყალიბებელი მოზარდივით მერყევი. ასევე იჯდა ყოველ დილით აქ მარტოდმარტო, დაღვრემილი, ავადმყოფი პოეტი ენევოლდსენი; ხან მონოკლს წმენდდა, ხან ფრჩხილებს იპრიალებდა, ხან შესანიშნავი სიგარით ტკბებოდა და წლიდან წლამდე ამ უმნიშვნელო საქმიანობის დროს ქმნიდა თავის ბრწყინვალე ლექსებს, პატარა შედევრებს, რომელთაც დანიის პოეზიაში ახალი ნაკადი შეიტანეს. აქ იჯდა ხოლმე ნატურალიზმის მიმდევარი ახალგაზრდა პორტრეტისტი, ვინმე იორგენ ხალაგერი, რომელსაც ბულდოგისებური ყბები ჰქონდა. მეამბოხე, ანარქისტი კაცი იყო, საზოგადოების გარდაქმნაზე, ხელოვნებაში გადატრიალების მოხდენაზე, ყველა და ყველანაირი აკადემიის მოსპობაზე და ყველა პროფესორის ჩამოხრჩობაზე ოცნებობდა, მაგრამ ჯერჯერობით პატიოსნად შოულობდა თავის ლუკმაპურს მერეტუშეს უბრალო სარბიელზე. აქვე დადიოდა ბებერი მქირდავი, ჟურნალისტი და კომედიოგრაფი რეებული — პატარა, დაბრეცილფეხებიანი ქონდრისკაცი, რომელსაც დიდი პარიკი ედო, ცალი თვალი უბრწყინავდა, მეორე ჩაშრეტოდა და მოძველებული პერანგის გულისპირზე ჭაღარა, შეყვითლებული, თხასავით კიკინა წვერი ჩამოშვებოდა — ერთი სიტყვით, ქალაქის კარიკატურისტების მუდმივი დაცინვის საგანი იყო ყველა სატირულ ფურცელზე. პირის კუთხეში დაღეჭილი სიგარა ჰქონდა გარჭობილი, ცალი, ან ორივე ხელი წელზე შემოედო და უმეტესად მთვრალი დადიოდა მაგიდებს შორის; ხან ერთ კომპანიას მიუჯდებოდა, ხან მეორეს, ზოგჯერ არც კი იცნობდა ამ ხალხს, ჩაერეოდა საუბარში და როშავდა ყოველნაირ სისულელეს. ისიც ელოლიავებოდა მსოფლიოს გარდაქმნის იდეას, მხოლოდ ანტიკურად სურდა მისი გარდაქმნა. იდეალად სოკრატე ჰყავდა, საბოლოო

მიზნად წმიდა აუმღვრეველი შემეცნება ჰქონდა. როცა ზედმეტს გადაჰკრავდა, გულში მუშტს იცემდა და თავის თავს „უკანასკნელ ელინს“ უწოდებდა.

თუმცა პერი ყველა ამათზე ბევრად ახალგაზრდა იყო და არც თავის მხრივ ცდილა დაახლოებოდა ამ ხალხს, მაგრამ უმაღლესი პატივი ხვდა — მიღებულ იქნა მათ წრეში. ეს წყალობა თავისი „წარმტაცი ღაჟღაჟა ლოყების ხათრით“ მიიღო, როგორც ერთხელ ფრიტიოფ იენსენმა თქვა, მაგრამ უფრო მეტად პატივს პერი ხსენებული წრის წევრთა თვალისჩინთან, ლიზბეტთან კავშირის წყალობით ეღირსა, ლიზბეტის საუცხოო აბრეშუმისებრ თმასა და ნაზ კანს ამ წრის ბევრი წევრი უმაღლოდა თავისი დიდების ნახევარს. ამიტომაც იყო, რომ გულითადად ღებულობდნენ თითოეულ მის მორიგ თაყვანისმცემელს, მაშინაც კი, თუ ეს უკანასკნელი მხატვართა დიდებულ მოდგმას არ ეკუთვნოდა.

პერი თავს წინანდებურად უცხოდ გრძნობდა ამ ადამიანთა შორის და მხოლოდ მოკრძალება არ იყო მიზეზი, რომ მათ საუბრებში არ ერეოდა. ცუდად ერკვეოდა მხატვრობაშიც, პოეზიაშიც. მისი ფანტაზია საკმარის საზრდოს პოულობდა ტექნიკურ საქმიანობაში და გონება იმდენად მოეცვა გრანდიოზულ პროექტს, ხელოვნებას ვეღარ წვდებოდა.

მაგრამ უსამართლობა იქნებოდა, პერისათვის გულგრილი მაყურებელი გვეწოდებინა. გუნებაში ბევრს დასცინოდა ამ თავშესაქცევ კაცუნებს, რომლებსაც შეეძლოთ გაშმაგებულიყვნენ საღებავების უბრალო შეხამების გამო, ანდა კედელზე აცოცებულიყვნენ გარითმული ოთხი სტრიქონისათვის, თითქოს ასეთი უმნიშვნელო რამის სწორ გაგებაზე იყო დამოკიდებული კაცობრიობის კეთილდღეობა. მსგავსი სცენები პერს ისეთ სიამოვნებას ჰგვრიდა, თითქოს სასაცილო კომედიას უცქეროდა, ხოლო ყველაზე უფრო მაშინ მხიარულობდა, როცა ხედავდა, რომ ლიზბეტსაც გადაედო საერთო სიშმაგე, რომ ქალი ამაყობს, აქაოდა ჩემს სხეულს დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნებისათვისო და მხლოდ იმაზე ოცნებობს, მთელი ჩემი სიცოცხლე აღქმულ იქნეს, როგორც თავდადებული მოღვაწეობა სილამაზის სადიდებლადო.

ერთი ამ ადამიანთაგანი პერს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა; არც ის ეკუთვნოდა ამ წრეს და თანაც მოწყალე თვალით

არავინ უყურებდა აქ. ეს იყო ახალგაზრდა ებრაელი, ვინმე ივენ სალომონი, ქალაქის ერთ-ერთი მდიდარი კაცის შვილი. ეს ტანმორჩილი, თაფლისფერთვალება, ცქვიტი კაცი ერთთავად იღიმებოდა, თრითინას ჰგავდა, მუდამ მზად იყო, სამსახური გაეწია ვინმესთვის და მარტო იმითაც იყო ბედნიერი, რომ შესაძლებლობა ჰქონდა სახელგანთქმული მხატვრების გვერდით მჯდარიყო. ამ ადამიანს ერთადერთი გულითადი პატივმოყვარული ოცნება ჰქონდა — ვინმე გენიოსი აღმოეჩინა და გამოეზარდა. მუდამ ფარულ, ან ჯერ კიდევ უცნობი ტალანტების ძებნაში იყო, რათა მათი მფარველი გამხდარიყო. ვინმეს ღრმად ჩავარდნილი თვალებით, დიდი ენერგიული შუბლით ან, თუ ბედი არ გაუღიმებდა, გაბურძგნული, შეუკრეჭავი თმით გამოარჩეედა სხვებისგან და მაშინვე არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონად ჩათვლიდა, მერე აქაური ხალხი სასეირო ამბავთა მთელ სერიას ყვებოდა იმ გულგატეხილობებზე, ამ თავისი უბედური გატაცების გამო ივენს რომ განეცადა.

ამჟამად სალომონმა ყურადღება მიაქცია პერს; ყმაწვილკაცს მისი ყურადღება მეტისმეტად აკრთობდა, ხოლო სალომონის პირფერობას საერთოდ ვერ იტანდა. ძალიან სწყინდა, როცა ბატონი სალომონი სრულიად აშკარად სიტყვას გადაუკრავდა ხოლმე. რა ჩქარა მიაღწია წარმატებას ლიზბეტთან ურთიერთობაშიო და ღიმილით ეუბნებოდა, „ნამდვილი ალადინი“ ხარ, ბედის ნებიერი, შუბლზე ღმერთმა თითით კეისარის სიტყვები: „მიველ, ვნახე, დავამარცხე“, დაგაწერაო. პერს ივენის ამ ნათქვამმა ფარული შინაგანი თროლა აღუძრა, საწყენი მხოლოდ ის იყო, რომ ეს სიტყვები პირველად პატარა, ახირებულმა ებრაელმა უთხრა.

ერთხელ პერმა „ქვაბში“ შუაღამისას შეიარა და ნამდვილ გაცხარებულ ვაკხანალიას შეესწრო. ნადიმობდა აყლაყუდა ფრიტიოფ იენსენი — „ფრიტიოფი“, როგორც შინაურულად ეძახდნენ ნაცნობები თუ უცნობები. მას ერთ ზეთით მოვაჭრესათვის კარგ ფასად მიეყიდა ოთხი ნიდაყვის სიგანე ტილო — „ქარიშხალი ჩრდილოეთის ზღვაში“ და იმიტომაც ქეიფობდა. დანარჩენი დარბაზებიდან დერეფნით გამოყოფილ ერთ ოთახში რამდენიმე მაგიდა შეაერთეს და ორ სვიაშემოვლებულ პუნშიან ფიალას ოცამდე კაცი შემოუსხდა.

საპატიო ადგილზე, კვამლის ბოლქვებში ოლიმპიელი ღმერთივით წამოჭიმულიყო თვით ფრიტიოფი. წინ ვეებერთელა თასი (მისი

საკუთარი თასი), „მორევი“ ედგა. ფრიტიოფს თვალები ისე ამღვრეოდა და ისე ბურტყუნებდა, აშკარა იყო, უკვე კარგა მაგრად გადაეკრა. ერთ დღეღამეზე მეტი ფეხზე გაატარა, დაეხეტებოდა სამიკიტნოდან სამიკიტნოში, ერთი საროსკიპოდან მეორეში გადადიოდა, რამდენიმე რესტორანი მოიარა, ტყეშიც კი შეეხეტა, ვინც გზაზე შემოხვდა, ყველა აიყოლია — თავისი მეგობრებიც და მეგობართა მეგობრებიც.

ბევრმა წარმოთქვა სიტყვა. ერთი ახალგაზრდა ფერმკრთალი კაცი, სახის ნაკვთები რომ მეფისტოფელს მიუგავდა, უცებ სკამზე შეხტა და შემზარავი ხმით წარმოთქვა ამჟამად აქ არ მყოფი დოქტორ ნათანის სადღეგრძელო. დოქტორ ნათანზე პერს ბევრის აზრი მოუსმენია, ყოველთვის აღფრთოვანებით აქებდნენ. ლიტერატურული კრიტიკოსი და ფილოსოფოსი — პოპულარიზატორი ნათანი სტუდენტების გარკვეული წრეების აღიარებული ბელადი იყო. თავისი სამშობლოს წესწყობილებით უკმაყოფილო, ბერლინში ცხოვრობდა. მეტი მის შესახებ პერმა სრულიად არაფერი იცოდა, თუმცა იმ დღეებში ისე ვერც გაზეთს გადაფურცლავდით, ვერც რომელიმე სატირულ ფურცელს, რომ არ წაწყდომოდით დოქტორ ნათანის სახელს, პრესა მას ჯიუტად „დოქტორ სატანას“ უწოდებდა. რაკი ნათანი ებრაელი იყო, პერი არასოდეს ცდილა დაწვრილებით გაეგო მისი ამბავი. არც მისთვის უცხო ეს ერი უყვარდა, არც ლიტერატორები. თანაც დოქტორი ნათანი უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს, ხოლო უნივერსიტეტი — სტუდენტობის ყველაზე მეშჩანური ნაწილის ეს ღვთისმეტყველებით წაბილწული ბუდე — პერს ქვეყნის ტანზე გაჩენილ წყლულად მიაჩნდა.

ახალგაზრდა ფერმკრთალსახიანი ორატორი სკამზე იდგა და აღფრთოვანებული იქნევდა ხელებს, ეს პოეტი პოულ ბერგერი იყო. ყველა თანამეინახემ ხმამაღლა დასცა დასტური, როცა მან დოქტორ ნათანს ჯერ თავისი „გმირი“, მერე თავის „ღვთაება“, ბოლოს კი „განმათავისუფლებელი“ უწოდა. ბოლომდე შესვა თუ არა სადღეგრძელო, დოქტორის პატივისცემის ნიშნად ჭიქა ისე დაფშვნა, მთელი ხელი წითლად შეეღება სისხლით.

პერი პირდაღებული იჯდა. ეგონა, საგიჟეთში მოვხვდიო.

მთელი ღამის განმავლობაში კომპანიას ახალი ძალები ემატებოდა. ახალმოსულნი როგორმე რომ დაესვათ, რამდენიმე მაგიდა დაუ-

მატეს, ხოლო უფრო მოხერხებულად დასაჯდომად ეს მაგიდები წინანდელებს კი არ მიადგეს, მათ გვერდით განალაგეს, ისე რომ ჯვარი გამოვიდა. ამ დროს გააფთრებული ღრიალი მოისმა და მაგიდაზე ვიღაცამ ხელი ისე დაარტყა, თითქოს მეხი გავარდაო—ეს ფრიტიოფი გახლდათ, აურზაურს ტეხდა.

— არ მსურს გალილეის წყეულ დაღს ვუჯდე! გული მერევა ამ წმინდანობისაგან! მოდით, ნალისებურად განვალაგოთ მაგიდები! მივყიდოთ თავი ეშმაკს, პატივი ვუზღოთ მის ფეხსამოსს! ეცით, მეგობრებო!

როცა თავშეყრილებმა დაუჯერეს ფრიტიოფს და სხვანაირად დასხდნენ, ფრიტიოფმა ასწია სავსე ჭიქა და წარმოთქვა:

— მოგესალმები შენ, ო ლუციფერო! წმინდანო მეამბოხე! თავისუფლებისა და სიხარულის მფარველო! ყველანაირი ჯადოქრობის ღმერთო! ნუ დაიშურებ ჩემთვის ზეთით მოვაჭრე ჩასუქებულთა გროვას და ხამანწკის ნიჟარებისა და შამპანურის ცარიელი ბოთლებისაგან საკურთხეველს აგიმართავ! ეი, მასპინძელო, გრიპომენო! მოიტანე ღვინო! სულაც შიგ ჩაგვახრჩვე! მეგობრებო, ღვინის ემბაზი მოვაწყოთ!.. ჰეი, მისმენს ვინმე თუ არა?

კაფეს პატრონი, მოკლექურთუკიანი პატარა შვეიცარიელი, კარებში გამოჩნდა. კარგა ხანია კაფეში სინათლეები ჩაექროთ. პატრონმა მხრები აიჩეჩა, შეწუხებულმა ხელები გაასავსავა და თავშეყრილ ბატონებს სთხოვა, მაპატიეთ, მეტს ვეღარ მოგემსახურებით, თანაც უკვე მესამე საათია და ჩემმა მეგობარმა პოლიციელმა გაფრთხილების ნიშნად უკვე მომიკაკუნა ფანჯარაზეო.

— რაო, „მესამე საათიაო?“... საათიო! — აყვირდა ფრიტიოფი. — ჩვენ ხომ ღმერთები ვართ, გრიპომენ! გესმის, ღმერთები! საათები კი მეჩექმეებისა და მკერავებისთვის არსებობს!

— ვაი, რომ, კაფეს მფლობელისთვისაც არის, — უპასუხა პატარა მეპატრონემ, თავი გვერდზე გადახარა და ხელები გულზე მიიდო, მიხვდა, რომ მოსწრებული სიტყვით ასიამოვნა და ღიმილით დაუმატა, დიდად მოხარული ვიქნები, თუ ბატონები ინებებენ, ხვალ მოვემსახუროო — მობრძანდით, როგორც კი გაიღვიძებთ. ჩვენ შვიდ საათზე ვაღებთ კაფეს.

— მომართვით ღვინო! — დაიღრიალა ფრიტიოფმა და მაგიდაზე ერთი ბღუჯა ოქროს ფული გადმოყარა. ფული წკრიალით გაგორდა

სხვადასხვა მხარეს. — აი, ესეც ზეთი!.. კიდევ გინდა?.. დალიეთ, მეგობრებო!.. ეს ხარახურა კი ასევე ეყაროს! ჩვენ ვიღაცა ობივატელები კი არა ვართ!

მაგრამ ასეთი ქცევა დანარჩენებს მეტისმეტად ოლიმპიური მოეჩვენათ. წამსვე გამოფხიზლდნენ და იატაკიდან ფულის აკრეფას შეუდგნენ. ფრიტიოფი არ ცხრებოდა:

— ღვინო! მოგვართვით ღვინო და გოგოები!.. ღვინო-მეთქი, ოქვენ გეუბნებიან!

საზოგადოება თანდათან შეთხელდა. მეპატრონეს მოწიწებით გაჰყავდა გვერდით თითოეული ცალკე და ეევედრებოდა, „მხოლოდ პოლიციის გამო“ დატოვეთ აქაურობაო, მერე კი ერთიმეორეს მიყოლებით უშვებდა უკანა კარიდან. მხოლოდ ფრიტიოფს არ სურდა არაფრის გაგონება და წინანდებურად ერთი აურზაური ჰქონდა.

ბოლოს სტუმრებიდან მხოლოდ პერიღა დარჩა. მანაც დააპირა წასვლა, მაგრამ ფრიტიოფმა ხელი ჩაავლო და თითქმის აცრემლებული უბრძანებდა, სთხოვდა, ეევედრებოდა, არ მიმატოვოო.

პერი დაემორჩილა. ურიგობად ჩათვალა, ადამიანი ასეთ მდგომარეობაში მიეტოვებინა. კაფეს პატრონმა მათ ყავა და კონიაკი მიუტანა და ფიცით პირობა ჩამოართვა, რომ წესიერად მოიქცეოდნენ, მერე „გრიპომენმა“ თავი გააქნ-გამოაქნია და დასაძინებლად წავიდა.

ფრიტიოფი ნიდაყვებით დაეყრდნო მაგიდას, მთვრალი თავი ხელებზე ჩამოუვარდა. უცბად ჩაჩუმდა და თვალები მინაბა.

პერი მის პირდაპირ იჯდა, ახალ სიგარას აბოლებდა. ერთად-ერთი პატრუქდაწეული გაზის ლამპა ენთო მათ თავებს ზემოთ. ოთახის შორეული კუთხეები მტვრისა და თამბაქოს ნაცრისფერ ბოლს დაეფარა. ოთახის შუაგულში ისევე უწესრიგოდ ხროვად ეყარა მაგიდები და სკამები, როგორც სტუმრებმა დატოვეს, მაგიდებზე სიგარების ფერფლი იყო, ეყარა საცობები, დამტვრეული ჭიქები. მაგრამ ირგვლივ სიჩუმე იდგა, ისეთი დაუჯერებელი სიჩუმე იყო გადავლილი ჭექა-ქუხილის შემდეგ, გეგონებოდათ, თვითეული ბგერა ოთახის ყოველ კუთხეში საპასუხო ჩურჩულს იწვევსო.

ფრიტიოფი დუმდა, პერს ეგონა, ალბათ ჩასთვლიმაო. ფრიტიოფის ჭიქას ჭიქა მიუჯახუნა და უთხრა: „გაგვიმარჯოს“.

მაგრამ ფრიტიოფს სადღეგრძელოზე არაფერი უპასუხია. უცებ ჭელანქოლიურად ალაპარაკდა სიკვდილზე: ამღვრეული, უაზრო თვალებით იყურებოდა წინ და პერს ეკითხებოდა, როცა გაიფიქრებ, „რა გველის საიქიოს“ ძრწოლას თუ განიცდიო.

პერი ბევრს ფიქრობდა აწმყოზე და მომავალზე სამკითხაოდ არ ეცალა, ამიტომ ასეთი შიშიც არ განეცადა. ჯერ იყო და ეგონა, ფრიტიოფი ხუმრობსო და გაეცინა, მაგრამ ამ დროს მხატვარმა ხელი ჩასჭიდა და ვედრებით, თანაც მბრძანებლურად უთხრა:

— ჩუმად იყავი! ნურაფრის თავდებად ნუ დადგები... თქვენ, ახალგაზრდები, გაცილებით მარჯვედ უსწორებთ თვალს სიკვდილს. აბა მაშინ ნახე, როცა საფეთქლებზე ჭაღარა გამოგერევა, მაშინ ტანში ჟრუანტელი დაგივლის იმის გაფიქრებაზე, რომ შენი სანუკვარი გვამი ოდესმე ასეული დამშეული ჭიის გემრიელი ლუკმა გახდება. საკმარისია ერთი ნამცეცა ზედმეტი ქონი გექნეს გულზე და მორჩა! — თავქვეშ ბურბუშელას ამოგიდებენ, კუბოს სახურავზე რვა ლურსმანს დააჭედებენ — და ინებეთ, სუფრა გაშლილია!.. თავდებობა არაფრისა არ შეიძლება, მე შენ გეუბნები. იქნებ იქ, ვარსკვლავებს იქით მეტი რამ პოვო კაცმა, ვიდრე ყველა ჩვენი ებრაელი წინასწარმეტყველი ერთად გვპირდება? მაგრამ მაშინ... რას ვამბობდი?.. მაშინ კი მოვა განკითხვის დღე ყველა ჩვენგანისთვის-მეთქი. ჩვენ ისე წარმოგვიდგენია, თითქოს, ერთმა ღმერთმა უწყის, როგორი ჭკვიანებ, ვავხდით. დაე ასე იყოს! მაგრამ გავხდით კი უფრო ბედნიერნი?.. შენ გაგიმარჯოს!

პერმა თვალები დაჭყიტა და განცვიფრებით ჩაათვალიერა თავისი წვეროსანი თანამოსაუბრე, სიხარულისა და სილამაზის უზენაესი ქურუმი, ვინც მისი დედ-მამის თანამოძმე და თანამოზიარე მიწისქვეშა ჯუჯა აღმოჩნდა. თურმე მისი სულის უსაიდუმლოესი ნაწილი ბინადრობს ჩრდილთა სამეფოში, თავს დასტრიალებს საფლავებს, დაფრინავს საიქიოს მბრძანებელთა შორის, ეშინია სიცოცხლისა და სინათლის სულებისა, მათი, ვისაც ერთი წუთის წინ ასე გაბედულად უხმობდა.

პირველად არ იყო, რომ პერს საშუალება ჰქონდა „დამოუკიდებელთა“ სულის წიაღში ჩაეხედა, დამტკბარიყო მოულოდნელი სანახაობით, დაენახა მათი დამალული მხარეები, მათი ჩრდილოვანი

მხარე, ძველი მეს ბოლომდე დაუძლეველი ნარჩენი, რომელიც სულმოკლეობის შეტევისას ავის მომასწავებელ თამაშს იწყებდა ახალთან.

ასე, მაგალითისათვის, „უკანასკნელი ელინი" რეებალი იშვიათად იყო ფხიზელი, მაგრამ სიფხიზლეში ძლიერ სინდისის ქენჯნას განიცდიდა. ხოლო ლიზბეტი ყოველთვის, როცა წელის ტკივილი სტანჯავდა, ან დაორსულებისა ეშინოდა, კომოდის უჯრიდან ლოცვანს ამოიღებდა ხოლმე. თანდათანობით პერმა გაიგო, რა ძალა იყო, ადამიანს რომ ასუსტებდა და დავრდომილთა გიგანტურ თავშესაფრად აქცევდა სამყაროს. ისევე, როგორც აქ ერთი თავდავიწყებას ღვინოში ეძებდა, მეორე „თავისი სულის ხმას" ბიჭური ტრაბახით და კადნიერი საქციელით ახშობდა, მესამე არტისტობდა, ვითომც არაფერი ესმოდა, ვერც ვერაფერს ხედავდა .და ლოკოკინასავით პირველივე მეხისტეხაზე თავის ნიჟარაში იმალებოდა, მეოთხე კი ხალხის მომავალ ანარქისტულ ძმობაზე უნაყოფო ოცნებას ეძლეოდა, — ასევე დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი ებრძოდა აჩრდილებს, რათა ვიდრე ახალგაზრდობა ადროვებდა, ცხოვრების მხიარულ ფერხულში ჩაბმულიყვნენ. პერმა ადამიანების მოდგმა თავისი შინაურების მიხედვით კარგად შეისწავლა.

პერი თანდათან გაიტაცა მომხიბლავმა ფიქრებმა, მე სხვებს არა ვგავარ, გამონაკლისი ვარო. ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით ჯერ კიდევ ბავშვმა შეძელი გამეწყვიტა ბორკილები, რომლებიც აქამდე ბოჭავენ ყველაზე უფრო დამოუკიდებელი აზროვნების თანამედროვე ადამიანებსაც კიო.

ივენ სალომონის სიტყვებმა, ალადინისებრ ბედნიერი ხარ და ეს ბედნიერება ღმერთმა თავისი ხელით წაგაწერა შუბლზეო, მოულოდნელად ახალი, გაცილებით უფრო ღრმა აზრი შეიძინეს. საჭიროა მხოლოდ გსურდეს, გსურდეს ისე, რომ უკან არ იყურებოდე, გსურდეს ისე, რომ სინდისის ქენჯნას არ გრძნობდე — და ყველა ცხოვრებისეული სიკეთე შენს ფერხთით განერთხმევა.

მაშასადამე, პერი მაინც მემკვიდრე პრინცია. მაშასადამე, გვირგვინი ამკობს მის შუბლს. ხომ აღმოჩნდა თუნდაც ერთი კაცი, ვინც მის შუბლზე წაიკითხა სიტყვები: „მიველ, ვნახე, დავამარცხე".

თავი III

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ პერმა თავისი ნახაზები და გამოთვლები იღლიაში ამოიდო და გაეშურა კერძო ბინაზე პროფესორ სანდრუპთან, რათა პროფესორი დაეყოლიებინა, არხისა და ფიორდის დონის რეგულირების პროექტისათვის გადაეხედა და თავისი აზრი გამოეთქვა. პროფესორმა სანდრუპმა თვალები გადმოკარკლა, უხმოდ ჩამოიცვა სათვალე თავის გრძელ ცხვირზე და უკმაყოფილოდ ჩაიფშლუკუნა. პროფესორი კარგად ფლობდა მეტად არასასიამოვნო უნარს, წლების განმავლობაში რომ უვითარდება ყველა მოხუც მასწავლებელს — ერთი თვალის გადავლებით იპოვოს ნაშრომში ჩავარდნილი ადგილები, ამიტომაც დაუყოვნებლივ აღმოაჩინა შეცდომა დინების სიჩქარის გამოთვლაში.

არ შეიძლებოდა ჯრც შეცდომის, არც მთელი გეგმისათვის მისი მნიშვნელობის უარყოფა. პერი ყურებამდე გაწითლდა, სიტყვის შებრუნება არც უფიქრია.

მერე პროფესორმა სათვალე მოიხსნა, შეაქო პერი, ეტყობა, საგანი გაინტერესებს და გულმოდგინედაც სწავლობ, რაკი ამდენი შრომა გაგიწევიაო, მხოლოდ ძვირფას დროს უნაყოფო ტვინის ჭყლეტაში მეტად ნუღარ გაფლანგავ, მთელი შენი ენერგია დაწესებულ საგამოცდო დისციპლინების ძირფესვიან და კანონზომიერ შესწავლას მოახმარეო.

შინ დაბრუნებისთანავე პერმა ერთხელ კიდევ გულმოდგინედ გადაათვალიერა თავისი გამოთვლები. მაგრამ რამდენიც არ უნდა ეთვალიერებინა, შეცდომა შეცდომად რჩებოდა. რაც მთავარია, დინების სიჩქარის გაანგარიშების დასაწყისში გაჰპარვოდა და თუ მას გაასწორებდა, როგორც ეს სწორად განმარტა პროფესორმა, აღმოჩნდებოდა, რომ დაპროექტებული საშუალო დონე ყველაზე უფრო დაბალ ადგილას ზღვის დონეზე ბევრად დაბლა გამოვიდოდა, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, პროექტი მცდარ საფუძველს ეყრდნობოდა და განუხორციელებელი იყო.

პერი ხელახლა გაწითლდა სირცხვილისაგან... ამაყი ოცნებანი მეფის ტახტის შესახებ განაცარმტვერდნენ. საათზე მეტ ხანს უძრავად იჯდა მაგიდასთან სახეზე ხელებაფარებული.

მერე უცებ გასწორდა წელში, ნახაზები, გამოთვლები და ხარჯთაღრიცხვები როგორც მოახერხა, ისე ჩატენა კომოდის უჯრაში,

სიგარა გააბოლა, ქალაქისაკენ გაემართა და მთელი საღამო საბილიარდოში გაატარა, ხმამაღლა ლაპარაკობდა, უსერთუკოდ დადიოდა, ეთამაშებოდა ყველას, ვინც მოისურვებდა. ამ დღეს ფრიად თავდაჯერებულად თამაშობდა და პარტიას პარტიაზე იგებდა. მის დანახვაზე არავინ იფიქრებდა, რომ სწორედ დღეს განიცადა ასეთი დამამცირებელი მარცხი.

საბილიარდოში ერთმა ნაცნობმა შემოიარა და პერს მხატვრებისა და სტუდენტების კარნავალზე ზედმეტი ბილეთი აჰკიდა. ბილეთი ნახევარფასად იყიდებოდა და პერმაც უყოყმანოდ შეიძინა.

ერთი დღის შემდეგ, საღამოთი, პერი ფრუ პლადსის წყნარ და ბნელ კუთხეში იდგა, პალტოს საყელო აეწია და მოთმინებით ელოდა ვიღაცას. თოვდა. მოედანზე არავინ იყო. ეკლესიის გარშემო ხელუხლებელი თოვლის ხალიჩა ეგო. შესასვლელის წინ მოსეს და დავითის ძეგლებზე თეთრი გაფუებული პარიკები აზრდილიყო. ამ თავსამკაულებსა და შავ მანტიებში ეს ძეგლები ხოლბერგის კომედიის ადვოკატებს ჰგავდნენ.

პერი ერთ ახალგაზრდა ქალს ელოდა, იგი წინადღით კარნავალზე გაიცნო და შუაღამემდე ეცეკვა. მაინცდამაინც დიდი იმედი არ ჰქონდა, რომ მოვიდოდა. ეს გათხოვილ ქალთან მისი პირველი გამიჯნურება იყო, თანაც ქალი არ დაპირებია მტკიცედ რაიმეს. როცა პერმა კადნიერად სთხოვა, პაემანზე მოდიო, შეეცადა ხუმრობად მიეღო ნათქვამი.

საათმა კოშკზე დიდი ხანია ცხრა დარეკა, პერი უკვე შინ წასვლას აპირებდა, რომ უცებ უკანიდან ვიღაცის ფეხის ხმა მოესმა.

შიკრიკი აღმოჩნდა. პერს სახელი ჰკითხა და წერილი გაუწოდა.

პერი უახლოეს ფარანთან მიიჭრა, ხარბად დაბერა ნესტოები, რათა იების სუნი ეყნოსა და წაიკითხა:

„რა თქმა უნდა, არ მოვალ. სამაგიეროდ შევეცდები უახლოესი კვირისათვის ფაბრიკანტ ფენსმარკთან მივაწვევინო თქვენი თავი. ნგონი მათ მოცეკვავე კავალრები აკლიათ“. წერილი ხელმოუწერელი იყო, მაგრამ, როგორც წესია, პოსტსკრიპტუმი ჰქონდა მიწერილი: „საერთოდ კი ძალიან გაჯავრებული ვარ თქვენზე. ვიმედოვნებ, შეიგნეთ თქვენი შეცდომა“.

პერმა წერილი ჯიბეში შეინახა და თვითკმაყოფილებით გაიღიმა. ლიზბეტი გაახსენდა. ახლა შეეძლო ლიზბეტი გაეშვა, ოთხივ კუთხივ

გზა ხსნილი ჰქონდა ლიზბეტს. რაც მართალია, მართალია, პერს დიდი ხანია შეზიზღდა ეს ყველასთვის მისაწვდომი როსკიპები, მათი უხეში სიტყვები და სიხარბე, რწყილები და ჭუჭყიანი სენაკები, უფრო თვალწარმტაცი, უფრო მაღალი სიყვარული ელოდა წინ. მისმა ფანტაზიამ დაუყოვნებლივ მოხაზა მიმზიდველი სურათები გალანტური თავგადასავლებისა. სახიფათო შეხვედრები, კარეტით ფარული გამგზავრებები, მაგიდის ქვეშ მალულად ხელისჩამორთმევები, კოცნები მოფარებულ მარაოს ქვეშ, სიყვარულის ვნებიანი ახსნა.

პერი სკოუბოჰადედან გამოვიდა და ის იყო ვიმელსკაფტზე უნდა გაეხვია, რომ უცებ მაცდუნებელი სურათების ჯაჭვი გაუწყდა და მაგრად შეიგინა. ქუჩის იმავე მხარეზე პირდაპირ მის შესახვედრად სიასამურისქურთუკიანი დაბალი ტანის ბატონი მოემართებოდა. ამ კაცს უზარმაზარი ქოლგა ეჭირა. თუმცა ქოლგა უფარავდა ტანის ზედა ნაწილს, პერმა მაშინვე იცნო აჩქარებული ცუხცუხა ნაბიჯებით. ივენ სალომონი იყო.

შეხვედრისათვის რომ თავი აერიდებინა, პერმა გადააბიჯა რუზე და უნდოდა გადაერბინა ქუჩის მეორე მხარეზე, მაგრამ უკვე გვიან იყო, მხიარულმა შეძახილმა: „ბატონო სიდენიუს! ჰეი, ბატონო სიდენიუს, ეს თქვენა ხართ?“ — ადგილზე მიაკრა.

— რადგან „ქვაბისკენ“ გაგიწევიათ, — თქვა სალომონმა, — გირჩევთ უკან დაბრუნდეთ. დღეს იქ შეიძლება სული გაძვრეს კაცს მოწყენილობისაგან. არც არავინ არის, ენეევოლდსენის გარდა, მაგრამ ჩვენი ძვირფასი პოეტი ისეთი სახით ზის, თითქოს საამქვეყნოში არც ერიოს, წმენდს თავის მონოკლს და აშკარად თავს იტეხს პრობლემაზე, სად ჯობს მძიმის დასმა. მოდი, სხვაგან წავიდეთ. უარს ხომ არ მეტყვით სიამოვნებაზე, თქვენთან ერთად ვივახშმო? არასად არ ვეჩქარებათ, ხომ მართალია?

პერმა იცოდა, წინააღმდეგობის გაწევა უსარგებლო იქნებოდა,— ვერ მოიფიქრებდა ისეთ გასამართლებელ მიზეზს, რაც სალომონისაგან თავს დააღწევინებდა.

შინისაკენ გული არ მიუწევდა, იმაზე ფიქრი, რაც კომოდის უჯრაში ჰქონდა დამალული, მთელ განწყობილებას გაუფუჭებდა. დაძინებით, ახლა სულ ერთია, ვერ დაიძინებდა. თანაც, თუკი ამ კაცს ასე უნდოდა მასთან ევახშმა... ერთხელ შეიძლებოდა.

მალე ორივენი უკვე მეწამული წითელი ხავერდის სავარძელზე

ისხდნენ ფეშენებელურ სასტუმროსთან ახლახან გახსნილ რესტორანში, სადაც ძირითადად მიწათმფლობელი არისტოკრატია და ოფიცრები დადიოდნენ. ბრიუსელის ძვირფასი ხალიჩა მთელ იატაკს ფარავდა, კედლები სარკისა იყო, ფრაკებში გამოწყობილი ოფიციანტები სწრაფად და უხმაუროდ მოძრაობდნენ და იქ მყოფნი, რომელთა შორისაც ბევრი ქალი ერია, ჩუმად ლაპარაკობდნენ.

პირველად პერი, ცოტა არ იყოს, შეკრთა. ჩვეული არ იყო ასე მდიდრულ გარემოს. ყველაზე მეტად სალომონის იქ ყოფნა აფრთხობდა, სალომონი ისე ხმაურობდა და ისე გამომწვევად თამამობდა, მაშინვე მიიქცია ყურადღება და წყრომით გადმოხედეს.

ვიღაც მარტო მჯდომ ბატონს გაზეთი გაეშალა და მის ზემოდან ალმაცერად უყურებდა მათ. პერმა, სხვათა შორის, პირველად ვერ შენიშნა. ორმოციოდე წლის მაღალი, გამხდარი, ავადმყოფური შეხედულების თავმოტვლეპილი კაცი გახლდათ, მოღლილი ხმელი სახე და გრძელი ქერა ულვაშები ჰქონდა, ოქროს პენსნე ეკეთა. ეს კაცი ზიზღით იყურებოდა ივენ სალომონისაკენ, მაგრამ პერის დანახვისთანავე ფერმკრთალი ლოყები აუვარდისფრდა და საჩქაროდ აიფარა გაზეთი, ისე რომ, პერმა მხოლოდ ორ გრძელ, ერთმანეთზე გადაჯვარედინებულ ფეხს მოჰკრა თვალი, მეტს ვერაფერს.

— რას მიირთმევთ? ხამანწკები გნებავთ? — ჰკითხა სალომონმა, გაიხადა მოწითალო-შავი ხელთათმანი და ჟილეტის ღილებს შორის შეიწყო.

— ნამდვილად ახალი ხამანწკები გაქვთ? — ჰკითხა მან ოფიციანტს.

ოფიციანტმა დაუდევრად დაუქნია თავი.

პერმა ვერ გაბედა ეღიარებინა, რომ მაინცდამაინც არ მოსწონდა ეს რჩეული საჭმელი. თანაც უნდოდა ძღომაზე ევახშმა, ყინვაში დიდი ხნის ლოდინით მადაზე მოვიდა. უნდოდა ეჭამა ხორცი, ყველი, კვერცხი — რაც შეიძლება ბევრი კვერცხი.

— ხამანწკები, — ეს კარგად მოიფიქრეთ, — თქვა მან, — მაგრამ გაფრთხილებთ, მგელივით მშია.

— საუცხოოა! ჩინებულია! — გამხიარულდა სალომონი და ტაში შემოჰკრა, რის გამოც ყველა დამსწრე, ქალებიც კი მისკენ მობრუნდნენ და ზიზღით ახედ-დახედეს. მარტო მჯდომი ბატონის ოქროს პენსნეც წამით ამოტივტივდა გაზეთიდან.

სალომონი ოფიციანტს მიუბრუნდა და სთხოვა:

— უმჯობესია ჩამოგვითვალოთ, რა გაქვთ დღეს კარგი.

ოფიციანტმა კერძების გრძელი ნუსხა ჩაიდუდუნა.

— აბა ერთი რიგ-რიგობით მოგვართვით ყველაფერი, მთელი მენიუ! — წამოიძახა ივენმა და აღტაცებულმა მოცურავესავით ხიქნია ხელები,—მოიტანეთ, მოიტანეთ! grand souper-ს მოვაწყობთ— ნამდვილ ქეიფს! მხოლოდ იჩქარეთ, მეგობარო. მგლებივით გვშია.

პერმა შენიშნა, რომ ოფიციანტი მათ ქედმაღლურად უყურებდა და შემკრთალმა გადაწყვიტა ივენისთვის მიებაძა. მან მაგიდაზე მდგარი სირჩიდან კბილის საჩიჩნი აიღო, სავარძლის ზურგზე გადაიშხლართა და გამომწვევად მიიხედ-მოიხედა.

ლანგარით, რომელზედაც ყინულის პატარა ნატეხები იყო მოფენილი, მოიტანეს ხამანწკები და ერთი ბოთლი გაციებული შამპანურიც მოაყოლეს. მერე მოიტანეს გარეული ფრინველი, სატაცური, ერბოკვერცხი, ყველი, ნიახური, ხილი. პერი ყველაფერს ერთიმეორის მიყოლებით მიირთმევდა. მან თავის თავს უთხრა, რადგან ასეთ ადგილზე მოხვდი კაცი, ამ შემთხვევას ყველაფერი უნდა გამოსწუროო. თანაც ასეთ მაგიდასთან ჯერ ერთხელაც არ მჯდარიყო.

სალომონმა მხოლოდ გემო გაუსინჯა თვითეულ თავ საჭმელს. სამაგიეროდ განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. გული იჯერა თავის საყვარელ თემაზე — რენესანსის ეპოქაზე ლაპარაკით.

— ეს იყო კაცობრიობის ნამდვილი სიდიადის დრო — რაკრაკებდა ის, — ეს ის დრო იყო, როცა პოეტები, მხატვრები, გამომგონებლები თავადებივით ცხოვრობდნენ, მეფური პატივისცემით სარგებლობდნენ, ისინი დედოფლებს უყვარდათ, ჩვენი დროის გენიოსები კი ღატაკურ სენაკებში შიმშილობენ და კარგ საზოგადოებაში ძლივს იტანენ მათ. ამიტომ მათ ნაშრომებს ხშირად აკლიათ ის გაქანება, გიგანტური ძალა, რაც დაუოკებლად იტაცებს ყველას. ენეოლდსენზე გიამბობდით. ხედავს ღმერთი, რა დიდად ვაფასებ მის ტალანტს. ენეოლდსენის „ქმნილებას“ ჭეშმარიტ შედევრად ვთვლი, მაინც, თქვენ როგორც გინდათ და, ჩვენ მასში მხოლოდ ფილიგრანულ მორთულობას, წარმოსახვის მომხიბლავ თამაშს, მონუმენტების მაგიერ — ლამაზ სამშვენისებს ვხედავთ. მთელი სამი დღის განმავლობაში იტეხს თავს რომელიმე ეპითეტზე. დიდი

განცდები აკლია, აი რაშია უბედურება!.. ოჰ, კაცი მდიდარი უნდა იყო... მდიდარი, მდიდარი!

სავარძლის ზურგზე გადაწვა, თავქვეშ ხელები შემოიწყო და ცალი ფეხი ისე შემოიკეცა, შარვლიდან წითელი აბრეშუმის წინდა ზოლად გამოუჩნდა.

— მე მეგონა, საკმაოდ მდიდარი იყავით, — ცივად შენიშნა პერმა, რომ რაიმე მაინც ეთქვა.

— რის მდიდარი! არა, უნდა გქონდეს შესაძლებლობა შენს გარშემო მილიონები აბნიო, ორივე ხელით ფანტო ოქრო. ტალანტები თავადურად უნდა ცხოვრობდნენ, უნდა ჰქონდეთ თავიანთი კარ-მიდამო, დადიოდნენ სანადიროდ, მართავდნენ მეჯლისებს, იჩენდნენ საყვარლებს!.. გაიხსენეთ რუბენსი! გოეთე! ვოლტერი!

ის ისევ დაიხარა მაგიდაზე, რათა შეევსო პერის ჭიქა, და მაშინვე შეეცადა აეძულებინა თავისი სტუმარი რაიმე ეთქვა თავის თავზე და თავის გეგმებზე. საერთო ნაცნობისაგან, რომელიც აგრეთვე პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსმენელი იყო, ივენმა გაიგო, რომ პერი, როგორც ყველანი ფიქრობდნენ, შრომობდა რომელიღაც გრანდიოზულ გამოგონებაზე. ძალიან სწყინდა, რატომ აქამდე დაწვრილებით ყველაფერი არ გავიგე პერისგან და ჩემი დახმარება არ შევთავაზეო.

მაგრამ ახლა პერი უფრო ნაკლებად იყო იმის ხასიათზე, რომ ვინმესთვის გული გადაეშალა, ვიდრე სხვა დროს და თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერ მიუხვდა გადაკრულად ნათქვამს. მორჩა თუ არა ვახშამს, სიგარა გააბოლა, სავარძლის მაღალ ზურგზე გადაიშხლართა და სრულებით აღარ უსმენდა თავის თანამოსაუბრეს.

ღვინით აღგზნებული, ფიქრებით კარნავალზე გაცნობილ ქალთან იყო. ქალს ფრუ ენგელჰარდი ერქვა. პერი თვალს აყოლებდა ბოლის ნაზ ბოლქვებს, რომელშიც, ვით გამქვირვალე ფარდაში, მოჩანდა ქალის შიშველი დიდებული და მშვენიერი ტანი. მან მხოლოდ ახლა შეიგრძნო, რომ შეყვარებული იყო, შეყვარებული იყო თავდავიწყებით. ამ წუთამდე, მართალი რომ ვთქვათ, ამ ქალისადმი ისეთივე გრძნობა ჰქონდა, როგორც ყველა ლამაზ და გათქვირებულ ქალის მიმართ. თუმცა მისი ასაკი რომ მოაგონდებოდა, ცოტათი ახლაც უცივდებოდა გული. ქალი, როგორც ჩანდა, მთლად ახალგაზრდა აღარ იყო, ოცდაათი წლისაზე მეტისა თუ არა, ნაკლე-

ბისა აღარ იქნებოდა, მაგრამ მერე რა უშავდა, ასეც რომ ყოფილიყო? ქალს მუქი თაფლისფერი თვალები მწიფე წაბლს უგავდა. კოლომბინას მომხიბლავი სამოსი ემოსა, ისეთი მზერა იცოდა. ისეთი თამამი, გამომწვევი მიხრა-მოხრა ჰქონდა, მომხიბლავი მხრები და პატარა აპრეხილი ცხვირის დაბერილი ნესტოები — ყველაფრიდან ჩანდა, რა ახალგაზრდულად მგზნებარე იყო და ვნებამოწყურებული. ასეთებს წლები ვერაფერს აკლებს.

უეცრად პერის მზერა მოხვდა ოქროსპენსნეიან ბატონს, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გაზეთი გვერდზე გადადო და ოფიციანტს დაუძახა, რომ ფული გადაეხადა. როცა მისი და პერის თვალები ერთმანეთს შეხვდა, ორივემ წამოიწია თავისი ადგილიდან და მორიდებულად დაუკრეს ერთმანეთს თავი.

— ღმერთო დიდებულო, ეს ხომ ნირგორია! — შესძახა სალომონმა. — იცნობთ მას?

— ა-არა... ჩვენ შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს გუშინ კარნავალზე.

— როგორ? თქვენ იქ იყავით?. მერე რატომ ვერ გნახეთ?

— იქ იმდენი ხალხი იყო... მაშ, თქვენც იყავით?

— ღმერთო ჩემო, მე ხომ ჰამლეტი ვიყავი! ნუთუ არ დაგინახივართ?

პერს შესანიშნავად ახსოვდა, რომ ნახა იქ შავებში ჩაცმული პატარა კაცი და მასთან „თოვლის დედოფლის“ ტანსაცმლიანი ქალიშვილი. მან დანარჩენი ქალების საშინელი გულისწყრომა გამოიწვია. რაკი ფართო დეკოლტიანი კაბა ეცვა და კაბის შლეიფზე ბრილიანტებიც ისე ეყარა, ცისარტყელას ყველა ფერად ელვარებდნენ და თრთვილივით ბრწყინავდნენ.

— ქალი გახლდათ? — ჰკითხა პერმა.

— დიახ, და იყო ჩემი.

—ა-ა...

ამასობაში პენსნეანმა ბატონმა ანგარიში გაასწორა, ოფიციანტი პალტოს ჩაცმაში მოეხმარა. პერმა უნებური შურით შენიშნა, რა საუცხოო, ელეგანტური კოსტუმი ეცვა და როგორი მაღალი საზოგადოების ადამიანისათვის დამახასიათებელი დაუდევრობით უბრძანა ოფიციანტს, ქუდი და ჯოხი მომაწოდეთო, მერე კი ხელის ერთი დაქნევით მოითხოვა ცეცხლი სიგარის მოსაკიდებლად. წინა ღამეს

პერმა და მან ერთმანეთს რამდენიმე უმნიშვნელო სიტყვა უთხრეს. როცა პერმა პირველად იცეკვა ფრუ ენგელჰარდთან, უცებ ეს ბატონი გაჩნდა და ფრუ ენგელჰარდმა პერს წარუდგინა. მერე ეს კაცი შორიდან თვალს აღარ აშორებდა მათ და პერმა ბოლოს და ბოლოს დაასკვნა, ალბათ ჩემი მეტოქეაო. გასასვლელისაკენ მიმავალმა ბატონმა ნირგორმა გვერდი ვერ აუარა მაგიდას, რომელსაც პერი და სალომონი უსხდნენ; სალომონმა მეგობრულად დაუქნია ხელი და დაიყვირა:

— საღამო მშვიდობისა, ბატონო ნირგორ!.. საღამო მშვიდობისა! როგორ არის საქმეები?..

ბატონ ნირგორს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ განცვიფრებით წარბები მაღლა აზიდა, აგდებულად ჩაიცინა და სალომონის მისალმების პასუხად ქედმაღლურად დაიქნია თავი, ისე, რომ პირიდან სიგარა არც კი გამოუღია. მერე განსაკუთრებით თავაზიანად დაუკრა თავი პერს, ისე, რომ პერი იძულებული გახდა ხელახლა წამომდგარიყო და მისალმებოდა.

— ვინ არის ეს კაცი? — იკითხა პერმა, როცა ნირგორი თვალს მიეფარა. სალომონმა მხრები აიჩეჩა.

— როგორ გითხრათ... მაინცდამაინც კარგად არ ვიცნობ. მხოლოდ საზოგადოებაში ვხვდები. თავის ღროზე მეტად თვალსაჩინო პიროვნება იყო. ისე კი სამართლის კანდიდატია, ცნობილი გვარი აქვს და ბრწყინვალე ნაცნობები ჰყავს... მოკლედ რომ ვთქვათ, დიდი შესაძლებლობა გააჩნია, რომ კარიერა შეიქმნას ჩვენს პროვინციულ პირობებში. მახსოვს, დიპლომატად ნიშნავდნენ... ლონდონში, ჩვენს სელჩოში, თუ მეხსიერება არ მღალატობს. თვით უელსის პრინცსაც კი უნდოდა, რომ ეს საქმე მომხდარიყო. არ ვიცი, რამ შეუშალა ხელი, ყოველ შემთხვევაში, ამ დანიშვნაზე უარი თქვა. საერთოდ, უცნაური კაცია. ამჟამად მეტად უბრალო პოსტი უკავია რომელიღაც სამინისტროში.

მეორე დღეს პერმა მიიღო ფრუ ენგელჰარდის დაპირებული მიწვევა. იძულებული გახდა, ტანსაცმელი შეეძინა, რომ კოპენჰაგენის საზოგადოებაში შესვლისას სხვა კავალრებზე ცუდად არ სცმოდა. ფული უნდა ესესხა, სხვაფრივ იოლად ვერ წავიდოდა. კაფეს ნაცნობებმა ერთი მოხუცი ბატონი გააცნეს, რომელიც ადრე მიწათმოქმედი ყოფილა, ხოლო ახლა თავის კაპიტალს იმით ივსებდა, რომ

პროცენტებით ფულს ასესხებდა. საწინდრად გამოდგებოდა სადაზღვევო პოლისები, წიგნები, ავეჯი, ნათლობის ან აცრის მოწმობები და საზეიმო ფიცი ბიბლიაზე ხელის დადებით და მოწმეების თანდასწრებით.

ქალბატონმა ოლუფსენმა აღარ იცოდა, რა ეფიქრა, როცა ხედავდა, რა ურიცხვი ახალ-ახალი ნივთი მოჰქონდა ყოველდღე მათ სახლში კოპენჰაგენის უდიდეს მაღაზიებს; ისა და მისი ქმარი ხან ასე ფიქრობდნენ და ხან ისე. თვითონ პერი არაფერს ამბობდა. ამ ბოლო დროს გულჩათხრობილი გახდა და თანაც შინ იშვიათად იყო ხოლმე.

მხოლოდ მოკრძალებულ ტრინეს შეეძლო ზოგი რამ აეხსნა მათთვის. სიყვარულისთვის დამახასიათებელი ზებუნებრივი განჭვრეტის უნარით, უბრალო ქალიშვილი, რამდენადაც, საერთოდ, განსჯის უნარი ჰქონდა, მაშინვე მიხვდა, რაც ხდებოდა. ხშირად, როცა დარდი მოერეოდა, საპირფარეშოში იმალებოდა, რომ ვიდრე არავინ ხედავდა, ტირილით გული ეჯერებინა.

თუმცა მაინც კიდევ უფრო მეტი გულმოდგინეობით და მოკრძალებით ასუფთავებდა მის პაწაწინა ოთახებს და ზრუნავდა მის კუთვნილ ნივთებზე. მის ახალ ტანსაცმელს, რომელსაც ტრინე საქორწინო მორთულობად თვლიდა, ისე ფრთხილად ეჭცეოდა, თითქოს მათზე იყო დამოკიდებული მისი საკუთარი ბედნიერება. ტრინემ ამოქარგა ნიშანი ნატიფ თეთრეულზე, ცხვირსახოცებზე და ობობას ქსელივით გამჭვირვალე აბრეშუმის წინდებზე, ხოლო კომოდის ქვედა უჯრაში, სადაც მთელი ეს ძვირფასეულობა ინახებოდა, სუფთა ქაღალდი ჩაიფინა; როცა მეჯლისის დღე დადგა, თავისი ხელით შეუსკვნა ყელსახვევი პერს, შეუკრა ხელთათმანები, დაარწმუნა, რომ ახალი ფრაკი ზურგზე არ ეკმუჭნებოდა, და რომ მანქანით მოკლედ შეჭრილი თმა ძალიან უხდებოდა. ხოლო როცა საათმა ცხრის ნახევარი დარეკა და შეკვეთილი კარეტა მაინც არ მოვიდა, სწორედ ტრინეს უთხრა პერმა, სულელი ხარო, დიახ, სწორედ ტრინე გაიქცა ღამეში, თოვლჭყაპში ადელჰადეზე სხვა კარეტის მოსაყვანად, თავშლის მოხურვაც არ გახსენებია.

როცა პერი სამეჯლისო დარბაზში შევიდა, ცეკვები დაიწყო. ათიოდე წყვილი საზეიმოდ ტრიალებდა ვალსის ჰანგზე, ერთი ათი კიდევ კედლის გასწვრივ იდგა თუ იჯდა. ამ უკანასკნელთა შორის

პერმა მაშინვე თვალით მოძებნა ფრუ ენგელჰარდი. ქალს ბროწეულისფერი აბრეშუმის კაბა ეცვა და ბუმბულის მარაოთი სახეს იგრილებდა. გვერდით მელოტი ბატონი უჯდა. ნირგორი იყო.

ეს კაცი შინაურულად იჯდა ქალთან. პერს ეჭვმა გაჰკრა, ალბათ, ფრუ ენგელჰარდის წყალობით არის აქო, ამიტომ მაშინვე გაუფუჭდა გუნება. თხუთმეტიოდე წუთი არ უცეკვია, მხოლოდ დაეხეტებოდა ოთახიდან ოთახში, სადაც ხანშიშესული ბატონები ბანქოს თამაშობდნენ. მხოლოდ მეორე ვალსის დასასრულს დაბრუნდა დარბაზში და ცერემონიული თავის დაკვრით ფრუ ენგელჰარდი საცეკვაოდ მიიწვია ისე, რომ შეხედვის ღირსიც არ გახადა მისი კავალერი. ქალმა თითქოს უცებ ვერც კი იცნო პერი. მერე ადგა, შლეიფი აიწია და თითქმის დედობრივი ღიმილით მიანდო თავისი დიდებული სხეული მის ხელებს.

— რა უმადური სუბიექტი ხართ, — საყვედურით უთხრა ქალმა კოპენჰაგენური კილოთი, როცა რამდენჯერმე შემოუარეს დარბაზს, ხოლო პერს ჯერ კრინტიც არ დაეძრა. — მადლობაც კი არ მითხარით იმაზე, რომ ამ სახლში ჩემი წყალობით მიგიღეს. თუ დამიჯერებთ, ეს ადვილი საქმე არ იყო.

— დიდად მადლობელი ვარ თქვენი, მოწყალეო დედოფალო.

— უჰ, რა ქედმაღლურად იყო ნათქვამი! უკმაყოფილო ხართ რაიმეთი?

— დიახ, ცოტათი.

— რითი? თუკი ამის შესახებ შეიძლება ქალთან ითქვას.

— რატომ არის აქ ნირგორი? ვერ ვიტან ამ კაცს. დიდად დამავალებთ, თუ მასთან არ იცეკვებთ.

— იცით რა... თავს გახვედით.

გაიცინა ქალმა და უფრო მძიმედ ჩამოეკიდა პერს ხელზე.

პერსაც უნებლიედ გაეცინა. ამ მოძრაობამ, მისი თმის სურნელებამ და ნახევრად შიშველმა მკერდმა, რომელიც პერს თავის მკერდზე ჰქონდა მიკრული, აანთო პერი. მათ ოთხჯერ შემოუარეს დარბაზს და როცა ქალი ძველ ადგილზე მიაცილა, ნირგორი უკვე აღარ იყო იქ. ცოტა ხნის შემდეგ პერმა თვალებით მოძებნა ნირგორი — დარბაზის მეორე ბოლოში იდგა და დნებოდა ვიღაც ახალგაზრდა ქალიშვილის წინაშე, რომელსაც მწიფე ჰვავისფერი ნაწნავები იატაკამდე სცემდა.

მეჯლისი გრძელდებოდა. როგორც ეტყობოდა, მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას არავინ გრძნობდა, გარდა მსახურებისა, მათ ნება დართეს დროდადრო კარის ჭუჭრუტანიდან შემოეჭვრიტათ. მერე კი კაცებმა საცეკვაო დარბაზის მეზობელ ოთახში ბოთლები აღმოაჩინეს და მხიარულებაც გაჩაღდა. საერთოდ, მამაკაცების საზოგადოება ძალიან ნარევი იყო და შეკრებილნიც მეტად თამამად იქცეოდნენ, ეს უეჭველად ასე ხდებოდა ხოლმე ყველაზე კარგ სახლებში, სადაც მოწიფული ვაჟები არა ჰყავთ და სადაც მოცეკვავე კავალრებს ნაცნობების და ნაცნობთა ნაცნობების საშუალებით შოულობენ, ერთადერთი გარანტიით — სამისამართო წიგნით. მოპატიჟებულნი მასპინძლების წინაშე არავითარ ვალდებულებას არ გრძნობდნენ. ერთი მეორეზე უფრო მოურიდებლად ეჭირათ თავი, ამთქნარებდნენ, კრიტიკულ შენიშვნებს ისროდნენ, და ისე მოითხოვდნენ ყველაფერს, თითქოს ყველასთვის ხელმისაწვდომ რესტორანში ქეიფობდნენ.

მასპინძელი, პატარა ტანის ჭაღარა კაცი, რომელმაც თავისი სტუმრების სახელებიც კი არ იცოდა, უცხოსავით მორიდებულად დაცუნცულებდა ოთახიდან ოთახში. უმაღლესი საზოგადოების კაცისათვის დამახასიათებელი ტანჯული ღიმილით კეთილსინდისიერად ასრულებდა საკმაოდ ძნელ ამოცანას, ცოლმა და ქალიშვილმა რომ დააკისრა: კავალრებს აიძულებდა „ფეხები ექნიათ“. თუ თვალს მოჰკრავდა ვინმეს, ვინც სასტუმრო ოთახის კედლებზე სურათებს ათვალიერებდა ან მაგარსასმელებიან მაგიდას შერჩენოდა, შორიახლო დაუდგებოდა და შემთხვევის შესაფერის საუბარს გაუბამდა სახვით ხელოვნებაზე, თეატრზე ან საციგურო სპორტზე. სრულიად გულუბრყვილოდ ესაუბრებოდა, მაგრამ ბოლოს აუცილებლად იმით დაამთავრებდა, რომ სტუმარს დარბაზში გაიყვანდა და წარუდგენდა ოჯახის რომელიმე ძველ მეგობარ ქალს. ამ მანდილოსნის სამეჯლისო კარნეზე ხაზები შეუვსებელი ჩანდა.

ფრუ ენგელჰარდი პერს კოტილიონს შეჰპირდა. მაგრამ, როდესაც მაგიდიდან ადგნენ და ცეკვა დაიწყო, პერმა ქალი ვერც დარბაზში იპოვა და ვერც მეზობელ ოთახებში. ბოლოს სასტუმრო ოთახის მეორე მხარეს ერთ ბნელ ექვსკუთხოვან ოთახში აღმოაჩინა. მარტოდმარტო მიკუნჭულიყო სავარძლის კუთხეში, რომელიც შეიძლებოდა მხოლოდ ზღრუბლზა გადაბიჯების შემდე შეგენიშნათ.

ქალი ცოტა არ იყოს სევდიანად შეხვდა პერს და უთხრა, უფლება გაქვთ გამიჯავრდეთ, მაგრამ ცეკვის ხასიათზე არ ვარ, თანაც ისიც არ შემიძლია მოგთხოვოთ, რომ ჩემი გულისთვის არც თქვენ იცეკვოთ და მე გამართოთ. არა, არა, ასეთ მსხვერპლს ვერ მივიღებო... სრულებითაც ნუ იგრძნობთ ვალდებულად თავსო.

თუმცა პერს მაღალი წრის საზოგადოებაში მოქცევის გამოცდილება არ ჰქონდა, არც ისეთი სულელი იყო, ვერ გაეგო, რაზე გადაუკრა სიტყვა ქალმა. პერმა სავარძელთან სკამი მიიდგა და ქალს გვერდით მიუჯდა. ერთ ხანს ჩუმად ისხდნენ და სამეჯლისო დარბაზიდან მოლწეულ მუსიკას და წამოძახილებს უგდებდნენ ყურს. — ხმა სამი-ოთხი ოთახის იქიდან მოდიოდა და საკმაოდ ყრუდ ისმოდა. მერე პერმა უცებ ხელი სტაცა სავარძლის ზურგზე დადებულ მის გაშიშვლებულ თეთრ ხელს. რაკი ქალი წინააღმდეგობას არ უწევდა, მეტად გაბედულად გამოუტყდა სიყვარულში და განმეორებით სთხოვა, პაემანი მაჩუქეო. ბოლოს და ბოლოს ქალმა თანხმობით უპასუხა. მაშინ კი პერი დაიხარა და ერთი, ორი, სამი კოცნა აღბეჭდა მის ნიდაყვს ზემოთ. გულის სიღრმეში ეგონა, ქალი ამის ნებას არ მომცემსო, მან მართლაც უთხრა, სერიოზულად გავბრაზდები თუ კიდევ გაგიბედიაო და ა. შ. და ა. შ. მაგრამ თვალები ისე უბრწყინავდა და მაღალი მკერდი ისე უთრთოდა, სულ სხვა რამ უნდა ეფიქრა კაცს.

ამ დროს მეზობელ ოთახში ფეხის ხმა მოისმა და პერმა ძლივს მოასწრო სკამის ზურგს მიყრდნობოდა, რომ კარებში ნირგორის აწოწილი სხეული გამოჩნდა. ნირგორმა თავაზიანი თავის დაკვრით მოიბოდიშა, რომ ასე შემოიჭრა, მაგრამ ზურგზე ხელებშემოწყობილი კარებში გაეხირა, თითქოს ყოყმანობდა, შემოსულიყო თუ არა.

— შემოდით, ბოლოს და ბოლოს! — უბრძანა ფრუ ენგელჰარდმა.

— საზოგადოება გაკლიათ თუ? — ჰკითხა ნირგორმა.

.. პერს ეს შეკითხვა ძალიან არ მოეწონა, იმიტომ რომ თითქმის გამომწვევად ეღერდა.

— ეს არ მითქვამს, მაგრამ თუ გასართობს რაიმეს გვიამბობთ, სიხარულით მოგისმენთ.

— აჰ, ჰო, ჰო, — თქვენ და ბატონი ინჟინერი აქ სხედხართ როგორც ვინმე უბედურნი, მარტონი, მიტოვებულნი.

— მართლაც ასეა, — მიუგო ქალმა, დაღლილი მოძრაობით დაკეცა მარაო და საკარძლის ზურგს მიეყრდნო. — ძალიან მოწყენილი ვარ... დავიტანჯე, დამღალა ცეკვამ და ამ ხალხმა; მაგრამ თქვენ? თქვენ რატომღა არ ცეკვავთ? სხვათა შორის, თქვენ დღეს დიდი ყურადღება მიიპყარით.

— ო, არა! — ნირგორმა ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა შემოსვლა. — ეს პოეტური ნახევრადსიბნელე მაიძულებს გამოვეთხოვო სამყაროს. ნებას მომცემთ?

მან საკარძელს მეორე მხრიდან მიუდგა სკამი. ახლა ის და პერი პირისპირ აღმოჩნდნენ, ჯერაც არ მისალმებოდნენ ერთმანეთს.

ფრუ ენგელჰარდს ენა არ გაუჩერებია. სტუმრები არ მოსწონდა, კარგად ვერ შეურჩევიათო, შეაქო ვახშმის მენიუ და ბოლოს ზოგიერთი ქალის ტუალეტსაც გაჰკრა კბილი. პერი იჯდა, თვალს ადევნებდა ნირგორს და ხმას არ იღებდა. ნირგორიც დუმდა, მან დაბლა დახარა თავი, ისე რომ სახე არ უჩანდა, და მუხლებზე დაყრდნობილი გრძელი, ოდნავ აკანკალებული თითებით ხელთათმანს წიწკნიდა.

— ოჰ, ნირგორ, ნირგორ, აუტანლად მოსაწყენი გახდით, — შეწყვიტა ფრუ ენგელჰარდმა ყბედობა. — ნუთუ თქვენა ხართ ეს, ერთ დროს ასეთი საინტერესო მოსაუბრე კაცი! რა მოგვიდათ, კაცმა რომ თქვას? დაგენიძლავებით, აქ ქალის ხელი ურევია.

— შესაძლებელია.

— პატარა ფრიოკენ ხოლმია ხომ? როგორ არა! მთლად თქვენი გემოვნებისაა. უნდა გამოგიტყდეთ, ბატონო სიდენიუს... ბატონი ნირგორი ისეთი თავაზიანი იყო, რომ გამანდო, ლურჯთვალა ქერა ქალები მიყვარსო. თანაც, ამბობენ, ის ქალი სოფლელიაო, — ხელახლა მიუბრუნდა ფრუ ენგელჰარდი ნირგორს — სამყურას სურნელება, ზაფხულის მზე და ახლად მოწველილი რძე... თანაც სრულყოფილი სილამაზის გლეხის ქალი. მერე რა გულით ნატრობდით ამას. როდის გვიბრძანებთ ქორწილზე გეწვიოთ?

ბატონმა ნირგორმა თავი ასწია, სკამის ზურგს მიეყრდნო, ქუდი მუცელზე მიიკრა, ხელები ზედ დააწყო, მსუბუქად ამოიოხრა და თქვა:

— ჩემი ხნის კაცმა, თუ ჭკვიანია, თავი მიცვალებულად უნდა

ჩათვალოს. მაშინ მხოლოდ ერთი საზრუნავი გრჩება — როგორმე რიგიანად დასაფლავდე.

ფრუ ენგელჰარდმა გაიცინა.

— თქვენ, მართლაც, მეტად შავი ფიქრები დაგხვევიათ. რაღა ვქნათ მაშინ ჩვენ, საცოდავმა ქალებმა? ერთი შეხედეთ მოხუც როტმისტრ ფრიკს. სამოცდაორი წლისა შესრულდა და ახალგაზრდა ლეიტენანტივით ცეკვავს. დარწმუნებული ვარ, ჯერ კიდევ მოსწონთ ქალებს. ერთი სიტყვით, თქვენი ასაკის მამაკაცს კიდევ ბევრი ბედნიერება ელის.

ნირგორმა თავი დაუკრა.

— მადლობას გწირავთ საფლავზე წარმოთქმული დამამშვიდებელი სიტყვისათვის. თავადაც ვიცი, რომ ჩვენს დროში ადამიანები — მამაკაცები იქნებიან ისინი თუ ქალები—ფლობენ ხელოვნებას, ღრმა მოხუცებულობამდე შეინარჩუნონ სიქორფე და სიმხნეე, — სწორედ ისევე, როგორც ისწავლეს ბარდის, სატაცურის და სხვა მწვანილის დაკონსერვება. პირადად მე ეს მოხუცი, დაკონსერვებული როტმისტრი არ მსიამოვნებს. არა, უნდა შეგვეძლოს უარი ვთქვათ ზოგ რამეზე, უნდა მივცეთ ახალგაზრდობას ის, რაც მხოლოდ მას ეკუთვნის და ამით თავიდან ავიცილოთ უსიამოვნებანი. ჩემს ასაკში ისედაც ბევრი უსიამოვნება ხვდება კაცს. ნეკრესი, კუჭის მოუნელებლობა, კენჭები ღვიძლში და საოპერაციო მაგიდა — აი ის ჭეშმარიტი ფასეულობანი, რომლებთანაც იძულებული ხარ იქონიო საქმე, როცა ორმოც წელზე მეტი ხნისა ხარ.

— და კიდევ მოგონებანი, — ტკბილად ჩაურთო ფრუ ენგელჰარდმა, — ნათელი მოგონებანი, ნირგორ, დაგავიწყდათ ესეც გეთქვათ.

— მოგონებანი?... ჰმ, ჰმ! ჩემის აზრით, ისინიც ისეთივე დაკონსერვებული პროდუქტებია, რომლებმაც ზამთარში ღარიბულად უნდა აგვინაზღაურონ ზაფხულის სიუხვე. არა, მოგონებებზე ნუ ვილაპარაკებთ. ეს ერთი სატანჯველით მეტი იქნება... სწორედ ისინია, ჩვენ რომ გვაიძულებენ, სიბერეში თვითეული ახალი მოვლენა აღვიქვათ, როგორც წარსულის უფრო და უფრო მეტად მკრთალი და დამქანცველი განმეორება.

— არა, დღეს აუტანელი ხართ. მე მაინც არ გიჯავრდებით, თქვენ ავად ხართ, ნირგორ. ალბათ, წესიერად ვერ ცხოვრობთ. რჩე-

ვა-დარიგება უნდა ჰკითხოთ ექიმს. დარწმუნებული ვარ, კარლსბადში მკურნალობის კურსს გამოგიწერთ.

— ალბათ. შეიძლება ცნობილი და მთლად ეფექტური ტყვიის აბები გამომიწეროს... რევოლვერიდან. ტკივილდამაყუჩებელ საშუალებათა შორის მას ბადალი არ მოეძებნება.

— არა, თქვენთან მორიგება შეუძლებელია. აბა წარმოიდგინეთ, რა უნდა ქნა, თუ ადამიანს არაფერზე არ შეუძლია სერიოზულად ლაპარაკი.

მთელი ამ შეხლა-შემოხლის განმავლობაში პერი განუწყვეტლივ უყურებდა ხან ერთს, ხან მეორეს. ისინი ისე შინაურულად და მეგობრულად საუბრობდნენ, პერს კვლავ ეჭვი გაეღვიძა. თუმცა გაიხსენა, რომ კარნავალის ღამეს ფრუ ენგელჰარდმა უამბო, მე და ნირგორი ბავშვობის მეგობრები ვართო და მაშინვე დამშვიდდა, თანაც ქალს თავი ისე ეჭირა — თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რა გესლიანად ურჩია მან კარლსბადში წადიო, — ცხადი იყო, ნირგორი მძიმე ტვირთად აწვა.

ამ დროს მეზობელ ოთახებში ლაპარაკი მოისმა: დაქანცული, აქოშინებული წყვილები შეგროვდნენ მაგიდებთან, სადაც ძველებურად უხვად ელაგა ყოველგვარი სასმელი. კოტილიონი დამთავრდა. დარბაზის შუაგულში ავარდნილ მტვერში დასრიალებდა ყველაზე დაუღალავი ან ყველაზე უფრო შეყვარებული სამი-ოთხი წყვილი. ისინი ჯერ არ მოქანცულიყვნენ და უსასრულოდ აკვრევინებდნენ მუსიკოსებს ერთსა და იმავეს, თანაც ტემპს თანდათან აჩქარებინებდნენ.

დაიწყეს მოსვლა კარეტებმა. ქმართან ხელგაყრილმა ფრუ ენგელჰარდმა სტუმრებს გამოსამშვიდობებლად ჩამოუარა. ქმარი მაღალი, ზორზოხი, კეთილსახიანი კომერსანტი ჰყავდა. მთელი საღამო ბანქოს თამაშობდა. როცა პერს ჩაუარეს, ფრუ ენგელჰარდმა ისინი ერთმანეთს გააცნო. ეს პერისათვის საშინელება იყო. მეუღლემ პერს მორჩილად ჩამოართვა ხელი და რამდენიმე თავაზიანი სიტყვა უთხრა. პერს შერცხვა და თვალი არ გაუსწორებია მისთვის.

„რაში დასჭირდა?“ — შეშფოთებით გაიფიქრა პერმა, მაგრამ მაშინვე გაიგონა ქმრისადმი მიმართული ქალის სიტყვები კარში გასვლის წინ. ეს სიტყვები ქალმა საკმაოდ ხმამაღლა თქვა, რომ პერსაც გაეგონა:

— ჩემო მეგობარო, შენ, მგონი, იმ სამშაბათს ლონდონში მიდიხარ?

მეუღლემ თანხმობა უთხრა, ხოლო პერი გაწითლდა და გაიღიმა. მერე გაფითრდა და მაინც იღიმებოდა. გაბრწყინებული მზერა გააყოლა წითელი აბრეშუმიდან ამოშვერილ ქალის გაფუებულ თეთრ მხრებს... ბოლოს და ბოლოს მისთვისაც დაიწყო ცხოვრება, ნამდვილი ცხოვრება!

* * *

დაახლოებით სამ საათზე პერი და ნირგორი ერთად გამოვიდნენ ფენსმარკებისაგან. ნათელი, მთვარიანი ღამე იყო. პერს აზრადაც არ მოსვლია ნირგორთან ერთად წასვლა, მაგრამ როცა ნირგორმა ჰკითხა, სად ცხოვრობო და შესთავაზა ერთად წავიდეთ, მეც თქვენკენ მოვდივარო, პერმა უარის თქმა უხერხულად ჩათვალა. ნირგორის განზრახვა პერმა აღიქვა, როგორც ზავის შეთავაზება, როგორც ფრუ ენგელჰარდისათვის ბრძოლაში პერის გამარჯვების დუმილით აღიარება, გარდა ამისა, ნირგორი, მიუხედავად იმისა, რომ წლოვანებით ბევრად უფროსი იყო მასზე, ისე თავაზიანად ექცეოდა, პერმა ვეღარ გააწბილა.

ნირგორი ლაპარაკობდა დღევანდელ საღამოზე და იმაზე, თუ როგორ ერთობა დღევანდელი მაღალი საზოგადოება საერთოდ, მაგრამ პერი იმდენად აღსავსე იყო შთაბეჭდილებებით, მხოლოდ ცალკეული სიტყვები ესმოდა, აზრს ვერ გებულობდა. მიუხედავად იმისა, რომ მაგრად ყინავდა და ნირგორიც ფეხზე ძლივს იდგა. ნელა მიდიოდნენ, პერს პალტო გახსნილი ჰქონდა. მოპოვებული გამარჯვების შეგრძნება ათბობდა. იღიმებოდა და პირიდან ორთქლს ეშვებდა სუფთა ჰაერში.

ხოლმენის ხიდთან არხს აუარეს გვერდი და ქუჩის მარცხენა მხარეს განაგრძეს გზა კუნგენს ნიუტორვის მიმართულებით. ჩაუარეს ნაციონალურ ბანკს, რომლის უზარმაზარი ოთხკუთხედი ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ გიგანტური სარკოფაგივით აღმართულიყო. წითელფარაჯიანი გუშაგი იცავდა მამონას პომპეზური მავზოლეუმის შესასვლელს.

ცოტა რომ გაიარეს, ნირგორი ძველ, ვიწრო და ულამაზო სახლის წინ შეჩერდა. ერთი იმ სახლთაგანი იყო, რომელთაც ჯერჯეროობით ნებას რთავდნენ გამოცოცხლებული ქუჩა დაეუშნოვებინათ.

— აი აქ ვცხოვრობ მე. ბატონო ინჟინერო, ხომ არ მომანიჭებთ სიამოვნებას ამოხვიდეთ და ერთი ჭიქა კარგი ღვინო დალიოთ ჩემთან? ჯერ არც ისე გვიანია.

პერმა იფიქრა, იფიქრა და დაეთანხმა. გართობა ძალიან უნდოდა, შინ წასვლა არ სურდა. იმ დღიდან, რაც თავისი ქაღალდები კომოდის ზედა უჯრაში ჩაკეტა, უმძიმდა შინ ყოფნა, თითქოს მკვდარი ჩაემარხოს თავის იატაკქვეშ.

რამდენიმე წუთის შემდეგ პერი მეტად მყუდროდ მოეწყო სავარძლის კუთხეში, დიდ მაგიდასთან, სადაც მწვანე აბრეშუმის შუქფარის ქვეშ გრძელფეხა ლამპა ენთო. ვიდრე ნირგორი სასმელს ეძებდა, პერმა ყურადღებით დაათვალიერა უცოლო კაცის ელეგანტური სალონი და სევდით გაიხსენა თავისი პატარა და ღატაკური ოთახები. განა შეიძლება იქ ისეთი ქალი მიიღო, როგორც ფრუ ენგელჰარდია? აი ნირგორს მთელი იატაკი ხალიჩით აქვს მოფენილი. წითელი ხის მშვენიერი ავეჯი, ლარნაკები და მოოქროვილი საკანდელე უდგას. ალბათ, ყველაფერი მემკვიდრეობით მიიღო. საწერი მაგიდის თავზე ნახევრად სიბნელეში პატარა და დიდი პორტრეტების მთელი გალერეა მოჩანს: ოქროს ჩარჩოებში ჩასმული ზეთის საღებავით შესრულებული პორტრეტები, დაგეროტიპები, სილუეტები, სპილოს ძვლის მინიატურები, ლითოგრაფიები, ფანქრით მონახაზი და თანამედროვე ფოტოგრაფიები — ნირგორის გვარის განსვენებულთა აჩრდილების მწკრივი.

თუმცა, თუ ახლოდან ნახავდით, ყველაფერს ეტყობოდა, რომ მოუვლელი იყო: ხალიჩები ჩრჩილს ჩაეჩირჩნა, ავეჯის გადასაკრავი გაცვეთილიყო, დიდი ლამაზი წიგნებით მჭიდროდ გავსებული კარადის შუშები ზოგან დამსკდარიყო.

ამ დროს წინ ნირგორი დაუდგა, ცალ ხელში წვრილი, გრძელყელიანი ბოთლი ეჭირა, მეორეში კი — ორი მწვანე სირჩა. ნირგორი პერის გვერდით სავარძელში ჩაეშვა და ფრთხილად შეავსო სირჩები.

— ძალიან მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, — თქვა მან და სირჩა ასწია. — ნება მომეცით, შევსვა თქვენი კეთილდღეობის სადღეგრძელო, ბატონო... ბატონო „ბედის ნებიერო პერ“.

პერმა გაკვირვებით და ცოტა წყენითაც შეხედა მას. ნირგორის სიტყვები წინა საღამოს მომხდარი ამბების მეტისმეტად უბოდიშო ნართაულად მოეჩვენა. მაგრამ აშკარა იყო, ნირგორს სურდა მისთვის გამარჯვებულის საკადრისი პატივი მიეზღო, ამიტომ არ ღირდა შეურაცხყოფილი კაცის სახე მიეღო. პერმა აიღო თავისი სირჩა და სულმოუთქმელად გადაჰკრა ღვინო.

— მართალი გითხრათ, ეს არცთუ მაინცდამაინც გონებამახვილური მეტსახელი სულაც არ არის ჩემი მოგონილი, — თქვა ნირგორმა და პენსნე გაწმინდა. — მე ერთი თქვენი მეგობრის სიტყვებს ვიმეორებ. პატარა სალომონის სიტყვებს, რომელთან ერთადაც ამ დღეებში გნახეთ. ის თქვენი დიდი თაყვანისმცემელია, თუმცა ამ მეტსახელით, ჩემის აზრით, თავს ვერ მოიწონებს კაცი. ძველისძველი სიბრძნე ღაღადებს, რომ ბედნიერება სულელების ხვედრია. ერთი მეტად პატივცემული ძველი რომაელი ავტორი წერდა, წარმატება სევდის დედაა.

„ინუგეშე თავი, ინუგეშე, — გაიფიქრა პერმა — მეტი რა დაგრჩენია".

— თუ ეს მეტისმეტად პარადოქსალურად არ იქცევრებს, — განაგრძო პერის თანამოსაუბრემ, — ვიტყოდი, რომ ყველაზე უბედური ადამიანები მე ყველაზე ბედნიერებად მიმაჩნია. მათ დარჩენიათ დიდი ნუგეში: შეუძლიათ ლანძღონ თავიანთი ბედი, უსაყვედურონ ღმერთს, პასუხი მოსთხოვონ თვით განგებას და ასე შემდეგ, მაშინ როცა მათ, ვისაც, ასე ვთქვათ, ბედი სწყალობს, შეუძლიათ მხოლოდ საკუთარი თავი დაადანაშაულონ, თუ უეცრად უბედურება დაატყდებათ თავს.

— რატომ მაინცდამაინც აუცილებლად უბედურება უნდა დაატყდეთ? — გაიღიმა პერმა და თავისი სიგარის ბოლს თვალი გააყოლა.

— რატომ? — კითხვა შეუბრუნა ნირგორმა. მის ყოველ სიტყვაში თანაგრძნობა გამოსჭვიოდა, რასაც ბედნიერი პერი ვერ ამჩნევდა — ვშიშობ, რომ მთლად კარგად არ გესმით ჩემი, ბატონო ინჟინერო! მიუხედავად იმისა, პარადოქსები არ მიყვარს, მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ თვით ბედნიერება არის უდიდესი უბედურება, როგორიც კი შეიძლება ეწიოს ჩვენი დროის ადამიანს, რადგან... ჰო, რადგან ათასიდან ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში

ადამიანები ისე ვერ ვიყენებთ ბედნიერებას, რომ მან ზიანი კი არა, სიკეთე მოგვიტანოს. ჩვენი დროის ხალხმა არ ვიცით, როგორ მოვეპყრათ სასწაულებს, აი რა არის უბედურება. ბედნიერების ნადიმზე ჩვენ ისე ვსხედვართ, როგორც გლეხი მეფის მაგიდასთან. როცა საქმე საქმეზე მიდგება, აღთქმული ქვეყნის საუნჯეს ჩვენ ყველას შინაურული წყლის ფაფა და დედის გამომცხვარი მაჭკატი გვირჩევნია. ალბათ, გაგიგონიათ ზღაპარი მეღორეზე, რომელმაც მზითევში პრინცესა და ნახევარი სამეფო მიიღო. ეს ზღაპარი ჩემის აზრით, სწორედ რომ ყველაზე საინტერესო ადგილას წყდება. ყოველ შემთხვევაში, მოზრდილი ადამიანებისათვის. ასე რომ არ მთავრდებოდეს, ჩვენ ვნახავდით, აბრეშუმებით და ხავერდებით გამოპრანჭული ეს დოყლაპია როგორ ჭკნება და ხმება მეტისმეტი ბედნიერებისაგან. დავინახავდით, როგორ ნატრობს პრინცესას დიდებულ საწოლში მწოლარე, ნეტა ერთი ჩასუქებულ მეძროხე ქალს ჩამახვიაო. ეპვიც არ მეპარება, რომ ყველაფერი ასე იქნებოდა. ერთი წუთითაც არ იქნება ბედნიერი, სანამ კვლავ თავის ხის ქოშებს არ ჩაიცვამს და გვირგვინისა და სკიპტრის ნაცვლად მამისეულ ნაკელის ორთითს არ მოჰკიდებს ხელს.

ნირგორმა პენსნე გაიკეთა, სავარძლის ზურგზე გადაწვა და ხელები თავზე შემოიწყო, დაღლილი თვალებით პერს გამომცდელად, თანაგრძნობით, თითქმის შეშფოთებით უყურებდა. მერე განაგრძო:

— თუმცა ჩვენ დანიური ფანტაზიორობა მოგვდგამს, მაგრამ შეჩვეულისადმი, განცდილისადმი უეჭნობი სიყვარულიც გაგვაჩნია. რაც უნდა მგზნებარედ მივისწრაფოდეთ ახალგაზრდობაში არაჩვეულებრივისა და სასწაულებრივისადმი... საკმარისია ნამდვილად გაიღოს ჩვენს წინაშე ზღაპრული ქვეყნის კარი და მეფის ასულმა აივნიდან ხელი დაგვიქნიოს, მაშინვე ეპვი შეგვიპყრობს და თვალი იმაზე გვიჭირავს, რა არის, რაც შეიძლება მალე ავძვრეთ ჩვენს საწოლზე.

— ისე კი თქვენ საერთოდ მართალი ხართ, — პერი კვლავ იღიმებოდა და სიგარის ბოლს თვალს აყოლებდა. — მაგრამ ხომ არის გამონაკლისები?

— ათასში ერთიც არა. შეიძლება ათიათასში ერთიც არ გამოერიოს. თავად მიხვდებით ოდესმე, რა საშინელი ჯადოსნური ძალა

იმალება ყოველივე შინაურულსა და შეჩვეულში, მაშინაც კი, როცა გვეზიზღება ის. თქვენ მხოლოდ ირგვლივ მიმოიხედეთ. მთელი სიცოცხლე დავათრევთ წარსულის ტვირთს, რომელიც განუწყვეტლივ იზრდება, რომელიც ჩინური კედელივით გვარტყია გარს და რომელთანაც განშორებას ვერ ვბედავთ. ვეფლობით ოჯახურ მოგონებათა აკლდამაში და საბოლოოდ სხვა არა დაგვრჩენია რა, ქედი უნდა მოვიხაროთ.

— არა, დაიცათ, არ შეიძლება ასე ხელაღებით ყველაზე ლაპარაკი, — გააწყვეტინა პერმა, — მე, მაგალითად, ამისაგან თავისუფალი ვარ. ყოველივე, რასაც წარსულიდან დავათრევ, თავისუფლად შეიძლება მოთავსდეს ჟილეტის ჯიბეში.

— გილოცავთ, თუ ასეა! მაგრამ რა გამოვიდა მერე? მშობლიური ბუდის ჯადოსნური მომხიბვლელობა მხოლოდ ნივთებიდან არ გამომდინარეობს. ღრმა მოხუცებულობამდე ჩვენს ქცევებს დიდი ხნის წინ გარდაცვლილი მამის უაზრო დარიგებანი ან ჩვენი ჭკუამოკლე დედის რაიმე ცრურწმენა განსაზღვრავს. გარდა ამისა, კიდევ არსებობენ საყვარელი ძმები და დები და მზრუნველი ბიძები და დეიდები...

— რაც შემეხება მე, აქაც ბედი მწყალობს, რადგან ამის მსგავსი არაფერი გამაჩნია.

— კიდევ ერთხელ გილოცავთ! მაგრამ ხომ გაგაჩნიათ რაიმე სახლი... ამასთანავე პასტორის, დანიელი პასტორის სახლი, ერთი იმ სახლთაგანი, რომლებიც თავისი სიმყუდროვით საქვეყნოდ განთქმულნი არიან. იცით რა, მე ამას თქვენი გვარის მიხედვით ვვარაუდობ.

პერმა უკანასკნელ რეპლიკას ყური აარიდა და განაცხადა, არ ვიცნობ და არც ოდესმე მცნობია ადამიანები, რომელთაც ჩვეულებრივ, ახლო ნათესავებს ეძახიანო.

— საკვირველია! მაშინ, შესაძლოა, თქვენ...

— დიახ, — პერმა განზრახ არ მისცა მას სიტყვის დამთავრების საშუალება. — მე ეს მხოლოდ მე ვარ, და მეტი არაფერი.

— ოჰო, ოჰო! — ნირგორი სავარძლის სახელურს დაეყრდნო, მთლად წინ გადაიხარა და, თითქოს ახლა გაეღვიძაო, ისე შეხედა პერს. — მაშინ პატარა სალომონი არცთუ აგრერიგად ცდება. მაშინ თქვენში ნამდვილად არის რაღაც ზღაპრული. არავითარი უკან მი-

ხედვა ოჯახისაკენ! არავითარი გაწამაწია ძმებზე და დებზე... არავითარი მზრუნველი ბიძები და დეიდები. თავისუფალი ხართ, როგორც ფრინველი ცაში!

პერი თანხმობის ნიშნად დუმდა.

ნირგორი ხელახლა გადააწვა სავარძლის ზურგს და წამით ღრმა სიჩუმე გამეფდა.

— თქვენ, როგორც ვხედავ, ნამდვილად არაჩვეულებრივად იღბლიანი კაცი ყოფილხართ, ბატონო სიდენიუს. ასე მოხუცი და სუსტი რომ არ ვიყო, იქნებ შური აღმძვროდა თქვენდამი. ყოველმხრივ თავისუფალი და უზრუნველი ხართ, თანაც ისეთი ხარბი სიცოცხლისადმი, როგორც შაშვი მწიფე ალუბლისადმი. ასეც უნდა იყოს. და მაინც... მაინც... შედეგი რა არის? ჩვენი ცხოვრების ხანგრძლივი დღეების განმავლობაში თავადვე ვიდებთ იმ ხუნდებს, რომლებითაც დაბადებიდან არ ვყოფილვართ შებორკილნი. ჩვენ, მონათა მოდგმის ხალხი, როცა ბორკილები გვადევს და ჩაკეტილები ვართ, მხოლოდ მაშინ ვგრძნობთ თავს ისე, თითქოს შინ ვიყოთ... რას იტყვით ამაზე?

— კეთილსინდისიერად რომ გითხრათ, კარგად არ მესმის, რა გაქვთ მხედველობაში, — უპასუხა პერმა და წიგნების კარადის თავზე მდგარ საათს შეხედა. ხუთის თხუთმეტი წუთი იყო. ერთფეროვანმა საუბარმა პერი დაღალა, თანაც ნანობდა, რომ ამდენი იუბედა.

ნირგორმა ეაშინვე არ უპასუხა. ჩაფიქრებული, დაძაბული კვლავ პერს უყურებდა.

— რა მაქვს მხედველობაში? ჩვენ ხომ თვითონ ვიძენთ ჩვენთვის მეგობრებს და ჩვეევებს, დროთა განმავლობაში ჩვენს თავს მოვალეობებით და ვალდებულებებით ვბოჭავთ. აღარას ვამბობ უკვე მამაკაცსა და ქალს შორის სიახლოვის შესახებ. აი, სწორედ იმ სიახლოვის შესახებ, რომელსაც გატაცებას, სიყვარულს, ვნებას. ერთი სიტყვით, როგორც გსურთ, ისე ეძახიან. ყველაზე უფრო თავისუფალ ფრინველსაც კი არ შეუძლია არ აღიაროს, რომ ქალები ფლობენ ჩასაბღაუჭებლებს, რომლებიც, რაც არ უნდა რბილნი იყვნენ, რკინის ბორკილივით ჩაგბღუჯავთ.

— ასეთი ბორკილები ვერაფერს დაგვიშავებენ, — გაიცინა პერმა, — მით უმეტეს, თუ მაგრად შეგვბოჭავენ.

— თქვენ ძალიან ახალგაზრდა ხართ. მაგრამ დავუშვათ, ესა თუ ის ქალი, რომელიც თქვენ ხორციელად გიზიდავთ, თუნდაც სულის სიღრმეში გეზიზღებოდეთ... ვთქვათ, ვინმე ქუჩის ქალი, ან შინამოსამსახურე, რომელსაც სავსებით მიამიტად აკოცეთ.. მოკლედ, არსება, რომელსაც შეჩვეული ხართ ან ძველი მოგონებები გაკავშირებთ მასთან.. დავუშვათ, შეიტყეთ, რომ ეს ქალი არხეინად გატყუებთ ზურგს უკან... როგორ იქცევიან მსგავს შემთხვევებში თქვენისთანა თავისუფალი ფრინველები?

„საინტერესოა, საით უმიზნებს?“ — გაიფიქრა გულში პერმა, ხოლო ხმამაღლა კი თქვა:

— როგორ იქცევიან? ცხადია, სხვას შოულობენ.

— შესანიშნავია. მაგრამ თუ სხვა პირველზე უკეთესი არ აღმოჩნდა? მაშინ?

— მაშინ გავიჩენ მესამეს, მეოთხეს, მეხუთეს... ღმერთო ჩემო, ქალების მეტი რა არის ქვეყანაზე?

— აი ეს სიმართლეა, სიმართლე! — ნირგორი თვალებმოხუჭული იმეორებდა პერის სიტყვებს, თითქო მათში ჰპოვაო ყოფიერების გამოცანის ამოხსნის გასაღები.

პერმა შინ წასვლა დააპირა. საუბარმა, მისი აზრით, მეტად პირადული ხასიათი მიიღო. თანაც გვიან იყო. ქუჩაში უკვე გაიარა რამდენიმე პურის ფურგონმა, რაც გათენებას იუწყებოდა.

უეცრად ნირგორი უცნაურად აღიგზნო. ხელახლა შეავსო სირჩები და პერს სთხოვა, ნუ ფიქრობ იმაზე, რომელი საათია ახლაო.

— უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანით, ბატონო სიდენიუს. არაჩვეულებრივად მხნე და ყველაფრით კმაყოფილი ადამიანი ხართ. თუ ცუდად არ გამიგებთ, მინდა ერთი წინადადება მოგცეთ.

„ნეტავი ახლა რაღას იტყვის?“ — გაიფიქრა პერმა.

— ერთი შეხედვით, — ასე დაიწყო ნირგორმა, — ეს ისტორია შეიძლება ცოტა უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ყოველივე იმის შემდეგ, რაც თქვენი თავის შესახებ მიამბეთ, ალბათ, ამ ამბავს იმდენად ახლოს მიიტანთ გულთან, რამდენადაც იმსახურებს.

ჰოდა, აი მას, ნირგორს ჰყავს ერთი მეგობარი, უფრო სწორად ახლო ნათესავი, რომელიც ამჟამად სიკვდილის პირას არის. უკურნებელი სენი სჭირს და დიდი დღე აღარა აქვს... სულით და ხორცით ავადაა. თუმცა, საქმე ეს კი არ არის, მოკლედ რომ ვთქვათ, ის კაცი

უცოლშვილოა და არ იცის, რა უყოს თავის ქონებას. არც ისე ბევრი რამ გააჩნია: რაღაც ავეჯი, რამდენიმე ცუდი სურათი, ცოტაოდენი წიგნები... დაახლოებით ის, რაც ამ ოთახშია. მას არ სურს, რაიმე დაუტოვოს თავის ოჯახს; არ სურს, მისი ნივთები ისეთ ოჯახში მოხვდეს, სადაც თაყვანისცემის საგნები გახდებიან. ამიტომაც დაბეჯითებით მოითხოვს, რომ მთელი მისი ხარახურა გაიყიდოს აუქციონით, ქარმა წაიღოს. საცოდავს ეს იდეა აეკვიატა. მაგრამ მისი ნათესავები საკმაოდ მდიდრები არიან და, გარდა ამისა, შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ მის განზრახვას, ვინაიდან ჩამოთვლილ ნივთთა უმრავლესობა ძველი საგვარეულო რელიქვიაა. ამიტომ გადაწყვიტა თავისი ქონება უანდერძოს სრულიად გარეშე ადამიანს, რომელსაც ეს სარგებლობას მოუტანს ან წუთიერ სიხარულს მაინც მოჰგვრის.

— სწორედ ახლა მომაფიქრდა: ხომ არ შეიძლება მემკვიდრეობა თქვენ შემოგთავაზონ? დარწმუნებული ვარ, ის კაცი რომ პირადად გიცნობდეთ, თავადაც ეს აზრი დაებადებოდა. თქვენ სწორედ ისეთი ხართ, როგორიც მას უნდოდა ყოფილიყო: თავისუფალი. დამოუკიდებელი, უზრუნველი. არა, გეევედრებით, თუ ჩემს წინადადებაზე უარი უნდა მითხრათ, ნუ იტყვით ნურც ერთ სიტყვას. და, საერთოდ, კრინტსაც ნუ დავძრავთ ამაზე. როგორც უკვე მოგახსენეთ, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს... მევალეების გასტუმრებისა და სხვა ვალდებულებათა შესრულების შემდეგ რაღაც ორიათას კრონამდე თუ მოგროვდება.

„მთვრალია თუ რა“, — გაიფიქრა პერმა, მაგრამ გადაწყვიტა, კამათს აზრი არა აქვს და უმჯობესია ყოველივე ხუმრობაში ჩავატაროო.

— პი, ეს არ იქნებოდა ცუდი, — თქვა მან, — ფული ყოველთვის გამოდგება. ახლა კი დროა შინ წავიდე. ყველაფრისათვის მადლობას მოგახსენებთ.

— რატომ, რატომ მიდიხართ? დარჩით ცოტა ხანს მაინც... როგორი ბოლი დგას! მოდი, ფანჯარა გავაღოთ. — სწრაფად წამოხტა, ფანჯარა გამოაღო. ცივი ჰაერი შემოიჭრა ოთახში და ლამპიდან ალის ბოლიანი ენა გამოვარდა. — ჩამოჯექით, გეთაყვა. საუბარმა მოგვგვარა სევდა. ბოთლი ჯერ არ გამოცლილა, კარგი ღვინო კია.

მაგრამ პერი არ დაემორჩილა ამ შეგონებას. ხედავდა, რომ მისი მასპინძელი უფრო და უფრო იგზნებოდა და ამის ცქერა აძრწუნებ-

და. დაინახა, რა საშინლად გაუფითრდა ნირგორს სახე, გამოთხოვებისას შენიშნა, რომ ხელი ოფლიანი ჰქონდა და უკანკალებდა.

„რამდენი ახირებული კაცია ქვეყანაზე“ — გაიფიქრა მან, როცა ქუჩაში გამოვიდა, ახალი სიგარა გააბოლა და დინჯი ნაბიჯით გაიარა უკვე გაღვიძებული ქალაქის ქუჩები თავის სახლამდე. პერს გაახსენდა ღამის სცენა ფრიტიოფთან „ქვაბში“. საკმარისია ამ ხალხთან მარტო დარჩე, რომ ისინი უკვე აჩრდილებს ხედავენ. სამარის კარი იღება მათ ფეხქვეშ და ისინიც საკუთარ გვამთან გამოსათხოვარ სიტყვებს წარმოთქვამენ.

გარიჟრაჟის ნაცრისფერ ბინდში მეეზოვეები ქუჩას გვიდნენ. იღებოდა მეორეხარისხოვანი სამიკიტნოები, გაიღო თამბაქოს დუქანი. ფანრები ქრებოდა, მხოლოდ ფურნედან იღვრებოდა შუქი და დიდი ფანჯრების სარკმლიდან თბილი პურის სუნი მოდიოდა. ერთ-ერთ ასეთ ფანჯარასთან პერი წამით შეჩერდა და მიაჩერდა ვიღაც მკვირცხლ ქალიშვილს და ხაბაზის თანაშემწეს. ქალიშვილი კიბეზე იდგა და თაროებზე დიდრონ ღვეზელებს ალაგებდა, ხოლო ყმაწვილი ქვემოთ დახლზე იჯდა და ფეხებს იქნევდა. რა თქმა უნდა, პერს არ ესმოდა, რას ლაპარაკობდნენ, მაგრამ ყმაწვილი ისე გულღიად იცინოდა და ქალიშვილიც ისე ყასიდად უბრაზდებოდა, თან ფეხებით ბიჭის ხელებს იგერიებდა, სურათი უსიტყვოდაც გასაგები იყო.

პერმა გაიღიმა და მათ ადგილზე თავისი თავი და ფრუ ენგელჰარდი წარმოიდგინა. დიახ, თენდებოდა, სიცოცხლე ხელახალა იღვიძებდა და მშიერ კუჭზე სიყვარულის წყურვილი ეუფლებოდა ადამიანებს. საერთო გუნდს ფაბრიკების საყვირებმაც შეუერთეს ხმა. პერი მოწიწებით უსმენდა მათ. ჯერ ნერებრუდან მოისმა შორეული ხმა, მერე კი — კრისტიანსხავნიდან და ბოლოს ყოველი მხრიდან გუგუნად გაისმა ის ასხმიანი მამლის ყივილი, ახალი დროის ის ზარის რეკვა, რომელიც ოდესმე სამუდამოდ ჩამარხავს მიწაში სიბნელისა და ცრურწმენის აჩრდილებს.

თავი IV

აღწერილი მოვლენებიდან ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, ერთ ავდრიან საღამოს, ბინდში გრენინჰენის კუთხეში ტრამვაიდან გადმოვიდა ვიღაც გამხდარი რუხტანსაცმლიანი ბატონი. გასცდა ჰუსარულ

ყაზარმებს და გზა განაგრძო წაგოძელებული სამკუთხა მოედნით, რის შემდეგაც ნიუბოდერი იწყებოდა. ერთი ხელი ზურგზე შემოედო, მეორე კი მაგრად ჩაეჭიდა ქოლგის ტარისათვის, და თითქოს თავის ფეხის ხმას უწყობდა, მძიმედ აბჯენდა ამ ქოლგას ქვაფენილს. გაზომილი და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა ნიუბოდერის კვარტალში, ყოველ კუთხეში ფანრის სუსტ შუქზე ქუჩების სახელებს კითხულობდა.

როცა რამდენიმე ასეთ კუთხეს გასცდა და ის ქუჩა ვერ იპოვა, რომელსაც ეძებდა, თან ამ უდაბურ ადგილზე ერთი კაციც ვერ შენიშნა, რომ ეკითხა, ბატონმა ალალბედად პირველივე შესახვევში შეუხვია და მალე მთლად დაებნა გზა ერთნაირ უსასრულო პატარ-პატარა ქუჩებში, რომელთაგანაც ნიუბოდერი შედგება. დაბალი სახლების ყველა ფანჯარა მჭიდროდ იყო დახურული დარაბებით. მხოლოდ მრგვალ ან გულის ფორმის ამონაჭრებიდან ეცემოდა ქუჩას სინათლის სხივების წვრილი კონები. ფანრები კი აქ უფრო ნაკლებად ეკიდა, ვიდრე მოედანზე. თუმცა დარაბებს იქით სიცოცხლე დუღდა და გადმოდიოდა. ისე მკაფიოდ ისმოდა ლაპარაკი, ბავშვის ტირილი, გარმონის ხმა, რომ ქუჩაშიაც კი გაარჩევდით თვითეულ სიტყვას. იქ კარი გაიღებოდა და ღამისპერანგიანი ქალი ქოთანს წყალსადინარ არხში გადაღვრიდა, აქ ძაღლს გამოუშვებდნენ გასასეირნებლად, ანდა ზურგაბზეკილი კატების წყვილი სასიყვარულო დუეტს ასრულებდა.

რუხტანსაცმლიანმა ბატონმა რამდენიმე შემთხვევით გამვლელს ჰკითხა, როგორც იქნა, მოძებნა ხერტენსფრიუდჰადე და განაგრძო ძებნა. ასანთს აანთებდა და თვითეულ სახლზე კითხულობდა ნომერს, სანამ არ მიაგნო იმ სახლს, რომელშიც პერი ცხოვრობდა. ჯერ იყო და ცდილობდა ეპოვა ზარის სახელური, მაგრამ ვერ იპოვა, ძველებური რაზა კი შენიშნა. ბოლოს მიხვდა, როგორც იღებოდა ეს კარი და შეეიდა ვიწრო წინკარში, აქ ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. იქნებ ვინმე აქაური მაცხოვრებელი გამოვიდესო და ბატონმა რამდენჯერმე რიხიანად ჩაახველა.

პირველი სართულის ბინაში, სადაც გემის ახალგაზრდა ხურო ცხოვრობდა ოჯახით, კარი გაიღო. იქიდან გამოჩნდა ქალის სადად თმადავარცხნილი თავი. ქალს ხელში ჩვილი ბავშვი ეჭირა. ღია კარიდან გამოსულ სინათლეზე გამოჩნდა მოსულის ახალგაზრდა გამხ-

დარი ფერმკრთალი სახე, ჩაწითლებული თვალები და პატარა ქილვა-შები.

— მითხარით, აქ ხომ არ ცხოვრობს ბატონი სიდენიუსი? — არც მისალმებია, ისე იკითხა მან.

— აქ ცხოვრობს, უკანა ოთახში, მაგრამ შინ არ არის.

— ასე, ასე!.. თქვენ მისი დიასახლისი ბრძანდებით, ხომ მართალია?

— არა, ის ოლუფსენების მდგმურია, ისინი ზემოთ ცხოვრობენ... ახლავე დავუძახებ ქალბატონს.

ამ დროს მძიმე ნაბიჯებისაგან ციცაბო კიბის საფეხურები აჭრაჭუნდა და ქალბატონი ოლუფსენი, რომელიც მანამდე კარს უკან იდგა და ჩუმად უსმენდა ლაპარაკს, თუნუქის ლამპით ხელში მოაჯირზე გადმოეყუდა.

— ბატონს ბატონი სიდენიუსის ნახვა უნდა? — იკითხა მან.

— ჰოო, მაგრამ ის ხომ შინ არ არის, — უპასუხა უცნობმა, თითქოს ქალბატონი ოლუფსენის ბრალი იყო, რომ ტყუილად მოვიდა.— როგორ ფიქრობთ, ღირს დავუცადო?

— ვფიქრობ, არა ღირს. ახლახან წავიდა.

— როდის უფრო ნახავს კაცი?

— როგორ გითხრათ, ახლა იშვიათად არის ხოლმე შინ. საერთოდ კი საღამოხანს უფრო ნახავთ.

— გმადლობთ. ნახვამდის.

— რა გადავცეთ? — ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა ქალბატონმა ოლუფსენმა.

მაგრამ უცნობმა უკვე კარი გაიხურა, ქუჩიდან მოისმა მისი დინჯი ნაბიჯების და ქოლგის კაკუნის ხმა.

— ღმერთმანი, პასტორი იყო, — თქვა საგონებელში ჩავარდნილმა ხუროს ცოლმა. — რაში დასჭირდა ნეტავი ინჟინერი?

მაგრამ ქალბატონი ოლუფსენი სულაც არ იყო განწყობილი თავის მდგმურზე სამასლაათოდ. მან მოკლედ მოუჭრა: „ღამე მშვიდობისაო“, — და წავიდა.

ბოცმანი მაგიდასთან იჯდა, ცხვირზე ვეებერთელა ვერცხლის-ჩარჩოიანი სათვალე ჩამოეცვა და კითხულობდა თოთხმეტ ნაწილად გამოცემულ წარმტაც რომანს „გაქცეული მონა, ანუ დაღუპვა მალაბარსკის ნაპირებთან“. ყოველ ზამთარს გამოჰქონდა ეს წიგნი ბოც-

მანს ფრეკენ იორდანის ბიბლიოთეკიდან და წინანდებურად მღელვარებითა და გატაცებით კითხულობდა.

— სიდენიუსი ხომ არ უნდოდათ? — ისე იკითხა, წიგნიდან თავი არ აუღია.

— კი, — უპასუხა ქალბატონმა, მერე შემცივნულივით მოიბუზა, უფრო გაეხვია შალში, ღუმელში აქანდაზით ტორფი შეაყარა და საქსოვით ხელში სავარძელში ჩაჯდა. თავადაც და მისი ქმარიც ეს დღეები ვერ იყვნენ ლაპარაკის ხასიათზე. მოხუცები ტვინს იქყლეტდნენ იმაზე ფიქრით, ნეტავ რამ გამოცვალა ამ ბოლო დროს ჩვენი მდგმურიო, თანაც პერი უკეთესი არ გამხდარა. წინათაც ქეიფობდა ხოლმე, მაგრამ ეს ლოთობა, როგორც თვითონ უწოდებდა ხუმრობით ასეთ შეტევებს, სულ რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. ახლა კი, აგერ სამი კვირა იყო, თითქმის არც შემოუხედია შინ და თუ შემოიხედავდა, არც არავის დაელაპარაკებოდა, არც არავის გაიკარებდა. ყველაფრის უკმაყოფილო იყო, ერთხელ დაიმუქრა კიდეც, ამ ბინიდან გადავალო. საეჭვოა, რომ ეს ახალგზარდა შესაფერის საზოგადოებაში ტრიალებდა, თუკი მართალია ერთხელ რომ წამოსცდა, — პირადად ვიცნობდი მეფის მრჩეველს, ამ დღეებში რომ თავი მოიწამლაო. ამაზე ხომ ყველა გაზეთი წერდა.

მოხუცებს უკმაყოფილების მიზეზი სხვაც ჰქონდათ. ბოლო დროს პერი სრულებით არ იხდიდა ბინის ქირას, ეს კიდევ ცოტაა — ყოველდღიურად უნდა მოეგერიებინათ მომაბეზრებელი ხალხი — ზოგს ფეხსაცმლის მკერავისაგან მოჰქონდა ანგარიში, ზოგს — ტანსაცმლის მკერავისაგან. ყველას ვალი ემართა პერს.

— ვინ იყო, სიდენიუსთან ლაპარაკი რომ უნდოდა? — იკითხა ბოცმანმა ცოტა ხნის შემდეგ.

— არ ვიცი. მგონი ოდესღაც, დიდი ხნის წინ, უკვე მინახავს აქ. მახსოვს, სიდენიუსმა თქვა, სხვა სამყაროს კაციაო. მაგრამ შესახედად ამერიკელს არა ჰგავს.

პერი კი ამ დროს ფრუ ენგელჰარდს ისევ იმ ბნელ კუთხეში ელოდა, სადაც წინათ. ამჯერად გაცილებით მეტი საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, ქალი მოვაო. თუმცა მეჯლისის შემდეგ ერთხელაც არ შეხვედრიან ერთმანეთს. ქალმა მკაცრად აუკრძალა, ქუჩაში ნუ დამიდარაჯებ, და ნურც რაიმე სხვა გზით ეცდები ჩემთან შეხვედრასო. მაგრამ სწორედ დღეს მიემგზავრებოდა მისი ქმარი ლონდონში,

ხოლო გუშინ კი პერმა ხელმოუწერელი ღია ბარათი მიიღო, სადაც სულ ორი სიტყვა ეწერა: „ხვალ საღამოს“. პერმა სამართლიანად განსაჯა, ალბათ, ისევ იმავე ადგილას და იმავე დროს უნდა შეეხვდეთ ერთმანეთსო.

კაცმა რომ თქვას, პერმა დღეს დილითვე მიიღო სხვა უსტარიც, რომელმაც არანაკლებ ააღელვა, ვიდრე დიდი ხნის ნანატრმა პაემანმა. პერს თავზარი დაეცა, როცა ნირგორის რწმუნებულმა აცნობა, ჩემი კლიენტის უკანასკნელი ნების გამომხატველ წერილში ნაანდერძევი გაქვთ „თანხა, რომელიც მიღებული იქნება განსვენებულის მთელი ქონების აუქციონში გაყიდვის შედეგად, ამავე დროს ვადა და აუქციონის წვრილმანები ანდერძში ზუსტად არის დათქმულიო“.

„ანდერძი, — წერდა შემდეგ ადვოკატი, — საქმის არსის გამო ჯერ ვერ შევა ძალაში, რადგან ფორმის მიხედვით არ არის შედგენილი, მაგრამ რადგან განსვენებულის ორივე და, ესე იგი კანონიერი შემკვიდრეები, გათხოვილნი არიან ძალიან მდიდარ კაცებზე, არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ისინი — ამჟამად ორივე საზღვარგარეთ მყოფნი — გააპროტესტებენ მის განკარგულებას“. ზემოაღნიშნულის გამო, რწმუნებული, როგორც მიცვალებულის ანდერძის აღმსრულებელი, პერს სთხოვდა, თუ აქეთ მოხვდეთ, შემოიარეთ, საქმეზე ვისაუბროთო.

პერი თავს იტეხდა იმაზე ფიქრით, როგორ ჯობს მოვიქცეო. პირველად კიდევაც დაიბნა. მიუხედავად იმისა, რომ ბრმა რწმენა ჰქონდა, ბედნიერებასთან პირობა მაქვს შეკრულიო, მიუხედავად იმისა, რომ ფული თითქოს ციდან ჩამოუვარდა სწორედ იმ მომენტში, როცა განსაკუთრებით უჭირდა, პერს არაფრით არ შეეძლო თვითმკვლელის სიკვდილწინა ახირება ზეციურ დახმარებად ჩაეთვალა. მეორე მხრივ, არ შეეძლო უარი ეთქვა დიდ თანხაზე, რომლის წყალობითაც ფული კარგა ხანს აღარ გაუჭირდებოდა, ნასესხები ფული უკვე ელეოდა, ხოლო ტანსაცმელზე დახარჯული თანხის უდიდესი ნაწილი აქამდე არ გადაეხადა.

...მაგრამ აი გვერდით ქუჩიდან ამოყურყუმელავდა დახურული კარეტა. ვიღაცამ ბაცი ფერის ხელთათმანიანი ხელი დაუქნია ფანჯრიდან. პერი მივარდა, გააჩერა კარეტა, გამოაღო კარი, დაუსახელა ძეეტლეს პირველი კლასის რესტორანი კუნგენს ნიუტორვზე და კარეტა დაიძრა.

სანამ რესტორანში მივიდოდნენ, პერს უკვე გული გაუტყდა. ის იმედოვნებდა, რომ ვინ იცის, სირცხვილით და შიშით აწითლებულ-აკანკალებული, აღგზნებული და აღელვებული ქალი თავის თბილ ქურქში იმალებაო და მოუმზადა კიდეც ისეთი სათქმელი, რომ მისი მოკრძალება დაეძლია, მაგრამ მაცდურის ოსტატობა სრულებითაც არ დასჭირვებია. ვერც კი მოასწრო კარეტაში შესვლა და ყურადღებისათვის მადლობის გადახდა, რომ ქალი, ნამდვილი ქუჩის როსკიპივით, მუხლებზე ჩამოუჯდა და ისე ვნებიანად ჩაეკრა, პერს სული შეუგუბდა.

თუმცა, როცა გაკაშკაშებული რესტორნის კიბეზე ადიოდნენ, ქალმა სახეზე პირბადე ჩამოიფარა, მაგრამ როგორც კი უფროსმა ოფიციანტმა ცალკე კაბინეტამდე მიაცილა, ოფიციანტებთან არ დაურცხვენია. მანტო და შლიაპა მოიხადა და ვიდრე შეუჩვეველი პერი დაბნეული აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, ქალი მთლად მოშინაურდა—სარკის წინ თმა გაისწორა, ხელთათმანი გაიხადა და ისე მიუჯდა გაშლილ სუფრას, მთელი დივანი დაიკავა.

პერს ხმა არ ამოუღია, ქალის პირდაპირ დაჯდა. მიხვდა, ფრუ ენგელჰარდი პირველად არ იყო ასეთ ადგილას. შეეძლო დაეფიცა კიდეც, რომ მათ დანახვაზე ოფიციანტს ოდნავ შესამჩნევად ჩაეღიმა, თითქოს ძველი ნაცნობი დაინახა.

— რატომ მიყურებთ ასე? — ჰკითხა ქალმა, როცა მარტო დარჩნენ. თავი კეკლუცად გადახარა და გოგონასავით გაიღიმა. — პირდაპირ თვალს არ მაცილებთ!.. იქნებ ტუალეტი არა მაქვს წესრიგში?

თქვა ეს და შეხედა თავის მკერდს, ოთხკუთხა დეკოლტე რომ ველარ იტევდა. ძალზე ვიწრო შავი კაბა ეცვა, მაღალი მკერდი და ქალიშვილივით წვრილი წელი ჰქონდა.

— მიპასუხეთ ბოლოს და ბოლოს! რა დათვი ხართ! კიდევ რა არ მოგწონთ? მიგბეგვავთ ახლა, — და რომ სასროლი ჰქონოდა რამე, მაგიდის მოსართავ თაიგულს წითელი კენკრა მოაწყვიტა. ამასობაში პერმა მზერა მის ხელებზე გადაიტანა და აღგზნებისაგან გაფითრებული ტკბებოდა მათი სასიამოვნო სიმრგვალით, თეთრი, ნაზი მოქნილი თითებით, ფრჩხილების სადაფისებური პრიალით და ნამცეცა ჭდეებით, რომლებიც კოცნას მოწყურებული პაწაწინა ტუჩებივით ყოველ მოძრაობაზე ხან გაიშლებოდნენ, ხან მოიკეცებოდნენ ვარდისფერ სახსრებზე. პერმა დაიჭირა ქალის ნასროლი კენკრა, მისი

ხელიც უნდოდა მიეზიდა და ტუჩებით დაჰკონებოდა, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და ორმა ოფიციანტმა ვახშამი შემოიტანა.

სირჩები შამპანურით აავსეს, საჭმელები დაალაგეს. როდესაც კვლავ მარტონი დარჩნენ, პერმა სირჩა ასწია და ქალის სირჩას მიუჯახუნა. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე. ცუდი განწყობილება გაქრა. ნეტა ერთი, კაცმა რომ თქვას, რა ესაქმება პერს ამ ქალის წარსულთან? რაც მთავარია, ახლა ქალი მას ეკუთვნის, ის მისი საკუთრებაა, მისი ნადავლი...

ჩაროზის დროს პერმა ნირგორის თვითმკვლელობაზე ჩამოაგდო სიტყვა. თქვა, შეიძლება ნირგორი სულით ავადმყოფი კაცი იყოო და დაუფარავად უამბო, რაზედაც საუბრობდნენ იმ ღამეს ნირგორის ბინაში, როგორ საშინლად ღელავდა ნირგორი, როცა ფაქტიურად უანდერძა მთელი თავისი ქონება, პერი კი სულ ვერაფერს მიხვდა. ისიც უამბო, ჩემამდე მოვიღა ამბავი, თითქოს მთელ ამ ისტორიაში ვიღაც ქალი ურევიაო. ერთ ჩემს ნაცნობს განსვენებულის სახლის პატრონებმა უთხრეს, ნირგორთან რამდენიმე წლის განმავლობაში დადიოდა ვიღაც პირბადიანი ქალი და, ალბათ სწორედ ის ქალი იყო, დასაფლავების წინ სამლოცველოში რომ შეიპარა და კუბოს ვარდები დააყარაო.

პერი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, ფრუ ენგელჰარდი კი ჩაფიქრებული იჯდა, ნიდაყვი მაგიდაზე შემოედო და ნეკ თითს სირჩის ნაპირებს უსვამდა. სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს სულაც არ აინტერესებდა, მაგრამ ზრდილობის გულისათვის უსმენდა მეტისმეტად გრძელ და მოსაწყენ ამბავს. მხოლოდ მაშინ, როცა პერმა ნირგორის წარსულის ჩიჩქნა დაიწყო და გადმოალაგა ცნობები, თუ როგორ უარყო ნირგორმა დიპლომატის კარიერა, ფრუ ენგელჰარდს აშკარად დაეტყო ნერვიულობა. ქალმა ლარნაკიდან ყურძნის მარცვალი აიღო, ღვინოში ჩააწო და დაუწყო წუწნა, მერე მოიბოდიშა და სიტყვა შეაწყვეტინა, სულ სხვა რაღაც ჰკითხა, რაც „უცბად მოუვიდა თავში“, მერე სთხოვა, ოფიციანტს უხმე, მალე მოიტანონ ყავაო. ხოლო როცა დაინახა, პერი არ აპირებდა ასე იოლად დაეთმო თავისი თემა, მტკიცედ წამოდგა. თქვა: „გმადლობთ კომპანიისთვისო“ და ღია როიალთან მივიდა.

— რა დაგიკრათ? — ჰკითხა და ინსტრუმენტის შესამოწმებლად თითები სწრაფად აათამაშა კლავიშებზე. — ეს იცით? — და დაიძ-

რა ყალბი ბგერების ტალღა როიალის წიაღიდან. — „ტყის სიზმარი“ — გადასძახა ხმაურში აშკარად თავისი თავით კმაყოფილმა.

მაგრამ პერი ჩაფიქრებული იყო და ხმას არ იღებდა. ანცვიფრებდა, რომ ეს ქალი არ ამჟღავნებდა არავითარ ინტერესს იმ უბედურისადმი, ვინც მისი ახლო მეგობარი, მისი მორჩილი თაყვანისმცემელი, სულ რომ არაფერი, თვითმკვლელობამდე ერთი ღამით ადრე მისი კავალერი იყო მეჯლისზე. ბნელი, ბუნდოვანი ეჭვი ჩაუძვრა სულში. იქნებ ნირგორი ქალისთვის თაყვანისმცემელზე მეტი იყო? იქნებ ეს გულგრილობა მოჩვენებითია? მაგრამ თავისი ეჭვების განსჯა ვერ მოასწრო. მისი დუმილით აღელვებულმა ფრუ ენგელჰარდმა შეწყვიტა დაკვრა, ადგა, პერს კისერზე ხელები შემოხვია და თავი უკან ისე გადაუწია, რომ მათ თვალებში ჩახედეს ერთმანეთს. არა, არა, ეს შეუძლებელია, გაიფიქრა პერმა, როცა მისი ღიმილი დაინახა, ვნებიან, დამათრობელ კოცნათა ზვავი გადმოეფრქვია შუბლზე, თმებზე, თვალებზე... ქალის ტუჩებმა ბოლოს მოძებნეს პერის ტუჩები და ისე ღაიფრინდნენ, თითქოს უნდოდათ მთელი საუკუნე არ მოსწყვეტოდნენ.

მთელი ღამე პერი ნომერში იწვა, ნახევრად სიბნელეში, თვალი არ მოუხუჭავს, კიდევ ბევრჯერ ეწვია შავბნელი ეჭვი და კოშმარად დააწვა. ფიქრებით ისევ ნირგორის ოთახში იყო იმ უკანასკნელ ღამეს, იხსენებდა ნირგორის სიტყვებს, რომელთაც მაშინ არავითარი მნიშვნელობა არ მისცა და მკაცრი სინამდვილე თავიდან ბოლომდე ცხადი გახდა მისთვის — ეს ქალიც, ახლა რომ მშვიდად სძინავს მის გვერდით, — ნირგორის მიერ ნაანდერძევი მემკვიდრეობაა. უფრო მეტიც. ეს ქალი იყო იმ უბედურის „ბედისწერა“ და მისმა უმადურობამ ჩაიყვანა ნირგორი საფლავში.

თავად პერიც ხომ ამ ქალის თანამონაწილეა!

მის აგზნებულ თვალებს მოეჩვენა, თითქოს განსვენებულის აჩრდილი უხმაუროდ დასრიალებდა ოთახში. სიბნელეში ხან იქ, ხან აქ გამოჩნდებოდა მელოტი თავი და თვალები ჩვეული დამცინავი სევდით შეხედავდნენ. გვერდით კი, აქ, მკვლელი იწვა. ეს ქალი იყო, სამლოცველოში რომ შეიპარა და კუბოს ვარდები დააყარა. მერე როგორ მოხდა, რომ მას ტკბილად სძინავს, როგორც ბავშვს აკვანში და ასე წყნარად, მშვიდად სუნთქავს... მისი ქმარი აბობოქრებულ ზღვაში მიჰქრის, მისი საყვარლის გვამი ჯერ არ დაფერფლილა, ამას

კი სხვის მკლავებზე სძინავს. გვერდით პერი უწევს, თავისივე თანამონაწილე!

ზიზღმა და ძრწოლამ აიტანა, აღარ შეეძლო აქ დარჩენა. უნდა ადგეს, უნდა წავიდეს!

ამ დროს ფრუ ენგელჰარდი ლოგინში მძიმედ გადაბრუნდა, თავზე ხელები შემოიწყო და ნამძინარევი ხმით იკითხა:

— უკვე ადექი?

პერს არ უპასუხია. ამ ქალის ხმის ბგერაც კი ჟრჟოლას ჰგვრიდა. ფრუ ენგელჰარდი შეეცადა თვალები გაეხილა, მაგრამ ვერ შესძლო. ჩაიღიმილა და ხელახლა დაიძინა.

პერი აჩქარდა, გადაწყვიტა უხმაუროდ, გამოუმშვიდობებლად წასულიყო. უმჯობესია, კარისკაცს დაუტოვოს ბარათი, რომელშიც მხოლოდ ერთი, ყველაფრისამხსნელი სიტყვა ეწერება: „ნირგორი“.

მაგრამ როცა ჩაიცვა და წასვლა დააპირა, მისი მზერა ქალის ნახევრადშიშველ სხეულს მოხვდა. ქალს ულამაზო პოზაში ეძინა, ზურგზე მწოლიარეს ხელები თავზე შემოეწყო და ცალი მუხლი აეწია. პერანგის წვრილი საბეჭურები მხრებიდან ჩამოსწეოდა და ვეებერთელა განთხეული მოყვითალო-თეთრი მკერდი გაშიშვლებოდა. ბალიშზე უწესრიგოდ ეყარა მისი შავი თმა, თავი გადასწეოდა, სახეზე დაღლილობისაგან ფერი მიხდოდა.

პერს გული გადაუქანდა, ფეხებში საზიზღარი სისუსტე იგრძნო, მძინარისთვის თვალი ვერ მოეწყვიტა. თუმცა ზიზღსა და ძრწოლას აეტანა, ეს ხელები, ეს განთხეული მკერდი, ეს ნახევრად ღია ტუჩები, კოცნისაგან ჯერ ისევ რომ წითლად ღვიოდნენ, თავშეუკავებლად იზიდავდნენ. შეეშინდა თავისი თავის. წინათ პერი ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს და გაორებას არ იცნობდა და ქალს მხოლოდ უხიფათო სათამაშოდ თვლიდა. ახლა ძრწოდა შავბნელი ძალის წინაშე, რომელმაც ისე გაფანტა ბედისწერა და სურვილები, როგორც ქარი გაფანტავს ხოლმე მტვერს. აი ისიც ჩაება დემონებთან ბრძოლაში, რომელთა არსებობაც არ სჯეროდა და რომელთაც ქედმაღლურად დასცინოდა. სადღაც, მისი შეგნების სამალავში მამის მბრძანებლურ ხმასთან ერთად გაცოცხლდნენ თითქმის მივიწყებული სიტყვები: „ბნელეთის ძალა“ და „ეშმაკის მზაკვრობა“ და პერს სახე გაუფითრდა.

ფრუ ენგელჰარდი დაეინებულმა ცქერამ გააღვიძა, დიდი თაფლისფერი თვალები გაახილა, შუბლიდან თმა გადაიყარა და ლოგინიდან წამოიწია.

— რა მოხდა! რატომ ხარ ჩაცმული?

პერმა არაფერი უპასუხა.

— უკვე დილაა?

პერი კვლავ დუმდა.

— რა მოხდა მაინც? ავად გახდი?

— არა... ჯერ არა.

— ჯერ არა? რას ნიშნავს ეს? რაღაც უცნაურად მიცქერი. რა მოგდის?

— მე მინდოდა... მე მეშინია ავად არ გავხდე... სასიკვდილოდ არ გავხდე ავად. ნირგორსავით.

თითქოს ელვამ გადაურბინაო ქალს სახეზე. მაგრამ მაშინვე გაიღიმა და მიუხედავად იმისა, რომ მკვდარივით გაფითრდა, წყნარი, მშვიდი ხმით უთხრა:

— რას ბოდავთ? რა შუაშია აქ ავადმყოფობა... თქვენი მეგობრის ავადმყოფობა? წესიერად მოიქეცით.

— ძალიან მოხარული ვარ, რომ ვერ გაბედეთ მისი სახელის ხსენება ასეთ ადგილზე. მაგრამ სწორედ ამან გაგცათ. ვეცდები უფრო გარკვეულად გითხრათ სათქმელი. სანამ თქვენ გეძინათ, მე მივხვდი, — სულ ერთია, თუ რა გზით, — რომ თქვენ ნირგორის საყვარელი იყავით და რომ თქვენმა თვალთმაქცობამ და ღერაგობამ აიძულა თავი მოეკლა. ახლა გამიგეთ?

ქალმა თავი დახარა და აკანკალებული ტუჩი მოიკვნიტა.

— გაეთრიეთ აქედან! — თქვა მან ჩუმად, მაგრამ მბრძანებლურად და ზეწრის ბოლოთი შიშველი მკერდი დაიფარა. — გაეთრიეთ აქედან, თქვენ გეუბნებიან! — ყოველი ვიგინდარა და სოფლელი ყეყეჩი დაიწყებს აქ...

პერმა წინ წაიწია, რათა პირდაპირ პირში მიეძახებინა მისთვის „კახპაო“, მაგრამ დროზე გამოერკვა. საკუთარი დანაშაული იგრძნო და გაჩუმდა. სიტყვის უთქმელად მოტრიალდა და გავიდა.

ქვემოთ მან გააღვიძა კარისკაცი და ანგარიში მოსთხოვა. ფულის გადახდის დროს კი გაიფიქრა, ულაპარაკოდ უნდა მივიღო ნირ-

ჭორის მემკვიდრეობაო. მერე პირქუში და უკაცრიელი ქუჩებით შინისკენ გაეშურა.

ეს შუაღამისას მოხდა, იმ მოკლე შუალედში, როცა ქუჩები დაცარიელებულია და შემთხვევითი გამვლელის მოგუგუნე ნაბიჯებს სახლების კედლებიც კი ეხმაურებიან. კაფეებიდან იფანტებოდნენ უკანასკნელი ჭოტები, წესრიგის მცველი თავის კოლეგებთან სალაყბოდ წასულიყო და მხოლოდ ქურდებს და საკმაოდ ცნობილი შესახვევების დაგვიანებულ სტუმრებს არ ეძინათ ჯერ.

რომელიღაც ბატონმა, პალტოს საყელო რომ აეწია და შლიაპა თვალებზე ჩამოეფხატა, ერთი ასეთი შესახვევიდან თავი გამოყო. მან და პერმა ფარანთან აუარეს გვერდი ერთმანეთს. პერი დასცინოდა ხოლმე, რა გამომწვევი და თანაც დარცხვენილი შესახედაობა აქვთ ამ ცოდვილთ, როცა მალვით მიიპარებიან შინაო და ახლა პირი იბრუნა, რომ არიდებოდა ამ სანახაობას. თავისი თავიც წარმოიდგინა, ალბათ მე როგორღა გამოვიყურებიო და ძალა აღარ ეყო საკუთარი ორეულისთვის, ამ თავისი შერცხვენის ანარეკლისთვის შეეხედა.

ბოლოს, როცა ხენტენსფრიუდჰადეზე პაწაწინა ოთახებში აღმოჩნდა, სადაც ამ ბოლო დროს ყველაფერი აღიზიანებდა, პერმა უეცრად საოცარი კმაყოფილება იგრძნო. ეს იყო მოსვენებისა და დამშვიდების უჩვეულო გრძნობა. სწრაფად გაიხადა ტანზე, შეძვრა ლოგინში, მოხერხებულად მოეწყო და გაიხსენა, როგორ ყოფდა თავს ბავშვობისას ბალიშქვეშ, მას მერე, მოხუცი ცალთვალა გადია სიბნელეში საშინელ ზღაპრებს რომ უამბობდა ხოლმე.

* * *

რამდენიმე საათის მოუსვენარი ძილის შემდეგ პერი გააღვიძა შოშიას გალობამ, რომელიც ბაღში გამავალ ფანჯრიდან ისმოდა. ფრინველს ხმაზე შეატყო, რომ მზიანი დღე დამდგარიყო, მაგრამ ადგომა აზრადაც არ მოსდიოდა. ერთი რომ, დაღლილი იყო. მეორეც, რატომ უნდა ამდგარიყო? ლოგინში მშვიდად წოლა ჯობდა, მაინც არსად ეჩქარებოდა.

ჯერ კიდევ ბურანში მყოფს მყისვე კომოდის ზედა უჯრა მოაგონდა და კედლისაკენ იბრუნა პირი, იქნებ ხელახლა დამეძინოსო.

მაინც ვერ დაიძინა. რრგორც კი ბედუკულმართი ნახაზები გააზსენდა, მაშინვე ძილი გაუფრთხა — დაიწყო ლოგინში გორაობა,

თავქვეშ ხელები შემოიწყო და მიაშტერდა დაბალ ფუტურო ჭერს, რომელზეც ბუშტებივით ამობურცულიყო ზეთის საღებავი. ახლა დასვენებულს გაახსენდა, რა ჩაიდინა წუხელ და უხერხულობა იგრძნო. არა, ძალზე ყმაწვილურად ეჭირა თავი. და საერთოდ, კაცმა რომ თქვას, ფრუ ენგელჰარდის კატეგორიის ქალებიც კი მამაკაცებისაგან მეტ პატივისცემას მოითხოვენ.

ადგა და ყავა დალია. ახლა უკვე დარწმუნებული იყო, რომ დიდი სისულელე ჩაიდინა — მეტისმეტად სერიოზულად მიიღო მთელი ეს ამბავი, მეტისმეტად გაცხარდა. ნეტავი სიმთვრალით ხომ არ მოუვიდა?

შინ ყოფნის სიამოვნება დიდი ხანია არ განეცადა და არც ახლა გრძნობდა. პერმა ჩიბუხი გააბოლა, ხმარებისაგან მთლად გაცვეთილ სარწეველაში ჩაჯდა და მეზობელ სახლებს გააყოლა თვალი. ღობის იქით მოჩანდა მეორე სართულის საზეიმო დარბაზების ფანჯრები. ერთ-ერთ ფანჯარაში დაინახა დედა და ორი ლოყაწითელი პავშვი. დედა წინდებს კერავდა, ფანჯრის თაღზე კი კედელზე ჭივჭავის მწვანე გალია ეკიდა. პერი ჯერ ვერ მიხვდა, რამ მიიზიდა მისი ყურადღება. ნამდვილად კი სწორედ იმ უშფოთველი, პატარა, ყოველდღიური ბედნიერების სურათმა მოხიბლა, რომელიც ამდენი წლების მანძილზე ყოველდღე შეეძლო დაენახა. დღეს ამ სურათმა მისთვის რაღაც ახალი ელფერი შეიძინა, თითქოს პირველად ხედავდა.

კარზე დაკაკუნებამ შეაკრთო.

შემოვიდა ქალბატონი ოლუფსენი და აცნობა, გუშინ საღამოს ვიღაც ბატონი გკითხულობდაო.

— ვინ ბატონი?

— რა მოგახსენოთ. მაინცდამაინც კარგი გარეგნობისა ვერ გაჭლდათ. მე მგონია, ის კაცი თქვენთან ადრეც არის ნამყოფი.

რომელიმე კრედიტორი იქნებოდაო, იფიქრა პერმა და საკითხი ნირგორის მემკვიდრეობის შესახებ ხელახლა დადგა მის წინაშე. აქვს თუ არა უფლება ასეთი გაჭირვების დროს ფულზე უარი თქვას?

ქალბატონი ოლუფსენი თავისი მაღალი, ზორზოხა ტანით კვლავ კარში გახიდულიყო. სათქმელი ჯერ ბოლომდე არ ეთქვა.

— გარდა ამისა, მინდოდა გამეგო, რა გადაწყვიტეთ. რამღენადაც მახსოვს, ამბობდით, თქვენგან გადასვლა მსურსო.

შემკრთალმა პერმა გაიღიმა.

— ეს მე ისე, ხუმრობით წამოვაყრანტალე. ქალბატონო ოლუფსენ, დავრჩები აქ, თუკი, ცხადია, თქვენ არ მეტყვით უარს.

— აბა რა... ცხადია... თუ ჩვენ...

— თქვენ მაინც რაღაც გაწუხებთ... კი, კი, შეესანიშნავად მესმის. მე მთლად ხელიდან წავედი ამ ბოლო დროს. მაგრამ მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს. ღმერთო ჩემო, ქალბატონო ოლუფსენ, რა მოხდა? რატომ გამოწყობილხართ დილიდანვე? ზიარებაზე ხომ არ მიბრძანდებით?

— არა, ნუთუ არ იცით? გუშინწინ შკიპერი მორტენსენი ქალაქში დაბრუნდა. დღეს ნასადილევს მასთან წასვლას ვაპირებთ.

— მეც წამოვალ! გემის ქიმზე შევხვდეთ ერთმანეთს. ძალიან მინდა იმ ახირებული მოხუცის ნახვა.

— სერიოზულად ამბობთ? არა მგონია ახლა ამან სიამოვნება მოგგვაროთ.

— სისულელეა, ქალბატონო ოლუფსენ, პირწმინდა სისულელეა! არ ღირს ასე უცებ გაყოყლოჩინება. ეროი სიტყვით, გემის ქიმზე შევხვდებით ერთმანეთს. გასაგებია?

ქალბატონ ოლუფსენს უნებურად გაეცინა; გული სულაც არ ჰქონდა მხიარული, მაგრამ როცა პერი ასეთ გუნებაზე იყო, თავს ვერ იკავებდა.

— დიახ, დიახ, — უთხრა მან, — ხომ იცით. მორტენსენს ყოველთვის უხარია თქვენი ნახვა. თქვენ რომ დაგინახავთ, სახე გაუბრწყინდება ხოლმე. შეყვარებულია თქვენზე.

შკიპერი მორტენსენი ამ ოჯახის ძველი მეგობარი იყო. ფლენსბურგში ცხოვრობდა, მაგრამ წელიწადში ორჯერ ჩამოდიოდა კოპენჰაგენში და გასაყიდად ჩამოჰქონდა ყველი, კარაქი და ლორი. მთელ ამ ხორაგს ძეხვეულის ნაწარმის დიდ მაღაზიებს აწვდიდა, ცოტასაც ახლო ნაცნობების ვიწრო წრეს არგუნებდა ხოლმე.

ბოცმანს ჩვეულებად ჰქონდა დაწვრილებით შეესწავლა „ტელეგრაფენის“ ის გვერდი, რომელიც დათმობილი ჰქონდა ნაოსნობის საქმეს და თუ ამოიკითხავდა, კარჭაპი „კარენ-სოფი“ მშვიდობიანად გასცდა საბაჟო სადარაჯოს და ღუზა ბირჟასთან ჩაუშვაო, ერთ მღელვარებაში იყო, სანამ ზუსტად არ დაადგენდა შეხვედრის დღეს და საათს და სანამ ტრინეს არ აფრენდა ქალაქში, რომ ახალგაზრდა დიდრიკსენისთვის შეეტყობინებინა ეს ამბავი. მეეტლე დიდრიკსენის

ოჯახის მეგობართა რიცხვს ეკუთვნოდა, სტურე ბრენდესტრედეზე ცხოვრობდა და აი უკვე რამდენი წელიწადი იყო, ასეთ შემთხვევებში მოხუცებს მოკრძალებით სთავაზობდა თავის სამსახურსაც და თავის ეტლსაც.

ასე იყო დღესაც — სრულ სამ საათზე დიდრიკსენი სახლს მოადგა ისეთი გაკრიალებული და მორთული თავგადახურული ეტლით, თითქოს ეს ეტლი განკუთვნილი იყო რომელიმე მდიდარი ვაჭრისთვის, რომელიც ღვთისმშობლის ეკლესიაში ჯვარის დაწერას აპირებდა. დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებიათ, ეტლის ირგვლივ შეკრებილმა ათიოდე ბავშვმა და მოზრდილებმაც, რომლებიც კარებებიდან და ფანჯრებიდან ტკბებოდნენ საზეიმო პროცესიით, თავიანთი ბრწყინვალებით მოსილი ღრმადმოხუცი ცოლ-ქმარი დაინახეს. ქალბატონ ოლუფსენს ვენური შალი წამოესხა და ვეებერთელა იასამნისფერი მტევნით გაწყობილი შლიაპა ეხურა, ბოცმანს თავისი ყველაზე ძვირფასი კოსტუმი ჩაეცვა. ეს კოსტუმი სამკვდროდ ჰქონდა შენახული, ზედ ოცდახუთი წლის უმწიკვლო მუშაობისთვის მიღებული მედალი და ვერცხლის ჯვარი ეკეთა და დროდადრო გახსნილი პალტოდან უბზინავდა.

ვიდრე ქალაქში მიდიოდნენ, ვინც შემოხვდათ, ყველა თვალებდაჭყეტილი უცქერდა მოხუცი ბოცმანის წარჩინების ნიშნებს. როცა იჯდა ეს მედიდური ჭაღარა მოხუცი და ხელები ქოლგის ძვლის ტარზე ჰქონდა შემოწყობილი, ბევრს ეგონებოდა, რომელიმე ძველი ადმირალიაო, რომელმაც თავი გამოიჩინა საუკუნის დასაწყისში, — უდაოდ ასე ეგონებოდა, კოფოზე ახალგაზრდა დიდრიკსენი რომ არ მჯდარიყო. დიდრიკსენი ამაყობდა, ნახეთ, რა მგზავრები მიმყავსო, წამდაუწუმ მიტრიალდებოდა უკან და ყველას გასაგონად შინაურულად გამოელაპარაკებოდა ხოლმე მათ.

ჯერ მთელი ძველი ქალაქი შემოიარეს, დაათვალიერეს ახალი სახლები, ყველგან რომ გაჩნდნენ ამ ბოლო დროს, ციხის სანგრის ნანგრევები და ახალი ორსართულიანი ომნიბუსები, რომლებიც ესტერჰადეს საშინლად ვიწრო ქუჩებში ისე მოჩანდნენ, გეგონებოდათ, ზურგზე მხედრებშესმული სპილოებიაო. კუნგენს ნიუტორვის შემდეგ არხისკენ მობრუნდნენ, წამით შეჩერდნენ ხოლმენსკის ეკლესიის წინ, სადაც ორმოცდათორმეტი წლის წინათ დაიწერეს ჯვარი მოხუცებმა, მერე კი ბირჟის ნავმისადგომისკენ დაიძრნენ.

პერი უკვე იქ იყო. „კარენ-სოფის“ ქიმიდან დაუქნია ხელი მათ. მოაჯირზე მიყრდნობილი იჯდა. ცოტა არ იყოს, მოთენთილი იყო და შემოდგომის მზის სხივებზე ნებივრობდა, ჭაღარა ფართოწვერიანი მოხუცი შკიპერი კი ამასობაში ნაპირზე ჩავიდა, რომ სტუმრებს შეგებებოდა.

ღია ტრიუმის წიაღში, ანუ ხატოვნად რომ ვთქვათ „კარენ-სოფის“ მუცელში, სადაც ვიწრო კიბე ჩადიოდა, თავისებური საწყობი იყო მოწყობილი. ამ საწყობში ძეხვეული, დაშაშხული ცხვრის ფერდები და წისქვილის ქვისოდენა ყველისთავები დროდადრო იდუმალ ბინდ-ბუნდში ალადინის მიწისქვეშეთის განძივით გაიელვებდნენ. პერისა და შკიპერის დახმარებით ქალბატონი ოლუფსენი კიბით ქვემოთ ჩაეშვა. მას მიჰყვა ბოცმანი, მაგრამ როგორც ძველმა ზღვის მგელმა, უარი თქვა ყოველგვარ დახმარებაზე, რის შედეგადაც პირველსავე საფეხურზე წაბორძიკდა და შკიპერს მისთვის თავისი მკლავები რომ არ მიეშველებინა, უეჭველად კისერს მოიტეხდა. მიუხედავად ამისა, ბოცმანი უმოწყალოდ დასცინოდა ახალგაზრდა დიდრიკსენს, როცა მან ყველანი წინ გაუშვა, თავად კი უკუსვლით ფრთხილად დაუყვა კიბეს და თვითეულ საფეხურს ფეხით სინჯავდა. „გეგონება, ტილი მიცოცავს სავარცხელზეო“ ომახიანად წამოიყვირა ბოცმანმა, გაახსენდა დანიის ფლოტში ქრისტიან IV დროს ხმარებული გამოთქმა.

საქონლის საგულდაგულო შერჩევას, გემოს გასინჯვას, აწონას და ვაჭრობას ნახევარი საათი მოუნდნენ, მერე გარიგდნენ და საქონელი გემბანზე აიტანეს. აქ შედგა ცერემონია, მემოქლონე ფუსის ხუმრობასავით წლიდან წლამდე უცვლელად რომ მეორდებოდა. შკიპერმა მორტენსენმა კაიუტის კარი გააღო და სტუმრები თავისთან მიიწვია. ქალბატონი ოლუფსენი საშინლად გაჯიუტდა, „რის გულისთვის ნეტავო?“ ბოცმანმაც გადაჭრით უარი თქვა, „ისედაც ძალიან ბევრი დრო წავართით ჩვენს მეგობარსო“. მხოლოდ ჭაბუკმა დიდრიკსენმა, რაკი ცერემონიის ყოველი წვრილმანი ზეპირად იცოდა, მშვიდად გამოიღო პირიდან საღეჭი თამბაქო და ჟილეტის ჯიბეში ჩაიდო.

მალე მთელი საზოგადოება პატარა მყუდრო კაიუტაში მოეწყო, მაგიდა ისეთი სანოვაგით იყო სავსე, მოხუცებს მთლად დაავიწყდათ მორცხვობა.

პერი საოცრად კარგად გრძნობდა თავს ამ უბრალო ადამიანებთან. არსად და არასოდეს ასე მადიანად არ უჭამია, აქ სუფრაზე მოჰქონდათ უამრავი ძეხვეული, არაყი და ლუდი. არსად ასე გულიანად არ უმასლაათნია, როგორც ამ ალალ, ძხიარულ ადამიანებთან. აქ პერი ის პერი არ იყო, რაც „ქვაბში" — უენო და კრიტიკულად განწყობილი დამკვირვებელი. აქ ის გაცხარებით მსჯელობდა აინდზე და ტორფის ფასზე, რეისებსა და პორტის კომენდატურაზე.

როცა დანაყრდნენ, მაგიდაზე ჩაი და ერთი ბოთლი რომი გაჩნდა, ლაპარაკი ჩამოვარდა ომის წლებზე და ომისშემდგომ სიძვირეზე. პერს ძალიან ბუნდოვნად ახსოვდა მტრის შეჭრა პასტორის სახლში, როცა ეზო და სახლი ჯარისკაცებით და ცხენებით აივსო, ხოლო ოჯახი ძლივძლივობით მოთავსდა რამდენიმე პატარა ზემოთა ოთახში. მაშინ პერი შვიდი-რვა წლისა იქნებოდა, ეს ამბები გართობა ეგონა, და ვერ გაეგო, შინ რა ატირებდათ. სამაგიეროდ სამხრეთ იუტლანდიის მკვიდრმა შკიპერმა მორტენსენმა ნამდვილი ომის ქარცეცხლი გამოიარა და ახლა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა შავი ფერებით დაეხატა მთელი ის საშინელება, რომელთა მოწმეც თავად იყო სამოცდაოთხში და სამწლიან ომში. უფრო მეტად ის სიამოვნებდა, რომ ქალბატონი ოლუფსენი წარამარა ყურებში თითებს იცობდა და ომს საზიზღარ გამონაგონს უწოდებდა.

ყოველივე ამან ობერ-ბოცმანი შეაგულიანა. ყოველთვის, როცა ცოტას გადაჰკრავდა, მასში მებრძოლის ბუნება იღვიძებდა. ჯერ კიდევ სამოცდაოთხში უკვე პენსიაზე იყო და პირველ ბრძოლაშიც არ მიუღია მონაწილეობა, რადგან თავისი მჭამელას გამო ჰოსპიტალში იწვა. ამიტომაც მოჰყვა და აბუჩად აიგდო „გერმანელების წინააღმდეგ ომი", ამ ომების საშინელებანი და უბედურებანი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეედრება ინგლისელების წინააღმდეგ ომებსო; იქ კი ობერ-ბოცმანი მონაწილეობდა 1801-შიც, 1807-შიც და 1814-შიც. აი, მაშინ საქმე გვქონდა ნორვეგიასთანაც და მთელ ფლოტთანაც, აქ მართლაც ბევრი რამ არის მოსაგონარიო. ობერ-ბოცმანს უნდოდა, როგორმე შკიპერს ტოლი ვერ დაედო მისთვის და როცა შკიპერი დიუბელისა და ფრედერისიის დაცვის შესახებ ყვებოდა, ობერ-ბოცმანმა ვაიხსენა კოპენჰაგენის დაბომბვა, აგრეთვე ბრძოლა პორტში, რომელსაც ის, ხუთი წლის ბიჭი, საბაჟოს სახურავიდან უცქერდა და თავისი თვალით დაინახა, როგორ გადაჰყავდათ დაჭრილე-

ბი ნაპირზე ნავებით, „სადაც სისხლიანი ხორცი ისე უხვად ეყარა, როგორც ყასბის კუნძზე“.

ქალბატონმა ოლუფსენმა გადაჭრით განაცხადა, მეტს ვეღარ მოვუსმენო და რადგან ბინდდებოდა, ბრძანა, შინისაკენ ავიბარგოთო. ამ დროს გამოირკვა, რომ ოდესღაც სამშობლოს ავბედობით ტანჯულ ახალგაზრდა დიდრიკსენს ტკბილად ჩასძინებოდა. თავი გადაეწია და პირი დაეღო. როცა შეაჯანჯღარეს, გადაქანდა და თავი მაგიდაზე დაუვარდა, მაგრამ განაგრძობდა უშფოთველ ძილს, თუმცა დაცემისას გადააყირავა ტოლჩა ლუდი და მუხლებზე გადაესხა. იქ მყოფნი წუთით დამუნჯდნენ და განცვიფრებით შესცქეროდნენ ამ სანახაობას, მერე პერმა რომიანი ბოთლი აიღო და აღმოაჩინა, რომ თურმე ცარიელი იყო. მაშინ მიხვდნენ — დიდრიკსენი უგრძნობლად მთვრალი იყო.

ქალბატონი ოლუფსენი ძალზე შეურაცხყოფილი გახლდათ. ნავსაბელთან იცდიდა ეტლი, რომელშიც ფეხმრუდი ცხენი ება, ცარიელ ტომარაში თავი ჩაეყო და მოთმინებით იდგა. მალე მიხვდნენ, სხვა გზა არ არის, დიდრიკსენს გამოძინება და გამოფხიზლება უნდა ვაცალოთო. ამრიგად, საზეიმო დღე ძალიან სევდიანად დამთავრდა. მოხუცებმა მთელი ქალაქი ფეხით ილასლასეს, თან საზეიმო ტანსაცმლით იყვნენ მორთულნი და იღლიაში ლორები ჰქონდათ ამოჩრილი, ხოლო ჯიბეები ძეხვეულით გამოტენილი.

პერმა მოხუცები ხოლმენსკის ხიდამდე მიაცილა, აქ კი ტრამვაიში ჩასვა. თვითონ არ აპირებდა შინ წასვლას, უნდოდა ცოტა გაგრილებულიყო მხიარული მასლაათისა და მაგარი სასმელების სმის შემდეგ. ერთ ხანს მაღაზიის ფანჯარაში თავისი ანარეკლის ცქერით ტკბებოდა, მერე კი არხის გაყოლებით ზედა ხიდისაკენ გაეშურა.

ის დრო იყო, როცა ჩამავალი მზე სახლების სახურავებზე დასრიალებს და ოქროსფრად ღებავს „წმიდა სულის“ ეკლესიის გუმბათს, ხოლო ძირს, ქუჩებში, განათებულ მაღაზიებს შორის უკვე იწყება საღამოს ფუსფუსი. თუმცა მოედანზე დღესავით სინათლე იყო. დახტოდნენ ბელურები, ტალახში იქექებოდნენ, ახლახან ანთებული სინათლეები შუშებს იქიდან, ჯერ ისევ რომ დასთამაშებდა ჩამავალი მზის ათინათები, მკრთალად, სინათლეთა აჩრდილებივით ჩანდნენ. პერი ნელი ნაბიჯით მიიკვლევდა გზას ესტერჰადეზე ხალ-

ზის ბრბოში. უამრავი ხალხის ცქერამ სევდა მოჰგვარა. თუმცა გამვლელებს საღამოს სიცივისაგან ცხვირები დასწითლებოდათ, ჰაერში მაინც გაზაფხულის სუნი იდგა. ყველაფერში გაზაფხულის მობრძანება იგრძნობოდა—ახალგაზრდების თვალებშიც, მოლოდინით სავსე ხმებშიც. ქალთა ტანსაცმლის მკერავების ვეებერთელა ვიტრინების წინ ხალხი მოგროვილიყო და გაზაფხულის მოდებს ათვალიერებდნენ. ყველა ელეგანტურ მამაკაცს საღილეში იის კონა გაერჭო და ისე დასეირნობდა.

პერის წინ რომელიღაც წყვილი მიდიოდა. შეყვარებულნი მჭიდროდ მიჰკვროდნენ ერთმანეთს და ნარნარად მიირხეოდნენ, თითქოს საქოჩრიდან დაწყებული ფეხის გულამდე ერთი არსება იყვნენ. პერმა შენიშნა, როგორ ვნებიანად შესციცინებდა ქალიშვილი ჭაბუკს თვალებში, გაახსენდა გასული ღამის ამბები და ისევ მოიღუშა. ახლოლა ერეოდა ბრაზი, წუხელ რამ გამაცეცხლაო, თუ სიმართლეს თვალს გაუსწორებდა და ისე განსჯიდა, ნამდვილად სულელურად გაცხარდა. გაახსენდა, როგორ დაიფარა ქალმა მკერდი, როცა პერი მიდიოდა და ამ ქესტის გამო ყველაფერი აპატია ამ მოსიყვარულე არსებას. ქალმა ეს ნამდვილად ამაღელვებლად გააკეთა. მაგრამ ვარდები ნირგორის საფლავზე! ალბათ, ამ ქალს მართლაც უყვარდა ნირგორი. ნეტავი რამ გააცხარა პერი? ცხოვრება არაფერს უწევს ანგარიშს. მოძრაობის გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენელია და იქ, სადაც ის მთელი სისავსით ვლინდება, ყოველგვარ წინააღმდეგობას მუსრავს. თუ ჩავუფიქრდებით, სიყვარულის ამ დაუოკებელ წყურვილში, რომელიც ლახავს სულის ყველა ამაო ქოთქოთს, ლახავს სიკვდილის საშინელებასაც კი, არის რაღაც ამაღლებული, რაღაც დამათრობელი.

„ბნელეთის ძალები“, რამაც აიძულა პერი შეძრწუნებულიყო, როცა მძინარე ქალის წინ იდგა და სინდისთან მტანჯველი ბრძოლის მიუხედავად ქალისადმი დაუძლეველ მიდრეკილებას გრძნობდა, — ეს „ბნელეთის ძალები“ იყო თვით ბუნების ხმა, მისი არსების პირმშო ძალა, რომელმაც ათასწლეულ ცრუ რწმენათა წიაღში გამოაღწია. სწორედ რომ ასეა საქმე! სამყაროში არ არსებობს სხვა ჯოჯოხეთი გარდა იმისა, რომელსაც ადამიანი თავად უქმნის საკუთარ თავს ცხოვრებისეული სიხარულისა და სხეულის ყოვლისშემძლეობის წინაშე ცრუმორწმუნე შიშის გამო. ხოლო ქალისა და კაცის

ხვევნა — ეს ჰეშმარიტად ცათა სასუფეველია, სადაც ყოველგვარი დარდის დავიწყება და ყველა ცოდვის მიტევება მიეგებათ, სადაც სულები ერთმანეთს ისევე ღვთიურად გაშიშვლებულნი ხვდებიან, როგორც ადამი და ევა ედემის ბაღში.

უეცრად პერის თვალწინ რისხვით აენთო ცეცხლოვანი ასოები. ეს იყო ბუნდოვანი მოგონებანი, ნახევრად დავიწყებული სიტყვები — ნირგორის ირონიული იგავი ზღაპრულ მეღორეზე, რომელიც წავიდა ქვეყნად სახეტიალოდ, რათა თავისთვის სამეფო ეშოვა, მაგრამ სულ უკან იყურებოდა და როცა მის წინაშე სასწაულებრივი ქვეყანა მთელი თავისი ზღაპრული სიმდიდრით გადაიშალა, შეეშინდა და შინ გაიქცა, იქ, სადაც თბილი საწოლი და დედის კალთა ელოდა.

პერი სირცხვილისაგან წამოენთო. რა საცოდავი აღმოჩნდა, როცა ცხოვრებამ გადაწყვიტა, პირველად გამოეცადა მისი რწმენა საკუთარი თავისადმი და მისი გამბედაობა. ნუთუ აღარ შეიძლება ჩადენილი შეცდომის გამოსწორება? წერილი რომ მისწეროს ქალს, ყოველივე აუხსნას და პატიება შეემუდაროს?

ამ ფიქრებში იყო, ხერტესფრიულჰადესთან რომ მივიდა. დურგლის ცოლმა გამოაღო კარი და აცნობა, ვიღაც ბატონი გელოდებაო.

— გუშინაც ის გახლდათ. როგორც ჩანს, პასტორია. უკვე საათზე მეტია აქ ზის.

ბატონი პერის ღვიძლის ძმა ებერხარდი აღმოჩნდა. ებერხარდი მაგიდასთან სარწეველაში იჯდა, ანთებული ლამპის წინ, მისი თავის ჩრდილი შიშველ კედელზე დევის თავს მიაგავდა. პალტო არ გაეხადა. მატყლის ხელთათმანებიანი ხელები მუხლებში მომწყვდეულ ქოლგის ტარზე ეწყო.

— უკვე გადამიწყდა შენი ნახვის იმედი, — უთხრა მან პერს მისალმებისთანავე. — გითხრეს, რომ გუშინაც ვიყავი?

პერმა არ უპასუხა. გული ძალზე აუთრთოლდა. მიხვდა, ძმა ორი დღე ზედიზედ უმნიშვნელო რამისათვის არ დაუწყებდა ძებნას. თვით ებერხარდის სახის გამომეტყველებაც ამტკიცებდა, კარგად ესმოდა თავისი ვიზიტის მნიშვნელობა და თავი ისე ეჭირა, ძალიან ცდილობდა, პერზე შთაბეჭდილება მოეხდინა. სწორედ ამიტომაც ატანდა ძალას თავს პერი, რომ გულგრილი სახე მიეღო.

— სიგარას ხომ არ მოსწევდი? — ჰკითხა მან და შიშით გაიფიქრა: „დედა ხომ არ გარდაიცვალა?“

— გმადლობთ, არ ვეწევი.

— მაშინ იქნებ ერთი ტოლჩა ლუდი დაგელია?

— გადავეჩვიე სპირტიანი სასმელების მიღებას. ეს მარგებს. გარდა ამისა, უდროო დროს პრინციპიალურად არაფერს ვჭამ.

პერმა გაიღიმა და თუმცა დალევა სულაც არ უნდოდა, კარადიდან ლუდიანი ბოთლი მაინც გადმოიღო.

— ხომ ხედავ, რომ შენზე კეთილი ვარ და როცა წყურვილი მაწუხებს, მიუხედავად უდროო დროისა, ჟინს მაინც ვიკლავ.

ებერხარდმა ყური მოიყრუა და ქოლგას მუხლებს შორის ტრიალი დაუწყო; დიდრონი უფერული თვალებით ძმას აკვირდებოდა. პერი მის პირდაპირ ჩამოჯდა და სულმოუთქმელად გადაჰკრა ერთი ტოლჩა ლუდი.

— წარმოიდგინე, თუ ასე მივუდგებით საკითხს, შენ იმაზე უფრო კეთილი ჩანხარ, ვიდრე საჭიროა, — ვერ მოითმინა ებერხარდმა.

— ამის სათქმელად მოხვედი? — ჰკითხა პერმა საკმაოდ ტლანქად.

— რას ამბობ, რას! ხომ იცი, არასოდეს არ ვერევი შენს საქმეებში. სულ სხვა მიზეზით მოვედი.

პერი არ გამოეპასუხა: არ უნდოდა და ვერც ბედავდა რაიმეს შეჰკითხებოდა. თავად უკვირდა თავისი თავისა, ვერ გაეგო, რატომ იყო, რომ იმის გაფიქრებაც კი, იქნებ შინ რაიმე უბედურება მოხდაო, ასე შიშს ჰგვრიდა. ეგონა კი, სამუდამოდ დავემშვიდობე ასეთ გრძნობებსო. ოჯახის წევრები ამ ბოლო წლებში თითქოს დაიხოცნენ მისთვის და ძმის მოსვლას სულაც არ გამოუწვევია ოჯახზე ნაღველი. პირიქით. სანამ ებერხარდი იჯდა ქოლგაზე ხელებდაწყობილი და თავისი თხის თვალებით ქვეშ-ქვეშ ათვალიერებდა, პერში ახალი ძალით იფეთქა შეურიგებელმა მტრობამ. ებერხარდი, ეს თითქოს ყველა ღილზე შეკრული კაცი, თავისი ყოველი მოძრაობით და გამოხედვით ქედმაღლურად ქირდავდა პერს, უსიტყვოდ ესაყვედურებოდა ოჯახის ღირსების გაქელვისათვის, მისი არსებიდან თითქოს გონებაჩლუნგი თვითკმაყოფილების დახშული ატმოსფერო იდგა ირგვლივ. ყოველივე ამან პერს ცოცხლად წარმოუდგინა თვალწინ ბავშვობაში გადატანილი დამცირება, თითქოს პასტორის სახლ-

ში დაბუდებული ტორფის ბოლის საზიზღარი სუნი ძმასთან ერთად ახლა პერის სახლში შემოიჭრა.

და მაინც ებერხარდს თვალებში გულწრფელი თანაგრძნობის და ძმური სითბოს მსგავსი რაღაც უელავდა. საცოდავი, სარდაფის-მაგვარი სენაკი იყო, ღარიბული, ძველისძველი ავეჯი იდგა, შიშველი იატაკი, ცარიელი კედლები. თუმცა ტრინე გმირულად ცდილობდა, როგორმე თავის სალოცავს გაფრთხილებოდა, მიუხედავად ამისა, სიღატაკე ყოველი კუთხიდან გამოსჭვიოდა. ამიტომ ებერხარდი ძმას უსახლკარო კაცად თვლიდა. სიბრალულით აევსო გული და სულ პატარა ნიშანს ელოდა, რომ პერი გულით ეწამა.

მაგრამ პერმა არავითარი ნიშანი არ მისცა. ძმები ერთ ხანს მდუმარედ ისხდნენ, მერე ებერხარდმა, თითქოს ნიადაგს სინჯავსო, გაუბედავად დაიწყო:

— მცირე მოგზაურობის შემდეგ ახლახან დავბრუნდი კოპენჰაგენიდან... რამდენიმე დღე შინ გავატარე.

— მერედა როგორ

?ია?ნ, ყველაფერი რიგზეა?—ჰკითხა პერმა.

— ვაი რომ, არა. მამამ ბევრი იავადმყოფა ამ ბოლო დროს.

— მართლა?

— ცუდად არის.

— რა დაემართა?

—ჰო, რას გეუბნებოდი?.. ჰო: წამოსვლის წინ დიდხანს ვესაუბრე ექიმ კარლსენს და საბოლოოდ. დავრწმუნდი იმაში, რასაც მათი წერილების მიხედვით ვეჭვობდი — მამის მდგომარეობა საკმაოდ სერიოზულია. ერთი სიტყვით, ვშიშობ, რომ მალე დავკარგავთ.

პერი გრძნობდა, როგორ დაჟინებით მისჩერებოდა ძმის თვალები და სახეზე ერთ კუნთიც არ შერხევია, თუმცა გული შიშით აუძგერდა. არც დარდი უგრძვნია, არც სევდა, სინანული კი სულაც არა. თავადაც არ იცოდა, რამ გაუტეხა გული და იმან ააღელვა. ერთხელაც არ გაუფიქრია, თუ მამა და დედა იმაზე ადრე დაიხოცებოდნენ, ვიდრე პერი მოასწრებდა თავისი გრანდიოზული გეგმის დაგვირგვინებას და გაიმარჯვებდა. ამით გამართლდებოდა მათ თვალში. თანაც ეს ცნობა სწორედ მაშინ მოვიდა, როცა ყველა თავისი დიდი იმედები სამარცხვინოდ ჩაეყარა წყალში.

— მგონი, მამას კიბო უნდა ჰქონდეს, — განაგრძო ებერხარდმა. — ექიმ კარლსენს აშკარად არაფერი უთქვამს ჩემთვის, მაგრამ

ისე ლაპარაკობს, ცხადია, ეპვი აღარ ეპარება ამაში. თუმცა მამა ჯერ კიდევ ფეხზეა და თავის მოვალეობასაც ასრულებს, რამდენადაც ძალა შესწევს... ხომ იცი, იდეების კაცია. მაგრამ საეჭვოა, რომ დიდხანს გასძლოს და, მგონი, თვითონაც სიკვდილის მოლოდინშია, დედა, ცხადია, ძალზე დამწუხრებულია, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მამაზე შიშმა, მგონი, ძალა შემატა. ზოგჯერ კიდეც წამოდგება ხოლმე, რათა ახლოს იყოს მასთან, მაგრამ რაც არ უნდა მადლს სწირავდეს დედა ზეცას ამ დიდი მოწყალების გამო, მე ეს იმის უტყუარი ნიშანი მგონია, რომ მამის დღეები დათვლილია.

თუმცა ებერხარდი პროფესიით სრულიადაც არ იყო ღვთისმეტყველი, ლაპარაკის დროს უყვარდა მეტყველების ბიბლიური გამოთქმების გამოყენება. თავად იურისტი გახლდათ, ამხანაგები ამბობდნენ, მეტად ნათელი და საღი იურიდიული გონების პატრონიაო. ახალგაზრდობის მიუხედავად, საერთო პატივისცემით სარგებლობდა. სულ ახლახან დიდი ინტერესი გამოიწვია ჟურნალში მის მიერ გამოქვეყნებულმა სტატიამ პატიმრობისა და მისი აღმზრდელობითი ფუნქციების შესახებ. ებერხარდი მსახურობდა საციხო უწყების ერთ-ერთ მთავარ სამმართველოში, და რაკი გულმოდგინეობისა და კეთილსინდისიერების მაგალითი იყო ყველასათვის, უფროსები კარგი თვალით უყურებდნენ.

— ამიტომ გადავწყვიტე, დროზე გაგეგო ეს ამბავი,—განაგრძო ებერხარდმა, რადგან პერი დაჟინებით დუმდა. — ვიფიქრე, თუ უბედურება იმაზე ადრე გვეწვია, ვიდრე მოველით, უეცრად არ დაეცეს თავს-მეთქი. ჩვენ, — ამას ვამბობ ყველა ძმისა და დის სახელით და მათთან მოლაპარაკების შემდეგ, — ჩვენ ვიფიქრეთ, იქნებ, როცა მამის მდგომარეობას შეიტყობს, მოუნდეს და... ასე ვთქვათ, თავის მოვალეობად ჩათვალოს მამასთან შერიგება, სანამ გვიან არ არისო.

— არ მესმის... რას გულისხმობ? — უკმაყოფილოდ ჰკითხა პერმა, მაგრამ ძმისთვის თვალის გასწორება ვერ გაბედა.

— აკი გითხარი, რომ შენს საქმეში ჩარევა არ მსურს. მე მხოლოდ მოგმართავ თხოვნით, ერთი ჩაეკითხე შენს სინდისს, მართალი თუ ხარ მშობლების წინაშე, თუ სწორია შენი ის ურთიერთობა მათთან, რაც კარგა ხანია გაქვს... უფრო დაწვრილებით ამაზე ლაპარაკი არ მსურს. მერე კიდევ, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გაგაფრთხილო, რომ მამა თუ აღარ გვეყოლა, ეს მატერიალურად ძალიან სამ-

წუხარო გავლენას იქონიებს ოჯახზე. ვიცი, თუმცა არავითარი მადლიერება არასოდეს არ გამოგიხატავს, მამა მაინც მუდამ გეხმარებოდა ფულით. შეიძლება ეს ფულადი დახმარება არც გყოფნიდა, მაგრამ მამასაც ძალიან უჭირდა ამ ფულის გამოგზავნა. ასე იმიტომ იქცეოდა, რომ მერე სინდისის ქენჯნა არ ეგრძნო, შვილს ხელი არ გავუმართე თავის საქმიანობაშიო, თუ როგორც გინდა ისე დაარქვი ამას, — ასე იქცეოდა თუმცა ვერც შენს ნიჭზე იტყოდა და ვერც შენს მიღწევებზე რამეს.

— ვიცი.

— როგორც კი მამა აღარ იქნება, ამ დახმარებას ვეღარ მიიღებ. დედა ძალიან ხელმოკლედ იქნება და იძულებული გახდება ყველაფერში ყაირათი გასწიოს.

— ჩემი დარდი ნუ გექნებათ, — უპასუხა პერმა, რომელმაც სწორედ ამ წუთს გადაწყვიტა, ნირგორის მემკვიდრეობას მივიღებ, რომ მთლად დამოუკიდებელი გავხდეო. — სწორედ ახლა ვაპირებდი შინ მიმეწერა, რომ ამიერიდან ჩემს თავს თავადვე შევინახავ, მეტი დახმარება აღარ მჭირდება.

ებერხარდმა თვალები დააჭყიტა, მაგრამ პერმა საჭიროდ არ ჩათვალა დაწვრილებით ეთქვა რამე და ძმაც ღირსეულად გაჩუმდა, ერთ ხანს ხმაც არ ამოუღია.

თუმცა ბოლოს ცნობისმოყვარეობამ სძლია.

— ხომ არ შეიძლება გავიგო, რით აპირებ...

მაგრამ პერმა ბოლომდე არ ათქმევინა სათქმელი.

— უბოდიშოდ უნდა გთხოვო, რომ უკეთესი იქნება თუ შენს პირობას შეასრულებ და ჩემს საქმეებში არ ჩაერევი. ხომ გაგრძნობინე, რომ არ მესიამოვნება ეს.

ებერხარდი ადგა. გაფითრდა, სიბრაზისაგან კრიჭა შეეკრა.

— რა გაეწყობა, როგორც ვხედავ, შენთან ლაპარაკი არ ღირს. სჯობს ამით დავამთავროთ.

— როგორც გსურდეს.

ებერხარდმა შლიაპა აიღო, უკვე კარებში გასვლისას მოუბრუნდა პერს, რომელიც კვლავ მაგიდასთან იჯდა და დაუმატა:

— ერთ რამეს კიდევ გეტყვი, პეტერ-ანდრეას! თუმცა შენისთანა ჭკუა-გონების კაცი ვერ გამიგებს, მაგრამ უნდა იცოდე, მთელი ამ ხნის განმავლობაში მამა მხოლოდ შენზე ფიქრობს და სხვა

არავიზე. შინ რომ ვიყავი, ყოველდღე შენზე გამიბამდა ხოლმე საუბარს... ასევე, დედაც, რა თქმა უნდა. დიდი ხანია გადაიფიქრეს, შეგონებებით მოახდინონ შენზე რაიმე გავლენა. იმასღა იმედოვნებენ, რომ ოდესმე ცხოვრება მოათვინიერებს შენს სულს და მშობლების პატივისცემას გასწავლის. მამამ თავისი ცხოვრების გზა თითქმის განვლო. ფრთხილად იყავი, პეტერ-ანდრეას, ისეთ ცოდვას ნუ ჩაიდენ, რასაც ადრე თუ გვიან უეჭველად მწარედ ინანებ.

ებერხარდის წასვლის შემდეგ პერი კიდევ დიდხანს იჯდა მაგიდასთან, თავი ხელებზე დაეყრდნო და ნაღვლიანად იყურებოდა წინ.

„მოათვინიერებს შენს სულს“, „მწარედ ინანებ“, „ცოდვა“... „შადლიერება“... ზეპირად იცოდა ეს მიამიტური გაკვეთილი! დრომოქმედი კატეხიზმო კვლავ აღმოცენდა ქვეყანაზე! მერე როგორი ტიპიური „სიდენიუსისებური“ ხასიათია: ისარგებლონ მამის ავადმყოფობითა და სიკვდილით და კვლავ ეცადონ დააშინონ პერი, ეკლესიის წიაღში და მშობლიურ კერაში გამოკეტონ კვლავ... თვით სიკვდილიც კი ჯვრით მოსილთა შავ არმიას დაუქირაონ. რად სჭირდებათ მათ პერი? ნუთუ მხოლოდ იმად, რომ ოჯახური უღელი დააღგან? რა მოესურვათ ახლა? თავადაც თუა პერი ისეთივე, როგორიც ერთ მშვენიერ წუთს შექმნა ბუნებამ? არა, პერი კი არ უნდათ მათ. მისი დამცირება სურთ, ამას ელოდებიან. უნდათ, როგორმე მოასწრონ და სანამ მამა ჯერ კიდევ ცოცხალია, მანამ დაამცირონ. კარგად იცნობს მაგათ წესებს. თავიანთი მშვიდი ცხოვრება რომ უზრუნველყონ, პერს აუცილებლად ფრთები უნდა შეაკვეცონ. ეს ღვთისმოსავები ვერ იტანენ წელში ამაყად გამართულ, მაღლა თავაწეულ ადამიანებს, საქმეში მაშინვე „ღვთის მადლი“ ჩაერევა.

პერმა თავი აიღო და შეკრთა: ძმის წასვლის შემდეგ ოთახში თითქოს ბინდი ჩამოწვა და სიმყუდროვე დაინგრა. რატომ არ დაანებებენ თავს პერს? თავად ხომ დამარხა მიწაში წარსულის მწარე მოგონება და ჯვარიც დაუსვა. რა საჭიროა კვლავ გააცოცხლოს? მშობელი მამა? მერე რა, თუ მოკვდება. პერი სულაც არ არის მოვალე, უყვარდეს ის. პერი მამისაგან დავალებულია მხოლოდ იმით, რომ რამდენიმე წელს მამა მატერიალურად ეხმარებოდა. მაგრამ ამაზე ჯობს არ იფიქროს. მან შური იძია და მამა ხსოვნიდან ამოიფხიკა. ახლა ბარი-ბარს არიან.

პერმა ჭიქა აიღო და მოსვა. მერე ისე წამოხტა, თითქოს უსია-

მო სიზმარი გაფანტაო და მოხუცებისაკენ გაეშურა, რათა ცოტა წაეყბედა მათთან და დამშვიდებულიყო.

თავი V

უნდა ვაღიაროთ, რომ არც თვით ებერხარდის ვიზიტს და არც მის მიერ მოტანილ ცნობას პერისათვის ამაოდ არ ჩაუვლია: შეწყდა პერის ბოლოდროინდელი უაზრო ნავარდი. ამით უნდოდა დაევიწყებინა თავისი პირველი მარცხი პროფესორ სანდრუპთან. პერმა იმ საღამოსვე ამოიღო კომოდის უჯრიდან ნახაზები და გაანგარიშებანი, მთელი ღამე საწერ მაგიდას თავზე ხელშემოჭდობილი უჯდა და თავის ნამუშევრებს მანამ ჩაშტერებოდა, ვიდრე ხაზები და შტრიხები არ აცეკვდნენ მის თვალწინ, ხოლო ხუთნიშნა ციფრები კი ფუტკრებივით აუბზუილდნენ თავში. ამ ღამეს საზეიმო ფიცი მისცა მან თავს, არ დანებებოდა ბოლომდე და ან დარწმუნებულიყო გეგმის განხორციელების სრულ შეუძლებლობაში, ან მორეოდა ყველა სიძნელეს და გამარჯვებით დაეგვირგვინებინა საქმე.

და მართლაც, სულ რამდენიმე დღის შემდეგ, არხის კალაპოტის გადაადგილებით შეძლო იმ შეცდომის შედეგებისაგან თავის დაღწევა, რომელზედაც პროფესორმა მიუთითა. კვლავ შეცდომები რომ არ დაეშვა, პერი ახლა დინების სიჩქარის გაანგარიშებათა ორმაგ შემოწმებას შეუდგა და როცა შედეგები ერთმანეთს დაემთხვა, სიხარულისაგან ერთი გამყინავად დაუსტვინა. ხელახლა იგრძნო ფეხქვეშ მყარი ნიადაგი. მაშასადამე, შრომას ოხრად არ ჩაუვლია, მაშასადამე, ტყუილად არ ჩაჰკირკიტებდა ათასი ღამის განმავლობაში თავის ნაშრომს. ვაშა! იქნებ მოასწროს კიდევაც და საბოლოო გამარჯვებას მიაღწიოს, სანამ მამა საუკუნოდ თვალს დახუჭავს.

მეტი აღარ უყოყმანია, ხელად მოაგვარა ნირგორის მემკვიდრეობის საქმე. თავი დაიჯერა, არ შემშვენის ასე დაწვრილმანებაო. თუ კაცს საკუთარი მუშტების მეტი არა გააჩნია რა, მაშინ გული უნდა გაიქვავოს — სხვანაირად ცხოვრებაში თავს ვერ გაიტანს. უნდა ითქვას, რომ ფული გაცილებით უფრო ცოტა აღმოჩნდა, ვიდრე პერი ვარაუდობდა. ვექილმა შეხვედრისას უთხრა, მემკვიდრეობა „დამძიმებულია ზოგიერთი სასესხო ვალდებულებითო“. პერი დაკმაყოფილდა ამ ახსნით და წვრილმანებით არ დაინტერესებულა. თუმცა, ორიათას კრონამდე, როგორც ვექილი ფიქრობდა, უსათუოდ დარჩე-

ბოდა. პერს ერთი წელიწადი მაინც აღარ გაუჭირდებოდა ფული. პატარა ავანსი დაუყოვნებლივ მისცეს, ისე რომ, ახლა ყველა ვალის გასტუმრება შეეძლო.

მაშინვე თავი გაანება გაკვეთილების მიცემას და სხვა დანარჩენ საშოვარზეც უარი თქვა, რათა მთლიანად თავის გრანდიოზულ ჩანაფიქრს მისცემოდა. პერმა ისეთივე მოუთმენლობით დააღწია თავი უსაქმობას, როგორიც აიტანს ხოლმე ახალგაზრდა დათვს, პირველი ზამთრის ძილის შემდეგ გაღვიძებისას. მთლიანად ჩაეფლო მუშაობაში. დედამიწაზე გაზაფხული დააბიჯებდა და თან მოჰქონდა ხან მზიანი, ხან წვიმებითა დ სეტყვით გაჟღენთილი მოლურჯო-შავი ღრუბლები, პერი კი დღედაღამ ჩაჰკირკიტებდა თავის ქაღალდებს და არ ესმოდა მეზობელ ხეზე შოშიის გალობა, ვერ ხედავდა, ვაშლის ხის ყვავილების თეთრ-ვარდისფერი ფურცლები ქარბუქს რომ აყენებდნენ ფანჯრის იქით. დილაობით ნიუბოდერის ზარი აღვიძებდა და როცა ყვავილებით მოჩითულ ხალათიანი ქალბატონი ოლუფსენი ბაღჩაში გამოვიდოდა წინსაფრის ქვეშ ამოჩრილი ღამის ქოთნით, რათა ქოთნის სითხე გადაეღვარა, პერი უკვე მაგიდასთან იჯდა.

იმან, რომ მემკვიდრეობის წყალობით გაცილებით უკეთესად ცხოვრობდა, მის ცხოვრებას ნირი ვერ შეუცვალა: ბუნებრივმა ყაირათიანობამ სძლია. მხოლოდ რამდენიმე ცნობარი და სხვა მეცნიერული შრომა შეიძინა, რაც სამუშაოდ სჭირდებოდა და ორი საგანგებო ჟურნალი გამოიწერა: ერთი გერმანული. მეორე ამერიკული. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მეტად აღარ შეუხედია. ეჭვობდა, რომ თანაკურსელებმა გაიგეს პროფესორ სანდრუპთან მისი ვიზიტი და ამ ვიზიტის შედეგებიც. თანაც ენანებოდა, დრო დაეკარგა კაბინეტის მეცნიერთა დაუსრულებელი ლექციების მოსმენით, პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნებზე ისე რომ მსჯელობდნენ, როგორც უფეხონი ბალეტის შესახებ.

აღარც ფრუ ენგელჰარდს შეხვედრია. დროდადრო გაიფიქრებდა, ცუდი არ იქნება შევურიგდეო, მაგრამ საამისოდ თავს არ იწუხებდა. თუმცა იმ ბედუკუღმართ ღამით თავისი ქცევის გახსენებაზე დიდ სირცხვილს გრძნობდა, მაგრამ მთელი ეს ისტორია თავისთავად რაღაცნაირი უნდობლობით განაწყობდა გალანტურ თავგადასავალთა ნაქებ სიხარულისადმი. პერი თავს ეკითხებოდა: ღირს კი ეს სიხარული იმად, რომ კაცმა ასე იწვალოს, ითვალთმაქცოს და რაც მთა-

ვარია — ამდენი ხარჯოსო? როცა კი ამ გამოცდილ ქალთან ნაცნობობის განახლების ცდუნება აიტანდა, მაშინვე გაიხსენებდა, რა ბევრი ფული დაახარჯა ამ ქალს მხოლოდ ერთ საღამოს, თანაც ხაზეასა და გაანგარიშებებში ისე იყო გართული, ვისაც გინდა, იმას დაივიწყებდა.

თუ მზიანი დღე იდგა, პერი დილიდანვე მთლად მოაღებდა ფანჯრებს. პეპლები და ფუტკრები შეფრინდებოდნენ ხოლმე მასთან, მაგრამ ვერავითარ ლირიკულ გრძნობებს ვერ უღვიძებდნენ. სულ დიდი, სტევენის უფლებას თუ მისცემდა თავის თავს მუშაობის დროს; მაშინ კი ბოცმანი შემოყოფდა მის ფანჯარაში ჩაჩიან თავს, რათა სიხარული გამოეთქვა, მდგმური კარგ ხასიათზეაო, ანდა ქალბატონი ოლუფსენი ეზოს მხრიდან ფანჯრის რაფაზე ფინჯნით ცხელ ყავას დაუდგამდა და სთხოვდა, „ცოტა მაინც შეისვენეო“. თუ ეს კეთილი ქალი, ერთ დროს, ცოტა არ იყოს, შიშობდა, ჩემი მდგმური გზას ასცდაო, ახლა მტკიცედ ირწმუნა, ვცდებოდი, ეს ასე არ არისო.

— დალიეთ, სანამ გაცივდება, — მბრძანებლობდა ის და მოჩვენებითი სიმკაცრით მალავდა დედობრივ სითბოს.

მაშინ კი პერი რეისფედერს და სახაზავ კალამს მოისვრიდა, ჩიბუხს გააბოლებდა და მკერდით ფანჯრის რაფას დააწვებოდა, რათა ერთ ხანს ემასლაათნა ბებრებთან, სანამ ისინი თავიანთ პაწია ბაღში ცოდვილობდნენ. ბაღი ძალიან პატარა იყო, მოხუცები კი წარმოსადეგი ხალხი, ამიტომ დაიხრებოდნენ თუ არა, ერთმანეთს უეჭველად მიეხლებოდნენ სხეულის იმ ნაწილით, რომელიც ზურგს ქვემოთ მდებარეობს და რომლის შესახებაც ოლუფსენი (როცა აგდებით მოიხსენიებდა ხოლმე ადამიანის შექმნის ისტორიას) ამბობდა თითქოს ის „ყველაზე ბოლოს ყოველგვარი ნარჩენებისაგან შეუთითხნიათო“.

მაგრამ პერს კვლავ მალე აიტანდა ხოლმე მოუსვენრობა: ისევ ნახაზებს უბრუნდებოდა და ოცნებით ესახებოდა, როგორ პრიალებდნენ მზეზე წერაქვები და ნიჩბები, როგორ შრებოდა ჭაობები, მიწას უსწორდებოდა ბორცვები და მთები, ესმოდა, მისი ერთი თითის დაქნევაზე როგორ არყევდნენ დედამიწის შიგნეულს ყრუ აფეთქებანი. პერმა ხელახლა ძირფესვიანად გარდაქმნა და გააფართოვა თავისი გეგმა. სახელდობრ — დაამუშავა არხების ჩაფიქრებულ სისტემასთან შეფარდებით დიდი ახალი პორტის პროექტი. მსოფლიო მნი-

შვნელობის პორტისა. რომელსაც უნარი ექნებოდა მეტოქეობა გაეწია ჰამბურგსა და ბრემენისათვის. ამით არ დაკმაყოფილებულა. სანამ პირველი ამოცანის გადაჭრაზე იტეხდა თავს, აზრად დაებადა გიგანტური ტივტივების დახმარებით ატლანტიკური ოკეანის ენერგია გამოეყენებინა. ერთმანეთთან შემოქლონილი რკინის ფილებისაგან დამზადებული ტივტივები წყალსაცემ ზოლში უნდა განლაგებულიყო, აქედან კი ენერგია სადენებით გადაეცემოდა ნაპირზე მდებარე სამრეწველო საწარმოებს. პერს არც ქარის ძალა დავიწყებია,— მისი გამოყენება შეიძლებოდა ძრავების შემწეობით, რომელთაც ენერგიის აკუმულატორების თავისებური როლი უნდა შეესრულებინათ, რაც პირველი რანგის სამრეწველო სახელმწიფოდ გადაქცევის პირობებს შეუქმნიდა დანიას.

საღამოობით, როცა მუშაობისაგან თავი უსკდებოდა, თუ კარგი ამინდი იყო, პერი ბოცმანთან ერთად ღობის მახლობლად სკამზე ჩამოჯდებოდა; ზემოთ ლარტყების კარკასზე გადაჭიმული იყო ძველი იალქნის ნაგლეჯი. ამ ნაგებობას „ტალავარი“ ერქვა და იქიდან, მოხუცების აზრით, იშლებოდა ყველაზე უფრო მომხიბლავი ხედი მთელი ბაღისა. დროგამოშვებით მათთან ოჯახის რომელიმე ძველ მეგობართაგანი შემოივლიდა: ხან დაჩაჩანაკებული დურგალი ბენცი მოჩანჩალდებოდა, ჯოხით ხელში, რათა თავის წელკავზე ეკრუსუნა მათთან, ხან მუდამ სახეგაბრწყინებული მემოქლონე ფუსი შემოვიდოდა, ალისფერი წითელი სახე ჰქონდა და მაიმუნივით თეთრი წვერი. ქალბატონი ოლუფსენი სტუმრებს საკუთარი წარმოების გროგით უმასპინძლდებოდა, ხოლო ტრინეს გიტარის მოსატანად კროდილენჰადეზე გზავნიდნენ, ფუსებთან. იქვე ოლუფსენების სახლს უკან მეზობელი სახლის მეორე სართულზე ახალგაზრდა მეზარბაზნე ცხოვრობდა, რომელიც საკმაოდ კარგად უკრავდა ფლეიტაზე. ყოველ საღამოს დაჯდებოდა ფანჯარასთან, თავის გაკეთებულ გრძელ ფლეიტას დაიჭერდა და როცა ფუსიც აჰყვებოდა თავისი გიტარით, მთელ კვარტალს ატკბობდნენ ნამდვილი კონცერტით. მეზობელი ფანჯრებიდან თავებს გარეთ ჰყოფდნენ, ბავშვები ბაღჩებში ჩხირკედელაობას თავს ანებებდნენ და ღობეზე მიცოცავდნენ, რომ რაიმესათვის თვალი მოეკრათ, ღამის გასათევად ხის კენწეროებზე მოკალათებული ბეღურებიც კი აფრთხიალდებოდნენ, სახლების სახურავებზე აქეთ-

იქით მიაწყდებოდნენ, მერე თავებს გვერდზე გადასწევდნენ და პატარა, გატრუნული მსმენელებივით ისხდნენ.

და აი ერთ-ერთ ასეთ მუსიკალურ საღამოს პერმა უეცრად შეამჩნია მომხიბლავი ქალიშვილი, იგი მეზობელი შენობის „დარბაზის“ ღია ფანჯარასთან იდგა. ქალიშვილს ხელები ზურგზე შემოეწყო და როგორც ჩანდა, კონცერტისა და ღრუბლების მოძრაობის გარდა ამ ქვეყნად არაფერი აინტერესებდა. მაგრამ რაკი წუთი-წუთს უფრო მეტად და მეტად ეფაკლებოდა ღაწვები, ეტყობოდა, ოლუფსენების ტალავერიდან მიპყრობილი კადნიერი მზერა არ გამოპარვია.

სახლი, სადაც ქალიშვილი იდგა, ნიუბოდერის რომელიღაც თანამდებობის პირის, ვინმე იაკობეუსის სახაზინო ბინა იყო. იაკობეუსის ცოლს ყველანი თუ არა, მისი ქმრის ხელქვეითნი მაინც დიდის ამბით „ფრუს“ უწოდებდნენ. ქალბატონი ოლუფსენისაგან პერმა შეიტყო, რომ ქალიშვილი იაკობეუსის ძმისშვილი იყო და ახლახან ჩამოვიდა კოპენჰანგენში კერვის შესასწავლად.

ამ დღიდან პერი ყოველ საღამოს მიუჯდებოდა ხოლმე ბოცმანს და მეზობელი ფანჯრებისაკენ აპარებდა თვალს. ხშირად ამაოდ არ ჩაუვლია ამ მზერას. ქალიშვილი ხან ყვავილების მორწყვას შეუდგებოდა, ხან ჩიტის გალიას ასუფთავებდა. ზოგჯერ ფანჯარასაც კი გააღებდა, აქეთ-იქით გასწევდა ყვავილების ქოთნებს და მკერდით ფანჯრის რაფას დაეყრდნობოდა, რათა თვალი გადაეევლო სახლების სახურავებისთვის, მეზობლების ეზოებისთვის, ცისთვის, ერთი სიტყვით, რისთვისაც გინდათ, ობერ-ბოცმანის ბაღს გარდა.

თუმცა პერი ძალიან ცდილობდა, ამ მუნჯური ენით ღობის იქით სატელეგრაფო კავშირი გაება, მათი თვალები ერთხელაც არ შეხვედრიან ერთმანეთს. და აი ერთ დილას, ქუჩაში გამოსვლისას, პერი პირველად შეხვდა ქალიშვილს სახლს გარეთ. ქალიშვილი საფუნთუშედან შინ მიეშურებოდა, მწვანე საშინაო ფოსტლები ეცვა და სანოვაგის ჩანთა ეჭირა. პერს უნებურად გაეღიმა, როცა შენიშნა, როგორ დაიბნა ქალი, ასე შინაურულად ჩაცმული რომ ნახეს. ამ შეკრთომამ უფრო გაალამაზა და პერმა გადაწყვიტა მისთვის თავაზიანად მოეხადა ქუდი. ქალიშვილმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს მისალმება ვერ შენიშნა და იმავე დღეს მშვენივრად გადაუხადა სამაგიერო დილანდელი დამცირებისათვის. პერმა ლანგენლინიეზე ცოტა ხანს ისეირნა და შინ ბრუნდებოდა, ამ დროს ქალიშვილი თავისი სახლის

კარიდან გამოვიდა. ბაცი ფერის მოხდენილი ჟაკეტი ეცვა, ყელზე დიდი აბრეშუმის ბაბთა ეკეთა და პირბადიანი შლიაპა ეხურა. წამით კარებში შეჩერდა, რათა უკანასკნელი ღილი შეეკრა შავ, თვალისმომჭრელ ახალ ხელთათმანზე, მერე კი ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა ნელა გასწია ქალაქის პატნეზისაკენ, პერისთვის ერთი შეხედვაც არ უღირსებია. მაგრამ პერმა ამჯერადაც გაიღიმა. სასეირნოდ რომ მიდიოდა, მან ქალიშვილის სახე ბატონ იაკობეუსის ფანჯრის სარკეში დაინახა: სრულიად აშკარა იყო, ქალი განგებ ელოდებოდა მის დაბრუნებას, რათა ასეთი მორთული ჩვენებოდა.

ამის შემდეგ პერი წახალისდა, გადაწყვიტა ჯიქურ მისულიყო ქალთან და გაცნობოდა. მან უბრძანა ტრინეს გაეგო, სად იმყოფებოდა სამკერვალო სახელოსნო, სადაც ქალიშვილი სწავლობდა და როდის ბრუნდებოდა შინ. ყველა საჭირო ცნობის მიღების შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, საღამოს შვიდი საათისთვის, პერი უეცრად წაადგა თავს ნერეოლეზე ვიტრინის წინ მდგარ ქალიშვილს.

პერი მეტისმეტი მოწიწებით მიესალმა და სთხოვა ნება დაერთო გასცნობოდა, საკვირველია, რომ პერის აბეზარობამ ქალი სულაც არ შეაკრთო. ალბათ, ამ პროვინციელ მიამიტ ქალიშვილს სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა, რომ ახლო მეზობლებს დიდ ქალაქში შეხვედრისას საუბარი გაებათ და ერთად განეგრძოთ გზა. თუმცა ეს უცოდველი მიამიტობა ნაწილობრივ მოჩვენებითი გამოდგა. ქალიშვილმა თავისი თავი გასცა, როცა ნიუბოდერთან უცბად შეჩერდა და თქვა. აქედან ცალ-ცალკე წავალთო. პერმა იცოდა, რომ ბატონი იაკობეუსი გამოცდილი კაცი იყო და, ალბათ, ძალიან კარგადაც გრძნობდა. რაოდენ პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ახალგაზრდა ძმისწულზე, ამიტომაც არავითარი განმარტება არ მოუთხოვია, გამოეთხოვა ქალს და მხოლოდ ეს უთხრა: „კვლავ შეხვედრამდე“.

მომდევნო დღეებში მათ ბევრჯერ ნახეს ერთმანეთი ასეთსავე ვითარებაში და ასევე განვლეს გზის ნაწილი ერთად. უსიტყვო შეთანხმებით ისინი სიფრთხილის გამო შორიდან უვლიდნენ გზას, მეფის ბაღს და როზენბურგის საბაღო მეურნეობას ჩაუვლიდნენ, აქეთ ნაკლებად თუ შეხვდებოდათ ნიუბოდერელები, თანაც პერი დღითიდღე სულ აგრძელებდა და აგრძელებდა მარშრუტს, ქალიშვილი კი ამაზე არავითარ პროტესტს არ აცხადებდა.

ფრანცისკა (ასე ერქვა ქალიშვილს) შუა ტანისა იყო, ქერათმი-

ანი, თხელ-თხელი, გამხდარიც კი, მაგრამ ძალიან კარგი ტანადი. ძალიან დამახასიათებელი სიარული იცოდა, სიარულში ეტყობოდა, რომ გულწრფელი და მტკიცე ხასიათისა იყო. როცა ქუჩაში ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და ზვიადად მკერდწამოწეული მიაბიჯებდა, ხალხი უნებლიეთ უკან უხედავდა და მზერას აყოლებდა. პერი სულითა და გულით ერთობოდა, როცა ფრანცისკას ძამაკაცები ხარბ მზერას აყოლებდნენ. ფრანცისკას რძე და ღვინისფერ სახეზე ბევრჯერ მიუღია პირქუში გამომეტყველება, წარბები შეუკრავს, მაგრამ ეს სრულებით არაფერს არ ნიშნავდა, — შეუჩვეველ ვითარებაში დამკვიდრების ხერხი იყო მხოლოდ. თავისი გამომწვევი შესახედაობით მას უნდოდა კეთილი კოპენჰაგენელებისათვის დაემტკიცებინა, აი, რა კარგი ხალხი გვყავს კიერტემინეშიო.

ამიტომ იქცეოდა ასე თავისუფლად პერთანაც. ფრანცისკას იდუმალი შიში ჰქონდა, სოფლელი ბრიყვი არ ვეგონო ვისმესო. პერმაც სწორად გაუგო, ასეთი ქცევა ძალიან ჰგავდა ამ ქვეყანაზე ფეხის მოკიდების მის საკუთარ იუტლანდიურ ხერხებს.

იმ გარემოებამ, რომ ორივენი პროვინციიდან ჩამოვიდნენ, ძალიან დააჩქარა მათი დაახლოვება და, პერის გრძნობაც (თავად ვერ შეიცნო, ისე) წარსულის შთაბეჭდილებებმა უფრო გაზარდა, რადგან ქალს ისეთი ხასიათის სილამაზე გააჩნდა, ქცევითაც ისე იქცეოდა და ისეთი არაკოპენჰაგენური კილოთი ლაპარაკობდა, პერს თვალწინ ედგა მშობლიური ქალაქის ქერათმიანი გათქვირებული ქალწულები, ისინი, ვისაც მან პირველად მიაპყრო სიყვარულის თვალი.

თანაც, თითქოს განგებ იდგა არაჩვეულებრივად დარიანი, გრძელი და ნათელი საღამოები, რათა აეფორიაქებინა ორი ახალგაზრდა გული, რომელიც ჯერ არავის ეკუთვნოდა. ახლა ისინი ყოველ საღამოს სეირნობდნენ ტბებამდე, ხოლო შინ რომანტიკული პარკის გავლით ბრუნდებოდნენ; პარკი გადაჭიმული იყო აღმოსავლეთით, ქალაქის პატნეზის ნანგრევების გასწვრივ. იქ, ღონიერ, რტოხშირ ხეების დიდებულ ხეივნებში ბევრს დადიოდნენ წინ და უკან, არ ძალუძდათ განშორება.

რაზე ლაპარაკობდნენ ასე დიდხანს სეირნობის დროს? ამინდზე და გამვლელებზე, საერთო ნაცნობებზე და ბოლოდროინდელ ახალ ამბებზე, — ერთი სიტყვით, ყველაფერზე ამქვეყნად, ოღონდ სიყვარულზე არა. პერი არც შეცდილა ამაზე კრინტი დაეძრა. ჯერ იყო

და ეშინოდა, ფრანცისკა არ დავაფრთხოო, მერე კი იმ ძალამ შებოჭა, რომელიც ქალიშვილმა დღითი დღე მოიპოვა პერზე.

როცა ნაცნობობა გააბა, განსაზღვრული განზრახვანი არ ჰქონია. გართობა სურდა მხოლოდ ლამაზ ქალიშვილთან. მუშაობით ისე ჰქონდა აზროვნება დატვირთული და მუდმივი გონებრივი დაძაბულობა ისე ღლიდა ფიზიკურად, თუ არა რაიმე გამამხნევებელი საშუალება, ისე ვერ ძლებდა, ხოლო ახალგაზრდობაში ამ როლს ყველაფერზე უკეთესად ასრულებს სასიყვარულო მღელვარება. სწორედ იმან. რომ პერი, წინააღმდეგ თავისი ჩვეულებისა, ამ ნაცნობობაში არავითარ ანგარებას არ ეძებდა და კიდევ იმან, რომ ბუნებამ მათ ნათელი, სიხარულის საღამოები მოუვლინა და ყოველ მათ პაემანზე ოქროთი ირთვებოდა, ქალაქი და მისი გარეუბნები ზღაპრულ მხარედ აქციეს და რაკი ფრანცისკას გულისთვის მათი შეხვედრები იდუმალებით იყო მოცული, ეს იდუმალებაც, ფრანცისკას შიში და მღელვარებაც, რომელსაც ქალი განშორებისას ვერ მალავდა, ყველაფერი და ყოველივე მათ კავშირს გამოუცნობ, მოულოდნელ მომხიბვლელობას ანიჭებდა. ერთ მშვენიერ დღეს პერი იმ დასკვნამდე მივიდა, აქამდე არ ვიცოდი სიყვარული რას ერქვაო.

ეს სიმართლე იყო.

პირველად იყო, რომ პერს შეუყვარდა. თუმცა ბევრი რამით ძალიან გაუსწრო თავის ტოლებს, მაგრამ ადამიანურ ურთიერთობებში ბავშვივით თუ ველურივით იყო. ახლა იგი მომქანცველი და ტკბილი გრძნობით ცხოვრობდა, თითქოს მის სულში საიდუმლო რაღაც იშვა და საცა იყო მისთვის ახალი სამყაროს კარი გაიღებოდა. წინათ პერი გაიცნობდა თუ არა ქალს, ცდილობდა სიტყვებიდან რაც შეიძლება მალე გადასულიყო საქმეზე, ამ ქალიშვილთან კი თავაზიანი გახლდათ და იმდენად თავშეკავებული იყო, რომ კარგა დრომ გაიარა, სანამ გაბედავდა მისთვის გამოსათხოვარი კოცნა ეთხოვა. როგორც კი ქალიშვილმა თანხმობით უპასუხა და სახეზე წამოწითლდა, პერმა კინაღამ ინანა თავისი თავხედობა. ხოლო როცა მის ქორფა პირს შეეხო და მისი ტუჩების სითბო ჩაისუნთქა, მოეჩვენა, წმინდა რამეს ვბღალავო.

შემოდგომაზე ფრანცისკა ცოტა ხნით მშობლებთან წასვლას აპირებდა. თუმცა ის და პერი ხშირად ხვდებოდნენ და არც კი ფრთხილობდნენ, ზედ ნიუბოდერის საზღვარზე უფრო და უფრო მგრძნო-

ბიარედ ეთხოვებოდნენ ერთმანეთს — აქამდე არავის გაუგია მათი სიყვარულის ამბავი. არავის, თუ არ ჩავთვლით ტრინეს. როცა პერს ეხებოდა საქმე, ტრინე მუდამ თვალგამჭრიახი იყო ხოლმე, ახლაც ყველაფერს მიხვდა ეს ჭკუამოკლე, თითქმის გონებასუსტი ქალიშვილი; მერე კი თვით პერიც გაენდო ერთხელ, როცა მეზობელ სახლში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წერილი გაგზავნა და ეს ძნელი და საკმაოდ სახიფათო საქმე ტრინემ ღვთის მცნებასავით შეასრულა. სარეცხის სარჭი გადამივარდა იქითო — თავისუფლად შეაღწია თვით იაკობეუსის სიმაგრეში და საიდუმლო უსტარი მშვიდობიანად ჩააბარა ადრესატს ხელში. მერე კი, როცა პერი წავიდა, ტრინე უეცრად ისე გაყუჩდა და გაფითრდა, და ისე ხშირად განმარტოვდებოდა ხოლმე საპირფარეშოში — ქალბატონმა ოლუფსენმა ბოლოს და ბოლოს იფიქრა, ავად თუ გახდაო, ლოგინში ჩააწვინა და მუცელზე ერთი კარგი მდოგვის საფენი დაატყეპა.

ოქტომბერში, ფრანცისკას დაბრუნების შემდეგ, ქალ-ვაჟის გრძნობები ისე გაღრმავდა და გაძლიერდა, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა გარდუვალი იყო. პერი მთლად აირია. ქალიშვილის შეცდენა და ამით თავისი გრძნობების ნებაზე მიშვება არაფრით არ უნდოდა. თანაც ოფიციალურ დანიშვნაზე ფიქრიც არ შეეძლო. მაშინ როცა ფრანცისკა მხოლოდ ამაზე ფიქრობდა, მხოლოდ ამას ელოდა, ქალმა ერთი-ორჯერ უკვე სცადა ყოველგვარი საბაბის გარეშე გაეზიარებინა მისთვის თავისი ოჯახური ამბები, ხოლო ერთხელ ლაპარაკში სიტყვას მიაყოლა, მამაჩემი საკმაოდ შეძლებული კაციაო. მაგრამ უბრალო კიერტემინელ სირაჯის ქალიშვილის შერთვა პერს შეუფერებელი ეჩვენებოდა იმ მაღალი მიზნისათვის, რომელიც მან დაისახა. ყოველთვის, როცა ცდუნება ერეოდა, თვალწინ ნირგორი დაუდგებოდა და აგონდებოდა მისი სიტყვები მეღორე პრინცზე. ეს დამცინავი და ავის მომასწავებელი სიტყვები წინათაც ცეცხლის ასოებით ანთებია თვალწინ.

მაგრამ ამ დროს ერთი ამბავი მოხდა, რამაც სწრაფად და მოულოდნელად მოუღო ბოლო ყველაფერს.

მოხუც იაკობეუსს უკვე დიდი ხანია საეჭვოდ მიაჩნდა, რომ მისი ძმისწული დღითი დღე უფრო და უფრო გვიან ბრუნდებოდა შინ და რადგან მის ახსნა-განმარტებას არ ენდობოდა, ერთ მშვენიერ

დღეს გამოიცვალა აწარმოა. დაკითხა ქალიშვილი და ყველფერი დააკაკლინა.

მეორე დღეს ბატონი იაკობეუსი პერთან გამოცხადდა და თავისი ვინაობაც არ დაუსახელებია, პირდაპირ ჰკითხა, აპირებ თუ არა ჩემი ძმისშვილი ცოლად შეირთოო. ჯერ იყო და პერი თავის დაძვრენას შეეცადა. სტუმარს დაჯდომა შესთავაზა და, საერთოდ, ისე დაიჭირა თავი, თითქოს ვერ მიხვდა, რაზე იყო საუბარი. მაგრამ გაბრაზებულმა სტუმარმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და მოითხოვა, ზედმეტ ყბედობას თავი გავანებოთ, გარკვეული პასუხი მითხარითო. ორში ერთი, — ჰო ან არა, სხვა არაფერია საჭიროო.

პერი ისევ ყოყმანობდა. იცოდა, „არას“ თუ იტყოდა, სამუდამოდ დაშორდებოდა ფრანცისკას. ეს რომ გაიფიქრა, გული მტკივნეულად შეეკუმშა. პერმა წარმოიდგინა, ალბათ, როგორ დაბორიალებდა ახლა სახლში შეშინებული და აღელვებული ფრანცისკა თავისი ბედის გადაწყვეტის მოლოდინში. ცდუნებამაც კი გაუელვა თავში, უკუეგდო ამაყი, განუხორციელებელი ოცნებები, შეენარჩუნებინა ეს ერთადერთი, ერთგული პაწაწა წიწკანა, თვითონ რომ უვარდებოდა ხელში და თავიდან ამოეგდო ცაში მონავარდე ოქროს წეროები. მაგრამ ხელახლა აღიმართა მის წინ ნირგორის მელოტი თავი, პერი წელში გასწორდა და გადაჭრით თქვა — „არა“.

მაშინ ისეთი ამბავი დატრიალდა, რასაც პერი მრავალი წლის განმავლობაში ვერ იხსენებდა მტანჯველი სირცხვილის გარეშე. მოხუცმა იაკობეუსმა ჯიბეებში ხელები ჩაიყო, პერისკენ რამდენიმე მძიმე ნაბიჯი გადადგა და ისე მიუახლოვდა, თავისი ჭაღარა წვერით სახეში უღიტინებდა. ამ უცხო კაცმა პერს თავხედი, ყაჩაღი და მაწანწალა უწოდა, ხოლო მერე უთხრა, თუ გაბედავ და ერთხელ მაინც კვლავ შეუძვრები ჩემს ძმისწულს, კარგად მიბერტყვა და ნიუბოდერიდან ქეციანი ძაღლივით გაგდება არ აგცდებაო.

პერი რისხვისაგან გაფითრდა, მაგრამ არ განძრეულა და არც კრინტი დაუძრავს. მუქარას არ დაუბამს მისთვის ენა. თავის ცხოვრებაში უკვე ეგემა სხვისი მუშტები და როცა დაინახა, იაკობეუსი უახლოვდებოდა, ჯერ იფიქრა, წავუჭერ ყელში ხელს და სანამ არ გაჩუმდება, კედელზე მიკრული მეყოლებაო. მაგრამ როცა შეხედა ფერწასულ, ტუჩებაკანკალებულ, დამახინჯებულ სახეს, სახეს, რომელიც სიტყვებზე მეტი სიცხადით ამბობდა, თუ როგორ უმძიმდა

მოხუცს ეს ამბავი, როგორი დაჩაგრული და შეურაცხყოფილი იყო, პერმა სადღაც გულის სიღრმეში იგრძნო — დამნაშავე იყო. ამიტომ ვეღარც ხელი გაანძრია, ვეღარც კრინტი დაძრა.

მხოლოდ მერე, როცა ბატონი იაკობეუსი წავიდა, პერმა ჰკითხა თავს, რაში ვარ ნამდვილად დამნაშავეო. მას ხომ ცუდი არ სურდა ფრანცისკასათვის. თავიდან რომ სცოდნოდა, მათ შორის ასეთი სიყვარული იფეთქებდა, სულაც არ გაეკარებოდა ამ ქალს; მაგრამ არც ახლა გამოუყენებია ბოროტად ფრანცისკას ნდობა. რამდენიმე მიამიტური კოცნა. ქალიშვილს ლაქას როგორ მოსცხებს, მაშ რა მოხდა, კაცმა რომ თქვას?

უბრალოდ, სინდისმა, ყბადაღებულმა სინდისმა — იმ უხილავმა, გამჭვირვალე რაღაცამ, რომელსაც უეცრად მოაქვს შენს სახესთან მრუდე სარკე და საკუთარ თავს ისე დამახინჯებულს დაგანახებს, რომ შეგაზიზღებს, ისევ უღალატა. პერს კი ეგონა, ბედნიერად განთავისუფლდა ყველა და ყველანაირი სულის ხორცმეტისაგან, ყოველგვარი სიმრუდისაგან! და აი, დატკბით ცქერით, დგას ახლა დარცხვენილი სულელი. ეს გულგატეხილობა ყველაფერზე ძლიერი იყო და პერს თითქმის აღარ ჰქონდა ფრანცისკაზე და მასთან დაშორებაზე ფიქრის თავი.

თანაც ბატონი იაკობეუსის მუქარა, როგორც გამოირკვა, სრულიად ზედმეტი იყო, ერთი დღის შემდეგ ფრანცისკა საკუთარი სურვილით წავიდა შინ, ფიუნზე. ორი დღის შემდეგ კი პერმა დილის ფოსტით მიიღო წვრილმანი ნივთები, რომელიც ოდესმე უჩუქებია მისთვის. ქალმა ყველაფერი გამოუგზავნა, ისე, რომ საყვედური კი არა, არ მოუწერია არც ერთი სტრიქონი, არც ერთი სიტყვა. სამაგიეროდ თვითეული ნივთი ცალ-ცალკე ფრთხილად იყო გახვეული ვარდისფერ პაპიროსის ქაღალდში. და როცა გამოგზავნილს ათვალიერებდა, პერმა ახალი დამცირება განიცადა: მას თვალები ეუცრემლდა. ვეღარაფერს გააწყობდა და რომ არ აჩქარებულიყო და სუვენირები კომოდის უჯრაში არ ჩაეტენა, მთლად თავი მოეჭრებოდა — ალბათ, ატირდებოდა.

მაგრამ ხელახლა გაუღიმა პერს ბედნიერებამ.

რამდენიმე დღის შემდეგ მოხდა მოვლენა, რომელმაც პერს არა თუ დაავიწყა შეუბრალებელი გამოდევნა სიყვარულის სამოთხის ბაღებიდან, არამედ მწყალობელი ბედის ნიშნად, გამოვლენილი უდ-

რეკობის ჯილდოდ მოევლინა. ძალიან დიდხანს ფართხალებდა წყნარ ფრთონაში, ელოდა ზურგის ქარს, რათა შესდგომოდა შესანიშნავ ცურვას ცხოვრებაში და აი ახლა მის ირგვლივ ისეთი ქარიშხალი ატყდა, პერი პირდაპირ ღია ზღვაში მოისროლა.

* * *

პროექტზე მუშაობამ აღწერილ ამბამდე ისეთ სტადიას მიაღწია, როცა, პერის აზრით, მეორედ შეიძლებოდა იგი რომელიმე ავტორიტეტული პირისათვის განსასჯელად წარედგინა. ამჯერად მან მიმართა საინჟინრო საზოგადოების თავმჯდომარეს, გადამდგარ ინჟინერ-პოლკოვნიკს, ვინც პირუთვნელ ადამიანად ითვლებოდა, ტექნიკის დიდი მცოდნე იყო და თანაც მეტისმეტად გავლენიანი, რადგან, სხვა მოვალეობათა გარდა, ამ საზოგადოების მიერ გამოცემულ ფრიად საპატიო ყოველთვიური ჟურნალის მთავარი რედაქტორიც გახლდათ. პერმა მას თავისი ნახაზები გაუგზავნა, განმარტებითი წერილიც დაურთო და ხელი მოაწერა: „სიდენიუსი, ინჟინერი". წერილში პერი თავისი იდეების მოკლე შინაარსს ყვებოდა და რწმენას გამოთქვამდა, რომ პოლკოვნიკი აღიარებდა მის მიერ გამოთქმული აზრის მნიშვნელობას და პროექტის შესახებ წერილს რეკომენდაციას მისცემდა მისადმი რწმუნებულ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად.

ორი კვირის განმავლობაში ელოდა პასუხს, მერე კი ყოველგვარი იმედი გადაუწყდა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოვიდა წერილი პოლკოვნიკისგან, იგი იტყობინებოდა, „განსაკუთრებული ინტერესით" გადავათვალიერე პროექტი და გთხოვთ, როცა დრო გექნებათ, შემოიაროთ ჩემთან მიღების საათებში, თან მოიტანეთ დაწვრილებითი გაანგარიშებანი, რათა ყველაფრის შესახებ უფრო დეტალურად მოვილაპარაკოთო.

პერმა თვალი გადაავლო ამ უსტარს და ჭერზე მიუკაკუნა. როცა ტრინეს იხმობდა, ასე ანიშნებდა ხოლმე.

— დაუძახე მოხუცებს! — უბრძანა მან, მერე კი ტანსაცმლის კარადის ძირიდან შვედური პუნშის ნარჩენიანი ბოთლი ამოიღო, მაგიდაზე სამი ჭიქა ჩაამწკრივა და შეავსო.

— რა მოხდა? — იკითხა ქალბატონმა ოლუფსენმა და კარებში პაპილოტებით შემკული თავი შემოყო, ბოცმანი ამ დროს მძიმედ ეშვებოდა კიბეზე.

— ახალი ამბებია, ქალბატონო ოლუფსენ, დიდი ახალი ამბები! მომილოცეთ!

— ღმერთო მოწყალეო, ხომ არ დაინიშნეთ, ბატონო სიდენიუს?

— ჯერჯერობით თავს ვიკავებ, როგორც შინაბერას უთქვამს. უფრო მნიშნელოვანი რამ მოხდა, ქალბატონო ოლუფსენ.

— ლატარიაში მოიგეთ რამე?

— ნაწილობრივ კი... ცოტათი! გაგიმარჯოთ, ძველო მეგობრებო! გმადლობთ ყველაფრისთვის, ყველაფრისთვის! თქვენი ჯანმრთელობისა იყოს, ბოცმანო, და არ შეგეშინდეთ, თუ სულ მალე ჩემზე რაიმეს გაიგებთ.

მეორე დღეს იღლიაში ნახაზებამოჩრილი პერი უკვე პოლკოვნიკთან ზარს რეკავდა. მოსამსახურე ქალმა გაუღო კარი და ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ, სანამ მოსამსახურე სადარბაზო ბარათს მიიტანდა, პერმა გადააბიჯა დიდი, ნათელი კაბინეტის ზღურბლს, რომლის სამი ფანჯარა ბაღში გადიოდა. მაგიდასთან მჯდარი ხუჭუჭთმიანი აპოპლექსურად წითური პატარა კაცი, რომელსაც ხელში პენსნე ეჭირა, მის შესაგებებლად წამოდგა, მაგრამ შუა გზაზე შეჩერდა. პენსნე ცხვირზე გაიკეთა, პერს ახედ-დახედა და გარეგნობაზე დაეტყო, რომ რაღაცით უკმაყოფილო დარჩა.

— როგორ? — დაიწყო მან — თქვენა ხართ... ბატონი სიდენიუსი, ინჟინერი?

— დიახ.

— ღმერთო! თქვენ ხომ საშინლად ახალგაზრდა ხართ.

— არც ისე საშინლად, — ეწყინა პერს, — ოცდამესამე წელში გადავდექი.

— კი, მაგრამ... მაგრამ... მაშინ ყოველივე სხვა არაფერია, თუ არა...

აშკარად უნდოდა ეთქვა „გაუგებრობაო“, მაგრამ დროზე შეიკავა თავი. რამდენიმე წამს იდგა და ქუსლებზე ირხეოდა, როგორც ბრიყვულ მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცი, რომელმაც არ იცის, როგორ გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან.

— მაშ კარგი, დაბრძანდით, — როგორც იქნა ამოღერღა მან.— სულ ერთია, საქმეზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ, — ხელის მოძრაობით პერს მაგიდის გვერდით მდგარ დაწნულ დივანზე მიუთითა, თვითონ კი მაგიდასთან ფართო საკარძელში ჩაჯდა და იმავე ტონით განაგრძო: — როგორც უკვე გაცნობეთ, მე შევძელი ჩემდამი გამო-

გზავნილ გეგმებში შეუსაბამობათა, რომ არა ვთქვათ სისულელეთა, შორის აღმომეჩინა რიგი საყურადღებო აზრებისა. სხვანაირად რომ ვთქვათ, თვით თქვენი იდეა იუტლანდიაში არხების გრანდიოზული სისტემის შექმნის შესახებ და ყოველივე, რაც მასთან არის დაკავშირებული, წარმოდგენილი მაქვს, ლმობიერად რომ ვთქვათ, მეტისმეტად გულუბრყვილო, მეტისმეტად მოუმწიფებელ რამედ. ისე რომ, მის შესახებ ლაპარაკიც არა ღირს. სამაგიეროდ, რაც შეეხება აღმოსავლეთ იუტლანდიის ფიორდების რეგულირებას, ეს აზრი გაცილებით გონივრულ საფუძველს ეყრდნობა, ხოლო თქვენს მიერ წარმოდგენილი მისი განხორციელების ხერხი მოწმობს, რომ შეხედულებებიც ახალი გაქვთ და განსაკუთრებული დამკვირვებლობის უნარიც გაგაჩნიათ.

ამას რომ ამბობდა, სახაზავს ხელში ატრიალებდა და წითელი ცხვირის ბოლოზე დადებულ პენსნეს ზემოდან დაყინებით ათვალიერებდა პერს. პერის ჩასხმული, ფართო მხარ-ბეჭი აშკარად თვალში მოუვიდა ძველ მეომარს. მან სიტყვა შუაზე შეწყვიტა, უეცრად განცვიფრებით ხელი ხელს შემოჰკრა და წამოიძახა:

— მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, როგორ მოგივიდათ, ახალგაზრდავ, თავში ამ უბედური პროექტის შექმნის გადარეული აზრი? მას ხომ თქვენთვის პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს. თქვენი გარეგნობის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ლამაზი გოგონები უფრო მეტად უნდა გაინტერესებდეთ, ვიდრე ლოგარითმები და ზედაპირის გაანგარიშებანი.

პერმა ამჯობინა გაეღიმა, თუმცა პოლკოვნიკის სიტყვები სულაც არ ეამა. შემდეგ გულახდილად უამბო პოლკოვნიკს, როგორ იტეხდა თავს ამ ამოცანის გადაწყვეტაზე ბავშვობიდან, მრავალი წლის განმავლობაში. ხოლო რაკი დაიწყო, შეტოპა და დიდი რიხით ილაპარაკა თავისი საქმის მნიშვნელობაზე. მან სხვა ქვეყნების მაგალითებიც მოიშველია და გამოთქვა უღრმესი რწმენა, რომ დანიის ხელისუფლება, რომელიც მეტისმეტად გატაცებულია რკინიგზების მშენებლობით, დანაშაულებრივ უყურადღებობას იჩენს მოძრაობის ბუნებრივი საშუალებების ე. ი. წყლის გზების განვითარებისადმი. ამ გზებს ამჟამად თითქმის არ იყენებენ და ადრე თუ გვიან საერთოდ მცენარეულობით დაიფარება, ეს გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას.

პოლკოვნიკმა, რომელიც ღიმილით უსმენდა ამ მგზნებარე ტირადას, ბოლო სიტყვებზე სიცილი ვერ შეიკავა.

— მართლაც გაბედული ადამიანი ყოფილხართ, ღმერთმანი. თუ მე სწორად გავიგე, თქვენი პროექტი, გარდა ყველაფრისა, უნდა ეღერდეს ჩვენი, მოხუცი სულელების გამოწვევად, რომელთაც სამარცხვინოდ გავქელეთ ქვეყნის ინტერესები. და ნებართვასაც მოითხოვთ, დაგვცინოთ და გაგვაკრიტიკოთ ჩვენივე ჟურნალის ფურცლებზე! მე მგონი, კმარა. სად არის თქვენი დაწვრილებითი გამოთვლები, რომელთა მოტანაც გთხოვეთ? მოდით, უმჯობესია გადავხედოთ მათ.

პერმა ნახაზები გაშალა და რიგის მიხედვით მაგიდაზე პოლკოვნიკის წინ დაიწყო.

— ღმერთო! — შეეშინდა პოლკოვნიკს. — მთელი არქივი გქონიათ! როგორ მოგივიდათ ეს თავში? ეს ხომ ნამდვილი სისულელე და უაზრობაა, ჩემო ძვირფასო. უნდა შევნიშნო, რომ ვერ ვხედავ ფარვატერის რეგულირების სქემას. აკი დამპირდით მოტანას. სწორედ ის მაინტერესებს.

პერმა გაშალა უკანასკნელი ნახაზი — მუყაოს ვეებერთელა ფურცელი, რომელმაც თითქმის მთელი მაგიდა დაიკავა. ეს იყო ნახევარი წლის მუშაობის და უმაგალითო გულმოდგინეობის შედეგი. ქაღალდზე დაეტია წყვილ ნაგებობათა, ზედნაშენთა, ფიჩხკონათა შუასადებებისა და საყრდენი ბურჯების საერთო ხედი და განივი კვეთი. ყველაფერი მზრუნველი ხელით, ზუსტად იყო დახაზული, თვით მასშტაბებიცა და წარწერებიც, რომლებიც ნაბეჭდი გეგონებოდათ.

პოლკოვნიკმა მარჯვედ დაიდო ცხვირზე პენსნე და საფარგლიდან ფარგალი ამოაძრო.

— როგორც თქვენთვის ალბათ უკვე ცნობილია, — დაიწყო მან პატარა პაუზის შემდეგ, რომელიც სიტყვებზე მჭევრმეტყველურად მოწმობდა, რა შთაბეჭდილებაც მოახდინა მასზე ნახაზმა, — როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, ათი წლის წინათ ნამდვილად იყო ლაპარაკი სწორედ ამ ფიორდის გაღრმავებისა და ნავსადგურის გადაკეთების შესახებ. მახსოვს, რჩევაც კი მკითხეს... შესაძლოა თქვენი პროექტის დანახვისას ჩემში მოგონებებმა გაიღვიძეს, მაგრამ... მე...

მე... მოკლედ, აიღეთ სკამი, ახლო დაჯექით და მომიყევით, როგორ გაქვთ ეს წარმოდგენილი.

საათზე მეტ ხანს ისხდნენ ისინი ერთმანეთის გვერდით ნახაზებითა და გაანგარიშებებით გართულნი. რამდენჯერმე გადააგდო პოლკოვნიკმა ფარგალი და განაცხადა, მთელი პროექტი თავიდან ბოლომდე გიჟის ბოდვაა, არ გაივლიდა წუთიც და ხელახლა აღფრთოვანებული იყო რომელიმე ბედნიერი აღმოჩენით — ტერიტორიის მოხერხებულად გამოყენებით, თუ გონივრულად მოწყობილი დანადგარით და ასე შემდეგ. პერი მშვიდად იყო და მოხუცის გვერდით გულგრილობის განსახიერებად ჩანდა: ჭკვიანურად და ანგარიშიანად დაუთმო ყველა ნაკლებადმნიშვნელოვან საკითხში, სამაგიეროდ დიდი სიმტკიცე გამოიჩინა, არაფერი დათმო და მოიგო, როცა საქმე მისი ნაშრომის საფუძვლებს შეეხო. ლაპარაკი თანდათან ნამდვილ ორთაბრძოლად იქცა ახალგაზრდა და მოხუც ინჟინერს შორის, ამასთან, ამ უკანასკნელმა რამდენჯერმე პასუხის გაცემაც ვერ მოახერხა, ხოლო დროდადრო იძულებული იყო უმცროსის სიმართლე ელიარებინა. პოლკოვნიკი ისე გაიტაცა საქმემ, ადრე უმოწყალოდ უარყოფილი რაბებიანი არხების სისტემის პროექტიც კი აიღო, რათა დეტალურად განეხილა.

დაძაბულობისაგან მთლად წამოჭარხლებულმა პოლკოვნიკმა ბოლოს ქაღალდები გვერდზე გადადო და თქვა:

— დამიტოვეთ ყოველივე ეს ერთი კვირით. ვნახოთ, რის გამოწურვა შეიძლება აქედან... თუ ჩამოვაცილებთ მარცვალს ღვარძლს... ძალიან უხვად არის ღვარძლი! ვიდრე ჟურნალში შეეჩხირებოდეთ, ყველაფერი უფრო დალაგებულად და მოკლედ გადმოეცით... ვნახავ, რისი გაკეთება შეიძლება. ახლა, როცა უკეთ გავიგე თქვენი აზრი, თანახმა ვარ, გეგმა განხილულ იქნეს არა ნაწილ-ნაწილ, არამედ მთლიანად, სხვანაირად ვერ მოახდენს კარგ შთაბეჭდილებას. როგორც წმინდა თეორიული ექსპერიმენტიც კი ფრიად შესაქცევი გეგმაა და უდავო ინტერესს გამოიწვევს ტექნიკურ წრეებში. გონება გიჭრით, ახალგაზრდავ!.. დამავიწყდა, რამდენი წლისა ხართ?

— ოცდა ორის.

— ბედნიერი ასაკია!.. მაშ გელით ერთი კვირის შემდეგ.

პოლკოვნიკმა გულითადად, ტოლივით ჩამოართვა პერს ხელი.

— დაღახვროს ეშმაკმა, რა თვალები გაქვთ,—წამოსცდა უცებ,

პერის ხელისათვის ხელი არ გაუშვია, — სად იშოვეთ ნეტავი ეს თვალები? ადამიანს მშიერი მგელივით უცქერით. მაშ ასე, ბედნიერ ნადირობას გისურვებთ! — გაიღიმა მან და კიდევ ერთხელ მეგობრულად ჩამოართვა ხელი.

პოლკოვნიკისაგან გამოსულ პერს ქვეყანა გარდასახულად მოეჩვენა. ჰაერი უფრო მსუბუქი იყო, — ცა მაღალი, ადამიანები — ლამაზი.

— სიმშვიდე, მხოლოდ სიმშვიდე, — ჩასჩიჩინებდა პერი თავს და ცდილობდა ფხიზელი გონებით განესაჯა მომხდარი ამბავი. სინამდვილეში ხომ მხოლოდ ის მოხდა, რასაც მუდამ მოელოდა. როცა ჟურნალში მისი წერილი დაიბეჭდება, პერი არავის არ გაუგზავნის, არც მშობლებს, არც ოჯახის წევრებს,—თვითონ გაიგებენ როგორმე. თანაც წერილი არც ისე ბევრს ნიშნავს, წერილი—ყველაზე პირველი და ყველაზე უმნიშვნელო ნაბიჯია დიდების გზაზე. ძლივს გადადგა ეს ნაბიჯი, ხოლო ახლა საჭიროა ძალა მოიკრიბოს მეორე, უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადასადგმელად. წინ უფრო სერიოზული ამოცანა აქვს გადასაჭრელი: იდეები ცხოვრებაში განახორციელოს, ნიადაგი მოამზადოს მათთვის, მომხრეები მოიპოვოს, როგორც ამა ქვეყნის ძლიერთა შორის, ისე ხალხში.

მომდევნო დღეებში პერი საბილიარდოებში დახეტიალობდა, რათა როგორმე მოეკლა დრო და მანამდე მოეთმინა, სანამ დანიშნული საათი არ დადგებოდა. მან კუნგენს ნიუტორვზე მდებარე კაფეშიც შეიარა და ფრიტიოფს შეეჩეხა, „ქვაბში“ ორგიის შემდეგ გამართული საუბრის მერე არ ენახა. მაშინ ბანჯგვლიანმა ჰერკულესმა სიმთვრალით თავისი თავი გასცა და ისეთივე ცახცახა და მშიშარა აღმოჩნდა, როგორც პატარა ბიჭი კონფირმაციის წინ. ახლა ფრიტიოფი კვლავ მედიდურად იჯდა ტახტზე, გარშემორტყმული მშვენიერების ნორჩი, უტყვი მოყვარულობით, ვისაც მასავით ფრაკები ეცვა და ვაჭრული ყაიდის მდიდრულ სადილზე სოდიან კონიაკს ყლურწავდნენ. მაღალი, ნაცრისფერი რუბენსისებური შლიაპა მაესტროს კეფაზე მოეგდო, გაშვერილ ფეხებს შორის მოქცეულ საშინლად დიდ ბამბუკის კომბლის ბუნიკს ხელისგულებით დაყრდნობოდა.

— ეშმაკმა დალახვროს! ეს ხომ ჩვენი სალომონის ახალგაზრდა ალადინიკოა!—დაიღრიალა მან მთელი დარბაზის გასაგონად, მერე კი პერის მისასალმებლად მოწყალედ აიქნია ხელი. — სად გმალავ-

ღათ მთელი ამ ხნის განმავლობაში თქვენი ლამპის ჭინკა? მოგვიჯექით!

მაგრამ პერს მათკენ გული არ მიუწევდა და ამიტომ შორიახლო ღაჯდა. როცა ფრიტიოფმა ჰკითხა, აქამდე რატომ არ ჩანდიო, პერმა მოკლედ აუხსნა, მუშაობით ვიყავი დაკავებულიო.

გოლიათური მკერდიდან ფრიტიოფს ჰომეროსული ხარხარი აღმოხდა.

— დიახ, დიახ! თქვენ სწორედ მოქმედების იმ ახალი ადამიანთაგანი ხართ, რომელთაც ასე იცავს ნათანი, უმორჩილესად გმადლობთ! რითა ხართ დაკავებული? წყალს ხომ არ აშრობდით რომელიმე უდანაშაულო ტბაში? გამოვიცანი თუ ვერა? იქნებ უმარტივესი ხერხი გამოიგონეთ, როგორ გადაიტანონ ყველა კლდეები მენეზე, როგორ დაფქვან მათგან ღორღი და მოზილონ კირი? ან იქნებ რომელიმე სხვა საშუალებით ემსახურებოდით პროგრესს და ჩვენი ძვირფასი სამშობლოს გაფურჩქვნა-გალამაზების საქმეს უწყობდით ხელს?

პერმა თვალი მოავლო საზეიმოდ გაჭიმულ ახალგაზრდა მხატვრების წრეს. სკამების ზურგებზე გადაშხლართულნი ისე გაშტერებულები ისხდნენ, თითქოს მსოფლიოს უდიდეს აღმოჩენებს უმზადებდნენ. პერმა სიგარის წვევით უპასუხა:

— ჩემის აზრით, ბევრი არაფერი დაშავებულა, თუ ჩვენ ყველანი ტილოს ნაჭერზე სამოთხის შექმნის ტალანტით არ მოვევლინეთ ქვეყნიერებას.

— სწორია! გაუმარჯოს ინდუსტრიას! ვადიდოთ ფაბრიკის მილების სიმყრალე და ღმერთმა სრულყოს ჩვენი საკანალიზაციო სისტემა! მითხარით, ახალგაზრდავ, როდისმე გინახავთ, კი, როგორ გამოიყურება თქვენი მანქანებით გაკეთებული ეს ახალი მოდის ნეტარება? მოწყალება მოიღეთ და ერთხელ ერთ რომელიმე ჩვენს პატარა ქუჩაში შეხედვა ინებეთ. დატკბით გამხდარი ბავშვებით, რომლებიც ისე ფუთფუთებენ იქ, როგორც მატლები დამპალი ყველის ნაჭერში; სამაგიეროდ გაისეირნეთ მდიდრულ ყაჩაღურ კვარტალებში, სადაც მოკალათებულან ებრაელი მილიონერები თავიანთი ჩასქელებული ცოლებით... სიდამპლეა, ყველაფერი სიდამპლეა, ჩემო მეგობარო, თავიდან ბოლომდე! ღმერთო დაგვიფარე! და ამას ჰქვია პროგრესი? ასეთია მეცნიერების ჯილდო! ღმერთო შეგვიწყალე! არა,

ჩემის აზრით, უკეთესია გაუნათლებელი გლეხი, რომელიც მშვიდობიანი ღიღინით მისდევს გუთანს და სამყაროს სრულყოფას „ღმერთს“ ანდობს. ის უფრო არის ნამდვილი ადამიანი, ვიდრე პროგრესის ყველა იუდეველი მქადაგებელი ერთად აღებული. რას იტყვით ამაზე? — მიუბრუნდა ფრიტიოფი თავის მუნჯ თანამეინახეებს. თანხმობის ნიშნად მათ მოწონებით წაიღმუვლეს.

ფრიტიოფი ლაზათიანად გამომთვრალი იყო და პერს არ გაკვირვებია ეს ტირადა. მაშინვე გააახსენდა იმ სამახსოვრო საღამოს „ქვაბში“ ნათქვამი მისი სიტყვები. ხოლო დოქტორ ნათანის მისამართით რომ მრავალგზის იხმარა ბოროტი ნართაულები, ამისი კი ვერა გაეგო რა, რადგან წინათ ფრიტიოფი ნათანის თითქმის ყველაზე მგზნებარე მომხრედ ითვლებოდა. მაგრამ არ ღირდა ყოველივე ამის გამორკვევა სწორედ ახლა, ამიტომაც პერმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა და გატაცებით შეუდგა გაზეთის კითხვას.

ამ დროს კარი გაიღო და კაფეში წამოსასხამებიანი ქალების და პალტოგახსნილი მამაკაცების ბრბო ხმაურით შემოიჭრა. რამდენიმე წუთში მათ კაფე გაავსეს. იმ დღეს მეფის თეატრში პრემიერა იყო და ამ ხალხს თან მოჰყვა ბობოქარი მეხუთე აქტის მღელვარება და აღფრთოვანება. ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, ყველანი ავტორისა და არტისტების გვარებს იმეორებდნენ, მსჯელობდნენ ამა თუ იმ როლის შესრულებაზე. ხან რომელ მაგიდასთან იფეთქებდა გაცხოველებული კამათი, ხან რომელთან. ფრიტიოფმა და მისმა მეგობრებმაც, რომელთა შორის, ახალგაზრდობის მიუხედავად, ბევრი ცნობილი პირი იყო, საპატიო ყურადღება მიიპყრეს. მაგიდებთან მსხდომნი ერთმანეთისაკენ იხრებოდნენ, თავებს აკანტურებდნენ, ჩურჩულებდნენ. კუთხეში განმარტოებით იჯდა ფერმკრთალი ახალგაზრდა ვაჟი, რომლის მეფისტოფელისებურმა გარეგნობამ ბევრის მზერა მიიპყრო. ეს პოეტი პოულ ბერგერი იყო. ერთი მრავალ მოწაფეთაგანი თვით ენევოლდსენისა და აღიარებული მემკვიდრე სიტყვის ამ დიდი ოსტატისა, რომელიც ახლახან გარდაიცვალა ოთხტაეპიანი ლექსის უკანასკნელ პწკარზე მუშაობის დროს. პერს ესმოდა, რა გაცხოველებით მსჯელობდნენ მეზობელ მაგიდასთან ქალები ბერგერზე და მის ლექსებზე. მასაც ახსოვდა პოეტი „ქვაბის“ ვაკხანალიიდან: მაშინ ბერგერი სკამზე შეხტა, დოქტორ ნათანის

პატივსაცემად სადღეგრძელო წარმოთქვა და თითებით გააფთრებით დაფშვნა თავისი ჭიქა.

უეცრად, მიუხედავად ხმაურისა და ღრიანცელისა, პერი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. ბნელი აზრი შეეპარა: რაც არ უნდა თავი გამოიჩინოს თავის დარგში, სულ ერთია, იმედიც არ უნდა ჰქონდეს, რომ როდისმე დიდებაში გაუტოლდება ამ არარაობა ლექსის ჩხაპნიას, რომლის სახელიც ახლა ყველას პირზე აკერია. პერის იდეები საჯარო კუთვნილებადაც რომ იქცეს, მისი სახელი ძნელად თუ გააღწევს ადამიანთა ვიწრო წრეს, რომელნიც ტექნიკასთან თანაზიარნი არიან. გაზეთები მთელ გვერდებს უთმობენ მსჯელობას რომელიმე მოთხრობაზე სიყვარულის შესახებ, მის გეგმას კი პეტიტით აწყობილ რამდენიმე სტრიქონს თუ მიუძღვნიან სადმე კუთხეში. აი, არხების პროექტების გამოგონების მაგიერ ლექსი რომ დაეწერა ზღვის შესახებ ან ნაკადული დაეთხუპნა, მაშინ...

წასვლისას ვერ დასძლია ცდუნებას და ფრიტიოფს უთხრა:

— მე მგონია, თქვენ, მუზის მსახურებს, ჯერჯერობით საყვედური არაფერზე გეთქმით. ხომ ხედავთ, რა ღრიანცელი იმართება უმნიშვნელო სპექტაკლის გამო. მთელი კვირა ილაპარაკებს ახლა ქალაქი ამ უდიდეს მოვლენაზე.

— დაე, ასე იყოს! — რით შეუძლიათ კიდევ დაინტერესდნენ ადამიანები ამქვეყნად თქვენის აზრით, ეშმაკმა დალახვროს?

პერი მიხვდა, რომ სათქმელი არაფერი ჰქონდა და გაჩუმდა.

— იქნებ თქვენ მართალიც ხართ, — დაიწყო მან ცოტა ხნის შემდეგ და მხატვრებს მახვილი მზერა გადააგლო, თითქოს გამოწვევა ესროლაო, — მაგრამ მოიცადეთ, მალე ყველაფერი სხვანაირად იქნება.

— ესეც კარგი ფსიქოპათია, — დაასკვნა ფრიტიოფმა პერის წასვლის შემდეგ და თავისი სირჩა გამოცალა.

თანამეინახეებმა ანგარიშმიუცემლად სტაცეს ხელი სირჩებს და მოწრნების ნიშნად დაიღმუვლეს.

* * *

პერს სრული რვა დღე ეყო მოთმინება, ეს დღეები პოლკოვნიკშა სთხოვა მოსაფიქრებლად, მეტს ვერც ერთ წუთს ვერ მოითმენდა. მაგრამ როდესაც მეცხრე დღეს დილით ნაცნობ კაბინეტში აღმო-

ჩნდა, თითქოს ის დაინტერესებული კოლეგა კი არ შეეგება, ასე თბილად რომ გამოეთხოვა ერთი კვირის წინ, არამედ სულ სხვა ადამიანი. ამჯერად პოლკოვნიკს მისთვის ხელი არ ჩამოურთმევია, არც დაჯდომა შეუთავაზებია. განზრახ უხეშად, — ამ უხეშობით პოლკოვნიკს აშკარად თავისი შეცბუნების დამალვა სურდა — დაუბრუნა პერს ყველა ნახაზი და უთხრა, პროექტს კარგად გავეცნი და პუბლიკაციისათვის შეუფერებლად მიმაჩნიაო.

— ძალიან, ძალიან უსუსურია. ცხადია, თქვენ ძალზე ახალგაზრდა ხართ იმისათვის, რომ დახმარების გარეშე... და თანაც, გამოცდებიც არ ჩაგიბარებიათ, როგორც მითხრეს, კანდიდატიც არა ყოფილხართ.

„აი, საიდან უბერავს ქარი, — გაიფიქრა პერმა, — მოხუცმა დიდი სიფრთხილე გამოიჩინა. მან ცნობები შეკრიბა... შესაძლოა, თვით პროფესორ სანდრუპთანაც. მაშ, დამაცადე!“

ამასობაში პოლკოვნიკი კაბინეტის ბოლოსკენ წავიდა, ზურგი შორენკეცის ღუმელს მიუშვირა და დაუფარავი უნდობლობით შეათვალიერა პერი — მისი სახე, მისი ტანსაცმელი თავით ფეხამდე, შლიაპაც კი, რომელიც პერმა შესვლისთანავე კართან სკამზე დადო.

— თქვენ სიდენიუსი გქვიათ, — ასე დაიწყო პოლკოვნიკმა, ერთ ხანს სიჩუმის შემდეგ. — სახელგანთქმული პასტორის ჩამომავლობისა ხომ არა ხართ?

პერმა წაუყრუა, როგორც ყოველთვის, როცა ამ შეკითხვას აძლევდნენ ხოლმე, ვითომ ვერ გაიგონა და თავის მხრივ მეტისმეტად ირონიულად გამოთქვა მოსაზრებები პოლკოვნიკის შეხედულებების ასეთ მოულოდნელ ცვლილებათა გამო. მაგრამ პოლკოვნიკმა მკვახედ და ნერვულად შეაწყვეტინა და განუცხადა, არც აუცილებლად მიმაჩნია და ვერც აზრს ვხედავ ჩვენი საუბრის გაგრძელებაში, რადგან ჩემი გადაწყვეტილება მტკიცეაო.

აშკარა იყო, პოლკოვნიკი ესწრაფვოდა, რაც შეიძლება ჩქარა მოეცილებინა თავიდან პერი. ის თითქოს განგებ არ აძლევდა პერს პირის გაღების საშუალებას, რათა შემთხვევით რისხვა მოწყალებით არ შეეცვალა.

— ძალიან ვწუხვარ, — უფრო მეგობრული ტონით თქვა მან ბოლოს და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა პერისკენ, — ძალიან ვწუხვარ. თუ ჩემი ამასწინანდელი სიტყვებით აუხდენელი იმედები გაგიღვი-

ძეთ, მაგრამ ერთი სეკუნდითაც არ მეპარება ეჭვი, რომ ჩემი გადაწყვეტილებით თქვენს ჭეშმარიტ ინტერესებს ვემსახურები. უდაოდ ნიჭიერი ხართ, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად კარგად უნდა გაერკვეთ იმაში, თუ რა გაკლიათ. საერთოდ, რცდაორი წლის ასაკში ადამიანის პატივმოყვარეობა მხოლოდ სწავლით უნდა კმაყოფილდებოდეს. ასე თუ ისე, ჩვენი ჟურნალის ამოცანას სულ არ შეადგენს, მეურვეობა გავუწიოთ ახალგაზრდებს და მათ უსუსურ ცდებს.

ამ სიტყვების შემდეგ პოლკოვნიკი მიბრუნდა და ხელის მოძრაობით მიახვედრა, აუდიენცია დამთავრებულიაო.

მაგრამ პერი ადგილიდან არ დაძრულა.

— მიხრწნილობის რომელ სტადიას უნდა მივაღწიო ბატონი პოლკოვნიკის აზრით, რათა ჩემმა შრომამ ბოლოს და ბოლოს აღიარება ჰპოვოს?

მოხუცი მეომარი გაჭარხლდა და ისე აჩქარებით შემობრუნდა, მის ირგვლივ ხალიჩა აიჩეჩა.

— ხომ არ გაგიჟდით? — ის იყო უნდა ეღრიალა, მაგრამ პერის აკანკალებული, გაფითრებული ტუჩების დანახვისას თავი შეიკავა. მიხვდა, საქმე შეიძლება ცუდად დაბოლოებულიყო, უსიამოვნების შეეშინდა და ერთხელ კიდევ გაიმეორა, აზრი არა აქვს ჩვენი საუბრის გაგრძელებასო.

— მხოლოდ ერთს გეტყვით, ბატონო პოლკოვნიკო, — განაგრძო პერმა. — ერთ დროს ინანებთ, რომ გამაგდეთ.

— მუქარასაც მიბედავთ?

— რაც გნებავთ, ის დაარქვით, მაგრამ როცა ჩვენ ხელმეორედ შევხვდებით ერთმანეთს, თქვენ თვითონ მოხვალთ ჩემთან და არა მე თქვენთან... თქვენ ჩემში მოტყუვდით, ბატონო პოლკოვნიკო... მე კი — თქვენში. უკეთ რომ მცნობოდით, არაფრის გულისთვის არ შეგაწუხებდით. ნახვამდის!

მოხუცი ჯარისკაცი მთლად გაშმაგდა, მაგრამ არაფერი უპასუხა. მის სულში გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა. როცა პერის ზურგსუკან კარი მიიხურა, პოლკოვნიკს თითქოს რაღაცამ წაჰკრაო, უნდოდა დასწეოდა პერს, დაებრუნებინა. მაგრამ „აი ლაწირაკიო“, ჩაილაპარაკა, შემობრუნდა, საწერ მაგიდას მიუჯდა და ბრაზისაგან მთელი ქაღალდები გადააქოთა.

მერე სასტუმრო ოთახიდან მისი გულგახეთქილი ცოლი შემოვარდა და ჰკითხა:

— ეს ვინ იყო შენთან? ღმერთო მოწყალეო, ისე მიიჯახუნა კარი, ჭერიდან ბათქაშის დიდი ნაჭერი ჩამოვარდა.

— იყო ერთი ვიღაცა... მე მგონია, ეს ყმაწვილი მხოლოდ ბათქაშს არ დაუტრიალებს უბედურებას.

— აღარ იტყვი ვინ არის?

— ნეტა თავად მეტყოდე, ვინ არის! ვიღაც გიჟია, ან თვალთმაქცი... იქნებ, გენიოსიც იყოს... ვნახოთ, დრო გვიჩვენებს.

თავი VI

აპრილის დასაწყისის ერთ მზიან, ნათელ დილას პერი ლანგენლინიეზე რესტორნის ღია ვერანდაზე იჯდა და გაჰყურებდა, როგორ ჩიედინებოდა მის წინ ხალხის დაუსრულებელი ნაკადი; საკვირაო წირვისა და ნოყიერი საუზმის შემდეგ მთელი ქალაქი აქ მოსულიყო, რათა მზეზე გამთბარიყვნენ და ზღვის მარილიანი ჰაერით ფილტვები გაეწმინდათ.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში პერი ძალზე გამოიცვალა. გახდა (რაც უხდებოდა კიდეც), წვერი საგანგებოდ დაიყენა ისე, რომ უფრო დიდი ხნისა გამოჩენილიყო, ეს მის სახეს უფრო მეტყველს ხდიდა. წინანდებური ზვიადი უზრუნველობა გაუქრა. ახლა, როცა თავზეხელებშემოწყობილი იჯდა და საკვირაოდ მორთულ გამვლელებს ათვალიერებდა, ისეთი თვალებით იყურებოდა და წარბებიც ისე შეეჭმუხნა, მაშინვე მიხვდებოდით, ამ ახალგაზრდას უკვე ეგემნა, რა ძნელიც იყო პირველი გულგატეხილობა ცხოვრებაში.

ვერ იქნა და ვერ მოგვარდა მისი საქმეები. ერთ დროს თავისი თავის ისეთი ურყევი რწმენა გააჩნდა, შეუდრეკელი ყმაწვილი გახლდათ და თუ საქმე მის მომავალს ეხებოდა, მეტად წინდახედული, ამტანი და ანგარიშიანიც კი იყო. პოლკოვნიკ ბერეგრავთან შეხლის შემდეგ კი მთლად დაეკარგა თავგზა. ძალიან უნდოდა შური ექცია პოლკოვნიკის, პროფესორ სანდრუპის და ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც მის წარმატებებს ეღობებოდა და არ დაუტოვებია არც ერთი გავლენიანი პირი, რომ თავისი ნამუშევარი არ ეჩვენებინა. კარი აუტალახა რედაქციას, რომ როგორმე დაებეჭდა პროექტის შესახებ თა-

ვისი სტატია. ბოლოს, მთლად თავგანწირული ნაბიჯი გადადგა — როგორც იქნა მიაღწია აუდიენციას შინაგან საქმეთა მინისტრთან და ეს უკანასკნელი დაარწმუნა, ქვეყნის წყალთა მეურნეობის გარდაქმნა დიდი ხანია აუცილებელიაო, მაგრამ ყველანი, თითქოს მოილაპარაკესო, პასუხად მხოლოდ ირონიულად იჩეჩდნენ მხრებს ან კარზე უთითებდნენ.

ყველა ამ უბედურებასთან, პერი მარტოდმარტოც იყო; მთელ ქვეყანაზე არ მოიპოვებოდა ადამიანი, ვისაც დაუფარავად ეტყოდა თავის მარცხზე რამეს და გულს მოიოხებდა. ბოლმა, რომელმაც გასავალი ვერა ჰპოვა, დაგუბდა და პერი უკარება გახდა, თავში ჩაეპეტა ავადმყოფური აზრი, შეგნებული და სისტემატიური დევნის მსხვერპლი ვარო. ყოველნაირად გაურბოდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ამხანაგებს. ეშინოდა, გიჟად ხომ არა მთვლიანო (მართლაც ბევრი ფიქრობდა ასე). ერთ წელზე მეტი იყო, არც „ქვაბში" შეუხედავს, თუმცა იცოდა, ლიზბეტი კარგა ხანია სხვის ალერსში პოულობდა ნუგეშს. მხატვრები — დანიელთა ერის ეს რჩეულნი, რომლებიც არა ნაკლებ ისტერიულად სცემენ თაყვანს ბუნებას, ვიდრე სასულიერო პირნი იმქვეყნიურ ძალებს და ამიტომაც ღვთის მადლით მოფენილ წინასწარმეტყველებად, ჭეშმარიტების მატარებლებად, ცასა და დედამიწას შორის შუამავლებად დადიან — პერს გულწრფელად ეზიზღებოდა. მართლაც, რომ დავუფიქრდეთ, ისინიც, ვინც უხეიროდ დახატულ ტილოებზე ლოცულობენ და ისინიც, ვინც განწყობილების პოეზიას ქადაგებენ, — თუმცა სასაცილოები არიან. სულაც არ წარმოადგენენ ისეთ უწყინარ და მიამიტ არსებებს, როგორიც ერთის შეხედვით შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა. მათი ხელიც ურევია იმაში, რომ ადამიანს ამ ქვეყნის ბატონ-პატრონს, დედამიწის ერთადერთ მეუფეს რწმენა დაჰკარგოდა.

წარუმატებლობასთან ერთად პერს ყრმობის დროიდან ნაცნობი სიმარტოვის გრძნობა, პირქუში, ნაღვლიანი სიმარტოვის გრძნობაც ეწვია; თუ წინათ თავი მარტოხელად მიაჩნდა მშობლიურ ჭერქვეშ. შინაურებს შორის, ახლა მთელ ქვეყანაზეც ვერ პოულობდა ადგილს. თვითეულ თანამემამულეში მორიგი სიდენიუსი ეჩვენებოდა, რომელიც ამა ქვეყნის ბრწყინვალებისა და ამაოებისადმი ფარისეველური ზიზღის ქვეშ თანდაყოლილ მეშჩანურ დამყაყებულობას მალავდა. ხშირად შურდა კათოლიკებისა, რომელთა ღვთისმსახურთაც აკრძა-

ლული აქვთ ცოლის შერთვა და სულიერი სიღატაკე. რომელიც მოჩვენებითი თავმდაბლური სიბრძნიდან გამომდინარეობს და რაც პროტესტანტურ პასტორებს შორის მამიდან შვილზე გადადის, მათში, კათოლიკებში, მოსახლეობის ყველა ფენას როდი ახასიათებს, თავდაყირა როდი აყენებს ყველა მცნებას, როგორც ეს კუზიანი მეფის ქვეყანაში ხდება, სადაც მცირეს დიდს უწოდებენ და მრუდეს — სწორს.

ყველანაირ გაჭირვებას უფულობაც დაემატა. თუმცა ბოლო დროს ღატაკ სტუდენტზე უფრო ღარიბად ცხოვრობდა, თვითეულ კაპიკს ითვლიდა, იაფ ტრაქტირებში სადილობდა ბურგერჰადეზე. სადაც მხოლოდ მეეტლეები და ლაქიები დადიან, მაგრამ ნირგორის მემკვიდრეობით მიღებული ფული მაინც არაჩვეულებრივი სისწრაფით უქრებოდა. პერმა იანგარიშა, ორიოდე თვეს ძლივს ეყოფოდა დარჩენილი თანხა, მერე რა უნდა ექნა? ხელახლა ეტანჯა ბავშვები სკოლაში? თუ დაეწყო დამამცირებელი ხეტიალი ფაბრიკანტებსა და ხელოსნებთან და შეხვეწნოდა, შემთხვევითი სამხაზველო სამუშაო მომეცითო?

გული სხვა მხრივაც დანაღვლიანებული ჰქონდა: დღემდე ვერ დაეიეწყებინა ფრანცისკა. ხშირად უჩვეულო მღელვარებით ათვალიერებდა მისგან დარჩენილ წმიდა ნაშთებს — დამჭკნარ ყვავილს (ოდესღაც ფრანცისკამ ეს ყვავილი თვითონ ჩაურჭო ღილის კილოში), ფრანცისკას სახუმარო წერილს (ამ წერილის წაკითხვა მხოლოდ სარკის საშუალებით შეიძლებოდა), ცისფერი აბრეშუმის ლენტს (რომელიც კისრიდან ააცალა ქალიშვილს). ახლა საღამოობით მარტო სეირნობდა და ხედავდა, ტკბებოდნენ გაზაფხულის ჰაერით და მზის ჩასვლით საცოლეებთან ერთად ყმაწვილები, უნარი შესწევდათ შეთვისებოდნენ როგორც მიწიერ, ისე ციურ მეუფეებს, პერი თავის თავს ეკითხებოდა, იქნებ ამაო მოჩვენებისათვის გავიღე მსხვერპლად ჩემი ბედნიერება, ხომ არ ჯობდა, თავიდან ამომეგდო ამაყი ოცნებანი, გავმხდარიყავი ისეთივე, როგორც ყველანი არიან, და კანტორის მაგარ ტაბურეტზე თავმდაბლად მჯდარს. შეძლებისდაგვარად მეკეთებინა სასარგებლო საქმე, მერე ცოლად შემერთო ფრანცისკა და გავმხდარიყავი კუზიანი მეფის ქვეყნის საპატიო მოსახლე და ოჯახის ბედნიერი მამაო.

მაგრამ უსიამოვნებანი ამით როდი ამოიწურებოდა. თითქოს

ყველა ბოროტი ძალა პერის წინააღმდეგ ამხედრებულიყო. რამდენიმე დღის წინ მათთან, ხიერტენსფრიუდჰადეზე მოხდა ამბავი, რომელმაც მეტისმეტად ააღელვა, უეცრად გარდაიცვალა მოხუცი ბოცმანი. დილით მოხუცი ჩვეულებისამებრ სასეირნოდ წავიდა თავისი ჩვეულებრივი მარშრუტით — ამალიენბურგის მოედანს შემოუარა, ბურჰერჰადეზე ანტონიასტრედემდე მივიდა და უკვე შინისაკენ გამოუხვია, მაგრამ უეცრად გოტერს და ადელჰადეს კუთხეში ქვაფენილზე დაეცა. ენა ძლივს მოიბრუნა და თავისი ვინაობისა დ მისამართის თქმა მოასწრო მხოლოდ, მერე დახურული კარეტით გაატარეს უსაქმურთა ბრბოში, რომელმაც მაშინვე მოიყარა მის ირგვლივ თავი, და შინ მიიტანეს. ცოლი სეირნობიდან მის დაბრუნებას ელოდა და უკვე სარკიდან იცქირებოდა. როგორც კი კარეტა სახლის წინ შედგა, ხოლო კარეტის ფანჯრიდან პოლიციელის ხელი გამოჩნდა, რათა კარი გაეღო, ქალი მაშინვე მიხვდა უბედურება მოხდაო და კიბეზე ჩაირბინა. პერი თავის ოთახში იჯდა, მაგრამ უცნაური ხმაურის გაგონებისთანავე წინაკარში გავიდა გასაგებად, რა მოხდაო და იქიდან დაინახა, როგორ გასწია ქალბატონმა ოლუფსენმა პოლიციელი და წუთის შემდეგ უკვე პარმაღზე ადიოდა ბოცმანის უსიცოცხლო სხეულით ხელში. სამოცდაცამეტი წლის მოხუცმა მარტომ, სხვის დაუხმარებლად აიტანა ციცაბო კიბეზე მომაკვდავი ქმარი, ხოლო პოლიციელი შემთხვევის შესაფერისი ღირსებით მისდევდა უკან და ოლუფსენის ყავისფერი ჯოხი და რუხი ცილინდრი მიჰქონდა. სანამ კაცი ექიმთან აფრინეს, ხოლო საშინლად შეშინებული დურგლის ცოლი თავისივე თაოსნობით პასტორთან გაიქცა, პერი პოლიციელთან ერთად ქალბატონ ოლუფსენს ავადმყოფის ლოგინში ჩაწვენაში ეხმარებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მოხუცს ცოლის მკერდზე თავმიყრდნობილს აღმოხდა სული.

იმ დღიდან პერი თავის პატარა ოთახებში ძალიან ცუდად გრძნობდა თავს. თავის ცხოვრებაში პირველად შეეჩეხა სიკვდილს. ღამღამობით ძილი უტყდებოდა იმაზე ფიქრით, რომ მის თავზე, „დარბაზში“ განისვენებს გაშეშებული, საშინელი, უშნოდ ყბაჩამოვარდნილი ცხედარი. დღისით კი, საწერ მაგიდას რომ მიუჯდებოდა და თავზე ხელებშემოდებული ჩაფიქრებული ათვალიერებდა თავის ნახაზებს, ხუთ-ექვს ბედუკულმართ ფურცელს, რომლებიც მთელ მის ნებისყოფას და გულისთქმას დაეუფლენ — უეცრად ეჩვენებოდა,

რომ სახლში გამეფებული სამარისებური სიჩუმეც და ჭერიდან გამოღწეული ყინულოვანი სიცივეც თითქო განგებ აღიზიანებდა მას, ახსენებდა, თუ რა არარაობა და საცოდაობაა თვით ბრწყინვალე ბედიც კი სიკვდილის ყოველისშემძლეობის წინაშე, რა სწრაფწარმავალია თვით ხანგრძლივი სიცოცხლეც კი არარსობის უსასრულობის წინაშე.

ბოლო დღეღამის განმავლობაში პერს საერთოდ არც ერთხელ არ შეუხედავს შინ. რომ გაეფანტა დაუპატიჟებელი აზრები, კაფეებსა და საბილიარდოებში დაეხეტებოდა, ღამე უცნობ ქუჩის ქალთან გაატარა, ხოლო ახლა კი ცარიელ ჭიქას უჯდა და იტანჯებოდა ბავშვობიდანვე საძულველი ზარის ხმით, რომელიც ჯადოსავით სდევდა თან. კვირაობით, როცა ჩაუვლიდა დახურული ვიტრინების უსასრულო რიგს, თვითკმაყოფილი მოქალაქეებით სავსე პარკებსა და ესპლანადებს, თავს უსახლკაროდ, განსაკუთრებულად ნაღვლიანად და სასოწარკვეთილად გრძნობდა. ზოგჯერ ჩასუქებული კისერმოღრეცილი ბატონი შემოეყრებოდა ხოლმე, — ბატონს ცხვირი ცაში აეწია, ხელები ზურგზე შემოეწყო და ამაყად მიაბიჯებდა, — ალბათ, ადვოკატია, ფიქრობდა პერი, ან მევახშე, — თანაც დიდი გაიძვერა ვინმეო. ალბათ უკვე იყო ეკლესიაში, მოინანია ყველა ცოდვა, რაც ამ კვირაში ჩაიდინა და ეკლესიიდან გამოვიდა უცოდველი კაცივით, ვისზედაც ალალია სასიამოვნო გასეირნება. მის უკან გამოჩნდებოდა მეორე კისერმოღრეცილი ბატონი, პირველის ღვიძლი ძმა. მას ხელგაყრილი მოჰყავდა გათქვირული ქერა ქალი და ხელი ჩაეკიდა მშვენიერი გოგონასათვის. აი ოჯახის ბედნიერი მამა, რომელმაც შესძლო მისთვის მიჩენილი ადგილის პოვნა ამქვეყნად და გახდა კალის ღილების გაყიდვის აგენტი, ან იქნებ სულაც სატუალეტო ქაღალდის გაყიდვით აყვავდა. მის შემდეგ მოედინებოდნენ სტუდენტები, ჯარისკაცები, პირმცინარი ქალიშვილები, მწარედ მოღიმარი მოხუცები — ყველანი ლოკოკინებივით მოხოხავდნენ სასეირნოდ, რათა გაენიავებინათ თავიანთი პატარა, მყუდრო ნიჟარა, მათთვის მთელი ქვეყანა რომ მოქცეულიყო შიგ. ადამიანები, რომელთაც განსაკუთრებული პრეტენზიები არა აქვთ! ნეტარი ხალხი! თითქოს შერჩეული მართლმორწმუნე სიდენიუსების კრებული!

გემის საყვირის ჩახრინწულმა ღრიალმა პერი შეაკრთო. დიდი საბარგო გემი წყალზე ლაპოტების ტყლაშუნით შორდებოდა ნავმი-

სადგომს. მზე დასთამაშებდა მის შავ გვერდებს, კვამლი ქარში შავი მატყლის გროვასავით იწეწებოდა. მანქანა-ტელეგრაფის რუპორზე ხელმოკიდებული კაპიტანი ბოგაზე იდგა, ფორშტევნზე ინგლისის სავაჭრო ფლოტის დროშა ფრიალებდა.

ამ სანახაობამ პერს წამით გამგზავრების ძლიერი სურვილი აღუძრა... მოშორებოდა აქაურობას და ახალ ზხარეში, ახალ ხალხში ახალი ცხოვრება დაეწყო... მაგალითად, ამერიკაში ან ავსტრალიაში, ან კიდევ უფრო შორს, შორეულ, უხილავ ქვეყნებში, სადაც არც მლიქვნელი კაცუნებია და არც ზარების რეკა ისმის.

ეს აზრი პერს პირველად არ მოსვლია თავში, ცდუნება პირველად არა სწვევია, კაცმა რომ თქვას, რა უშლის, ნეტავი, ხელს? მშობლიური ბუდის ჯადოსნური, მიმზიდველი ძალა, რომლის შესახებაც იმ ღამეს ლაპარაკობდა ნირგორი, ვიდრე მის მსხვერპლად დაეცემოდა — პერისთვის უცნობია. აი დაინგრევა ძველი სახლი ნიუბოდერში და მას თავის სამშობლოში უკანასკნელი თავშესაფარიც გამოეცლება. ნუთუ სასაცილო არ არის მომავლის რაიმე იმედი იქონიო, თუ ამ პატარა, უთაურად მოწყობილ ქვეყანაში ცხოვრობს, თვით ბედის მიერ დასაღუპავად რომ არის განწირული? პერს უნებურად ახსენდებოდა განსვენებული ბოცმანის ხანგრძლივი და თავგადასავლებით მდიდარი ცხოვრების მოგონებები. მოხუცი ჩვეულებრივად იწყებდა ხოლმე 1801 წლის ვნების ხუთშაბათიდან, როცა, ჯერ კიდევ ბალღმა კოპენჰაგენის პორტში ბრძოლები ნახა. მერე მოყვებოდა, როგორ განიცადეს მთელი რიგი დამამცირებელი დამარცხებები და არნახული სამარცხვინო დაშლა, რის პროლოგსაც 1801 წლის სააღდგომო მეხისტეხა წარმოადგენდა. მაშ, განა ღირს შენი ცხოვრება დაუკავშირო განწირულ ქვეყანას, რომელიც სულ რაღაც ერთი თაობის განმავლობაში საცოდავ ნანგრევად, ძალ-ღონით სავსე ევროპის სხეულის უძლურ და ანემიურ დანამატად იქცა?

დაიწყოს ახალი ცხოვრება! სხვა დედამიწაზე, სხვა ცის ქვეშ! ამ აზრის მარტოოდენ თავში გავლებამაც კი ძალა შემატა. ვიდრე, მიმავალ გემს თვალს აყოლებდა, დიდი ხნის მივიწყებული ხეტიალის სურვილი ხელახლა დაეუფლა. პერი თავის თავს ეუბნებოდა, შესაძლოა სადღაც აქედან შორს — შორს გამარჯვება და ბედნიერება მელისო. შეიძლება სადღაც შორს — შორს აქედან ბავშვობის ოქროს სიზმრები აცხადდნენ. შესაძლოა კიდევაც მოვიპოვო პრინცესა

და ნახევარი სამეფო სართად, — დაე, თუნდაც პრინცესა შავკანიანი აღმოჩნდეს, ხოლო სამეფო კი ადვილად მოთავსდეს ინდოეთის ოკეანის პალმის კუნძულზეო.

ამ წუთს ვიღაცის ჩრდილი დაეცა მაგიდას. მის წინ იდგა მოდაზე ჩაცმული პატარა ტანის ბატონი — ივენ სალომონი — და აღტაცებული ღიმილით შლიაპას იხდიდა.

— ვიცოდი, რომ ეს თქვენ იქნებოდით!.. ძალიან, ძალიან მოხარული ვარ. დიდი ხანია არ მინახიხართ! შეიძლება ვიფიქროთ, რომ განგებ ემალებით ძველ მეგობრებს! აბა, როგორ არის საქმეები?

პერმა ოდნავ წამოიწია სკამიდან და რაღაც გაურკვეველი წაიბურტყუნა. ამ შეხვედრას დიდად არ გაუხარებია, მაგრამ სალომონს დაჯდომა მაინც შესთავაზა.

სალომონი პერის პირდაპირ ჩამოჯდა და კელნერის დასაძახებლად თავისი ჯოხის ბუნიკი მაგრად დაუკაკუნა მაგიდის კიდეს.

— ნება მომეცით რაიმე შემოგთავაზოთ! თქვენი ჭიქა, ვხედავ, ცარიელია. აბსენტს მიირთმევთ?

— გმადლობთ, არ მინდა.

— მაშინ ერთი ტოლჩა ლუდი იყოს, ან ერთი ჭიქა ღვინო ხომ არ მოვატანინო? იქნებ პორტვეინი ინებოთ? ნუთუ არ გეამებათ? აქ საუკეთესო ღვინოები ვქვთ.

— დიდად გმადლობთ. არაფერი არ მინდა, — მოუჭრა პერმა, თან სევდიანად გაიფიქრა, სწორედ ივენია ჩემი ნამდვილი მეგობარი და გულწრფელი თაყვანისმცემელიო. გაახსენდა სადღაც გაგონილი თუ წაკითხული: „მთლად მატროხელა ადამიანი ქვეყნად არ არსებობს, სულელები სამყოფად მოიპოვებიანო“.

სალომონმა ყინულიანი წყალი მოითხოვა, ვერცხლის პორტსიგარი გახსნა და პერს გაუწოდა.

— ალბათ, მთლად მუშაობაში ხართ ჩაფლული, ბატონო სიდენიუს? ოჰ, ეს დიდი გამომგონებლები! აი, თურმე, რატომ ეძებდით მარტოობას! მაშ როდის უნდა გასკდეს ბომბი? მალე გააკვირვებთ ქვეყანას თქვენი შესანიშნავი აღმოჩენებით?

პერმა პასუხად მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— საიდუმლოდ გეტყვით: თქვენ გელიან. თანაც როგორ გელიან! იმ ადამიანებს, რომლებიც ჩივიან, რომ ჩვენს ქვეყანაში არაფერი არ ხდება ღირსშესანიშნავი, მე ვეუბნები: „მოითმინეთ, სცე-

ნაზე ახალი თაობა გამოდის. სწორედ ის მოგიხდენთ რევოლუციასმეთქი“.

პერი ისევ დუმდა: ამ თემაზე ლაპარაკი არ სურდა, თანაც პირფერული სიტყვები არ სიამოვნებდა, რადგან სალომონი უტიფრად ყველას გასაგონად იმეორებდა იმ მოსაზრებებს და გამოთქვამდა იმ იმედებს, რომლებშიაც პერი თავის თავსაც ვერ უტყდებოდა.

— წაიკითხეთ ნათანის უკანასკნელი სტატია „ლიუსეტში“? რას ამბობთ, ნუთუ არ წაგიკითხავთ?.. აუცილებლად წაიკითხეთ, პირდაპირ თქვენთვისაა დაწერილი. ამაღელვებელი რამაა. თქვენ მხოლოდ დატკბით, ნახეთ, როგორ აშიშვლებს ჩვენს უდღეურ (მისი საკუთარი გამოთქმაა) ესთეტიკოსებს და მოქმედებისაკენ მოუწოდებს ინიციატივიან, ყოჩაღ ადამიანებს. შეუდარებელი რამ არის!

პერმა გაოცებით შეხედა.

— დოქტორ ნათანზე ამბობთ? — ჰკითხა მან.

პერს უეცრად გაახსენდა კაფეში ფრიტიოფთან დიდი ხნის წინანდელი ლაპარაკი, ჯერ კიდევ მან გადაუკრა სიტყვა „მჯღაბნელების“ მისამართით, მაგრამ მაშინ პერმა ვერ გაიგო მისი ნართაულები, ან უფრო სწორად, არ მოინდომა გაგება. სალომონის ნათქვამმა დააინტერესა პერი. იკითხა, რა დაწერა უნივერსიტეტის მოღვაწემ და სალომონიც მაშინვე დაპირდა, გაზეთის იმ ნომერს მოგიტანთო.

— ნუ შეწუხდებით, გეთაყვა, — უარობდა პერი, — დროც კი არა მაქვს, რომ წავიკითხო, — სკამის ზურგზე გადაწვა და თითქოს სხვათა შორის დაუმატა: — საქმე ისაა, რომ გამგზავრებას ვაპირებ.

— აქედან წასვლას აპირებთ? — თითქმის შიშით შეეკითხა ივენი.

— დიახ, ვფიქრობ.

— სამუდამოდ?

— იქნებ სამუდამოდაც.

ივენმა თვალები დახარა და წუთით დადუმდა.

თუმცა ივენს ვიღაცეებისაგან უკვე მიღებული ჰქონდა ცნობები პერის პროექტზე და იმის შესახებ, რომ პოლკოვნიკი ბერეგრავი და პროფესორი სანდრუპი ამ პროექტს ხიშტებმომართულნი შეხვდნენ, მაგრამ დაუშვებლად მიაჩნდა, რომ ჩვენს განათლებულ დროში ადა-

მიანი ასეთი აღმაშფოთებელი უსამართლობის მსხვერპლი გამხდარიყო.

— საერთოდ კი, თქვენ მართალი ხართ, — თქვა მან ბოლოს,— შესანიშნავად მესმის, რატომ გაგიჩნდათ აქედან წასვლის მოთხოვნილება. აქ — ყოველ შემთხვევაში ამჟამად — თქვენთვის შესაფერისი ნიადაგი არ არსებობს. უნებურად მახსენდება თქვენი მოსწრებული შენიშვნა პოლიტექნიკური ინსტიტუტის შესახებ. თქვენ მას როგორღაც „კანტორის მოსამსახურეთა სანერგე“ უწოდეთ. ჩემის აზრით, ბრწყინვალე შეფასებაა. თანაც სამართლიანი, უფრო მეტიც, ვიდრე სამართლიანი. ჩვენში ამჟამად ნამდვილი საშუალობის კულტი აღმოცენდა. გამონაკლისებისათვის ადგილი არ არის, არავინ არავითარ მოთხოვნილებას არ განიცდის რაიმე არაჩვეულებრივისა, გამოჩენილისა, ახლებურისა, არავის არ შეუძლია მისი გაგება. ზუსტად ისეა, როგორც ნათანი წერს: „ჩვენ ძალიან დიდხანს და ძალიან უდარდელად გავერთეთ ფანტაზიის თამაშით და ამით მნიშვნელოვნად გავტეხეთ ერის ნებისყოფა“.

— სწორედ ასე წერს?

— მაგაზე მეტსაც წერს! არა, მე აუცილებლად გამოგიგზავნით სტატიას. თქვენ პირდაპირ ვალდებული ხართ ის წაიკითხოთ, დიდი ხნით მიდიხართ?

— არ ვიცი. ჯერ კარგად არ მომიფიქრებია.

— არა, თქვენ უნდა დაბრუნდეთ. დაბრუნდეთ რაც შეიძლება მალე. დარწმუნებული ვარ, მოვალე ხართ ასე მოიქცეთ, მომავალი თქვენია... კარგად თუ დავუფიქრდებით, შეიძლება არც ისე სისულელე იყოს ცოტა ხნით გაქრობა. ძალიანაც ჭკვიანურია. იცით რა, როცა ადამიანი საზღვარგარეთ არის ნამყოფი, ეს მას წონას აძლევს. აჰ, რომ შეგეძლოთ ადგილის შოვნა რომელიმე ინგლისურ ან ფრანგულ ფირმაში, მაგალითად, „ბლეკბურნსა და გრიზში“... ეს ფირმა დიდ იჯარას იღებს ხიდების აშენებაზე. ჩვენ ერთხელ გვქონდა მასთან საქმე. ან იქნებ სხვა გეგმები გაქვთ?

პერმა ორჭოფული პასუხი გასცა.

ივენი ჭრელ ცხვირსახოცს ათამაშებდა, ენაზე ადგა შეკითხვა, რომლის მიცემასაც ვერ ბედავდა — რომელი ფულებით აპირებ მოგზაურობასო. მან პერის ცხოვრების შესახებ გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე პერს ეგონა. იცოდა, რომ ფული უჭირდა და ძალიან

წუხდა, რომ პერი ისე იქცეოდა, მისთვის მეგობრული დახმარების შეთავაზების შესაძლებლობა არ ჰქონდა. და აი, დღეს მას გაუჩნდა იმედის ნაპერწკალი, შესაძლებელია ჩემი დახმარება შეეთავაზოო. ასეთი სახის დახმარებას ის ხომ ყველას უწევდა, ვის ტალანტშიც ეჭვი არ ეპარებოდა. ამ დახმარებით ივენს სულაც არ მოჰქონდა თავი. თუმცა ბევრი სასაცილო მხარე გააჩნდა, ივენი მეტისმეტად უანგარო, ბავშვივით გულისხმიერი ადამიანი იყო. ახლობლის დახმარების სურვილით სავსეს მხოლოდ ერთი გატაცება ჰქონდა: აენებივრებინა თავისი კერპები და მოეხსნა მათთვის ყველა და ყველანაირი საზრუნავის ტვირთი.

უცბად ივენი სკამიდან წამოხტა, თითქოს უხილავმა ზამბარამ აისროლაო.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ იძულებული ვარ დაგტოვოო. დედას და დას შევპირდი, გაგაცილებთ-მეთქი. ქალაქგარეთ ვილაში ვაპირებდით წასვლას. აი, ისინი უკვე მოდიან.

ქვემოთ, სადაც ვიწრო გასასვლელი რესტორანს ხეივნისაგან ყოფდა და ფეხით სასიარულო ხიდი იყო გადებული, გამოჩნდა დიდი საუცხოო კარეტა, რომელშიც წყვილი ქურანა ცხენი იყო შებმული. ვერცხლისქანდიანი აკაზმულობა ჰქონდა, კოფოზე ცისფერლივრეანი მეეტლე და ლაქია ისხდნენ, მათ უკან კი ორი ქოლგა ირხეოდა — თეთრი და სოსანისფერი.

— არა გსურთ ჩემიანები გაიცნოთ? — ჰკითხა სალომონმა, — ღედა და და ძალიან მოხარულნი იქნებოდნენ.

პერი უარზე იდგა. არ სიამოვნებდა, რომ მთელი საზოგადოების წინაშე რთული ცერემონია უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ სალომონმა უკვე დაუქნია ხელი მეეტლეს და წამში კარეტა სწორედ რესტორნის კიბესთან შეჩერდა.

კარეტაში ქოლგებს ქვეშ ორი ქალი იჯდა. ერთმა, უფრო ახალგაზრდამ, მაშინვე მიიქცია პერის ყურადღება. თუმცა უკვე ნანახი ჰყავდა ერთხელ, მაგრამ მაშინ ქალს ნიღაბი ეკეთა და არ იცოდა მისი ვინაობა. ეს იყო ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის წინ, — იმ კარნავალის ღამე, როცა პირველად შეხვდა ფრუ ენგელჰარდს. პერს ბუნდოვანი მოგონება შემორჩა ბრილიანტებმოპნეულ თეთრკაბიან „თოვლის დედოფალზე“, რომელსაც ღრმად გულამოჭრილი კაბა ეცვა. ყოველთვის წარმოდგენილი ჰყავდა ის უსიცოცხლო დონდლო

ებრაელ ქალად, ისე რომ გამოაფენენ ხოლმე თავიანთ სიმშვენიერეს და ბრილიანტებს, როგორც მედუქნე თავის საქონელს. მის წინ კი იჯდა თვრამეტ-ცხრამეტი წლის ქალიშვილი და, თუმცა მის ეროვნებაში კაცს ეჭვიც კი არ შეეპარებოდა, ქორფა, სწორნაკვთებიან და თეთრყირმიზ სახეზე ქუჩუჩა კულულები ჩარჩოდ შემოვლებოდა. ქალი საკმაოდ გამომწვევად იყო ჩაცმული, მაგრამ გემოვნებით კი ეცვა: წელზე მჭიდროდ მომდგარი ნაცრისფერი ხავერდის კაბა ემოსა, სოსანისფერ ქუდზე ორი აბრეშუმის ჭრელი ფრთა ებნია, რომლებიც ისე თრთოდნენ ქუდზე, როგორც გიგანტური პეპლის ფრთები, ქუდს ქვემოდან კი წყვილი მომხიბლავი ცოცხალი, ეშმაკური, ხავერდოვანი მუქი თაფლისფერი თვალი შემოგცქეროდათ. ეს თვალები პერს ისეთი წრფელი ინტერესით, ისეთი თამამი ცნობისმოყვარეობით მიშტერებოდნენ, უნებლიეთ შეკრთა.

დედა კი პირიქით, პერს ოდნავ შესამჩნევი თავის დაკვრით მიესალმა.

— აი, თურმე, როგორი ყოფილხართ, — თქვა მან. — ჩემი ვაჟი ხშირად ლაპარაკობს თქვენზე. ინჟინერი ხართ, თუ არა ვცდები?

პერმა მექანიკურად რაღაც ჩაიბურტყუნა პასუხად, ისე რომ ქალიშვილისთვის თვალი არ მოუშორებია. ქალიც დახრილ წამწამებს ქვემოდან დაჟინებით ათვალიერებდა.

მთელმა ამ ცერემონიამ არც თუ ისე ბევრი დრო დაიკავა. ივენი კარეტაში ჩაჯდა, ფრუ სალომონმა თქვა, ჩემი ვაჟის მეგობრები ჩვენთვის მუდამ სასურველი სტუმრები იქნებიანო, ციცად დაუკრეს თავი ერთმანეთს, ლაქია კოფოზე ახტა და კარეტა დაიძრა.

ლოყები უგიზგიზებდა პერს, ქალაქში რომ ბრუნდებოდა. მშვენიერი მუქი თაფლისფერი თვალების ურიდი მზერა თანსდევდა და უეცრად ნათლად დაინახა ქალი ისეთი, როგორიც საკარნავალო ღამეს იყო. ნახევრადშიშველს შავ ხვეულ თმაზე ოქროს გვირგვინი ედგა, სქელ პირბადეზე ბრილიანტები უელავდნენ.

პერს ყურებში აუეღერდა უხილავი მაცდუნებლის ხმა: „შავი პრინცესა... და ნახევარი სამეფო სართად“.

* * *

ივენმა სიტყვა არ გატეხა და იმ საღამოსვე გამოუგზავნა დოქტორ ნათანის გახმაურებული სტატია. პერს სხვა საქმე არ ჰქონდა და მაშინვე შეუდგა მის კითხვას. სტატია არაჩვეულებრივი ენითა

და ტონით იყო დაწერილი და განცვიფრებულმა პერმა ინტერესით წაიკითხა. ის იცნობდა ამ სახის წიგნებს, მაგალითად მარტენსენის „ეთიკას“, რომელსაც ჯერ კიდევ ბავშვობისას, მამის ბრძანებით ხმამაღლა კითხულობდა თავისუფალ დროს. ამ საქმიანობამ დიდი ხნით ააღებნია ხელი იმ ლიტერატურის კითხვაზე, რომელსაც მის სპეციალობასთან პირდაპირი დამოკიდებულება არ ჰქონდა. ამ სტატიის ავტორი კი ნათლად და პირდაპირ გამოთქვამდა ცხოვრებაზე და ადამიანებზე ისეთ აზრებს, რომელთა სამართლიანობაში პერი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა. გულში ზეიმობდა კიდეც, როცა კითხულობდა გონებამხვილურ და გაბედულ კრიტიკას ყოველივე იმისა, რაც დანიაში თავადაც ეზიზღებოდა და უწინარეს ყოვლისა ის უხაროდა, რომ ავტორი თავს ესხმოდა სიდენიუსის ჯიშის ადამიანთა წვრილმან თვითკმაყოფილ ფარისევლობას, რაც მთელი ერისათვის სამარცხვინოდ მიაჩნდა.

პერს განსაკუთრებით მოეწონა სტატიის დასასრული, სადაც ავტორი პასუხობდა მისი მოღვაწეობის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ გამოხდომებს ყოველი მხრიდან და დიდი ლიტერატურული ოსტატობით აღწერდა საზღვარგარეთ ხანგრძლივი სწავლის შემდეგ მშობლიურ მხარესთან შეხვედრის შთაბეჭდილებებს. მეტისმეტად ხატოვნად აღწერდა, თუ როგორ მოაქროლებდა ჩქარი მატარებელი ჭანახლებული გერმანიის ხმაურიანი და დიდი ქალაქების გავლით, უზარმაზარ მოფუსფუსე ჭიანჭველების ბუდეზე — ჰამბურგზე, აყვავებულ კილზე, როგორ გადაჯდა შემდეგ გემზე, როგორ მიადგა ერთ წყნარ დილას გემი კორსიორს, და პაწაწინა ქალაქის მყუდრო ნავსადგურის დანახვისას მოეჩვენა, თითქოს სულ სხვა სამყაროში, ზღაპრული ძილის სამეფოში მოხვდა. ეს შთაბეჭდილება უფრო გაუძლიერდა, როცა გათენდა და ხელახლა მატარებელში გადაჯდა: ვაგონი უმოწყალოდ ანჯღრევდა, ყველა მგზავრს გული ერეოდა, ყოველ თხუთმეტ წუთში მატარებელი ჩერდებოდა რომელიმე გაღატაკებულ პატარა სადგურზე, სადაც რამდენიმე გლეხი, რომელთაც მაღალი შლიაპები ეხურათ და ვეებერთელა ყალიონები გაერჭოთ პირში, ელოდა მატარებელს, მაგრამ ამას კი არა, არამედ სხვას, ორიოდე საათის შემდეგ რომ მოვიდოდა. ავტორს მოეჩვენა, იმ მხარეში მოვხვდი, სადაც დრო არავისთვის არ არის ძვირფასი, რადგან აქ ყველას წინ უდევს მთელი მარადისობა, ამ სიტყვის ნამდვილი გა-

გებითო. ეს შთაბეჭდილება არ შეცვლია კოპენჰაგენის ვიწრო ქუ-ჩებშიც, სადაც ძველებურად ძნელია გავლა, სადაც დუქნებმა ისევ პროვინციული სახე შეინარჩუნეს, სადაც ეტლები ლოკოკინის სიჩ-ქარით მოძრაობენ, ხოლო თეატრალური აფიშები კი იმავე მიამი-ტური რაინდული ტრაღედიების დადგმას იუწყებიან, მის წასვლამდე რომ იდგმებოდა, ვიდრე ევროპა პროგრესის გზით შეიდმილიანი ნა-ბიჯებით მიდიოდა, სანამ ევროპაში სულიერი რევოლუცია მიმდი-ნარეობდა, რომელმაც გარდაქმნა საზოგადოებრივი წესრიგი და კა-ცობრიობის წინაშე ახალი, უფრო მაღალი და გაბედული მიზნები დასახა, აქ ცხოვრება ერთ ადგილზე გაყინულიყო.

ბოლოსო, წერდა შემდეგ ავტორი, შევიარე ჰამელჰოლმზე სტუ-დენტთა კვარტალში, და თანაც, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, სწორედ იმ საათებში მოვხვდი, როცა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მეგობრებთან ერთად ნასადილევს ყავას ვსვამდი ხოლმეო. შევედი რესტორანში და იმედი მქონდა, რომელიმე ძველ ნაცნობ-თაგანს შევხვდებოდი. რარიგ გავოცდი, როცა თითქმის ყველა ნაც-ნობი დავინახე — იმავე კუთხეში, იმავე მაგიდასთან, ისევე ისხ-დნენ, როგორც მრავალი წლის წინათ, როცა მეც მათ შორის ვიყა-ვიო. თუმცა ამ წლების განმავლობაში ისინი დაბერებულიყვნენ, ზოგი კიდევაც გაჭაღარავებულა; მართალია, ვინ გამხდარიყო, ვინ— უმეტესობა — გასუქებულიყო; გამომეტყველება, დინჯი მოძრაობა და მშვიდი, თვითკმაყოფილი ლაპარაკი მოწმობდა, რომ მოხუცებულო-ბის გონებასუსტობა ნაადრევად სწვეოდათ, მაგრამ დანარჩენი ყვე-ლაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს მრავალი წლის განმავლობა-ში არავინ დაძრულიყო ადგილიდან. საუბრითაც კი (ვერავინ მიცნო, ამიტომ მეზობელ მაგიდას მივუჯექი და ყური მივუგდე), — საუბ-რითაც კი ისევ ისე მაღალფარდოვან ფილოსოფიურ—თეოლოგიურ საკითხებზე ლაყბობდნენ, რომლითაც წინათაც ანელებდნენ ხოლმე ყავას და თამბაქოს და ცხადია, არც ერთ ცნობას იმის შესახებ, თუ რით ცხოვრობდა, სუნთქავდა და ღელავდა ევროპა ამ წლებში, არ შემოეღწია ამ ქვეყნის საზღვრებშიო. მხოლოდ აქ გავიგე საბოლოოდ, სადაც მოვხვედრილვარ. თურმე, მძინარე მზეთუნახავის სამეფოში ამოვყავი თავი, სადაც დრომ შეაჩერა სვლა, სადაც ფანტაზიის მკრთალ ვარდებსა და ტვინის ჭყლეტის ბასრ ეკლებს უკან ფერფლი და არარა-ობა იმალება. მაგრამ ამავე დროს, (ასე ამთავრებდა ავტორი სტატიას),

მე მივხვდი ჩემს ჭეშმარიტ მოწოდებასო. იმ შორიდან დაბრუნებულ ზღაპრული პრინცის მსგავსად, რომელმაც ბთვლემარე მცველებს ბუკი გამოსტაცა, რათა გოლიათები ღრმა ძილისაგან გამოეფხიზლებინა, შევეცდები დანიაში გავაღვიძო. ყოველივე, რასაც ჯერ საუკუნოდ არ დაუძინია, გავაღვიძო ყველაზე ძლიერი, ყველაზე მებრძოლი ახალგაზრდობა, გავაღვიძო ყველა, ვისაც გამბედაობა ეყოფა ძილის ჭიმვადი ქსელი ნაფლეთებად აქციოს, გასრისოს ხეშეში მკვრივი პარკი, რომელშიც ერის შეკრული სული თვლემსო...

ამ საბრძოლო მოწოდებაზე პერს სისხლი მოაწვა სახეში. მოეჩვენა, ნათანის მგზნებარე გამომწვევი მოწოდება მე მეხებაო, მხოლოდ მე. მუშტი მძიმედ დაუშვა მაგიდაზე და თითქოს წაკითხულის დასტურად რადმენჯერმე ხმამაღლა დაიძახა: „ჰო, ჰო!" ჯერ არ დავიწყებოდა, რა დაცინვით უთხრა იმ ავბედით დღეს პოლკოვნიკმა ბერეგრავმა, შენი პროექტი — ეს დანიის ტექნიკური განვითარების დონის თავხედური გამოწვევა არისო. დაე ასე იყოს! თუ გამოწვევაა, გამოწვევა იყოს!.. ახლა პერმა მტკიცედ იცოდა, რომ თავის სარბიელზე აღმომჩენად დაბადებულიყო, დაბადებულიყო, რათა სეკლესიო კრებულის დადამბლავებული ნაშიერებისაგან შემდგარი გონებაჩლუნგი საზოგადოება შეენჯღრია. პატარა ივენი ბართალს ამბობდა. მას ელიან. სწორედ მას და არა სხვა ვინმეს.

პერი წამოდგა. მას დაავიწყდა, რომ ზემოთ, ქაღალდის ყვავილებით მორთულ კუბოში, ჯერ ისევ ესვენა ბოცმანის ცხედარი და გაბედულად მოჰყვა ოთახში ბოლთის ცემას, მერე უცებ შუბლზე მუშტი მიიჭირა და ნაბიჯების აყოლებით იმეორებდა: „ჰო-ჰო-ჰო-ჰო".

გაახსენდა ფრეკენ სალომონი. ხელახლა დაინახა მისი დიდრონი ბუქი თაფლისფერი თვალები, მათი ცნობისმოყვარე, გაბედული, თითქმის გამომწვევი მზერა ხშირ წამწამებს ქვემოდან.

აქამდე პერს აზრად არ მოსვლია, თავისი გეგმები ხელსაყრელი ქორწინების დახმარებით განეხორციელებინა. მეტისმეტად სჯეროდა საკუთარი ძალებისა და თანაც აზრი ანგარიშით ქორწინებაზე სიმდაბლედ მიაჩნდა. ახლა კი თავის თავს დაუწყო მტკიცება, დიდი მიზნის მისაღწევად არავითარ საშუალებას არ უნდა მოერიდოს კაცია. ებრაელი ქალის ცოლად შერთვა? ვითომ რატომაც არა? ფრეკენ სალომონი ახალგაზრდაა. ძალიან ლამაზი და (რამდენადაც პერმა თვალი მოჰკრა) მშვენიერი ტანიცა აქვს. დროა დაივიწყოს ბავშ-

ვური ზღაპრები იმის შესახებ, რომ ბედნიერება ლატარიის მოგებასავით მოულოდნელად ვარდება ციდან. არ არის და არც შეიძლება იყოს ნამდვილი, საიმედო ბედნიერება, ბრძოლით მოპოვებულის გარდა. ბედნიერებას უნდა დაეწიო, დაიპირო, შებოჭო, გარეული ძხეცივით, ოქროსრქებიანი ირემივით; ბედნიერება ყველაზე მოხერხებულის, ყველაზე ძლიერის, ყველაზე გაბედულის ხვედრია.

ორი დღის შემდეგ ბოცმანი დიდის ამბით გააცილეს უკანასკნელ გზაზე. კუბო საღამოდანვე სამლოცველოში დადგეს. დასაფლავების დღეს ოჯახის ძველი მეგობრები შეიკრიბნენ. საუზმემ მღუმარედ ჩაიარა. სრულ თორმეტ საათზე სახლს ახალგაზრდა დიდრიკსენის ეტლი მოადგა, ქალბატონი ოლუფსენი და მოხუცი ბენცი გვირგვინებიანად შიგ ჩასხდნენ, ხოლო დანარჩენები ფეხით გაუდგნენ ხოლმენის სასაფლაოს გზას.

თბილი ამინდი იდგა, თითქოს ზაფხული იყო. საფლავებს შორის ბუჩქები ამწვანებულიყო, ძეგლებს ერთი ყოფით დაფარფატებდნენ სასიყვარულო თამაშში გართული ჩიტები. მზის ამ დიდებულების ფონზე ერთი მუჭა ჩუმი ზამცილებლები — მიხრწნილი მოხუცები, ვინ ქოლგას დაყრდნობოდა, ვინ ჯოხს და ძველებურ, გაცვეთილ საზეიმო ტანსაცმელში მორთულები ნელა, კრუსუნით მიჩაჩალეტდნენ, — აჩრდილებს მოგაგონებდათ. მხოლოდ პერი, რომელიც ბოლოს მიდოდა, ეხამებოდა ბუნების საგაზაფხულო აღორძინებას. თუმცა ისიც ამ დიდებული წუთით იყო გათანგული, მაგრამ სიკვდილის ძალა, მის სულს რომ ბოჭავდა, დაიმსხვრა. როცა შეკრებილნი ვიწრო წრედ შემოეხვივნენ საფლავს და მზით გაბრწყინებული კუბო ქვევით, ბნელ, ვიწრო და ცივ ორმოში ჩასრიალდა, პერმა ეშის გრძნობასთან ერთად ნეტარების მსგავსი რაღაც განიცადა. ის ხომ კვლავ სიცოცხლეს და სინათლეს ეკუთვნოდა, სისხლი ხომ კვლავ უჩქროლავდა და ბევრ რამეს პირდებოდა. ჯერ კიდევ ჰქონდა დრო, კიდევ ჰქონდა!

სასაფლაოდან პერმა ტანსაცმლის გამოსაცვლელად შინ შეიარა. გადაწყვიტა, სალომონისათვის ვიზიტი გაეკეთებინა.

მაგრამ შინ, ჰერტენსფრიუდჰადეზე, სიურპრიზი ელოდა. მაგიდის შუაგულში გვირგვინიანი სადარბაზო ბარათი დაინახა, გვირგვინის ქვეშ ბარონესა ფონ ბერნდტ-ადლერსბორგის სახელი ეწერა. ჯერ იყო და იფიქრა, უთუოდ ბარათი შეცდომით თუ მოხვდა აქაო. მერე

ბელში შეატრიალა და მეორე მხარეზე რამდენიმე სტრიქონს მოჰკრა თვალი. ნატიფი თავაზიანობით, თითქმის თავის დამაძცირებელი გამოთქმებით სთხოვდა ბარონესა პერს, პირადი საუბრის ღირსი ვამხადეთო და უნიშნავდა საათებს, როცა შეიძლებოდა მისი ნახვა სასტუმრო „ანგლეტერში“ დღეს ან ხვალ.

ამ დროს პერთან მოვიდა ძალიან აღლვებული დურგლის ცოლი და აცნობა, ვიღაც დიდგვაროვანი ქალი საკუთარი ეტლით მოვიდა და თქვენ გიკითხათო. სწორედ იმ ქალმა დატოვა ეს ბარათი და ითხოვა, მაგიდაზე დადეთო.

პერმა კიდევ შეატრიალა ბარათი ხელში. ბარონესა ფონ ბერნდტ-ადლერსბორგი — სწორედ ასე ეწერა თეთრზე შავით!.. თავის სიცოცხლეში პერს არც ერთი ბარონესის გვარი არ გაეგო.

— იქნებ შეცდომაა? დარწმუნებული ხართ, რომ ნამდვილად მე მკითხულობდა? ჩემი გვარი თქვა?

— რა თქმა უნდა, ასე თქვა, „ბატონი სიდენიუსი მჭირდებაო“, ბოლო როცა გაიგო, რომ შინ არ იყავით, საშინლად შეწუხდა.

პერს სასწრაფოდ გაურბინა თავში ყოველგვარმა ვარაუდებმა.

— როგორია? — იკითხა მან. — ახალგაზრდაა?

— მოხუცებულსაც ვერ იტყოდით. ასე, ჩემი ხნისა იქნებოდა.— უპასუხა დურგლის ცოლმა, რომელსაც ორმოცდაათს არა უკლდა რა.

— ნამდვილად ქალბატონი კი იყო? მე ნამდვილ ქალბატონზე ვეკითხებით.

— კაცის დასჯაც ამას ჰქვია, ხომ გითხარით — ქალბატონი იყო-მეთქი. ეტლში აი, ა-ასეთი ბეწვის წამოსასხამი ედო.

პერმა საათს დახედა, თუ დღესვე სურდა იდუმალი ბარონესა ეპოვა, მაშინ დრო უკვე მიწურული იყო. პერი კი, ცხადია, ვერ ითვენდა, უნდოდა ყველაფერი გაეგო. ამიტომაც სალომონებთან ვიზიტი სხვა შემთხვევისათვის გადადო, თავისი საუკეთესო კოსტუმი ჩაიცვა და გაემართა.

წვერებიანი შვეიცარი პერს ძალიან ქედმაღლურად შეხვდა, მაგრამ როცა შეიტყო, ვისთანაც მიდიოდა, აფუსფუსდა, მოწიწებით წელში მოკაკულმა დაუკრა თავი, მის წინ კარები მოფლითა და ისეთი ზარის რეკა ატეხა, მეტისმეტი გულმოდგინებით კინაღამ ჩამოგლიჯა. თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, თვალის დახამხამებაში გაჩნდნენ ლაქია და მოახლე. და ისეთი ზეიმით, როგორითაც შეშვენის

შეხვედრა მეფეს (ყოველ შემთხვევაში პერს ასე ეგონა), როცა მეზობელი სახელმწიფოს დედოფალს ეწვევა ხოლმე, გააცილეს ლაქიამ და მოახლე ქალმა ფართო, ხალიჩადაფენილ კიბეზე, შემდეგ გრძელ ტალანში, ტალანის ბოლოს კი ხელიდან ხელში გადასცეს პირისფარეშს, რომელიც მხოლოდ შვედურად ლაპარაკობდა. მან პერს სადარბაზო ბარათი გამოართვა, ხოლო მერე ყველა კარგი სასტუმროსთვის ჩვეული ელეგანტურობით მორთულ პატარა სალონში შეიყვანა, მაგრამ პერი ამ ელეგანტობამ აღტაცებაში მოიყვანა: ავეჯს წითელი ხავერდი ეკრა, ჭერში კი ბროლის ჭაღი ეკიდა.

პერმა, რომელიც, საერთოდ, ძალიან მშვიდი იყო, უეცრად რაღაცნაირი თრთოლა იგრძნო. იფიქრა, ვინმე ჩემი მტერი მახეს ხომ არ მიგებს, რომ მერე მასხარად ამიგდოსო.

თუმცა ბევრი ფიქრი არ დასცალდა, რადგან მეზობელი ოთახიდან გამოვიდა მაღალი ტანის ქალი და მისკენ გამოემართა.

ვერ იტყოდით ახალგაზრდაა, მით უფრო — ლამაზიაო. დამჭკნარი სახე და საეჭვოდ მოწითალო ცხვირი ჰქონდა. შავი, სადა კაბა ეცვა. პერს მისი ჩაცმულობა ღარიბულიც კი ეჩვენა. თან წუთითაც არ შეგეპარებოდათ ეჭვი, რომ ეს ქალი მაღალ წრეს ეკუთვნოდა. მთელ მის აღნაგობაში, თვითეულ ჟესტში, იმაში, თუ როგორ ჩამოართვა ქალმა ხელი და მოსვლისათვის მადლობა გადაუხადა, — ერთი სიტყვით ყველაფერში ჩანდა ის დახვეწილი თავაზიანობა და ტაქტი, რომელსაც ვერავითარი ფულით ვერ იყიდი და რომელიც მხოლოდ ჭეშმარიტად დიდგვაროვანი წარმოშობის ხალხთა ხვედრია.

— ჩემო კარგო ბატონო სიდენიუს, ვიმედოვნებ, ძალიან არ გიკვირთ, რომ თქვენი ნახვა და თქვენთან საუბარი მოვისურვე, — ასე დაიწყო ბარონესამ, როცა ერთმანეთის პირდაპირ წითელხავერდგადაკრულ სავარძელში ჩასხდნენ, — თქვენ ხომ სიკვდილამდე გენდობოდათ და გმეგობრობდათ ჩემი ძვირფასი განსვენებული ძმა. ალბათ, მისი უკანასკნელი ამოსუნთქვის მოწმეც თქვენ იყავით...

მხოლოდ ახლა გახდა პერისათვის ყველაფერი გასაგები, გაახსენდა, ნირგორის ვექილმა და ანდერძის აღმასრულებელმა რომ უამბო, განსვენებულს ორი და დარჩა, ერთი მათგანი მდიდარ შვედ მემამულეზეა გათხოვილიო.

ბარონესა კი ამასობაში განაგრძობდა:

— დიდი ხანია მტანჯავდა სურვილი გამეცნო კაცი, რომელმაც

ასე მიიზიდა ჩემი ერთადერთი ძმა და რომელშიც აღორძინდა მისი ახალგაზრდობა, როგორც თვითონ წერდა წერილში, სადაც თავის უკანასკნელ სურვილს აცხადებდა. მაგრამ ჩემი საყვარელი მეუღლის ხანგრძლივმა ავადმყოფობამ სახლიდან ფეხის გამოდგმის საშუალება არ მომცა. ისიც კი არ მეღირსა, რომ ჩემი ძვირფასი ძმა უკანასკნელ გზაზე გამეცილებინა.

ქალს ისეთი არაჩეულებრივი ლაპარაკის მანერა ჰქონდა და სახესაც ისე უცნაურად მანჭავდა, პერი დარწმუნდა, მეტისმეტად ნერვიულ პიროვნებასთან მაქვს საქმეო: „უკანასკნელ გზაზეო“, რომ თქვა, ბარონესა ცრემლებად დაიღვარა და რამდენიმე წუთს თვალებზე არშიებიანცხვირსახოცაფარებული დუმდა. პერმა ცუდად იგრძნო თავი და კრინტიც ვერ დაძრა. ჯერ კიდევ განიცდიდა რაღაცნაირ უხერხულობას, როცა მოაგონებდნენ თავის დამოკიდებულებას ექსცენტრულ თვითმკვლელთან.

— დიახ. ბევრი უბედურება მარგუნა ბედმა, — განაგრძო ოდნავ დამშვიდებულმა ბარონესამ, — ამიტომაც ნუ დამიშლით ტირილს... ალბათ, გაიგებდით, რომ ღმერთმა თავისთან გაიხმო ჩემი კეთილშობილი მეუღლე და მარტო დამტოვა ამქვეყნად.

პერმა მართებულად ჩათვალა თავის დახრით გამოეხატა უღრმესი თანაგრძნობა.

— იცოდეთ, ბატონო სიდენიუს, ბევრჯერ დავაპირე მომეწერა თქვენთვის წერილი, მარტო ჩემი კი არა, ჩემი დის სახელითაც, რათა არ გეფიქრათ, თითქოს თქვენი ბედისადმი გულგრილად ვიყოთ განწყობილნი. მაგრამ როგორღაც გამბედაობა არ მყოფნიდა. არა მგონია თქვენც სასიამოვნოდ დაგრჩენოდათ მიმოწერა სრულიად უცხო ქალთან, ვინც არაფერია თქვენი.

პერმა რაღაც გაურკვეველი ჩაიბურტყუნა.

— დიახ, დიახ... და სიმართლე უნდა გითხრათ, არც დღეს შეგაწყენდით თავს ჩემი ვიზიტით, რომ... რა ვქნა, უნდა გითხრათ ეს... რომ სასაფლაოზე ჩემი ძმის საფლავზე შესანიშნავი ცოცხალი ყვავილები არ მენახა. მაშინვე მივხვდი, ვის შეეძლო ასე მგრძნობიარედ აღენიშნა მისი სიკვდილის წლისთავი და დაუძლეველი სურვილი დამეუფლა პირადად მენახეთ, ჩემი მადლობა მეთქვა, რომ ასე ერთგულად და — თუ ნებას მომცემთ ასე ვთქვა—შვილური სიყვარულით ინახავთ ჩემი უბედური ძმის ხსოვნას.

პერი გაწითლდა და თვალები დახარა. შემეცნების იდუმალ კუნჭულებში ფრუ ენგელჰარდზე ფიქრმა გაუელვა თავად პერს წარმოდგენაც არა ჰქონდა, სად იყო დასაფლავებული ნირგორი.

— ახლა კი ნება მომეცით კარგად დაგათვალიეროთ. — ბარონესას უფრო და უფრო მოსწონდა ეს მდუმარე და მოკრძალებული ახალგაზრდა, რომელსაც რცხვენოდა თავისი კეთილშობილური საქციელისა. — რა ყმაწვილური შეხედულება გაქვთ! როგორც ვხედავ, იმ თანამედროვე ახალგაზრდათაგანი არა ხართ, რომლებიც განუსჯელად ფუჭად ფლანგავენ თავიანთ ახალგაზრდობას, რამდენი წლისა ბრძანდებით?

— ოცდასამის.

— ღმერთო ჩემო, რა ახალგაზრდა ყოფილხართ!.. ღმერთმა მოგცეთ ყოველი სიკეთე! ვიცი, მძიმე ცხოვრება გამოგივლიათ. ძმამ ვომწერა. დედა ადრე მოგკვდომიათ. მამა... მამა კი სულაც არ გინახავთ.

ხავერდის სკამი პერს ცეცხლს უკიდებდა. იჩქარა სახიფათო თემიდან გადახვევა.

— თქვენ აქ გზად შეჩერდით, ბარონესა?

— ვაი რომ, გზად! გუშინ საღამოს ჩამოვედი და ღვთის წყალობით ხვალ ვაპირებ კვლავ გამგზავრებას. ჩემს დასთან, ჰოფეჰერმეისტერ ფონ პრანგენის მეუღლესთან მივდივარ. ალბათ, იცით, ჩემი და სუსტი ჯანმრთელობისაა და ამის გამო ბოლო დროს სამხრეთში ცხოვრობდა. წარმოიდგინეთ, ორ წელზე მეტია არ მინახავს, ჩვენ სამივენი კი უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით. მრავალი წლის განმავლობაში მე მხოლოდ დარდი მქონდა: ეს დარდი გახლდათ ის, რომ იძულებული ვიყავი ჩემი ძვირფასი სამშობლოსაგან შორს მეცხოვრა. ალექსანდრეც ასე იყო. მისი უხვი, მოსიყვარულე გულის მთელი სითბო სამშობლოს ეკუთვნოდა. თქვენ, ალბათ, გაგიგიათ, ბატონი სიდენიუს, რომ მისმა მეფურმა უდიდებულესობამ პრინცმა უელსკიმ თავის დროზე ინება დაინტერესება ჩემი ძმის პიროვნებით და კიდევაც შესთავაზა ადგილი ჩვენს ლონდონის საელჩოში. გასაგებია, ასეთი პროტექციით ალექსანდრეს წინაშე ბრწყინვალე კარიერა იშლებოდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს წინადადება მეტად მაცდუნებელი იყო, ჩემმა ძმამ არ მიიღო. ღირსპატივსაცემი დედა-ჩემი მაშინ კოპენჰაგენში ცხოვრობდა, და ჯერ გათხოვილი არ იყო...

ალექსანდრეს მთელი გულით უყვარდა კოპენჰაგენი და აღმერთებდა მშობლიურ სახლს. არ შეეძლო ეცხოვრა მშობლიური ადგილებიდან მოშორებით. ვფიქრობ, გული სწორედ მაშინ დაუდარდიანდა, როცა დედა გარდაიცვალა და მარტოდმარტო დარჩა წარსულის პირისპირ. ბოლო დროს ჯანმრთელობაც შეერყა. მაგრამ თანაც... ვერ გამიგია, როგორ გადაწყვიტა ეს!

ძმის გარდაცვალების სევდიანმა მოგონებებმა სცენაზე კვლავ ცხვირსახოცი ააფრიალეს, პერმა კი ისარგებლა შემთხვევით, ადგა და გამოეთხოვა.

ბარონესამ სავარძლიდან აუდგომლად აიღო პერის ხელი და ჭეშმარიტად დედობრივი სიყვარულით მოუჭირა თავისი ორივე ხელი.

— ძალიან მოხარული ვარ, რომ გნახეთ! იმედი მაქვს, ახლა ხშირად შევხვდებით. პირობა მომეცით, რომ მნახავთ, როცა საზღვარგარეთიდან დავბრუნდები. ალბათ, ამ ზაფხულს დასთან და სიძესთან გავატარებ კერსხოლმში და ერთი წუთითაც არ მეეჭვება, რომ თქვენ მათთვისაც სასურველი სტუმარი იქნებით.

— დიდად გმადლობთ, ბარონესა — ამოღერღა პერმა. — ცხადია... თუკი ზედმეტი არ ვიქნები, — აღელვებისაგან მან ნამდვილად არ იცოდა რა ეთქვა.

— როგორ არა გრცხვენიათ ამის თქმა! თქვენ ხომ ახლა რაღაცნაირად ჩვენი ოჯახის წევრი ხართ. მე მაინც ასე გავიგე განსვენებული ძმის უკანასკნელი ნება. დარწმუნებული ვარ, ჩემი დაც ამ აზრისაა. ღმერთმა ყოველივე სიკეთე მოგცეთ! და კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას იმისთვის, რომ ასე მგრძნობიარედ ეცით პატივი ალექსანდრეს ხსოვნას.

ნელა, ფეხარეული გამოვიდა პერი სასტუმროდან. მხოლოდ ახლა მიხვდა, როგორ გამოადგებოდა ეს ნაცნობობა ახლაც და მომავალშიც, თუ გონივრულად და ენერგიულად გამოიყენებდა და უსარგებლო სინდისის ქენჯნას არ აჰყვებოდა. ბრმა და არაჩვეულებრივმა შემთხვევამ მას უმაღლესი საზოგადოებისაკენ გაუხსნა გზა. თუ არ სცდება, ხსენებულ ჰოფეჰერმეისტერ პრანგენის მიწის ნაკვეთები განლაგებულია შუა იუტლანდიაში, სწორედ იქ, სადაც უნდა გაიაროს მისმა ორი ზღვის შემაერთებელმა არხმა და ამიტომაც ჰოფეჰერმეისტერს განსაკუთრებული საბაბი უნდა ჰქონდეს, ინტერესით მოეკიდოს მის პროექტს. ასე თუ ისე, ყველა შესაძლებლობა უნდა

სცადოს. თამაში უკვე აზარტში შევიდა, რამდენი თულფიც არ უნდა გქონდეს, არ გეყოფა.

პერმა გაიფიქრა, ახლა, შესაძლოა, სულაც აღარ იყოს აუცილებელი სალომონების ოჯახს დავუახლოვდეო. ქალიშვილი, ცხადია, ძალიან მიმზიდველია, მაგრამ ღირს კი ამის გამო ებრაელებთან დანათესავება? ვინ იცის, იქნებ ახლო მომავალში ბრწყინვალედ დაქორწინების შესაძლებლობა მიეცეს.

თუმცა, თუ მეორეს მხრივ მივუდგებით, სალომონებთან ალბათ იკრიბებიან ბანკების დირექტორები, ბირჟის საქმოსნები, მსხვილი მეწარმეები, ერთი სიტყვით, ის საფინანსო ბობოლები, რომლებიც, თუ სიმართლეს ვიტყვით, ქვეყანას მართავენ. დაქორწინდებოდა თუ არ დაქორწინდებოდა, პერისთვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ამ ადამიანების გაცნობას და მათი მხარდაჭერის მოპოვებას. თანაც ბარონესა გამგზავრებას აპირებს და ლოდინის დრო აღარ არის. დღეს ან ხვალ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს ორი-სამი თვისა, ხელთ უნდა ჰქონდეს ჯადოქრული ჯოხი, რომელიც პერს ადამიანებზე ძალა-უფლებას მიანიჭებს და მეხამრიდის მაგივრობას გაუწევს.

პერმა ვერც კი გაიგო, როგორ მივიდა ბაზრამდე და კოშკის საათს შეხედა. კიდევ შეიძლება სალომონებთან შევლა მოასწროს და უმჯობესია არ გადადოს ვიზიტი მეორე შემთხვევამდე. მაგრამ ბარონესასთან შეხვედრამ პერი, ცოტა არ იყოს, წონასწორობიდან გამოიყვანა და ამიტომ ამჯობინა ჯერ კაფეში შესულიყო, ერთი ტოლჩა ლუდი გაღაეკრა, ცოტა დამშვიდებულიყო და მომავალი ვიზიტისთვის შინაგანად მომზადებულიყო. პერი არასოდეს არ ყოფილა ებრაელთა ოჯახებში, მაგრამ ბევრი გაუგია, რომ იქ ძველ ჩვეულებებს და ტრადიციებს მკაცრად იცავენ. მან კარგი შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს, მაშასადამე, საჭიროა თვალგაფაციცებული იყოს.

თანდათანობით პერმა კვლავ წარსული გაიხსენა. ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ მაშინ, ღამით, ნირგორთან ლაპარაკში მოუფიქრებლად წარმოთქმულ სიტყვებს ასეთი შორს წასული შედეგი მოჰყვა. თუ ბარონესას დავუჯერებთ, სწორედ პერის გადაკრულმა სიტყვებმა, საიდუმლო წარმოშობისა ვარო, მოახდინეს ასეთი ღრმა შთაბეჭდილება მის ძმაზე. ახსოვდა, რომ მაშინვე ინანა, ასე თავქარიანივით რად ვიყბედეო, მაგრამ საჭიროდ არ ჩათვალა თავის დროზე განემარტა რამე. ახლა პირველად ინანა ეს.

„თუმცა ღირს კი დიდხანს ფიქრი? — პერმა დაცალა თავისი ტოლჩა — წარსულს, სულ ერთია, უკან ვერ დააბრუნებ. ზოგჯერ ისე ვერ მოიქცევი კაცი, როგორც საჭიროა, მაგრამ საქმე კარგად დაბოლოვდება ხოლმე. მთავარი კი ის არის, რომ ვისაც წინ წასვლა უნდა, ის უკან არ უნდა იხედებოდეს“.

სოვდაგარ სალომონის ოჯახს — იშვიათ ოჯახთაგანს კოპენჰაგენში—ბრედჰადეზე, თვით ქალაქის ცენტრში ცალკე სახლი ეკავა. ეს არც თუ მაინცდამაინც მდიდრული ორსართულიანი შენობა გახლდათ, ორ უზარმაზარ შემოსავლიან სახლს შორის მომწყვდეული. მაგრამ თუ უფრო ყურადღებით დააკვირდებოდით, მის ხაზებში თავისებურ კეთილშობილურ სისადავეს აღმოაჩენდით. მოლურჯოშავი კრამიტით გადახურული წაწვეტებული სახურავი და ფართო იაქთაღები უდაოდ მის არისტოკრატულ წარმოშობაზე მეტყველებდნენ. ტყუილად კი არ უწოდებდნენ ადგილობრივი მკვიდრნი დღემდე „პალაცოს“. მას ჟამსა შინა აქ ცხოვრობდა წარჩინებული, მაგრამ გაკოტრებული ოჯახი, ხოლო ოცდაათიანი წლების დასაწყისში სახლი სალომონის მამამ, სოვდაგარმა იყიდა. სადარბაზოს ახალმოდური მინებიანი კარებიდან სტუმარი ისეთ დიდ ვესტიბიულში აღმოჩნდებოდა, ნაბიჯების ხმა ექოს გამოსცემდა. ვესტიბიულის კედლებზე ეკიდა საჭურველი, ბრინჯაოს ძველებური ჭურჭლები და საუცხოო აღმოსავლური იარაღი, გეგონებოდათ, მუზეუმში ვარო. ვესტიბიულის ბოლოს მოოქვრილმოჯირებიან ორმაგ კიბეს მეორე სართულის ოთახებში აყავდით.

მოახლემ, რომელსაც პერმა თავისი სადარბაზო ბარათი გადასცა, ბიბლიოთეკაში შეიყვანა და სთხოვა მოეცადა. პერი ტყავის საკარძელზე დაეშვა და დაკვირვებული თვალი მოავლო ირგვლივ.

ალისფერი მძიმე აბრეშუმის ფარდებით იყო მორთული ფანჯრები. ფეხქვეშ — მთელ იატაკზე — რბილი, ფუმფულა თითისსისქე ხალიჩა ეფინა. ოქროსვარაყიანი ნატვიფრი ტყავის შპალერი იყო გაკრული. ოთახის შუაგულში ვერცხლითა და სადაფით გაწყობილი რვაკუთხა მაგიდა იდგა. თაროებზე ძვირფასყდიანი წიგნები ელაგა. კედლებზე სურათები ეკიდა, ჭერიდან ძველებური ტაძრის დამწერლობიანი ლამპარი ეშვებოდა... კედელთან იდგა ანტიკვარული ძვირფასად მოჩუქურთმებული ნიამდანი, ზედ ძველებური ვერცხ-

ლის მთელი კოლექცია ეწყო — ტოლჩები, სირჩები, თასები, მათ შორის რამდენიმე ძველებურ საეკლესიო ფიალასაც კი ნახავდით.

პერი რომ ასეთი აღელვებული არ ყოფილიყო ბარონესასთან ვიზიტით, მთელი ეს ფუფუნება უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე. თუმცა, ცოტა არ იყოს, მაინც ათრთოლდა. ფულის ძალის ასეთი ურცხვი დემონსტრაცია უნებლიე მოწიწებას იწვევდა. აგაკანკალებდათ, როცა გაიფიქრებდით, რა უსაზღვროდ ყოვლისშემძლე ყოფილა, ვინც აქ ამდენი ხალხის განძი მოზიდა, ვინც წმინდა ჭურჭელიც კი აიძულა, ებრაული ბინა მოერთო.

პერმა ოდნავ დარცხვენით ჩაიღიმა. რას იზამ, მართლაც რომ მხოლოდ სილამაზით არ გამოისყიდის პატარა პრინცესა სალომონი თავის „სიშავეს“.

უხმოდ გაიღო მეზობელი ოთახის კარი, ბიბლიოთეკაში შემოვიდა უსიამო შესახედაობის კაცი და მდაბლად დაუკრა თავი პერს. ორმოცდაათი წლისას ჰგავდა, მაგრამ ისე მოდურად იყო მორთული, მისი ჩაცმულობა ყმაწვილს უფრო შეეფერებოდა: მოკლე ბაცი ფერის სერთუკი ეცვა, გულზე მონოკლი ეკიდა, ხელში კი პრიალა ცილინდრი ეჭირა.

— ნება მიბოძეთ გაგეცნოთ: დირექტორი დელფტი, — უცნაური აქცენტით წარმოთქვა მოსულმა. — მე აქ ბიძა ვარ.

რაკი ასეთი თავაზიანი აღმოჩნდა, პერმა მაშინვე შეუნდო დელფტს, გულმიუსვლელი გარეგნობისა რომ იყო.

— მე სიდენიუსი გახლავართ.

— აჰ, ესე იგი თქვენა ხართ ის ახალგაზრდა ინჟინერი? ჩემმა დისწულმა ბევრი რამ გვიამბო თქვენზე. დაბრძანდით, გეთაყვა. ფრუ სალომონს, ჩემს დას, ახლა მკერავი ჰყავს. მალე გათავისუფლდება. გთხოვთ შინაურად იგრძნოთ თავი.

პერი ხელახლა ჩაეშვა სავარძელში. ბიძა ცოტა მოშორებით სკამზე ჩამოჯდა.

— ნება მიბოძეთ ერთი შეკითხვა მოგცეთ... ხომ არ მქონია პატივი, წინათაც შეგხვედროდით აქ?

— არა. მე სულ ახლახან გავიცანი ფრუ სალომონი და მისი ქალიშვილი.

— ა-ა, ჩემი დისშვილი ნანი... მე, მგონი, უკვე მითხრეს ეს.

ჩამოვარდა სიჩუმე, მერე ბატონმა დელფტმა ჩაიღიმა და ძალზე

თავაზიანად ჰკითხა პერს, ასეთი დათაფლული თავაზიანობა, ალბათ პერის გარდა სხვა ყველას დააძაბვინებდა ყურადღებას:

— ჩემი დისწული ძალიან ლამაზია, არა, ბატონო სიდენიუს?

პერი სახტად დარჩა. მერე შემწყნარებლური ღიმილით შეხედა ოავის უცნაურ პატარა თანამოსაუბრეს და უთხრა:

— მე მგონია, ფრეკენ სალომონი ძალიან ლამაზია. მართლაც მზეთუნახავია.

— ჰო, ჰო, შეიძლება ითქვას, მართლაც რჩეული გარეგნობისა არის... გარწმუნებთ, უკვე ბევრი ყმაწვილი მოიზიდა ამ ოჯახში. სილამაზე ყოვლისშემძლეა. ახალგაზრდობაც! თანაც, ჩვენს შორის რომ ვთქვათ, ჩემი სიძეც ცოტაოდენი ქონების პატრონია.

„აი გიჟი!“ — გაიფიქრა პერმა და არაფერი უპასუხა.

მაგრამ ბატონი დელფტი არა ცხრებოდა:

— თუ თქვენ, ბატონო ინჟინერო, უფრო ხშირად დაგვდებთ პატივს თქვენი მობრძანებით, ალბათ, გულით იმხიარულებთ აქ. ჩვენთან ბევრი მეტისმეტად საინტერესო რამეს ნახვა შეიძლება. ჭეშმარიტად, ფულს მაგიური ძალა გააჩნია! ასე არ არის, ბატონო სიდენიუს? ეს პატარა ლითონის რგოლები უღრმეს გრძნობებს აღვიძებენ... იწვევენ უკეთილშობილეს გულისთქმებს. მეგობრობას, პატივისცემას, სიყვარულს... ასე არ არის, ბატონო სიდენიუს?

პერი მართლაც გააღიზიანა ამ უცნაურმა ლაპარაკმა. საბედნიეროდ, ხელახლა გამოჩნდა მოახლე, მეორე ოთახის კარი გაიღო და პერი მიიპატიჟა.

პერს თვალწინ წარმოუდგა ოთახი, ან უფრო სწორად, დარბაზი, რომელმაც საბოლოოდ დაარწმუნა, ნამდვილი სიმდიდრის სამეფოში — მილიონების ზღაპრულ სამეფოში მოვხვდიო. ამ ვეებერთელა, მდიდრულ, ბრწყინვალედ გამოძერწილ როკოკოს სტილის კამარაჭერიან დარბაზის კუთხეებს ამშვენებდა ოთხი ჩასუქებული ანგელოზი, რომლებიც, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, უბერავდნენ მოოქრვილ ნესტვებში. ამ დარბაზში მოხუცი მასპინძლები მეჯლისებს მართავდნენ და სტუმრებს ღებულობდნენ. აქ, ალბათ, წინათ თორმეტიოდე კოხტა სკამი თუ იდგა და წყვილი მაღალი ტრიუმოც იაქთაღებს შორის, ახლა კი, რაკი მოდამ მოითხოვა, ავეჯი და ყოველნაირი მორთულობა დაზვავებულიყო. რა გინდათ, აქ არ ვენახათ. მყუდრო დივნები, ღრმა, რბილი სავარძლები, მაგიდები და კოზეტები, დათვის

ტყავები და დეკორატიული სიმწვანე, კვარცხლბეკებზე დადგმული ქანდაკებები, თაროებზე სამშვენისები და კვლავ სავარძლები, კვლავ მაგიდები, დიდი მაგიდები, პატარა მაგიდები, კვლავ სიმწვანე, სურათები და დაუმთავრებელი პორტრეტი მოლბერტზე. ოთახის შუაგულს ამშვენებდა თავახდილი საკონცერტო როიალი, მეზობელი ოთახიდან, რომელიც განკუთვნილი იყო პალმებიან, გუმფისისხეებიან და მომღერალჩიტებიან ზამთრის ბაღისათვის, შადრევნის შხაპუნი მოისმოდა.

უეცრად პერმა ფანჯარასთან პუფზე მჯდომი ფრუ სალომონი დაინახა. მთლად შინაურულად მოწყობილიყო საკერავით. ქალმა ძალიან გულთბილად მიიღო პერი და ალერსიანად გაუწოდა მარცხენა ხელი.

რამდენიმე უმნიშვნელო ფრაზის თქმაც ვერ მოასწრეს, რომ ზამთრის ბაღის კარი გაიღო და იქიდან მოისმა მგზნებარე სიმღერა. მომღერალმა ჩაუკრიმანჭულა და ზღურბლზე ფრეკენ ნანი გამოჩნდა. ჟაკეტი ეცვა და შლიაპა ეხურა. სტუმრის დანახვაზე გაზვიადებული შიშით შეწყვიტა სიმღერა და პირზე მუფთა მიიდო, თითქოს უნებლიე შეძახილის შეკავება სურდა.

პერი წამოდგა და მიესალმა.

ფიქრადაც არ გაუვლია, რომ ნანიმ წინასწარ იცოდა მისი აქ ყოფნა, — ისე ბუნებრივად გაითამაშა ქალმა თავისი როლი.

— ჯერ არ წასულხარ, შვილო? — ჰკითხა დედამ. — მეგონა, შინ არ იყავი. არ გაცნობთ ერთმანეთს, — თქვენ ხომ უკვე ნახეთ ჩემი ქალიშვილი.

პერმა ხელმეორედ დაუკრა თავი ნანის და ისეთი მზერა სტყორცნა, გულისთქმა აგრძნობინა. ჯერ კიდევ სანამ ნანის დაინახავდა, მისი ხმის პირველივე ბგერების გაგონებისას, ოქროს ფულის ყღეარად რომ ჩაესმა, პერმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. აი ის საშუალება, რომელსაც ეძებდა! როცა ეს ნორჩი, გაფურჩქვნილი და აღმოსავლურ ბაიადერასავით მომხიბლავი ქალი ზამთრის ბაღიდან მზის სხივები და ჩიტების გალობა რომ შემოჰყვა, კარის ჩარჩოში აღიმართა, პერს ის ზღაპრულ ფერიად მოეჩვენა, რომელსაც პალმის მარაოების ქნევით მოსდევდნენ გამარჯვების გენიები.

ფრეკენ ნანი მოხდენილად ჩამოჯდა სკამის კიდეზე. გაიბა მაღალი საზოგადოებისათვის ჩვეული მასლაათი, ასეთი საუბრის დროს

ერთმანეთისათვის უცნობი ადამიანები მოხერხებულად ჟონგლიორობენ, რამდენადაც შეუძლიათ იყენებენ გაცვეთილ აზრებსა და გამოთქმებს, თან ჩუმად თანამოსაუბრის გარეგნობას, ხასიათს და მანერებს სწავლობენ.

პერს არ ეხერხებოდა მაღალი საზოგადოების ადამიანებთან საუბარი. მას მხოლოდ საკუთარი პიროვნება და საკუთარი აზრები აინტერესებდა. ამასთან, ჩვეულებრივი თემები არ აღელვებდა. არასოდეს არ იცოდა არც ერთი ახალი ამბავი — არც თეატრალური, არც საზოგადოების, არც პოლიტიკური, არც ლიტერატურული. თავიც არ შეუწუხებია საუბრის გასაბმელად. თუ მან მაინც შესძლო, ცოტა არ იყოს ძლიერი შთაბეჭდილების მოხდენა ქალებზე, ეს მხოლოდ იმის წყალობით, რომ პერმა ისეთი მოულოდნელი თავდასხმა იცოდა, ზარსა სცემდა მათ — უცებ გამოვიდოდა ხოლმე დუმილის საფარიდან და ვეფხვივით ზუსტი ნახტომებით თავხედური გულახდილობის გაშლილ ველზე ისკუპებდა.

სანამ ქალიშვილი ტიტინებდა, პერი გუნებაში სალომონის სიმდიდრეს ანგარიშობდა. მისი თვალები მალულად დასრიალებდნენ დარბაზში. იმის ფიქრი, ოდესმე ყოველივე ეს ჩემი კუთვნილება იქნებაო, სასიამოვნოდ უღიტინებდა.

საბედნიეროდ, ფრეკენ ნანის შეეძლო მარტოს წარემართა საუბარი. ქალი სკამის კიდეზე საუცხოო პოზაში, გვერდზე ნიდაყვებდაყრდნობილი იჯდა და მუხლებზე ბაბთებიანი პატარა ხავერდის მუფთა ედო; ლამაზი ალისფერი პირი წუთითაც არ მოუკუმავს, ხოლო თვალებით კი ამ დროს საქმიანად და მოურიდებლად აკვირდებოდა პერს დაწყებული თავიდან ფეხამდე, რომლებზეც ჭაბუკს უხეში ფეხსაცმელი ეცვა.

ფრუ სალომონი შვილის ლაპარაკს უსმენდა და შეშფოთდა კიდეც.

— შვილო, ალბათ, დაგავიწყდა კიდეც, რომ მუსიკის გაკვეთილი გაქვს?

— ჰო, მართლა, დედიკო!

ნანი წამოხტა, დედას თვალი შეავლო, მერე მრავალმნიშნელოვანი მზერა პერზე შეაჩერა და ოთახიდან გაფრთხიალდა.

პერი მისი წასვლის შემდეგ საშინლად დაიბნა. ფრუ სალომონმა დაუწყო გამოკითხვა თავის საქმეებზე, მაგრამ პერი ისე მოაჯა-

დოვა ნანიმ, თვითონაც არ იცოდა, რას პასუხობდა. ქალის სიარულის მანერაც კი, რომელიც პირველად სულ არ მოეწონა, რადგან ნანი მძიმედ აბიჯებდა და თანაც თეძოებს მიარხევდა — ახლა სწორედ ამ თავისებურებათა გამო ძალიან მოეწონა. მაცდურის ეს შეუცნობელი ხრიკები პერმა მისი მეტისმეტი ქალურობის ნიშნად ჩათვალა.

მაგრამ უცებ პერმა დაინახა კიდევ ერთი ქალი, რომელსაც შავები ეცვა — ის, ალბათ, მის ზურგსუკანა კარიდან შემოვიდა.

— ჩემი ქალიშვილი იაკობა გახლავთ, — წარუდგინა ფრუ სალომონმა.

პერი გაშტერდა. აზრადაც არ მოსვლია, რომ შესაძლო იყო სალომონებს ივენის და ნანის გარდა სხვა შვილებიც ჰყოლოდათ და ნაღვლიანად გაიფიქრა სალომონის მილიონებზე, რომელთა განუყოფელ მფლობელად გუნებაში უკვე თავის თავს თვლიდა. „იქნებ ბავშვების მთელი გროვაც ჰყავთ“, — გული გაუგმირა საშინელმა აზრმა.

იაკობა რამდენიმე წლით უფროსი ჩანდა დაზე, უფრო მაღალი იყო და ტანადი, მაგრამ პერს ის მეტისმეტად გამხდარი ეჩვენა. და საერთოდ, იაკობა ძალიან ჰგავდა თავის ძმა ივენს, მასაც ტიპიური ებრაელის სახე ჰქონდა, სანთელივით მკრთალი სახის კანი, კეხიანი ცხვირი, ფართო პირი და პატარა ნიკაპი.

ჯერ ერთი, პერს არ მოეწონა იაკობას გარეგნობა თანაც ქალმა ძალიან ქედმაღლურად, უსიტყვოდ, შორიდან უპასუხა სალამზე და პერმა მაშინვე იჩქარა შინ წასვლა.

— მაშ ეს იყო თქვენი ნაქები ბუნებრივი ნიჭი? — იკითხა იაკობამ, როგორც კი პერმა კარი გაიხურა. — საკმაოდ გაუთლელი გარეგნობისა ჩანს.

— ჰო, არავის არ მიუცია მისთვის საჭირო აღზრდა, — დაეთანხმა ფრუ სალომონი — ივენი მოგვიყვა, საშინელ პირობებში აღიზარდაო.

ქალიშვილმა მხრები აიჩეჩა.

— აჰ, ჰო, ცხადია... ამ ქვეყანაში ყველა ნიჭიერი ადამიანი ღატაკია. როდის იქნება, რომ ერთი ტალანტი მაინც დაიბადება და ძომწიფდება კარგ პირობებში? საზიზღარი დასანახავია, როგორ ამახინჯებს უკეთესთ უკეთესთა შორის ეს სიღატაკის დამღა. თანაც

ეს ყმაწვილი შესახედავადაც ვერაფერი შვილია. ნანიმ კი ისე აგვიწერა, გეგონებოდა, მეორე ბაირონიაო.

— რაც შეეხება სილამაზეს... ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ სასიამოვნო გარეგნობისაა.

— ჯერ მარტო მისი თვალები რად ღირს! ჩემის აზრით, მახინჯია. — თქვა ქალიშვილმა და ხმაურით დახურა წიგნი, რომელსაც აქამდე ფურცლავდა. — ჩემზე ძალიან არასასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა: ნამდვილი შუშისთვალებიანი ცხენია. თანაც როგორი მრისხანე გარეგნობა აქვს, — ისეთი ტონით დასძინა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, თითქოს მოულოდნელად ცუდი რაღაც მოაგონდაო.

— შენ, ალბათ, რაღაცაზე გაჯავრებული ხარ.

— ცხადია, გაჯავრებული ვარ. ვერ გამიგია, საიდან აქვთ თანამედროვე მამაკაცებს ჩვეულებად, ქალებს ყაჩაღებივით უცქირონ. გეგონება ანგარიშობენ, რამდენი გირვანქა ხორცი გაქვს ტანზე.

— ის. ცხადია, არ არის კარგად აღზრდილი, — შემრიგებლურად შენიშნა ფრუ სალომონმა, — მაგრამ ახალგაზრდა მამაკაცების მიმართ შემწყნარებელნი უნდა ვიყოთ.

— შენ მუდამ ასე ამბობ, მე კი ვერ გამიგია, რატომ გვახვევენ თავს ივენის აღმოჩენილ ყველა უიღბლო გენიოსს. თავიდანვე გასაგებია, რით დამთავრდება ყოველივე, უკეთეს შემთხვევაშიც კი. გახსოვს, როგორ იყო ფრიტიოფ იენსენის საქმე? ჩვენგან სიკეთის მეტი არაფერი უნახავს, მამას ბევრჯერ უხსნია ფულადი გაჭირვებისაგანაც, ახლა კი ყველა გაზეთში ებრაელებს ანადგურებს.

— იცი რა, შვილო, უმჯობესია ამ ლაპარაკს მრავეშვათ.

— ქრისტიანული სისხლის სუნი მცემს, — მოისმა ღრიჭოდ დარჩენილი კარიდან და ვიწრო ჭუჭრუტანაში ბიძის მახინჯი სახე გამოჩნდა.

— ა, ეს შენა ხარ, — თქვა ფრუ სალომონმა. — შემოდი. მარტონი ვართ... ბავშვების ხმა მომესმა თითქოს.

— აი მთელი ნაბარტყი, — უპასუხა ძმამ და ოთახში შემოცვივდა თორმეტიდან ოთხ წლამდე ყველა ასაკის პალტოიანი და ქუდიანი შავთვალა ბავშვების მთელი გუნდი; ხუთი ბავშვი მაინც იყო, თანაც ყველა ისეთი ჯანმრთელი და მკვრივი, რომ პერს, ალბათ სასოწარკვეთილება შეიპყრობდა, აქ რომ ყოფილიყო ამ წუთში. ატუ-

და საშინელი ღრიანცელი, ყველა ალისფერი პირი ერთად გაიღო, ყველას რაღაც აღმოაჩნდა სათქმელი. ბავშვები გარს შემოეხვივნენ ჯერ დედას, მერე დას, მერე ბიძას, შავი თვალები ანთებოდათ მოუთმენელი სურვილით, რაც შეიძლება მალე გადმოელაგებინათ ყველა ახალი ამბავი.

როცა ხმაური ცოტა მიწყდა, ბიძამ იკითხა:

— მართალია, რომ თქვენს სახლს შეიძლება მივულოცოთ ახალი შენაძენი? ახლახან შემხვდა აქ ახალგაზრდა კაცი, ბატონი... ბატონი... ფუ, ეშმაკმა დალახვროს, რა ერქვა? რაღაც ძნელადმოსანელებელი სახელი. კვიცთა მოდგმისაა, ასე არ არის?

— აბა ახლა შენც დამიწყე! — ვერ მოითმინა ფრუ სალომონმა. — მისი სახელის გაგონებაც აღარ მსურს. ივენის ნაცნობია, გასაგებია? დღეს ვიზიტი გაგვიკეთა. გასაგებია? მორჩა და გათავდა!.. ჰენრიხ, სადილად დარჩები?

— თქვენთან?... ჩემო დაო ლეა, გულახდილად მითხარი, შემწვარი ღორის ხორცის გემო თუ იცი? — ჰკითხა ძმამ და, როგორც ყოველთვის, ყველაზე უახლოესი ნათესავიც კი ვერ შეატყობდა ტონზე, ხუმრობდა თუ სერიოზულად ამბობდა.

ფრუ სალომონს ისღა დარჩენოდა, გაეცინა.

— ვხედავ, სამზარეულოში შევლა მოგისწრია. ახლა კი გაჩუმდი. სალომონის ნაბიჯების ხმა მესმის.

მდიდრული სახლის სიმშვენიერით დათრგუნული და მიღებული გადაწყვეტილებით აღელვებული პერი გაბრუებული დაბრუნდა შინ. განგებ ყველაზე უკაცრიელი ქუჩით მოდიოდა. მარტო სურდა ყოფნა. როგორც იქნა არა მარტო თავისი გზა აირჩია და მიზანი დაისახა, არამედ იპოვა კიდევაც მიზნის მისაღწევი საშუალება. მაგიური სიტყვები „ფილიპ სალომონის სიძე“ ფართოდ გააღებენ მის წინაშე ბედნიერების კარს და კაცთა მთელ მოდგმას მის წინ დაამხობენ.

არსებობს თუ არა წარმატებაში დასაეჭვებელი მიზეზები? როცა გაიხსენებ ყველა სასწაულს, რაც პერს თავს გადახდა, უნებლიედ დაეთანხმები ივენს: მან ხომ თქვა ერთხელ, პერი ალადინს მაგონებსო. განა ამაში ბედის ხელი არ ურევია, რომ სწორედ ნანის ძმამ პირველმა წაიკითხა მის შუბლზე ღვთიური დამწერლობა: „მიველ, ვნახე, დავამარცხე“?

თავი VII

მათ შორის, ვინც ყოველდღიურად შუადღის ორ საათზე ჩრდილიან ხეივანს ჩაივლის და ბირჟის კამარის ქვეშ მიიმალება, ბევრი არ აღმოჩნდებოდა რჩეული, რომელსაც ისეთივე მოწიწებით შეხვდებოდა ლივრეაში გამოწყობილი შვეიცარი, როგორც ხვდებოდა ხუჭუჭა შავთმიან წითურ ბატონს, სუფთად გაპარსული ჩაკეცილი ღაბები, ძალიან სქელი წითელი ტუჩები და მთლად ჩვეულებრივი ვაჭრული, ქილვაშები რომ ჰქონდა. თვით შენობაშიც და სვეტებიან, ცოტა არ იყოს პირქუშ დარბაზშიც ბევრი თავი შიშვლდებოდა, როცა ის ჩაუვლიდა გვერდით. მისი გამოჩენა განსაკუთრებით ხორბლით მოვაჭრეთა ყურადღებას იზიდავდა, ისინი ჩვეულებრივად ბუდობდნენ არხისკენ გამავალ ფანჯარათა ნიშებთან, და გემთფლობელთა ყურადღებასაც, რომლებიც აქ სარფიანი ფრახტის საძებნელად მოვიდნენ და ჩვეულებრივად ჩუმად ისხდნენ შესასვლელის მარცხნივ გრძელ სკამზე. ეს წარმოსადეგი მამაკაცი გახლდათ სხვა არავინ, თუ არა ნეგოციანტი — სოვდაგარი ფილიპ სალომონი, დიდი სავაჭრო სახლის „ისააკ სალომონი და შვილი“ მეთაური, ერთ-ერთი უმდიდრესი კოპენჰაგენელი, რომლის ქონებამაც, თუ ხმებს დავუჯერებთ, შვიდ მილიონს გადააჭარბა.

ბირჟაზე დიდხანს არა რჩებოდა. როცა მსახური ზარის დარეკვით მაზანდის დადგენის დამთავრებას აუწყებდა, სალომონს ამ დროს ყველა საქმე მოლეული ჰქონდა და თავის კანტორაში ბრუნდებოდა. ის არ ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, ვისაც ბირჟა კლუბის მაგივრობას უწევს, სადაც საუზმის შემდეგ შეიძლება ნაცნობებთან შეხვედრა, ახალ ამბებზე საუბარი, უკანასკნელი პრემიერის გინება; თეატრებში იშვიათად დადიოდა და, საერთოდ, თუ ძალიან აუცილებელი არ იყო, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას არ ღებულობდა. მთელ დროს და საკუთარ თავს კომერციასა და ოჯახს ახმარდა, თანაც კომერციას თავის ნათელ და მახვილ გონებას სწირავდა, ხოლო ოჯახს— სიყვარულსავსე და მგრძნობიარე გულს. უნდა ითქვას, არასოდეს „არ ეშლებოდა ნომერი“. (ასე ამბობდნენ ხუმარები, რომლებიც ამით სიტყვას გადაჰკრავდნენ იმაზე, რომ სალომონის კანტორაც და სახლიც ერთი და იგივე ქუჩაზე მდებარეობდა).

ფილიპ სალომონი ერთადერთი მემკვიდრე იყო თავის დროზე

მეტად პოპულარულ ისააკ სალომონისა, ვინც ფირმას სახელი მისცა. ისააკ სალომონი ბევრ მხრივ წარმოადგენდა გამონაკლის ადამიანს. კომერციის ნამდვილი გენიოსი იყო. თავისი მოღვაწეობა დაიწყო მოხეტიალე ვაჭრიდან, ბოლოს კი ფაქტიურად სათავეში ჩაუდგა დანიის ფულად ბაზარს. ხალხმა ხუმრობით „ოქროს სხეული“ შეარქვა. რაღა ერა ჰქონდა „სალომონ-სხეულს“. ათეული სამაფრიანი საზღვაო გემი, ფაბრიკები, პლანტაციები ვესტ-ინდოეთში! მისმა გონებამ დანიის ვაჭრობას ზღვასგაღმა მრავალი გამსაღებელი ბაზარი გაუხსნა. 1819 წელს, როდესაც ებრაელთა დევნა დაიწყო, ის სხვებზე მატად დაზარალდა კოპენჰაგენის ბრბოს თვითნებობისაგან.

მანვე იყიდა თავის დროზე ყბადაღებული „პალაცო“ და ზღაპრული სიმდიდრით მორთო. ვერც კეთილშობილური გულისწყრომა ვნებდა და ვერც შურიანი დაცინვები. არ ეშინოდა, რომ არისტოკრატიის ბურჯები ცხოვრების ყაიდაში მეტოქეობას გაუწევდნენ. ქალაქში დადიოდა კარეტით, რომელშიც ოთხი წმინდა სისხლის შავრა ცხენი ება, ხოლო განსაკუთრებულ საზეიმო შემთხვევებში კარეტის სატერფულებზე ორი ლივრეანი ლაქია იდგა. თავი მეცნიერებათა მფარველად გამოაცხადა, ბევრი ფული გაიღო კარგი საქმისათვის, სტუმართმოყვარულად გაუღო თავისი სახლის კარი მხატვრებსა და მუსიკოსებს, თუმცა თავად ერთი წელში მოხრილი გამხდარი კაცი იყო, რომელმაც თავისი ნებისყოფის მეოხებით რაღაც ცოდნა კი შეიძინა, მაგრამ ნამდვილი განათლება არ მიუღია; თავისი ცოლი კი, როგორც ირწმუნებოდნენ, რამდენიმე ასეული ტალერის ფასად გამოესყიდა იუტლანდიელი ღარიბი ებრაელი ქვრივისაგან, რომელთანაც ერთხელ ღამე გაათია მოხეტიალე ცხოვრების დროს.

სწორედ ისააკ სალომონის დროიდან დარჩა აღმოსავლური საჭურვლის უმდიდრესი კოლექცია და ბევრი ძვირფასი სამშვენისი, რომელიც დღემდე ავსებდა სალომონის სახლს — ის ჭრელი და ზიზილპიპილა კუნსტკამერა, რომელიც მისმა გემებმა ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოზიდეს და რომელიც შვილმა თითქმის ხელუხლებლად შეინახა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მის გემოვნებას აკმაყოფილებდა, უფრო მეტად ასე მამის საპატივცემოდ მოიქცა.

საერთოდ, ფილიპ სალომონმა მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო მხოლოდ მისი საქმოსნური ტალანტი და შრომისმოყვარეობა. თანაც შეიძლება რაღაც კავშირიც არსებობდა მამის ახალგაზრდულ

ხეტიალსა და ბუნებისადმი შვილის სიყვარულს შორის. ფილიპ სალომონი აგარაკზე ადრიან ზაფხულზე მიდიოდა და იქ სხვა ფინანსისტებზე მეტ ხანს რჩებოდა, ხოლო წლის დანარჩენ დროს, კვირაობით, თუ კარგი ამინდი იდგა, დილიდანვე ოჯახიანად გადიოდა ქალაქგარეთ. ასეთ შემთხვევაში თავად მართავდა ცხენებს; ცოლი გვერდით უჯდა, ხოლო მათ ზურგს უკან შარაბანში ფუთფუთებდნენ ბავშვები, ზოგი თავისი და ზოგიც უცხო. როგორც კი ქალაქს ათიოდ კილომეტრით გასცდებოდნენ, რომელიმე ქალაქგარე რესტორანში ან ტყეში ჩამოხტებოდნენ და პირველად შეისვენებდნენ. ცოლი და უმცროსი ბავშვები სურსათიან კალათებთან რჩებოდნენ, უფროსები კი მამის მეთაურობით დასაზვერად მიდიოდნენ.

ბირეის მრისხანე მეფე კეფაზე განიერფარფლებიან ქუდს მოიგდებდა, მკლავზე პალტოს გადაიკიდებდა და მხიარულად მიაპიჯებდა ცხვირკეხიანი ბავშვების ხმაურიანი ჯგროს წინ. ბავშვები კი მის გარშემო ცეკვავდნენ, ჩხუბობდნენ, აღტაცებისაგან წიოდნენ, ერთი სიტყვით, რაც შეეძლოთ მხიარულობდნენ, როგორც შეუძლიათ მხიარულება მხოლოდ ქალაქელ, ხოლო განსაკუთრებით — ებრაელ ბავშვებს.

ისინი ძვრებოდნენ ყველა ბორცვზე, რომელიც კი გზაზე შეხვდებოდათ, სალომონი გამოელაპარაკებოდა თვითეულ შემხვედრ გლეხს და არც ერთ მწყემსს ისე არ გაუშვებდა, რომ მისთვის მარკა არ ეჩუქებინა. მაგრამ ყველაზე მეტად სალომონს ყვავილების კრეფა უყვარდა და განსაკუთრებით უხაროდა, როცა ცოლს დიდ თაიგულს მიართმევდა. ცოლი მადლობას ეტყოდა ყვავილებისათვის და ღიმილით გაუწოდებდა საკოცნელად მარცხენა ხელს.

ფრუ სალომონი ორმოცდაათიან წლებში სწორედ ის ყველაზე ცნობილი ლეა დელფტი იყო, ანუ ფრუ ლეა მორიცი, როგორც ეძახდნენ ერთ დროს, ვისმა აღმოსავლურმა სილამაზემაც პატარა ფართლის დუქანი სილკეჰადეზე არაჩვეულებრივად პოპულარული გახადა მაშინდელ მოდის მიმდევართა შორის და მათი ნახევარი გააგიჟა. ძია ჰენრიხი, ფრუ ლეას ძმა, ფიცით ირწმუნებოდა, თითქოს ქალაქგარე ფსიქიატრიული სამკურნალო დაწესებულება — წმ. პავლეს ჰოსპიტალი მთლად ლეას მიზეზით წარმოიშვა. დუქანი მის მშობლებს ეკუთვნოდა, გერმანიიდან გადმოსახლებულებს; აქ ფრუ ლეამ ბავშობა გაატარა. თვრამეტი წლის ლეა თავდავიწყებული სიყვარულით მისთხოვდა თავის ბიძაშვილს მარკუს მორიცს — საცოდავ

ჭლექიან მეცნიერს, რომლისგანაც ორი შვილი — ივენი და იაკობა შეეძინა. იაკობა უკვე მამის გარდაცვალების შემდეგ დაიბადა. ფრუ ლეა მშობლებთან დაბრუნდა. მიუხედავად სიღარიბისა, მისი მშობლები (ისინიც ბიძაშვილები იყვნენ ერთმანეთისა) დიდებულ ებრაელთა მოდგმას ეკუთვნოდნენ, რითაც ორივენი ძალიან ამაყობდნენ. და როდესაც ლეა, რამდენიმე წლის ქვრივად ყოფნის შემდეგ ფილიპ სალომონზე დაინიშნა, მოხუცებმა ეს თითქმის მეზალიანსად ჩათვალეს; საქმროს მილიონებმა მხოლოდ ნაწილობრივ აიძულეს ისინი შერიგებოდნენ იმ მდგომარეობას, რომ მამამისი ოდესღაც მხარზე ყუთმოკიდებული დახეტიალობდა. სამაგიეროდ თვითონ ქვრივისათვის სალომონის ქონებამ და ბავშვების ბედზე შიშმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს. ქალმა ასეც უთხრა თავის თავს: „ერთხელ მხოლოდ გულს ავყევი, ახლა კი გონების რიგიაო“. ის მართალაც არავის ატყუებდა. საკმაოდ მდიდარი გული ჰქონდა და გონებისთვის საკადრისის მიზღვით არ დაიღუპა. მან მხოლოდ მსხვერპლი გაიღო თავისი გულუხვობით. და თუ ფილიპ სალომონმა ჯვრისწერის დღეს თავის მეუღლეს შეატყო, არასაკმარისად ვუყვარვარო, სამაგიეროდ შემდეგში უხვად იქნა დაჯილდოებული სიყვარულით.

.ოცი წელი იცხოვრეს ტკბილად და ბედნიერად. ამ წლების განმავლობაში ფრუ ლეა, რომლის შესახებაც ერთ დროს ამბობდნენ, მთელ კოპენჰაგენში ყველაზე ლამაზი სახე, მთელს დანიაში ყველაზე ლამაზი ტანი, მთელს მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ხელები აქვსო, ცოტა არ იყოს, დასრულდა, მაგრამ გარეგნობაზე მაინც ეტყობოდა ის, რასაც „ჯიშს“ უწოდებენ და რასაც მცოდნენი პირველსავე შეხედვიდან გამოიცნობენ. ისეთი მოყვანილი თავი ჰქონდა, კეხიანი ცხვირის მოხაზულობა, თავისებური ნიკაპი და, რაც მთავარია, ყელის მოღერება იცოდა ისეთი სიდიადით, რომაელ დედოფალთა ბიუსტებს მოგაგონებდათ. ყურებზე კულულებად ჩამოშვებულ ხშირ შავ თმაში აქა-იქ გაბმოდა ვერცხლისფერი სიმები, რძისფერი-თეთრი პირის კანი სუფთა და გლუვი შემორჩენოდა, კბილები ისევე კარგი ჰქონდა, როგორც ახალგაზრდობაში, მის მუქთაფლისფერ თვალებს თავისი ელვარება არ დაჰკარგოდათ. ფილიპ სალომონი დღემდე მგზნებარედ იყო შეყვარებული ცოლზე და ზოგჯერ პირდაპირ სასტუმრო ოთახში ისე თავდავიწყებით და ვნებიანად შეუწებებდა თავის მსხვილ, ზანგისებურ ტუჩებს მის ხელს ან ლოყას, ქალი იძუ-

ლებული ხდებოდა ისე შეეხედა, ამ შეხედვით მოეგონებინა მისთვის, რომ ბავშვები იქ იყვნენ.

ერთი რამ აკლდა მხოლოდ ფრუ სალომონს და დროთა განმავლობაში ამ დანაკლისს უფრო და უფრო განიცდიდა. სიყმაწვილიდან მოყოლებული, როცა ხშირად იყო ხოლმე სტუმრად თავის ნათესავებთან გერმანიაში და პირველი გათხოვების დროიდან იმდენად ღრმა, იმდენად მდიდარი შთაბეჭდილებები შემორჩა საზღვარგარეთულ ცხოვრებაზე, რომ კოპენჰაგენში აქამდე შინაურულად ვერ გრძნობდა თავს. ამაში ქალი ქმრის გარდა არავის გამოუტყდებოდა, მაგრამ ნაღველი იმ ქვეყანაზე, რომელსაც თავის ჰეშმარიტ სამშობლოდ თვლიდა, ვერ მოეშორებინა. ყოველ წელს მიდიოდა ერთი თვით ან მეტი ხნითაც გერმანიაში ნათესავების სანახავად. და როცა სურდა თავისი სიტყვებისთვის განსაკუთრებული წონა მიეცა, ლაპარაკის დროს გერმანულად უქცევდა.

მისივე დაჟინებით ივენი და იაკობა ძირითადად საზღვარგარეთ იზრდებოდნენ, რადგან მას „არ სჯირდებოდა“, ასე ამბობდა ფრუ ლეა, რაკი მაშინ დანიურ ენაზე მთლად გამართულად ვერ ლაპარაკობდა, რომ მისი ბავშვები „დაკნინებულიყვნენ“ პროვინციულ ქალაქში“, როგორადაც კოპენჰაგენი ჰქონდა წარმოდგენილი. რაც შეეხება იაკობას, სხვა მიზეზიც იყო, საზღვარგარეთ რომ ზრდიდნენ. იაკობა ყოველთვის ითვლებოდა ძნელად აღსაზრდელ ბავშვად. მეტისმეტად მგრძნობიარე იყო, მეტისმეტად ავადმყოფურად იღებდა ყოველგვარ შეურაცხმყოფელ ნართაულს თავის ეროვნებაზე, თანაც ისეთი სუსტი, უძლური ჯანისა იყო, ბავშვობა განუწყვეტელ ტანჯვაში გაატარა. ზოგჯერ მკვდარივით ფერმიხდილი მოვიდოდა ხოლმე სკოლიდან, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც ბიჭმა ქუჩაში „ურია“ მიაძახა. თუ გული ეტკინებოდა, რომ რომელიმე ცისფერთვალა ამხანაგმა მეგობრობაზე უარი უთხრა, ავად გახდებოდა. იაკობა ხომ დაუღალავად სთავაზობდა მათ ამ მეგობრობას და მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ მწარედ გაუტყდა გული, მაინც გაგებასა და თანაგრძნობას ეძებდა. დედისაგან დაჰყვა მდიდარი, მადლმოფენილი ბუნება, მაგრამ არც ხასიათი, არც სიდარბაისლე, არც შემწყნარებლური და ბრძნული ღიმილი, რომლითაც ფრუ ლეა ერთნაირად ხვდებოდა მაღალი საზოგადოების ცრუ შეხედულებებსაც და მდაბიო ხალხის სიხამესაც, არ დაჰყოლია.

რაც მთავარია, იაკობას არ გამოჰყვა დედის კლასიკური სილამაზე. მოზარდობისას შეიძლება ითქვას, პირდაპირ მახინჯი იყო: გამხდარსა და ფერმკრთალს მსხვილი, მკვეთრი სახის ნაკვთები ჰქონდა, სინორჩის მიმზიდველობაც კი ერთი ბეწოთი არ გააჩნდა, სინორჩის და ჯიშიანობისა, რომელიც ხშირად ჩრდილავს მოზარდში გარდამავალი ასაკისათვის დამახასიათებელ უშნო სიტლანქეს. იშვიათად თუ უყვარდა ვინმეს, რაკი სადაც ხელი მიუწვდებოდა, დაუღალავად ესწრაფვოდა, დაეჩრდილა ამხანაგები და ამით სამაგიერო გადაეხადა იმ დამცირებისათვის, რომელსაც მათგან იტანდა. არაჩვეულებრივი მეხსიერება ჰქონდა, მეტისმეტად გულმოდგინე იყო და გაკვეთილის პასუხისას მუდამ ამჟღავნებდა თავისი ასაკისათვის შეუფერებელ ცოდნას. ბოღმისგან ცდილობდა სხვა ხერხითაც გამოეწვია შური თავის ამხანაგებში: პაკეტით მოიტანდა ხოლმე სკოლაში ყველაზე ძვირფას კამფეტებს და მათი დახმარებით ცოტა ხნით წარმატებას მოიპოვებდა.

მასწავლებლებთან და თანაკლასელებთან იაკობას დამოკიდებულება თანდათან ისე გამწვავდა, დირექტორმა მშობლებს სთხოვა, სკოლიდან წაიყვანეთო და თავისი განათლება იაკობამ შვეიცარულ პანსიონში დაასრულა.

იაკობას ყოფნამ შვეიცარულ პანსიონში და ამავე დროს ივენის მიერ გერმანული კომერციული აკადემიის კურსის დამთავრებამ უკმაყოფილება გამოიწვია მათ შორის, ვისაც გერმანიასთან წარუმატებელი ომის შემდეგ ავადმყოფურად გაუმწვავდა ეროვნული გრძნობა. ამ მიზეზის გამო სალომონებმა გადაწყვიტეს უმცროსი ბავშვები საზღვარგარეთ აღარ გაეგზავნათ.

იაკობას მომდევნო გახლდათ ნანი, სვებედნიერი არსება. აკვნიდანვე ისეთი ჯანმრთელი და ისე სასიამოვნოდ ჩაპუტკუნებული იყო, მისი დანახვა ეამებოდა კაცს. ნანის მშვენიერ ფისუნიასავით ყველა ელოლიავებოდა, ყველა ეალერსებოდა და ამას არ უვნია გოგონასათვის, თუ არ ჩავთვლით, რომ მეტისმეტი სურვილი ჰქონდა, ყველას მოსწონებოდა და ცოტა არ იყოს, გააზიზებულიც გახლდათ. „სანიმუშო ბავშვი“ — ასე უწოდებდა მას მამა, რადგან ნანი არასოდეს გამოდიოდა წონასწორობიდან, არასოდეს ავადმყოფობდა, კბილის ტკივილიც კი არ იცოდა რა იყო. სამაგიეროდ სწორედ ის უჩენდა საშფოთავს სალომონების ოჯახს, რადგან მუდამ სადღაც

იკარგებოდა და თითქმის მთელი დღე ჩაცმულ-დახურული იყო. მისი ხმა მთელ სახლში ისმოდა და დღეში ათჯერ მაინც ამცნობდა შინაურებს, დავბრუნდიო. თუ გვიან საღამოს გოგონების საწოლი ოთახიდან სიცილი, წივილი და ბრაგაბრუგი ისმოდა, ყველამ იცოდა, რომ ნანიმ აბაზანა მიიღო და ახლა თეთრღამისპერანგიანი, თმაგაშლილი, დების წინაშე ტარანტელას ცეკვავს.

ამ ოჯახში ცხოვრობდა, უფრო სწორად, ყოველდღიურად მოდიოდა ერთი მოუსვენარი სული — ძია ჰენრიხი, ფრუ ლეას ძმა. ეს პატარა კაცუნა, გარეგნობით ასე საოცრად რომ განსხვავდებოდა დისაგან, სხვა მხრივაც იმის თვალნათელ მტკიცებას წარმოადგენდა, თუ რამდენად არათანაბრად ნაწილდება მემკვიდრეობითი ნიშნები ებრაელთა ოჯახებში. ბატონი დელფტი უცოლშვილოდ დარჩენილი კაცი იყო, თავის თავს რატომღაც „დირექტორს“ უწოდებდა. ახალგაზრდობაში „ფუქსავატურად“ გაანიავა მისთვის მინდობილი თანხები და რაკი შინ აღარ დაედგომებოდა, რამდენიმე წელი ამერიკაში გაატარა. მერე კი (თუ მის სიტყვებს დავუჯერებთ) ინდოეთში და ჩინეთში ცხოვრობდა, იქ ინგლისური ფირმების აგენტად მოღვაწეობდა, მერე პატარა თანხა დააგროვა, სამშობლოში დაბრუნდა და მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანშიშესული იყო, ხელი მიჰყო ტკბობას ცხოვრების ყველა მისთვის ხელმისაწვდომი სიხარულით, თანაც სულაც არ წუხდა მათ ერთფეროვნებას. თავის მოგზაურობებისა და მგზავრობის შთაბეჭდილებების, ისევე როგორც თავისი თანხის ოდენობის შესახებ ისე თავშეკავებულად ლაპარაკობდა, რომ უნებლიეთ იფიქრებდით, ბევრ რამეს მალავსო; ახლო ნათესავებთანაც კი ისე ეჭირა თავი, თითქოს ზღაპრულად მდიდარი და ძველებურად ინგლის-ჩინეთის გემთკომპანიის თანამფლობელი და დირექტორთაგანი ყოფილიყო. საერთოდ კი ძალიან უბრალო სამოთახიანი ბინა ეჭირა და ზომიერად ხარჯავდა ფულს ყველაფერზე, რაც უშუალოდ მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას არ ემსახურებოდა. მხოლოდ თავის თავისთვის არ ენანებოდა ფული, მოხდენილი ახალგაზრდა კაცივით უკანასკნელი მოდის მიხედვით იცვამდა, ყოველდღე დადიოდა დალაქთან, რათა დაეხვია და სუნამო ეფრქვია თავისი შავი თმის ნარჩენებისათვის, ხოლო საზეიმო შემთხვევების დროს ჰალსტუხში ბრილიანტიან ქინძისთავს ირჭობდა, რომელშიც, როგორც ამბობდა, „ნებისმიერი დედოფალი იქნებოდა თანახმა მის-

თვის თავისი სიყვარული ეჩუქებინა". როცა დისწულებს ბიძის გაჯავრება სურდათ, ირწმუნებოდნენ, ქვა ყალბიაო. ერთხელ გააფთრებულმა დატოვა სალომონების სახლი და მთელ კვირას აღარ გამოჩენილა იქ მხოლოდ იმიტომ, რომ სიძემაც და დამაც გაბედეს და ქვის სინამდვილეში დაეჭვდნენ.

ვერ იტყოდით, ბიძია ჰენრიხი სასიამოვნო და თავაზიანი კაციაო, მაგრამ მის გესლში რაღაც განსაკუთრებული შეუცნობელი იუმორიც ერია.

თავადვე დააკისრა საკუთარ თავს დის ოჯახში მოდარაჯე ძაღლის როლი და როცა კი მოახერხებდა, აუცილებლად მარჯვედ დაგესლავდა რომელიმე სტუმარს, ვისაც წილად ხვდებოდა უბედურება მისი რისხვა დაემსახურებინა; მათ რიცხვს კი, პირველ ყოვლისა, ეკუთვნოდნენ ისინი, ვისაც პირის ჩასატკბარუნებელ მზითევზე ეჭირა თვალი. ამას იმ აკვიატებული იდეის გამო სჩადიოდა, რომ ეგონა, ჩემს გარდა გოგონებს ვერავინ გამოექომაგება და ვერავინ ურჩევს კარგსო. თუმცა ბიძია ჰენრიხს, როცა ასე ფხიზლად იცავდა პრეტენდენტებით გარშემორტყმულ დისწულებს, გულში სხვა რამეც ედო. ბევრს კი ბაქიობდა, მაგრამ გულით სწამდა, რომ სწორედ მან, ჰენრიხ დელფტმა შეარცხვინა თავისი გვარი და ვერაფრით ისე ვერ გამოისყიდიდა დანაშაულს, როგორც იმით, თუ შორსმჭვრეტელი იქნებოდა და დისწულებს ხელს შეუშლიდა, გაჰკიდებოდნენ პირველივე შემხვედრს, და ამით დაეხმარებოდა მათ ბრწყინვალე ბედის შერჩევაში.

სალომონებს მრავალი წლის განმავლობაში ზედიზედ თითქმის არავისთან ჰქონიათ ნაცნობობა. ღვთისმოშიში ებრაელები არ წყალობდნენ ამ სახლს, სადაც საჭიროდაც კი არა სთვლიდნენ თავისი ურწმუნოება დაეფარათ (ფრუ ლეა კიდევ უფრო მეტად გულახდილი იყო, ვიდრე მისი ქმარი), ხოლო მაღალი წრის ცხოვრება, თავის მხრივ, სალომონებს არ ეზიდავდა, ამიტომაც იმას დაჯერდნენ, რომ თვეში ორჯერ ღებულობდნენ სტუმრებს, ხოლო ახლო მეგობრებს აცნობეს, ჩვენი სახლის კარი მუდამ ღიაა თქვენთვისო.

მაგრამ როცა ივენი გერმანიიდან დაბრუნდა და ნანიც წამოიზარდა, ყველაფერი შეიცვალა. თუმცა ივენმა მთლიანად ვერ შესძლო მშობლიური სახლი აღორძინების ეპოქის თავადური სახლისთვის დაემგვანებინა, მაგრამ სალომონებთან დაიწყეს ახალგაზრდა თა-

ობის ყველაზე უფრო ცნობილი წარმომადგენლების მიღება. მათ შორის მწერლებისა და მხატვრებისა.

იაკობა ძველებურად თითქმის მთელ წელიწადს საზღვარგარეთ ატარებდა. ძველ შვეიცარიულ პანსიონში მან მეორე ოჯახი შეიძინა; აქ, მაღალმთიან ადგილას ოცნებობდა გამოჯანსაღებულიყო, რაკი ჯანი თანდათან უფრო შეერყა. მართალია, ზაფხულს მშობლებთან ერთად აგარაკზე ატარებდა, მაგრამ როგორც კი აცივდებოდა და მაღალი წრის სეზონის განახლება დაიწყებოდა, მაშინვე ქრებოდა. ერთხელ, მაშინ იაკობა მეცხრამეტე წელში გადადგა, ერთი თვის წასული იყო პანსიონში, რომ მშობლებმა მისგან არეულ-დარეული წერილი მიიღეს, სადაც სხვათა შორის იუწყებოდა, სამუდამოდ შინ დაბრუნებას ვაპირებო. რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა მეორე წერილი, რომელშიც ატყობინებდა შინაურებს, მალე ჩამოვალო, ხოლო მას მოჰყვა დეპეშა — უკვე გზიდან — ხვალ კოპენჰაგენში ვიქნებიო.

თუმცა მშობლები მიჩვეული იყვნენ, რომ ქალიშვილს ძალიან სწრაფად მოჰყავდა სისრულეში თავისი გადაწყვეტილებები, ამჯერად მაინც შეწუხდნენ, რადგან ბუნდოვნად ხვდებოდნენ, იაკობას რაღაც განსაკუთრებულად სერიოზული მიზეზები ჰქონდა, რაკი ასე აჩქარებულიყო წამოსასვლელად. ფრუ ლეამ ქმართან ვარაუდი გამოთქვა, აქ ალბათ მამაკაცია ჩარეულიო. გასულ ზაფხულს იაკობა გატაცებით ყვებოდა ვინმე ვექილზე, საშხრეთ-გერმანელ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეზე. ეს ვექილი პანსიონის დირექტორის დისწული იყო და რამდენჯერმე ესტუმრა დეიდას. ფრუ ლეა კარგად იცნობდა თავისი ქალიშვილის ბუნებას, რომლის წყალობითაც იაკობამ ბევრჯერ მწარე გულგატეხილობა იგემა. მართლაც, როცა იაკობა დაბრუნდა, მაშინვე შეატყობდით, რომ გული ჩასწყვეტოდა, მაგრამ თვითონ არაფერი გაანდო მშობლებს, მხოლოდ ის თქვა, ახალ პანსიონერ ქალთა შორის გარიყულად ვიგრძენი თავი და ამიტომ გამოვეშურე შინისაკენო; არავინ არ ჩასციებია შეკითხვებით, მით უმეტეს დედამისი, რადგან სწორედ ფრუ ლეა მუდამ მოითხოვდა, გულის საიდუმლოებებისათვის პატივი ეცათ. მაგალითად, ერთად ცხოვრების მრავალი წლის მანძილზე მან არ გაუმხილა ქმარს, რატომ არასოდეს არ აძლევდა ნებას, მარჯვენა ხელზე ეკოცნა მისთვის,

მხოლოდ ისა თქვა, ახალგაზრდობაში ასეთი ფიცი მივეცი ჩემთვის საყვარელ კაცს ორივესთვის წმინდა წუთებშიო.

აი უკვე მეოთხე წელი იყო, იაკობას შინიდან ფეხი არ მოუცვლია.

ოცდასამი წლისა გახდა და ჯერ დანიშნული არ ჰყავდა. ვერ იტყოდით, საქმროები ცოტანი მოდიან ამ ოჯახშიო, მაგ შორის ზოგჯერ ძალიან ხელსაყრელებიც გამოერეოდნენ, რადგან იაკობა, მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფური შესახედაობა ჰქონდა, დროთა განმავლობაში თითქმის ლამაზი ქალი დადგა. ქალიშვილის დახვეწილი გარეგნობა განსაკუთრებით ხანშიშესულ მამაკაცებს იზიდავდა. ზოგს იაკობას სილამაზე უფრო მოსწონდა, ვიდრე ნანის თვალისმომჭრელი, მაგრამ მეტისმეტად ჩვეულებრივი სილამაზე. იაკობას ფერმკრთალი სახე, კეხიანი ცხვირი და პატარა ნიკაპი ჰქონდა, რომლის გამოც თაყვანისმცემლები არწევს, ხოლო მქირდავები თუთიყუშს ადარებდნენ. დიდრონი შავი, მოლურჯო, მუქგარსიანი თვალები უბრწყინავდა. ცხვირი ეგრძელებოდა, ფართო პირი და წვრილი ტუჩები ჰქონდა. მაგრამ გულში ჩამწვდომი გამოხედვა იცოდა — ამაყი და თანაც მფრთხალი, ამ გამოხედვაში განდეგილობაც იგრძნობოდა და აზრის სიღრმეც. სხვა დებზე მაღალი იყო, გრძელი, აშოლტილი ფეხები ჰქონდა, არაჩვეულებრივად ჩუმი, სწრაფი და მსუბუქი სიარული იცოდა. ისინი, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება მისი ღიმილი ენახა, ამბობდნენ, უზადო კბილები აქვსო. დაბოლოს, მთელ მის ნერვიულ გარეგნობაში, მოძრავ და გამხდარ სხეულში ის განუმეორებელი სულიერი მომხიბვლელობა იმალებოდა, რომელსაც ნაზ ქალებს გადატანილი მწუხარება და განცდები ანიჭებს.

მაგრამ ყველა, ვინც ამ ქალზე რამეს იტყოდა, უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკობდა მის შინაგან სამყაროზე. აქებდნენ, ჭკვიანი, ძლიერი ნებისყოფის და მრავალმხრივ განათლებული ქალიაო. მარტო ცხოვრების დროს მთელი თავისი სიყვარული წიგნებს დაუთმო, სწავლობდა ცოცხალ და ძველ ენებს, ლიტერატურას, ისტორიას და სული ელეოდა, სანამ ახალ სფეროებში შეიჭრებოდა, რათა ცოდნის გაუმაძღარი წყურვილი დაეკმაყოფილებინა.

ფრუ სალომონი ირწმუნებოდა, იაკობა ზედგამოჭრილი მამამისიაო. და მაინც, ახალგაზრდა და შუახნის მამაკაცების უმრავლესობა, რომელნიც პერის პირველი ვიზიტის დროს ოჯახის მუდმივი მე-

გობრების წრეს შეადგენდნენ, აქ ნანის გამო მიდიოდა და არა მარტო იმიტომ, რომ მას ულამაზესად თვლიდნენ, არამედ იმიტომაც, რომ ეგონათ ნანი — როგორც სალომონის ნამდვილი შვილი — მემკვიდრეობიდან უფრო მეტ წილს მიიღებდა, თუმცა სალომონმა თავის დროზე იაკობაც იშვილა და ივენიც. თანაც იაკობა ისეთი არ იყო, ვისთანაც ფუქსავატური არშიყობის გაბმა შეიძლებოდა. იშვიათად ჩნდებოდა ხალხში და თანდაყოლილ გაუბედაობას შეურაცხმყოფელ გულგრილობით მალავდა.

პერი პირველად მოხვდა აქ ძალზე ვიწრო წრეში, უბრალო ოჯახურ სადილზე: რამდენიმე ხანშიშესული ფინანსისტის გარდა აქ იყვნენ აგრეთვე პოეტი პოულ ბერგერი, კავალერიის ოფიცერი ხანსენ-ივერსენი, სიტყვიერების კანდიდატი ბალინგი და ჟურნალისტი დიურინგი. პერი არც ერთ მათგანს არ შეხვედროდა წინათ, გარდა ბერგერისა, ისიც ძლივს იცნო. ამ ფანატიკურ ღვთის წინააღმდეგ მებრძოლს და ნათანის უერთგულეს მიმდევარს მეფისტოფელისებური წვერი უფრო ფართოდ მოეშვა და სახეზედაც ახალი გამოძეტყველება მიეღო. ახლა უფრო მეტად წააგავდა წამებული ქრისტეს საყოველთაოდ ცნობილ გამოსახულებას; ერთ-ერთმა დამსწრეთაგანმა საიდუმლოდ აცნობა პერს, რომ ბერგერი მხოლოდ ასეთ მსგავსებაზე ოცნებობდა. იმავე წყაროდან გაიგო პერმა, რომ ბერგერმა სრულიად ახლახან გამოაქვეყნა რამდენიმე რელიგიური ლექსი, რითაც მეგობრების დიდი გაკვირვება გამოიწვია. ამ ლექსების იმედით აპირებდა ორი კურდღლის დაჭერას — ნანის თანაგრძნობის მიღწევას და დანიის პარნასზე აცოცებას.

კანდიდატი ბალინგიც, რომლისგანაც გაიგო პერმა ეს მნიშვნელოვანი ცნობები, ლიტერატურულ წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ პოეტი კი არ გახლდათ, არამედ ლიტერატურათმცოდნე. ეს იყო ჭიაყელასავით წვრილი და გრძელი ყმაწვილი, ლომის ფაფარი და ბლინივით ბრტყელი, უმეტყველო სახე ჰქონდა. თავის მხრივ, ღვთისმოსაობაში გადავარდნილმა პოეტმა არ დააყოვნა და განმარტოებულ კუთხეში პერს აცნობა, ეს უღიმღამო ბალინგი თავის ნათანზე შეშლილი იდიოტია და ახლა მასაც სურს გენიოსი და დიადი ჭეშმარიტებების პირველ-აღმომჩენი გახდეს, მაგრამ ჯერჯერობით ამ საქმიდან არაფერი სარფა მიუღია, გარდა კუჭის კატარისაო. ცხადია, ვერავინ უარყოფდა, რომ ბალინგი ძალიან ნაკითხი გახლდათ, რომ მან ზრა-

ერთი ბიბლიოთეკა შთანთქა, რომ გატენილი იყო ყველანაირი ციტატებით და რომ მიკარებოდი, მაშინვე ვისიმე უცხო სიბრძნე დასცვიოდა, მოკლედ, რომ ის იმ წიგნის ჭიათა მოდგმის იდეალური წარმომადგენელი იყო, რომლებიც ლიტერატურას წურბელასავით ეკვრიან, გამოსწოვენ მისგან ცოცხალ და თბილ სისხლს, თავად კი ისევ ცივი და ლიპი რჩებიან. ერთი წლის წინ გამოვიდა ბალინგის წიგნი ანტიკური ტრაგედიის შესახებ და რადგან იგი გულთბილად მიიღო პრესამ, ივენმა მაშინვე გმირულად გადადო თავი, რათა ბალინგი თავის სახლში შეეტყუებინა.

პერი მღელვარებით ელოდა თავის მეტოქეებთან შეხვედრას და ახლა სრულიად დამშვიდდა. კავალერისტმა ივერსენმაც კი ვერ შეაშინა, თუმცა ეს ქერაულვაშებიანი მზით გარუჯული კაცი, კადნიერი ცისფერი თვალები, რომ ჰქონდა, ფრიად ღირსეული მეტოქე იყო.

რაც შეეხება ჟურნალისტ დიურინგს, მის მიმართ პერს ეჭვიც შეეპარა, ესეც მეტოქეა თუ არაო, თუკი ვიმსჯელებდით იმის მიხედვით, რა დაუდევრად ელაპარაკებოდა დიურინგი ქალებს. რაღაც გაურკვეველი მოსაზრებით ივენი ყველანაირად ცდილობდა პერი დიურინგთან დაეახლოვებინა. როგორც კი დიურინგი მოვიდა, მაშინვე გააცნო ერთმანეთს, მაგიდაზედაც ცდას არ აკლებდა, რათა ისინი საერთო საუბარში ჩაება და პერი იძულებული გაეხადა, თავისი გეგმების შესახებ მოეთხრო.

მაგრამ პერს არავითარი სურვილი არ ჰქონდა სერიოზულ თემებზე ესაუბრა. ნანიმ მთლად დაატყვევა, ქალიშვილს ძალიან შვენოდა ღრმად გულამოჭრილი ფულარის კაბა და შავ თმაში გარჭობილი წითელი ვარდები. პერს წილად ხვდა დიდი პატივი, ნანი მაგიდასთან მიეცილებინა და რაკი ამ წარმატებას წმინდა გასტრონომიული ხასიათის სიამოვნება და მისთვის უჩვეულო ფუფუნებით გაშლილი სუფრაც დაემატა, ჭაბუკს თავბრუ დაეხვა და წონასწორობიდან გამოვიდა. თამბაქოს მოსაწევ ოთახში მამაკაცებს ყავა და ლიქიორები მიართვეს, ძია ჰენრიხი ვერაგობდა, სულ პერის ჭიქას ავსებდა. ჰერმა კინაღამ სირცხვილი ჭამა. მან მეგობრულად დაჰკრა ხელი მხარზე ოჯახის მასპინძელს, ომახიანი ხმით შეაქო მისი ღვინოები და საჭმელები, ხოლო მერე მხურვალე გამოთქმებით აღწერა ქალების სილამაზე. უფროსი ასაკის სტუმრები გარს შემოეხვივნენ პერს, შეს-

ცქეროდნენ ახალგაზრდა კაცს, რომელიც, აშკარად ჩანდა, პირველად მოხვედრილიყო კარგ საზოგადოებაში, და დასცინოდნენ.

ამ დროს ფრუ სალომონი და იაკობა შუახნის ქერათმიან ბატონთან საუბრობდნენ, რომელიც თამბაქოს არ ეწეოდა და იმიტომ დარჩა სასტუმრო ოთახში. ეს ბატონი იყო მსხვილი ფაბრიკანტი, ვინმე ეიბერტი, ლიბერალური მოძღვრების ფრიად ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ეგრეთწოდებული „ევროპული“ ჯგუფის წევრი. ოჯახის ახლო ნაცნობთა შორის ის იაკობას მომავალ ქმრად ითვლებოდა. მთლად ახალგაზრდა აღარ იყო — ორმოცი წელი შეუსრულდა, ქვრივი გახლდათ და პირველი ქორწინებიდან ორი შვილი ჰყავდა. ყველამ იცოდა, რომ მას იაკობა უყვარდა. არც მშობლებს უმალავდა ამას, არც თვით იაკობას. მშობლებს სრულიად შესაფერისად მიაჩნდათ ასეთი საქმრო, რადგან ეიბერტი ოჯახის ძველი მეგობარი და თანაც შეძლებული კაცი გახლდათ, საფიქრალიც არ იყო, რომ ის მდიდარ მზითევს დახარბდებოდა. საერთოდ, სალომონები მრავალი მიზეზის გამო მოხარულნი იქნებოდნენ რაც შეიძლება მალე გაეთხოვებინათ იაკობა. კარგად ახსოვდათ, ერთმა შინაურმა ექიმმა ებრაელმა პროფესორმა, გულწრფელად რომ უთხრა მათ: „თქვენი ქალიშვილი ისეთი არ არის, რომ გაუთხოვრად დარჩენა შეეძლოსო“.

ასაკში შესული ეიბერტი, რა თქმა უნდა, მუდამ ღელავდა, როცა ამ სახლში ვინმე ახალი და განსაკუთრებით ახალგაზრდა მამაკაცი გამოჩნდებოდა. ახლაც მაშინვე პერზე ჩამოაგდო ლაპარაკი, დაინტერესდა, ვინ არის ეს ყმაწვილი, ასე რომ ახმაურდა ნასადილევსო.

— ეს ბატონი სიდენიუსია... ივენის ერთი მეგობართაგანი, — უპასუხა ფრუ სალომონმა, თითქოს ბოდიშს იხდიდა ეიბერტის წინაშე თავისი სტუმრის გამო.

— აჰ, მაშ სიდენიუსია! ერთი მითხარით, შემთხვევით ისეთი ხომ არ არის.. — ბატონმა ეიბერტმა შუბლზე თითი მიიდო და დაატრიალა.

— არა, არა მგონია,—გაიღიმა ფრუ ლეამ. — მაგრამ, ცხადია, ფრიად მოუსვენარი პიროვნებაა.

— ალბათ, მემკვიდრეობით თუა ასეთი.

იაკობამ თვალები მოაშორა წიგნს, რომელსაც ფურცლავდა, თითქოს საუბარს სულაც არ უგდებდა ყურს.

— არა, პასტორის ვაჟი გახლავთ, — შეეპასუხა ქალი.

— მერე რა? ალბათ, მათი მოდგმა სავსეა სასულიერო პირებით,— არ ცხრებოდა ფაბრიკანტი, — სწორედ ამიტომაც საგვარტომო ხემ დროდადრო ცუდი ყლორტები უნდა გამოისხას. მახსოვს, ბიძაჩემი— იუტლანდიელი მემამულე — მიამბობდა ვინმე, ალბათ, ამჟამად უკვე განსვენებულ ვენსიუსელელ პასტორზე, ვისაც ყველა „ეშმაკეულ სიდენიუსს“ ეძახდა, თანაც, უნდა ითქვას, არც უსაფუძვლოდ, თუ ბიძაჩემს დავუჯერებთ, — მას კი ყოველთვის არ დაეჯერება, — ეს სიდენიუსი ნამდვილი ყაჩაღი და ჩხუბისთავი ყოფილა. ბევრი ამბავი გვიამბო ბიძაჩემმა, სხვათა შორის ერთი დიაკვნის ამბავიც: ერთხელ მთვრალმა „ეშმაკეულმა სიდენიუსმა“, მაპატიეთ უხეშობა და, დიაკვანს პერანგის ამხანაგი ჩახადა და საცოდავს მრევლის წინაშე ისე გაუთხლაშუნა მამის, შვილის და წმიდა სულის სახელით, რომ მთელ ეკლესიაში გაისმა. ორიგინალური ჭკუის სწავლება, ხომ მართალია? მაგრამ ჩვენი სახელოვანი სიდენიუსი ამის გამო თავის წოდებას გამოეთხოვა და, სადაც საჭირო იყო, ჩაკეტეს.

ფრუ სალომონმა ეს სასეირო ისტორია ღიმილით მოისმინა, იაკობა კი რატომღაც მოიღუშა და წარბები შეიკრა; მაგრამ სწორედ მისმა ზიზღის გამომეტყველებამ გაუხსნა ენა ჩვეულებრივად სიტყვაძვირ ფაბრიკანტს და რამდენადმე შეალამაზებინა თავისი მოთხრობა, რათა ამბავი უფრო საშინელი გამოსულიყო.

თამბაქოს მოსაწევ ოთახიდან ხელახლა მოისმა პერის ოპერიანი ხმა. იაკობა მოიკუნტა. გააჟრჟოლა ამ ხმის გაგონებაზე. მან კვლავ წიგნში ჩარგო ცხვირი და ნაღვლიანი მოგონებები შემოაწვა.

ეს მოხდა ოთხი წლის წინათ, ბერლინის დიდ სადგურში. იაკობა უკანასკნელად მიდიოდა თავის შვეიცარულ პანსიონში—მალე სახტად დატოვა შინაურები შინ უეცარი დაბრუნებით. აქ, ბერლინში, იაკობა უნდა შეხვედროდა ბრესლაველელ მეგობარ გოგონას და ერთად განეგრძოთ გზა. ძალიან ღელავდა. იცოდა, რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ ნახავდა ახალგაზრდა ვექილს, რომელიც უყვარდა და რომელიც, მაშინ ასე ეგონა, — სიყვარულითვე პასუხობდა. ამიტომაც შინ მოუსვენრად იყო და ჩვეულებრივზე გაცილებით ადრე გაემგზავრა... როგორც კი სადგურის თაღქვეშ შევიდა, იაკობამ შორიახლო თვალი მოჰკრა ჩამოკონკილ ადამიანების გროვას, რომელსაც უსაქმურები შემოხვეოდნენ ირგვლივ, პოლიციელები კი ცდილობდნენ, ძალიან ახლოს არ მიეშვათ. რაკი ჭრელაჭრულები ეპო-

სათ და სახეებიც სამხრეთული ტიპისა ჰქონდათ, იაკობამ დაასკვნა, ალბათ, ბოშათა ურდოა, რომელსაც ხელისუფლების ბრძანებით დედაქალაქიდან ასახლებენო. იაკობა თავის გულს გაუფრთხილდა, ძლიერი შთაბეჭდილებებისაგან ცუდად არ გავხდეო, ამიტომ მეორე მხრისკენ გაემართა, რათა იქედან ასულიყო მოსაცდელ დარბაზში. გზაზე რკინიგზის ორი მოხელე შეხვდა. საკაცე მიჰქონდათ. საკაცეზე იწვა გამხდარი, არაქათგამოცლილი მოხუცი, პალტო ეფარა და უაზრო, ცხელებიანი თვალებით პირდაპირ წინ იყურებოდა. შეშინებულმა იაკობამ ერთ რკინიგზელთაგანს ჰკითხა, სად არის აქ მოსაცდელი დარბაზიო, მაგრამ ის პასუხად თავხედურად გაიღრიჭა და ურჩია, მიყნოს-მოყნოსე აქაურობა და გაიგებ, მადლობა ღმერთს. ამხელა ცხვირი გაქვსო. იაკობამ სიტყვა პირში შეატოვა, ზურგი შეაქცია და ფეხს აუჩქარა. ღია კარში, რომელსაც პოლიცია იცავდა, ცნობისმოყვარენი გაჭედილიყვნენ. კისერი წაეგრძელებინათ, თითის წვერებზე შემდგარიყვნენ და ცდილობდნენ შიგნით შეეხედათ. იაკობამ გაჭირვებით გააღწია ბრბოში და უეცრად ისეთი სანახაობა დაუდგა თვალწინ, გაქვავდა.

იქ, დიდ, ნახევრადბნელ დარბაზში-პირდაპირ იატაკზე ისხდა და იწვა ისეთივე ჩამოკონკილი ხალხი, რომლებიც ბაქანზე ნახა. რამდენიმე ასეული იქნებოდა — მამაკაცები და ქალები, ბავშვები, ჭაღარაწვერიანი მოხუცები, ძუძუმწოვრები. ერთნი ნახევრადშიშველნი იყვნენ, სხვებს ხელებზე და თავზე უხეში ბანდები ეხვიათ, ბანდებიდან სისხლს გამოეჟონა. ფერმკრთალნი ჩანდნენ, ჭუჭყიანები და საშინლად გამხდრები, თითქოს მრავალი დღის განმავლობაში ზედიზედ მხოლოდ გზის მტვერი ეყლაპათ მცხუნვარე მზეში. იაკობამ მაშინათვე შეამჩნია, რომ ეს ჭრელი, თუ არ ჩავთვლით ქალების ერთნაირ თეთრ თავსაფრებს, ბრბო ცალკეულ ჯგუფებად იყოფოდა ოჯახებად, თვითეულ ოჯახს კი თავისი მეთაური ჰყავდა. უფრო ხშირად ეს იყო ტანდაბალი შავთვალა მამაკაცი, რომელსაც გრძელი ხიფთანი ეცვა და სარტყელი ჰქონდა შემოჭერილი. მამაკაცები კომბლებს დაყრდნობოდნენ, სარტყელებზე ტოლჩები ჩამოებათ. ბევრს ამის მეტი თან არაფერი ჰქონდა, ზოგს კი რაღაც ჭურჭელი წამოეღო. ზოგან ბიჭები ყარაულობდნენ ბარგი-ბარხანიან ბოხჩებს, რომლებიც, ეტყობოდა, მთელი მაი ავლადიდება იყო.

ჯერ იყო და, იაკობამ სრულიად ვერაფერი გაიგო. მერე კი გული

აუფანცქალდა: ნახევრადბნელ დარბაზში რამდენიმე თავზე თეთრ-ნაპერწკალი მამაკაცი და ქალი შენიშნა, ებრაელებს ჰგავდნენ. მამაკაცები და ქალები იქ მჯდომთ ტანსაცმელს და საჭმელს ურიგებდნენ. მხოლოდ ახლა მიხვდა იაკობა, რაც მომხდარიყო. თავბრუ დაეხვა და კინაღამ წაიქცა. მიხვდა, რომ ეს რუსეთიდან დევნილ ებრაელთა მორიგი პარტია იყო, რომელთაც აგერ, ექვსი თვეა გერმანიის გავლით ოკეანის გადაღმა მიერეკებიან. მთელი ზაფხული კითხულობდა იაკობა შიშით დატანჯულ ლტოლვილთა ამბავს, თავიანთ სამშობლოში ამდენს რომ იტანდნენ ბრბოს მხეცური თარეშისაგან. ხელისუფლება-არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ ამბავს, ზოგჯერ კი მხარსაც უჭერდა მათ შემავიწროებლებს. კითხულობდა, როგორ უკიდებდნენ ცეცხლს ღამ-ღამობით რუსეთში ებრაელთა სახლებს, უკანასკნელ ძაფამდე ძარცვავდნენ, ნამუსს ხდიდნენ ქალებს, ქვებით ქოლავდნენ მოხუცებს, ხოცავდნენ თოთო ბავშვებს და წყალსადინარ მილებში წყლის მაგიერ სისხლი მოედინებოდა; ყოველდღე იგებდა იაკობა ამას, მაგრამ ცდილობდა თავი ენუგეშებინა, თავს უმტკიცებდა, ეს ხმები გადაჭარბებულია, როგორ შეიძლება ასე არაადამიანურად გაუსწორდნენ მშვიდობიან და შრომისმოყვარე ხალხს ჩვენს თავისუფლების და ჰუმანიზმის საუკუნეშიო.

— ფრთხილად! — მოისმა ზურგს უკან. ორი საკაციანი მოხელე იყო, ძლივს გაიკვლიეს გზა დარბაზში, რათა კიდევ ერთი ავადმყოფი, ერთი ძრავალთაგანი გაეყვანათ. მათ შემდეგ კარებში გამოჩნდა ორი პოლიციელი. პოლიციელები რამდენიმე წუთს პროფესიონალური სიმშვიდით ადევნებდნენ თვალს ამ სამწუხარო სცენას, მერე კი ხმლების ეღარუნით გაეცალნენ.

იაკობას მეტი ცქერა აღარ შეეძლო, თვალწინ წითელი ნაპერწკლები დაუტრიალდა და სულშეხუთული პირველი კლასის დარბაზში შეევარდა. აქ ფანჯრები მოედანზე გამოდიოდა. ძირს ხალხი ხმაურობდა და იცინოდა. ტრამვაი რახრახებდა, ძაღლები მხიარულად დარბოდნენ, მზეს შეჰხაროდნენ. იაკობამ ფანჯრის რაფას ჩაჰკიდა ხელი, რომ არ წაქცეულიყო... ამის წარმოდგენაც კი ძნელია! ეს სიზმარი არ არის! ეს ცხადია! მთელი ევროპის თვალწინ ხდება სამარცხვინო, ზეცაში მღაღადებელი დანაშაულებანი და ერთი უფლებამოსილი ხმაც კი სამარცხვინო დაღს არ დაასვამს მას. ეკლესიათა ზარები დედამიწას მშვიდობას ახარებენ, მღვდლები ამბიონებიდან

რწმენის მადლის და მოყვასისადმი სიყვარულის შესახებ იუწყებიან და ყველაფერი ეს იმ ქვეყანაში ხდება, სადაც უსაქმურთა ბრბოები გულგრილი ცნობისმოყვარეობით, ნიშნისგებითაც კი შესცქერიან, ქრისტიანული გულმოწყალეობის სახელით ჭირიანებივით როგორ ერეკებიან უბედურ უსახლკარო ადამიანებს, რათა ევროპის ქვეყნებში იტანჯონ და დაიღუპონ.

იაკობა შეკრთა: მოედანზე დინჯი ნაბიჯით მოდიოდა ის ორი პოლიციელი. ნამდვილი პრუსიელები იყვნენ, ხარისკისრიანი ლეიტენანტები, გრძელი ხმლები ეკიდათ და ვერცხლის სამხრეები ეკერათ გოლიათურ მხრებზე. იაკობამ ხელები დამუშტა. კანონის მცველების ჩლუნგი პროფესიონალური სიმშვიდე და ქედმაღლური ფიზიონომიები ამ ფარისეველობით გაჟღენთილ ქრისტიანულ სახელმწიფოს არაადამიანური თავდაჯერების სიმბოლოდ მოეჩვენა. ბედს მადლი შესწირა, რომ თან იარაღი არა ჰქონდა, როცა მათგან ორ ნაბიჯზე იდგა. ახლა მიხვდა, რომ ვერ შეიკავებდა თავს და ადგილზევე მოუღებდა მათ ბოლოს.

მერე ის იყო, სიყვარულის გულგატეხილობაც ეწვია, მაგრამ ის ვერასოდეს ვერ მიაყენებდა ამდენ ტკივილს, ბერლინის სადგურზე ეს საშინელი სცენა რომ არ ენახა. ახალმა უსიამოვნებამ მეხსიერებაში ახლო წარსულის დამცირება აღუდგინა, ახალი და ძველი ნაღველი ერთმანეთში აირია და მთლად მოიცვა ქალის გონება.

იმ დღეებში იაკობამ მტკიცედ გადაწყვიტა აღარასოდეს დაეკავშირებინა თავისი ბედი მამაკაცის ბედთან. ებრაელზე გათხოვება არ უნდოდა. არ სურდა მის შვილებსაც ისეთივე დამამცირებელი დევნა განეცადათ, რაც თავად აიტანა თავისი ბედუკუღმართი წარმოშობის გამო. მაგრამ ქრისტიანის ცოლობა უფრო საშიში ეჩვენებოდა — მეტისმეტად ძლიერი იყო მისი სიძულვილი იმ სარწმუნოებისადმი, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ზედიზედ გულგრილად სწირავდა სასიკვდილოდ მის მახლობლებს. თვით ქრისტიანთა მოდგმა თავზარს სცემდა. ღვარძლიან მუქარასავით საშიშად ეჩვენებოდა. ტანმორჩილი, ჩასკვნილი, ჩასუქებული, პერსავით ცისფერთვალა ჩრდილოელის დანახვაზე მაშინვე ის მხარბეჭიანი, სამ-

ყაროზე ძლევამოსილად მაცქერალი პოლიციელები ახსენდებოდა და მკვლელობის წყურვილით ხელებს კუმშავდა.

თან ხანშიშესულობის მოახლოვებასაც გრძნობდა. უკვე დიდი ხანია, თერთმეტ-თორმეტი წლისა მომწიფდა. ცამეტი წლის ასაკში უკვე გამოსცადა ღრმა და უიღბლო სიყვარული და ამიტომაც გადაწყვიტა, ახლა უკვე დროა გული დავასვენოო.

იაკობამ, ცხადია, იცოდა, რომ ერთგულ მეგობარს ეიბერტს უყვარდა და თავს ბედნიერად ჩათვლიდა, თუ მას თავის ცოლს უწოდებდა. ეიბერტთან საუბრები მას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. სხვადასხვანაირი ხასიათებისა იყვნენ, მაგრამ მრავალი საერთო პოლიტიკური და ლიტერატურული ინტერესი ჰქონდათ; რაც მთავარია, ღრმად პესიმისტურად იყვნენ განწყობილნი იმისადმი, რაც დანიაში და მთელ მსოფლიოში ხდებოდა. სინამდვილეში ეიბერტი კიდევაც მოსწონდა იაკობას. ეს საშუალო ტანის, წყნარი კაცი, რომელსაც სადად გადავარცხნილი ღია ფერის თმა და თხელი ფართო წვერი ჰქონდა, მასზე დამამშვიდებლად მოქმედებდა და არ უღვიძებდა მძიმე მოგონებებს მხარბეჭიან უხეშ ძალებზე — ეს მოგონებები იაკობას ხელს აღებინებდა ძლიერი სქესის ბევრ წარმომადგენელზე. მაგრამ როგორც მამაკაცი, ეიბერტი მას არ იზიდავდა. მხოლოდ ზოგჯერ, როცა ესმოდა, როგორ ესაუბრებოდა ეიბერტი ვინმეს თავის ადრიანად დაობლებულ ბავშვებზე, გული შეუტოკდებოდა და სახეში სისხლი მოაწვებოდა ხოლმე. ისეთი წუთებიც ჰქონდა, როცა მხოლოდ იმას ფიქრობდა, რა იქნება, ამ მარტოხელა კაცის ბავშვებს დედის მაგივრობა გავუწიო და ამით ვიპოვო ჩემი ადგილი ცხოვრებაში და ჩემი მოწოდებაც აღვასრულოო.

ერთ საღამოს ძია ჰენრიხი ბიბლიოთეკის რბილ სავარძელში მოხერხებულად გაშხლართულიყო და ახალი ნასადილევი სურნელოვან სიგარას აბოლებდა. მაგრამ დიდხანს არ დამტკბარა მარტოობით: ბიბლიოთეკაში ივენი შემოვიდა და ბიძის პირდაპირ დაჯდა.

— ყური დამიგდე, ძია, შენთან საქმე მაქვს.

— ცუდი დრო შეგირჩევია, ხომ იცი, როგორ მიჭირს ლაპარაკი, როცა მაძღარი ვარ.

— მაგრამ, შენ რომ დაგიჯეროს კაცმა, ჭამის დროსაც არ გსურს ლაპარაკი, ისე რომ, აღარ ვიცი, როდის უნდა გადაგიშალო გული.

— როცა მძინავს. მაშ კარგი, დაიწყე.

— შეგიძლია დახმარება აღმომიჩინო?

— ხომ იცი, რომ მე პრინციპულად არავის ვეხმარები. მოდი სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— კარგი, გინდა გარიგება დაარქვი ამას, გინდა, რაც გსურდეს ის, — უთხრა ივენმა და თავისი საყვარელი პოზა მიიღო, ცალი ფეხი მოიკეცა. — მაშ ასე, მომისმინე. მე მაინტერესებს ერთი ახალგაზრდა კაცი... ეს ისეთი ადამიანია...

— უფრო ზუსტად... მორიგ გენიოსზეა ლაპარაკი... განაგრძე!

— ამჯერად არ შევმცდარვარ, დამიჯერე. ეს ნამდვილი ტალანტია. აი ნახავ, თავის დარგში აუცილებლად რაღაც ეპოქალურს მოახდენს. მაგრამ ჯერ ძალიან ღარიბია.

— ღარიბია? აჰ, დამავიწყდა, რომ გენიოსის ერთ-ერთი აუცილებელი ღირსება — ეს სიღარიბეა!

— თავადაც ხომ იცი, რომ აქ, ჩვენთან, მას არ მისცემენ წინ წასვლის საშუალებას. ასეთია ყველა დიდი ნიჭის ჩვეულებრივი ხვედრი. მაგრამ მე მისი მომავლისა არ მეშინია. ასეთი კაცი გზას გაიკვლევს, დამშვიდებული იყავი. უკვე ველაპარაკე მის შესახებ დიურინგს და დამპირდა, როგორც კი შესაძლებლობა მომეცემა, მისგან ინტერვიუს ავიღებ და სტატიასაც დავწერ იმ დიდ გამოგონებათა შესახებ, რომლებზედაც მუშაობსო.

— მოკლედ რომ ვთქვათ, მხედველობაში გყავს ის თავდაჯერებული ცხვირაწეული ჭაბუკი, რომელმაც გუშინ აქ ხმაური ატეხა. მას ხომ ისეთი სულელური გვარი აქვს... ჰო, მართლაც, რა გვარია?

— სიდენიუსი.

— მაინ გოტ!* რა საშინელებაა, რომ არსებობენ ქვეყნად უბედურები, ვინც იძულებულნი არიან ასეთი გვარი ატარონ მთელი სიცოცხლე.

— ჰოდა, აი რა, აქედან წასვლას და საზღვარგარეთ სწავლას აპირებს.

— გამოდის, რომ ფული გასჩენია?

— სრულიადაც არა. აი რის შესახებ ვაპირებდი შენთან ლაპარაკს. იცი რა, მინდა გზის ფული მივცე. რამდენადაც ვიცი, ფული არა აქვს, მაგრამ ამაყი კაცია და ავადმყოფურად მოთაკილე ამ საკითხში,

* ღმერთო ჩემო!

ალბათ, უარს იტყვის... კი, კი, დარწმუნებული ვარ, თუ მოურიდებლად შევთავაზებ საჭირო თანხას, უარს იტყვის: შეურაცხყოფად მიიღებს. ასეთი კაცია.

— სამაგიეროდ შენი ფულები ხელუხლებელი დარჩება.

— რა სისულელეა! ასეთ ადამიანებს აუცილებლად უნდა დაეხმარო. ძია, შენ გაიხსავალი უნდა გამონახო.

— მე? რაო, ხომ არ შეიშალე?

— კი, უნდა გამონახო, განვიზრახე თეჯირად გამოგიყენო. უარს ხომ არ მეტყვი, თუ ძალიან შეგეხვეწები? ფული ისე უნდა შევთავაზოთ, რომ არ შეურაცხვყოთ... თანაც ანონიმურად, მხოლოდ ანონიმურად, თორემ ისე არ აიღებს. მაგალითად, შეგიძლია უთხრა, ვიღაც მეგობრებს და თაყვანისმცემლებს უნდათ წასვლის წინ შენდამი თავიანთი ყურადღება გამოხატონო... შეიძლება შესთავაზო სესხად, ან კიდევ როგორმე სხვანაირად. ერთი სიტყვით, ყველანაირად, რასაც მოიფიქრებ.

ძია ჰენრიხმა ბანჯგვლიანი წარბები ასწია და ჩაფიქრდა. მუდამ მზად იყო გამოსულიყო კეთილისმყოფელის როლში, თუ ეს არაფერი არ დაუჯდებოდა. თან პერიც მოეწონა. გადაწყვიტა, ეს ერთადერთი კაცია ნანის თაყვანისმცემელთა შორის, რომელსაც გააჩნია მონაცემები, რომ ხალხში გამოვიდეს და ჩემი დისწულის ღირსი გახდესო.

— მაშ რამდენი გინდა მისცე მაგ გაიძვერას?

— იმდენი, რამდენიც დასჭირდება. ვფიქრობ, ხუთასი ან ექვსასი. შეიძლება მეტიც. არ ვიცი. მის სახელზე გრიზმანთან ანგარიში უნდა გავხსნათ და გრიზმანის საშუალებით მიიღებს ფულს ჩემგან.

— ბიჭოს! ჭკუაზე შეიშალე! შენი დედ-მამიანად და მთელი ოჯახიანად შეიძლება პირდაპირ საგიუეთში გაგგზავნოს კაცმა.

— ცეცხლი ხომ არ მოგეძებნებათ? — მოისმა სასტუმროდან და კარებში ნანი გამოჩნდა. თეძოებზე მუშტები შემოილაგა და წინ გადაიხარა. პირში მოუკიდებელი სიგარეტი ჰქონდა გაჩრილი.

ძია შეიჭმუხნა.

— ისევ შენი საწოვარა გაგიჩრია პირში... ათასჯერ გითხარი, საძაგელი, საზიზღარი, აუტანელი სუნი აქვს-მეთქი.

— ძია, ცუდ გუნებაზე ხარ? რა სამწუხაროა! ძალიან მინდოდა შენთან საუბარი.

— შენც?.. აბა, გადმოალაგე! სულ ერთია, დღეს დასვენებას ვერ მოვახერხებ.

— ახლა ერთი ლაზათიანად მიგბერტყავ, გესმის, ძია?

— აბა მიმბერტყე, მიმბერტყე ჩქარა.

— პირადად მე მგონია, რომ უფრო ტაქტიანი უნდა იყო და შენს მეგობრებთან ერთად მთავარ ქუჩაზე იმ საათებში არ დასეირნობდე, როცა იქ წესიერი ხალხი დადის — უკიდურეს შემთხვევაში, ნათესავების ხათრით მაინც შეირჩიე უფრო ლამაზი თანამგზავრი და არა ეს საფრთხობელა, რომელთან ერთად გუშინაც გნახე და დღესაც. ჩვენ პირდაპირ გვრცხვენია, ასეთი რომ ხარ და ასეთი გემოვნება რომ გაქვს.

ამას რომ ამბობდა, ნანი ბიძის უკან იდგა, მისი სავარძლის ზურგს დაყრდნობოდა და შიგ კისერში აბოლებდა სიგარეტს. ჰენრიხი თუმცა ნანის სიტყვებმა აღაშფოთა, ადგილიდან არ დაძრულა და თვალმილულული მისი თბილი სუნთქვით ნებივრობდა.

— ნანი, ათასჯერ მითქვამს შენთვის, რომ პირდაპირ აღმაშფოთებელია, საშინელებაა, როცა ახალგაზრდა ქალიშვილი ასეთ სისაძაგლეს ამბობს. ხოლო რაც შეეხება იმ ახალგაზრდა მანდილოსანს...

— რომელ მანდილოსანს?

— ალბათ, ვისთანაც შენ მნახე — უნდა გითხრა, რომ ერთხელ... მაშ იცოდე: იგი ჩემი დიასახლისის ქალიშვილია, ძალიან კარგად აღზრდილი და მეტისმეტად წესიერი ქალი...

— მე ახალგაზრდა მანდილოსანზე კი არ ვლაპარაკობ, იმ ბებერ საფრთხობელაზე გეუბნები, შლიაპაზე წითელი ყვავილები რომ დაუბნევია და ლოყებზე ფერ-უმარილი წაუსვია. გიმეორებ—სირცხვილია, ძია, დიდი სირცხვილია!

— მე კი გეუბნები, გოგო, რომ შენი საქმე არ არის იმაზე მსჯელობა, თუ რა არის სირცხვილი. უმჯობესია ის დაინახო, როგორ ხალხს იზიდავ ჩვენს სახლში შენი ურცხვი სიკეკლუცით! ბატონი სი-დე-ნი-უსი — ერთი სოფლელი ლოხი, რომელსაც მხოლოდ იმდენი ზრდილობა გააჩნია, რომ ორი თითით ცხვირი არ მოიხოცოს. მერე რა ფიზიონომია აქვს! ალბათ, დედამისი ერთი თავხედი დედაკაცი იყო, ხოლო მამა ერთი ვინმე ბატონი ხეპრე.

— მე მგონია, საკმაოდ კარგი ახალგაზრდაა.

— აჰ, უყურეთ ერთი, საკმაოდ კარგიო! — გამოაჯავრა ბიძამ.— დაიხსომე, ნანი, თუ ქრისტიანზე გათხოვდები და თანაც არაკეთილშობილური წარმოშობის ქრისტიანზე, მაშინ...

— „მაშინ“ რა, ძია?

ძია ჰენრიხმა თვალები საშინლად გადაატრიალა და ნელა, თითოეული სიტყვის დამარცვლით უთხრა:

— მაშინ ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემი ბრილიანტის ქინძისთავს ვერ მიიღებ.

— რას მივიღებ! შენ ხომ იაკობას შეჰპირდი იმის დატოვებას. როზალიასაც. და თუ მეხსიერება არ მღალატობს, ივენსაც.

გააფთრებული ძია ჰენრიხი სავარძლიდან წამოხტა და ოთახიდან ყვირილით გავარდა:

— ყველა საგიჟეთშია წასაყვანი, მთელი ოჯახი. ფეხის დამდგმელი აღარა ვარ აქ. თქვენი შემხედვარე, თვითონაც გავგიჟდები. მეყოფა!..

შეცბუნებულმა ივენმა და ნანიმ ერთმანეთს გადახედეს. როგორც ყოველთვის, ახლაც ვერ გაეგოთ, ხუმრობდა ძია თუ სერიოზულად ლაპარაკობდა.

კარებში იაკობა გამოჩნდა:

— რა უთხარით ასეთი ძიას? პირდაპირ გაცოფებულია.

— არაფერი, — უპასუხა ივენმა, — ხომ იცი, ჩემს მეგობრებს ვერ იტანს. ამჯერად სიდენიუსის გამო გამძვინვარდა, ეს არის და ეს. ვუთხარი, სიდენიუსი საზღვარგარეთ წასვლას აპირებს-მეთქი და ამის გამო ერთი სამსახური ვთხოვე. მეტი არაფერი.

— ნუთუ ბატონი სიდენიუსი მიემგზავრება? — ისეთი ტონით იკითხა ნანიმ, იაკობამ უნებლიეთ გამომცდელად შეხედა დას.

— ჰო, აპირებს.

ნანის მეტი არაფერი უკითხავს. ფიქრებში გართულმა ბოლომდე მოუწეველი სიგარეტი მაგიდაზე მდგარ საფერფლეში ჩააგდო და ოთახიდან გავიდა.

— ვშიშობ, რომ ნანის სერიოზულად მოეწონა ეს სიდენიუსი, — უთხრა იაკობამ დედას, როცა ისინი საღამოს სასტუმრო ოთახში ანთებულ ლამპას მიუსხდნენ.

— რად გგონია ასე? — უკმაყოფილოდ ჰკითხა ფრუ ლეამ, ეტყობოდა, იდუმალად ეს აზრი მას უკვე აწუხებდა. — ბატონი სი-

დენიუსი ნამდვილი ქარაფშუტაა, ნანი კი საკმაოდ ჭკვიანი გოგონაა. გარდა ამისა, სიდენიუსი საზღვარგარეთ წასვლას აპირებს და ვიმედოვნებ, ჩვენი ნაცნობობა ამით დამთავრდება.

— ვშიშობ, რომ არ ჩქარობს წასვლას, — დუმილის შემდეგ უპასუხა იაკობამ, დივანის კუთხეში, დედის გვერდით მიიკუნჭა და ნაღვლიანად ჩაფიქრებულს თვალი გაუშტერდა.

— შვილო, აბა შენ საიდან იცი?

— ახ, დედა, ბრმა ხომ არა ვარ! როგორც კი ეს კაცი ჩვენს სახლში დავინახე, მაშინვე მივხვდი, ვის გამოც მოვიდა. ის კი ისეთი არ არის, რომ რაიმე ამოიჩემოს და მერე გადათქვას. ივენიც ასე ფიქრობს. ამ კაცისა შეიძლება ბევრი რამ არ მოგეწონოს, მაგრამ ერთს ვერ წაართმევ: მტკიცე ხასიათისაა.

ფრუ სალომონს გაეღიმა.

— როგორც ვხედავ, უკვე შერიგებიხარ მის არსებობას?

— არა, არ შევრიგებივარ, ვერც შევურიგდები. მეტისმეტად არ მომდის თვალში. მე უბრალოდ ვფიქრობ, რომ ის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი პიროვნებაა. საიდან ვიცით, რა კაცი დადგება მისგან. თუ კარგი პირობები ექნება, იქნებ მართლაც ივარგოს და როდისმე ნანის შესაფერისი ქმარი გახდეს. ჩემის აზრით, სიდენიუსისნაირი სიძე უკეთესია, ვიდრე დიურინგის მსგავსი.

— იაკობა, იაკობა, ნამდვილი მაჭანკალი გამიხდი! — უთხრა ფრუ სალომონმა. — ჯერ იყო და ოლღა დავიდსენზე ზრუნავდი, ახლა გადაწყვიტე საკუთარი და დაოჯახო?

იაკობა გაწითლდა: საყვედური მიზანში მოხვდა. თავი ჩაღუნა. რომ თავისი დარცხვენა დაეფარა და დედას მხარზე ხელი დაადო.

— საყვარელო დედა, ხომ იცი, რომ ყველა შინაბერას ეს უარყოფითი თვისება გააჩნია.

ამ გაზაფხულზე პერმა მოუხშირა სალომონებთან სიარულს. ძველებურად უფრო ნანის გულისთვის დადიოდა, მაგრამ მისთვის ახალი და უჩვეულო ოჯახური ურთიერთობაც იზიდავდა.

ერთ საღამოს, როცა პერი წავიდა, იაკობამ ვერ მოითმინა და იკითხა:

— საინტერესოა გავიგოთ, რაზე ფიქრობს ბატონი სიდენიუსი,

როცა მთელი საღამო პირმოკუმული ზის და ჰხოლოდ თვალებს აცეცებს?

პერი კი თავის ოჯახზე ფიქრობდა. აგონდებოდა მშობლიური სახლის სასტუმრო ოთახი, ისეთი, როგორიც ჩარჩენოდა მეხსიერებაში. ზამთრის გრძელი ღამე, ტახტის წინ მაგიდაზე ზანტად ციმციმებს ლამპა. მამას თვალებზე მწვანე წინაფრა ჩამოუწევია და თავის მაღალზურგიან სავარძელში თვლემს, სიგნე ხმამაღლა კითხულობს გაზეთს, ხოლო უმცროსი დები საკერავზე დახრილან, წარამარა დასცქერიან დიდ საათს და ანგარიშობენ, მალე უბრძანებს თუ არა ღამის გუშაგი დასაძინებლად წასვლას. პერს აშკარად ესმის წყნარი ოხვრა საწოლი ოთახიდან, დედის ავადმყოფ გულს ჰაერი არა ჰყოფნის. ჩუმად შიშინებს ლამპა, ღუმელიდან ტორფის ბოლის სუნი გამოდის და ეს სუნი წამლებისა და ლაქების გამომყვანი სითხის სუნში ირევა.

მაგრამ მშობლიური სახლის ამ სახლთან შედარებისას თვალში საცემი მარტო ერთის სიღარიბე და მეორის ფუფუნება კი არ იყო. უფრო მეტად სხვაობა შეიმჩნეოდა ატმოსფეროში, ადამიანების ურთიერთ დამოკიდებულებათა ხასიათში, თვით ტონშიც. პერს ესმოდა, როგორ თანატოლებივით ელაპარაკებოდნენ განებივრებული ბავშვები მშობლებს, ხედავდა, ფრუ სალომონი როგორ მსჯელობდა ქალიშვილებთან გაზაფხულის მოდებზე, არჩევდა, რომელი ფერი და ფასონი უფრო მეტად მოუხდებოდათ და პირდაპირ აიძულებდა მათ. გემოვნებით ჩაეცვათ. ყმაწვილი ამჩნევდა, რა გულით იყვნენ ამ სახლში დაინტერესებულნი ყველაფრით, რაც ქვეყანაზე ხდება, თანაც ერთი გადაკრული სიტყვაც კი არ გაუგონია „იმქვეყნიურ“ ბნელ ძალებზე, რომელთა შესახებაც საუბრები თითქოს საფლავისებური სიცივით სჭოლავდნენ სიდენიუსების სახლს, სადაც დღე იწყებოდა და მთავრდებოდა ლოცვით, სადაც ფსალმუნებით და საგალობლებით იმიჯნებოდნენ ქვეყნისაგან, სადაც სულიერად განვითარებული ადამიანისთვის მოხდენილად ან უბრალოდ კოხტად ჩაცმა და ოდნავი ზრუნვაც თავის გარეგნობაზე სამარცხვინოდ ითვლებოდა. ერთი სიტყვით, როცა პერი თავის მშობლიურ სახლს სალომონების სახლს ადარებდა, მადლობას სწირავდა ბედს იმის მოვლენისათვის, რის ძებნასაც აპირებდა შორეულ უცხო ქვეყნებში. იმისათვის, რომ შეჰ-

ყარა სადა, ჩვეულებრივ ადამიანებთან, ხალხთან, ვისთვისაც ერთნაირად უცხოა ცათა სასუფეველიც და ჯოჯოხეთის ცეცხლიც.

თვით სიმდიდრეც ახლა სხვანაირად წარმოუდგა. დღემდე პერი გლეხურად სჯიდა, რომ ფული — ეს უბრალოდ იარაღია გააფორებულ ჩხუბში მზისქვეშ მოსაკალათებლად. ახლა შეიგნო, რა ბევრს ნიშნავს გაუჭირვებელი, უზრუნველყოფილი არსებობა ადამიანის პიროვნების სწორი სულიერი განვითარებისათვის, წყნარი დამოუკიდებელი ხასიათის ჩამოსაყალიბებლად. დაიწყო გაგება, რას ნიშნავს ქედის მოხრა ფულის წინაშე — თვისება, რომელსაც ჩვეულებრივად ებრაელებს აწერენ და რომელსაც წონასწორობიდან გამოჰყავს ყველა მართლმორწმუნე სიდენიუსი. მას ახსოვდა, როგორი ზიზღით იხსენიებდა მამა „მამონას მსახურებს“, როგორ უჩეჩავდა მოწაფეებს თამბაქოთი აყროლებული ხელით თმებს სამღვთო სჯულის მასწავლებელი, გამხდარი, არაქათგამოცლილი კაცი და შეაგონებდა, არ დაეგროვებინათ თავიანთთვის განძი დედამიწაზე, სადაც ჭაი ჭღილი და ჟანგი ჭამთ.

პერი ფიქრობდა, ამ პატარა, გაძვალტყავებულ ქვეყანაში იზრდება თაობა თაობაზე და ეს თაობები პირფერულად ითვალწუნებენ „ამაო მიწიერ სიკეთეს“, ხოლო საზოგადოების ყველა ფენა შაკბნელმა სულიერმა სიღატაკემ და იავარყოფამ მოიცვაო. და პერს სურდა ეშმაკების ჯიბრზე, ხმამაღლა, მთელი ქვეყნის გასაგონად დაეყვირა: „ქუდი მოიხადეთ ოქროს სხეულის წინაშე! მუხლი მოიხარეთ მამონას... ადამიანთა მოდგმის მხსნელის და გამაბედნიერებლის წინაშე!“

თუმცა პერი შესანიშნავად გრძნობდა, რომ თვითონაც ჯერ ბოლომდე არ განთავისუფლებულიყო სინათლის შიშისაგან, რომელსაც ბევრ ადამიანში ოქროს თვალისმომჭრელი ელვარება იწვევს. ამ ფუფუნებას რომ უცქეროდა, გრძნობდა, როგორ იღვიძებდა მასში ქონდრისკაცის სული. როცა ამ აღმოსავლური ყაიდის ნათელ სახლს საკუთარ არეულ-დარეულ ყოფა-ცხოვრებას, თავის მათხოვრულ, ღატაკურ სიხარულს და სინდისის მუდმივ ქენჯნას, მუდმივ მოუწყობლობას ადარებდა, პერს აღარ შეეძლო კიდევ შეჰპარვოდა ეჭვი იმაში, მართლაც მიწისქვეშეთის სული და როგორც მამაც ეძახდა, „ბნელეთის შვილი“ ვარო.

მთელი ცხოვრება ამ დიდ, მდიდრულ სახლში, რომლის კარი ყველასათვის ღია იყო, სადაც თავისუფალი, გულდაჯერებული ადა-

მიანები იკრიბებოდნენ, სულიერ სარკედ წარმოუდგებოდა და სურვილი ებადებოდა ხელახლა დაკვირვებოდა თავის თავს. აქამდე პერს წილად არ რგებია ისეთ ადამიანებთან ურთიერთობა, რომელთა უპირატესობაც ასე აშკარად ეგრძნო. ახალგაზრდა ფრეკენ სალომონებთან ან მათ მეგობრებთან ჩვეულებრივი საუბარიც კი ძალიან უჭირდა, ვერ მალავდა, რომ კულტურა და განათლება აკლდა. მალულად ცდილობდა დანაკლისი აენაზღაურებინა. გულმოდგინედ შეუდგა ნათანის წიგნების შესწავლას, ნათანის სახელი ამ წრეში ყველას პირზე ეკერა. ისიც უნდოდა, როგორმე ცოტათი ენებიც შეესწავლა. რომ თავი არ მოსჭროდა იმ სახლში, სადაც ხშირად იყვნენ უცხოელები და ბავშვებიც კი თავისუფლად ლაპარაკობდნენ ინგლისურად, გერმანულად და ფრანგულად.

თუმცა წინანდებურად აქ ნანის გულისთვის დადიოდა, მაგრამ სულ უფრო მეტ სიამოვნებას ჰგვრიდა საუბარი ფრუ სალომონთან და იაკობასთან. როგორც თანამოსაუბრენი, ისინი უფრო გამოადგებოდნენ. უნებურად გაიმსჭვალა იაკობასადმი ღრმა სიმპათიით, რადგან იაკობა ერთნაირად თავისუფლად მსჯელობდა ძველი საბერძნეთის ფილოსოფიისა და ბისმარკის უახლესი პოლიტიკის შესახებ და არც ქალურობა აკლდა. თუმცა იაკობა პერს თავიდან სრულიად არ მოეწონა და ახლაც ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ესმოდა მისი, მაგრამ ძალიან ძვირად უღირდა ის, რომ შეეძლო ქალთან იმ წიგნებზე ემუსაიფა, რომლებიც უკვე წაეკითხა ან აპირებდა წაკითხვას და თავისივე სასარგებლოდ მეტისმეტად დააინტერესა ქალი დოქტორ ნათანის წიგნებით; ნათანი, იაკობას აზრით, დიდად გამოჩენილი ადამიანი და ახალი დროის მქადაგებელი გახლდათ. ნათანის შესახებ საუბრები მათთვის ის კუნძული იყო, სადაც შეეძლოთ მშვიდობით და თანხმობით შეხვედროდნენ ერთმანეთს და საითკენაც — თვითეულს თავისებურად — ყველაზე ღრმა გრძნობა იზიდავდა: მათი სიყმაწვილის მომშხამავი ეკლესიისადმი სიძულვილი. პერი არაფერს უმალავდა იაკობას. გულუბრყვილო გულახდილობით უამბო თავისი ამბავი და ამ გულახდილობამ უშველა მოეპოვებინა იაკობას სიმპათია თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში შემწყნარებლობა მაინც. ეს ქალი გაცილებით მეტ როლს თამაშობდა პერის განვითარებაში, ვიდრე თვითონ ეგონა. თუმცა, ვერც პერს შეეგრძნო, რა ძლიერ განიცდიდა იაკობას გავლენას, იმ ადამიანის გავლენას, ვისაც ბევრ რამეში მის წინაშე

უპირატესობა ჰქონდა. ამიტომაც, თუმცა ამ ქალს დიდად სცემდა პატივს, პერს მაინც ვერ გაეგო, რაში მდგომარეობდა საიდუმლოება იმისა, რომ იაკობას ასე დიდი მოწიწებით ხვდებოდნენ მაგალითად, დიდ მიღებებზე, სადაც ლიბერალური პარტიის გამოჩენილი მოღვაწენი ესწრებოდნენ. სანამ ნანი ოთახებში დაცქრიალებდა ლიტერატურათმცოდნე ბალინგის, პოულ ბერგერის და სხვა მათი მსგავსი ლაზღანდარების თანხლებით, იაკობას გარშემო, თუმცა მას ჩვეული სიდინჯით და მკაცრადაც კი ეჭირა თავი, იკრიბებოდა საზოგადოების ნაღები, ნამდვილი სახელმოხვეჭილი პირნი: უნივერსიტეტის პროფესორები, ყველაზე ცნობილი ექიმები, — ერთი სიტყვით, უკვე მაშინ ფრიად გავლენიანი პარტიის ყველაზე რჩეული ნაწილი. ერთხელ პერმა შემთხვევით ყური მოჰკრა, ვიღაცის მიერ მეტისმეტი სინანულით ნათქვამს, რომ ასეთი ჭკვიანი და ნიჭიერი ქალი, როგორც ჩანს, არავის გაბედნიერებას არ აპირებს მამაკაცთა სქესიდანო. „თანაც, კაცმა რომ თქვას, ვის უნდა მისთხოვდეს? — შეეპასუხა თავისივე თავს მთქმელი,—ასეთ დედოფალს, უკიდურეს შემთხვევაში, მემკვიდრე პრინცი მაინც უნდა შეხვდეს. დონდლო ეიბერტი კი მაგის შესაფერისი არ არის“. იქნებ ხუმრობითაც თქვა ეს იმ კაცმა, მაგრამ ამ სიტყვებმა ძალიან იმოქმედა პერზე და სხვა თვალით შეხედა ამ ქალის გარეგნობას. როდესაც დააკვირდა, შენიშნა, რა ამაყი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა ქალს და ისიც, რომ ის არწივს უფრო მოგაგონებდა კაცს, ვიდრე თუთიყუშს. პერმა შეიგნო იაკობას მსუბუქი, მაგრამ მტკიცე სიარულის მთელი სიმშვენიერე. მოეწონა მისი უხმო, კატისებური ნაბიჯები. სავარძელში ჩაჯდომაც ისე მედიდური იცოდა ქალმა, როგორც არავინ, ცხვირსაც კი, პერის აზრით, ძალზე კეთილშობილურად — სწრაფად და მტკიცედ იხოცავდა.

ერთ საღამოს ისინი შემთხვევით მარტო აღმოჩნდნენ დიდ ბიბლიოთეკაში. ნანი წვეულებაზე წავიდა და ერთ საათში უნდა დაბრუნებულიყო. პერი შინისაკენ არ ჩქარობდა, რადგან ნანის მოსვლას უცდიდა. პერი და იაკობა ერთმანეთის პირდაპირ რვაკუთხა მაგიდას უსხდნენ. მათ შუა ლამპა იდგა და ყვითელი აბრეშუმის აბაჟური მაგიდის კრიალა ზედაპირზე ირეკლებოდა. იაკობას თავი ხელზე დაეყრდნო და რომელიღაც ილუსტრირებულ გამოცემას ფურცლავდა. ორივენი დუმდნენ. მერე უცებ იაკობამ ჰკითხა, სასულიერო წრიდან

გაბოსულმა როგორ გადაწყვიტე დაუფლებოდი გამოყენებით პროფესიას და ინჟინერი გამხდარიყავიო.

— მერე თქვენ არ მოგწონთ ეს? — პერმა კითხვაზე ორჭოფული კითხვითვე მიუგო.

— რატომაც არ მომწონს? — და იაკობა ცხარედ ალაპარაკდა, ტექნიკურ მოღვაწეობას უღლისაგან ადამიანის განთავისუფლების საქმეში უდიდესი როლი აკისრიაო, რადგან ორთქლმავლების, ტელეგრაფის, გემების დახმარებით ის ლახავს მანძილს ქვეყნებს შორის და ხელს უწყობს ხალხთა შორის წინააღმდეგობათა წაშლას, რაც პირველი ნაბიჯია ადამიანის უხსოვარდროინდელი ოცნების განხორციელებისა, რომ დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი ძმურად გაერთიანდესო.

პერმა მალულად შეხედა იაკობას და წამოწითლდა. მას აზრადაც არ მოსვლია თავისი საქმიანობის ამ მხრივ განხილვა, მაგრამ მისი პროექტის კეთილშობილური იდეის სამსახურში გამოყენების აზრმა სასიამოვნო მღელვარება მოჰგვარა. რაღაცნაირი საზეიმო განწყობაც კი დაეუფლა.

თუმცა, ასე ხდებოდა მუდამ, როცა იაკობას ელაპარაკებოდა.

ნათანის წიგნების მსგავსად იაკობას სიტყვები ელვასავით ანათებდნენ მისი გონების შორეულ და უცხო სფეროებს და მომხიბლავი ზეშთაგონების სახით წარმოუდგებოდნენ.

„რა ჭკვიანი ქალია, რა ჭკვიანი!“ — ბევრჯერ უფიქრია მისი სწორი, ამაყი სახის ნაკვთების დანახვისას; მერე ფიქრით ზღაპრულ სამყაროში გადადიოდა და ეჩვენებოდა, თითქოს მის წინ ახალგაზრდა სიბილა იჯდა. ასეთ წუთებში იაკობა ზებუნებრივი არსება, მიწიერი სიბრძნის დიდებული მცველი ეგონა.

— აჰ, როგორ ვწუხვარ, რომ წინათ არ გიცნობდით.

თუმცა პერი ყველანაირად შეეცადა ცხარედ წარმოეთქვა ეს სიტყვები, მაგრამ რაღაცნაირად უხალისოდ ნათქვამი კი გამოვიდა. იაკობამ საკმაოდ ცივად გაიღიმა, მაგრამ პერი მაინც განაგრძობდა:

— ვიცი, რომ კარგად ვერ გამოვთქვი ჩემი აზრი, მაგრამ სრული სიმართლე კი გითხარით. მუდამ ისე მეჩვენება, აი ახლა ვიწყებ ადამიანად გახდომას-მეთქი და თანაც სწორედ თქვენი კეთილგანწყობილების დახმარებით, მიუხედავად იმისა, გსურთ ეს თქვენ თუ არა.

— ვინ იყავით აქამდე?

პერმა სწრაფად ვერ უპასუხა.

— გახსოვთ, დანიერ ქრესტომათიაში არის ზღაპარი ქონდრისკაცზე, რომელიც თხუნელას სოროდან ამოძვრა მიწაზე, რათა ეცხოვრა ადამიანებს შორის და ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ ყოველთვის, როცა ღრუბლებიდან მზე გამოაშუქებდა, ქონდრისკაცს აცემინებდა... ეჰ, ამის შესახებ შეიძლება უსასრულოდ ილაპარაკოს კაცმა.

უცებ პერს დაუძლეველი სურვილი დაეუფლა, ახლავე გადაეშალა იაკობასთვის გული. ვერ დასძლია ეს სურვილი და კომიკური ტონით უამბო თავის ბავშვობის ამბები, ისიც, რომ მშობლები სამუდამოდ ჰყავდა დაკარგული.

იაკობამ ზოგი რამ უკვე იცოდა ივენისაგან. პერის მოულოდნელმა გულახდილობამ შეაცბუნა და არ უთხოვია ჭაბუკისთვის, განაგრძეო.

თუმცა, სულ ერთია, ძია ჰენრიხი არ დააცლიდათ ალბათ. ბებერი ცოდვილი იშვიათად თუ გამოტოვებდა შესაძლებლობას დამტკბარიყო სამეჯლისო ტანსაცმლით მორთული თავისი დისწულების ტკერით. ზღურბლიდანვე ნანი იკითხა.

სწორედ ამ დროს სახლის წინ ეტლი გაჩერდა და ნანი სილფიდასავით შემოფრინდა ოთახში.

პერს რომ თვალი მოჰკრა, ნანი შედგა და განგებ ნელა მოიხადა შიშველი მხრებიდან თეთრი მოსასხამი.

პერი ადგა და დაბნეულმა შეხედა.

თეთრი აბრეშუმის ღრმად გულამოჭრილი კაბიდან ნანის მშვენიერი მხრები მოუჩანდა. თვითონაც ლამაზი იყო, იმდენი ეცეკვა, სახე ალეწოდა და თვალებიც აღფრთოვანებით უბრწყინავდა... მაგრამ მაინც... პერმა მზერა იაკობაზე გადაიტანა. იაკობა ლამპის მკრთალ სინათლეზე იჯდა და ჩაფიქრებულს თავი ხელზე დაეყრდნო. რომ შეგედარებინათ, კაცმა არ იცის, რომელს ამჯობინებდით.

პერს რაღაცნაირი გაურკვეველი გრძნობა დაეუფლა, გამოემშვიდობა მათ და შინისაკენ გასწია. მერე უეცრად შუა ქუჩაში შედგა, ქუდი კეფაზე მოიგდო და თითქმის შიშით ჰკითხა თავს:

— ღმერთო მოწყალეო! ნუთუ იაკობა შემიყვარდა?

თავი VIII

სახელი რომ გაეთქვა და სალომონების ოჯახშიაც სასურველი მიზნისათვის მალე მიეღწია, პერი კარგა ხახია აიტაცა ფიქრმა, პატარა ბროშურად გამოექვეყნებინა თავისი გეგმების შინაარსი. ეს ბროშურა იქნებოდა პასუხი პოლკოვნიკ ბერეგრავისადმი, და გამოწვევა ყველა კაბინეტის ინჟინრისა, რომელთაც სურდათ გაეცამტვერებინათ პერი და სახელი და დიდება არ ეღირსებინათ მისთვის. დაე ამ ბატონებმა გაიგონ, რომ მას ჯერ ისევ უდგია სული.

გარდა ამისა, პერს სურდა დანიის მიმოსვლის მთელი სისტემის გარდაქმნის აუცილებლობა დაემტკიცებინა. ციფრების საშუალებით, — უციფროდ ვერაფერს გახდებოდა, — პერი ფიქრობდა, საზოგადოებას დავარწმუნებ, თუ რაოდენ არაგონივრულია და დამღუპველი იმ ქვეყნისათვის, რომელსაც სათბობის ნაკლებობა აქვს და ზღვებით არის შემორტყმული, ძვირად ღირებული რკინიგზების გაყვანა, ნაცვლად იმისა, რომ დაეყრდნონ არხთა განშტოებულ სისტემას, რომელიც ნებისმიერ ქალაქს ღია ზღვასთან დააკავშირებსო. პირველ თავში აპირებდა ამაზე ლაპარაკს და ამით უნდოდა გამოეწვია ინტერესი თავისი პროექტისადმი, მერე კი წიგნში მოცემული იქნებოდა თვით პროექტის დაწვრილებითი აღწერაც, ნახაზებითა და სქემებით.

პერი აპირებდა ამ წიგნში გადმოეცა ზოგიერთი საერთო მოსაზრებაც. იაკობას ნათქვამმა, რომ თანამედროვე ცივილიზაციისათვის ბრძოლაში ტექნიკის ადამიანები უეჭველად წინამძღოლის როლს შეასრულებენო, წააქეზა პერი და გადაწყვიტა თავისი წიგნისათვის წაემძღვარებინა მოკლე, მაგრამ მგზნებარე შესავალი და გამოეთქვა აზრები დანიის შემდგომი განვითარების ამოცანების შესახებ.

აღარ გადადო საქმე, სამუშაოს ჩაუჯდა. თუმცა პერი ვერ იყო მაინცდამაინც კალმის ოსტატი და ხეირიანად არასოდეს არ იცოდა ორთოგრაფია და არც პუნქტუაცია, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია. ნიმუშად პერმა დოქტორი ნათანი აირჩია და თავისი მკითხველების წინაშე გადაშალა ღრმა დაცემის სურათი, სადამდისაც მიიყვანა გასულ საუკუნეში დანიის ერი „მეცნიერულმა ფილისტერობამ“, მერე გადავიდა ბნელით მოცული სიღატაკის ასახვაზე, რომელიც გარდუვლად მოელის დანიას, თუ ის სხვა ქვეყნების საღ აზრსა და გამოცდილებას არად ჩააგდებს და ცოტათი მაინც ფრთებს არ შეაკვეცს თა-

ვის ტრადიციულ აღფრთოვანებას კარაქისა და ღორის ხორცის დალოცვილ სიუხვისადმი და არ მისცემს ხალხს შემოსავლის ახალ წყაროებს. ამ პირქუშ სურათს მან დაუპირისპირა საზღაპრო ქვეყნის აღწერა, როგორადაც შეიძლება იქცეს დანია მოკლე დროის განმავლობაში განვითარებული მრეწველობის დახმარებით. კალამი ქაღალდზე დარბოდა, პერი კი ხედავდა, როგორ ავლებენ კვლებს მისი არხების კამკამა წყლებზე ნედლეულით დატვირთული მძლავრი გემები; როგორ აღმართულან დამორჩილებული მდინარეების ნაპირებზე ვიგანტური ფაბრიკები, ესმოდა თვლების ზუზუნი და ტურბინების გრგვინვა. იუტლანდიის უნაყოფო ველში, სადაც ამჟამად ძლივს გამოიკვებება რამდენიმე გაძვალტყავებული ცხვარი, იზრდებოდა სიცოცხლით სავსე ხალხმრავალი ქალაქები, სადაც ადამიანებს შუაღამისას აღარ შეაშინებს ავისმომასწავებელი ზარის რეკვა, სადაც ელექტრონის ძლიერი სხივები გაჰკვეთენ წყვდიადს და გარეკავენ ბნელეთის სულებს.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა შთაგონებით ანთებული პერი საუბრობდა უჯდა, მოულოდნელი სტუმარი ეწვია. ჯერ ზარის ღილაკზე ჯოხის სწრაფი დარტყმების ხმა გაისმა, მერე კი პერის წინაშე „დოქტორი“ დელფტი აღიმართა, სწორედ რომ თვალისმომჭრელი ბატონი დელფტი, მშვენიერ ბაცი ფერის პარიზულ კოსტუმში გამოწკეპილი და ნელსაცხებელპკურებული. ბატონ დელფტს მოცისფრო მონოკლი ეკეთა, ეს მონოკლი ფრიად მოხერხებულად უფარავდა მეტისმეტად ელამ თვალებს.

— ღმერთი ხომ ხედავს, რა მშვენივრად დამალულხართ, — კარებიდანვე დაიწყო მან და შემფასებლის თვალი მოავლო ქაღალდებით და ნახაზებით სავსე ბნელ ოთახს, — მაშასადამე, აქ ადგენთ მომავლის ყალბ თამასუქებს? იდეალური ბუნაგია ყალბი ფულის მჭრელისათვის. ღმერთო ჩემო! იმედია, ხელი არ შეგიშალეთ ათასმანეთიანი ასიგნაციის მოხატვაში? ხა-ხა-ხა!

პერი უკვე შეეჩვია იმას, რომ ძია ჰენრიხს სათქმელის პირში მიხლა უყვარდა და ამიტომ არ სწყენია. თუმცა ძლივს მოახერხა გაღიმება. ვერ იტანდა ამ მახინჯ კაცს და მისი გამოცხადება არ ეამა. იფიქრა, ნეტა რა უნდა ამ მოხუც ეშმაკსო?

— ძალიან ხომ არ გაკვირვებთ ჩემი ვიზიტი? — მოჩვენებითი თრთოლით იკითხა ბატონმა დელფტმა, როცა პერის თხოვნით ცალგვერდა სარწეველაში მოიკალათა. — დიდი ხანია ვაპირებდი თქვენთან მოსვლას, მაგრამ ხომ იცით საქმეების ამბავი, წუთითაც ვერ ვიცლი. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი საზრუნავი აქვს ჩვენს კომპანიას ჩინეთში უწესრიგობათა და ინდოეთში მღელვარებათა გამო. მთელი დღე შეუსვენებლივ ტელეგრამებს ვაშანშალებ. ძლივს გამოვუსხლტი, რათა თქვენთან აქეთურ-იქითურზე მესაუბრა. — აქ ძია ჰენრიხმა განგებ შეისვენა, რათა პერის ცნობისმოყვარეობა გაღვიძებინა. მაგრამ პერი მშვიდად დაელოდა, არაფერი უკითხავს.

სიჩუმე გაგრძელდა. ბატონმა დელფტმა თავისი შუშის ქვემოდან ხელახლა ზედმიწევნით შეისწავლა პერის ოთახის ღატაკური მოწყობილობა.

— მითხარით, ბატონო სიდენიუს, ყოფილხართ ოდესმე ჩინეთში?.. მაშ ინდოეთში?.. ამერიკაში მაინც იქნებოდით?.. ყველა ახალგაზრდამ უეჭველად უნდა ინახულოს ამერიკა და იქ შეისწავლოს ცხოვრებაში თავის გატანის დიადი ხელოვნება.

ამას კვლავ პაუზა მოჰყვა, რის შემდეგ ბატონმა დელფტმა ტონი შეიცვალა და უფრო ფრთხილად ალაპარაკდა.

— ხომ არ გაგონდებათ, ძვირფასო ბატონო სიდენიუს, ჩვენი უმნიშვნელო საუბარი, როცა პატივი მქონდა პირველად მენახეთ ჩემი სიძის სახლში? გულთბილად იხსენიებდით ჩემს დისწულს, ამის გამო უზომოდ მადლიერი ვარ თქვენი. მაშინ თავს ნება მივეცი თქვენი ყურადღება მიმექცია იმისათვის, თუ რა დიდი სიამოვნება შეგიძლიათ მიიღოთ ნაირ-ნაირ ადამიანთა საინტერესო ტიპების შესწავლით, იმ სახლში ჩემი დისწულის სილამაზე რომ იზიდავს. მითხარით. განა მე მართალი არ ვიყავი? ხომ კომიკური სანახაობაა? შემოძვრებიან ხოლმე ოჯახში გაბღენძილი ჯიბეგახვრეტილი ცინგლიანები და გაუბამენ გოგონებს არშიყობას, თანაც ძუძუთა ბავშვის ჩაბანილი უკანალივით მიამიტ და სუფთა სახეს მიიღებენ.

პერმა გაიფიქრა, იაკობას ხათრი, თორემ ამ ბებერ ყბედს დიდი ხანია გავაგდებდი აქედანო.

— იცით, ეს ნაშდვილი დანიური საქციელია, მართალს არ ვამბობ? — განაგრძო ბატონმა დელფტმა და უფრო მეტი სიბრალუ-

ლით მოავლო თვალი პერის ოთახს. — სხვა ქვეყნებში ასეთი რამ არ ხდება, იქ ეს აზრად არავის არ მოუვა. ავიღოთ მაგალითად ამერიკა...

ძია ჰენრიხი მოყვა ერთი ნიუ-იორკელი ახალგაზრდა კაცის ამბავს, რომელმაც შესძლო ბრწყინვალე კარიერის შექმნა და მილიარდერის ქალიშვილი ცხვირწინ აართვა გრაფებსა და ბარონებს. თუმცა გროშიც არ ებადა და იაფფასიან რესტორანში სადილობდა.

— ეს იყო ვინმე შტადლმანი, ეროვნებით ავსტრიელი. ვენიოსი თუ შარლატანი, როგორც გინდათ უწოდეთ, — ყოველ შემთხვევაში, ეს კაცი აპირებდა რძე და კარაქი ძროხების დაუხმარებლად მიეღო უშუალოდ ამერიკის ველების ძვირფასი ბალახიდან. იდეა. რაღა საოქმელია, ბრწყინვალეა! და აი, ის თავის ცდებს ატარებდა ლაბორატორიაში, სადაც გაიცნო სემიუელ სმიტის ღვიძლი ვაჟიშვილი. თქვენ, ვიმედოვნებ, გსმენიათ ამ ბირჟის მეხუთე ავენიუელი მოსაქმის სახელი, კაცისა, რომელიც უბრალო თანხად კი არა, შვიდას-რვაას მილიონ დოლარად ფასობდა. სემიუელს კი ჰყავდა ერთადერთი ოცი წლის ქალიშვილი და ღმერთმა დამსაჯოს, თუ მას თავდავიწყებით არ შეჰყვარებოდეს ეს გაიძვერა და მასზე გათხოვება არ მოენდომებინოს. აბა რას იტყვით? ცხადია, პირველად სასიძო უბრალოდ კიბეებიდან დააგორეს. თუ ისეთი კაცი, როგორც სემიუელია, თავის ქალიშვილს პირველსავე შემხვედრს მიათხოვებდა, მთელი ამერიკა დასცინებდა. ბევრი ჩვენგანი დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს, როგორც იტყვიან, მოვლენათა მსვლელობას. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, კლუბში რომ ვისხედით, აზრად დაგვებადა, რომ კარგი ბიზნესის გაკეთება შეიძლება. მაშინ, ადგილიდანაც არ დავძრულვართ, ისე დავაწესეთ სააქციო საზოგადოება.

— სააქციო? მერე რის დამუშავებას აპირებდით? — ცოტათი გამოცოცხლდა პერი.

— როგორ თუ რისი? ცხადია, ამ ახალგაზრდისა. ეკეთ რომ ეთქვა, მისი წარმატების შანსებისა. ჩვენ დავაარსეთ სააქციო კაპიტალი — ჯერ ხუთი, მერე ათი ათასი დოლარი, რათა მას შესძლებოდა ნიუ-იორკში ნამდვილი ბატონივით ეცხოვრა, ბროდვეიზე ძვირფასი ბინა დაექირავებინა, მსახურები და ცხენები ჰყოლოდა. სადილები გაემართა ჟურნალისტებისათვის. გაზეთების ფურცლებზე გაჰოქიმულიყო...: მოკლედ, ორი თვეც არ გასულა. რომ მას მთელი

ბროდვეი იცნობდა. მაშინ კი მივიდა სემიუელთან და ქალიშვილის ხელი სთხოვა.

— მერე სემიუელმა მიათხოვა თავისი ქალიშვილი?

— არაფერიც არ მიათხოვა. მას თავისი გეგმები ჰქონდა. თავად მენაგვის შვილი იყო და ამიტომ სურდა ქალიშვილი აუცილებლად აზნაურიშვილისთვის მიეცა.

— რა მოუვიდა სააქციო საზოგადოებას?

— იფურჩქნებოდა. ჩვენ კაპიტალზე კაპიტალი მივიღეთ.

— არაფერი მესმის. თუკი მამა მხოლოდ ქალიშვილის აზნაურიშვილზე გათხოვების თანახმა იყო...

— რა თქმა უნდა, ჩვენ ჭაბუკს აზნაურიშვილის ტიტული და მთელ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და ცნობილი გვარი ვუშოვეთ, თუმცა ეს კიდევ ოთხი ათასი დოლარი დაგვიჯდა. არაფერი გაგვჭირვებია. ჭაბუკმა მოგვცა ავსტრიელ ბებერი ქვრივი გრაფინიას, ფონ რაბენ-რაბენშტეინის მისამართი; მოხუცებული გაღარიბებული ქალი იყო, ქალიშვილების პანსიონი ჰქონდა. ჩვენ მას გავუგზავნეთ ვრცელი წერილი, და ბილეთი ნიუ-იორკამდე და უკან; წერილში ვთხოვდით პატივი დაედო თავისი დასწრებით ბავშვთა თავშესაფრის გახსნისათვის, რომელიც საქველმოქმედო მიზნით შევქმენით. თავშესაფარი შესდგებოდა სამი ბიჭისა და ლოთი მოხუცი ქალისაგან, ისინი საგანგებოდ ვიქირავეთ სამი თვით, მაგრამ ამის შესახებ, რა თქმა უნდა, არაფერი მიგვიწერია გრაფინიასათვის. ეს ვითომ უმაღლესი სახელის მატარებელი თავშესაფარი იქნებოდა და მხოლოდ ავსტრიული წარმოშობის ბავშვებს მიიღებდა. ამის წინააღმდეგ წასვლა გრაფინიას, ცხადია, არ შეეძლო. ყველაფერი საათის მექანიზმის სიზუსტით გაკეთდა. ნავმისადგომზე ქალს დახვდა ჩვენი სააქციო საზოგადოება მთელი შემადგენლობით და თაიგულები მიართვა. ოთხცხენიანმა კარეტამ გრაფინია საზეიმო სადილზე წაიყვანა სასტუმრო „ნეზერლენდში“, სადაც ჟურნალისტებს წარუდგინეს, როგორც შტადლმანის ღვიძლი დეიდა. მეორე დღეს ყოველივე ეს გაზეთში გამოქვეყნდა, მერე ქალს შევაჩეჩეთ სათანადო ფორმით შედგენილი საბუთი შვილად აყვანის შესახებ და მანამდე ვუქნევდით ცხვირწინ ათასდოლარიანს, სანამ გულწასული არ დაეცა. ნახევარი წლის შემდეგ შეერთებული შტატების მთელი არისტოკრატიის თანდასწრებით, ჰეშმარიტად მეფური ფუფუნებით გადაიხადეს ახალ-

გამომცხვარი გრაფის, ფონ რაბენ რაბენშტეინის ქორწილი. მე სრული უფლება მაქვს ვიმსჯელო ამის შესახებ, რადგან თავად ვიყავი დაპატიჟებულთა რიცხვში და მეღირსა დიდი პატივი, მაგიდასთან მიმეცილებინა ახალგაზრდა ჰერცოგის მეუღლე ფონ კატანია, დაბადებით სიმპსონი.

პერს თავი ჩაეკიდა და ნერვიულად იწიწკნიდა ულვაშებს. ბატონი დელფტის მოთხრობა გულზე მოხვდა. ფულის საქმე ცუდად ჰქონდა, თავი ძლივს გაჰქონდა და ტყუილად იმტვრევდა თავს იმაზე ფიქრით, რომელი შემოსავლით დავბეჭდო წიგნიო.

მაგრამ პერი მშვიდად იჯდა და ყალბი ღიმილით ისმენდა დაუსრულებელ ისტორიას, რომელიც ძალიან წააგავდა ბატონი დელფტის მიერ სალომონების სადილებზე მოთხრობილ ამბებს. პერმა გადაწყვიტა, ყველაზე გონივრული იქნება, თუ ამ ბებერ გაიძვერასთან ალერსიანად დავიჭერ თავსო. უცებ მოიფიქრა, ხომ ვერ მომეხმარება დელფტი, სადმე ხელმისაწვდომ პირობებში ფული მაშოვინინოსო.

— იცით რა, მაინცდამაინც დიდი სისულელე არ არის, მხოლოდდამხოლოდ ახალგაზრდის პერსპექტივებზე დააარსო საქციო საზოგადოება. მართლაც, ბატონო დირექტორო, ეს ცდა საჭირო იქნებოდა ჩვენთანაც გაგვემეორებინა. მე მხოლოდ ერთ რამეში შეგედავებით. რატომ გინდათ უსათუოდ მატრიმონიალურ გეგმებთან გქონდეთ საქმე? ყველა გეგმებთან შედარებით ისინი ყველაზე არასაიმედონი არიან. რატომ არ შეიძლებოდა გეთამაშათ იმ ფართო შესაძლებლობებზე, რომლებიც იხსნებიან ენერგიულ და შემოქმედ ახალგაზრდის წინაშე. დავუშვათ, ახალგაზრდა, ნიჭიერ ინჟინრის შესაძლებლობებზე, რომელმაც საინტერესო იდეა დაამუშავა... ვთქვათ, წყალთა ნაგებობის ორიგინალური სისტემა?

ამაზე ბატონმა დელფტმა უმოწყალო ღიმილით გაიღიმა.

— სახელწოდება განსაკუთრებულ როლს არ თამაშობს, მთავარია მართებულად ეღერდეს. მაგალითად, იმ საზოგადოებას ეწოდებოდა „ხელოვნური გზით რძისა და ნაღების დამზადების კომპანია“. ბრწყინვალე სახელწოდებაა. მან შეაგულიანა რამდენიმე გულუბრყვილო ჯიბესქელი, რომ ჩვენთვის აუცილებელი გარანტიები მოენდო.

— ჩინებულია! ამრიგად, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩვენს პირობებში შესაძლებელია ასეთი საზოგადოების დაარსება, თუკი მოიძებნე-

ბა ადამიანი, რომელიც წარმოადგენს იმის დამამტკიცებელ ნახაზებს, გაანგარიშებებს და პროექტებს, რომ მის გეგმას მილიონიანი მოგების მოტანა შეუძლია?

— რატომაც არა?

ამ მოულოდნელმა გულახდილობამ პერს ყურები დააცქვეტინა. „ყველაფერი ნათელია, უნდა ხაფანგში შემიტყუოს, — გაიფიქრა მან. — მან ახლა იცის ჩემი გეგმები და რაკი ყველაფერი წამომაცდენინა, ასევე დამახასიათებს იაკობასა და მის ოჯახთან...“

ეს გაიფიქრა პერმა და კრინტიც აღარ დაუძრავს. მაგრამ როცა ბატონმა დელფტმა შლიაპას ხელი წაატანა თითქოს წასასვლელად, მაინც შეშინდა.

პერი თავის თავს ჩასჩიჩინებდა, არჩევანი აღარა გაქვს, უნდა ნებისმიერ შესაძლებლობას ჩაეჭიდო, ოღონდ კი ფული იშოვო და ამიტომ ღირს ერთხელ კიდევ გასწიო რისკიო. ამის ფიქრმა გააბრაზა. რა დამამცირებელია ეს დაუსრულებელი ფულადი საზრუნავი. მუდამ თავის დაძვრენა, ცრუობა და პირფერობა გჭირდება კაცს, რომ ყველაზე აუცილებელი რამ იშოვო. ბრაზით პერს ყველანაირი სიფრთხილე დაავიწყდა და პირდაპირ მიახალა:

— ბატონო დირექტორო, მოდით გულახდილად ვილაპარაკოთ. თქვენი ქცევით მივხვდი, რომ იცით, რა გრძნობებიცა მაქვს თქვენი დისწულისადმი. სრულიად გეთანხმებით: ჩემს დღევანდელ მდგომარეობაში წმინდა სისულელე იქნებოდა რაიმე იმედები დამემყარებინა ასეთ, როგორც შინაგანი, ისე გარეგნული იშვიათი ღირსებებით დაჯილდოებულ ქალთან კავშირზე.

— შესანიშნავად არის ნათქვამი, ჩემო მეგობარო, შესანიშნავად!

— კარგით, განვაგრძოთ. თქვენ თვითონ წამოიწყეთ ეს ლაპარაკი და ამით უფლება მომეცით პირდაპირ შეგეკითხოთ: ხომ არა გსურთ თქვენ, ბატონო დირექტორო, დადგეთ ჩემი ინტერესების დამცველად და შექმნათ იმის მსგავსი სააქციო საზოგადოება, რომელზედაც ახლახან ვლაპარაკობდით?

— მე? — წამოიძახა პერის ტანმორჩილმა თანამოსაუბრემ, მშვენივრად გაითამაშა განრისხება და სკამიდან წამოდგა.

— დიახ, სწორედ თქვენ, — განაგრძო პერმა. — არ დაგიმალავთ, ახლა მეტად სერიოზულ გაჭირვეებაში ვარ. ფული მჭირდება... მჭირდება, გესმით? ლამის წავიდე და მოვიპარო...

ბატონმა დელფტმა (რომელიც ჯერ კიდევ შეცდომით ფიქრობდა, რომ პერს ნანი ჰყავდა მხედველობაში) როგორც იქნა თავისი გაიტანა. პერის უკანასკნელი წინადადება ჭკუაში დაუჯდა. ცხადი იყო, პერს ჰქონდა ყველა მონაცემი, რათა შეექმნა კარიერა და საზოგადოებაში მისი დისწულისათვის შესაფერის მდგომარეობისათვის მიეღწია.

მან გულიანად გადაიხარხარა.

— პირდაპირ შეუდარებელი ხართ! მგონი, მთავაზობთ ღვიძლი დისწულით ბიზნესი შევიქმნა. ვაფასებ თქვენს იდეას. მაგრამ მე კერძო საწარმოს აღარ ვკიდებ ხელს. მაშინაც კი, როცა ლაპარაკია ახალგაზრდა გოგონებზე. ახლა კი აგიხსნით ჩემი ვიზიტის მიზანს. ახალგაზრდავ, მე მჯერა თქვენი! მე მჯერა თქვენი მომავლის და მინდა დაგეხმაროთ. თქვენ გინდათ ფული და მიიღებთ კიდეც. მაგრამ გაფრთხილებთ: პროცენტებზე და მაგის მსგავს რაიმეზე ლაპარაკიც ზედმეტია. ეს კომერციული საწარმო არ არის, გესმით? კომერციული არ არის და სხვა რაც გინდათ, ის დაარქვით. უმაღლესი სასამართლოს ვექილზე, დავით გრიზმანზე თუ გსმენიათ რაიმე? კლოსტერსტრეედზე ცხოვრობს. აი სწორედ ის მოგცემთ ამჟამად საჭირო თანხას იმ თანხის ანგარიშში, რომელსაც, ცხადია, თქვენს თვალსაჩინო გამოგონებებში მიიღებთ. მხოლოდ ერთი პირობით: მე არ მახსენოთ. თუ ვინმე მკითხავს, შენ ხომ არ გაგიმართავს ხელიო, მე მივუგებ— „არა" და „არა"-მეთქი. იმედია, გამიგეთ?

პერს არ უპასუხია. ბატონი დელფტის მფარველური ტონი და მთელი მისი შესახედაობა ხელს უშლიდა საუბარი განეგრძო და თანაც ასეთი უანგარო. წინადადებისა არაფერი სწამდა. ამიტომაც, როცა „ბატონმა დირექტორმა" მეორედ წაატანა შლიაპას ხელი, აღარ დაუკავებია. მხოლოდ განმარტებისთვის ღიმილით უთხრა:

— თქვენს წინადადებას ვთვლი, თუ მეტი არა, თავშესაქცევ ხუმრობად. ვიმედოვნებ, თქვენც, თქვენის მხრივ, მიხვდებოდით, რომ მეც ვიხუმრე. მეტისმეტად მიმზიდველად ჟღერდა თქვენი ამერიკული ისტორია.

ბატონმა დელფტმა ჯერ შეცბუნებით შეხედა, მერე კი თავისი ყველაზე უმოწყალო ღიმილით გაიღიმა.

— ღმერთმა დამიფაროს, ბატონო ინჟინერო! როგორც ჩანს, არ ენდობით ჩემს მიხვედრილობას. მე კი მას არ ვუჩივი. თუმცა, თუ

აპირებთ. ჩვენი ხუმრობის განგრძობას, უკვე იცით, სადაც ცხოვრობს ბატონი გრიზმანი. ათიდან ოთხამდე ღებულობს. მასაც დიდად აქვს განვითარებული იუმორის გრძნობა... ძალიან დიდად... ნება მიბოძეთ გამოგემშვიდობოთ...

ის იყო კარის სახელურისთვის ხელი უნდა ჩაევლო, მაგრამ ხელახლა შეყოვნდა და მაგიდასთან უძრავად მდგარ პერს ჰკითხა:

— ერთი სიტყვა კიდევ მინდა გითხრათ, ბატონო სიდენიუს. მახსოვს, თქვენ უამბეთ ჩემს დისწულს ქვრივი ბარონესას ფონ ბერნდტ-ადლერსბორგის ამბავი, ასე არ არის? მომიტევეთ კადნიერება... თქვენ კარგად იცნობთ ამ მანდილოსანს?

— არა. მე კარგად ვიცნობდი მის განსვენებულ ძმას. მერე რა გნებავთ?

— კიდევ მაპატიეთ. ის მოხუცი ქალია, ხომ მართალია? და ცოტა არ იყოს, როგორ გამოვთქვა... ჭკუაზედაც ვერ არის?

— შეიძლება. მაგრამ რა გნებავთ, გეკითხებით?

— ახლახან თქვენ მისგან წერილი მიიღეთ... ძალიან მეგობრული წერილი საზღვარგარეთიდან. ივენმა მითხრა. ადრე ამ ზაფხულის გასატარებლად თავის მამულში დაგპატიჟათ, მაგრამ ახლა ძალიან წუხს, რომ უნდა დაასრულოს მკურნალობის კურსი და ზამთრამდე ვერ დაბრუნდება. მართალია?

— დალახვროს ეშმაკმა! — გაცეცხლდა პერი და მაგიდას მუშტი დაჰკრა. — რის გულისათვის მიწყობთ დაკითხვას?

პატარა კაცუნას სრულიადაც არ შეშინებია, მთლად ახლოს მივიდა პერთან, თითის წვერებზე აიწია და უთხრა:

— ახლავე აგიხსნით. ჩვენს ქვეყანაშიც ხომ მოიძებნება ადამიანები, რომელთაც არა სურთ აზნაურიშვილის გარდა ვინმეს მიათხოვონ თავიანთი ქალიშვილები. ახლა კი, პატივი მაქვს გამოგეთხოვოთ!

მაისის ბოლო რიცხვებში სალომონები უკვე თავიანთ ქალაქგარეთა ვილაში სკოვბაკენში გადაბარგდნენ. ვილა სრუტის ნაპირზე კოპენჰაგენიდან დაახლოებით ერთი საათის სავალზე იყო გაშენებული. პერი მიდიოდა მათთან ყოველ კვირადღეს, როცა სალომონებს მიღება ჰქონდათ, საქმის დღეებშიც ესტუმრებოდა

ხოლმე, საბაბად ისა ჰქონდა, წიგნის გამოცემისა და ჩემი სამუშაოს თაობაზე ივენთან მოლაპარაკება მსურსო; სულაც არ აკრთობდა, რომ სალომონებთან ყველას არ ეამებოდა მისი მისვლა, და ნანი, მას შემდეგ, რაც მიხვდა, მისით არ იყო პერი დაინტერესებული, ხშირად აქცევდა ზურგს. იმ წუთიდან, როცა პერმა იგრძნო, იაკობა მიყვარს და ეს სიყვარული ჩემი მომავლისათვის არა ნაკლებ ხელსაყრელიაო, მის გარდა თითქმის არავის არ ელაპარაკებოდა.

დასანანი ის იყო მხოლოდ, რომ იაკობა სრულიადაც არ ექცეოდა მას წინანდელზე უფრო გულთბილად. პირიქით. იმ საღამოს, აგარაკზე გადასვლამდე, როცა პერმა მოულოდნელი გულახდილობა გამოამჟღავნა და უამბო, რა ურთიერთობაც ჰქონდა მშობლებთან, ქალს გულში კვლავ აღუძრა ადრინდელი მტრობა, რომელიც პირველი შეხვედრისას გაუჩნდა. თუმცა იაკობას თავადაც სძულდა ქრისტიანობა, მაგრამ პერის გულგრილობა არ ესიამოვნა. ქალი მიჩვეული იყო ოჯახის და მშობლიური სახლის თაყვანისცემას და ღრმად პატივისცემას, როგორც ეს ებრაელებს სჩვევიათ, და ახლობლებისადმი ასეთი შეუწყნარებელი დამოკიდებულების დანახვამ შეაძრწუნა. ამ ბოლო დროს პერის ქცევაც არ მოსწონდა. პერს თანდათან უბრუნდებოდა რწმენა ადამიანებისადმი და დროდადრო აღარ კუდაბზიკობდა ხოლმე, მაგრამ ახლა ენის ქავილი აუვარდა, ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა დაუსრულებლად, არ დაგიდევდათ, საჭირო იყო თუ არა მისი ლაპარაკი. რაც სახელდახელოდ გაეცნო დოქტორ ნათანის და მის თანამოაზრეთა ათიოდე სტატიას, პერმა თავი საკმაოდ მომზადებულად ჩათვალა და ახლა სადაც არ უნდა ჩამოვარდნილიყო ლაპარაკი თანამედროვეობის დიადი განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ, პროვინციული უშუალობით ჩაურთავდა ხოლმე თავის საფუძვლიან სიტყვას. ხოლო ნასადილევს, როცა სიამოვნებით გადაჰკრავდა ბლომად ღვინოს, მთლად თავს გავიდოდა, მოურიდებელი, დამრიგებლური ტონით ქადაგებდა კაცობრიობის მომავალ სიდიადეს და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სახარებას, რითაც მსმენელებს ხან აცინებდა, ხან აბნევდა.

პერს მხოლოდ ერთი რამ სურდა: როგორმე თავი გამოეჩინა. როცა სეირნობდნენ, გზაზე ყველაფერს გადაახტებოდა ხოლმე, რაც ფეხებში შეეჩხირებოდათ, დანარჩენ მამაკაცებსაც მოუწოდებდა, მიეგბაძათ მისთვის; როცა ნავებით სეირნობდნენ, მაშინვე ხელს სტა-

ცებდა ორივე ნიჩაბს, აქაოდა, ნახეთ, რა კუნთები მაქვსო. ჩაცმითაც მეტისმეტად გამომწვევად იცვამდა. ფრანგული, ფრიად ვულგარული მოდის თანახმად, ატარებდა ვიწრო, შემოჭერილ კოსტუმს და ცოტა არ იყოს, სასირცხვილოდ იყო გამონაკვთული. საზაფხულოდ შეიძინა ღრმად გულამოჭრილი პერანგები, გაშიშვლებული ჰქონდა გოლიათური კისერიც და მკერდიც. ასე ჩაცმული მამაკაცთა იმ მოდგმიდან გეგონებოდათ, რომელთაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალები არჩენენ. განსაკუთრებით დასცინოდა ნანი. ამბობდა: „თუ ყოყოჩობისაგან გასკდომა უწერია, დაიხსომეთ ჩემი სიტყვა, თუ უკანიდან არ გასკდესო“.

იაკობას, მიუხედავად ყველაფრისა, ეცოდებოდა პერი. მაგრამ როცა მიხვდა, მე მოვწონვარ და არა ჩემი დაო და სწორედ ჩემს მოსახიბლავად აჩენს თავის მშვენიერ სხეულსო, ცოტა არ იყოს, დაიბნა. ახლა ქალი ყველაფერს აკეთებდა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რომ პერთან მარტო არ დარჩენილიყო; იაკობა მოელაპარაკა ივენს და სთხოვა ზეძლებისდაგვარად დაეჩქარებინა პერის მოსალოდნელი გამგზავრება საზღვარგარეთ. პერმა არ უნდა იაროს მათთან, ვიდრე იმას მაინც არ შეიგნებს, რამდენად აკლია საერთო კულტურა, ამ მიზნისათვის კი საზღვარგარეთ მოგზაურობაზე უკეთესი არაფერია.

ახლა იაკობამ იცოდა პერის განზრახვა და მისი იქ ყოფნა უმძიმდა. ივლისის დასაწყისში საქმე კინაღამ კატასტროფით დამთავრდა. ერთხელ მთელი ოჯახი ვილის წინ მოხვინჭულ მოედანზე გამოეფინა და ცხელი დღის შემდეგ საღამოს სიგრილით ტკბებოდნენ. ყველამ ახლახან ისადილა და ყავა პირდაპირ ბაღში მოართვეს. მარმარილოს ფართო კიბეზე, რომელიც ორ ტოტად ეშვებოდა ვარდის ბუჩქებს შორის წყალთან, უმცროსი სალომონები დახტოდნენ. თეთრი კოსტუმები ეცვათ და საზაფხულო ჭილის ქუდები ეხურათ. სწორედ ის დრო იყო, როცა ყველაფერი ყვავის. ბუჩქები სხვადასხვა ფერად აჭრელებულიყო, ნიავის ყოველ მობერვას მშვენიერი სურნელება მოჰქონდა და ეს სურნელება ფილიპ სალომონის სიგარების სურნელებაში ირეოდა.

სადილზე მხოლოდ ოჯახის ძველი მეგობარი - ბატონი ეიბერტი მოვიდა. ამასწინათ დაბრუნებულიყო ზღვიდან, სადაც მუდამ წელიწადს მიემგზავრებოდა ხოლმე. გზად პარიზში გამოევლო და გოსეკ-

თან ახალი პარიკი შეეძინა, ვერც კი შეატყობდით, თუ ეკეთა. ორმოცი წლის კაცის პირობაზე ძალიან ახალგაზრდად გამოიყურებოდა, რადგან შესანიშნავად მოჰკიდებოდა სამხრეთ საფრანგეთის დალოცვილი მზე. იჯდა და ყვებოდა, როგორ ავიდა მთებზე, ყვებოდა საერთო ნაცნობების ამბავს, მოგზაურობის დროს რომ შეხვედროდნენ. ფილიპ სალომონი მოშორებით იჯდა და საღამოს გაზეთებს კითხულობდა, დროდადრო მიმართავდა ეიბერტს შეკითხვებით, ან ივენს ბირჟის მორიგ ახალ ამბავს ახარებდა. ამ ადამიანს შეეძლო სულაც არ დაეტანებინა ძალა თავისთვის, ისე მოესმინა ერთდროულად ორი-სამი საუბარი, თანაც შეეკრიბა და გაემრავლებინა ხუთნიშნა რიცხვები, ხოლო შედეგები თავისი დიდებული მეხსიერების სქელ დავთარში შეეტანა. და თანაც არც ერთი იქ მყოფთაგანი მასავით არ ტკბებოდა ამ მშვიდი საღამოთი, ვარდების სურნელებით და ოჯახური სიმყუდროვით.

ნანი შინ არ იყო. ისადილა თუ არა, მეგობარ ქალთან ერთად კლამპენბორგში წავიდა, ჟურნალისტმა დიურინგმა დაპატიჟა.

მოულოდნელად რვა საათისათვის გამოჩნდა პერი. უგუნებოდ იყო. მდგომარეობამ აიძულა და თანაც არავითარი წარმატების იმედი არ ჰქონდა. ისე, დილიდანვე მოინახულა ვექილი გრიზმანი, რომლის სახელიც ასეთ უცნაურ პირობებში დაუსახელა ბატონმა დელფტმა, მაგრამ ძალიან გაკვირვებული დარჩა, როცა იქ თავისი გვარის დასახელებისა და ქვითრის შევსებისთანავე მისცეს საკმაოდ დიდი თანხა. თუმცა ეს ამბავი დიდი ხნით ათავისუფლებდა მისთვის ოდითგანვე ცნობილ და აღიარებულ ერთადერთ სერიოზულ საზრუნავისაგან, განწყობა სრულიად არ შეცვლია. ბუნდოვნად ისეთი შეგრძნება ჰქონდა, ეგონა, უღირსად გავყიდე თავიო და ფული კომოდის უჯრაში ისე ჩატენა, ვერც კი გაბედა დათვლა.

მეტოქის დანახვამ, რომელიც ჯერ ერთი ასე გაახალგაზრდავებულიყო და მეორეც, ასე ახლოს მისჯდომოდა იაკობას, ღრუბლები ვერ გაუფანტა. გრძნობათა იმ რთულ ნარევში, რომელთაგანაც პერის სიყვარული იყო ჩამოყალიბებული, უდაოდ თავმომწონეობა ჭარბობდა და დიდი შორსმჭვრეტელობა არ უნდოდა იმის მიხვედრას, როგორ უხაროდა იაკობას ეიბერტის იქ ყოფნა.

პერს უნდოდა საგანგებოდ დაუდევრად მისალმებოდა მეტოქეს,

მაგრამ ისე გადაამლაშა, მისმა დაუდევრობამ ეიბერტს მხოლოდ ღინილი მოჰგვარა.

— მგონი, წილად მხვდა უბედურება ეს ახალგაზრდა განმერისხებინა,—ჩუმად უთხრა ფრანგულად იაკობას; ქალი კი იმდენად აღშფოთებული იყო პერის ქცევით, სიტყვაც ვერც ეპოვა.

თითქოს განგებო, პერი მიუხვდა ეიბერტს და სიბრაზისაგან გაფითრდა. რამდენი არ სთხოვეს დაჯდომა, მაინც ფეხზე იდგა. მაშინაც კი არ დაჯდა, როცა ივენმა სკამი მიუწია. მხოლოდ სკამის ზურგს დაეყრდნო და გამომწვევად მიაშტერდა ეიბერტს. დამსწრენი დაიბნენ. ამ დროს, საბედნიეროდ, სხვა სტუმრებიც გამოჩნდნენ და სალომონები ჩხუბს გადარჩნენ.

მაგრამ იაკობამ ასე ადვილად ვერ დაივიწყა ეს ამბავი. ქალს მთელი საღამო აცახცახებდა და თავს სიტყვა მისცა, ერთი სეკუნდითაც აღარ გაეჩერებინა თავის გვერდით ეს თავხედი ლაწირაკი. იაკობამ ისედაც მეტისმეტად დიდი მოწყალება გაიღო. თუ პერი კვლავ მისცემს თავს ნებას მსგავსი საქციელი ჩაიდინოს, იაკობა მამას სთხოვს, კარებზე მიუთითოს. სულელი, თავდაჯერებული ხეპრე! რას იფიქრებდა ეიბერტი?

როცა სტუმრები დაიშალნენ და ფრუ ლეა და იაკობა ცოტა ხნით მარტონი დარჩნენ, დედამ ლაპარაკი ეიბერტზე ჩამოაგდო:

— ეიბერტი, როგორც ჩანს, ძალიან წუხს ასტრიდზე, პატარა ვერ ყოფილა კარგად.

— მართლა?! — გააჭიანურა წამოწითლებულმა იაკობამ. — ჩემთვის არაფერი უთქვამს. რაიმე სერიოზული სჭირს ბავშვს?

— არა მგონია, მაგრამ, ჩემის აზრით, ეიბერტი მის გამო წავიდა შინ ასე ადრე. თავის მნე ქალს მაინცდამაინც არ ენდობა. ჰო, უჭირს, საწყალს.

იაკობამ ისე დაიჭირა თავი, ვითომ დედის უკანასკნელი სიტყვები არ გაუგონია, კვლავ დაწნულ სავარძელში ჩაეშვა, ხელები მუხლებზე დაიწყო და ზუნდს მიაპყრო თვალი, — თვალუწვდენელ უვარსკვლავო ცის ქვეშ ოდნავ პრიალებდა რძესავით თეთრი წყლის გლუვი ზედაპირი. შორს კი, შვედურ ნაპირზე, ჩამავალ მზის სხივებში სახლების ფანჯრები ბრწყინავდნენ.

ცხადია, იაკობამ იცოდა, რომ მშობლები დიდი სიამოვნებით მიათხოვებდნენ ეიბერტს. ამ ბოლო დროს ფრუ სალომონი ძალიან

ცდილობდა, ქალიშვილი ამ ქორწინებაზე დაეყოლიებინა. მისი ზედმეტი გულმოდგინეობა იაკობას ცოტათი აღიზიანებდა კიდეც. რა საჭირო იყო ამდენი ცდა, როცა იაკობა გასულ თვეში ისედაც მეტს ფიქრობდა ეიბერტზე, ვიდრე მათი ნაცნობობის ყველა წლების მანძილზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად იყო, რომ ქალი სერიოზულად ნაღვლობდა უიმისოდ. იაკობას მარტო გულისხმიერი თანამოსაუბრე კი არ აკლდა, რომელთანაც შეგიძლია ისაუბრო სამწუხარო ამბებზე, რაც ქვეყანაზე ხდება, არა, ქალს აკლდა თვით ის— მისი ნათელი ღიმილი, ჭკვიანი თვალები, და ის აღუშფოთველი სიმშვიდე, რომელიც გამოსჭვიოდა ეიბერტის მთელი არსებიდან და რომელიც ასე დალოცვილად მოქმედებდა იაკობაზე. ერთი წუთის წინ იაკობა იმიტომ გაწითლდა, რომ მეტისმეტად ააღელვა ეიბერტის უმცროსი გოგონას ავადმყოფობის გაგონებამ. იაკობას ძალიან შერცხვა, რადგან უეცრად იგრძნო, როგორ ჩათვალა უკვე თავი დაობლებული ბავშვების დედად.

ცხადია, იაკობა გრძნობდა, რომ ეიბერტის მიმართ არ განიცდიდა ისეთ მგზნებარე სიყვარულს, როგორსაც ადრე სხვა მამაკაცებისადმი. მაგრამ ეს არ აშინებდა. ახლა, მოწიფულ ასაკში სიყვარულის ვნებათა ღელვას მშვიდად და გულდაჯერებულად ყოფნას ამჯობინებდა. ის თავის თავს ეუბნებოდა, თუმცა ამ კაცში ვერ ვპოვე ჭეშმარიტების მაცნე, სიკეთეწვილის ოცნებებში რომ მეცხადებოდა, რომლის დამშვიდებასაც ვესწრაფოდი ჩემს მკერდზე, სამაგიეროდ ვიპოვე ადამიანი, ვისაც სერიოზული რწმენა გააჩნიაო. თუმცა ეს კაცი ძალიან ახალგაზრდა არ არის, სამაგიეროდ არც მოუმწიფებელია და არც ის ჯალბი ვაჟკაცობა გააჩნია, რაც ზოგჯერ ასე ამახინჯებს ახალგაზრდა ადამიანებსო.

ამასთან ეიბერტს მუდამ რაღაცნაირი სუფთა და სასიამოვნო სუნი ასდიოდა, ეს კი იაკობასათვის ძალიან ბევრს ნიშნავდა; მას არ შეეძლო ურთიერთობა ადამიანთან, თუ არ შეიქმნიდა რაიმე წარმოდგენას ამ ადამიანისათვის დამახასიათებელ სუნზე, თანაც ეს სუნი სტანჯავდა, ჰალუცინაციებამდე მიჰყავდა. პერს, მაგალითად, იაკობა სუნით სამი მეტრის მანძილზე იცნობდა — სიღატაკისა და შმორის, ცუდი, მოძველებული თეთრეულის და იაფფასიანი თამბაქოს სუნი უდიოდა.

დაბოლოს, ეიბერტს გააჩნდა იაკობას თვალში კიდევ ერთი

უპირატესობა — იაკობამ ეიბერტი ღირსეულად შეაფასა ჯერ კიდევ მანამ, სანამ გაიგებდა, რომ მოსწონდა ეს კაცი: მეტად საპატიო შეძლებული ოჯახის შვილმა ეიბერტმა უნივერსიტეტი დაამთავრა (სახელმწიფო სამართლის კურსი დაასრულა) და ამის შემწეობით გახდა ახალგაზრდა, მაგრამ აყვავებული ლიბერალური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ქვედა პალატის წევრი და თავის პარტიაში დიდი გავლენა მოიპოვა.

ადამიანები, რომელთაც სიამოვნებას ჰგვრიდა კაბინეტის საგარაუდო შემადგენლობის დაგეგმვა იმ საეჭვო შემთხვევისთვის, თუ მთავრობაში პროგრესულ შეხედულებათა გამომხატველები შევიდოდნენ, პირველ რიგში ეიბერტის სახელს ასახელებდნენ. როცა გამგებლობასა და დიდებაზე ფიქრობდა, იაკობას ყოველთვის სიამოვნებით უჩქროლავდა გული და თუ საზოგადოებრივი მდგომარეობისა და ყველანაირ პატივისადმი გულგრილი იყო, ეს არაგულწრფელობით მოსდიოდა და თავს იტყუებდა, გონება და სიამაყე აიძულებდა ამას. იყო წუთები, როცა იაკობა ოცნებით წარმოიდგენდა თავს სასახლის დარბაზებში მეფეებისა და იმპერატორების გვერდით, ყველა დამცირებათათვის დაჯილდოებულს, თავისი ხალხის მტრებზე მოზეიმეს— და ამ ფიქრებისაგან წამოწითლდებოდა ხოლმე. მას რომ თავისი გამჭრიახი გონებით არ შეეგნო, ამგვარ ოცნებებს ახდენა არ უწერიათო, საცოდავ ეიბერტს ამდენხანს გულის ლევა და ოხვრა არ დასჭირდებოდა.

*

* *

ეიბერტთან შეტაკებამ პერი მხოლოდ ერთ რამეში დაარწმუნა. რაც შეიძლება მალე მიეცა იაკობასთვის წინადადება. ახლა, როცა ფული იშოვა, გადაწყვიტა განეხორციელებინა დიდი ხნის ჩაფიქრებული მოგზაურობა ევროპასა და ამერიკაში და ერთი წლის განმავლობაში შეევსო თავისი პრაქტიკული ცოდნა. მაგრამ გამგზავრებამდე. იაკობას თანხმობის მიღება იყო საჭირო. დიდხანს დაყოვნება არ შეიძლება, თორემ ეიბერტი ან სხვა ძველი ეაიძვერა ამასობაში იაკობას ცხვირწინ ააცლის.

ის გარემოება, რომ იაკობა მას არაფრით არ აქეზებდა და პირიქით, გაურბოდა, სრულიადაც არ უბნევდა თავგზას. მან ხომ პირ-

ველი წუთიდანვე იცოდა, რომ აქ შეტევით ვერაფერს მოიპოვებდა კაცი, რომ იაკობა, ასე ვთქვათ. ნება-ნება უნდა მოეპოვებინა... გარდა ამისა, მას ეგონა, უკვე ისე ახლოს ვარ ქალთან, შემიძლია მისი გულისცემაც კი მოვისმინოო. ქალი რომ ხაზგასმით ესწრაფვოდა მისთვის თავის არიდებას, პერი კარგ ნიშნად თვლიდა. ახლა საჭირო იყო თავი დაეფასებინა, განზე გამდგარს დაეცადა, დრო მიეცა ქალისთვის, დამშვიდებულიყო და ვიდრე გადამწყვეტ ნაბიჯს გადადგამდა, მოფიქრების საშუალება მიეცა მისთვის.

ერთხელ პერმა ივენისაგან დეპეშა მიიღო, დიდად აღტაცებული ივენი იუწყებოდა, სტატია პერის იდეებზე, რომლის დაწერასაც შეპირდა დიურინგი, უკვე გადაცემულია დასაბეჭდად და შეიძლება ხვალაც გამოჩნდეს „ფალკენშიო“.

„ახლა კი გამოიჩინეთ ჩემს მიმართ თავაზიანობა, — წერდა ივენი, — და გაუკეთეთ ვიზიტი დიურინგს. მე ვიცი, ის ასეთ რამეებს მნიშვნელობას აძლევს. არ დაგავიწყდეთ, თქვენთვის ისა სჯობს, თუ თავს. დასძლევთ და შეიძლება არ გსურთ, მაგრამ მაინც ასე მოიქცევით. დიურინგი კვლავ ბევრჯერ გამოგადგებათ არა მარტო ახლა, არამედ მომავალშიც. მე, ძვირფასო, სიდენიუს, დაუღალავად შემიძლია ვიმეორო: „ჩვენს დროში პრესის მხარდაჭერის გარეშე იოლად ვერ წახვალ“.

პერს მთელი ღამე არ უძინია. ბორგავდა. ერთი კვირის წინ ივენმა გააცნო ეს გაელენიანი ახალგაზრდა ჟურნალისტი და, რადგან ივენს დაჟინებულ თხოვნაზე ამჯერად ხათრი ვეღარ გაუტეხა, პერმა თავის გეგმებს ოდნავ ახადა იდუმალების ფარდა. თავადაც გრძნობდა, რომ ცუდი არ იქნებოდა ასეთი ხერხით ნიადაგი შეემზადებინა თავისი ბროშურისთვის და ახლა მღელვარებით ელოდა იმ წუთს, როცა მის იდეებს პირველად გაეცნობოდა განცვიფრებული სამყარო.

მაგრამ ამ ისტორიას მისთვის გულგატეხილობის მეტი არაფერი მოუტანია. პერს ეგონა, საკმაოდ შთამაგონებელი მოწინავე დაიბეჭდებაო, მის ნაცვლად კი სადღაც მესამე გვერდზე პეტიტით აწყობილი პატარა, ნახევარსვეტიანი წერილი მიეკუსლიტათ და ხელმოწერილი იყო „S'il vous plaît“* — დიურინგის მრავალრიცხ-

* აქ— როგორც გენებოთ.

ხოვან ფსევდონიმთაგან ერთ-ერთი ფსევდონიმით. საბედნიეროდ, პერი ვერ მიხვდა, რომ წერილი ცოტა არ იყოს, ირონიული ტონით იყო დაწერილი. სათაურიც კი — „საჩქაროდ გვჭირდება მილიონერები“ — მან სერიოზულად მიიღო. სამაგიეროდ მეტისმეტად ეწყინა, რომ გვარი სიდენიუსი ერთხელაც არ იყო მოხსენებული და ხან პროექტის ახალგაზრდა და ნიჭიერ ავტორს არქმევდნენ, ხან კიდევ რაიმე ამდაგვარს. ბოლოს, როცა დაინახა, როგორი აღმაშფოთებელი დაუდევრობით მოქცეოდა დიურინგი გასავალთა ხარჯთაღრიცხვას, აერი მთლად მოთმინებიდან გამოვიდა. ერთ ათწილადში მძიმე იქ არ დაესვა, სადაც საჭირო იყო და, ამით, პერის შეხედულებით, დაემახინჯებინა პროექტის ხასიათი და მნიშვნელობა.

ჯერ იყო და პერი არ აპირებდა ივენის საამებლად სამადლობელო ვიზიტით დიურინგთან წასვლას, რაკი მტკიცედ იყო დარწმუნებული, დიურინგს თავად უნდა გადაეხადა მისთვის მადლობა, ასეთი მომგებიანი თემა რომ მისცა. მაგრამ, როცა წილადებში უხამსი შეცდომა აღმოაჩინა, გადაწყვიტა აუცილებლად წასულიყო, რათა, რაც შეიძლება მალე აღედგინა ჭეშმარიტება. ამიტომაც დილითვე გამოვიდა შინიდან და პირდაპირ ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფეშენებელურ კვარტალში, დიურინგის ელეგანტურ ბინისაკენ გაემართა.

საცაა შუადღე დადგებოდა, მაგრამ დიურინგი ჯერ არ ამდგარიყო და ამიტომ მნე ქალმა უთხრა, მასპინძელი შინ არ არისო. ამ დროს გაიღო საწოლი ოთახის კარი და იქიდან ულვაშებაკრულმა ქერა ჟურნალისტმა გამოიხედა.

— აჰ, თქვენა ხართ! — ხმაზე წყენა დაეტყო. — კარგი, მობრძანდით. დალაქი მყავს, ერთ წუთში გავთავისუფლდები.

პერს საკმაო დრო დარჩა, კარგად დაეთვალიერებინა დიურინგის ბინა, რომლის მდიდრული მოწყობილობა ყველას პირზე ეკერა. ბინა მართლაც მეტისმეტად ელეგანტური აღმოჩნდა. კაბინეტში აბრეშუმგადაკრული ავეჯი, კედლებზე გობელენები, სურათები, სკამებზე წიგნები, გაზეთები, ჟურნალები, საწერ მაგიდაზე ქალთა პორტრეტები — მთელი ჰარამხანა... გვერდით, სასადილოში, ღია კარიდან საზეიმოდ გაშლილი ქათქათა თეთრსუფრიანი მაგიდა მოჩანდა, ზედ ეწყო, ღვინო, ყვავილები, ხილი.

პერმა თავი ვერ შეიკავა, უნებლიეთ შეადარა ეს საუცხოო მო-

წყობილობა თავის ორ პატარა, ნახევრადბნელ სენაკს — და ჯერ განუცდელმა ბრაზმა აიტანა. კი არა შურდა დიურინგისა, ასეთი, მისი შეხედულებით საკმაოდ არაპატივსაცემი პიროვნებისა, თავისებური ალფონსისა, კახპის ხარჯზე რომ ცხოვრობდა, გინდა ქალაქური ჭორი დაარქვი ამას და გინდა საზოგადოებრივი აზრი. ის უკლავდა გულს ბოლოდ, რომ ამ უბადრუკ მეგაზეთეს უკვე მოეპოვებინა ის დამოუკიდებლობა, ის გავლენა, რაზე ოცნებაც პერს ვერ გაებედა.

ბოლოს დიურინგიც გამოჩნდა — ტანმორჩილი, მოხდენილი, გაქნილი კაცი. მას შოკოლადისფერი შარვალი, ტარსიკონის დაბალყელიანი წაღები და შავი აბრეშუმით გაწყობილი ცეცხლივით გიზგიზა ქურთუკი ეცვა.

— რითი შემიძლია გემსახუროთ, ბატონო სიდენიუს? — ისეთი ტონით ჰკითხა, აშკარა იყო, მთხოვნელებთან ხშირად ჰქონდა საქმე,— იქნებ დაბრძანდეთ?

ერთმანეთის პირდაპირ, ერთნაირ ცისფერაბრეშუმგადაკრულ სავარძლებში ფეხი ფეხზე შემოდებული იჯდა დაახლოებით ერთი ხნის ორი ახალგაზრდა კაცი. თუმცა გარეგნულად სრულებით არ ჰგავდნენ ერთმანეთს, საერთო მაინც ბევრი რამ ჰქონდათ. ოტო დიურინგიც, პერივით მშობლიურ ბუდეს არ სცნობდა. ოტო ოფიცრის შვილი იყო, მამამისს მთელი ქონება დარდიმანდული ცხოვრებით გაენიავებინა, ვალებში ჩავარდნილიყო, რამდენიმე წელში ცოლი დაესამარებინა, მერე კი თვითონაც თავი მოეკლა. პროვინციელი ნათესავები ოტოს სამადლოდ ინახავდნენ თვრამეტ წლამდე. შემდეგ უმაწვილი კოპენჰაგენში გადავიდა და სტუდენტი გახდა, — ღარიბს, უპატრონოს პერივით კადნიერი გეგმები და მტკიცე გადაწყვეტილება ჰქონდა — რადაც უნდა დაჯდომოდა, პირადი ბედნიერება მოეპოვებინა და ამით აენაზღაურებინა ბავშვობაში გადატანილი გაჭირვება და დამცირება. იმ ჯარისკაცივით გულგრილი იყო, რომელმაც არ იცის, რა არის სინდისის ქენჯნა, შეუცდომელი ალღო გააჩნდა და ამ ალღომ უკარნახა, ჩვენს დროში სად ეძებნა ალადინის ლამპარი; ამიტომ დიურინგი ჟურნალისტიკას ეძგერა, რომელმაც საზღვარგარეთის მიბაძვით სწორედ მაშინ დაკარგა პოლიტიკაზე ძალადური გავლენა და ყოველნაირ ლიტერატურულად დამუშავებულ სენსაციებს მოკიდა ხელი. ოტოს მწერლის ნიჭი არ ჰქონდა, მაგრამ როგორც

ყველა გულგრილი ადამიანი, დიდად მოხერხებული და დამყოლი კაცი იყო. თანაც კარგი გარეგნობა ჰქონდა, ქალებს მოსწონდათ და ყოველივე ამით მალე ქალაქის ერთ-ერთ წამყვან გაზეთში თვალსაჩინო ადგილი იშოვა. ოტოს შეეძლო თავისი მდგომარეობიდან სარფა ისე მიეღო, თავი სულაც არ შეეწუხებინა იმაზე ფიქრით, რას იტყოდა ხალხი. ოცდამეორე წელიწადში რომ გადადგა, მინისტრის ხელფასის ტოლი წლიური შემოსავალი ჰქონდა. თეატრების დირექტორები ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, რათა მის მიერ გადამუშავებული ამა თუ იმ ფარსის დადგმის უფლება მოეპოვებინათ, გამომცემლები ყიდულობდნენ მის კეთილგანწყობილებას და აქვეყნებდნენ მის თარგმანებს (რომელიმე ღარიბ მასწავლებელს ათარგმნინებდა). არტისტები და მომღერლები, დამწყები პოეტები და თმაშაღარა იუბილარები, არყის მეფეები და ცირკის ანტრეპრენერები — ყველა, ყველა ცდილობდა მისი კეთილგანწყობილება მოეპოვებინა, ყველანაირ სამსახურს უწევდნენ (ქალები უმთავრესად ნატურით უნაზღაურებდნენ). ახალგაზრდა ღმერთივით იჯდა ტახტზე, საზრუნავი არა გაჩნდა რა და თაყვანისცემისა და სიძულვილის, ათვალწუნების და შურის ობიექტი იყო, ხოლო მისი ტასტის ურყევ საფუძველს სისუელე, მედიდურობა, მშიშრობა და პირმოთნეობა შეადგენდა. პერის შესახებ პატარა სტატია მხოლოდ ერთი მიზნით დაწერა — უნდოდა ივენისთვის ესიამოვნებინა, რადგან ამ უკანასკნელს ბევრჯერ უხსნია გასაჭირიდან, როცა რომელიმე თამასუქის განაღდების ვადა დგებოდა. თავად პერი სულაც არ აინტერესებდა და, რომ მალე გაესტუმრებინა დაუპატიჟებელი სტუმარი, შეჰპირდა, „ფალკენის“ უახლოეს ნომერში საჭირო შესწორებას მივცემო. მაგრამ თუ პერი თავის პროექტზე დაიწყებდა ლაპარაკს, წერტილს ვეღარ დასვამდა. დიურინგი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, მოურიდებლად ამთქნარებდა, თანაც პირზე ოდნავ იფარებდა თავის, ქალივით თეთრ, გასათუთებულ ხელს. ამ აყბედებულ ხეპრეს ოტო მოთმინებიდან გამოჰყავდა. ესეც არ იყოს, საცაა ქალი უნდა მოსვლოდა. პერის შესახებ სტატიასთან ერთად მან გუშინდელ ნომერში გამოაქვეყნა ერთი იმდროინდელი ცირკის ბალერინასადმი მიძღვნილი ხოტბაც და ახლა დამსახურებულ ჯილდოს ელოდა.

ბოლოსდაბოლოს პერი გამოეთხოვა და დიურინგი აჩქარებით გაეშურა სასადილო ოთახისაკენ, რომლის კარიც მათი საუბრის დროს

ვიღაცის უხილავმა ხელმა მოხურა. გააღო თუ არა კარი, დიურინგი განცვიფრებისაგან ზღურბლზე გაშეშდა... გაწყობილ მაგიდასთან ნანი იჯდა, თავზე თეთრი, განიერ-ფარფლებიანი მაქმანის ქუდი ეხურა და ხელში ბოლოკი ეჭირა. მისი განუყრელი თანამგზავრი—პატარა, მხარმოქცეული ოლღა დავიდსენი ფანჯარასთან სირცხვილით ალეწილი იდგა.

— ნება მიბოძეთ შევიტყო, როგორ შემოაღწიეს ჩემს სასადილო ოთახში დიდად პატივცემულმა მანდილოსნებმა? ზარის ხმა არ გამიგონია.

— ძალიან არ გვჭირდება დარეკვა! ისედაც მაქეს თქვენი კარის გასაღები, — ისე გამომწვევად მიუგო ნანიმ, საცოდავ ოლღას სუნთქვა შეეკრა. — მართალი გითხრათ, კარი ღია იყო. თქვენი დიასახლისი სწორედ შემოსასვლელის წინ გვიდა. მან გვითხრა, ვიღაც ჰყავსო და ვთხოვეთ აქ მოვეყვანეთ... ძალიან გემრიელი ბოლოკი გაქვთ.

ნანიმ გულმოდგინედ ამოჩხრიკა სასალათე, იქიდან კიდევ ერთი ბოლოკი ამოიღო, ჩააწო სამარილეში და თვალისმომჭრელად თეთრი კბილებით ჩაკბიჩა.

— ოჰ, ფრეკენ ნანი, რა თამამი ხართ. იცით, ვინ წავიდა ამწუთში აქედან?

— როგორ არა. ბატონი სიდენიუსი. მის ხმას მაშინვე იცნობს კაცი.

— მერე ასე მშვიდად ლაპარაკობთ ამაზე? ორი წუთით გვიან რომ მოსულიყავით, პირდაპირ შეეჩეხებოდით.

— მერედა რა? ძალიან სასიამოვნო იქნებოდა სწორედ.

დიურინგმა თითი დაუქნია.

— ოჰ, საძაგელო, თავქარიანო და მომხიბლაო ფრეკენ ნანი! პირდაპირ არ ვიცი, რა ვიფიქრო თქვენზე.

— აბა, მაშ, — გამოეპასუხა ნანი და თვალი გადაავლო მაგიდის მოწყობილობას, — უნდა იფიქროთ, რომ შიმშილით ვკვდები და ძალიან მოხარული ვიქნებოდი თქვენთან მესაუზმა... იმდენი გემრიელი რამეები გაქვთ! ოი, ბატის ღვიძლის პაშტეტი! ჩემი საყვარელი კერძი!.. ჰო, რომ არ დამავიწყდეს, საქმეზე გითხრათ... — ნანი წამოდგა და პირი ხელსახოცით მოიწმინდა. — იცით თუ არა, რომ დღეს ზაფხულის ბაზრობა იხურება? ნუთუ სინდისი არ გქენჯნით,

რომ ერთხელაც ვერ მიხვდით, ორი ახალგაზრდა უმწიკვლო ქალიშვილი მიგეპატიჟებინათ? ხომ იცით, დედები იქ მარტო არ გაგვიშვებენ?

— ღმერთო ჩემო, რა არის იქ თქვენი უნახავი?

— რა არის ჩვენი უნახავი? ოლღა, გესმის? ბატონი დიურინგი მიამიტობის განსახიერებაა. გვეკითხება კიდეც, რა არ გინახავთ ბაზრობაზეო. ჩვენ გართობა გვინდა, არღანის მოსმენა, კარუსელით სეირნობაც, ვაფლის ჭამაც, დაშნის მყლაპავის ნახვაც, საოცარი სქელი ქალის ცქერაც...

— სხვა არაფერი გინდათ?

— ცხადია, კიდევ გვინდა მოვუსმინოთ მომღერლებს და ვიცეკვოთ მდელოზე. მე პირადად გასაბერი მყვირალა ბურთულა მინდა, წითელი ფერისა, საშინელზე უსაშინელესი, თანაც ისეთი, რომ ყვიროდეს: „წადი — წადი“.

დიურინგი გამჭვირვალე მსუბუქი ქსოვილის ქვეშ ქალიშვილის მღელვარე მკერდს და თეთრ მკლავებს თვალებმოჭუტული ათვალიერებდა, მერე ნანის მიუახლოვდა და ისე ჩასჩურჩულა, რომ ოლღას არ გაეგონა:

— ძალიან კეთილგონივრულად მოიქეცით, რომ ესეც თან მოიყვანეთ. ამ კაბაში ისეთი მაცდუნებელი ხართ...

ნანიმ აღარ დაამთავრებინა.

— ოლღა, წავიდეთ აქედან, — თქვა მან. — ბატონ დიურინგს აშკარად თავს გაუკიდა! მაქვს პატივი...

ორი თითით ქვედაკაბა დაიჭირა, ჩაიკეცა, ცერემონიალური კნიქსენი გააკეთა და ცალი ხელით თავისი თანამგზავრის წელზე ხელშემოხვეული ოთახიდან გასრიალდა.

კარებში ნაბიჯი შეანელა და მოაძახა:

— მაშ გადაწყვეტილია, ვხვდებით შვიდ საათზე კლამპენბორგის სადგურზე... მაგრამ, იცოდეთ, თუ დედაჩემთან წამოგცდენიათ, რომ თქვენთან ვიყავით, ვეტყვი ცრუობს-მეთქი და ჩემს სიცოცხლეში აღარ მოგცემთ კოცნის ნებას... ტუჩებს გარდა არსად.

— ნანი, ნანი! გონს მოდი, ხომ არ გაგიჟდი! — დაუყვირა ოლღამ და მეგობარი ძალით გაათრია ოთახიდან.

საუზმობისას დიურინგმა ორი ჭიქა შერი გამოცალა და ოცნებას მიეცა. ბოლო დროს ახალგაზრდა დარდიმანდმა სერიოზუ-

ლად დაიწყო ცოლის შერთვაზე ფიქრი. ერთ მშვენიერ დღეს გამოითვალა თავისი ვალების საერთო ჯამი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ახლა სწორედ მდიდარი ცოლის შერთვის დრო დაუდგა. იმ მრავალრიცხოვან გასათხოვარ ქალიშვილთა შორის, რომელთაც ყოველ შემთხვევისთვის ეარშიყებოდა ამ მიზნით, ნანი ყველაზე ფულიანად არ ითვლებოდა, ამიტომ არც ჰყავდა მაინცდამაინც მხედველობაში. სამაგიეროდ უდაოდ ყველაზე ლამაზი, ყველაზე მკვირცხლი, ყველაზე თამამია,— ერთი სიტყვით, ყველაზე მეტად აგონებს იმ თავისუფალ ჩიტუნებს, რომელთა საზოგადოებაც ჯერ სულაც არ მოსწყენია.

ისევ დარეკეს და თუმცა ამჯერად თავის მოახლეს მკაცრად უბრძანა, წითურთმიანი ცირკის მსახიობი ქალის მეტი არაუნ შემოუშვაო, წინკარიდან მამაკაცის ხმა მოისმა, მერე ქოლგის ჩასადებში კაკუნით გაურჭეს ჯოხი, კარი ფართოდ გაიღო და დიურინგის თვალწინ წარსდგა მკაცრი შესახედაობის, წამოწითლებულსახიანი ხანშიშესული მამაკაცი — პირადად პოლკოვნიკი ბერეგრავი.

— ვიცოდი, რომ შინ იქნებოდი, ნუ ადგები, ნუ, მე ხომ მნიშვნელოვან საქმეს მოგაცდინე.

— სალამი, ძიალ გთხოვთ, პატივი დამდოთ და ჩემი ღარიბული ტრაპეზი გაინაწილოთ.

— არა, მომეშვი, ჯერ არ შევჩვეულვარ სხვის ხარჯზე ჭამას. თანაც ორი საათის წინ უკვე ვისაუზმე.

— მაშინ ერთი ჭიქა ღვინო მაინც მიირთვით.

— კარგი, ნუ ფაციფუცობ. სიამოვნებისათვის კი არ მოვედი.

— ჰო, უკვე ვხვდები, ალბათ, სერიოზული საქმე გაქვს, რახან ჩემთან მოსვლა გადაწყვიტე.

— მიხვედრილობა არ გაკლია, ჩემო ბიჭო. ყოველ შემთხვევაში, შენი ნახვის სურვილი არა მკლავდა. ამგვარად, შევუდგეთ საქმეს. დღეს დილით შემთხვევით დავინახე საპარიკმახეროში ის ბულვარული ფურცელი, რომელშიც შენ თანამშრომლობ და წავიკითხე სტატია არხის რომელიღაც პროექტის შესახებ. ვფიქრობ, ეს სტატია ამ ქვეყნად შენი მონაწილეობით წარმოიშვა. მე, ყოველ შემთხვევაში, მეჩვენება, რომ ვიცანი შენი თავხედური სტილი. ახლა კი, ხომ არ შეიძლება გამოვარკვიო, რა მიზნით არის დაწერილი ეს სტატია? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შენს ცხოვრებაში ერთი დღეც

არ ყოფილხარ დაკავებული სერიოზული საქმეებით, მაშასადამე, არც ჰიდრონაგებობებთან გქონია საქმე; თუმცა ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ შენ, როგორც წესი, ისეთ საგნებზე წერ, რომელთა შესახებ წარმოდგენაც არა გაქვს, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მინდოდა გამეფრთხილებინე და მერჩია შეგეწყვიტა ასეთი სულელური ბლაჯნა.

— ჰო, ჰო, უკვე მითხრეს... სტატიაში გაპარულია ზოგიერთი არასიზუსტენი, — გაიღიმა დიურინგმა.

— არასიზუსტენი? ჩემო მეგობარო, მთელი პროექტი თავიდან ბოლომდე — მხოლოდ იდიოტიზმია, ასე რომ, შენივე საკეთილდღეოდ მისთვის ხელი არ უნდა მოგეკიდა. ძალიან ცდები, თუ ფიქრობ, ასეთი გზით ახალგაზრდა კაცს სამსახურს გაუწევ, უკეთეს შემთხვევაში, ის უფრო უგუნური გახდება, ვიდრე იყო.

— ახ, მაშ შენ მას იცნობ?

— გააჩნია, როგორ გავიგებთ სიტყვას „იცნობ". ამ ტიპმა ყურები გამომიჭედა თავისი სულელური პროექტით. შეშლილია და მეტი არაფერი.

— მაშასადამე, მისგან არაფერი გამოვა?

— არა, რატომ არ გამოვა. რასაც არ ვიტყვი — არ ვიტყვი. ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, ჭაბუკია, მოთმინება არ ეყო, რაიმე ხეირიანად შეესწავლა, მაგრამ იმდენად თავხედი კია, რომ სხვები აკრიტიკოს და ის კი არა და, თავისი თავი პირველადმომჩენადაც გამოაცხადოს. სხვანაირად არ სურს. ახლა კიდევ განზრახული ჰქონია მთელი წიგნის გამოშვება, როგორც შენ წერ.

— განა ასე მიწერია?

— რასაკვირველია! მათ ოღონდ ეხმაურონ და აურ-დაურიონ რამე! დოქტორმა ნათანმა, ამ ფილოსოფოსმა ებრაელმა, ჩვენს ახალგაზრდობას მთლად თავბრუ დაახვია. „საჭიროა", — იცით, „ატმოსფეროს განიავება, საჭიროა რეფორმების ჩატარება ყველა დარგში, საჭიროა ამბოხება, საჭიროა..."

— მითხარი, გეთაყვა, ბიძაჩემო, შეიძლება ეს ყველაფერი მართლაც საჭიროა? მახსოვს, შენ თვითონაც რა მკვახედ საყვედურობდი, ეროვნული ძილი გვჭირს და ჩვენს ინჟინრებს შემოქმედებითი ინიციატივის უნარი არ გააჩნიათო. როგორ იყო? ჰო, გავიხსენე. ოდეს-

ღაც შენც ხომ გამოეცი მკვახე ტონით დაწერილი ბროშურა.

— მე სხვა ვარ, და გთხოვ შემდეგში ამაცილო უადგილო შედარებები — პოლკოვნიკს მელოტი თავი გაუწითლდა. — ყველა დანაშაული, რაც კი თავის დროზე საკითხის კეთილსინდისიერად შესწავლის შემდეგ ჩემს თავს ნება მივეცი მთავრობისათვის წამეყენებინა, დასაბუთებული იყო. იმ დღეებში ოპოზიცია ემსახურებოდა არა ლაწირაკთა თავგასულობას, არამედ სამშობლოსათვის თავდადებული მოწიფული ადამიანების მხრივ დანიის მომავალზე ზრუნვას. ეს, ჩემო ბიჭო, სულაც არ არის ერთი და იგივე.

— მერე, დარწმუნებული ხარ, რომ ადამიანები, რომელთაც მაშინ საქე ეჭირათ, თქვენს ოპოზიციას ასევე აფასებდნენ?

— კი, დარწმუნებული ვარ, და საერთოდ არ ვაპირებ შენთან ამ თემაზე ლაპარაკს. მე შენზე ვზრუნავ და მინდოდა დამეცავი ამ უსაფუძვლო, განუხორციელებელი პროექტიდან, რისი მხარდაჭერითაც თავსაც და გაზეთსაც მცოდნე ადამიანთა თვალში სასაცილოს ხდი. კარგად იცი, რომ მაინცდამაინც აღტაცებული არა ვარ შენი საქმიანობით, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას — ჯერ თითქოს სულელურ მდგომარეობაში არ ჩავარდნილხარ. ერთსაც გეტყვი, რახან აქ მოვედი: დიდი ხანია მინდოდა შენთან ლაპარაკი, მინდოდა ყოველი ახალი სტატიის წაკითხვის შემდეგ. მითხარი, ოტო, ნუთუ შენი ჭკუით და შენი — ამის უარყოფა არ შეიძლება — ჟურნალისტის არაჩვეულებრივი ნიჭით, აქამდე ვერ მიხვდი, რომ საკუთარ თავს ძარცვავ ამ უპრინციპო ფურცელში თანამშრომლობით.

— შეგიძლია შემომთავაზო რაიმე უფრო მიმზიდველი? ჰა, ბიძაჩემო?

— ჯერჯერობით არა. მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ „დანევანგის“ რედაქტორი ხამერი — ჩემი კარგი ნაცნობია. ხშირად ვსაუბრობთ შენზე. ჩემი არ იყოს, ისიც აღიარებს შენს სტილისტურ ნიჭს, მაგრამ წუხს, რომ ამ ნიჭს უღირსი მიზნებისათვის ხარჯავ. გამორიცხული არ არის... უფრო ზუსტად რომ ვთქვა, მთელი პასუხისმგებლობით გარწმუნებ, რომ შეგიძლია მის გაზეთში ფრიად თავმოსაწონი ადგილის მიღების იმედი გქონდეს, თუკი, რასაკვირველია, უფრო მართებულად თავის დაჭერას ისწავლი.

— „დანევანგი“! მაგრამ ეს ხომ რეაქციული გაზეთია! თანაც ჭეავე პატრიოტიზმით, ბრძოლის ცეცხლით და ღვთისმოშიშობით გაჟღენთილი. ხომ არ გინდა, ჩემს რწმენას ვუღალატო?

— შენს რწმენას? ჩემთან მაინც ნუ იბღინძები. მადლობა ღმერთს, კარგად გიცნობ. და ერთი რამ კიდევ უნდა ვაღიარო: დიდი გამჭრიახობა გამოიჩინე პროფესიის შერჩევაში, შექების ღირსი ხარ. ვისაც უნდა საზოგადოებაში კარგ მდგომარეობას მიაღწიოს, ჟურნალისტიკა მათთვის ჭეშმარიტად ტრამპლინად იქცევა. ცხადია, წაიკითხავდი, რომ რედაქტორი ლილი ჩვენს ელჩად არის დანიშნული ვაშინგტონში. სულ ახლახან სხვა ჟურნალისტი ოლქის უფროსად დანიშნეს. არ ვიცი, უკეთესის მომასწავებელია თუ არა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: მთავრობა ძალიან ანგარიშს უწევს ნამდვილ, დარბაისელ ჟურნალისტებს ახალი დანიშვნების დროს და ამ მხრივ ცრურწმენებს ყურადღებას არ აქცევს. ამას უნდა დაუფიქრდეო. ოტო. ყველგან, სადაც კი შენს კოლეგებს რაიმე შანსები აქვთ, იქ შენც განუზომლად მეტად დიდი შანსები გაქვს. ისეთ გვარს ატარებ, რომელსაც პატივს სცემენ არმიაში და აფასებენ მეფის კარზე. მე, ბიძაშენი, მზად ვარ მხარი დაგიჭირო ნებისმიერ პატიოსნურ წამოწყებაში, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. დაბოლოს, თავადვე ფლობ ისეთ თვისებებს, რომლებიც შეიძლება ძალიან გამოგადგეს მაგალითად დიპლომატიურ სარბიელზე. ვინ იცის? იქნებ მხოლოდ შენზეა დამოკიდებული, როდისმე ბატონი ლილის ადგილი დაიკავო და ჩვენი ელჩი გახდე ვაშინგტონში.

დიურინგმა სიცილით მოისმინა ბიძამისის დაპირებანი, მერე თვალები მოჭუტა და დაუდევრად მიუგო:

— ვაშინგტონში?.. რატომაც არა? ამბობენ, ამერიკაში მშვენიერი ქალებიაო. ხოლო სამზარეულო — მხედველობაში მაქვს მაღალი წრეები — ერთდროულად ფრანგულიც ჰქონიათ და ინგლისურიც. კარგი, ძია, ვიფიქრებ.

მაგრამ პოლკოვნიკს მოთმინება გაუწყდა. მთლად აჭარხლებული წამოხტა და იღრიალა:

— როგორ მიბედავ ასეთ პასუხს?

— მაპატიე, ძია, მაგრამ არ შემიძლია ასე სერიოზულად მოვეკიდო ცხოვრებას.

— ო, შენ მართალი ხარ,—გამოეპასუხა ბიძა მცირე დუმილის შემდეგ და ხმა მღელვარებისაგან აუკანკალდა. — სად შეგიძლია ცხოვრებას სერიოზულად მოეკიდო. შენთვის და შენი ბიწიერი მეგობრების, მატერიალისტებისა და კოსმოპოლიტებისათვის, ცხოვრება — ეს მხოლოდ ცუდი, ან მოსწრებული ხუმრობაა. სამშობლოს ტანჯვა, მოსახლეობის უბედურება, პოლიტიკური წარუმატებლობა, ომი, ჭირი, ხანძარი — თქვენთვის ეს ყოველივე საინტერესო თემაა, მორიგი ნომრის მასალა, თქვენი სინდისგარეცხილი კალმების გამოსარჩომი. სად შეგიძლიათ ცხოვრება სერიოზულად აღიქვათ. სამაგიეროდ არც თქვენ სჭირდებით ცხოვრებას. შეგიძლია ეჭვი არ შეგეპაროს! ცხოვრება თავად იტყვის უარს თქვენზე. უსარგებლო ძველმანივით მოგისვრით სანაგვეზე. შეგიძლია, არ შეგეპაროს ეჭვი!

დიურინგმა ფეხები წინ წამოჭიმა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, გველივით მოწკურა თვალები, პირდაპირ გაიხედა და თქვა:

— ცხოვრება გვიჩვენებს, ბიძაჩემო, ცხოვრება გვიჩვენებს.

საუზმის შემდეგ იაკობა მარტო დარჩა. სკოვბაკენის ყველა ბინადარი აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდა: ფრუ სალომონმა პატარებით ტყეში გაისეირნა, ნანი ჯერაც არ დაბრუნებულიყო ქალაქიდან. ამ ხნის განმავლობაში იაკობა თავის ოთახში იყო. სტანჯავდა მელანქოლიის მორიგი შეტევა, რის გამოც საშინლად სტკიოდა თავი. მთელი ღამეები თვალი ვერ მოეხუჭა ფიზიკური ტანჯვისა და დამამცირებელი სურვილით გამოწვეული, ამაღელვებელი, ცოდვილი აზრების გამო. უძილო ღამით გაწვალებული მიწვა შეზლონგზე, მოიკუნტა, ლოყის ქვეშ ხელისგული ამოიდო და თვალები მილულა. ოთახი მეორე სართულზე იყო, აივნის ღია კარებიდან მოჩანდა ხეების კენწეროები, ლურჯი ცის ნაჭერი, ბუმბულივით მსუბუქი ღრუბლები. იაკობას უნანავებდა ღრმა სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ ფოთლების ნაზი რხევა არღვევდა. ქალი მგრძნობიარე ნახევრადმთვლემარე იყო, როცა სხეულს სძინავს, ხოლო ცნობიერება ფხიზლობს. ოდნავ გაფაჩუნებაზეც ძილი უფრთხებოდა.

— იაკობა! სადა ხარ!.. ეშმაკმა დალახვროს, ერთი სულიერი არსება მაინც თუ მოინახება ამ ბრიყვულ სახლში? — მოისმა ბალიდან ძია ჰენრიხის ხმა.

იაკობამ ზანტად წამოიწია, რამდენიმე წამს სახეზე ხელებაფარებული იჯდა, მერე ძირს ჩავიდა. ბიძა დიდ დარბაზში დახვდა. პირველად აუვირდა, რად მაცდევინებთო, მერე კი ჯიბიდან ქაღალდების დასტა ამოიღო და მაგიდაზე დაყარა.

— მიიღეთ, — თქვა მან.

იაკობას დაღლილი სახე გამოუცოცხლდა.

— იყიდე?

— როგორც მიბრძანე... მხოლოდ გაითვალისწინე, არაფერზე პასუხისმგებელი არა ვარ. ხომ გაფრთხილებდი არ გადაკიდებოდი ამ ქაღალდებს? გაფრთხილებდი. დიდხანს ვერ გაძლებენ მაინც.

— გატყობ, დღეს, ყოველ შემთხვევაში, მათ ფასს აუწევია. ხომ გეუბნებოდი!

— მეუბნებოდი, მეუბნებოდი, — გამოაჯავრა ბიძამ. — თქვენ, დედაკაცები, ყველანი რაღაცნაირი არანორმალურები ხართ. ერთხელ ბედი წყალობის თვალით გადმოგხედავთ და წარმოიდგენთ, თითქოს მართლაც ერკვევით საქმეებში. შენი და გაცილებით კეთილგონიერია, სხვისი ნათქვამი სჯერა და კისრისტეხით არ ვარდება ყოველნაირ ავანტიურაში.

იაკობამ დაუდევრად აიჩეჩა მხრები, აიღო ქაღალდები — შაქრის არასაიმედო აქციები — და ჯიბეში ჩაიწყო. იაკობა და ნანი ყველასგან საიდუმლოდ ბირჟაზე თამაშობდნენ, მოქმედებდნენ იმ თანხებით, რასაც სახარჯოდ იღებდნენ, ხოლო ძია ჰენრიხი მათი ნდობით აღჭურვილი პირი იყო. ორივენი ფრიად აზარტულად თამაშობდნენ, მაგრამ ნანი მხოლოდ მოგებაზე თამაშობდა, ამიტომ არჩევდა ჩუმად ემოქმედა კეთილსაიმედო აქციებით, ამას მისთვის პატარა, მაგრამ საიმედო შემოსავალი მოჰქონდა, იაკობას კი რისკი იზიდავდა, ის უხაროდა, ბიძამისისა და გაზეთების ჯიბრით, აწევაზე რომ ითამაშებდა და გამარჯვებული გამოვიდოდა.

ამასობაში ბატონმა დელფტძა მაგიდაზე დალაგებული გაზეთების გროვიდან, „ფალკენის“ ახალი ნომერი გამოიღო, თვალი გადაავლო და იკითხა:

— გამიგონე, წაიკითხე დიურინგის სტატია ამ ტიპის შესახებ? აი, სიდენიუსის შესახებ? იცი, ეს კაცი თავისას გაიტანს.

— ახ, დიურინგი დასცინის მხოლოდ.

— დასცინის? ვშიშობ, ამ სიცილიდან რაიმე სერიოზული არ გამოვიდეს. მის შესახებ ბირჟაზე უკვე ლაპარაკობენ.

ეს უკანასკნელი ცნობა ბატონი დელფტის ფანტაზიის ნაყოფი იყო; ძია ჰენრიხი ამ ბოლო დროს შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ პერი არ შეექო. როგორც კი მიხვდა, პერს იაკობაზე უჭირავს თვალიო, მაშინვე უკეთესი აზრი შეექმნა მასზე და რაც შეიძლება ცდილობდა მხარი დაეჭირა ამ გაბედული განზრახვისათვის. გარდა ამისა, ძია ჰენრიხს, კაცმა არ იცის რატომ, ეიბერტი არ უყვარდა. ყოველნაირად ცდილობდა მისთვის სახელი გაეტეხა ოჯახის თვალში, მაგრამ ვერას გახდა და იმ აზრის მხოლოდ თავში გავლებაზეც კი, რომ საძულველ ეიბერტს უარით გაისტუმრებდნენ, ნიშნის გებისაგან მზად იყო ეცეკვა...

სადილის დროს „ფალკენში“ მოთავსებული სტატია კვლავ მსჯელობის საგანი გახდა. ამჯერად მასზე სიტყვა ივენმა ჩამოაგდო, — ახლახან დაბრუნებულიყო ქალაქიდან და მეტისმეტად ფანტასტიკური წარმოდგენებით ჰქონდა სავსე თავი სტატიის მიერ გამოწვეულ სენსაციაზე. სადგურისაკენ გზაზე ივენმა რედაქციაში დიურინგთან შეირბინა. დიურინგმა, არავინ დაუსახელებია ისე, აცნობა ბიძის ვიზიტის ამბავი და სიტყვა გადაუკრა, შენთვის დიდი რისკი ჯავწიე და იმედი მაქვს, თუ დამჭირდა, ამის პასუხად შენც შეიწუხებ ჩემთვის თავსო.

— აჰა! მოხუც ეშმაკებს შეეშინდათ! — ზეიმობდა ივენი. — იმედი აქვთ, თუ გაზეთებს ჩააჩუმებენ, ამით წინასწარ გაუსწორდებიან სიდენიუსს. არაფერი გამოუვათ! მხოლოდ მიეცით ამ კაცს საშუალება ძალები მოიკრიბოს! ღმერთო ჩემო, როგორ აღრიალდებიან ბებრები!

ივენს მხარი არავინ დაუჭირა. ფრუ ლეა ამ ბოლო დროს საერთოდ დემონსტრატიულად დუსღებოდა, როცა ვინმე სიდენიუსის სახელს ახსენებდა, იაკობამაც არაფერი უპასუხა — მთელი ყურადღება გვერდით მჯდომ ბავშვისთვის მიეპყრო. მაგრამ მის გულგრილობასაც და უყურადღებობასაც ნაძალადევობა ეტყობოდა. სისხლი მოაწვა სახეში, როცა ივენისაგან გაიგო, რა საშინელი საფრთხე დაემუქრა „ფალკენის“ რედაქციას. საერთოდ, იაკობას არ შეეძლო რაიმე ამბავი მოესმინა დევნისა და ძალადობის შესახებ და არ აღშფოთებულიყო. თუმცა, ივენი ისე იყო აღფრთოვანებული მეგობრით და ისე

აქებდა, იაკობას ყელში ამოუვიდა, მალე გაუგრილდა გული და როცა ძმა კვლავ მოჰყვა პერის ხოტბას, მოიღუშა.

ყავის დასალევად ტერასაზე რომ გავიდნენ, ეიბერტი მოვიდა. ძია ჰენრიხი იმავე სეკუნდში აორთქლდა, რადგან, თუ დავუჯერებდით მისივე საძაგელ ნართაულებს, „არ შეეძლო ამ „გახრწნილთან“ ერთად ერთი ჰაერით სუნთქვა“. მას ნანი მიჰყვა, სადგურზე მეჩქარებაო. დაბოლოს, გაქრა ივენიც. ყმაწვილი კაცი ვერ ითმენდა, უნდოდა გაეგო, გამოეხმაურნენ თუ არა საღამოს გაზეთები „ფალკენში“ მოთავსებულ სტატიას.

ეიბერტს მეზობლად აგარაკი ჰქონდა დაქირავებული და ნასადილევს თითქმის ყოველდღე შეივლიდა ხოლმე სკოვბაკენში. მაგრამ დღეს მისი მოსვლა იაკობასთვის მოულოდნელი იყო. როცა ძაღლები აყეფდნენ, ქალმა იფიქრა, უთუოდ პერი იქნებაო. „ფალკენის“ სტატიის წაკითხვის შემდეგ იაკობა ყოველ წუთს მას მოელოდა, რადგან ვერ წარმოედგინა, თუ პერი შემთხვევას გაუშვებდა თავი მოეწონებინა ხალხის წინაშე, აქაოდა, თავზე ახალი დაფნის გვირგვინი დამადგესო. ამიტომ იაკობას უკვე წინასწარ თან ებრალებოდა, თან ეზიზღებოდა კიდეც პერი. გახარებულმა იაკობამ ჩვეულებრივზე გაცილებით თავაზიანად ჩამოართვა ეიბერტს ხელი.

სიბერეში შესული საქმრო ახლა ძალიან კმაყოფილი და-მხიარული გახლდათ. საბაბიც ჰქონდა, დღითი დღე რწმუნდებოდა იაკობას ქცევით, რომ მათი ნიშნობა თითქმის გადაწყვეტილი საქმე იყო. ასე, მაგალითად, იაკობამ თითზე წამოიცვა აღმოსავლური ბეჭედი, რომელიც მან დიდი ხნის წინ აჩუქა დაბადების დღეზე და რომლის ტარებაც აქამდე არ სურდა. როცა ეიბერტს თავისი გოგონები მოჰყავდა, იაკობა მაშინვე უშვებდა ძიძას შინ და მთელი დღე თავად ართობდა მათ ბაღში.

ახლა ისინი წყლისკენ დაეშვნენ და გაცხოველებული საუბარი გააბეს, თან ხეივანში დასეირნობდნენ. მათი საუბარი ახლაც, როგორც ყოველთვის, როცა მარტონი რჩებოდნენ, ეხებოდა პოლიტიკას. ამჯერად თემა იყო უდიდეს სახელმწიფოთა კოლონიური დაპყრობანი და ამასთან დაკავშირებული გამალებული შეიარაღება, რის გამოც ეიბერტმა გამოთქვა იმედი, დანია საკმაო წინდახედულებას გამოიჩენს და არ ჩაებმება არავითარ სარისკო ავანტურაშიო. როგორც პოლიტიკური მოღვაწე, ეიბერტი ზომიერ მიმართულებას

ეკუთვნოდა და თავის საპატიო მისიად მიაჩნდა, დანიის პოლიტიკაში კეთილგონიერება წარმოედგინა. მიუხედავად თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და ევროპული განათლებისა, მუდამ გრძნობდა, რომ მტკიცედ იყო დაკავშირებული მოწინავე, თავისუფლად მოაზროვნე სოფლის დემოკრატიასთან, რომელშიც გამოხატულებას ჰპოვებდა დანიელთა წინდახედულება. თუმცა იაკობასთან საუბრის დროს ეიბერტი ცდილობდა გაცილებით მტკიცე და მეამბოხე კაცის შთაბეჭდილება მოეხდინა, ვიდრე სინამდვილეში იყო, რომ ამით ცოტათი მაინც დამსგავსებოდნენ ხასიათებით ერთმანეთს. იაკობა კი ყველა საკითხში უკიდურეს პოზიციებზე იდგა. ამიტომაც მას მიაჩნდა, დანიის მხრივ დიდი სისულელე იქნებოდა უბრძოლველად აეღო ხელი იმ აზრზე, რომ მეტოქეობა გაეწია დიდი სავაჭრო და სამრეწველო სახელმწიფოებისათვის და არ ცდილიყო უზრუნველეყო თავისთვის გასაღების ახალი ბაზრები შორეულ ქვეყნებში. იაკობა ხშირად იმეორებდა, ასეთი ერთი ციდა ქვეყნის არსებობა თავისთავად შეუსაბამობაა, ხოლო მომავალში ასეთი პატარა და ღატაკი ქვეყნის არსებობა შეუძლებელიაო. იაკობას უნდოდა, დანიაში თავი ეჩინა მოძრაობას, რომელიც მიზნად დაისახავდა ხალხისათვის დაემტკიცებინა, რომ პატარა სახელმწიფოსაც შეუძლია მოიპოვოს უფლება არსებობისა და სიმდიდრის, უფრო სწორად — სიუხვის შემწეობით მეზობლების პატივისცემა დაიმსახუროს.

საუბარში მათ ვერ შენიშნეს, როგორ წამოწვიმა. მზის დასალიერზე ღრუბლებმა მთელი ცა დაფარეს, ეიბერტმა და იაკობამ სახურავქვეშ ძაფარეს თავი. დარბაზში ლამპები აანთეს, ფრუ სალომონის თხოვნით ეიბერტი როიალს მიუჯდა და შეასრულა ფრუ ლეას საყვარელი რამდენიმე „უსიტყვო სიმღერა". როცა ეიბერტის განსაკუთრებულ ღირსებებზე რაიმეს იტყოდით, არ შეიძლებოდა მისი არაჩვეულებრივი მუსიკალობაც არ აღგენიშნათ. ძალიან კარგად, თავშეკავებით და თანაც დიდი გრძნობით უკრავდა. დღეს კი მის დაკვრაში იმდენი სული და იმდენი სინაზე იყო ჩაქსოვილი, ყველა მიხვდებოდა, რაც მომხდარიყო.

იაკობა ღია კარებთან იდგა, წირთხლს მიყრდნობოდა და ციდან კოკისპირულად დაშვებულ წვიმას უყურებდა. ძალიან არამუსიკალური ქალი იყო და როცა სხვები უკრავდნენ, ფიქრებს მიეცემოდა ხოლმე. ალაოდ უმღერდა როიალი ეიბერტის ხელებით სიყვარულს.

იაკობა ფიქრობდა, პერი მაინც არ მოვიდა, მაშ მის მიმართ არ ვიყავი სამართლიანიო. შერცხვა კიდეც. პერის ქებას მისთვის მთლად უკვალოდ არ ჩაუვლია. ახლა იაკობას ეჩვენებოდა, არ ვაფასებდი პერს და ამიტომაც მეტისმეტად მკაცრად ვსჯიდი ამ თავისებური ბუნების კაცსო. ვნახოთ და სწორედ მასშია მოცემული ის შავი მიწის ძალა, რომელიც ერთხელაც გადალახავს ყველა წინააღმდეგობას და ხალხს საბრძოლველად შემართავს? შეუძლებელია უარყოფა, რომ მას გააჩნია ბელადად დაბადებული კაცის ნიჭი — უნარი აქვს მიმდევრების მოპოვებისა. მარტო ის რად ღირს, რომ თავის ტრიუმფალურ ეტლში თვით ძია ჰენრიხის შებმაც მოახერხა. იაკობამ თავის თავზეც გამოსცადა, რა ბოროტი ძალა გამოსჭვიოდა პერის ბაცი ფერის, ზღვის ტალღასავით ცივი თვალებიდან. ძალიან გამბედავიც არის. იაკობას დღემდე ვერ დაევიწყებინა ის კვირა დღე, როცა პერმა საშინლად გაუხეთქა გული ყველას თავისი სულელური ყოყოჩობით. იაკობა ასევე იდგა კარებში, როგორც ახლა, უცქერდა ზუნდს და სააბაზანოდან ბავშვების ჟრიამული ესმოდა. იქ ბატონი ბალინგი და კიდევ რამდენიმე სტუმარი ანცობდნენ. უეცრად, ნაპირიდან კარგა მოშორებით, აქაფებულ ტალღებს შორის თვალი მოჰკრა პერის შავთმიან თავს. ვერც კი გაიაზრა, თუ ვინმე მოცურავდა, ის კი სულაც არ უფიქრია, თუ ეს პერი იქნებოდა. როცა სააბაზანოდან პერის სახელი დაიყვირეს, მიხვდა, ვინც იყო. აქამდე ახსოვს, როგორ გაუყინა მაშინ ძრწოლამ მთელი სხეული.

წინათ იაკობას ეგონა, მომავლის გმირები სხვა მასალისაგან, უფრო სუფთა, უფრო კეთილშობილური მასალისაგან არიან შექმნილნიო. თავის ოცნებებში ქალი ხედავდა აღორძინებულ არისტოკრატიას — სულის არისტოკრატიას, რომელიც კაცობრიობას სამართლიანობისა და სილამაზის დახმარებით გაანთავისუფლებს. მაგრამ, რა ვიცით, იქნებ მაგარი მუშტები და განიერი მხრები ბრძოლაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. იქნებ მართლაც არ არის სხვა გამოსავალი და საჭიროა მხოლოდ შეუბრალებლად ააფეთქო დანაშაულებრივი მლიქვნელური საზოგადოება; იქნებ სამყაროს საშინელი სამსჯავროს ბრძმედში გავლა და ცეცხლითა და სისხლით განწმენდა ესაჭიროება?

თავი IX

აგვისტოში პერმა თავისი შრომა დაამთავრა და ივენს წაუკითხა. ივენმა წაკითხულიდან ბევრი ვერაფერი გაიგო, მაგრამ აღტაცებისაგან გაფითრდა და დაიყოლია პერი, ნება დაერთო, თავის თავზე აეღო წიგნის გამოცემასთან დაკავშირებული ხარჯები.

ახლა დრო იყო გზას გასდგომოდა. უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში პერი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მეთოდით გერმანული ენის გაკვეთილებს იღებდა და ვარაუდობდა, რომ ორი-სამი კვირის შემდეგ მთლად მზად იქნებოდა გასამგზავრებლად. მაგრამ, დასახული გეგმის მიხედვით, საჭირო იყო მანამდე იაკობასთვის წინადადება მიეცა. პერმა გადაწყვიტა მოლაპარაკება კვირისთვის, სამი სექტემბრისთვის დაენიშნა. მან ეს დღე იმიტომ აირჩია, რომ მკერავი შეჰპირდა, დაკვეთილ კოსტუმთაგან ერთ-ერთს სამისთვის მოგითავებო. პერმა ინგლისური მოდა აირჩია, რადგან ერთხელ იაკობამ, იქნებ განგებაც, მისი თანდასწრებით თქვა, ინგლისური მოდა მირჩევნია ფრანგულსო.

პირველად პერს უნდოდა დაეცადა, სანამ წიგნი გამოვიდოდა და პრესა შეაქებდა, მაგრამ მოთმინება არ ეყო და გადაწყვიტა მალე მოეღო ბოლო ამ გამუდმებული მოუსვენრობისა და დაძაბულობისათვის მოსალოდნელ ნიშნობაზე ფიქრის გამო. ღამეები არ ეძინა. მთელი მისი ბედნიერება აჭ ერთადერთ ნაბიჯზე იყო დამოკიდებული. ერთხელ პერს კაფეში კავალერისტი ხანსენ-ივერსენი შეხვდა, რომელიც იაკობას და ეიბერტის ნიშნობას გადაწყვეტილ საქმედ თვლიდა და კინაღამ გაგიჟდა კაცი.

დანიშნულ კვირა დღეს ჩინებული ამინდი დადგა. სადგურიც ხალხით იყო გაჭედილი. პერი დილაადრიან გამოვიდა შინიდან, რათა იაკობა დაემარტოხელებინა და მოლაპარაკებოდა, სანამ ჩვეულებრივი საკვირაო სტუმრები მოზვავდებოდნენ.

მაგრამ თავიდანვე არ გაუღიმა ბედმა, გამოირკვა, რომ მეტისმეტად შეუფერებელი დღე შეერჩია. ორი საათისათვის სკოვბაკენში მისულ პერს იქაურობა სავსე დახვდა სტუმრებით, რადგან სალომონების მესამე ქალიშვილის — თხუთმეტი წლის როზალიას დაბადების დღე გახლდათ. გარდა მრავალრიცხოვანი ნათესავებისა და როზალიას პეპლებივით ჭრელი ამხანაგებისა, მოსალოცად მო-

სულიყვნენ ოჯახის მეგობრებიც, ამათ შორის ერია აყლაყუდა კანდიდატი ბალინგი, ლიტერატურის წურბელა. როცა ნანისთან ვერაფერს გახდა, ბალინგმა როზალია აირჩია, რათა გოგონას მასთან ერთად გაენაწილებინა მომავალი დიდება.

ბალინგს გარდა პერი აქ შეხვდა კიდევ ერთ ნაცნობს — ხანშიშესულ უცოლშვილო პრივატდოცენტს ვინმე კანდიდატ იზრაელს. იზრაელი ფილიპ სალომონს შორეულ ნათესავად მოხვდებოდა. ეს იყო პატარა, უმწეო, მორცხვი და გაუბედავი, ღარიბულად ჩაცმული კაცუნა. ხელები მუდამ სერთუკის სახელოებში ჰქონდა ჩამალული, გამელოტებულ თავს კი ისე ატრიალებდა ფრინველივით წვრილ კისერზე, თითქოს ეშინოდა, ვინმესთვის სიარულში ხელი არ შეეშალა. სანამ პირს არ გააღებდა (უფრო მეტი ხალისით სხვას უსმენდა, ვიდრე თავად ლაპარაკობდა), ვერავინ მიხვდებოდა, თუ მათ წინაშე სწორედ ის არონ იზრაელი იყო, რომლის დიდებაც განსაზღვრულ წრეებში დოქტორ ნათანის დიდებას არაფრით ჩამოუვარდებოდა. ეს იყო თავმდაბალი მეცნიერი, არაჩვეულებრივი მცოდნე ყველა დარგისა. მაგრამ არონ იზრაელის სახელის ხსენებაზე ხალხს მხოლოდ მისი ერუდიცია არ ახსოვდა. მისი დიდება იშვიათი უანგარობა, არაჩვეულებრივი თავგანწირვის უნარი გახლდათ, ასეთი უნარი მხოლოდ ებრაელებში გვხვდება. არონ იზრაელის მრავალრიცხოვანი მეგობრები ირწმუნებოდნენ, თითქოს მისი სული ისეთივე სუფთაა, როგორი ჭუჭყიანი სერთუკიც აცვიაო. ბევრჯერ ამაოდ შესთავაზეს ყველაზე საპატიო პოსტები უნივერსიტეტში. იზრაელი დაბეჯითებით უარს ამბობდა ადიუნქტის თანამდებობაზეც კი, რადგან შიშობდა არ წაერთმია ეს ადგილი ვინმესთვის, ვისაც ის გაცილებით მეტად სჭირდებოდა. თავად საკმაოდ შეძლებული კაცი იყო, მაგრამ ცხოვრობდა ძალიან ზომიერად, სადად და კარჩაკეტილად, ხოლო ჩუმად არიგებდა დიდ თანხებს, უმთავრესად ღარიბი სტუდენტების დასახმარებლად. ორ ხანშიშესულ შინაბერა დასთან ერთად ძველი მოდის პატარა ბინა ეჭირა სვერტეჰადეზე და არონ იზრაელის პატარა ოთახი, რომლის ყველა კედელიც ჭერიდან იატაკამდე წიგნის თაროებით იყო გავსებული, მისი ყოფილი მოწაფეების და სხვა ახალგაზრდა სტუდენტების თავშეყრის საყვარელი ადგილი იყო. ისინი სთხოვდნენ არონს რჩევას, ართმევდნენ წიგნებს და, საერთოდ, რაც შეიძლება ბოროტად იყენებდნენ მის სიკეთეს. როგორც მეცნიერი ან

პედაგოგი, არონი არ გამოირჩეოდა დიდი თვითმყოფობით. მხოლოდ მათ, ვინც ადამიანზე, პირველ ყოვლისა, მისი სულიერი თვისებებით მსჯელობს, შეეძლოთ არონ იზრაელი მგზნებარე ნათანისათვის შეედარებინათ. თვით არონ იზრაელი ნათანისადმი, რომელიც ამდენ დავას იწვევდა, უღრმესი პატივისცემით იყო გამსჭვალული და ცხარედ ესხმოდა თავს ბევრ ებრაელს, იმ დამყაყებულ ხალხს, რომელნიც ნაწილობრივ იმის გამო, რომ მშიშრები იყვნენ, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ შურდათ, ძრახვით იბზუებდნენ ტუჩს, თუ საუბარი ნათანზე ჩამოვარდებოდა, ვინც მას ძრახავდა წვრილმან და ზოგჯერ ნამდვილად სასაცილო სისუსტეთა გამო, ასე ხშირად რომ თან სღევენ სულის გვირგვინოსან ხელმწიფეთ და ვითარცა სამეფო კარის ხუმარები, სულელური ჩაჩის ეჟვნების ჟღარუნით უკან მისდევენ მეფეს მისი მეწამული მანტიით ხელში.

პერი სხვებივით მოტყუებული იყო ბატონ იზრაელის ართვალი გარეგნობით და არც იმის უნარი გააჩნდა, რომ ღირსეულად შეეფასებინა ეს კაცი, ამიტომ თავდაპირველად ქედმაღლურად ექცეოდა. მიუხედავად ამისა, იზრაელი მისდამი დიდ ინტერესს ამჟღავნებდა და მუდამ დიდი ყურადღებით უსმენდა, როცა ნასვამი პერი ენას აიდგამდა და ომახიანი ხმით თავის გრანდიოზულ გეგმებზე ალაქლაქდებოდა. ასე მოხდა დღესაც — პერმა ვერც კი მოასწრო ოთახში შესვლა, რომ გაუბედავად მიუახლოვდა ბატონი იზრაელი და მის საქმიანობაზე გაუბა საუბარი.

იაკობა ჯერ კიდევ არ ჩანდა. თავის ოთახში იჯდა ზემოთ და მხოლოდ მაშინ ჩამოვიდა, როცა სტუმრები თითქმის დაიშალნენ. უფრთხოდა ცნობისმოყვარეთა ჭვრეტას, მათ უტაქტო შეკითხვებს. ვინც მოუთმენლად მოელოდა მისი და ეიბერტის ნიშნობას, მით უფრო, რომ საბოლოო სიტყვა ჯერ კიდევ არ თქმულიყო.

თავად ყველანაირად თავს არიდებდა გადამწყვეტ მოლაპარაკებას. უნდოდა ლაპარაკი პერის წასვლამდე გადაედო. თავისდა სამარცხვინოდ, იძულებული იყო გამოტეხილიყო, პერი უფრო მეტად აღელვებდა, ვიდრე ეს შეშვენოდა ქალს, რომელიც აპირებდა თავისი ბედის სხვა კაცთან დაკავშირებას. უძილო ღამეებში იაკობა მხოლოდ ნებისყოფის უდიდესი დაძაბვით აიძულებდა თავის თავს პერზე არ ეფიქრა, მაგრამ ამასთან ისიც კარგად იცოდა, როგორც კი პერი წავი-

დოდა, დამთავრდებოდა მისი დამამცირებელი და ქალისთვის სამარცხვინო გავლენა პერისა იაკობას სულზე.

როცა იაკობამ პერი ახალ, ინგლისურ კოსტუმში ნახა, უნებლიეთ შეკრთა. ისეთი მტკიცე, გამომცდელი მზერა მიაპყრო ვაჟმა, მაშინვე იგრძნო ქალმა, რა მიზნითაც იყო პერი მოსული. ამიტომაც იაკობა ჯერ იყო და ცდილობდა ახლოსაც არ გაჰკარებოდა, მაგრამ მიხვდა, რომ მაინც იძულებული იქნებოდა, მისი წინადადება მოესმინა, თანაც უნდოდა ბოლოს და ბოლოს გათავისუფლებულიყო მტანჯველი მოლოდინისაგან და გადაწყვიტა დაეჩქარებინა მოვლენათა მსვლელობა.

იაკობა ბაღში ჩავიდა და დაიწყო ხეივანში სახლის წინ სეირნობა. ფიქრობდა, პერი შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს და აქ მომძებნის, რაკი განმარტოებით საუბარი. აქ ყველაზე უფრო მოსაჩერხებელიაო.

არც შემცდარა. რამდენიმე წუთის შემდეგ მეზობელ ხეივანში აჩქარებული ნაბიჯები მოისმა. მღელვარებისაგან იაკობას თავბრუ დაეხვა. გზის ვანგრძობის თავი აღარ ჰქონდა, მაგრამ სძლია თავს და მივიდა სკამის უკან მღგარ სუროშემოხვეულ სადგამზე დადგმულ დიდ ლარნაკთან, თითქოს შველას აქ ეძებდა. ისე დადგა, გეგონებოდათ სუროს ურჩ ყლორტს ასწორებსო, მაგრამ ხელები უკანკალებდა. ზურგს უკან ნაბიჯების ხმა რომ მოესმა, გული გადაუქანდა. ფეალწინ ცეცხლოვანი წრეები აუთამაშდა. აი ნაბიჯები მთლად ახლოს გაიგონა, იაკობა მკვეთრად მოტრიალდა პერისკენ და შიშით და სიძულვილით აღსავსე მზერით ახედ-დახედა.

— რა გინდათ ჩემგან? — თითქმის წამოიყვირა მან. — რად მდევნით?

პერმა მოწიწებით მოიხადა ქუდი და სთხოვა, თუ შეიძლება ერთ წუთს მომისმინეთო.

იაკობამ სთხოვა, რაც შეიძლება მოკლედ მოჭერითო. პერმა კიდევ ერთი მოწიწებული თავის დაკვრით ამცნო თანხმობა.

— ძალიან დაქანცული კი ჩანხართ, ფრეკენ იაკობა! ხომ არ დავსხდეთ?

პერმა მიუთითა მერხზე, რომელიც სწორედ ვაზის ქვეშ იდგა. იაკობამ კიდევ ერთხელ სთხოვა, სათქმელს ნუ გააგრძელებთო, მეტი ვეღარ შესძლო და იძულებული გახდა დამჯდარიყო.

პერი მოშორებით ჩამოჯდა. არ გაუვლია ორ წუთსაც, რომ წინადადება ფორმის სრული დაცვით გაკეთებული იყო. პერმა თქვა ყველაფერი, რის თქმაც მის ხელთ მყოფი ცნობების მიხედვით საჭირო იყო ასეთ შემთხვევაში, თავის მხრივ კი დაუმატა:

— ძვირფასო ფრეკენ! ლაპარაკს არ დაგიწყებდით, დუმილი რომ შემეძლოს. მხოლოდ არ იფიქროთ, ეს წუთიერი, სეზონური გატაცებაა... შეგიძლიათ იფიქროთ ასე, რადგან ძალიან ცოტა ხანია, რაც გიცნობთ. მაგრამ თუმცა სულ რამდენიმე თვის ნაცნობები ვართ, ჩემი ბედ-ილბალი სწორედ ამ რამდენიმე თვემ გადაწყვიტა. მე ხომ უკვე გითხარით, იმ დღიდან, როცა პირველად მოვედი თქვენს სახლში და პირველად დაგინახეთ, ჩემთვის ახალი ცხოვრება დაიწყო. ფრეკენ იაკობა! ხალხი ფიქრობს, რომ მე უნიჭო კაცი არა ვარ... თავადაც ამასვე ვფიქრობ! გავბედავ იმის მტკიცებასაც, რომ ჩემი სამშობლოსათვის საჭირო კაცი ვარ. მაგრამ მშვენივრად ვიცი, უთქვენოდ ვერაფერს მივაღწევ... კარგად მესმის, რა ბევრი რამ გააკეთეთ უკვე ჩემი განვითარებისათვის. თქვენს პასუხზეა დამოკიდებული არა მარტო ჩემი პირადი ბედნიერება, არამედ მთელი ჩემი მომავალიც, მთელი ჩემი კეთილდღეობა!

იაკობამ ათქმევინა სათქმელი. ვერ შეძლო შეეწყვიტა პერის სიტყვების ნაკადი, რადგან გულში იცოდა, მხოლოდ პერის პირიდან სიყვარულის სიტყვების მოსმენის უღირსმა სურვილმა აიძულა, ეს შეხვედრა მოეწყო. პერის ხმის ბგერების გაგონებაზე ძალა ელეოდა. დაბალი, ძლიერი, ვაჟკაცური ხმა იპყრობდა და აჯადოვებდა. თუმცა პერის ბოლო სიტყვები გულუბრყვილო კაცის გულახდილი ნათქვამი იყო, იმაზე გულუბრყვილოდ ნათქვამი, ვიდრე თავად პერს ეგონა, იაკობა მაინც ვერ მიხვდა, რომ პერი თავის თავზე გაცილებით მეტს ფიქრობდა, ვიდრე მასზე.

რაკი იაკობა დუმდა და სახეც პირქუში, ცივი ჰქონდა, შეწუხებულმა პერმა განაგრძო:

— მესმის, რომ ჩემის მხრივ კადნიერება და დიდი თავდაჯერებულობაა, ამას რომ გეუბნებით. თქვენ თაყვანისმცემლები გეხვევიან გარს. ლამაზი ხართ, ჭკვიანი, მდიდარი, მე კი ერთი ღარიბი, ყველასათვის უცნობი ინჟინერი ვარ, რომელსაც არაფერი გააჩნია, მომავლის გეგმებს გარდა. მაგრამ არც გთხოვთ საბოლოო პასუხს. მომეცით სულ მცირე იმედი მაინც, იმედის მეასედი ნაწილი მაინც,

რომ იმ იმედით გავუდგე შორეულ გზას. მენდეთ, ფრეკენ იაკობა! ჩემთვის შეუძლებელი არაფერია. ყველაფერს ვიკისრებ, ოღონდ თავი მოგაწონოთ.

საუბრის პირველი ნაწილი პერს გულმოდგინედ ჰქონდა აწონ-დაწონილი და გააზრებული, მეორე კი იქვე უნდა შეეთხზა. იაკობას რომ ჯიუტი დუმილი არ აერჩია, პერი ამ ზომამდე გულახდილი არ იქნებოდა. მაგრამ ახლა მან სულ არ იცოდა, რა ეთქვა ამის მეტი და ისღა მოახერხა, რომ მორიდებით დაუკრა თავი ქალს, თითქოს ამითი სურდა ეთქვა, მზად ვარ განაჩენი მოვისმინოო.

იაკობამ, როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა.

— მართალი გითხრათ, თქვენი მადლობელი უნდა ვიყო, ასე რომ მაქებთ. საერთოდ კი ღრმად დარწმუნებული ვარ, საკმაოდ გადაჭარბებულად წარმომიდგენთ თქვენს გრძნობებს ჩემდამი. ასეა თუ ისე, — სწრაფად თქვა იაკობამ, როცა დაინახა, პერი შეპასუხებას აპირებდა, — ასეა თუ ისე, მე ლაპარაკის გაგრძელება ზედმეტად მიმაჩნია. და თქვენც გამიგებთ, როცა გეტყვიან... რომ უკვე დანიშნული ვარ.

— მაშ ეს მართალია?.. ეიბერტზე, ხომ?

— ვერ უნდა მიბედავდეთ ამგვარ შეკითხვებს,—მოუჭრა ქალმა, წამოდგა და წავიდა. პერს თითქოს მეხი დაეცაო, სკამს დაეწება და იაკობას მხოლოდ უაზრო მზერა გააყოლა.

ტერასაზე ფრუ სალომონი იჯდა, არონ იზრაელის ორ დასთან— მეშჩანური შესახედაობის ჩასუქებულ ქალებთან ერთად. როცა იაკობამ მათ გვერდით ჩაუარა, გადმოსძახეს, მაგრამ მან ისე დაიჭირა თავი, თითქოს ვერ გაიგონა და თავის ოთახში ავიდა. როგორც კი გადააბიჯა ოთახის ზღურბლს, მოიძრო ხელთათმანი მარჯვენა ხელიდან და ხელის ზურგი ლოყაზე მიიდო. ლოყებზე ცეცხლი ეკიდებოდა, მკერდი აუდ-ჩაუდიოდა, მუხლები ეკვეთებოდა. რა საჭირო იყო ყოველივე ეს! იაკობა რაღაც სასწაულით სასიკვდილო ხიფათს გადარჩენილი ადამიანივით გრძნობდა თავს. მოიძრო მეორე ხელთათმანიც, შლიაპა საწოლზე ჭუჭყიანი, გამოუსადეგარი ნივთივით მოისროლა და მთლად ძალგამოლეული სავარძელში ჩაეშვა... რა კარგია, რომ გადასატანი უკვე გადაიტანა! პერს მეტად ვეღარ ნახავს. ოთახი თვალწინ აუცურდა და იაკობამ მკერდზე ხელი მიიჭირა. აჰ, როგორ უძგერს გული! ნაცნობი, დაუცხრომელი ძგერაა. ძნელად

მოპოვებული ბედნიერების რამდენ მშფოთვარე საათს აგონებს ის!

იაკობამ თვალები დახუჭა და ოცნებებს მინებდა. ჩაეფლო იმ მავზოლეუმში, სადაც სიყვარულის დამსხვრეული ოცნებანი განისვენებდნენ. სირცხვილით გატანჯული ქალი ცდილობდა აეხსნა უცნაური ძალა, რაიც მასზე მოიპოვა ამ უცხო და არასასიამოვნო კაცმა. იაკობას სულს გაურკვეველი მღელვარებით პერი კი არა, ის მოგონებანი ავსებდა, რომლებიც პერმა გაუღვიძა. პერის სახე რომ მოეშორებინა, ქალი წარსულის ტკბილ მოგონებებში ჩაიძირა. ხელახლა, სულ თავიდან განიცადა სიყვარულის მთელი ტანჯვა იქიდან მოკიდებული, როცა ცამეტი წლის გოგონამ ავადმყოფური სიამოვნება იგრძნო, იმ ბოლო საბედისწერო გულგატეხილობამდე, რომლის ვერეც გული მუშტივით შეეკუმშა.

სადილის ზარი გაისმა. მოულოდნელობისაგან იაკობა წამოხტა და საათს შეხედა. უკვე ორი საათი გასულიყო. მას კი სასადილოდ ჯერ არ ჩაეცვა. არაფერია, ასეც შეიძლება, ტანსაცმლის გამოცვლის თავი აღარა აქვს. თანაც, ალბათ, ეიბერტი იცდის ქვემოთ. იაკობამ თავზე ხელისგულები შემოიჭირა და გაყუჩდა. ამ ორი საათის განმავლობაში ერთხელაც არავის გახსენებია.

დილანდელი სტუმრების უმეტესი ნაწილი წასულიყო. დარჩენილიყვნენ მხოლოდ მედღეობეს ახლო მეგობრები, კანდიდატი ბალინგი და არონ იზრაელი დებითურთ. ბალინგს თავისი ლომის ფაფარი მაღლა აევარცხნა და როზალიას თავს ევლებოდა. სიხარულისაგან გაბრწყინებულ როზალიას ფილიპ სალომონისთვის ხელი გაეყარა და შუა ოთახში გამზადებული იდგა, რომ მაგიდასთან მისულიყო და როგორც იმდღევანდელ დედოფალს, მამის გვერდით საპატიო ადგილი დაეკავებინა. ეიბერტი მართლაც უკვე მოსულიყო. ოთახის მოპირდაპირე კუთხეში კი პერი იდგა და გულდამშვიდებით ესაუბრებოდა ივენს.

პერის დანახვაზე იაკობა დაუოკებელმა რისხვამ მოიცვა. მერე იფიქრა, ალბათ, იმიტომ დარჩა, რომ ეჭვი არ გამოეწვია და ჭორაობის საბაბი არავისთვის მიეცაო. და თუმცა უჭირდა მასთან ერთად ერთ ოთახში ყოფნა, ამ ტაქტიანი საქციელისათვის პერისადმი უნებლიეთ თანაგრძნობით განიმსჭვალა.

როცა მაგიდას უსხდებოდნენ, იაკობა შეეცადა, რაც შეიძლება

შორს დამჯდარიყო პერისაგან და თავს ისე იჭერდა, თითქოს პერი არც ყოფილიყოს იქ. მაგრამ არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ ვაჟი ჩვეულების წინააღმდეგ ძალზე ცოტას სვამდა. ნელა და დემონსტრატიულად შეავსო მან თავისი ჭიქა წყლით და ოდნავ შეაფერადა ღვინით. მაშინათვე შეამჩნევდით, რომ ამას განზრახ აკეთებდა, რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული და წინასწარ ზომებს იღებდა, მერე მთვრალად არ ჩამთვალონო.

გამყინავმა შიშმა დაუარა იაკობას, ნეტავ კიდევ რა ოინს ჩაიდენს ეს გადარეულიო.

მაგრამ სადილმა ძალიან მშვიდობიანად ჩაიარა, მერე კი საზოგადოებამ ბაღში გადაინაცვლა; ქალიშვილები სიმინდის ფუჩეჩში გაჩვეულ თამბაქოს აბოლებდნენ კაცები კი ბისმარკის გამოსახულებიან დიდრონ სიგარებს.

ფრუ სალომონი, ეიბერტი და არონ იზრაელი დებითურთ დახურულ ფანჩატურაში დასხდნენ, აქ დიასახლისი თავისი ხელით უმასპინძლდებოდა ყავით. მერე მათ იაკობა შეუერთდა. უეცრად კარებში პერის მხარბეჭიანი ტანი აღიმართა. უზრუნველი და მხიარული სახე, მეტისმეტად გამომწვევი პოზა ჰქონდა.

— გთხოვთ მომიტევოთ, ბატონო სიდენიუს, — მიმართა ფრუ სალომონმა, რომელიც ამ ბოლო დროს მეტისმეტად მკვახედ ექცეოდა თავისი ვაჟის თავხედ მეგობარს, — პაპიროსს აქ არ ეწევიან. ივენი სანაპიროზეა, თქვენ იქ მოგართმევენ ყავას.

პერი ჩუმად წავიდა, იაკობამ კი განცვიფრებით შეხედა დედას. თუმცა კმაყოფილი იყო იმით, რომ დედამ პერი გააძევა, მაგრამ ამ აბუჩადამგდებმა ტონმა, ცოტა არ იყოს, ააღელვა. ნუთუ დედა ხვდება? ადვილი შესაძლებელია, გამჭრიახი თვალი აქვს.

საერთოდ კი იაკობამ მტკიცედ გადაწყვიტა, თუ პერს არ აღმოაჩნდება იმდენი თავდაჭერა, რომ ამიერიდან მათთან აღარ მოვიდეს. ყველაფერი უთხრას მშობლებს, ყველაფერს ვიკისრებ, ოღონდ მეტად აღარ შევხვდე პერსო. მან დაღლილი, ატკივებული თავი ფანჩატურის ლარტყულიან კედელს მიაყრდნო, თვალები დახუჭა და წინასწარ ტკბებოდა იმ მშვიდობიანი და მოსვენებული ცხოვრებით, რომელიც მოწყალებას მოიღებს მასზე, როცა პერი მათთან სიარულს შეწყვეტს.

სწორედ ამ წუთს იაკობამ პერის სახელს მოჰკრა ყური. ეს არონ

იზრაელმა ჩამოაგდო საუბარი ორი კვირის წინათ „ფალკენში“ მოთავსებულ სტატიაზე და აღფრთოვანებული აზრი გამოთქვა „გაბედულ და შთაგონებულ განზრახვებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის ბედს ეხება“.

— ცხადია... თავისთავად... მე რა განმსჯელი ვარ, თუ რამდენად განსახორციელებელია... — თქვა მან, როგორც მუდამ იცოდა, დარცხვენით და ენის ბორძიკით, — მაგრამ ბატონი სიდენიუსი სერიოზულად ფიქრობს, რომ ასეთი გეოგრაფიული მდებარეობის და ასეთი აქამდე... უკეთესად როგორა ვთქვა... აქამდე გამოუყენებელი... უფრო სწორად, აქამდე გაუთვალისწინებელი ბუნებრივი რესურსების დროს ჩვენ განსაკუთრებული პირობები გვაქვს, რათა გავხდეთ პირველი რანგის ინდუსტრიალური სახელმწიფო... განსაკუთრებით, როცა თანამედროვე მანქანები, რომელთა შესახებაც ის ლაპარაკობს... ტალღური მანქანები და ქარის მოტორები, თუ რა ვიცი კიდევ რას უწოდებენ... როცა ისინი მთელი სიმძლავრით ამუშავდებიან. მე ვერ ვბედავ აზრის გამოთქმას საკითხის ტექნიკური მხარის შესახებ, მაგრამ მეტისმეტად მიტაცებს თვითონ იდეა... გარდაქმნა დასავლეთის ქარი, ტალღები, ქარიშხლები — ბუნების ძალები, დღემდე რომ ჩვენს უბოროტეს მტრებად ვთვლიდით — ჩვენი სიმდიდრის წყაროდ, ენერგიის დაუშრეტელ ჭად, რომელსაც ძალა შესწევს ჩვენი ყველაზე მწირი ბიწები აყვავებულ ელდორადად აქციოს — ზღაპარს ჰგავს.

არონ იზრაელის სიტყვებმა მსმენელთა შორის უცნაური დაბნეულობა გამოიწვია. ეიბერტმა დაძაბულად გაიღიმა. ფრუ სალომონმა მეტისმეტად თავგამოდებული გამასპინძლება დაიწყო. კანდიდატი ბალინგი, რომელიც ლაპარაკის დროს მიეპარათ, თანაგრძნობით შესცქეროდა ორატორს. მოხუცი ფრეკენ იზრაელებიც კი, არონის დები, მიხვდნენ ბოლოს, რომ მათმა ძმამ უცოდინარობით საჩოთირო თემა აირჩია. როცა არონი გაჩუმდა, ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა.

ეიბერტმა თავის მოვალეობად ჩათვალა დუმილის დარღვევა.

— კვლავ ზღაპრები და ზღაპრები, ჩემო ძვირფასო, ზღაპრები ჩვენს სამშობლოში საკმარისად მოიპოვება.

— უსმინეთ, უსმინეთ! — ბალინგს მკერდიდან ლომისებური ღრიალი აღმოხდა. საკმარისი იყო ბალინგს გაეგონა, რომ მისი დასწრებით ვინმეს აქებდნენ, მაშინვე სისხლის წყურვილი აიტანდა.

ასეთი ძლიერი მხარდაჭერის მიღების შემდეგ ეიბერტმა განაგრძო:

— ჩვენი ეროვნული ნაკლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მუდამ მივისწრაფით, გარეულ ბატებს დავეწიოთ. ეს გატაცება ძვირი დაგვიჯდა, როგორც პოლიტიკური, ისე ფინანსური თვალსაზრისით. ნათანმა, როცა უბედური შემთხვევის მსხვერპლად დაცემული ერთ-ერთი თავისი ნაცნობის ნეკროლოგი დაწერა, მარადიული ჭეშმარიტება თქვა: ჩვენს ქვეყანაში ადამიანები ფანტაზიორებად იბადებიან, ფანტაზიორებად ცხოვრობენ, ფანტაზიორებად ბერდებიან და ფანტაზიორებადვე იხოცებიანო.

არონ იზრაელი მდუმარედ იწიწკნიდა თავის თხელ წვერს. მერე კი მობოდიშების ტონით თქვა:

— იქნებ ეს თავისებური ცრურწმენაა? ჩემი შეხედულებით ჩვენი ახალგაზრდობის უბედურება... თითქმის ყველასი... იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მეტისმეტად — არ ვიცი როგორ გამოვთქვა— მეტისმეტად მიისწრაფიან მიწისაკენ და არ შესწევთ უნარი აფრინდნენ. როგორც პედაგოგს, შესაძლებლობა მქონდა ფრიად ზედმიწევნით შემესწავლა ჩვენი ახალგაზრდობა და ბევრჯერ განუცვიფრებივარ იმას, თუ რამდენად იშვიათად გამოდიან მათი მისწრაფებანი ყოველდღიური ცხოვრების ვიწრო ჩარჩოებიდან. ათიდან ცხრა შემთხვევაში მომავალზე მათი ოცნება. რომელიმე ფრიად უბრალო თანამდებობის მიღებას არ სცილდება,—ბურგომისტრის პოსტი იქნება, შემოსავლიანი საექიმო პრაქტიკა თუ სადმე ბუნების წიაღში პასტორის მყუდრო მამული. და ძალიან მაინტერესებს... კიდევაც მსიამოვნებს ისეთი ახალგაზრდის გაცნობა, როგორიც ბატონი სიდენიუსია, ახალგაზრდისა, ვინც ჭეშმარიტად მაღალი მიზნებისაკენ მიისწრაფის... თუ გნებავთ, ფანტასტიკურად მაღლისაკენაც.

— ნუ ვიკამათებთ ერთი სიტყვის გამო, — მოულოდნელად მკვახედ გააწყვეტინა ეიბერტმა. ფრუ სალომონმა სასწრაფოდ შესთავაზა სტუმრებს, კიდევ მიირთვით ყავაო, ხოლო არონ იზრაელის დები ისევ შეეცადნენ როგორმე ენიშნებინათ გატაცებული ძმისათვის, დაშოშმინდიო. — ვთქვათ, ნამდვილად უფრო მართებული იქნება, თუ ფანტაზიორებს კი არა, ღარიბი წარმოსახვის ხალხს გვიწოდებენ, ბოლო, ვაი რომ, — მაინც ერთი და იგივე იქნება.

ბალინგმა დაუყოვნებლივ დაადასტურა ეს სიტყვები შემთხვევის შესაფერისი ციტატით.

— დიახ, — ჩვენ — ბნელი ხალხი ვართ, ბუნდოვანი გონება და სუსტი ნებისყოფა გაგვაჩნია, — სულმოუთქმელად წამოაყრანტალა მან, თუმცა არ უთქვამს, საიდან ამოიღო ეს ფრაზა, სამაგიეროდ თვალებს გათანგულივით ატრიალებდა.

არონ იზრაელმა მოკრძალებით დაიცადა, კიდევ ვინმე ხომ არ იტყვის რამესო. როცა დარწმუნდა, რომ თავისი სათქმელი უკვე ყველამ თქვა, განაგრძო:

— ნუთუ ასე ცუდია, როცა ახალგაზრდა კაცი ოცნებობს? მე მინდა ვთქვა... განა იმიტომ არ გახდნენ დიდი ადამიანები ჩვენთვის დიდები, რომ ოცნება იცოდნენ? და საერთოდ — განა ამ ქვეყნად მომხდარა რაიმე დიადი, რის შესახებაც წინასწარ არავის ეოცნებოს? მთელი ჩვენი სინაძდვილე ფანტაზიას ეყრდნობა და...

— ღმერთმა დაიფაროს! — გაიცინა ეიბერტმა. — ეს ხომ სულ სხვა საქმეა. როცა ადამიანს შეუძლია არა მარტო ოცნება, არამედ თავისი ოცნებების ცხოვრებაში განხორციელებაც...

— ვერ განვსჯი, მაგრამ ჩემის აზრით ადამიანის პიროვნებისათვის პირველსა და მეორეს შორის არ არის დიდი განსხვავება. განა ოცნებაში, ისე როგორც სურვილში და იმედში — ოცნების მშობლებში, — თუკი შეიძლება ასე ითქვას, არ არის დაფარული ის უხილავი ძალა, ადამიანს რომ ეხმარება გადააბიჯოს მისი წარმოშობით, აღზრდით, ჩვევებით, მემკვიდრეობით და სხვა შემთხვევითობით მის წინაშე წარმოქმნილ ზღუდეებს და უკიდურეს შემთხვევაში გარეგნულად მაინც რამენაირად გადალახოს თვით ბუნების საზღვრები?! ბატონმა სიდენიუსმა კიდევაც რომ ვერ შესძლოს თავისი გაბედული განზრახვების შესრულება და მოსალოდნელია, ასეც იქნება... ისინი მაინც შეასრულებენ თავიანთ როლს მისი პიროვნების განვითარებაში, რაც, იდეალური თვალთახედვით სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანია.

— მაპატიეთ, ბატონებო, — ვერ მოითმინა ფრუ სალომონმა. მას თვალი არ მოუცილებია იაკობასათვის და არ გამოპარვია, რა დაძაბული ყურადღებით უსმენდა ქალი საუბარს, — ნუ გეწყინებათ და, გვინდა ცოტა გავისეირნოთ. ეტლი უკვე გვიცდის. ისიც კი მესმის, როგორ ატკაცუნებს მათრახს ჩემი ქმარი.

არონ იზრაელი შეკრთა. ყველანი აჩქარებით წამოიშალნენ და ფანჩატურიდან გავიდნენ. იაკობა ცოტა მოშორებით გაჰყვა სხვებს. როცა მარმარილოს კიბით აივანზე ავიდა, შეჩერდა და მოაჯირზე დაყრდნობილმა ჩაფიქრებით გახედა ზღვას.

ეკიპაჟი — ეს გახლდათ ფართო შარაბანი — სახლის წინ იდგა, კოფოზე მეეტლის მაგიერ ფილიპ სალომონი წამოჭიმულიყო ორ უმცროს ბავშვთან ერთად. როცა საქმე საქმეზე მიდგა, როზალიამ და მისმა ამხანაგებმა გადაწყვიტეს არსად არ წასულიყვნენ და კროკეტი ეთამაშათ. კანდიდატი ბალინგიც, ცხადია, მათთან ერთად დარჩა. არონ იზრაელმა და ძია ჰენრიხმაც უარი თქვეს გასეირნებაზე სალამოს ნესტის შიშით. ფილიპ სალომონმა ნანი მოიკითხა, მაგრამ ვერსად იპოვეს — ნასადილევს მაშინვე წავიდა, რადგან სადგურზე დიურინგთან პაემანი ჰქონდა დანიშნული. ამიტომაც შარაბანში პერისა და ივენისათვისაც დარჩა ადგილი, რასაც ფრუ სალომონი სულაც არ ვარაუდობდა. ის ცდილობდა როგორმე თავიდან მოეშორებინა ორივენი და ურჩია ბალინგისათვის მიებაძათ, ქალიშვილებთან ეარშიყათ, მაგრამ პერმა თავი ისე დაიჭირა, ვითომ მისი სიტყვები არ გაუგონია და ისე მტკიცედ ჩამოჯდა კიდეზე, ზამბარები აჭრაჭუნდა.

მზე ჩადიოდა. ტყის თავზე ცა მეწამულად შეიღება. ნიავიც კი არ უბერავდა. ჯერ ნაპირ-ნაპირ მიდიოდნენ, მერე ქვიშიან გზაზე ხეების ჩრდილისაკენ გადაუხვიეს და ფილიპ სალომონმა ცხენები ნაბიჯით მიუშვა.

საუბარი წუთითაც არ შეწყვეტილა. განსაკუთრებით ეიბერტი არ აჩერებდა პირს. პერს, პირიქით, სიტყვაც არ დასცდენია. იჯდა გამართული, მხოლოდ თვალებს დააცეცებდა მოუსვენრად აქეთ-იქით და დროდადრო სახეზე ფერი ეცვლებოდა ხოლმე. მას შემდეგ, რაც იაკობამ ჩრდილიან ხეივანში მიატოვა და უარით გამოწვეული ტკივილი ცოტათი დაუცხრა, განუწყვეტლივ ერთსა და იმავეს იმეორებდა: „მთავარია, არ დავმორჩილდე, მთავარია, არ დავმორჩილდე“. ძალიან ბევრ იმედებს ამყარებდა იაკობას თანხმობაზე, რომ ასე ერთბაშად ყველაფერზე ხელი აეღო. ეჩვენებოდა, თითქოს, მისი მომავლის მწყობრი შენობა ერთბაშად დაინგრეოდა, თუ ამჯერად ბედნიერება უღალატებდა. მაგრამ ეს მომავალზე ზრუნვა ნელ-ნელა უკანა პლანზე იწევდა და უფრო ის სწყინდა და იმით იყო გულგატეხილი, რომ იაკობას არ უყვარდა. აქამდე ვერ გრძნობდა, რა ბევრს

ნიშნავდა იაკობა მისთვის. თუმცა წინანდებურად ხედავდა, რომ მზეთ-
უნახავი არ იყო, მაგრამ იმის ფიქრი, რომ ეს ქალი სხვას ერგებო-
და, ვერ აეტანა. თავმოყვარეობა და შელახული თავმომწონეობა ბო-
ბოქრობდა მასში, მას კი ეგონა, მართლა სიყვარულისაგან ვკარგავ
ჭკუასო. პერი პირველად მიხვდა, რას ნიშნავდა სიტყვა „გალმერთე-
ბა". მეწამული ცისა და დიდებული პირქუში ხეების ფონზე შავი
კულულებით ჩარჩოშემოვლებული ვიწრო ფერმკრთალი სახე წმინ-
დანის სახედ ეჩვენებოდა და იმის გაფიქრებაზე, რომ მე კი ვერ
ავანთებ მიწიერი ვნებით სიბილას ღამესავით შავ, უძირო თვალებს,
ეს დონდლო ეიბერტი ან სხვა ვინმე თეეზისსისხლიანი შებღალავს
ამ მშვენიერ, ამაყ, უმანკო, სუფთა არსებასო, გაშმაგებისაგან თრთო-
ლა აიტანდა ხოლმე. არა, ეს არ მოხდება! პერი კბილებს აკრაჭუნებ-
და და თავისთვის იმეორებდა: „მთავარია არ დავნებდე. ადგა დრო,
გამოვცადო საკუთარი ცხოვრების დევიზი: მე ასე მ ი ნ დ ა! ან უნ-
და მოვიგო ბრძოლა, ან — დავნებდე".

ჯერ კიდევ არ იცოდა კარგად, როგორ მოეგო იაკობას გული.
გადაწყვიტა, შემთხვევის ნებას დანდობოდა, ხოლო მერე ისე მოქ-
ცეულიყო, როგორც გული უკარნახებდა. ბედმა თუმცა პატარა, მაგ-
რამ მაინც სიამოვნება არგუნა. სუფრაზედაც და სეირნობის დროსაც
ამჩნევდა, რომ იაკობა როგორღაც იბუზებოდა, როცა ეიბერტი ალერ-
სიანად ექცეოდა, ყოველნაირად ცდილობდა დაეფარა, რომ ეიბერ-
ტის ინტიმური ტონი აღიზიანებდა. მერე კიდევ ერთი რამ შენიშნა.
ერთ-ერთი ალაყაფის წინ, ტყეში მათ წინ რომ გაიღო, ღარიბულად
ჩაცმული ქალი ყვავილებს ყიდდა. ეიბერტმა იყიდა თაიგული და ია-
კობას გაუწოდა, თან თავაზიანად რაღაც უთხრა. იაკობამ ისე გამოარ-
თვა თაიგული, მადლობაც არ უთქვამს, პერის სასიხარულოდ მუხ-
ლებზე დაიდო და მთელი გზა ერთხელაც არ დაუყნოსია.

შორს როდვადი გამოჩნდა, ტყე უკან დარჩა. პირველად ლუნდ-
ტოფტის გზით მიდიოდნენ, მერე ფილიპ სალომონმა ცხენები მარ-
ცხნივ შემოაბრუნა და შემოსავლელი გზით ერმიტაჟესლეტენის გა-
ვლით გასწიეს შინისაკენ.

უკვე მთლად მოსაღამოვდა. დაბლობებში და ტბორებზე თეთრი
ნისლი დაცურავდა. ირგვლივ სიჩუმე იყო. ვრცელ ეკეზე ბგერაც
არ ისმოდა, მხოლოდ სადღაც შორს, ტყიდან მოდიოდა სიმღერის ხმა.
ცხენები აფრუტუნდნენ, ქალები მჭიდროდ გაეხვივნენ შალებში

და წამოსასხამებში. ცოტა ხნით მიჩუმებული საუბარი ხელახლა გამოცოცხლდა, როცა საზოგადოებამ გზის პირას კეთილშობილ ირემთა ჯოგი დაინახა, რომლებიც მშვიდობიანად წიწკნიდნენ ბალახს. დებმა იზრაელებმა ირმების დანახვისას გაიხსენეს ერთი შვედი ლუნდელი სტუდენტის ამბავი. ამ სტუდენტმა დადო სანაძლეო, ირმის ჯოგს დაეწევიო და უიარაღოდ დავიჭერ ერთ-ერთს, რომელსაც აირჩევთო. მთელი საათი დასდევდა ირემს ტყეში, სანამ გული არ გაუსკდა და მკვდარი არ დაეცა.

— ნუთუ პატივცემულ მანდილოსნებს გულწრფელად სჯერათ ეს ჭორი? — იკითხა ეიბერტმა დამცინავი ღიმილით. — მახსოვს, ჯერ კიდევ ბავშვობისას მსმენია რაღაც მაგის მსგავსი, მაგრამ მართალი გითხრათ, რაღაც არ მჯერა.

დებმა იზრაელებმა ყველაფერი გაიწყვიტეს, ეს სრული სიმართლეა, თავად წავიკითხეთ ამის შესახებ გაზეთ „დაგენშიო".

— მიუხედავად ჩემი თქვენდამი დიდი პატივისცემისა, მიჭირს დავიჯერო, — აღიზიანებდა მათ ეიბერტი. — არანორმალურ შვედსაც კი ძნელად ძოუვიდოდა თავში ასეთი სისულელე, თან ისიც გონს მოვიდოდა სირბილში და გულს არ გაიხეთქდა.

დების მონაყოლი პერს გულზე მოხვდა, და ისე მიიღო ეიბერტის დაცინვა, თითქოს ხელთათმანი ესროლათ მისთვის.

— ჩემის აზრით კი, დასაჯერებელი ამბავია.

რაკი პერმა დიდი ხნის და ჯიუტი დუმილის შემდეგ დაიწყო ლაპარაკი, თანაც ასეთი გამომწვევი ტონით, მისმა სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა ხალხი.

— მაშასადამე, ბატონო სიდენიუს, თქვენც გულუბრყვილოთა მოდგმისა ყოფილხართ. — შენიშნა ეიბერტმა.

— არა, მე მხოლოდ მჯერა, რომ მამაკაცი, რომელიც ოდნავ მაინც პატივს სცემს თავის თავს, თუკი რაიმეს მიზნად დაისახავს, ბოველთვის მიაღწევს, რადაც არ უნდა დაუჯდეს.

ამ დროს მან იაკობას შეხედა, მაგრამ ქალს მთელი გზის მანძილზე ისე ეპირა თავი, თითქოს პერის აქ ყოფნას ვერ ამჩნევდა და ამჯერადაც სადღაც განზე იყურებოდა.

— მაცდუნებლად და, თანაც იცით, შამაკაცურად ეღერს, — მოუპრა ეიბერტმა და ღიმილით გადახედა მანდილოსნებს. — ერთია მხოლოდ უბედურება: უმოწყალო ბუნებამ იმდენად გადაულახავი

საზღვრები დააწესა, რომ საკუთარი თავის პატივისმცემელი მამაკაცის სურვილებიც კი იძულებულნი არიან მათ წინაშე უკან დაიხიონ. თანაც, ღმერთმა ამ ცხოველს, იმდენადვე ლამაზს, რამდენადაც გემრიელს, მისცა ოთხი საუცხოო გრძელი ფეხი, მაშინ როცა ჩვენ, ადამიანები, იძულებულნი ვართ ორი ჯირკით დავკმაყოფილდეთ, რომლებიც სიარულს უფრო არიან შეგუებული, ვიდრე სირბილს.

— ლაპარაკია არა მარტო სიჩქარეზე, არამედ ამტანობაზეც. ამტანობა კი სასწაულებს ახდენს. ერთი სიტყვით, ბატონო ფაბრიკანტო, იცინის ის, ვინც იცინის ბოლოს.

ეიბერტმა წარბი აჭიმა, მიხვდა, რომ პერის სიტყვებში მუქარა იმალებოდა. სიბრალულნარევი ზიზღით ზურგი შეაქცია და არაფერი უპასუხა.

— სხვათა შორის, — ასე დაიწყო მან და ქალებს მიუბრუნდა,— თითქოს ახალგაზრდობაში მეც გადამხდა ამბავი, რომელიც ცოტათი მაგონებს ამ შვედი სტუდენტის ისტორიას, თუმცა ჩემი ამბავი ასე ტრაგიკულად არ დამთავრებულა. მახსოვს, მე და ჩემი მეგობრები არიფანას შემდეგ ტყიდან ვბრუნდებოდით, კლამპენბორგთან კარეტა დავიქირავეთ და სანაპიროს გაყოლებით შინისაკენ გავწიეთ. ერთი მეგობარი გვყავდა, არასოდეს გამოტოვებდა შემთხვევას, რომ თავისი ძალით არ ეტრაბახა. მან ასეთი სანაძლეო შემოგვთავაზა: უკანასკნელ ნახევარ მილს სულ კარეტის გვერდით ვირბენ და რაც უნდა მაგრად გარეკოთ ცხენები, კოპენჰაგენში თქვენთან ერთად მივალო. ჩვენ, რასაკვირველია, მივიღეთ სანაძლეო. როგორც კი მივაღწიეთ კონსტანციას, ის კარეტიდან გადმოვიდა და გაიქცა. ჩვენი ცხენები ჯაგლაგები იყვნენ, რაც არ უნდა გაგერეკათ, მაინც ძლივს მიჩაქჩაქებდნენ; ასე რომ, ამ შეჯიბრებაში არაბუნებრივი არაფერი იყო, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ ჩემი მეგობარი საბერველივით აქშინდა, ხოლო ათი წუთის შემდეგ სულაც გაჩერდა და დიდის ამბით განაცხადა, მეტი სირბილი არა მსურს, რადგან „საწყალი ცხენები მეცოდებიანო“. მერე კი თავისი თავით საშინლად კმაყოფილმა რამდენიმე არანაკლებ სამართლიანი სენტენცია წარმოთქვა იმის შესახებ, თუ რა სულმდაბლობა და ამორალურობაა პირუტყვის აბუჩად აგდება. ბოლოს გულდამშვიდებით მოგვიჯდა გვერდით.

მოთხრობას საყოველთაო მოწონება ხვდა. მოხუცი მანდილოსნები ხარხარებდნენ, ხოლო ფილიპ სალომონი მობრუნდა და თქვა:

— თუ ის კაცი კიდევ ცოცხალია, მე, როგორც ცხოველთა მფარველობის საზოგადოების მმართველობის წევრი, წინადადებას შევიტანდი გამოეჭედათ მედალი მისი გამოსახულებით.

პერს სიბრაზისაგან ცივმა ოფლმა დაასხა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ეიბერტი მთელ ამ ისტორიას მის ჯიბრზე მოყვა და თუმცა საერთო მხიარულებაში იაკობა არ მონაწილეობდა, მეტოქის ზეიმს მოთმინებიდან გამოჰყავდა, ფარულად საშინელ შურისძიებას ამზადებდა. როცა მოხუცმა ქალიშვილებმა, იზრაელებმა სიცილი მოათავეს, მან თქვა:

— მთელი გულით ვწუხვარ, ბატონო ფაბრიკანტო, რომ ასე ადრე დაგეკარგათ ნებისყოფის რწმენა. მინდოდა თქვენთვის ერთი შეკითხვა მომეცა: შეიძლება თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ ხელახლა შეიძენთ დაკარგულ რწმენას, თუ სხვა ვინმე შეასრულებს იმას, რაც თქვენმა მეგობარმა ვერ შესძლო?

ეიბერტმა ხელახლა აჭიმა წარბები.

— რას ნიშნავს ეს? არ მესმის.

— მე გეკითხებით, აღიდგენთ თუ არა დაკარგულ რწმენას, თუ ვინმე სხვა შეასრულებს იმას, რაც ვერ შესძლო თქვენმა მეგობარმა-მეთქი? თუკი, მზად ვარ ეს თავზე ვიდო, პირდაპირ აქვე, ახლავე.

პასუხსაც არ დალოდებია, მიწაზე გადახტა და შარაბანს სირბილით მიჰყვა.

ფილიპ სალომონმა ცხენები შეაჩერა და საკმაოდ მკვახედ უთხრა:

— ბატონო სიდენიუს... გთხოვთ... ჩაბრძანდეთ კარეტაში.

მაგრამ პერმა კადნიერად მიუგო:

— ნუ ღელავთ, ბატონო სალომონ. ჩემთვის ფეხების გამართვა სასარგებლოც კია. ნუ დაგავიწყდებათ, რის შესახებ არის ლაპარაკი. ძნელი წარმოსადგენია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ღმერთის, მეფისა და სამშობლოსათვის, ჩვენი ფოლკეტინგის ხოლბეკის ოლქის დეპუტატმა ხელახლა მოიპოვოს რწმენა ადამიანის ნებისყოფისა. ჩემს გულზე კი ნუ შეწუხდებით. აიტანს.

— სულ ერთია, ბატონო სიდენიუს, — თქვა ფილიპ სალომონმა უკვე თითქმის ბრძანებით, — ნებას არ მოგცემთ კარეტის გვერდით ირბინოთ.

— თუ ასეა, ჩემის აზრით, უკეთესიც იქნება ცოტათი გაგისწროთ წინ.

შლიაპა ჩამოიფხატა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გაიქცა. ფილიპ სალომონმა ძალიანაც გააჭენა ცხენები, რათა პერს დასწეოდა, მაგრამ ის რამდენიმე წუთის შემდეგ სქელმა ნისლმა დაფარა.

— არა, პირდაპირ აუტანელი გახდა, — ჩაიბურტყუნა ბრაზით გაჭარხლებულმა ფილიპ სალომონმა და ცხენებს მათრახი გადაუჭირა.

ახლა კი ფრუ სალომონი ალაპარაკდა.

— ნუ აწვალებ ტყუილუბრალოდ ცხენებს, — უთხრა მან ქმარს. — ბატონი სიდენიუსი მთელ საღამოს უხერხულად გრძნობდა თავს და რამდენადმე თავისებური საბაბი მოიმიზეზა, რომ დაეტოვებინეთ. აქედან პირდაპირი გზით შეიძლება სადგურამდე მისვლა, თუ ტყეს გადაჭრი.

მისი ნათქვამი ყველას სარწმუნო ეჩვენა: თუმცა ცხენები სასტიკი ჩორთით მიჰქროდნენ, პერი არ ჩანდა, მოკლე გზის არჩევა მას არ შეეძლო, ყველაზე უფრო მოკლე გზით ისინი მიდიოდნენ, თანაც დიურეხავენის ტყე ყოველი მხრიდან შემოზღუდული იყო.

ქალიშვილებს, იზრაელებს, ძალიან გაუტყდათ პერზე გული. თავი ვერ შეიკავეს და ფრუ სალომონს წასჩურჩულეს, ამ ახალგაზრდამ თავის დაჭერა არ იცისო. ივენი რომ ივენია, მანაც კი გაიცხა პერის საქციელი, ხოლო ეიბერტმა ღიმილით მისცა თავს ნება, შენიშვნა გაეკეთებინა იმის შესახებ, თუ რა მიზეზებს შეეძლო აეძულებინა პერი, ასე ჩქარა მიეტოვებინა საზოგადოება.

მდუმარე იაკობა შვეციის სანაპიროებზე ამოსულ სისხლივით წითელ მთვარეს მისჩერებოდა, როგორც ეტყობოდა, მთელ ამ ინციდენტს მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მაგრამ სულის სიღრმეში თავს ძალიან დამცირებულად და თანაც ისე თავისუფლად, ისე უსაზღვროდ თავისუფლად გრძნობდა, მზად იყო ჭმაშაღლა გადაეხარხარა. მას შემდეგ, რაც მიხვდა, რომ პერის შეგნებული და მეთოდური დევნის ობიექტი იყო, თუმცა პერის საქციელს ხშირად აღშფოთებაში მოჰყავდა, იაკობა ჭეშმარიტად გულის კანკალით ელოდა მამაკაცური ვნების მძაფრ გადმოსკდომას. მაგრამ ჭექა-ქუხილმა გვერდით ჩაუარა და მთელი „შავმიწა ძალები“ მხოლოდ სულელურ, ლაწირაკულ საქციელში დაიხარჯა.

ამასობაში ისინი სპრინგფორბს გასცილდნენ და კვლავ სანაპი-

როს გაპყვნენ. სრუტიდან მსუბუქი ნიავი უბერავდა. ნისლი გაიფანტა და ცხენების თავების ირგვლივ მუმლი აცეკვდა.

სახლამდე მისვლას აღარაფერი უკლდათ, რომ უეცრად ფილიპ სალომონმა ცხენები შეაჩერა.

— რა მოხდა? მგონი ლუიზა მორბის. ნეტავი ხომ არაფერი შეემთხვათ?

მათ შესახვედრად რომელიღაც მოსამსახურე მოჰქროდა და ფილიპ სალომონმა შორიდანვე დაუყვირა:

— რა მოხდა?

— ოი, ოი... ეს... ეს... ბატონი სიდენიუსი...—წამოისროლა სულშეგუბებულმა ქალიშვილმა.

— ჩვენთან არის თუ? — ერთბაშად ჰკითხა სამმა თუ ოთხმა კაცმა.

— ჩვენთან, ჩვენთან. რაღაც უბედურება დაატყდა თავს. ექიმთან გამგზავნეს.

— ღმერთო დიდებულო, რა მოუვიდა? — გაფითრდა ივენი.

— ოი, არ ვიცი... ბატონ სიდენიუსს გული შეუწუხდა, ხოლო ბატონმა დიურინგმა წვეთები დაალევინა, რომელიც ფრეკენს ედო მაგიდაზე, მაგრამ არა მგონია, გონს მოსულიყო.

ფილიპ სალომონმა ჩუმად მოიკვნიტა სქელი ტუჩი და ცხენებს მათრახი გადაუჭირა. ისიც გაფითრდა. ფერწასულები და მდუმარენი მიუახლოვდნენ სახლს.

მათ შესახვედრად შეშინებულ ქალიშვილთა გროვა გამოცვივდა, ხოლო კარებში აროონ იზრაელი, ბალინგი და ნანი შეეგებნენ; წამის შემდეგ დიურინგმა გამოიხედა, ბოლოს კი თავად პერი გამოჩნდა. თუმცა პერი მიტკალივით გათეთრებულიყო, პერანგი დაჭმუჭნოდა, სამაგიეროდ სახე გაბრწყინებოდა და ღიმილით გაბადროდა.

— როგორც ხედავთ, ბატონო ფაბრიკანტო, სიტყვა არ გამიტეხია, — მოზეიმე ტონით წამოიძახა მან ჯერ კიდევ კარეტის გაჩერებამდე.

— ახ, მაშ ეს სანაძლეოა! — ერთხმად წამოიძახეს ქალიშვილებმა და კარეტას შემოერტყნენ.

— ნება მოგვეცით შევიტყოთ, რაზე დანაძლევდით? — იკითხა ნანიმ.

იგი კიბის ქვედა საფეხურზე იდგა და ეშმაკური თვალებით ხან ეიბერტს მისჩერებოდა, ხან იაკობას.

ივენი შარაბანიდან გადმოხტა და შეშინებულმა პერს ხელი სტაცა.

—სიდენიუს! თქვენ ხომ გული შეგიწუხდათ!

— აჰ, არაფერია, ცოტათი თავბრუ დამეხვა. შევცდი. როგორც ვხედავ, სულაც არ ყოფილა საჭირო აჩქარება.

ამასობაში შარაბანიდან ისევე ჩუმად გადმოვიდნენ დანარჩენებიც. მხოლოდ ფილიპ სალომონმა გაბრაზებით ესროლა მეჯინიბეს სადავე და თქვა:

— ქრისტიანი დაადევნე ლუიზას, — წეღან შემოგვხვდა. უთხარი, ექიმის შეწუხება არ არის საჭირო-თქო.

შემდეგ მთელი საზოგადოება ნახევრადბნელ ვესტიბიულში შეიკრიბა, სადაც ახალგაზრდობამ ისე ცხარედ დაიწყო მომხდარი ამბის ყოველნაირად განსჯა, როგორიც მუდამ თან სდევს გადატანილ შიშს. ყველაზე მეტს ივენი ლაპარაკობდა. თავისი მეგობრის გმირულმა საქციელმა უცებ აღაფრთოვანა და ნანის და დიურინგს აიძულებდა დაწვრილებით ეამბნათ, როგორ გამოვიდნენ ისინი ტყიდან, როგორ დაინახეს პარმაღზე პერი, რომელსაც კრინტის დაძვრის თავიც არ ჰქონდა, როგორ შევიდნენ შინ, ერთად გაიარეს ოთახები და როგორ შეუწუხდა პერს გული.

ეიბერტი ტანსაცმლის საკიდარის გვერდით იდგა და იაკობას გახდაში შველოდა. როცა ქალიშვილს აკანკალებულ მხრებიდან მოკრძალებით მოხსნა მოსასხამი, გაოცებული მიაჩერდა იაკობას.

— მოლად გავიყინე, — თქვა იაკობამ, რომ რითიმე განემარტა დაუოკებელი ნერვიული ჟრჟოლა, რომლისგანაც კბილს კბილზე ვერ ადგამდა და მაშინვე ზემოთ, თავის ოთახში გაეშურა.

თუმცა პერი იცინოდა და ისე ეჭირა თავი, თითქოს დაავიწყდა იაკობას არსებობაო, წუთითაც არ გამოპარვია ქალი მხედველობიდან. უაღრესად აღგზნებულ მდგომარეობაში მყოფმა თავს სიტყვა მისცა, დღეს საღამოსვე ერთხელ კიდევ მოლაპარაკებოდა ქალს, თუნდაც ამისათვის აივნიდან მის ოთახში გადაძრომა დასჭირვებოდა. მაგრამ შენიშნა, მოსასხამს რომ იხდიდა, იაკობამ ეიბერტის თაიგული ფანჯრის რაფაზე დადო, ხოლო მერე დაავიწყდა კიდეც და წამსვე ამ საბაბს მოეჭიდა.

— ფრეკენ იაკობა, ფრეკენ იაკობა! — მიაძახა იაკობას. — ყვავილები დაგავიწყდათ, — და თაიგულით ხელში ორი ნახტომით კიბეზე აფრინდა. მაგრამ ვერ მოასწრო არბენა. იაკობა სწორედ უკანასკნელ საფეხურზე ადიოდა და, უკან მოუხედავად, მადლობის უთქმელად გაუწოდა ხელი თაიგულისათვის.

იაკობას თაიგული არ აუღია, პერმა ხელი სტაცა მის ხელს და, როგორც კი დარწმუნდა, ზემოთ არავინ იყო, ხელისგულზე ტუჩებით დაეკონა. იაკობას ფეხები მოეკვეთა. იმდენი ძალაც კი არ ეყო, რომ ხელი გამოეტაცა. ეს რომ შეამჩნია, პერი მაშინვე მის გვერდით გაჩნდა და ქალს მკლავები მოხვია.

— გიყვარვართ? — ეჩურჩულებოდა მისკენ დახრილი. — ხომ მართლა გიყვარვართ? ჩემი იქნებით?

იაკობას ძალა გამოელია. ტკბილმა თრთოლამ დაუარა მთელ ტანში და მისმა ხელებმა უნებლიეთ მონახეს პერის ხელები.

— იქნებით ჩემი? — გაუმეორა პერმა. — მიპასუხეთ.

— კი, კი, კი, — ჩაიჩურჩულა იაკობამ და თავით პერს მხარზე მიეყრდნო, რადგან ამ ოფლიანი, გახურებული სხეულის სუნისაგან გონება ეკარგებოდა.

— ხვალ დილით მოვალ და დაწვრილებით მოვილაპარაკოთ ყველაფერზე.

პერმა ერთხელ კიდევ მიიკრა გულზე იაკობა, გიგანტური ნახტომებით ჩავიდა კიბეზე და ვითომც აქ არაფერიაო, ვესტიბიულში სხვა სტუმრებს შორის დადგა.

მთელი ეს ამბავი წუთზე მეტხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ როგორც კი მიხვდა პერი, გამარჯვება უკვე მოვიპოვეო, წ. ნანდელი სიმშვიდე და სიმტკიცე დაუბრუნდა. ისე ემუსაიფებოდა სტუმრებს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ხოლო შემდეგ ტერასაზე გავიდა, სადაც ჩაისთვის უკვე გაეწყოთ სუფრა.

მაგრამ დღევანდელი ნერვიულობის შედეგებმა ნელ-ნელა იჩინა თავი. ახლა, როცა სასიკვდილო ნახტომი გაკეთებული ჰქონდა, პერს ვერ ფაეგო, როგორ შესძლო ამის გაბედვა. როცა გონების თვალით წარსულს გადახედავდა, თვალთ უბნელდებოდა, როცა მომავალში იყურებოდა — თავბრუ ეხვეოდა. ვერ ბედავდა მომხდარის დაჯერებას. ნუთუ შესაძლო იყო, ფულად გაჭირვებას სამუდამოდ მოღებოდა ბოლო? პეტერ სიდენიუსი, ღარიბი პასტორის შვილი, მთე-

ლი მილიონების თანამფლობელი უნდა გახდეს? დიახ, დიახ, სწორედ ასეა! ჯადოქრული ჯოხი მის ხელთ არის. ზღაპრული სასწაულებით აღსავსე სამყარო მის წინაშე გადაიშალა.

თუმცა პერი მშვენივრად ფარავდა, რომ მეტისმეტად იყო აღგზნებული, დამსწრეთაგან ბევრი, განსაკუთრებით ხანში შესული სტუმრები მიხვდნენ, რომ კიბეზე რაღაც მეტად მნიშვნელოვანი მოხდა — იაკობას იქ არყოფნა ამტკიცებდა ამას. ამიტომაც ატ?ოსკეერო მაგიდასთან სულ უფრო მძიმე ხდებოდა და ბოლოს სულ აუტანელი შეიქნა. მკვდარივით გაფითრებული ეიბერტი ჩუმად დაბორიალობდა ოთახში, რამდენჯერმე პერს მიუახლოვდა, ამ დროს ისეთი სახე ჰქონდა, ყველა ღელავდა. მხოლოდ კანდიდატი ბალინგი, როგორც მუდამ, ვერაფერს ხვდებოდა, ამაყად მიდი-მოდიოდა დარბაზში და ხმამაღლა მსჯელობდა ლიტერატურაზე, თანაც იდუმალად ელოდა, როდის მთხოვენ, ლექსების კითხვით დავატკბო საზოგადოებაო.

ბოლოს გამოჩნდა მოსამსახურე ქალი და დიდი ხნის ნანატრი ცნობა მოიტანა. ეტლი, რომელსაც სტუმრები სადგურზე უნდა წაეყვანა, უკვე მორთმეულიაო. ყველა აჩქარებით გამოემშვიდობა მასპინძლებს.

— აბა, ფილიპ, რას იტყვი? — ასეთი სიტყვებით მიმართა ფრუ სალომონმა თავის ქმარს, როცა ბოლოს და ბოლოს მარტონი დარჩნენ.

— ჰო, ლეა, მართალი ხარ. ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს. ეს მთლად შეურაცხადი სუბიექტია ვიღაც.

— ხომ გაფრთხილებდი?

— ხვალ ივენს მოველაპარაკები. დაე შეიგნოს ბოლოს და ბოლოს, რომ ჩვენ აღარ შეგვიძლია ამ კაცის მიღება.

— ვშიშობ, რომ დააგვიანე!.. აბა დაჰკვირვებოდი ერთი დღეს იაკობას!

როგორც კი ეტლი დაიძრა, ნანი ზევით ავიდა; მან ჩუმად მიიჩქარინა დის ოთახის კართან და ყური მიუგდო, მაგრამ შიგნით სიჩუმე იყო, მაშინ ნანიმ გასაღების ხვრელში შეიჭვრიტა და დაინახა, რომ იაკობას ოთახში ბნელოდა. აქედან დაასკვნა, ეტყობა უკვე დაწვაო და მთლად გულგატეხილმა თავისი ოთახისაკენ გასწია.

მაგრამ იაკობა ჯერ არ დაწოლილიყო. მან გამოაღო აივნის კარი და მთვარის შუქზე დაძაბული უსმენდა ეტლის ბორბლების ხმას, რომელსაც პერი მიჰყავდა. უკანასკნელი ნახევარი საათის განმავლობაში სახე თითქოს დაუბერდა და რაღაც ახალი, გულჩათხრობილი, ნაღვლიანი გამომეტყველება გაუჩნდა. სანამ ტყეში ბორბლების ხმა არ მიწყდა, იაკობა ქანდაკებასავით იდგა.

მერე ოთახში დაბრუნდა, კარი მიიხურა, რამდენიმეჯერ გაიარ-გამოიარა წინ და უკან, დივანზე დაჯდა და სახეზე ხელები აიფარა.

დიდხანს, დიდხანს იჯდა უძრავად სირცხვილითა და სასოწარკვეთილებით გატანჯული. მაშ, აი, როგორ დამთავრდა ყოველივე! აი სადამდე მიიყვანა განდგომამ, რომელიც ასე დიდ შრომად და თავისთავის ძალის დატანებად დაუჯდა. ასე საძაგლად, ასე დამახინჯებულად განხორციელდა მის ცხოვრებაში სიყრმის ოცნება — ოცნება გმირ შეყვარებულზე.

იაკობა არ ცდილობდა შეელამაზებინა მიზეზები, რომლებმაც ისინი პერის ხვევნამდე მიიყვანეს, არ უმტკიცებდა თავის თავს, რომ ოდესმე შესძლებდა განთავისუფლებას ამ ხორციელი ძრწოლისაგან. არა, იაკობას მშვენივრად ესმოდა, რომ ახლა მთლიანად პერის გავლენის ქვეშ იყო. და თუ იმაშიც გამოტყდებოდა, რომ ყოველივე მისი ნების გარეშე მოხდა, ამით უფრო მეტად ეჭრებოდა თავი. გამოსავალი არ არსებობს. მისი ბედი გადაწყვეტილია. თუმცა მათი შეხვედრა სულ რამდენიმე წამს გრძელდებოდა, მას პერის მკლავები ეხვეოდა, პერის ტუჩები ეხებოდა იაკობას ტუჩებს და სიყვარულის განუცდელი ტკბობის წინათგრძნობამ გამსჭვალა მთელი მისი არსება, — შეიძლება ჩაითვალოს, რომ სანახევროდ ის ახლაც პერს ეკუთვნის.

კარზე ფრთხილად დააკაკუნეს და ოთახში ნანიმ შემოყო თავი.

— ოჰ, ოჰ, გთხოვ მომიტევო, შენ, თურმე, მთვარის შუქზე ოცნებობ?

— რა გინდა?

— კიდევ ერთხელ გთხოვ მაპატიო. მივხვდი, რომ არ გეძინა... იცი რა, ხომ არა გაქვს რამდენიმე ზედმეტი სარჭი?

— ნახე თავად.

ნანის ღამის პერანგი ეცვა, ჩუმი, კატის ნაბიჯით გაირბინა ოთახი და კომოდის უჯრის ქექვა დაიწყო. მერე უეცრად კომოდისაკენ

ხურგით მიბრუნდა და გამოწეულ უჯრაზე ჩამოჯდა. მთვარის შუქი ისე ატანდა პერანგის გამქვირეალე ქსოვილში, რომ მკაფიოდ ჩანდა მისი სხეულის ყველა ხაზი.

ანიმ წინ წამოიწია და შემპარავი ხმით, ცოტა შიშითაც ჰკითხა:

— ნება მომეცი შეგეკითხო... მოგილოცოთ?

იაკობას ხელ-ფეხი გაუცივდა.

— რა უნდა მომილოცოთ?

— ბოდიში, გეთაყვა. ალბათ, ეს საშინელი საიდუმლოა. მხოლოდ გირჩევ, მომავალში უკეთესად შეინახო შენი საიდუმლო.

— საიდუმლო? რომელი საიდუმლო? არაფერი მესმის.

— ოჰ, გთხოვ, ნუ ისულელებ თავს, ხომ არ შეიძლება გავიგოთ, რა საქმეებს არჩევდი კიბეზე ბატონ სიდენიუსთან ერთად?

იაკობას ამ სიტყვების გაგონებაზე თავბრუც კი დაეხვა. — სიდენიუსი! რა სახელია! ფრუ სიდენიუსი! აბა ერთი წარმოიდგინოს!

— ახლა ეს სულელური შეჯიბრი? — გამანადგურებელი, დამცინავი კილოთი განაგრძო ნანიმ. — ჰმ, ჰმ! მაშინვე საეჭვოდ მეჩვენა.

იაკობა მკაცრად გაიმართა წელში.

— ჩემის აზრით, შეგიძლია ყველაფერი გაიგო თუნდაც ახლავე. დიახ, მე სიტყვა მივეცი. სწორედ მას, ვიზეც ახლა ლაპარაკობდი. აი მთელი საიდუმლო, რახან ასე გაინტერესებს.

დუმილი.

— რახან ასე მაინტერესებს? მაშ სხვანაირად როგორ შეიძლება? რასაკვირველია, მე ძალიან მოხარული ვარ.

— აჰ, ძალიან მოხარული ხარ...

— რა ტონით ლაპარაკობ, ვერ გაბედავ? რატომ არ უნდა მიხაროდეს... ახ, ჰო, მივხვდი... იქნებ გგონია, რომ მე თვითონ... გამახსენდა, გამახსენდა, შენ კიდევაც მაჯავრებდი სიდენიუსით. შეგიძლია სულაც არ იღელვო. არ შეგედავები, ყოველთვის ძალიან მომწონდა შენი საქმრო, ოაგრამ ჩემის აზრით, თქვენ უფრო უხდებით ერთმანეთს.

იაკობამ ყური ცქვიტა.

— რატომ ფიქრობ ასე?

— როგორ აგიხსნა... აი თქვენ, ორივე, ასე ვთქვათ, მაღალი გატაცების არსებანი ხართ, მე კი, როგორც ცნობილია, საწყალი, ბრიყვი, ჩვეულებრივი არსება ვარ, ქარაფშუტა, ცმუტია, თავად გითქვამს ხში-

რად ეს ჩემთვის. რა ლაპარაკი ატყდება ახლა... ეიბერტი კი, საწყალი ეიბერტი...

იაკობა მოუთმენლად წამოდგა სავარძლიდან.

— იცი, ნანი, უკვე გვიანია. მთლად ტიტველი ხარ და ალბათ, გცივა.

— გიშლი? ღმერთო მოწყალეო, მაშინ, ცხადია, წავალ! მაშინ წავალ!

მაგრამ ნანი კიდევ იჯდა ცოტა ხანს, მერე ადგა და იმავე შეჭპარავი, კატის ნაბიჯით, ფეხშიშველი ოთახიდან გასრიალდა. კარებში ერთხელ კიდევ შემობრუნდა და დასძინა:

— მაინც რა პრანჭია ხარ. სხვა შენს ადგილზე ბევრად საინტერესოდ მოყვებოდა ყველაფერს. მე კი მიხაროდა, ლაპარაკით გულს ვიჯერებ-მეთქი. ჩემთვის, იცოდე, უკვე კარგა ხანია დროა, უფროსი, გაცილებით გამოცდილი დისგან მივიღო ცოტაოდენი დარიგება იმ შემთხვევისათვის, თუ მეც ჩავვარდები ასეთსავე მდგომარეობაში, როცა იძულებული ვიქნები ტუჩები გავუწოდო რომელიმე ულვაშებიან ტიპს.

— მაპატიე, მაგრამ, ნამდვილად ძალიან დავიღალე, — შეაწყვეტინა იაკობამ და გახდა დაიწყო.

— თანაც თავი ისე გიჭირავს, თითქოს ერთი უკარება წმიდანი ვინმე იყო. ნუ ცრუობ, გეთაყვა, ვითომც ახლა დაწვები... მეც დაგიჯერე, რაღა. დღესვე მისწერ წერილს, გადაუშლი ღამის სიჩუმეში შენს გულს, მოეხვევი მას კალმისა და მელნის შემწეობით და ფილის ფოსტით ათას კოცნას გაუგზავნი. ამიტომაც, დაიკო, ძვირფას რჩევას მოგცემ. პირველად ცოტა თავშეკავებული იყავი. და საერთოდ, თავს ნუ დაკარგავ. გახსოვს, რა მოუვიდა რებეკას დანიშვნის შემდეგ? საქმრომ იმდენი აკოცა, ტუჩების შეღებვა დასჭირდა. რამდენადაც მამაკაცებში ვერკვევი, შენი საქმრო კოცნის დიდი მოყვარულია. ღამე მშვიდობისა, ჩემო ბედნიერო დაო! მაინცდამაინც ძალიან სასიამოვნო სიზმრებს არ გისურვებ.

თავი X

გავიდა ერთი დღე — მეორე და პერმა იფიქრა, თუმცა იაკობას თანხმობა გამოვგლიჯე, მაინც ძალიან ცოტათი წავიწიე წინო. ჯერ ერთი, იაკობამაც და მისმა მშობლებმაც, ამ უკანასკნელებმა „კატე-

გორიულად“, მოითხოვეს, რომ ნიშნობა ჯერჯერობით საიდუმლოდ შეენახათ, ყოველ შემთხვევაში, ახლობლების გარდა არავისთვის ეთქვათ ამის შესახებ. მეორეც, იაკობა მეტისმეტად ბოროტად იყენებდა მის მოთმინებას: ქალის ახირებას და კაპრიზებს ბოლო არ ჰქონდა. რამდენჯერმე მომხდარა, პერი სკოვბაკენში მოვიდოდა, იაკობა მოიმიზეზებდა, ცუდად ვარო და სულაც არ გამოდიოდა მასთან. და თუმცა საღამოობით, როცა მარტონი რჩებოდნენ, იაკობა ზოგჯერ მოულოდნელი აღგზნებით იღებდა მის ალერსს, ეს არ ცვლიდა მდგომარეობას. პერი კარგად იცნობდა ქალებს, ამიტომ არ გამოპარვია, რა მჭიდრო კავშირიც იყო ამ ვნებიან აღტაცებასა და შეურაცხმყოფელ სიცივეს შორის, რომელიც ამ აღტაცებას ეოჰყვებოდა ხოლმე. მიხვდა, რომ თუ კიდევ დამთმობი იქნებოდა, ეს ხეირს არ დააყრიდა.

და აი ერთი კვირის შემდეგ მან ტაქტიკა შეიცვალა: დაბნეული და გულგრილი გახდა, მიდიოდა და მოდიოდა, როცა მოესურვებოდა, ხოლო მერე, რამდენიმე დღეს თვალით არ დაენახვებოდა.

„დაუმორჩილებლებს შიმშილით ათვინიერებენ“, — ფიქრობდა პერი. ახლა სწორედ დროა გამოირკვეს, შესწევს თუ არა მას იმისათვის საჭირო ძალა, რომ ადამიანებზე იბატონოს და თავის თავს მათი ნება დაუმორჩილოს.

როცა პერმა პირველი დღე გამოტოვა, იაკობამ შვებით ამოისუნთქა, მეორე დღეს — გაუკვირდა; მესამეს — შეწუხდა და გადაწყვიტა წერილი მიეწერა, შეეტყო, ავად ხომ არ იყო; მაგრამ როგორც კი კალამი ხელში აიღო, ქვემოთ, ბაღიდან მისი მაღალი ხმა მოისმა. ხელახლა დაუბრუნდა ადრინდელი განწყობილება და თუმცა გული შიშით აუძგერდა, ერჩია პერი სადმე მოშორებით ყოფილიყო. იაკობას დანახვაც კი არ უნდოდა მისი. დედამ მასთან ზევით რომელიღაც უმცროსი და-ძმათაგანი გაგზავნა, რომ პერის მოსვლა ეცნობებინა, მაგრამ იაკობა ადგილიდან არ დაძრულა და პერისთვის განკუთვნილი ქაღალდის ფურცელზე წერილის წერა დაიწყო თავის საზღვარგარეთელ მეგობარ ქალთან.

იაკობა მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ ჩავიდა ქვევით. პერი მის დანახვაზე მოურიდებლად გაიკრიჭა და არც უფიქრია განემარტა, ასე დიდხანს რატომ არ მოვიდა. თითქმის მთელი საღამო საბილიარდოში ივენთან და ძია ჰენრიხთან ერთად გაატარა და აშკარად

ეტყობოდა, თავს მეტისმეტად კარგად გრძნობდა. ჩაის შემდეგ მაშინვე გამოემშვიდობა, ისე რომ მთელი საღამოს განმავლობაში მათ ცალკე ლაპარაკიც კი ვერ შესძლეს.

ეს ღამე გარდატეხის ღამე იყო მათ ურთიერთობაში. რამდენიმე საათის განმავლობაში ზედიზედ იაკობა თავის საწოლ ოთახში ბოლთასა სცემდა და თავს მწარედ ებრძოდა. უმტკიცებდა თავს, დროა გავწყვიტო უღირსი კავშირი, რომელმაც არა მარტო ურთიერთობა გამიფუჭა მშობლებთან და მეგობრებთან, არამედ ჩემი თავისადმი პატივისცემის უკანასკნელ ნარჩენებსაც მართმევსო. გათენებისას მაგიდას მიუჯდა, რათა ოფიციალური წერილით ეცნობებინა პერისთვის ეს გადაწყვეტილება. მაგრამ ხელი არ ემორჩილებოდა. ქალში სიყვარულის წყურვილი აენთო, კალამი გადააგდო და სახეზე ხელებაფარებული სავარძელში გაშეშდა.

ამ წუთიდან პერი გახდა მისი ბატონი და მბრძანებელი. ამ წუთიდან ის მთლიანად დანებდა თავის უბედურებას, როგორც ნებდებიან გარდუვალ ბედს. პერი ძველებურად, როცა მოესურვებოდა მაშინ მოდიოდა და მიდიოდა. თუ ძალიან დიდხანს დააგვიანდებოდა მოსვლა, იაკობას რამდენიმე სტრიქონით მოუბოდიშებდა, ზოგჯერ ბარათს რამდენიმე ყვავილსაც დაურთავდა, მაგრამ რატომ არ მოდიოდა ასე დიდხანს, ერთხელაც არ განუმარტავს, იაკობასაც არ უკითხავს არც ერთხელ. ერთხელ იაკობა და დედამისი ბუდუარში ისხდნენ. ფრუ სალომონი — თავის საყვარელ ადგილზე, სოფაზე იჯდა და საკერავი ეჭირა ხელში, იაკობას კი გაზეთი აეღო და ფანჯარასთან მოკალათებულიყო. მან მთელი დილა თავის ოთახში გაატარა, საუზმისთვისაც კი არ ჩამოსულა. ახლა დუმდა და დაბნეული თვალაუღებლად ათვალიერებდა გაზეთს.

— სიდენიუსისაგან წერილი მიიღე დილით? — ჰკითხა დედამ დიდი ხნის დუმილის შემდეგ და თავისი საკერავის კალათაში ხელები ააფათურა.

— ჰო!

— მოვა დღეს?

— არ ვიცი.

ხელახლა დუმილი ჩამოვარდა. მერე ფრუ სალომონმა, თითქოს ძალა მოიკრიბაო, ხელები მუხლებზე დაიწყო, ყურადღებით შეხედა შვილს და უთხრა:

— იაკობა, შვილო, დაჯექი აბლოს და მოდი გულწრფელად ვილაპარაკოთ.

იაკობამ თავი ასწია, შეშინებულმა შეხედა დედას. მერე ადგა და მიუახლოვდა.

— რა გინდა? — ჰკითხა, სოფას კუთხეში დედის მოშორებით დაჯდა და ხელზე ნიკაპით დაეყრდნო.

ფრუ სალომონმა მეორე ხელზე მოკიდა ხელი და ჰკითხა:

— მითხარი, იაკობა, შეგიძლია პატიოსნურად მიპასუხო ერთ შეკითხვაზე?

— რაზე მეუბნები?

— მაშ, ასე... მაშინვე არ უნდა გეწყინოს ხოლმე. მე შენ არაფრის გამოკითხვას არ დაგიწყებ. შეგიძლია თუ არა პატიოსნურად და გულახდილად მიპასუხო შენს დედას ერთადერთ კითხვაზე: ბედნიერი ხარ?

— უცნაური შეკითხვაა, — გააგრძელა იაკობამ და თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ვერაფერი გაიგო. გალიმებასაც კი შეეცადა, თუმცა მიტკალივით გაფითრდა.

— არაფერი უცნაური არ არის. ხომ იცი, ჩვეულებად არა მაქვს სიყვარულის საკითხებში შვილებისაგან გულახდილობა მოვითხოვო. მაგრამ ახლა, მე მგონია, უფლება მაქვს ასეთი შეკითხვა მოგცე, უფლება მაქვს მართალი პასუხი მოვითხოვო.

— არა, შენ მაინც უცნაური ხარ, დედიკო! მე ხომ მასზე ჩემი ნებით ვთხოვდები. მაშასადამე, ბედნიერი უნდა ვიყო.

— რახან ასე მსჯელობ, მოურიდებლად გეტყვი ყოველივეს. იცი რა, დაახლოებით ერთი საათის წინ ამოვედი შენთან ზევით. მეგონა, ავად გახდი, რადგან საუზმეზე არ ჩამოხვედი. შენ კი სადღაც იყავი გასული. შემთხვევით დავინახე შენს მაგიდაზე სიდენიუსის წერილი. თავისთავად ცხადია, ეს არ გამკვირვებია, თუმცა ასეთ წერილებს იქ არ ტოვებენ, სადაც მოხვდებათ. გასაკვირი სხვაა — წერილი გაუხსნელი იყო.

— მერე რა? — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ იკითხა იაკობამ, და ხელი, რომელიც ჯერ კიდევ ეჭირა ფრუ ლეას, ყინულივით გაუცივდა.

— როგორ თუ „მერე რა?“ ყური დამიგდე, იაკობა, ცხადია, მე ახალგაზრდა ქალიშვილი არა ვარ, მაგრამ არც ისე მოხუცი ვარ, რომ

დამვიწყებოდა, როგორ იქცევიან შეყვარებულები. თუ ქალიშვილმა საქმროსაგან დილის რვა საათზე წერილი მიიღო და ორ საათამდე ვერ მოიცალა მის წასაკითხად, მაშასადამე, აქ ყველაფერი ისე არ არის, როგორც საჭიროა.

— ამას შენ ვერ გაიგებ. ამაში არის განსაკუთრებული მიზეზები და მე`არ შემიძლია მათი გამხელა.

ფრუ ლეა დაიბნა.

— კარგი, შვილო, როგორც გსურდეს. მე გითხარი, რომ არ მინდა არაფერი გათქმევინო, თუკი პატიოსნურად მეტყვი, ხარ თუ არა ბედნიერი-მეთქი. ბედნიერი ხარ, იაკობა?

— რასაკვირველია, — ძლივს წარმოთქვა იაკობამ, მერე წამოდგა და ხელი გამოართვა.

დედა ჩაფიქრებული ადევნებდა თვალს, მაგრამ ამ დროს მათთან შემოვარდა ჟაკეტითა და შლიაპით მორთული ნანი, აუარებელი ახალი ამბავი მოიტანა და დაწყებული ლაპარაკი ვეღარ დაასრულეს. ფრუ სალომონმა გადადებულ საკერავს მოკიდა ხელი, ხოლო იაკობა მალე თავის ოთახში წავიდა.

დედის შეკითხვამ და მისმა შემბრალებლურმა ტონმა იაკობა ღრმად შეურაცხყო და მისი გული ახალი შიშით აავსო. ვერ იტანდა, როცა სხვები იბრალებდნენ, არც თვითონ უყვარდა საკუთარი თავის შებრალება. საკუთარი ნებით დაუკავშირა თავისი ბედი ამ უცხო ადამიანს. მაშასადამე, სამდურავიც აღარაფერი სჭირდა.

საჩქაროდ გახსნა პერის წერილი და თვალი გადაავლო. მართლაც ძნელია აუხსნას დედას, რატომ არ წაიკითხა აქამდე. არაფერი არ იყო იმაზე დამამცირებელი, ვიდრე ეს გულგრილი, მერყეევი ჭაბუკური ხელით ნაჯღაბნი, ორთოგრაფიულად გაუმართავი ენით ნაწერი პატარა ბარათი. იაკობა ცდილობდა თავისი თავისთვის ჩაეგონებინა, სულ სხვა მიზეზით მეშინია ამ წერილებისაო, — მეშინია არ წავაწყდე იქ იმ ერთად გატარებულ წუთების გახსენებას, როცა ჩემი გრძნობის გავლენის ქვეშ აღმოვჩნდი, იმ წუთებისა, რომლების მოგონებაზეც სირცხვილი და ზიზღი მიტანსო. მაგრამ ეს მხოლოდ თავის მოტყუების ცდა გახლდათ. ყოველი ახალი წერილის მიღებაზე ერთხელ კიდევ რწმუნდებოდა, რომ მისი შიში ამაო იყო: ვერც ერთ სიტყვას სიყვარულზე, სევდაზე, ვნებაზე, მადლობის კვალსაც

ვერ პოულობდა ამ წერილში; ზოგჯერ განრისხებული ჭმუჭნიდა მორიგ წერილს და ღუმელში აგდებდა.

ამჯერადაც არ უღალატია პერს თავისი თავისთვის, ბარათში მხოლოდ ის იყო ნათქვამი, რომ პერი სკოვბაკენში დღეს ვერ მოვიდოდა, მაგრამ ამ უსტარს, რომელიც სადარბაზო ბარათის მეორე მხარეზე იყო დაჯღაბნილი, თან ერთვოდა რაღაც ქაღალდები, რომლებიც პერის პოლემიკური ნაშრომის კორექტურა აღმოჩნდა. ამ ნაშრომის გახმაურება ივენმა უკვე ყველგან მოასწრო, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენისა. იაკობამ უხალისოდ მოკიდა ხელი ქაღალდებს. რას ეტყოდნენ ისინი? აქამდე მაინცდამაინც არ სჯეროდა, რომ პერი ნიჭიერი იყო. უფრო მეტად არ სჯეროდა, რომ მას კალმის ფლობის უნარი გააჩნდა. რაღა უნდა მოეთხოვა იმ ადამიანისაგან, რომელიც მშობლიურ ენაზე სწორად ვერ წერდა!

მაგრამ, როცა რამდენიმე გვერდი ჩაიკითხა, ლოყები აელეწა. თუმცა უცხოდ ეჩვენებოდა სტატიის საგანი, თუმცა აშკარა იყო, ვისი წყობა და სტილიც ჰქონდა პერს ნიმუშად აღებული, მაგრამ იაკობა მაშინვე მიხვდა, რამდენი სიახლე იყო ბუნების პერისეულ გაგებაში, რამდენად მაცდუნებელი იყო იდეა — ბუნების ძალები ცივილიზაციის სამსახურში ჩაეყენებინა. ბევრი რამ მას პერის ზეპირი ლაპარაკიდან ახსოვდა, თუმცა თავის დროზე იმის გამო, რომ პერი ბევრს ლაპარაკობდა და მენტორული ტონიც ჰქონდა, ვერ შესძლო მის სიტყვებში რაციონალური მარცვლის პოვნა. სხვა ადგილების წაკითხვისას იაკობა საკუთარ აზრებსა და მოსაზრებებს ცნობდა, რომლებიც პერთან საუბარში წამოსცდენია, მაგრამ ყოველივე ეს სულაც არ ანელებდა საერთო შთაბეჭდილებას, პირიქით — სწორედ აქ ხელახლა აწყდებოდა პერის ნიჭის თვითმყოფობის საბუთებს. იაკობას მიერ შემთხვევით ნათქვამმა სიტყვებმა სრულიად ახალი, მოულოდნელი მნიშვნელობა მიიღეს. გაკვრითი შენიშვნები, რომელთა უკან არავითარი სერიოზული აზრი არ იფარებოდა, პერის კალმის ქვეშ თვალნათელ სახეებად, თავისი გაბედულებითა და დარწმუნების ძალით მომავლის დასრულებულ განმაცვიფრებელ სურათებად იქცეოდნენ.

როცა კორექტურა უკვე ბოლომდე წაიკითხა, ქალი კვლავ დიდხანს იჯდა ძველ ადგილზე და ხელზე ლოყადაყრდნობილი გაუნძრევლად იყურებოდა წინ. ვინ არის ბოლოს და ბოლოს, ეს უცხო კაცი,

რომელსაც მან თავისი ბედი დაუკავშირა? სინამდვილეში, იაკობა სულაც არ იცნობს მას, მის შესახებ არაფერი იცის, თუ არ ჩავთვლით იმ ძნელადდასაჯერებელ ისტორიებს, რასაც ივენი და თვითონ პერი ყვებოდნენ. რა საიდუმლოებით არის მოცული მისი წარსული? რა მიზეზია, რომ გულცივად სძულს თავისი ოჯახი და მშობლიური სახლი? პერი ერთხელ ხომ გამოუტყდა ამაში იაკობას!

ამ დღეებში იაკობა ბევრჯერ აიტანა სურვილმა ელაპარაკა მისი ოჯახის რომელიმე წევრთან, ნათელეყო ზოგი გაურკვეველი რამ, რაც მას უფრო მეტად ამცირებდა და აწუხებდა და რაც პერის მონაყოლით უფრო გაურკვეველი ხდებოდა. იაკობამ იცოდა, რომ პერის უფროს ძმას, პროფესიით იურისტს, რაღაც პოსტი ეკავა კოპენჰაგენის ერთ-ერთ ოფიციალურ დაწესებულებაში; პერი თვითონ უყვებოდა, ახლახან ქუჩაში შევხვდი ძმას და გავანდე საიდუმლო, ვუთხარი, რომ დავინიშნეო. თუმცა იაკობას აშინებდა უცნობ ადამიანთან ასეთ რამეზე საუბარი, მაგრამ მხოლოდ ამას შეეძლო მისთვის საინტერესო საკითხებისათვის ნათელი მოეფინა და ამიტომ მეორე დილით ქალაქში გაემგზავრა.

ციხის უწყების კანტორა, სადაც ებერხარდ სიდენიუსი მსახურობდა, მოთავსებული იყო ფასადით არხისაკენ მიქცეულ დიდ, პირქუშ, ჭუჭყიან-მონაცრისფრო შენობაში. იაკობა დაიბნა უსასრულო დერეფნების ლაბირინთში და ბოლოს, როგორც იქნა, მიადგა ოთახს, სადაც ორი ნაპძინარევი შიკრიკი ზურგებით კედელს მიყრდნობოდა და უაზროდ დასცქეროდნენ თავიანთი ფეხსაცმლის ცხვირებს. შეკითხვაზე, როგორ ვიპოვო ექსპედიციის მდივანი ბატონი სიდენიუსიო, მოკლედ მოუპრეს:

— მეორე სართული, მესამე კარი მარჯვნივ.

როგორც კი იაკობა გატრიალდა, შიკრიკებმა ხმამაღლა გაუზიარეს ერთმანეთს შენიშვნები:

— რამხელა ცხვირი აქვს!

— ებრაელია და აბა რა იქნება.

მეორე სართულზე იაკობამ იმ ოთახის კარი შეაღო, რომელზედაც მიასწავლეს და ნახევრადბნელ ორფანჯრიან ოთახში აღმოჩნდა. ფანჯრები ეზოში გადიოდა, სადაც აქა-იქ იყო ნარგავები. ერთი ფანჯრის გვერდით, ფიჭვის მაღალ საწერ მაგიდასთან ებერხარდი იდგა და რაღაცას წერდა. გარდა საწერი მაგიდისა, ოთახში რამდენიმე ხის

სკამი და ჩამოკიდებული თაროც იყო, ზედ აკინძული საქმეები ელაგა. ებერხარდს ხმარებისაგან გაპრიალებული გრძელკალთებიანი და გულდახურული ვიწრო შავი სერთუკი ეცვა. რადგან დილით ცოტა წამოწვიძა, შარვალი მეტად გულმოდგინედ ჰქონდა აკეცილი და უხეშად ნაქსოვი რუხი მატყლის წინდები და ორმაგლანჩიანი უყელო წაღები უჩანდა.

თუმცა ებერხარდმა კარზე კაკუნის გაგონებისთანავე დაიძახა: „შემობრძანდითო“, — იაკობას შემოსვლაზე თავიც არ აუღია და ერთ ხანს ვითომც აქ არაფერიო, განაგრძობდა წერას.

ნაწილობრივ ამ მიზეზის და ნაწილობრივ მისი ჩაცმულობის გამო იაკობამ უბრალო მწერლად მიიღო და სთხოვა გამოეძახათ მისთვის ბატონი ექსპედიციის მდივანი. როცა ებერხარდმა დიდი ღირსებით გადადო გვერდზე კალამი და იაკობას თავისი ცივი თვალები მიაპყრო, მხოლოდ მაშინ შენიშნა ელდანაკრავმა იაკობამ, რომ ის პერს გავდა.

ქალმა თავისი გვარი დაუსახელა და დაიწყო:

— მე ვიცი, რომ თქვენს ძმას... რომ პერს... ნათქვამი აქვს თქვენთვის ჩემს შესახებ.

ებერხარდმა, კრიჭაც არ გაუხსნია, ხელის გაზეპირებული მოძრაობით ერთ-ერთ სკამზე მიუთითა.

— შეიძლება თავად მიხედეთ, რატომ გადავწყვიტე თქვენი ნახვა, — განაგრძო იაკობამ, როცა სკამზე დაჯდა. ხმა უკანკალებდა, გული გამალებით უცემდა, იძულებული იყო არაფრისმთქმელ ფრაზებს ჩასჭიდებოდა, რომ როგორმე განეგრძო საუბარი. — ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენი ძმა, ჩემი საქმრო, უკვე დიდი ხანია ჩამოგშორდათ თქვენც და ოჯახის სხვა წევრებსაც. ვერ ვიტყვი, რა არის ამის მიზეზი. მაგრამ არ ღირს იმის მტკიცება, რარიგ მწყინს.

ებერხარდი თითქოს გაშეშდა თავის, ცოტა არ იყოს, არაბუნებრივ პოზაში; საწერ მაგიდაზე დაყრდნობილმა თითები გაფარჩხა, რომ თვალები მოეჩრდილა. იაკობასათვის ლაბარაკი არ შეუწყვეტინებია. სახეზე ერთი კუნთიც არ შერხევია, თუმცა გაკვირვებისაგან გონს ვერ მოსულიყო. დიდი ხანია ყური ჰქონდა მოკრული, რომ მისი ძმა მიღებულია მდიდარი კომერსანტის სალომონის ოჯახში, მაგრამ, როცა პერმა უამბო, სალომონის ქალიშვილზე დავინიშნეო, ერთი სიტყვაც არ დაუჯერებია. მით უფრო, რომ პერმა სთხოვა, ვადამდე ეს

საქმე საიდუმლოდ შეინახეო. ებერხარდმა გადაწყვიტა, ასე თავხედურად იმიტომ ტრაბახობს, ამ ტრაბახით რომელიმე ახლადგადატანილ მარცხს მალავსო. ძმამ კარგად იცოდა, ფილიპ სალომონის ქონება რამდენიმე მილიონს ითვლიდა.

ამიტომაც პირველად ის იფიქრა, ეს კავშირი, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გაეწყვიტა. იმის გამო კი არა, რომ შურდა, ან პერისთვის საქმის გაფუჭება უნდოდა, არა, ებერხარდი მიხვდა, როგორც კი პერი შესაძლებლობას მიიღებდა განეხორციელებინა თავისი პატივმოყვარული ზრახვანი, ამით უფრო შეტოპავდა თავის მიერ არჩეულ დამღუპველ გზაზე და მაშინ მრავალი წლით უნდა გამოთხოვებოდა იმედს, რომ პერს ჭეშმარიტ გზაზე დააყენებდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ებერხარდი გაცილებით მეტად იყო დაინტერესებული პერის საქმეებით, ვიდრე ამ უკანასკნელს შეეძლო ეეჭვა და ეგონა, შორს აღარ არის ის სასურველი წამი, როცა პერს შერცხვება, გაჭირვებით შევიწროებული გონს მოვა და აღიარებს თავის ცოდვებს ოჯახისა და მშობლიური სახლის წინაშეო.

— ნება მომეცით ერთი შეკითხვა მოგცეთ, — უთხრა ებერხარდმა ბოლოს, როცა იაკობა გაჩუმდა,—ჩემი ძმის ოჯახურ საქმეებზე საუბარი მხოლოდ თქვენი თაოსნობით არის წამოწყებული?

— მხოლოდ.

— ჩემს ძმას, ალბათ ეჭვიც არა აქვს, რომ თქვენ ჩემი ნახვა გინდოდათ?

— დიახ.

— მაშასადამე, თქვენ ჩემთან თქვენი სახელით ლაპარაკობთ?

ასეთი მოპყრობით შეურაცხყოფილმა იაკობამ სძლია თავის შიშს. იმან, რომ ებერხარდი დაკითხვის ტონით ელაპარაკებოდა, მეტისმეტად შეაგულიანა და ღირსებით გაიმეორა:

— ხომ გითხარით, რომ თვითონ მსურდა თქვენთან შეხვედრა, თავად მე, და არა პერს.

— ასეც მეგონა. დიდად ვწუხვარ, რომ თქვენ სავსებით მართალი ხართ. მრავალი წლის განმავლობაში, უკეთ რომ ვთქვათ, თვით ბავშვობიდანვე ჩემი ძმა მშობლიურ ოჯახს ჩამოსცილდა. გამბედაობას გამოვიჩენ და დაგარწმუნებთ, რაც წლები გადიოდა, პერი უფრო და უფრო ჯიუტობდა ამ მცდარ საქმეში და თავისებურ ღვარძლიან სიამოვნებას ხედავდა იმაში, რომ არავისთვის არ გაეწია ანგარიში,

მით უფრო მათთვის, ვის მიმართაც პირველ რიგში უნდა ჰქონოდა მადლობისა და მოწიწების გრძნობა. იმის ცდა, რომ საბოლოოდ გაეწყვიტა კავშირი თავის ოჯახთან, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ მის სახელშიც კი. აი თქვენ მას პერი უწოდეთ. არის კი ცნობილი თქვენთვის, მოწყალეო ქალბატონო, რომ ეს სახელი მან თავად მოიგონა?

— დიახ, რაღაც ამის მსგავსი მსმენია.

— არ დაგიმალავთ და, ღრმად ვარ დარწმუნებული (თქვენ ხომ გულახდილი საუბარი გსურდათ), თქვენზედაც იმიტომ დაინიშნა, რომ ამით განზრახული აქვს მშობლიური სახლის გამოწვევა, მისი ჩვევების შეგნებული უარყოფა.

იაკობამ წარბები შეიკრა.

— არ მესმის, — თქვა მან.

— შეეცდები განგიმარტოთ, თქვენთვის ალბათ ცნობილია, რომ პეტერ ანდრიასი ქრისტიანული ოჯახიდანაა. მშვენივრად იცის, რომ მისი მშობლებისათვის ქრისტიანობა ერთადერთი ძალაა, რომელიც სამყაროს მართავს, და რომ ისინი ჭეშმარიტ ბედნიერებად არ მიიჩნევენ გარეგნულად რაგინდარა ბრწყინვალე და თვალისმომჭრელ ბედნიერებას, თუ მას საფუძვლად ღვთის შიში არ უდევს.

— მაშ ასეა!

იაკობამ ტუჩები მწარედ მოიკვნიტა. ებერხარდის მშვიდ, დინჯ საუბარში გამოსჭვიოდა ის დაცინვა, რომელიც ახლახან დერეფანში შიკრიკებისაგან გაიგონა და რომელიც მთელი ცხოვრება სდევნიდა.

იაკობამ დააპირა კიდეც სკამიდან წამოდგომა, რომ მთელი თავისი სიძულვილი დაენახვებინა ებერხარდისათვის, მაგრამ ძალიან უნდოდა საქმროს შესახებ კიდევ რაიმე გაეგო, ამიტომ თავი შეიკავა და არ ამდგარა.

— მე ვიცოდი, რომ პერი არ იზიარებდა თავისი ოჯახის შეხედულებას რელიგიაზე, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, ამის გამო მას არ ვამტყუნებ.

— ო, რასაკვირველია.

— და მიმაჩნია, თუ მას სხვა არაფერი დაუშავებია ოჯახის წინაშე, მაშინ ეს შეცოდება ადვილი საპატიებელია. თუ არ იზიარებს ქრისტიანობაზე თქვენს შეხედულებას, ეს სრულიადაც არ ამტკიცებს მის ბოროტ განზრახვას და თუ პატიოსნურად აღიარებდა, რომ არ ეთანხმებოდა ოჯახის შეხედულებებს, მაშინ, როცა ამის დაფარვა

და პირფერობა მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იყო, ეს მით უფრო მეტ პატივს სდებს მას.

— იცით, რა, ფრეკენ სალომონ, მე ვერ ვხედავ აზრს იმაში, რომ ამ თემაზე თქვენთან ვიკამათო. მხოლოდ ერთს გეტყვით: ჩემი მშობლების თვალში, მათი სახელით გელაპარაკებით, არ არსებობს პატიება ადამიანისათვის, რომელმაც ყურები დაიხშო, რათა ჭეშმარიტების ხმა არ გაეგონა და მით უფრო არ არსებობს პატიება პეტერ ანდრეასისათვის იმ ოჯახის შვილისათვის, სადაც ეს ხმა მას აკვნიდან ესმოდა.

იაკობას არ უპასუხია. მან თავი დახარა და როგორც ყოველთვის ემართებოდა ხოლმე ძლიერი მღელვარებისას, ხან წამოენთებოდა სახეზე, ხან მკვდრის ფერი ედებოდა.

მაგრამ ებერხარდმა სწორად ვერ გაიგო მისი პოზაც და მისი ღუმილიც. მან გადაწყვიტა, ჩემმა სიტყვებმა უკვე მიაღწიეს იმ მიზანს, რომელსაც იდუმალად ვისახავდიო. თავდაჯერებულობის სიდენიუსური ინსტინქტი აღელვებდა და უნდოდა დაემცირებინა მილიონერის ამაყი ქალიშვილი, რადგან მის თვალებში მაშინვე შენიშნა ფარული დაცინვა, ხოლო აბრეშუმის კაბა, ბაცი ფერის ხელთათმანები და სუნამოს საამო სუნი კიდევ უფრო აღიზიანებდა ამ მორწმუნე კაცს.

ამიტომ ებერხარდმა ტონი შეიცვალა და ცოტა არ იყოს, თანაგრძნობითაც კი უთხრა:

— სრულიადაც არ მსურდა თქვენი გრძნობების შეურაცხყოფა, მაგრამ ჩემს მოვალეობად ვთვლი გაგაფრთხილოთ, რომ ჩემი ძმის ცხოვრება სხვა მხრივაც არ არის უძრახველი და წარმოადგენს იმის სამწუხარო მტკიცებას, თუ რა ზომამდე მოკლებულია ის ყოველნაირ მორალურ საფუძველს. ღრმად ცდებიან ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ცხოვრების რელიგიური მხარე გამოიხატება მხოლოდ ღვთიურ საქმეებთან ურთიერთობაში და არ ასვამს დაღს მთელს ჩვენს პიროვნებას. რაც შეეხება პეტერ ანდრეასს, აქ მე არ მინდა წვრილმანებზე ვთქვა რაიმე. არის საკითხები, რომელთა შესახებ არ არის მიღებული ქალებთან ლაპარაკი, და ამიტომ...

— ვხვდები, რაზედაც გადაჰკარით სიტყვა. მაგრამ სწორედ ასეთი ცუდი ურთიერთობა ოჯახთან და იმ საზოგადოების ხასიათი, რომელიც — ნაწილობრივ ამ მიზეზით — ერთადერთი მისთვის მისაწვ-

დომი საზოგადოება იყო, ბევრ რამეს ხდის გასაგებს და პერის ბუ-ნებაში საპატიებელს. გარდა ამისა, ის, რის შესახებაც თქვენ არ მო-ისურვეთ დუმილი, ჩემის შეხედულებით არ იმსახურებს ასეთ მკაცრ განკიცხვას.

— ცდებით, ფრეკენ სალომონ, ჩვენ ვკიცხავთ არა ჩემს ძმას, არამედ მის საქციელს, მისი ცხოვრების ნირს.

— მაგრამ მის საქციელშიც და ცხოვრების ნირშიც ჩვენ შეგვი-ძლია ვიპოვოთ ბევრი რამ, რაც მის სასარგებლოდ ლაპარაკობს. მან გამოიჩინა უნარი და საკმაოდ მტკიცე ნებისყოფა, რათა თავის დარგ-ში რაიმესათვის მიეღწია. მეტისმეტად მძიმე პირობებში და ძალზე ახალგაზრდამ მოიპოვა თავის კოლეგათა შორის ავტორიტეტი და ამ-ჟამად მტკიცე გზაზე დგას, რათა მოიხვეჭოს სახელი.

— თქვენ, როგორც ვხედავ, თავადაც მაინცდამაინც არ გჯერათ ყოველივე ეს. ერთი გაზეთი წერდა არხის რომელიღაც პროექტის შესახებ — არ ვიცი როგორ ეწოდება — და ცდილობდა დაემტკი-ცებინა ამ პროექტის უდიდესი მნიშვნელობა. ვიცი ისიც, რომ თვითონ პეტერ ანდრეასი თვლის თავის თავს პირველაღმომჩენად და ახალი დროის წინასწარმეტყველად. ამჟამად საერთოდ ახალგაზ-რდობის ერთ ნაწილს მეამბოხეობისადმი მიდრეკილება გააჩნია. ამ მიდრეკილებაზე შეიძლება გაეცინოს კაცს, რომ ამის გამო დაღუპვა არ ელოდეს ამდენ მერყეე სულს. ყველაზე უფრო საყურადღებო იმ მოარულ იდეაში, რომელიც დანიის ახალგაზრდობის ცნობილ ფე-ნებს არყევს, ის არის, რომ მას ყველაზე მეტად მერყეევი და დამოუ-კიდებლობას მოკლებული სუბიექტები ეტანებიან, მსგავსად იმისა, რომ ფუყე თავთავი თავს მაღლა იწევს, მწიფე კი თავდახრილია. რაც შეეხება პეტერ ანდრეასს, ამ საკითხში შეიძლება ვირწმუნოთ მხოლოდ ერთი იმდენადვე ცხადი, რამდენადაც სამწუხარო ჭეშმარი-ტება: შვიდი წლის სწავლის შემდეგ მას დღემდე არ ჩაუბარებია საჭირო გამოცდები და არ მიუღია თავისი წარმატების არავითარი მო-წმობა. ასეთი მოწმობით ცოტათი მაინც აანაზღაურებდა იმ მსხვერპლს, რომელიც მის გამო მთელმა ოჯახმა გაიღო. მაგრამ, ერთხელ კი-დევ გიმეორებთ, მე ვკიცხავ არა პეტერ ანდრეასს, არამედ მის ქცევებს, ცხოვრების ნირს. თვით პეტერი ჩვენ სულით და გუ-ლით გვეცოდება და, მიუხედავად ყველაფრისა, იმედს არ ვკარ-გავთ, რომ როდისმე კეთილი საწყისები გაიმარჯვებენ მასში; თუ სად

ეძებს ჩვენი ოჯახი მისი ხსნის ერთადერთ შესაძლებელ გზას, ამის ახსნა თქვენთვის არ არის საჭირო. მაგრამ თუ ეს გაინტერესებთ, — მე მგონია სწორედ იმიტომ მოხვედით აქ, რომ პატიოსნური და პირდაპირი პასუხი მიიღოთ, — წინასწარ მხოლოდ ერთს გეტყოდით, ვიმედოვნებ, ჩემი სიტყვები არ გაგაკვირვებთ და ისე გამიგებთ, როგორც საჭიროა — პეტერ ანდრეასის მშობლები თავიანთ სიცოცხლეში არასოდეს არ მოიწონებენ თქვენს შეუღლებას.

იაკობა წამოდგა, ერთ ხანს სკამის ზურგს უკან იდგა ჩაფიქრებული, ქოლგას ტუფლის ცხვირს უსვამდა და ებერხარდს არ უცქეროდა, მერე უცბად ასწია თავი და შეხედა. სახეზე ჯერ კიდევ აჩნდა მღელვარების ნაკვალევი, მაგრამ ტუჩებზე უკვე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი აუთამაშდა. ხოლო შავი თვალები ბედნიერებისაგან გაუბრწყინდა.

— მე აქ მოვედი შერიგების მიღწევის იმედით, — თქვა მან. — და ეს ჩემს მხრივ დიდი მიამიტობა იყო, ახლა თავად მივხვდი ამას. მაგრამ არაფერს ვნანობ. გავიგე ბევრი რამ, რაც არ ვიცოდი, ამიტომ არ შემიძლია თავი შევიკავო და არ გითხრათ: მე აქედან უფრო ბედნიერი მივდივარ, ვიდრე მოვედი.

ებერხარდმა სცადა შეპასუხებოდა, რადგან კარგად ვერ გაიგო, რის თქმა უნდოდა ამით იაკობას, მაგრამ ქალი გატრიალდა და არც გამოთხოვებია, ისე წავიდა.

იაკობას ქუჩაში ისე საშინლად მოუნდა პერის ნახვა, რომ ცოტა ყოყმანის შემდეგ მეეტლეს დაუძახა და ნიუბოდერისაკენ გაემართა. ეჩვენებოდა, რომ ვერ დაწყნარდებოდა, ვიდრე არ მოინანიებდა თავის უნდობლობას და პერს პატიებას არ გამოსთხოვდა უნებური გამცემლობისათვის. ებერხარდთან მისი ვიზიტი სწორედ რომ გამცემლობა იყო, ახლა მიხვდა ამას. რაოდენ კარგად ესმოდა ახლა მას პერის, რაოდენ ნათლად ხედავდა, რა გამოიარა მან მამის სახლში. როცა საკუთარ უცოდველობაში დარწმუნებულ მის ძმას უსმენდა. იაკობას ისე ნათლად წარმოუდგა სიდენიუსების სახლი, ტანში ცივმა ერუანტელმა დაურბინა.

ხიენტენსფრიუდჰადეზე მან პერი ვერ ნახა, იაკობას მისვლამდე ხუთი წუთით ადრე წასულიყო. პატარა ოთახის დაბალი ჭერის ქვეშ ჯერ კიდევ დაცურავდნენ მისი სიგარის ბოლის ნაცრისფერი ბოლქვები, როცა ტრინემ იაკობა შეიყვანა იქ და მარტო დატოვა.

პირველ ყოვლისა, იაკობამ ირგვლივ მიიხედ-მოიხედა. ათვალიერებდა შიშველ კედლებს, დამტვრეულ სარწეველას, შავმუშამბაგადაკრულ პატარა პუფს და წამით წარუმატებელი ვიზიტით გამოწვეული წყენა შიშით შეეცვალა, რადგან ეს პირქუში სენაკი ციხის საკანს აგონებდა. არა, მას წარმოდგენაც არ შეეძლო, რომ პერი ასე ღარიბად და უბადრუკად ცხოვრობდა. და აი უკვე მერამდენედ გახდა მისთვის ნათელი, რატომ მიისწრაფოდა პერი გაეღწია ცხოვრების მზიანი მხრისაკენ. იაკობასათვის ახლა ბევრი რამ გასაგები გახდა, ბევრ რამეს მიუტევებდა ახლა პერს. ასეთი უსიხარულო ბავშვობის შემდეგ, ასეთ სამარცხვინო სიღატაკეში სხვად რად შეიძლება იქცე ადამიანი, თუ არა ბედნიერებაზე მონადირედ. იაკობამ სიხარული იგრძნო იმის გაფიქრებაზე, რომ თვითონ მდიდარია და შეუძლია გააბედნიეროს პერი. მოკრძალებული ცნობისმოყვარეობით, რაც ქეშმარიტი სიყვარულისთვის არის დამახასიათებელი, პერის საწერი მაგიდიდან წვრილმანი ნივთები აიღო და თვითეული ისევ ძველ ადგილას დადო. მიმოდიოდა ოთახში და თან წამდაუწუმ ჩერდებოდა, იმდენი ფიქრი ებადებოდა. დაუძლეველი მოთხოვნილება ჰქონდა, სულ პერის გვერდით ყოფილიყო, ამიტომაც ეხებოდა თვითეულ ნივთს. როცა პირველად ჩაუარა კარის წირთხლზე ჩამოკიდებულ გაცვეთილ ხალათს, ალერსიანად გადაუსვა ხელი, მეორედ ჩამოვლისას — თვალი დახუჭა და ლოყით მიეკრა, რათა შეესუნთქა განუმეორებელი სუნი, რომელიც ახლა ასე ძალიან ენატრებოდა თამბაქოს სუნის მოძულე იაკობას.

მაგრამ ტრინე შემოვიდა, იაკობა მაგიდას მიუჯდა და სადარბაზო ბარათის მეორე მხარეზე მიაწერა:

„ჩემო მეგობარო! რატომ არ ჩანხარ ამდენ ხანს? მთელი სამი დღეა არ ყოფილხარ ჩვენთან. გელი დღეს საღამოს. ბევრი რამ მაქვს შენთვის სათქმელი“.

ეს იყო იაკობას პირველი წერილი პერისადმი. მან ბარათი ჩადო კონვერტში, რომელიც მაგიდაზე იდო და პერის სახელი დააწერა.

როგორც კი იაკობა წავიდა, ქალბატონმა ოლუფსენმა ჯოხით იატაკზე დააკაკუნა, ტრინეს მაღლა მოუხმო და დაწვრილებითი ანგარიში მოსთხოვა. ახლა ქალბატონი ოლუფსენი ლოგინიდან თითქმის არ დგებოდა. ქმრის სიკვდილის შემდეგ ძალიან მოტყდა და ძლივს მოძრაობდა. მაგრამ ცნობისმოყვარეობა უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

როგორც კი წინ, ქვემო ოთახიდან უცხო ადამიანის ხმა მოესმა, წა-
მოდგა და სამზარეულოს კართან მზვერავის პოსტი დაიკავა. დარბა-
ზის ფანჯრის სარკიდან მან თვალი გააყოლა იაკობას ეტლს, სანამ ის
კუნჰენსჰადეს შესახვევს მიეფარებოდა.

როცა ორი საათის შემდეგ პერი შინ დაბრუნდა და იაკობას წე-
რილი ნახა, თვითკმაყოფილების ღიმილით გაიღიმა. ამგვარად, მკურ-
ნალობა სასარგებლო აღმოჩნდა. მაგრამ დამორჩილება ჯერ ადრეა,
დაე ცხენმა კიდევ იგემოს წკეპლა.

ნასადილევს იაკობა ორჯერ იყო სადგურზე, კოპენჰაგენის მატა-
რებელს დახვდა. როცა მეორედ დაბრუნდა, პერისაგან დეპეშა დახვ-
და, პერი, როგორც ყოველთვის, მოკლედ იტყობინებოდა, რომ ძალი-
ან სწყინს, მაგრამ დღეს საღამოს სკოვბაკენში ვერ მოვა.

იაკობას დეპეშა ხელში შერჩა და ჩაფიქრდა.

— აქ რაღაც ამბავია,— უეცრად ხმამაღლა თქვა მან. — შეუძ-
ლებელია, სამუშაოს გულისათვის ყოველ საღამოს ქალაქში რჩებო-
დეს.

იაკობა გაფითრდა. ნუთუ ყოველივე დამთავრდა? ნუთუ მან და-
კარგა პერი? არა, არა! ეს არ მოხდება. ის ბისწერს პერს. ყველაფერ-
ში გამოუტყდება, ყველაფერს აუხსნის და პატიებას სთხოვს თავისი
გულცივობისა და უნდობლობისათვის.

იაკობა სავარძელში ჩაეშვა, სახეზე ხელები აიფარა და შეეცადა
აზრი მოეკრიბა. არა, არსად არ გაუშვებს პერს! დააბრუნებს, თუნდაც
ამისთვის მუხლებზე დაჩოქილს ვედრებაც დასჭირდეს.

ამ დროს კარი გაიღო, როზალიამ შემოყო თავი და უთხრა:

— ჩადი ძირს, გეთაყვა, ერთი ბატონი გელის.

„ეიბერტი!“ — ტანში გასცრა იაკობას.

მისმა ადრინდელმა მოტრფიალემ ხელახლა დაიწყო მათთან სია-
რული. იქნებ ეს ავის მომასწავებელია? რა საჭირო იყო მისი მოსვ-
ლა სწორედ ახლა!

ჯერ იყო და იაკობას უნდოდა, სულ არ გამოსულიყო მასთან,
მერე გადაწყვიტა, რას იფიქრებს დედა, თუკი მთელ საღამოს ჩემს
ოთახში ვიჯდებიო. იქნებ დედამ უკვე იცის, რომ იაკობამ დეპეშა
მიიღო და მის შინაარსსაც მიმხვდარია.

ქვემოთ, ბნელ დარბაზში მშობლები დაინახა. რომელიღაც ბა-

ტონს ესაუბრებოდნენ, იაკობამ ბინდბუნდში ვერ გაარჩია, ვინ იყო რადგან ბატონი სავარძელში ზურგით იმ კარისაკენ იჯდა, საიდანაც იაკობა შევიდა. აი ის ადგა, იაკობამ კი, შეიცნო თუ არა, თვალებზე ხელები აიფარა, თითქოს თვალი მოსჭრა რამემო. პერმა იაკობას წერილი ხელმეორედ წაიკითხა, ინანა თავისი სიმკაცრე და გადაწყვიტა სიურპრიზი გაუკეთებინა ქალისთვის. იაკობა ხმამაღალი ყვირილით ჩამოეკიდა კისერზე.

—შენა ხარ!

თითქმის ნახევარ წუთს ღონემიხდილი პერის მკერდზე იყო მისეენებული. მერე გონს მოვიდა. შერცხვა, რომ მშობლების თანდასწრებით თავი ვერ შეიკავა. მაგრამ პერს ხელს არ უშვებდა, თითქოს ეშინოდა, არ დაკარგოდა. ცრემლნარევი სიცილით გაუყარა ბოლოს მკლავში ხელი პერს და ბაღში გაიყოლა.

ფილიპ სალომონმა და მისმა ცოლმა თვალი გააყოლეს, მერე კი ერთმანეთს შეხედეს.

— აბა, ლეა, აქ ვეღარაფერს გააწყობ, ბედს უნდა დამორჩილდე.

ფრუ ლეამ დუმილით დაუკრა თავი.

* * *

თუმცა გადაწყვეტილი იყო ნიშნობა საიდუმლოდ შეენახათ, მაგრამ დიდი დრო არ გასულა, რომ მთელ ქალაქს მოედო ეს ამბავი. ახლა საჭირო აღარ იყო იაკობას თავისი გრძნობები დაემალა და ვეღარც ერეოდა მათ. ასე შეეძლო გაეხარა ქალიშვილს, რომელმაც ჩუმად იყოლია ბავშვი, ხოლო შემდეგ უეცრად მიიღო უფლება მთელი ქვეყნის წინაშე განეცხადებინა თავისი ბედნიერება.

პერმა შენიშნა, რომ ცნობილ წრეებში ძალიან დაინტერესდნენ მისი პიროვნებით. როგორც კი შეაბიჯებდა კაფეში კუნგენს ნიუტორვეზე, ერთადერთ ადგილზე, სადაც ის ახლა დადიოდა ხოლმე, დამსწრენი მაშინვე აჩურჩულდებოდნენ. ამ უცნაურმა და მაღალი წრისათვის გაუგებარმა კავშირმა დიდი ჭორი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბედნიერების ახალგაზრდა მაძებარზე, რომელმაც მდიდარი ნირგორის მემკვიდრეობა იგდო ხელთ, ხოლო მერე მოხერხებულად გამოსტაცა ფილიპ სალომონს მილიონი, მეტისმეტად დაუჯერებელ ამბებს ყვებოდნენ.

ნიშნობის შესახებ ხმამ პოლიტექნიკურ ინსტიტუტამდეც, პერის

ადრინდელ ამხანაგებამდეც მიაღწია. აქ ჯერ კიდევ „ფალკენში“ მოთავსებულმა სტატიამ და იმის ცნობამ, რომ მალე პერის წიგნი გამოიცემოდა, გამოიწვია მეტისმეტად დიდი ინტერესი. თურმე პერმა არ იცოდა, თორემ ამხანაგებს მისი ესმოდათ, და არც მარტო იყო. მარტო კარგი სტუდენტები კი არა, რომელთაც პერსავით პროფესორ სანდრუპის აუდიტორიაში ჰაერი მეტისმეტად დამყაყებული ეჩვენებოდათ, ჩვეულებრივი უსაქმურებიც კი, რომელნიც ინსტიტუტის მიმართ ყოველნაირ კრიტიკას საკუთარი სიზარმაცის გამართლებად იღებდნენ, დიდი ხანია ელოდნენ, პერი ოდესმე თავს გამოიჩენსო. მეორეს მხრივ, დიდება რომ ეწვია, კეთილსინდისიერ კარიერისტთა რიცხვიდან დაუძინებელი მტრებიც გამოუჩნდნენ. ისინი პერს წინათ შემწყნარებლური ათვალისწუნებით უყურებდნენ. განსაკუთრებით თავს იდებდა პროფესორ სანდრუპის რჩეული ვინმე მარიუს იორჰენსენი, პერმა თავის დროზე მას „ღვთისსამადლო ტაბულა“ უწოდა. ეს იმედების მომცემი ყრმა, საზოგადოების მომავალი ბურჯი, ახლა საშინელი შურისძიების გეგმას აწყობდა. სახელდობრ, ფიქრობდა პერის წიგნის გამოსვლის დროს „ინდუსტრიბლადეტში“ გამანადგურებელი კრიტიკა დაებეჭდა.

სალომონები ნელ-ნელა შეეგუენ იმ აზრს, რომ პერი მათი სიძე უნდა გამხდარიყო.

ახლა ალბათ, ყველაზე უკმაყოფილო ძია ჰენრიხი იქნებოდა. თუმცა პერმა დიდი ხანია გაიგო, როგორც იყო მისი „სააქციო საზოგადოების“ საქმე, მაგრამ ბატონი დელფტი კვლავ მამისა და კეთილისმყოფელის როლს თამაშობდა და ხშირად მოაგონებდა პერს, ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადადგი, ეს ნაბიჯი კი სულაც არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი, მთავარი გასაკეთებელი საქმე წინ გაქვსო. მუდამ ორაზროვნად გადაუკრავდა სიტყვას ქვრივ ბარონესა ფონ ადლერსბორგზე. ეშხში შესული პერიც ახლა უფრო ხალისით ისმენდა ამ ნართაულებს. მან იცოდა, რომ ბარონესა სამკურნალოდ იყო წასული სამხრეთ გერმანიაში და აპირებდა მოგზაურობის დროს გზად მასთან შეევლო. პერს ახლა არისტოკრატიასთან ნაცნობობის დამყარების გარდა სხვა მიზნები არ ჰქონდა; ფიქრობდა, მომავალში ეს ნაცნობობა გამომადგებაო. გულის სიღრმეში სულაც არ იყო წინააღმდეგი სამუდამოდ უარეყო საძულველი. გვარი—სიდენიუსი—ეს სასაცილო ხუცური ლათინური, ეს ვირის ყურები, რომელ-

ნიც ყველგან ამჟღავნებდნენ მის წარმოშობას. ბარონი ფონ ადლერ-სბორგი! რატომაც არა? ასეთი გვარი იქნებ ცუდად არ გამოიყურებოდეს სადარბაზო ბარათზე!

თუმცა, იაკობას თავის დიად გეგმებს არ უზიარებდა, რადგან ფიქრობდა, ქალი სრულიად გულგრილია გარეგნული პატივისადმი და ამიტომ ჩემს განზრახვებს არ მოიწონებსო. ეშვიც არ აუღია საცოდავს, რომ იაკობას მათი საერთო მომავლის კიდევ უფრო შეუპოვარი და გაბედული გეგმები ჰქონდა. ერთ საღამოს მისი თხოვნით პერმ ხნამაღლა წაუკითხა მთელი თავისი ნაშრომი და ახლა, როცა სიყვარულმა ქალს სმენა გაუმახვილა, თვითეული ფრაზა მისთვის გამარჯვების დაფდაფად ჟღერდა.

იაკობა საკმაოდ ჭკვიანი იყო და თავის დაკვირვებებს მალავდა; თუმცა ძალიან იყო შეყვარებული, ბრმად მაინც არ უყურებდა პერის უამრავ ნაკლს და შესანიშნავად ესმოდა, რომ საჭირო იყო კარგად გაერანდა პერი მანამდე, ვიდრე ის შესძლებდა თავით ფეხებამდე შეიარაღებული ბრძოლის დაწყებას. ამისთვის კი, ახლა იაკობას ასე მიაჩნდა, პერი ბედით იყო მოწოდებული. მაგრამ ვნება სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა ქალს. სიყვარულის დაუშრეტელმა წყარომ, მოთხოვნილებამ, რომ სულით ვისმე შესწებებოდა, მოთხოვნილებამ, რომელსაც ბავშვობიდან მისთვის დამცირების მეტი არაფერი მოუტანა, ახლა იჩინა თავი. იაკობა დღედაღამ მხოლოდ პერზე ფიქრობდა. დილდილობით ახლადდაკრეფილ ყვავილებს უგზავნიდა, რომ როგორმე მაინც მოერთო მისი ღატაკი სენაკი. საჩუქრებით ავსებდა პერს, მას კი სულაც არ სჭირდებოდა ეს საჩუქრები. იაკობა დილიდან საღამომდე იმაზე ფიქრით იტეხდა თავს, პერი რით გავახაროო. მშობლებიც კი დაიყოლია, ქალაქში დანიშნულ დროზე ადრე გადასულიყვნენ, რათა უფრო ხშირად ენახა პერი, რათა მას შესძლებოდა ყოველ წუთს მოსვლა, რათა ღამით მასთან სულ რვაას ოცდაათი ნაბიჯით ყოფილიყო დაშორებული, — ერთხელ ჩუმად გაზომა ეს მანძილი. მაგრამ იაკობას ესეც არ ყოფნიდა. პერის წასვლიდან ერთი საათის შემდეგ შეეძლო უცბად მაგიდას მისჯდომოდა და წერილი დაეწერა, ანდა დეპეშაც კი გაეგზავნა. გამუდმებით სურდა, რაღაც ეცნობებინა მისთვის. ან იმისი შესწორება უნდოდა, რაც უკვე აცნობა, და პერთან მიფრინავდა თხოვნა. დაივიწყე, რაც გითხარიო.

ზოგჯერ უნებლიე ხრიკებს მიმართავდა და ყოველივე ამას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა: ეთქვა, რომ უყვარდა პერი, რომ ყოველ წუთს, ყოველ გულისცემას ითვლიდა ახალ შეხვედრამდე.

„Bonjour, monsieur—ასე დაწერა ერთხელ დილაადრიან, როცა ბზემ მის ფანჯარაში შეიჭყიტა. — მოხვალ თუ არა დღეს სადილობამდე? თუ ჰო, შეიძლებოდა წერილი არც მომეწერა. მაგრამ შენზე დანდობა ძნელია. რატომ არ მოხვედი გუშინ საღამოს? გიცადე ათ საათამდე, მერე დავწექი. საშინელ გუნებაზე ვიყავი და თერთმეტ საათამდე სულით და გულით მძულდი. დღეს კი ისეთი კარგი ამინდია, შიპატიებია შენთვის. არ შეგიძლია ერთი დღით თავი მიანებო შენს ნახაზებს და კორექტურებს და მოხვიდე ორი საათისთვის? ორზე ჩემი და დედას მეტი არავინ არის ხოლმე შინ. ნუ გავიწყდება, რომ მალე ერთმანეთისაგან ძალიან შორს ვიქნებით და როგორც კი წახვალ, მონასტერში გადავალ, რათა იქ გავატარო შენს ჩამოსვლამდე დარჩენილი საუკუნე“.

პერი თავს ნამდვილად თურქეთის ფაშასავით გრძნობდა და ერთი თვის განმავლობაში ბედნიერებისაგან თორმეტი გირვანქა მოიმატა, მაგრამ ხშირად ამ ენებიანი სიყვარულისაგან სული ეხუთებოდა. ზოგჯერ თვითონაც აენთებოდა ხოლმე, განსაკუთრებით როცა მარტონი რჩებოდნენ ბუდუარში, მაგრამ გამუდმებით იაკობასავით ღგზნება არ შეეძლო, — ეს მეტისმეტად მოქანცველი ეჩვენებოდა. პერი ისეთ გარეშოში იზრდებოდა, რომელიც უმოწყალოდ ამახინჯებდა და ახშობდა გრძნობის ყოველგვარ გამოვლენას, გარდა ისეთისა, ჩრდილში რომ გამოიფინება და ორპირ ქარში ნელსურნელებას აფრქვევს, ამიტომ ზოგჯერ თითქმის შიშსაც კი განიცდიდა ნათელი მზით გამთბარი იაკობას სიყვარულის წინაშე. იაკობას გულახდილობა აბნევდა და ხშირად თავს უგერგილო კავალრად ავლენდა.

ერთხელ, როცა მარტონი იყვნენ შეღამებისას, იაკობამ უეცრად კისერზე ხელები შემოხვია და უთხრა:

— ყური დაბიგდე, პერ, არ მოგსვლია თავში აზრად, რომ ერთხელაც არ გითქვამს ჩემთვის, მიყვარხარო?

— ვითომ ისედაც არ იცოდე.

— ვიცი, მაგრამ ეს ცოტაა. მე მინდა ჩემი ყურით გავიგონო

მინდა, ერთხელ მაინც გავიგონო, როგორ ყღერს, როცა შეყვარებული გეუბნება, მიყვარხარო. აბა ახლა მითხარი, პერ!

— იაკობა, ძვირფასო, მე ხომ, მგონი, ასჯერ მითქვამს შენთვის, რომ...

— იმ სიტყვებით არ გითქვამს. მე მხოლოდ ის სიტყვები მინდა. დაუფიქრდი — ეს სწორედ ის სიტყვებია, ჩვენ, ქალებს, დღედაღამ ყურში რომ გვიყღერს ძილშიც და ცხადშიც მას შემდეგ, როცა ჩვენი პირველი მეჯლისიდან შინ ვბრუნდებით. პერ, მითხარი ეს სიტყვები! გინდა დაგეხმარო? მაშინ გაიმეორე ჩემთან ერთად და ჩვენ ასე ერთმანეთს სიყვარულს აუხსნით. აბა, დავიწყოთ: „მე...

— მე,—გაიმეორა პერმა.

— შენ მიყვარხარ...

— აბა რა სულელური ბავშვობაა, — შეაწყვეტინა წამოწითლებულმა პერმა და ხელი პირზე დაიფარა. იაკობა კვლავ ეველრებოდა, პერი გაბრაზდა და მისი მკლავებიდან თავი გაინთავისუფლა.

თუმცა ვესტიბიულში მღელვარე გამომშვიდობების შემდეგ ქუჩაში რომ გამოვიდოდა, პერი შეებით ამოისუნთქავდა ხოლმე და სიგარას გააბოლებდა, მაგრამ შინისაკენ, შეწყვეტილი სამეშაოსაკენ ახლა გული არ მიუწევდა, ხოლო კაფეში, სადაც უწინ დიდი ხალისით იჯდა ხოლმე — უფრო ნაკლებად სურდა წასვლა. ახლა პერი ამჯობინებდა უმიზნოდ ეხეტიალა წყნარ, უკაცრიელ ქუჩებში, ეხეტიალა და ეფიქრა, რადგან ახალი, თვით მისთვისაც ბუნდოვანი აზრები ებადებოდა, ისევე, როგორც პირველად, როცა უნებლიეთ შესვა მარადისობის წყაროს წყალი, პერს ახლაც აიტანდა ხოლმე ძლიერი, ზოგჯერ კი საშიში შეგრძნება, თითქოს მის სულში სასწაულებრივი ზღაპრული სამყარო იბადებოდა. მაგრამ თუ სიყვარულის სამოთხის ფანჩატურები, სადაც მშვენიერმა ფრანცისკამ შეიყვანა, უფრო პატარა მყუდრო ბაღჩას წააგავდნენ, რომელშიც რეზედა და მათიოლა იზრდება და რომელიც ლამაზ ყვავილნარად არის დაყოფილი, ახლა პერი ბედმა ტაძარივით დიდებულ მოგუგუნე პალმების ჭალაში გადააგდო. ამ შუაღამის სიფხიზლის დროს კიდევ უფრო მეტი ბედნიერების, უფრო წმიდა და დიდი სიხარულის წინათგრძნობა უჩნდებოდა, ვიდრე წინათ ისწრაფოდა. პერმა შეიგნო, რომ მარტო ქალის სიყვარული ავსებს ცხოვრებას საკმარისად, რომ ღრმა სიბრძნე იმალება ქარაფშუტულ სიტყვებში, ოდესღაც რომ წამოსცდა: კოც-

ნის სამოთხისეული ნეტარება ადამიანს ავიწყებს ყველა საზრუნავს და ყველა ცოდვას მიუტევებსო.

ერთხელ, როცა ღამის ხეტიალის შემდეგ შინ დაბრუნდა, იაკობას ასეთი წერილი მისწერა:

„ერთმა კაცმა ხუმრობით „ბედის ნებიერი პერი" მიწოდა. თავადაც არასოდეს არ მიგრძკნია თავი ბედის გერად, თუმცა მომხდარა, რომ მძიმე წუთებში დავმდურებივარ ბედს, რა ეშმაკმა გამაჩინა-მეთქი ქვეყნად, სადაც ძველად პასტორის ვაჟმა ადამმა ცოლად დიაკვნის ქალიშვილი ევა შეირთო. და მათ მოამრავლეს ორი მილიონი სიდენიუსი, ამ სიდენიუსებმა კი მთელი ქვეყანა აავსეს. მაგრამ ახლა, როცა თვალს გადავავლებ განვლილ წლებს, ვხედავ, ჩემი კეთილი ფერია უჩინრად მიფრთხილდებოდა, და თუმცა ბევრჯერ ვმდგარვარ ბცდარ გზაზე, და ზიზილ-პიპილების ბზინვით ვცდუნებულვარ, ახლა გამარჯვებულის ოქროს გვირგვინი მადგია თავს: მყავხარ შენ და გამაჩნია შენი სიყვარული.

და სანამ დავიძინებდე, მჭირდება, ძალიან მჭირდება, შენ მოგაპყრო ფიქრი და მადლობა გადაგიხადო. ჩემი კეთილი ფერია იყავი იმ წუთიდან, როცა პირველად გადმოვაბიჯე თქვენი სახლის ზღურბლს, იმ დღიდან, გარდატეხის დღედ რომ იქცა ჩემს ცხოვრებაში. ნება მომეცი გითხრა ის, რასაც სულ ახლახან მთხოვდი და ვერაფრით გავბედე, ნება მომეცი ღამის სიჩუმეში ჩაგჩურჩულო: „მე შენ მიყვარხარ!"

მაგრამ, როცა დილით პერმა ნათელი გონებით გადაიკითხა ეს წერილი, შერცხვა და დაწვა. მის მაგიერ კი დაწერა ახალი, სადაც ძირითადად თავის წიგნზე ლაპარაკობდა:

„ძალა აღარ შემწევს, რა დიდხანს ბეჭდავენ ჩვენში წიგნებს. ალბათ, ნახაზების გამო. ხეზე უნდა ამოჭრან ისინი. თანაც, იცი, გადავწყვიტე სახელწოდება გამოვუცვალო, „ახალი დროებანი" კარგად ვერ ეღერს. დაე „მომავლის სახელმწიფო" ეწოდოს. ეს ჯობია, ხომ მართალია?"

დადგა ოქტომბერი, სამზადისი დასასრულს უახლოვდებოდა. პერი აპირებდა რამდენიმე ხანი ჯერ გერმანიაში გაეტარებინა და ყველაზე მეტად ცნობილი ტექნიკური ინსტიტუტები მოევლო. შემდეგ უნდოდა გასცნობოდა ჰიდრონაგებობათა მშენებლობის გრანდიოზულ სამუშაოებს, რომელთაც ინგლის-ამერიკის ფირმა „ბლეკბურნი და გრიზი" აწარმოებდნენ; მომავალი სიმამრი შეჰპირდა სარეკომენდა-

ციო წერილების მიცემას. გარდა ამისა, პერი ფიქრობდა ენახა პარიზი, ლონდონი, ნიუ-იორკი და ამერიკის რამდენიმე უმსხვილესი ქალაქი. მთელი მოგზაურობა ორი წელი უნდა გაგრძელებულიყო.

თუმცა იაკობას წარმოდგენაც არ შეეძლო, რა გააძლებინებდა ასე დიდხანს უიმისოდ, მაგრამ არ ეწინააღმდეგებოდა. უფრო მეტიც, თავად მიუმატა მეორე წელი. პერი ფიქრობდა ნახევარ ვადაში ჩატეულიყო, მაგრამ იაკობა დაჟინებით სთხოვდა, არ აჩქარებულიყო. ბამამაც მხარი დაუჭირა ამაში. მან პერი კანტორაში დაიბარა, ხუთი ათასი კრონის ჩეკი მისცა და შეჰპირდა, ერთი წლის შემდეგ ასეთ ჩეკს კიდევ გამოგიგზავნიო.

როცა ბარგს ალაგებდა და ფრიად უხვი საგზაო მოწყობილობის ყიდვის ფუსფუსში იყო, პერმა ებერხარდის წერილი მიიღო. ძმა ატყობინებდა, შემთხვევით გავიგე შენი განზრახვა საზღვარგარეთ გამგზავრების შესახებ, ამიტომაც ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გაცნობო მამის ჯანმრთელობის მდგომარეობა. მამის ჯანმრთელობა ამ ბოლო დროს იმდენად გაუარესდა, რომ სამწუხარო დასასრული წუთით წუთზეა მოსალოდნელი. პირადად მე ვაპირებ' დაუყოვნებლივ შინ გამგზავრებას და მამის სიკვდილის სარეცელთან ყოფნას, იქ ალბათ თავს შეიყრიან დანარჩენი ძმები და დებიც.

ამ წერილის მიღების შემდეგ პერი მთელი ნახევარი დღის განლობაში ბოლთას სცემდა ოთახში და არ იცოდა, რა ექნა. თვით წერილის ტონი უჩვეულოდ საპატივცემლო ეჩვენა, ამასთან, ბედნიერება ადამიანს ხათრიანს ხდის. „ახლა არავის აზრადაც არ მოუვა, უძღები შვილის დაბრუნების შესახებ ილაპარაკოსო“ — გაიფიქრა მან.

თუმცა მისი ზეიმი ჯერ კიდევ არ იყო ნამდვილი ზეიმი. აი წიგნი რომ გამოსულიყო, მაშინ სხვა საქმე იქნებოდა.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ პერმა დაწვა წერილი დანარჩენ ძველ ქაღალდებთან ერთად, რომლებიც ყველა უჯრიდან ამოჩხრიკა და იაკობასაც კი არაფერი უამბო.

მეორე დღეს გერმანიაში გაემგზავრა.

თავი XI

ბერლინი, 12 ოქტომბერი

უნდა აგიწერო ჩემი პირველი გასვლა საზოგადოებაში, რადგან მეტად თავშესაქცევ ამბად მიმაჩნია ეს. შენ უკვე გიმგზავრია ბერ-

ლინში და იცი, რომ საკმაოდ მოსაწყენი გზაა. მართალი გითხრა, როგორც იქნა, დამეძინა და გამომეღვიძა მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი მატარებელი შტეტინის სადგურის თაღებქვეშ შევიდა. აქ ჩემი ჩემოდანი მივიღე, მივედი თავისუფალ ეტლთან და მეეტლეს ვუთხარი: „ბურგშტრასეზე ციმერმანის სასტუმროში წამიყვანე-მეთქი"; ეს ის სასტუმროა,რომელიც ბიძაშენმა მირჩია, მაგრამ მეეტლემ თვალები გადმოკარკლა და ბერლინული კილოთი მკითხა: „ბუ' შტრასე? ბუ' შტრასე?" მერე გაიქნია თავი, ლუდის ქვაბურას რომ უგავდა და თქვა: „ასეთი რამ ჯერ არ გამიგონიაო". ამასობაში სხვა მეეტლეებიც მოვიდნენ, და ბოლოს ჩემს ირგვლივ მთელი ბრბო შეგროვდა. „ბუ' შტრასე? ბუ' შტრასე? — კითხულობდნენ ერთხმად ყველანი და თავიანთ მრგვალ თავებს იქნევდნენ. — პირველად გვესმის." ესეც შენ! მაგრამ უცბად ერთ-ერთმა მათგანმა თითი ასწია და თქვა: „ა-ა! ეს ხომ ბურ-რ-რ-რ-რ-რ-გ-შტრასეა". ამ რ-ების ჭექა-ქუხილმა საბოლოოდ გამომაფხიზლა, მხოლოდ მაშინ შევიგრძენი, შინ არ ვიყავი და ამ ჩემი მოგზაურობის პირველ დასკვნად ის გავაკეთე, რომ საზღვარგარეთ თუ მიდის კაცი, იუტლანდიელიც კი აუცილებლად უნდა გაიწაფოს ფონეტიკაში-მეთქი..

ახლა მისმინე, რა მოხდა შემდეგ! როდესაც ეტლი ციმერმანის სასტუმროსთან გაჩერდა (ფრჩხილებში შევნიშნავ, რომ ეს არის ძველი, ჭუჭყიანი კოლოფი, მისი ძველმოდური ტერასა პირდაპირ ტროტუარზე გამოდის), ტყავისწინსაფრიანი მსახური შემომეგება. მაგრამ ეს რაღას ნიშნავს? გააღო თუ არა ჩემი ეტლის კარი, უკანვე გაიქცა ყვირილით: „ჰერ ციმერმან! ჰერ ციმერმან!.. თქვენთან ორდენიანი ბატონი მოვიდა".

მთელი სახლი ფეხზე დადგა. თავად მასპინძელი ქუჩაში თავშიშველი გამოვარდა. რა სურათი იყო! განცვიფრებულმა ამასობაში სერთუკი ჩავითვალიერე. საკილოვეში ჯერ ისევ ერჭო ნახევრადფურცლებდაცვენილი ვარდი, შენ რომ მომეცი ამ დილით, გამომშვიდობებისას. აბა ვინ იფიქრებდა, ძვირფასო, რომ შენი უკანასკნელი საჩუქარი ასეთ აურზაურს გამოიწვევდა. იმედი ბაქვს, წარმოიდგენ, როგორც მიმიღებდნენ ყველაფრის გამორკვევის შემდეგ. მაგრამ, მერწმუნე, ორივეს მაგიერ ვაზღვევინე სამაგიერო. შევედი თუ არა ნომერში, ისეთი ჩხუბი და განგაში ავტეხე, როგორც დიდი ჯვრის ნამდვილ კავალერს შეეფერებოდა, ხოლო როცა მსახური ამოვიდა ჩემთან და

მგზავრთა წიგნი მოიტანა, თავი ვერ შევიკავე და საკუთარ გვარს წინ თავსართი „ფონ“ მივუწერე. ნუ აქნევ თავს! ერთი გენახა, ამან როგორ იმოქმედა! როცა მივდიოდი, სასტუმროს პატრონი კარებში იდგა და ისე მდაბლად მიკრავდა თავს, თითქოს სურდა, საკუთარი ჩექმების ცხვირებისთვის ეკოცნა. მან თავისი ხელით გამიღო კარი და მოწიწებით შესძახა: „გთხოვთ, ბატონო ბარონო!“ მაშ, ესეც მეორე დასკვნა, რომელიც იმავე დღეს გავაკეთე: აზნაურის ტიტული ისეთი რამ არის, რომლის უგულებელყოფა არაფრით არ შეიძლება. თუმცა ეს უკვე მითხრა ბიძაშენმა. ცხადია, სასაცილოა, მაგრამ თუ გინდა ადამიანებზე იბატონო, უნდა იცოდე მათი სუსტი მხარეების გამოყენება, — ეს ერთ-ერთი აუცილებელ პირობათაგანია.

უკვე ცოტათი შევეგუე უნტერ დენ ლინდენს, ამ წუთს „ბაუერიან“ ვზივარ და წერილს გწერ. ქუჩიდან ხმაური და ღრიანცელი ისმის, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მე მსოფლიოს ცენტრში ვიმყოფები. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს უზარმაზარი წყლის წისქვილის შუაგულში მოვხვდი. თუმცა,ეს მილიონმოსახლეობიანი ქალაქები სხვა არაფერია, თუ არა გიგანტური ტურბინები, რომლებიც ჩაითრევენ ადამიანთა ნაკადს, გამოსწოვენ მთელ ენერგიას და მერე უკანვე ამოისვრიან. რა კონცენტრაციაა სასიცოცხლო ძალისა! მართლაც, როცა გესმის, როგორ გერყევა ფეხქვეშ მიწა ორი მილიონი ადამიანის განთავისუფლებულ ენერგიისაგან, ჭეშმარიტად დიადი გრძნობა გეუფლება. რა სასწაულები შეგვიძლია მოვახდინოთ მომავალ საუკუნეებში, თუ ვისწავლით ენერგიის დაზოგვას, რომელთან შედარებითაც ყოველივე, რაც ამჟამად გაგვაჩნია, მხოლოდ ბავშვურ თამაშად მოგვეჩვენება. მაგრამ დღეისათვის კმარა.

17 ოქტომბერი

ორი ოთახი დავიქირავე კარლშტრასეზე, № 25-სახლში (ზუსტი მისამართი: ფრაუ კუმინახი, მეორე სართული, მარცხნივ). ჯერჯერობით გადავწყვიტე ბერლინში ვიცხოვრო. აქ ისეა ყველაფერი გამოცოცხლებული და ახმაურებული, რაღაცნაირად დაელექტროვებს კაცს. ფიზიკურად ვგრძნობ, როგორ მმუხტავს ჭექა-ქუხილით დიდი ქალაქის ჰაერი. შეს-სანიშნავია! როგორ მინდა ერთი კარგი ღვართქაფი გადმოვგზავნო ბალტიის ზღვის გავლით შინ, ჩვენი საქათმეებისათვის. აქედან ჩვენი ხალხი და ჩვენი ცხოვრების ნირი ორჯერ მე-

ტად პროვინციული გეჩვენება კაცს. აქაური მცხოვრებნი, ქუჩის მგველებიდან დაწყებული, სულ სხვა მასალისაგან არიან დამზადებულნი. ჩვენი ესტერჰადეს დღევანდელი მოწინავე ხალხი რომ ავიღოთ, მათშიც იგრძნობა დედა-სოფელის გავლენა. ხოლო თუ ჩვენს ლეიტენანტს გერმანელ გრძელლაბადიან ოფიცერს შეადარებთ, იგი, ღმერთო შეგცოდე და, სამხედრო მუნდირში გამოწყობილ სემინარიელად მოგეჩვენებათ.

დღეს ვიზიტი გავუკეთე დოქტორ ნათანს. კარგად მოწყობილა კენიგსპლაცის მახლობლად და თუმცა ნაღვლიანი ფიქრებით არის შეპყრობილი, როგორც ჩანს, ამ ნებაყოფლობით გაძევებაში თავს შესანიშნავად გრძნობს. ძალიან გულითადად შემხვდა, მაგრამ, პატიოსნად უნდა ვაღიარო, არ მომეწონა. შევეცადე ჩემი წიგნის შინაარსი გამეცნო მისთვის, მაგრამ ტექნიკაზე წარმოდგენაც არა აქვს. ყოველ წუთს მაწყვეტინებდა ლაპარაკს შეუსაბამო შეკითხვებით. მთლად კარგად არც კი აქვს წარმოდგენილი, რა არის ტურბინი. მთელი საუბრის განმავლობაში სულ ამ სიტყვებს ვიძახდით: „რას მელაპარაკებით“ და „ნუთუ!“ ამან დიდად გამიტეხა გული. რაოდენ საკვირველია, როცა ნათანის მსგავსი ადამიანები — ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ ახალი კულტურული საზოგადოება შუასაუკუნეების ნანგრევებზე ააშენონ, თავადაც ვერ გარკვეულან კარგად, როგორ საქმეს მოკიდეს ხელი. ისინი მაგონებენ უნივერსიტეტდამთავრებულ არქიტექტორთა იმ კატეგორიას, რომელთაც შეუძლიათ შექმნან ზოგჯერ მხატვრული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი პროექტიც კი, მაგრამ სრულიად არ ზრუნავენ იმაზე, თუ საიდან იშოვნიან თიხას, სად გამოწვავენ აგურს და კიდევ ბევრ სხვა რამეზედაც; თანაც, ცოტა არ იყოს, ზიზღითაც კი ეკიდებიან ყველა ამ საკითხს. აქ სულ სხვა ძალაა საჭირო. ნათანის მსგავსი ადამიანები მხოლოდ ხელს გვიშლიან. მაგონდება, რომ ერთ-ერთ იმ წიგნთაგანში, რომლებიც შენ მომეცი ზაფხულში,—მაგისი წიგნი ხომ არ იყო?—ვიპოვე უეჭველად სამართლიანი აზრი, რომ XV საუკუნის აღორძინების ჭეშმარიტ წინაპირობად იქცა კომპასის გამოგონება, რადგან ამით შესაძლებელი შეიქმნა ამერიკის აღმოჩენა და აღრე აღმოჩენილი კოლონიებიც ადვილად ხელმისაწვდომი გახდა, გაღარიბებულ ევროპას სიმდიდრე მოასკდა, გაახალგაზრდავდა მღვდლებითა და ბერებით შეშინებული კაცობრიობა, გამამაცდა ხალხი, ენერგია შეემატა, თავგადასავლების წყურვილი აღეძრა და

ა. შ. მაგრამ ზუსტად ასევე, ჩემი შეხედულებით, ძლიერი, თანამედროვე მანქანების დანერგვაც მომავალი კულტურული პროგრესის საწინდარია და ისინი, ვინც მომავალზე წინასწარმეტყველებენ და ეს კი არ ესმით, მხოლოდ საპნის ბუშტებს უშვებენ პოეტებისა და სხვა უმწიფართა გასართობად.

19 ოქტომბერი

...ჰო, მე ჯერ კიდევ არ ვყოფილვარ დედაშენის ბიძასთან. განგებ ვაჭიანურებ ამ ვიზიტს, ვიდრე გერმანულ ენას უკეთესად არ დავეუფლები. ამ დღეებში ტირჰარტენშტრასეზე მისი ვილის მახლობლად გავიარე — ნამდვილი სასახლეა. აქ ამბობენ, ბიძია ორმოცდაათი მილიონი „ღირსო“. უნდა დამეხმარო და დამარიგო, როგორ მოვიქცე იქ. რა არის „საიდუმლო კომერციის მრჩეველი“? იქნებ მას „თქვენო ბრწყინვალებავ“ უნდა ვუწოდო? და ცოტა რამ მისი ოჯახის შესახებაც მიამბე. მას ჰყავს ცოლი (თუ „მეუღლე!“) და ქალიშვილი. სხვა შვილები არა ჰყავს?

21 ოქტომბერი

დღეს „ბაუერთან“ შევიარე და როგორ ფიქრობ, ვინ ვნახე? ვინ იჯდა იქ, კეფაზე რომ შლიაპა მოეგდო და გაშვერილ ფეხებში ნუჟრებიანი ჯოხი მოექცია? ფრიტიოფი იყო, ძლივს ვიცანი, ძალიან დაბერებულა ამ ბოლო დროს, წვერი გაჭაღარავებია, ქუთუთოები დასიებია და გაწითლებია. მაგრამ მაინც ძალიან მედიდური შეხედულება აქვს. აქაც კი, ბერლინშიაც იპყრობს ყურადღებას. თავისი სურათების გამო ჩამოვიდა, გასაყიდად არის გამოფენილი მისი სურათები. მას წარმატება ხვდა როგორც მხატვარსაც: გაზეთებში სულ ფრიტიოფზე წერენ. მხატვრობისა ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ფრიტიოფმა წამიყვანა, რომ მისი სურათებით დავმტკბარიყავი და მართლაც, ბევრი ჩინებული სურათი აქვს. მაგალითად, კარგია მისი რამდენიმე დიდი ტილო, რომელზედაც ბალტიის ზღვაზე ატეხილი ქარიშხალი დაუხატავს. და ამ სურათებს რომ ვათვალიერებდი მღელვარებით ვფიქრობდი იმ დროზე, როცა ათასტონიანი კარგად დამაგრებული რკინის „ლივლივები“ (ჩემს წიგნში წაგიკითხავს ალბათ მათ შესახებ) იუტლანდიის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ გაიჭიმებიან და ტალღებზე რწევით დაიწყებენ ზღვის მოქცეულს მთელი ენერგიის ამოწოვას. კიდევაც შევეკითხე ფრიტიოფს, როცა ნაპირზე იჯექი და ამ ტალღებს ხატავდი, ხომ არ წუხდი-მეთქი,

რომ აუარებელი შესანიშნავი ენერგია კაცობრიობისა და მისი კულტურისათვის ამაოდ იკარგებოდა ათასწლეულობით და ახლაც იკარგება. მაგრამ ფრიტიოფი მაშინვე მოპყვა ჩემთვის კარგად ნაცნობ მოსაწყენ ჩივილს ინდუსტრიალიზაციის საძაგლობისა და ბუნების წაბილწვის შესახებ. მაშინ ვკითხე, ნუთუ ნამდვილად არ გიზიდავს იდეა, რომ ყველა ეს დაკარგული ცხენის ძალა საზოგადოების სასარგებლოდ წარიმართოს, სადენებით გაიგზავნოს მთელ ქვეყანაში, ყველა ქალაქი დასაჩუქრდეს მისით, გაყვანილი იქნეს თვითეულ სახლში,—რომ ზღვის ტალღებმა აამუშაონ ხოლსტებრუული მკერავი ქალის მანქანა და ვიბორგელ დედას ბავშვის აკვანი დაურწიოს-მეთქი. უნდა გენახა, რა სახე ჰქონდა, როცა ამას ვეუბნებოდი!

„ეს რაღაა? — ისე დამიღრიალა, ყველა ჩემსკენ მობრუნდა,— თქვენ, არამზადებს, გინდათ ჩემი ზღვა საპალნიან ვირად აქციოთ?“

ვერ გადაარწმუნებს კაცი. შემეცოდა კიდეც, როცა შევხედე: დგას კაცი, შლიაპა ახურავს, ჰალსტუხი უფრიალებს, ნუკრებიანი ჯოხი უჭირავს ხელში და ველურივით კი ბრაზობს. „აი უკანასკნელი მხატვარი“, ვთქვი ჩემთვის. ოცი წლის შემდეგ ასეთ ხალხს საგიჟეთებში ჩასვამენ, ხოლო სიკვდილის შემდეგ მათ ფიტულებს მუზეუმებში გამოდგამენ მამონტისა და სამკუზიანი აქლემის გვერდით...

23 ოქტომბერი

*

გუშინ დიადი დღე მქონდა. ამასწინათ გაზეთებში წავიკითხე, რომ საცდელად აამუშავებენ ახალი ტიპის კაშხალს. მოწვეულია ინჟინერთა ჯგუფი, რათა დაკვირვება აწარმოონ პატარა ქალაქ ბერკენბრუკის მახლობლად, აქედან ორი საათის სავალზე. ძალიან მინდოდა ოაესწრებოდი კაშხალის ამუშავებას და წავედი დანიის საკონსულოში, მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, საკონსულო თავის მოვალეობად ჩათვლიდა დამხმარებოდა, რომ მეც მივეწვიე, მაგრამ როცა ჩემი საუბოვარი ვთქვი, ჩემს თანამოსაუბრეს გაკვირვებისაგან თვალები ისე დაუმრგვალდა, ასეთი მრგვალი თვალები ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. სულის მოსათქმელად სკამის ზურგსაც კი მიეყრდნო. რაც თავი მახსოვს, მეფის თეატრის ბილეთი ერთ ჩამოსულ მსახიობს უშოვეს და ვიღაც დანიელ მეცნიერებისათვის ხელნაწერთა განყოფილებაში შესვლის უფლება მოვახერხეთო, მაგრამ ასეთი რამ!.. ძეზობელი ოთახიდან ვიღაც ხანშიშესული მამაკაცი გამოვიდა (ალ-

ბათ პირადად ბატონი კონსული თუ ბრძანდებოდა), კიდევ უფრო მეტი გაკვირვებით დამაშტერდა და მამაშვილურად ამიხსნა, არ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ უცხო ქვეყანაში ასე მოგვეფერებიან, განსაკუთრებით კი გერმანიაში, სადაც საერთოდ უცხოელები მაინც-დამაინც არ უყვართო. ყოველ შემთხვევაში, სანამ ჩვენი საკონსულო შესძლებს და თქვენთვის რაიმეს იღონებს, აუცილებლად უნდა ვკითხოთ ჩვენს სამინისტროს, რისთვისაც უნდა შეადგინოთ წერილობითი შუამდგომლობა ორ ეგზემპლარად, დაურთოთ საჭირო რეკომენდაციები, ატესტაციები და ცნობა, რომ აუცილებელი გამოცდები ჩაბარებული გაქვთ ყველა და ყველანაირ სასწავლებელში, რომლებშიც კი დადიოდით შვიდი წლის ასაკიდანო და ა. შ. და ა. შ.,— მოკლედ რომ ვთქვა, ვიგრძენი, რომ ხელახლა მოვხვდი კეთილ, მოხუც დანიაში, უაზრობის მამაპაპურ სამეფოში. მაშინ გადავწყვიტე ბედი საკუთარი რისკით მეცადა. გუშინ დილით პირველივე მატარებლით წავედი ბერკენბრუკში და დაუყოვნებლივ მოვძებნე მთავარი ინჟინერი, რომელმაც მაშინვე მომცა მოსაწვევი ბარათი, მადლობაც გადაიხადა მათი საქმიანობისადმი ყურადღებისათვის და მოსამზადებელ სამუშაოთა მთელი მასალებიც გადმომცა.

შეეცდები აგიხსნა, რა ვნახე იქ. მაშ ასე:. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შეკეთდეს ხიდის ბურჯები, რისთვისაც საჭიროა რომელიმე ნაკვეთზე მდინარის კალაპოტის ამოშრობა. პირველად უნდოდათ უბრალოდ მდინარისათვის გზა გადაეღობათ, როგორც მუდამ აკეთებდნენ, მაგრამ აქ ძალიან ძლიერი დინებაა და ვერ შესძლებდნენ კაშხალის დაკეტვას, თუ წყალს წყალსაგდები არხით არ გაუშვებდნენ, ხოლო ეს კი მოცემულ პირობებში ძალიან ძვირი და ძნელი იქნებოდა. მაშინ გადაწყვიტეს (და სწორედ ეს არის ახალი და ყველაზე საინტერესო), საქმე ისე მოაწყონ, რომ მდინარე თვითონ დაეხმაროს მათ კაშხალის დაკეტვაში. მდინარეში ჩაუშვეს ვეებერთელა ხის ყუთი, საჭირო ტვირთით, რომელიც ზომით კაშხალის ხვრელის შესაფერისი იყო, ხოლო ყუთს ნაპირიდან მართავდნენ. ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა. როცა ყუთი ხვრელს მიუახლოვდა — ცოტა ადრეც კი, — კაშხალში რაღაც ახმაურდა და წყალმა ძალიან აიწია, მაგრამ დინებამ მაინც მიაჭედა ყუთი ხვრელს და იგი საცობივით დაეცო კაშხალს. ეს ამაღელვებელი წუთი იყო! მინდოდა, შენი თვალით დაგენახა! ეფექტი რომ სრულყოფილი ყოფილი-

ყო, ამ დროს შორიახლო აფეთქების ხმა გაისმა,—დროებითი სადენი გაიყვანეს დაჭაობებულ ტბის წყლისთვის.

მერე იქვე გაშლილ კარავში შამპანური ჩამოარიგეს და ყველამ სიტყვა წარმოთქვა, მერე (ფრთხილად, სკამიდან არ გადმოვარდე!) შეც წარმოვთქვი სადღეგრძელო გერმანიის ტექნიკური აზრის პატივსაცემად, რომელმაც ერთხელ კიდევ ბრწყინვალედ დაუმტკიცა მსოფლიოს თავისი უპირატესობა. ძალიან კარგად გამოვიდა. ცხადია, ენობრივად ყველაფერი არ მქონდა რიგზე, მაგრამ სადაც სიტყვები არ მყოფნიდა, რაც შემეძლო ვიქნევდი ხელებს. ჩემმა სიტყვარ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ხალხი შემომესია, ყველას უნდოდა ჩემთვის ხელი ჩამოერთმია, ხოლო დამსწრე რეპორტიორებმა ინტერვიუ გამომტყუეს. შეგიძლია დღევანდელ „ტაგებლატის“ ნომერში ჩემი გვარი ნახო.

ამავე შეხვედრაზე გავიცანი პროფესორი პფეფერკორნი, რომელიც ძალიან გამომადგება. ბერლინის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასწავლის, გარდა ამისა— ოჰ, რა ვიწროა სამყარო! — ჩვენს არონ იზრაელს კარგად იცნობს და ამ მიზეზის გამო ცოტათი დანიის ცხოვრებაც აინტერესებს. გამოთხოვებისას მთხოვა, ჩემთან შემოიარე ხოლმეო.

24 ოქტომბერი

...შენ მსაყვედურობ, ძვირფასო, ნათანზე ასე რომ ვმსჯელობ. მგონი, ცოტა ნაწყენიც კი ხარ, რომ ჩემს სულიერ ხელმძღვანელად არა ვთვლი მას. გიპასუხებ, რომ მე, ცხადია, ბევრით ვარ მისგან დავალებული, ამას არც უარვყოფ, მაგრამ როგორც უნივერსიტეტის აღმზრდელი, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში გამოუსწორებელ ესთეტად დარჩება და სულაც არ ესმის ჩვენი დროის პრაქტიკული საკითხები. ამასწინათ ვცდილობდი მისთვის ჩემი პროექტის შესახებ ზერელე წარმოდგენა მაინც შემექმნა, მან თითქმის პირის გაღებაც არ დამაცადა. მაშინვე გამიბა ლაპარაკი ახლახან წაკითხულ რომელიღაც პატარა პიესაზე, შინაურ პოლიტიკაზე და კიდევ ღმერთმა უწყის რაზე. ჩემი პროექტის შესახებ კი მხოლოდ „ფრიად ფანტასტიურად“ მიმაჩნიაო, თქვა. ხომ ხედავ! როგორ მივიჩნიო ასეთი ადამიანი ჩემს მოძღვრად! ფრიტიოფზე უფრო პროგრესული ის არც თავის შეხედულებებშია, არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმაზე, თუ რა სასწაულებს გვპირდება მომავალი, და არც იმაზე, რომ ეს სასწა-

ულები საბოლოოდ გადააყირავებენ ყველა არსებულ წესს დედამიწაზე, პოლიტიკის ჩათვლით. „ფანტასტიური“! აქ ცხოვრების მერე უფრო მეტად განმიმტკიცდა ადრინდელი აზრი: ჩვენთვის ყველაზე ფანტასტიური ის ფაქტია, რომ, ასეთი ბუნებრივი სიმდიდრის მქონე ხალხი ახლაც ისე საცოდავად ვარსებობთ, როგორც ერთი კარგი მომთმენი გერი, რაც ჩვენს მთავრობას ერრვნული დამოუკიდებლობის საუკეთესო საწინდრად და ჩვენი კულტურის განვითარების ბუნებრივ ნიადაგად მიაჩნია. პირადად მე მგონია, რაკი ასეთი მცირერიცხოვანნი ვართ, ერთადერთი საშუალებაღა გაგვაჩნია, სხვა სახელმწიფოთა შორის განვმტკიცდეთ, და ეს საშუალება ფულია. ხომ გახსოვს, ჩემს ბროშურაში ეწერდი: „ისეთი ცეროდენა ქვეყნის არსებობა, როგორიც დანიაა, თავისთავად ახლაც შეუსაბამობაა, მომავალში კი ასეთი პატარა და ღატაკი ქვეყნის არსებობა უბრალოდ შეუძლებელია. პატივისცემა ჩვენი სიმდიდრით უნდა მოვიპოვოთ, ხოლო ამისათვის საჭიროა ფული, ფული და კიდევ ფული!“ მხოლოდ ფულის ბზინვას შეუძლია დაანთოს „სინათლე ქვეყნის თავზე“, რაზედაც ასე უყვარს ლაპარაკი ნათანს და მის მსგავსებს. სიღარიბის კულტი, ადრე თუ გვიან, მუდამ მღვდლების გამოსარჩომი ხდება მხოლოდ.

ხშირად ვფიქრობ ვენეციაზე, რომელიც ჩვეულებრივი პატარა ქალაქი იყო და მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფოდ კი იქცა. ქალაქებს ერტინგს ან ესბერგს ახლანდელი ჩრდილოეთის სავაჭრო გზების მიმართ ისეთივე ცენტრალური მდგომარეობა უკავიათ, როგორიც ოდესღაც არხების ქალაქს ეკავა. და მე ვოცნებობ მომავლის ერტინგზე, სადაც ფართო სანაპიროებზე ოქროსთალებიანი სავაჭრო სასახლეები აიგება, სადაც პატარა ელექტრომოტორებიანი გონდოლები არხის პრიალა წყალზე მერცხლებივით ისრიალებენ.

25 ოქტომბერი

დღეს მხოლოდ ორ სიტყვას გწერ — ძალიან მეჩქარება. ახლახან მოვედი ბატონ საიდუმლო კომერციის მრჩეველისაგან და მოკითხვას გადავცემ მთელ თქვენს ოჯახს. ვნახე თვით ქალბატონი და ქალიშვილი; ძალიან ალერსიანადაც მიმიღეს. შენი ბიძაშვილი არაჩვეულებრივად ლამაზია, თანაც საოცრად უბრალოდ უჭირავს თავი, მორცხვადაც კი. თუმცა, ჯერ ხომ ძალიან ახალგაზრდაა. მეტად კარგად ცხოვრობენ! თვითეულ კართან, რომელშიც კი შევდიოდი, ლაქია იდგა, მიმიღეს შენთვის ნაცნობ ზამთრის ბაღში. ყველაზე ბევრი თქვენზე

ვილაპარაკეთ. თუმცა მე, ცხადია არ მითქვამს ჩვენი ურთიერთობის შესახებ და ოჯახის მეგობრის როლში გამოვდიოდი. ზეგ მუსიკალურ საღამოს მართავენ და მეც დაპატიჟებული ვარ. უკვე დააგზავნეს საბუთამდე მოწვევა.

ვწერ პალტოგაუხდელი, რადგან ფრიტიოფთან წასვლას ვაპირებ. ჩვენ ხშირად ვატარებთ საღამოებს ერთად და მიუხედავად იმისა, რომ ბევრ რამეში უთანხმოება გვაქვს, ერთმანეთს კარგად ვეწყობით. ფრიტიოფი ძალზე საინტერესო ადამიანია. გამაცნო თავისი გერმანელი თანამოძმენი, ხელოვნებაში მასავით დამთხვეულები, მაგრამ სხვა დანარჩენში — ძალიან ცოცხალი და კარგი ბიჭები. ბევრჯერ გვამსგავსეს მე და ფრიტიოფი ერთმანეთს, განა ეს სასაცილო არ არის? ერთხელ ისიც კი მკითხეს, ფრიტიოფის ძმა ხომ არა ხარო! როგორ მოგწონს?

27 ოქტომბერი

ისევ ძალიან საინტერესო დღე მაქვს, მგონი, გწერდი პროფესორ პფეფერკორნის შესახებ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რომ ასწავლის, — ერთი სიტყვით, გწერდი, რომ თავისთან მიმიწვია? დღეს ვიყავი მასთან. შარლოტენბურგში ინსტიტუტის მახლობლად ცხოვრობს. ეს ქანდაკებებიანი და სვეტებიანი ინსტიტუტი ნამდვილ სასახლეს ჰგავს, მისი აშენება ალბათ ათი მილიონი დაუჯდათ. პროფესორმა პფეფერკორნმა თავად ნომატარა ინსტიტუტი, დავათვალიერე აუდიტორიები, ლაბორატორიები და ინსტიტუტთან არსებული საცდელ სახელოსნოთა მთელი რიგი. მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე მსოფლიოს უმსხვილეს საინჟინრო ნაგებობათა ბრწყინვალედ შესრულებულმა მოდელებმა მოახდინა—ხიდებმა, რაბებმა, საძირკვლებმა და ა. შ. მთელმა მუზეუმმა, რომლის ბადალიც, ვფიქრობ, ქვეყნად არ არსებობს. პფეფერკორნი შემპირდა, აქ მეცადინეობის ნებართვას გიშოვნიო, ეს კი ადვილი საშოვნელი არ არის; ცხადია, აღფრთოვანებული ვარ. ეს ნამდვილი საგანძურია! ჯერჯერობით კი ვაპირებ მათთან რამდენიმე ლექცია მოვისმინო. აქ არის პროფესორი ფრეიტაგი, შედარებით ახალგაზრდა კაცი, რომელმაც დიდი სახელი მოიხვეჭა თავისი ნაშრომით ელექტრომოტორების შესახებ.

საერთოდ, ძვირფასო, უსაქმურობას არ ვაპირებ, ჩემს ხელებს უკვე ენატრება ლოგარითმების ცხრილები, ხოლო ჩემი წიგნი არაფერია, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, ძალიან ცოტაა! მხოლოდ ვადა

ნომეცი! პედანტ სანდრეს და ვინ გაოფლილხელებიან ბაცოდაე თანაშემწეებს შეუძლიათ შინისაკენ გასწიონ. ათი წლის შემდეგ ჩვენთან ყველაფერი სხვანაირად იქნება.

ამასწინათ მე და ფრიტიოფი რატუშის კოშკზე თვით ფლაგშტოკის თავთან ავედით. მისი სიმაღლე 250 ფუტია. მზე უკვე ჩადიოდა. მაგრამ ჰაერი ისეთი გამჭვირვალე იყო, ირგვლივ ორი ვილის მანძილზე ყველაფერს ვხედავდი. ყოველ მხრივ მოჩანან მაღალ შენობათა რიგები და გრძელი ქუჩები, რომლებზედაც უკვე აენთო ფარნები, ბირბიან ტელეგრაფის მავთულები, ადმართულან საკვამლე მილები და ელექტროშუქით განათებული სადგურები. სადაც წაბეღავენენ მოდიან მატარებლები, ხოლო სულ შორს — უშველებელი ქარხნები, რომლებიც, ქალაქს თითქოს უსასრულობამდე აგრძელებენ. და მე ვიფიქრე, რომ სულ ორი თაობით ადრე ეს საკმაოდ ართვალი პროვინციული ქალაქი იყო, რომელშიაც ზეთის ლამპები ენთო და ბილიარდნები დადიოდა და ა. შ. და ა. შ. და საამაყო შეგნება — რომ ედამიწაზე ადამიანი ვარ, იმდენად დამეუფლა, ფრიტიოფს ღიდად ვაწყენინე. მაგრამ ჰაერში შევისროლე ჩემი შლიაპა. იესო ღმერთო, რა არიან ეს ადამიანები თავიანთი ტილოზე მოხატული „ხელოვნებით"! დარწმუნებული ვარ, სინათლემოფენილი სადგურის დანახვა სულს უფრო მეტად აღელვებს, ვიდრე რაფაელის ყველა მადონა ერთად აღებული. მე რომ განგება მწამდეს, ყოველდღე გზის მტვერში მუხლებზე დავეცემოდი მადლობის გამოსახატავად, რომ დავიბადე ამ ღიდებულ საუკუნეში. ახლა ხომ ადამიანმა შეიგნო თავისი ყოვლისშემძლეობა და თავისი გემოვნებით ისეთი გაქანებით შეუდგა ედამიწის გარდაქმნას, როგორზედაც თავად ღმერთიც ვერ გაბედავდა თავის ყველაზე გაბედულ ოცნებებში ფიქრად გაევლო.

* * *

პერის გამგზავრების შემდეგ იაკობა უკვე აღარ იყოფებოდა უშუალოდ მისი ზეგავლენის ქვეშ, ხოლო იმის ფიქრმა, რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში ვერ ნახავენ ერთმანეთს, გაუჭირა ქალს წინანდელი გატაცება, მის პერისადმი დამოკიდებულებაში შეიტრა რაღაც, თუნდაც წუთიერი, მაგრამ მაინც უკმაყოფილების გრძნობა. როგორც კი პერისგან პირველი წერილი მიიღო, ანუ, უფრო სწორად, როგორც კი დააპირა მასზე პასუხის გაცემა, იგრძნო, რაოდენ უცხოდ

იქცა მისთვის პერი ამ რამდენიმე დღეში. თავისთვისვე მოულოდნელად, იაკობას მისაწერიც აღარაფერი აღმოაჩნდა. ქალს ხელახლა გაეღვიძა პერისადმი კრიტიკული დამოკიდებულება; ხელახლა გაუცოცხლდა წარსული ეჭვები. იაკობასათვის წინანდებურად ნამდვილ ტანჯვად გადაიქცა პერის ლაწირაკული წერილების კითხვა, სადაც ესოდენ ბევრს ლაპარაკობდა იაკობასათვის არასაჭირო ამბებზე, ასე ცოტას — სიყვარულზე და ერთ სიტყვასაც კი არა იმის შესახებ, რომ მასზე ნაღვლობდა.

მაგრამ ორი კვირის შემდეგ ივენი ქუჩაში არონ იზრაელს შეხვდა, რომელმაც აჩვენა იმ დილით ბერლინიდან თავისი ძველი მეგობრის პროფესორ პფეფერკორნისაგან მიღებული წერილი. პროფესორი დიდი ქებით იხსენიებდა პერს. ივენმა გამოართვა არონს ეს წერილი, სასტუმრო ოთახში მშობლების წინაშე ხმამაღლა წაიკითხა, მერე კი დაბეჭდილი კონვერტით გადაუგზავნა იაკობას, თან წააწერა: Vive l'empereur![1]

წერილში ნათქვამი იყო:

„...დიდი ხანი არ არის, რაც ძალზე მჭიდრო კავშირში ვარ შენს ქვეყანასთან ერთი ახალგაზრდა კაცის, ვინმე ინჟინერ სიდენიუსის მეშვეობით, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, პირადად გიცნობს. იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული კაცია და დანიელ ხალხს შეუძლია დიდი იმედები დაამყაროს მასზე. რამდენჯერმე ვესაუბრე, გავეცანი მის იდეებს და მეც დამაინტერესა. ჯერ არ შემხვედრია ადამიანი, რომელიც ფლობდეს ბუნებისა და მისი სასწაულების ასე უშუალოდ, ახლებურად და ცოცხლად შეგრძნების უნარს. არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ მისი მოსაზრებანი ძალიან მომწონს. ჩემი შეხედულებით ის მეტისმეტად მიწიერია, მაგრამ ასეთ ადამიანებს ეკუთვნის მომავალი, რაზეც ჩვენ, მოხუცებს, მხოლოდ ოხვრაღა დაგვრჩენია. ყოველი დრო თავის იდეალებს წარმოშობს, და როცა ვუსმენ, რა უშიშრად და დაუეჭვებლად ანვითარებს საზოგადოების გარდაქმნის ასეთ გაბედულ გეგმებს შენი თანამემამულე, — გარდაქმნისა, რომელიც შესაძლებელი ხდება ბუნების ძალთა სულ უფრო მეტად დამორჩილების მეოხებით, მეჩვენება, რომ ჩემს წინაშე ვხედავ მეოცე საუკუნის მოღვაწის პროტოტიპს...“

---

[1] გაუმარჯოს იმპერატორს! (ფრანგ.).

იაკობას ლოყები ეწვოდა, სუნთქვა ეკვროდა, როცა ამ სტრიქონებს კითხულობდა. მერე კი მთლად მოულოდნელი რამ დაემართა: ატირდა. ტიროდა არა მარტო ბედნიერებისაგან, არამედ სირცხვილისაგანაც, რცხვენოდა თავისი ეჭვებისა და შიშისა, კიდევ იმისა, რომ ფიქრებით კვლავ უღალატა პერს. „მეოცე საუკუნის მოღვაწე!“ სწორედ ეს სიტყვები ჰფენდნენ ნათელს იმას, რომ პერს ხასიათში დიდი წინააღმდეგობები გააჩნდა, ამართლებდნენ მის სისუსტეებს, ხსნიდნენ მის ძლიერებას. პერი მხოლოდ პირველი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი მონახაზია იმ მომავალი თაობის გიგანტი ადამიანისა, რომელიც, (როგორც თვითონ წერდა) ადრე თუ გვიან, დედამიწის სრულუფლებიანი პატრონი უნდა გახდეს და თავისი გემოვნების მიხედვით გარდაქმნას ის. პერი ახალი თაობის წინამორბედია, გაზრდილი დახშული ოთახის ჰაერზე, ყველა გონებაშეზღუდულ ცრუმორწმუნეთა უღელქვეშ, სულმოკლეობაში, ბრიყვულ მორჩილებაში — და ამიტომაც თავშეუკავებელი და თავქეიფაა; პატივს არა სცემს, არა სწამს რამე კეთილი ძალა იმ ძალებს გარდა, რომლებსაც მოძრაობაში მოჰყავთ მანქანათა ბორბლები. მაშ რა არის აქ გასაკვირი? მეცხრამეტე საუკუნის ოცნება ოქროს საუკუნეზე, მშვენიერი იმედი, რომ სიკეთისა და სამართლიანობის სამეფო შეიძლება შეიქმნას მხოლოდ სიტყვის ძალით და სულის სიძლიერით — მეტისმეტად გახუნდა!

ჯერ კიდევ პერის გამგზავრებამდე იაკობა ცდილობდა ცოტათი მაინც ჩაწვდომოდა მათემატიკისა და მექანიკის საიდუმლეობებს, მაგრამ მაშინ ეს მხოლოდ შეყვარებული ქალის კაპრიზი იყო, სურვილი, ყველაფერში პერს მიჰყოლოდა, და წინგადაღობილმა სიძნელეებმა აიძულა ძალიან მალე ხელი აეღო ამ თავის ცდებზე. ახლა კი იაკობამ ხელახლა, სემიტებისთვის დამახასიათებელი ენერგიით მოკიდა ხელი ზუსტ მეცნიერებათა შესწავლას. მიხვდა, რომ მხოლოდ მათი საფუძვლიანი გაცნობით შესძლებდა თანამედროვე საზოგადოებას და მისი განვითარების კანონებს ჩასწვდომოდა. მის მაგიდაზე ხვავად ეწყო მხატვრული ნაწარმოებები — უფრო ხშირად იქ იდო გადაშლილი ენეკოლდსენის „სამყაროს შექმნა“, რომლის ფურცლებშიც ავტორის პორტრეტს ინახავდა, ახლა იქ ფიზიკის, გეომეტრიის, დინამიკის სახელმძღვანელოები დაზვინულიყო. თავის წერილებში

პერს იაკობა ანგარიშს აბარებდა, რა წარმატებებს მიაღწია და რჩევასა და მითითებებს სთხოვდა.

ამგვარად, მათი ურთიერთობა მოულოდნელად შეიცვალა. იაკობამ, რომელიც წინათ დარწმუნებული იყო თავის სულიერ უპირატესობაში, იაკობამ, რომელიც წინათ თავის მოვალეობად თვლიდა — თუმცა, ცოტა არ იყოს, უსიამოვნო მოვალეობად — დახმარებოდა გაუთლელ საქმროს აენაზღაურებინა ის, რაც მის აღზრდაში გამოტოვებული იყო, უცბად თავი მოწაფედ იგრძნო, ისეთ მოწაფედ, რომელსაც მხარდაჭერა და შეწყნარება სჭირდებოდა. ისევე, როგორც მაშინ, როცა პერი შეუყვარდა, იაკობა ახლაც დღეში ათჯერ სტაცებდა ხელს კალამს, რათა მიეწერა პერისათვის ზოგჯერ მხოლოდ ერთი სტრიქონი, გამოეხატა რთული გეომეტრიული ამოცანის მოულოდნელად ნაპოვნი ამოხსნით გამოწვეული მღელვარე სიხარული ან დაეჩივლა, რატომ გვერდით არა მყავხარ, როცა ასე მჭირდება შენი დახმარება.

ეს აღფრთოვანება უფრო მეტად იყო გამოწვეული პერისადმი სიყვარულით, ვიდრე თვითონ იაკობას ეგონა. ყველაფერი, რაც დღის განმავლობაში შეემთხვეოდა, ყველაფერი, წუთიერი აზრიც კი, რომელიც თავში გაუელვებდა, უნდოდა იმ წუთშივე პერისთვის გაეზიარებინა, თუმცა მის წერილებში ვერ პოულობდა თავის ამ მიმნდობელობისა და სინაზის პასუხს. მაგრამ იაკობა თანდათანობით შეეგუა ამას. ახლა ქალი მიხვდა, რომ პერისაგან მოითხოვდა გრძნობას, რომლითაც ეს კაცი თვით ბუნებას არ დაეჯილდოებინა და ჰმადლობდა მას იმისთვისაც კი, რომ პერი არ ცდილობდა პირფერობას და მის წინაშე ისეთი წარსდგა, როგორიც ნამდვილად იყო.

პოლიტიკის შესახებაც სწერდა იაკობა პერს. ეს ქალის საყვარელი თემა იყო. უმთავრესად მუშათა მოძრაობის სხვადასხვა ფორმების შესახებ სწერდა, რაიც განუყოფლად იყო დაკავშირებული თანამედროვე ტექნიკის განვითარებასთან. აგერ აქამდე ვერ შესძლო იაკობამ პერის ინტერესებით გამსჭვალულიყო ხელფასზე და ძალაუფლებაზე მუდმივი კამათის დროს. მთელი მისი არისტოკრატიზმი აჯანყდებოდა ხოლმე ამის წინააღმდეგ. მუდამ საფრთხე ეჩვენებოდა მუშათა უკმაყოფილო მასებში, ხოლო მათი მოთხოვნები, იაკობას აზრით, შეიცავდნენ მუქარას ყოველივე იმისადმი, რასაც ქალი ასე დი-

დად აფასებდა. დიდ ხანს იყო დაეჭვებული, ვიდრე პერს გაუგებდა და მხოლოდ მაშინ შეიქნა მისთვის გასაგები, რატომ სწამდა ასე ჯიუტად ამ კაცს, სინათლის, ჰაერის და ადამიანობისათვის მებრძოლ დაჩაგრულ მუშების არმიასა და მეოცე საუკუნის ადამიანთა არმიას შორის ერთობაა საჭირო.

ამასობაში ბერლინში დღეები დღეებს მისდევდა. პერი თანაბრად ანაწილებდა ძალებს მეცნიერულ მუშაობასა და დიდი ქალაქის საცდუნებლებს შორის. ყოველდღე ახალ-ახალ ნაცნობებს იძენდა და ყველგან ძალიან მეგობრულად ღებულობდნენ. ამ მხრივ აქ ყველაფერი ისე ეწყობოდა, როგორც შინ: პერს ისეთი გულღია, ცოცხალი და მომღიმარი სახე ჰქონდა, ისეთი უშუალო ბუნებისა ჩანდა, ბევრის გულს ინადირებდა. ზოგჯერ კაცი ისეთ ღირსებებს მიაწერდა მას, რაც თავისდღეში არა ჰქონია. მხოლოდ აქ შეიგრძნო მან საბოლოოდ, რომ საყოველთაო სიმპათიის მოპოვების არაჩვეულებრივი უნარი გააჩნდა და ამ უნარს ისე იყენებდა, თავი არ უმტვრევია იმის ფიქრით, რად მექცევიან ასეო; თავდაჭერაც ძველებური შერჩა. ამავე დროს პერი ცდილობდა რაც შეიძლება კარგად შეეთვისებინა დიდი ქალაქის ცხოვრების მანერები და თამამად შეიძლებოდა დედაქალაქის სრულუფლებიან მკვიდრად ჩაეთვალათ. სხვა მხრივ არც მას ასცდა საზღვარგარეთ მოხვედრილი ადამიანის ფრიად ჩვეულებრივი ხვედრი: წმინდა პირადულ უარყოფით მხარეებს მისას ხასიათის ეროვნულ თვისებებს მიაწერდნენ. ამის გამო ხომ არამც თუ არ შეიძლება ადამიანის დადანაშაულება, არამედ ისინი ადამიანს ერთგვარ მიმზიდველობასაც კი ანიჭებენ და თავისებურ ეთნოგრაფიულ ინტერესსაც იწვევენ.

საიდუმლო კომერციის მრჩეველთან დიდ მუსიკალურ თავყრილობაზე პერი თავდაპირველად მოქარგულ მუნდირებსა და სამეჯლისო მორთულობებს შორის არც კი ჩანდა, მაგრამ ანტრაქტზე, როცა ოჯახის დიასახლისმა პატივი დასდო და თვით შეირე განყოფილების დაწყებამდე ესაუბრა, საყოველთაო ყურადღების საგნად იქცა. ხანში შესულ მანდილოსანს, რომელსაც ძალზე შემოჭერილი კორსეტი ეცვა და შეღებილი სახე ჰქონდა, მეტად იზიდავდა ჩამკვრივებული ახალგაზრდა მამაკაცები და არც ცდილობდა ამის დაფარვას. მაგრამ პერი უცქერდა მხოლოდ მის ქალიშვილს, რომელიც სულაც არ ჰგავდა დედას. ცხრამეტი წლის წყნარი, ნაზი არსება თითქმის შიშით ხვდებოდა თვითეულ მოახლოვებულ მამაკაცს. დედასავით მშვენი-

ვრად ეცვა, სამეფო კარის მოდის მიხედვით ფართოდ გულამოჭრილი კაბა ემოსა, მაგრამ შიშველი, ეტყობოდა, უხერხულად გრძნობდა თავს და რამდენადაც შეეძლო, ტიტველ მკერდს მარაოთი იფარავდა.

პერმა მასთან შეხვედრისას მხოლოდ სწრაფად მისალმება მოახერხა და არც კი იყო დარწმუნებული, იცნო თუ არა ქალმა. მთელი საღამო მუნდირებიანი ბრწყინვალე კავალრები ეხვევნენ ქალს გარს და ბოლოს პერმა ხელი აიღო ყოველგვარ ცდაზე, მასთან ახლოს მისულიყო. მაგრამ კონცერტის დროს პერმა ორჯერ შენიშნა — ქალიშვილი მალულად უმზერდა. თანაც, როცა მეორედ დაიჭირა მისი მზერა, ქალმა სასწრაფოდ მოარიდა თვალი, რითაც დაამტკიცა, რომ ეს მზერა შემთხვევითი არ იყო. პერს შეეძლო დაეფიცა კიდეც, ქალიშვილი ოდნავ წამოწითლდაო.

ღამით, როცა შამპანურით სასიამოვნოდ აღგზნებული პერი შინ ბრუნდებოდა, თავში ძალზე თამამი ოცნებები უტრიალებდა. იქნებ ღირს აქ ბედის ცდა? გაახსენდა ძია ჰენრიხის მონაყოლი ღარიბი ავსტრიელის ამბავი, ამერიკაში ნავთის მეფის ქალიშვილი ცოლად რომ შეირთო და ახალი სამყაროს ერთ-ერთი უგვირგვინო ხელისუფალი გახდა. ხოლო ეს ქალიშვილი, სულ ცოტა, ორმოცდაათმილიონიან ქონებას მიიღებს მემკვიდრეობით. ორმოცდაათი მილიონი და სართად მზეთუნახავი! ეს ვისაც გინდა შეაგულიანებს... სისულელეა! უგუნურებაა!.. ერთიც ვნახოთ... აქამდე მას ყველაფერი გამოუდიოდა. რასაც ნამდვილად მოინდომებდა. პერს ჯერ ერთხელაც არ დაურღვევია ივენის წინასწარმეტყველება: „მიველ, ვნახე, დავამარცხე“.

თუმცა ამქვეყნად არის კიდევ იაკობა — პერს კინაღამ დაავიწყდა ის: ეს სერიოზული წინააღმდეგობაა. მეორეს მხრივ, ეაცმა არ იცის, ვალდებული კია პერი მთელი ცხოვრების განმავლობაში შებოჭილი იყოს იმ დროს, როდესაც მის წინაშე მოულოდნელად ასეთი მიმზიდველი პერსპექტივები იშლება? აქვს კი, ბოლოს და ბოლოს მას უფლება უარი თქვას ასეთ მომავალზე? იქნება კი ეს სამართლიანი იმ საქმის მიმართ, რომელსაც მთელ თავის ძალებს სწირავს? ღმერთი ხომ ხედავს, რაოდენ ძვირფასია მისთვის იაკობა. პერი დიდად აფასებს მის იშვიათ ღირსებებს, მისთვის ძალიან სამძიმო იქნება იაკობასთან დაშორება მაგრამ როგორ შეიძლება საკუთარ გრძნობებზე ლაპარაკი, როცა საქმე საერთო სიკეთეს ეხება? დიახ, იაკობამ თვითონ უნდა გაუგოს მას და მოუწონოს. ორმოცდაათი მილიონი! ამ

თანხას ისეთ პაწია ქვეყანაში, როგორიც დანიაა, შეუძლია მის მფლობელს თითქმის უსაზღვრო ძალაუფლება მოუტანოს. რას აღარ გააკეთებ სამშობლოში ასეთი ფულით! როგორი დახმარების მოტანა შეუძლია განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, რომლის წარმატება და ბედნიერებაც სწორედ იაკობას სხვებზე მეტად სურს!

პერს არ სურდა შინ დაბრუნება, ამიტომაც უნტერ დენ ლინდენზე გაეშურა, სადაც კაფეებსა და სარდაფებში ჯერ კიდევ ბევრი ხალხი იყო. აქამდე შეძლებისდაგვარად გვერდს უვლიდა ამ ფეშენებელურ რესტორაციებს, იმიტომ, რომ იქ ყველაფერი საშინლად ძვირი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მიისწრაფოდა მაღალი წრის კაცად გამოჩენილიყო, პერს ბავშობიდანვე სძულდა ფულების ფლანგვა და, მართალი რომ ითქვას, ყველაზე უკეთესად თავს მხატვრების საყვარელ სამეკიტნოში გრძნობდა, სადაც ფრიტიოფს დაჰყავდა და სადაც ნახევარი გირვანქა ერბოკვერცხიანი ბიფშტექსი, კარგა მოზრდილი ფუნთუშა, ყველის ნაჭერი, ორი ტოლჩა ლუდი და სართადაც მიმტანი ქალის ალერსიანი ღიმილი სულ ორი მარკა ღირდა. მაგრამ ამ საღამოს შეზარხოშებული და აღგზნებული იყო, ამიტომ უკუაგდო თავისი მეშჩანური ცრურწმენანი და ერთ-ერთ ყველაზე უფრო მდიდრულ ოფიცერთა რესტორანში შევიდა.

პერი უჯდა ყინულში ჩაციებულ „Vix bara-ს ბოთლს, უცქეროდა, ხმლების ჟღარუნითა და აბრეშუმის შრიალით როგორ ტრიალებდნენ წყვილები, და განაგრძობდა ოცნებას. ბარონის ტიტული, რომლის შესახებაც მას ძია ჰენრიხმა უამბო, თავიდან ვერ ამოიგდო. ერთიც ვნახოთ და მართლაც ბარონი გახდეს! თუ დიდგვაროვანი გვარისა არა ხარ, ამ წრეებში ვერაფერს მიაღწევ. სამაგიეროდ, როცა ბარონი გახდება, პერს არავითარი მეტოქეობისა არ შეეშინდება. თუმცა გულახდილად რომ ითქვას, მან ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამეს მიაღწია. ერთადერთი მზერა დაიჭირა. მაგრამ თავის დროზე განა პერს მეტი რამ გააჩნდა, განა ერთი მზერაც კი ეკუთვნოდა, როცა იაკობას დაადგა თვალი? საჭიროა მხოლოდ გამბედავი იყო და შენი ბედნიერი ვარსკვლავისა გჯეროდეს. ტყუილად ხომ არ აქვს დევიზად: „მე ასე მინდა!“

მეოთხე საათი იყო, პერი რომ შინ მივიდა, მაგრამ ისე გახლდათ აგზნებული, ძილი გაუფრთხა. ლოგინში ბორგავდა, წყალს ჭიქას ჭიქაზე სცლიდა და ვერ დაწყნარებულიყო. მხოლოდ მომავლის

კადნიერი და ფანტასტიური ოცნებანი კი არ უშლიდნენ დაძინებას, ამ სიბნელეში და სიმარტოვეში სხვა ფიქრებიც აეშალა და სისხლი აუღელვა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ბერლინში ცხოვრობდა, უცნაური მოუსვენრობა სდევდა თან, ეს მოჩვენება, ანდერსენის ზღაპრის აჩრდილივით, მხოლოდ სიჩუმეში გამოეცხადებოდა ხოლმე, როცა ირგვლივ არავინ იყო. ეს იყო განუყრელი ფიქრი მამაზე და მის მოსალოდნელ სიკვდილზე. უფრო უბრალოდ რომ ვთქვათ, დღისით, როცა პერი საქმით იყო დაკავებული ან კაფეში მეგობრებთან ერთად იჯდა, ეს ფიქრი არ აღელვებდა, მაგრამ საკმარისი იყო მარტო დარჩენილიყო ამ უცხო ქალაქში, განსაკუთრებით საღამოობით, როცა შინ ბრუნდებოდა თავის ცარიელ და მყუდროებას მოკლებულ ოთახებში კარლშტრასეზე, აჩრდილი ხელახლა გამოეცხადებოდა. ყოველ ღამით, ვიდრე პიჯაკგახდილი იდგა ლოგინის წინ და საათს მართავდა, თავის თავს ერთსა და იმავე შეკითხვას აძლევდა: „ერთიც ვნახოთ და, დღეს მამა გარდაიცვალა!“

ასე იყო ამ ღამითაც.

გათენებისას, როცა ბოლოს და ბოლოს ჩათვლემა მოახერხა, პერი უეცრად შეკრთა, თითქოს მუჯლუგუნი წაჰკრესო. გაურკვეველი იყო, საიდან მოესმა უცნაური ხმა, თითქოს ვიღაცამ მოაკაკუნა კედელზე. ხელახლა გაუფრთხა ძილი. და თუმცა სულაც არ იყო ცრუმორწმუნე, თავიდან ვერ მოეშორებინა იმის ფიქრი, რომ სწორედ ამ წუთას გარდაიცვალა მამა.

დილით პერმა დეპეშა გაუგზავნა ებერხარდს და სადილობის დროს მიიღო მოკლე პასუხი: „მამა სიკვდილის პირად არის“. პერმა შეხედა საათს. ორი საათის შემდეგ ექსპრესი გადიოდა ჰამბურგში. მეორე დილით ის უკვე შინ იქნება, ხოლო საღამოთი კი შეეძლებ უკან დაბრუნდეს. სულ ორი დღე-ღამე მოუნდება, სამაგიეროდ სინდისი სუფთა ექნება.

საათი ხელში ეჭირა და ერთ წუთს ფიქრობდა, მერე გადაჭრით გაიქნია თავი და ჩემოდნის ჩალაგებას შეუდგა.

თავადაც ბოლომდე არ ჰქონდა შეგნებული, რა ეწეოდა შინისაკენ. მიმავალს მარტო იმისი როდი ეშინოდა, რომ ოდესმე მწარედ ვინანებ, რად არ ვუთხარი მამას უკანასკნელი „მომიტევეო“, საბოლოო შერიგების შესაძლებლობა ხომ მთლად გამორიცხული იყო. მისი გადაწყვეტილება უხილავი გზით სხვა აზრებთან იყო დაკავში-

რებული, რომელიც აგრეთვე მთელი ღამე არ აძინებდა და საქმეში ხელახლა წარსულის აჩრდილების წინაშე დაუძლეველი შიში ერეოდა. მსგავსად პირველი წარმართებისა, რომელნიც ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ვიდრე მნიშვნელოვან საკითხებს გადაჭრიდნენ, ფარულად უწინდელ ღმერთებს სცემდნენ თაყვანს, სანამ უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლას დაიწყებდა ბედნიერების ოქროს გვირგვინისათვის, პერს უნდოდა, მსხვერპლით მოელბო მამის ღმერთის გული.

ორი საათის შემდეგ მატარებელმა პერი ჩრდილოეთისაკენ გააქროლა.

თავი XII

ღამით, როცა მატარებელი იუტლანდიაზე მიჰქროდა, პერს სულის აგონდებოდა, როგორი უსიხარულო შობა გაატარა თავის სახლში უკანასკნელად ამ შვიდი წლის წინათ. უმცირეს წვრილმანებამდე ახსენდებოდა ეს მგზავრობა: მაშინ ბნელი, ავდრიანი საღამო იყო, ქალაქს ცივი, მოყვითალო ნისლი ებურა და მბჟუტავი ფარნები უფრო სევდიანად გამოიყურებოდნენ. სველ ბაქანზე მისი და, სიგნე იდგა, მოკლეკალთიანი ძველმოდური სალოფი ეცვა, ხელებზე შავი მატყლის ხელთათმანები, ხოლო ჭუდატანს ქვემოდან კალოშებში წაყოფილი დიდი ფეხები უჩანდა. გაიხსენა, როგორ გაჯავრდა მამა, როცა გაიგო, შვილი ჩემს ნებადაურთველად ჩამოდის არდადეგებზეო, როგორ ეწყინა თვითონაც, როცა დაინახა, სასადილო ოთახში იატაკს აპრიალებდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ უკვე ყველას ევახშმა.

პერს კიდევაც გაუკვირდა, რომ აქამდე ასე ცოცხლად ახსოვდა ყველა ეს წვრილმანი, თუმცა ახლა მისთვის სრულიად აღარაფერს აღარ ნიშნავდა. ყოველ შემთხვევაში, არ სურდა იმის აღიარება, რომ შობლიურ სახლს და იქიდან წამოღებულ პირქუშ მოგონებებს დღემდე რაღაც გავლენა ჰქონდა მასზე. მზად იყო დათანხმებულიყო მხოლოდ იმაზე, რომ წარსულის მოგონებები ამ უკანასკნელ წლებში მთლად გაქრნენ მისი ცხოვრებიდან და მეხსიერებიდან, ხოლო ახლა კვლავ დაეუფლნენ.

დილაადრიან, ოქტომბრის მზიან დღეს, პერი პატარა ქალაქს მიადგა.

პერის გამოჩენამ, უფრო სწორად, მისმა არაჩვეულებრივმა კოსტუმმა, სადგურზე საგრძნობი გამოცოცხლება გამოიწვია. პერს აბრეშუმგამოკერებული გრძელი, თაგვისფერი სამგზავრო პალტო ეცვა. პალტოს ხავერდის დიდი საყელო და ყოშები ჰქონდა. შავთმიან, სადად შეკრეჭილ თავზე შოტლანდიური სამგზავრო ქუდი შვენოდა. დაბოლოს, მაღლააკაპიწებულ შარვლის ქვეშიდან, უახლესი მოდის თანახმად, ღიანაცრისფერი გეტრები მოუჩანდა. ჩემოდანი, მუყაოს კოლოფი შლიაპისათვის და სხვა სამგზავრო აქსესუარები — ყველაფერი პირველი ხარისხისა და ახალთახალი იყო.

ვიღაც შინნაქსოვქურთუკიანი გლეხები შეშინებულები განზე გადგნენ. პერმა იდუმალი კმაყოფილებით გაიგონა მათი ჩურჩული: „ეს, ალბათ, ახალგაზრდა გრაფი ფრიუსია?“

თუმცა პერმა დეპეშა გამოგზავნა მოვდივარო, მის შესახვედრად არავინ გამოსულიყო.

„რა ვუყოთ, მით უკეთესი, — გაიფიქრა პერმა, — თავისუფალი მაინც ვიქნები“. მან გადაწყვიტა სასტუმროში ნომერი დაექირავებინა, ეს ყველა შემთხვევაში მოსახერხებელი იქნებოდა მისთვის.

მაგრამ ვერ მოასწრო სასტუმროს ერთ-ერთ ომნიბუსში ჩაჯდომა, იქვე სადგურთან რომ იცდიდა, ებერხარდი დაინახა, აუჩქარებლად გამოდიოდა სადგურის პარკიდან. პერი მაშინვე მიხვდა, მისმა ძმამ, ყველაზე მეტად ამქვეყნად თავისი ღირსების დაკარგვისა რომ ეშინოდა, განგებ შეიცადა პარკში, რათა ისეთი სახე მიეღო, თითქოს სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა აქ სეირნობისას. პერი მიხვდა ამას და მხრები აიჩეჩა. მსგავსი ქედმაღლობა წინათ აღაშფოთებდა, ახლა კი მხოლოდ სიბრალული აღუძრა.

ებერხარდმა დაინახა, პერი უკვე სასტუმროს მსახურს ურიგდებოდა, აშკარად შეეშინდა და ფეხს აუჩქარა.

— შენ რა, სასტუმროში აპირებ გაჩერებას? — ისე ჰკითხა, არც კი მისალმებია.

— ჰო, — მიუგო პერმა, — ასეთ დროს არ მინდა შინაურები შევაწუხო.

— მაგრამ შენთვის ოთახი მოამზადეს და ადგილიც გვაქვს. დედას ძალიან ეწყინება, თუ სასტუმროში გაჩერდები.

— მაშ, ცხადია, რახან ასეა... გამომიგზავნეთ, გეთაყვა, მზიდა-

ვი, — მიმართა პერმა მსახურს და ამის მერე ჰკითხა ებერხარდს, როგორ არის მამაო.

— გუშინდელსაქეთია სძინავს. საერთოდ, განუწყვეტლივ თვლემს. ეს უკანასკნელი დღე-ღამე სულ გონმიხდილია.

სადგურიდან მზიდავი გამოვიდა მსახურის თანხლებით, რომელმაც პერს მოწიწებით მოუხადა ქუდი. პერმა მას კრონი გადაუგდო და მზიდავს ბარგის თაობაზე რაღაც უთხრა.

ამ ხანში ებერხარდი განზე გადგა და მალულად, აღელვებით ათვალიერებდა პერის კოსტუმს. როცა გეტრები შენიშნა, სახეზე აუწერელი შიში გამოეხატა.

— უკანა გზით წავიდეთ, — უთხრა მან პერს, უნდოდა ბილიკისაკენ გადაეხვია, რომელიც ქალაქის გარეუბნით პასტორის მამულისაკენ მიემართებოდა.

პერმა იუარა:

— იქიდან უფრო შორს არის, მე კი დაღლილი ვარ.

— მაშ, როგორც გინდა, — უპასუხა ებერხარდმა და პირი მოეღრიცა. ეს იმას ნიშნავდა, რომ თავის ღირსების შელახვად თვლიდა შედავებას.

ძმები ჩუმად მიდიოდნენ მთავარ ქუჩაზე.

მშობლიურ ქალაქთან შეხვედრას პირველ ხანებში პერზე ძლიერი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული ქუჩები, ერთსართულიანი, ან ზოგან ორსართულიანი სახლები, დაუსრულებელი თხრილები — ყოველივე ეს სასაცილოდ, სათამაშოდაც კი ეჩვენებოდა ვეებერთელა დედაქალაქთან შედარებით, საიდანაც ესენი იყო ჩამოვიდა. ქალაქსაც იგივე ბედი ეწია, რაც მშობლიურ სახლს: ამ ბოლო წლების განმავლობაში მთლად დაიკარგა პერის ცხოვრებიდან, მისი ყურადღების არედან. პერმა უნებურად გაიღიმა, გაახსენდა თავისი პატივმოყვარული ოცნება — გამარჯვებული დაბრუნებულიყო ამ ყვავის ბუდეში, რომელიც ყოველთვის მისი დამცირების მოწმე იყო.

და მაინც, თითქმის ყველა შემხვედრს სცნობდა. თითოეული ზეთის საღებავით შეღებილი პატარა სახლი, სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან მიჭედებული სარკე, თითოეული აბრა დუქნის კარზე, თითოეული საამქრო ღერბი ალაყაფის კარზე მის მოგონებაში წარსულის რაღაც ნაწილს აღვიძებდა. კლასიკურმა გიმნაზიამ, რომელიც

ქუჩას დაბალი ფასადით გაჰყურებდა და მაღალი კედლებით გარშემორტყმულმა სათამაშო მოედანმა ბავშვობის მოგონებანი გაუღვიძა პერს. გიმნაზიაში სწორედ შესვენების დრო იყო და ბავშვთა ხმაური კედელს მიღმა ზუსტად ისევე მოისმოდა, როგორც მის დროს. ქალაქის გარშემო აღმართულიყო ბორცვები, ბიჟობაში რომ უყვარდა. აგერ ფიორდები, ფართო ვაკეც, სადაც ზაფხულში თამაშობდა. აქ ჩაესახა პირველი გაუბედავი ოცნებანი არხის აგების შესახებ, აქ ჰაერში ააფრინა ვეებერთელა ფრანი და ქვებით სავსე სათამაშო ურიკაც ააწევინა. მაშინ გახდა პერისთვის ცხადი, რა მნიშვნელობა ჰქონდა ქარის ძალას.

უეცრად თითქოს რაღაცამ უბიძგა. სკოლის გაღებულ კარში მაღალი, ოდნავ მოხრილი კაცი გამოჩნდა და პერმა მაშინვე იცნო თავისი მათემატიკის მოხუცი მასწავლებელი. უნებლიეთ ოდნავ აიწია თავზე შლიაპა და მღელვარებისაგან გაწითლდა. მოაგონდა, რომ ამ კაცმა, ამ წუთს რომ გულგრილად ჩაიფრატუნა მის გვერდით და, ცხადი იყო, ვერც იცნო პერი, ამ მოხუცმა, ამ ჭკუამოკლე, გახეხილსერთუკანმა მასწავლებელმა უდიდესი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში და ის იყო, შეიძლება ითქვას, პერის ბედისწერაც. ამ ადამიანს რომ არ დაერწმუნებინა ასე დაჟინებით მამა, ის არასოდეს არ დართავდა პერს ნებას, კოპენჰაგენის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შესულიყო. ხელობის შესასწავლად მიაბარებდნენ ან რაიმე სავაჭრო საქმეზე მოაწყობდნენ. რა იქნებოდა მაშინ?

ებერხარდი შეეკითხა, როგორ იმგზავრეო, მაგრამ ფიქრებში ჩაფლულ პერს შეკითხვა არ გაუგია. როცა გაიფიქრებდა, ამ ჭუჭყიან, საცოდავ ქალაქზე სამუდამოდ ვარ დამოკიდებულიო, პერი დამცირებულად გრძნობდა თავს. განსაკუთრებით ის აღშფოთებდა, რომ ქალაქი თავის მხრივ, სულაც არ იყო მასზე დამოკიდებული. ფეხმოქცეული ვაჭარი ხერტინგიც, რომელსაც ტილოს ქურთუკი და ხის ფეხსაცმელები ეცვა და ვერცხლით მოჭედილი ხვირთქლის ჩიბუხით ხელში თავისი დუქნის წინ იდგა, მძინარა წითური პარიკმახერი ზიბენჰაუზენიც, ვისაც — უწინდებურად—ფანჯრიდან თავი გამოეყო და შინამოსამსახურეებს უთვალთვალებდა, ქალაქის მაცნეც, რომლის დაფი და კივანა დედაბრული ხმა მეზობელი ქუჩიდან ისმოდა, — ყველანი რაღაცას ნიშნავდნენ პერისთვის, მაშინ, როცა ის მათთვის სრულიად არაფერს წარმოადგენდა.

ორ სიდეჰადეზეც შეუხვიეს, სადაც მათი სახლი იდგა. როგორც კი თვალი მოჰკრა პირქუშ კედლებს და უცნაურ, ციხის კარების მსგავს კარს, რაც მთავარია, ნახერხმოყრილ ქვაფენილს, პერს გული აუძგერდა. დედასთან და სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე მამასთან მოსალოდნელ შეხვედრაზე ფიქრმა უცებ, მისთვის მოულოდნელად, ძალზე შეაშფოთა.

სიგნე პერს წინკარში შეეგება. აშკარად აღელვებული ჩანდა, მაგრამ მდუმარედ გაუწოდა ხელი და ოდნავ შეტრიალდა, თითქოს ძმას უკან ვიღაც შემოჰყვა სახლში და ამ ვიღაცას თვალს ვერ უსწორებსო.

— დედა დასასვენებლად მიწვა, — თქვა სიგნემ, როცა სასადილო ოთახში შევიდნენ. პერმა თავისი უმცროსი ძმები — ტყუპები დაინახა; ისინი ისე წამოზრდილიყვნენ მის აქ არ ყოფნაში, რომ პერმა ძლივს იცნო. ძმებმა დაირცხვინეს და პერისთვის არც შეუხედავთ, ისე ჩამოართვეს გამოწვდილი ხელი.

სიგნემ განაგრძო:

— დედამ გვთხოვა გაგვეღვიძებინა, როგორც კი მოხვიდოდი. მაგრამ არ მინდა შევაწუხო. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს.

თუმცა მამა სასადილო ოთახიდან შორს, სახლის სხვა კუთხეში იწვა, სიგნე მაინც ხმადაბლა ლაპარაკობდა, როგორც იციან ხოლმე ლაპარაკი, როცა სახლში მძიმე ავადმყოფია. პერი დაეთანხმა, ცხადია, დედის გაღვიძება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებაო.

ისევე, როგორც შვიდი წლის წინათ, პერის წინ ბუტერბროდების მთელი მთა ააზვავეს, სიგნემ ყავა დაუსხა და დავა რომ არ ატეხილიყო, პერმა თავს ძალა დაატანა, ცოტა რამ შეეჭამა, თუმცა მღელვარებისაგან ლუკმა ყელში ეჩხირებოდა. ოთახის მეორე მხრიდან ტყუპები დიდრონ, ცნობისმოყვარე თვალებს ადევნებდნენ. სიგნემ ჰკითხა:— ალბათ, გინდა მამა ინახულო? წუხანდელს აქეთ ბურანშია. ახლა მომვლელი ქალია მასთან, წავალ, გავიგებ, როდის შეხვიდე.

ის ჩუმად გავიდა და კარი ორივე ხელით მიიხურა, რომ კლიტეს არ დაეტკაცუნებინა. ებერხარდმა საჭიროდ ჩათვალა, სასადილო ოთახიდან გასულიყო. უცნობ ძმასთან ცალკე დარჩენა არ სურდათ და ტყუპებიც გაქრნენ სამზარეულოდან.

პერი ადგა და ანგარიშმიუცემლად ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე შეჩერდა ფანჯრის წინ, რომელიც პატარა კორდს გადასცქეროდა.

ხეები საბრალოდ აზიდულიყვნენ. ეს იყო პასტორის მთელი ბაღი. პერს ყრუდ აუძგერდა მკერდში გული და მოუსვენარი ფიქრები აუფუთ-ფუთდა თავში, თავის გამართლების საშუალებას ეძებდა.

მაგრამ სანამ პერი ფანჯარასთან იდგა და გულგრილად ათვალიერებდა პატარა, ყოველი მხრიდან ქვის მაღალი კედლებით მიჭეჭყილ, მზისაგან მივიწყებულ ბაღს, თანდათან დაიბრუნა სულიერი სიმშვიდე და გონს მოეგო. სწორედ აქ იპოვა თავის გამართლების საშუალება, ასე რომ ეძებდა. რაკი ესოდენ გულგრილად შეუძლია უცქიროს ამ კორდს, სადაც ბავშვობაში თამაშობდა, მაშასადამე, პერი მართალია. არაფერში და არავის წინაშე არ არის დამნაშავე. არც ერთი სასიხარულო ამბავი, არც ერთი ნათელი მოგონება არ არის დაკავშირებული მისთვის ამ კედლებთან, რომელთა შიგნით ბიჭი ტყვესავით იჯდა მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში. და არა მარტო თხუთმეტი წელი! მხოლოდ ახლა მიხვდა პერი და ამ მიხვედრაზე აქამდე უცნობი მწარე სინანულის გრძნობით განიმსჭვალა, რომ ამ კედლების ჩრდილი მთელ მის სიცოცხლეს დაეცა და ყოველგვარი სიხარული მრავალი წლით ადრე დაუბნელა.

პერი შიშით შეკრთა. მის ზურგს უკან კარი წყნარად გაიღო და სიგნე შემოვიდა.

— შეგიძლია შეხვიდე მამასთან. წადი.

პერმა უკან მოიტოვა პატარა, ნახევრადცარიელი კაბინეტი და სასტუმრო ოთახი. საწოლი ოთახის კარი ოდნავ გამოღებული იყო. სიგნე ფეხაკრეფით მივიდა კართან, უხმაუროდ გააღო და პერი კედლიდან ოდნავ გამოწეულ საწოლთან მიიყვანა. ოთახში ნახევრად ბნელოდა და პირველად ვერაფერი დაინახა.

საწოლზე თანდათან გაარჩია ჩამომჭკნარი სახე. გვერდით გადახრილი თავი ღრმად ჩარგულიყო დიდ, რბილ ბალიშში. თვალები ეხუჭა. მამას ეძინა და მისი ძილი სიკვდილს ჰგავდა. პერს შებურძგლა, მაგრამ შეცოდება კი არა, უსიამოვნო გრძნობა იყო, ამ გრძნობას უეჭველად განიცდის მომაკვდავის დანახვისას თვითეული, ვისაც სიკვდილისა ეშინია. როცა მიხვდა, მამა ისეთ მდგომარეობაშია, რომ შერიგების ყოველგვარი ცდა ამაოაო, პერს თითქმის გაუხარდა. ყველაზე მეტად იმისი ეშინოდა, რომ შინაურები აუცილებლად აიძულებდნენ უკანასკნელ წუთს მამას შერიგებოდა. იცოდა, სრულიად არაფერი

ჰქონდა მამისთვის სათქმელი, მოხუცს კი შეეძლო ეთქვა მისთვის რაიმე ისეთი, რაც მხოლოდ გააუარესებდა ურთიერთობას, ან ისევ ახალ შეტაკებამდე მიიყვანდა მამა-შვილს, ეს კი ახლა არაფრით არ შეიძლებოდა.

როცა თვალები სიბნელეს შეაჩვია, პერმა უფრო კარგად დაათვალიერა მძინარის ღონემიხდილი სახე. მამას თმა ძველებურად სქელი ჰქონდა, მაგრამ ავადმყოფობაში მთლად გაჭაღარავებოდა. სახე, პირიქით, გამუქებოდა, თითქმის ბრინჯაოსფერი დასდებოდა და ერთი კუნთიც კი არ ერხეოდა, თუმცა ბუზები წამდაუწუმ აჯდებოდნენ. შუბლსა და ლოყებზე. გეგონებოდათ, სიკვდილს უკვე დაუხუჭავს ავადმყოფის ქუთუთოებიო.

მომვლელი ქალი, რომელიც პერის მოსვლამდე პირსაბანთან იდგა და ღრუბელს წურავდა, ოთახიდან გავიდა, თან ტაშტი გაიტანა. ავადმყოფის მახლობლად დარჩნენ ტყუპები. სიგნე ლოგინის გვერდით დაბალ სავარძელში ჩაეშვა. იჯდა მოკუზული, ხელები მუხლებზე დაეწყო და სიყვარულითა და სევდიანად უცქეროდა მამას. დიდრონი, ბაცი ფერის თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, ტუჩები უკანკალებდა. დროდადრო მსუბუქად იქნევდა ხელს მამის სახის წინ, რათა მოეგერიებინა აბეზარი ბუზები.

უეცრად რაღაცამ ყრუდ გაიშრიალა, სასტუმრო ოთახში გამავალი ფარული კარი გაიღო, ვიწრო ჭრილში დედის პატარა, მოხრილი სხეული გამოჩნდა.

ერთ წამს დედა კარებში გაშეშდა, ცალი ხელი წირთხლისთვის ჩაეკიდა, მეორეთი შავ ჯოხს ეყრდნობოდა. პერმა უცებ ვერც კი იცნო. ბწოლიარე ახსოვდა და არასოდეს უფიქრია, თუ ასე პატარა ტანისა იყო. თანაც, ამ ბოლო წლებში ძალიან დაბერებულიყო. თმა გასთეთრებოდა, სახე დაგრძელებოდა, უდიდესი სულიერი დაძაბულობა, რამაც მამის ხანგრძლივი ავადმყოფობის განმავლობაში თითქმის სასწაულებრივად ფეხზე წამოაყენა, მის სახეს და განსაკუთრებით ჩაღრმავებულ მახვილ თვალებს უჩვეულო მკაცრ იერს აძლევდა.

პერი მოულოდნელობისაგან დაიბნა. დედა ისე შესცქეროდა და წინ გაწვდილი ხელებიც ისე ეჭირა, თითქოს შვილს ახლოს არ უშვებდა. პერი შეცბუნდა. აშკარა იყო, დედა მისგან მონანიებას ელოდა. რამდენიმე წამს ორივენი ქანდაკებებივით უძრავად იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ. მაგრამ დედის გულმა გაიმარჯვა. ცრემლები ჩამოე-

ღვარა ლოყებზე, პერს ხელები თავზე შემოაჭდო და შუბლზე აკოცა.

ამასობაში სიგნე ადგა საწოლის გვერდით მდგარი სავარძლიდან და შიგ დედა ჩასვა.

— მაშ მაინც ჩამოხვედი, პეტერ ანდრეას? — თქვა დედამ, ნახევრად მიბრუნდა და თვალები ხელისგულით მოიჩრდილა, თითქოს პერის ცქერა უჭირდა. — რატომ ადრე არ ჩამოხვედი? ახლა, ალბათ, ჩქვე ძალიან გვიან არის.

ამ სიტყვებმა პერი აიძულეს ყურები დაეცქვიტა. „ძალიან გვიან“— გაიფიქრა მან. მაშასადამე, შინაურები მართლაც ბოლო წუთამდე შერიგებას იმედოვნებდნენ და მისი ჩამოსვლა მიიღეს, როგორც პირველი ნაბიჯი შესარიგებლად.

დედამ ხელახლა დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ ამ დროს სასტუმრო ოთახიდან დაბრუნდა მომველელი ქალი, თან ვიღაც ხანშიშესული მაჩაკაცი ახლდა.

ჩვეულებრივი დღის ვიზიტით მოვიდა შინაური ექიმი. დედამ ანიშნა და პერი და სიგნე ოთახიდან გავიდნენ, მომვლელმა ქალმა კი მათ უკან კარი მოხურა.

* * *

იმ დღეს პერს დედა მეტად აღარ უნახავს, საერთოდ, მის ჩამოსვლას არ მოუხდენია ის შთაბეჭდილება, რაც შეეძლო მოეხდინა სხვა ვითარებაში. შინაურთა ფიქრი მხოლოდ მამის ავადმყოფობა გახლდათ და თუმცა ყველანი ჩუმად იყვნენ, სახლში ფუსფუსი არ წყდებოდა. ხან კომპრესის მომზადება იყო საჭირო, ხან წამალზე გაქცევა, თუ აღარას ვიტყვით იმაზე, რომ ქალაქის მცხოვრებნი ყოველ წუთს მოდიოდნენ გასაგებად, თუ როგორ გრძნობდა თავს ავადმყოფი. გარდა ამისა, ამ დღეს მოელოდნენ კიდევ ერთი ძმის, კუნძულ ფიუნის ქორეპისკოპოსის და დის ჩამოსვლას, იგი ექიმის ცოლი იყო და ლიმფორდის რაპირზე პატარა ქალაქში ცხოვრობდა. მათთვისაც უნდა მოემზადებინათ ოთახები, ისე რომ, ყველა ყელამდე იყო საქმეში ჩაფლული.

პერს მიუჩინეს თავისი ადრინდელი ოთახი მეზონინზე, აქ იჯდა თითქმის მთელი დღის განმავლობაში. პირველად ამაოდ ცდილობდა დაძინებას, რომ მგზავრობის მერე დაესვენა, მერე კი დაჯდა და წერილი მისწერა იაკობას. ზრდილობის გულისათვის მან უარყო თავდაპირ-

ველი გეგმა და გადაწყვიტა მამის სიკვდილამდე დარჩენილიყო. როგორც ჩანდა, დიდხანს აღარ მოუხდებოდა ცდა. პერი აღელვებული და სულდამძიმებული იყო. თუმცა ჩამოსვლას არ ნანობდა, მაგრამ უნდოდა, მალე ყველაფერი წარსულს ჩაბარებოდა. მან მხოლოდ ერთხელ ნახა, როგორ კვდება ადამიანი: ეს იყო ნიუბოდერში, იმ დღეს, როცა მოხუცი ბოცმანი სეირნობიდან გრძნობადაკარგული მოიტანეს. აქამდე არ გაქრობოდა მეხსიერებაში მტანჯავი მოგონება. ახლაც არ დავიწყებოდა, როგორ შეაშინა მომაკვდავი ბოცმანის დანახვამ და როგორ განგაში ატყდა ირგვლივ მყოფთა შორის.

საღამოს ორი დაგვიანებულიც მოვიდა—თომასი და ინგრიდი. ინგრიდს მეუღლეც ახლდა. ღაჟღაჟა, ჯანმრთელი ღვთისმეტყველი თომასი ფრიად დარბაისელი კაცი იყო. ამ სიდარბაისლეში მგრძნობიარე გული და რაღაცნაირად ჩაფერფლილი პატივმოყვარეობა იმალებოდა. ინგრიდი, პატარა, თავდაჯერებული პროვინციელი ქალი, სულით ხორცამდე სიდენიუსი გახლდათ, მისთვის ლიოგსტერი მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ცხოვრობდა თვითონ და მისი ქმარ-შვილი.

დღის განმავლობაში მამამ რამდენჯერმე გაახილა თვალი და მზერაც სრულიად აზრიანი ჰქონდა, მაგრამ დიდი გაჭირვებით ლაპარაკობდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ხელახლა მიეხდებოდა ხოლმე გონი.

მერე საღამოს ვიზიტით მოვიდა ექიმი, ავადმყოფისაგან რომ გამოვიდა, სიგნეს, ვინც წინკარამდე მიაცილა, უთხრა:

— არ დაგიმალავთ, მამათქვენი. ამ ღამეს ვეღარ გაატანს. იმედია, თუ საჭირო იქნება ჩემი დასწრება, მიხმობთ.

ექიმის წინასწარმეტყველება ახდა. საათმა ორის დარეკვაც ვერ მოასწრო, რომ ყველა ფეხზე დააყენეს. მამა სულს ლევდა. მგზავრობისაგან დაღლილსა და თითქმის ორი ღამის უძინარ პერს მაგრად ჩასძინებოდა და როცა გააღვიძეს, უცბად ვერ მიხვდა, სად იმყოფებოდა. სიზმარს ხედავდა, თითქოს ბერლინში იყო ფრიტიოფთან და მის მეგობარ მხატვრებთან ერთად. ის-ის იყო შეცვივდნენ სარდაფში ლეიპციჰერშტრასეზე... რომ უცბად კარი გაიღო, შემოვიდა სიგნე სანთლით ხელში და სთხოვა ქვევით ჩასულიყო.

როცა პერმა მოიაზრა, სადაც იმყოფებოდა და რას ნიშნავდა დის სიტყვები, ჟრუანტელმა დაუარა. დიდი ქალაქის უდარდელი ფუსფუ-

სის მერე სიკვდილზე ლაპარაკის მოსმენა მეტისმეტად მკვეთრი კონ-ტრასტი გახლდათ ისეთი სულიერი წყობის ადამიანისათვისაც კი, როგორიც პერი იყო. უკვე ჩაცმულმა პერმა რამდენჯერმე ბოლთა დაარტყა ოთახში, რომ ცოტათი მაინც დამშვიდებულიყო.

ქვემოთ ყველა და-ძმა დახვდა. არც კი დაწოლილიყვნენ, ზოგს სავარძელში მოეტყუებინა თვალი, ზოგს დივანზე, რომ, თუ რაიმე მოხდებოდა, რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყვნენ მამასთან. სასტუმრო ოთახი გაჩაღებული იყო და საწოლ ოთახში გამავალი კარების ორივე დარაბა ყურთამდე მოღებული. საწოლ ოთახში მხოლოდ პატარა ღამის ნათურა ენთო. ნათურა მაგიდაზე ლოგინის თავთან იდგა და სუსტი შუქი მამის ფერმკრთალი სახის ნახევარს ანათებდა, მეორე ნახევარს ჩრდილი ეფინა.

სუნთქვა რომ გაადვილებოდა, მამა ბალიშებზე მიასვენეს და თავი მაღლა ააწევინეს. ავადმყოფი გრძნობაზე იყო, მაგრამ უკვე აღარც ლაპარაკი შეეძლო, აღარც ჩალურჯებულ-ჩაშავებული ქუთუთოების გაღება. ის-ის იყო დაეწყო შვილებთან გამოთხოვება. ერთი მეორის მიყოლებით მიდიოდნენ მასთან შვილები და ხელს კიდებდნენ საბანზე მძიმედ და უძლურად დაგდებულ ხელზე, ხოლო დედა მოსულის სახელს ამბრბდა. დედა ლოგინის თავთან, დაბალ დაწნულ სკამზე იჯდა.

პერზე ცუდად იმოქმედა ამ საზეიმო სცენამ და ფიქრობდა, როგორმე ისე უნდა მოვიქცე, თავიდან ავიცილო მასში მონაწილეობაო. სანამ შეიძლებოდა, მოშორებით იდგა, მაგრამ ბოლოს მისმა რიგმაც მოაღწია და როცა მამის უკვე გაცივებული ხელი აიღო, ხოლო დედამ კი, როგორც მას მოეჩვენა, განგებ ხმამაღლა თქვა მისი სახელი, პერი გამყინავმა ძრწოლამ მოიცვა და მხოლოდ იმის შეგნებამ შეაკავებინა თავი, ჩემი დები და ძმები მაკვირდებიანო (ყველანი მომაკვდავს შემოეხვივნენ). წამით ისეთი მძიმე გრძნობა აღეძრა, თითქოს უმაღლესი მოსამართლის წინაშე იდგი.

მეოთხე საათი დაიწყო. წყნარ ქუჩაზე ღამის დარაჯი გამოჩნდა. სახლის წინ დაყრილი ნახერხი ახშობდა მისი ნაბიჯების ხმას. მხოლოდ გაბმული სიმღერა ისმოდა, რაიც ზეციდან სიკვდილის ანგელოზის მოახლოვებასავით ეღერდა:

> გაივლის ღამის წყვდიადი,
> მზე გადმოხედავს მიწას,
> ბოროტი კაცის თვალთაგან
> უფალი ღმერთი გვიცავს.

ნუ შემავედრებ ამაოდ.
წყალობა მომეც, მამაო!.

როცა მამა მოსამსახურესაც გამოეთხოვა, შუბლზე კუნთები ისე აამოძრავა, იქ მყოფნი მიახვედრა, რომ რაღაცის თქმა სურდა. მისი ჭურჭული მხოლოდ დედამ გაარჩია, მამა შვილებს სთხოვდა, ფსალმუნი მიძღერეთო. ყველანი სასტუმრო ოთახში ფორტეპიანოსთან შეიკრიბნენ და ყრუ ხმებით იმღერეს ფსალმუნის რამდენიმე პწკარი: „ცათა უმაღლესია მადლი ღვთისა“.

დედის გარდა საწოლ ოთახში მხოლოდ პერი დარჩა. მამასთან გამოთხოვების შემდეგ ბნელ კუთხეში მიიკუნჭა, იქ არავინ ხედავდა, ძმებისა და დების წყნარი ხმები პერამდე აღწევდა. ეს ხმები აღსავსე იყო მშვიდი ძალით, რასაც უძლეველი რწმენა ანიჭებს და შვებით, თითქოს ცა გაიხსნა მათ თავზე და თვით ღმერთმა, მოსილმა არაამქვეყნიური ბრწყინვალეებით, ხელები გაშალა, რათა მიეღო მამის გასხივოსნებული სული. პერი კი იჯდა ამ დროს მარტო და ძალით იკლავდა გულში სურვილს, რომ მათ შეერთებოდა. ტუჩები აუკანკალდა, თვალები ცრემლებით აევსო, როცა შეხედა მამის არაქათგამოცლილ სახეს, — მამა მშვიდად ესვენა ბალიშზე და ირგვლივ შარავანდედივით ეფინა ჭაღარა თმა. და პერმა, რომელსაც ჯერაც ახსოვდა ბოცმანის სიკვდილის მტანჯველი სცენა, გაიფიქრა: „მაშასადამე, ჭეშმარიტი მორწმუნენი ასე კვდებიან“.

ფსალმუნის სიმღერა დამთავრდა, ყველანი ერთმანეთის მიყოლებით საწოლ ოთახში დაბრუნდნენ. მამას ოდნავ გაეღო პირი, თვალები უფრო ღრმად ჩასცვენოდა. მალე აგონია დაეწყო.

დედას მამის მარჯვენა ხელი ეჭირა და დროდადრო ცხვირსახოცით შუბლიდან ოფლს სწმენდდა. საწოლის მეორე მხრიდან ებერხარდი და სიგნე იდგნენ — მზად იყვნენ, თუ შველა იქნებოდა საჭირო. დანარჩენები, აღსასრულის მოლოდინში, მოშორებით ჩამომსხდარიყვნენ, ხოლო ყველაზე უმცროსნი ლოგინთან ფეხზე მდგარნი მწუხარებით უცქერდნენ მომაკვდავს.

გავიდა ერთი საათი. წყნარი ქუჩიდან ხელახლა მოისმა ღამის დარაჯის გაბმული, ნაღვლიანი სიმღერა:

თარგმნა ეახტანგ ჯავახაძემ.

დიდია შენი დიდება,
ცაზე მეუფებ ლხენით,
იყავ უძლურთა მოძღვარი,
იყავ მფარველი ჩვენი.
ზრუნვით გაგვითბე გულები,
ერთგულად გემსახურებით.

ოთახში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა მხოლოდ მამის მძიმე სუნთქვა, მაგრამ თანდათან ეს სუნთქვაც უფრო სუსტდებოდა, დროგამოშვებით რომელიღაც შვილთაგანის ყრუ გოდებაც ერთვოდა.

ოთხი საათი სრულდებოდა. დედა მთლად მოიკუზა, შუბლით მამის უძრავ ხელს მიეკრა და ცრემლებით რწყავდა მას. ებერხარდმა ფრთხილად აიღო მამის მარცხენა ხელი და დაიწყო ძლივს მფეთქავი გულისცემის თვლა, სიგნე მღელვარებით ადევნებდა თვალყურს მისი სახის გამომეტყველებას. სასტუმრო ოთახში სათმა დარეკა, პირველსავე დარეკვაზე ებერხარდმა სიგნეს შეხედა და დაძაბულად მიუგდო ყური. შემდეგ საწოლს შემოუარა და დედასთან მივიდა.

— დედა, — უთხრა მან და ფრთხილად შეეხო მხრებზე, — მანა გარდაიცვალა.

ყველანი წამოხტნენ ადგილებიდან და მჭიდროდ შემოერტყნენ ლოგინს, მხოლოდ დედა იჯდა კვლავ. ერთ წამს ებერხარდს უძლური ვედრებით შესცქეროდა, მერე კვლავ დაიხარა გარდაცვლილის ხელზე და სახე დამალა, თითქოს ვერ ბედავდა მიცვალებულისთვის ჩამქრალ თვალებში ჩაეხედა. მაგრამ მაშინვე ასწია თავი, შეხედა მამას და თქვა:

— აი, შვილებო, წავიდა ჩვენგან მამა. მაგრამ ეს განშორება, მადლობა ღმერთს, სამარადისო არ არის! მხოლოდ ისაა, რომ პირველი წავიდა ჩვენს ზეციურ თავშესაფარში, სადაც ღვთის წყალობით კიდევ შევხვდებით მას.

ძალიან მღელვარე სიტყვებით გადაუხადა მადლობა მამას ყველაკრისთვის, რაც მათთვის იყო, ცოლისა და ოჯახის ერთგულებისათვის, სიყვარულისა და თავგანწირვისათვის. თითქოს ახალგაზრდობა გაიხსენა, დედამ მგრძნობიარედ და ნაზად გადაუსვა ხელი მამის ჭაღარა თმას და შუბლზე ეამბორა.

შვილები ერთ ხანს ლოგინის გარშემო იდგნენ და ლოცვებს ბუტ-

ჩუტებდნენ. მაგრამ როგორც კი სიკვდილის ნიშნები მკაფიოდ გამოესახა განსვენებულს სახეზე, ებერხარდმა და თომასმა მზრუნველობით გადააფარეს სხეულს ზეწარი, ხოლო სიგნემ დედა გაიყვანა.

მალე პერიც ავიდა თავის ოთახში. მაგიდაზე ჯერ კიდევ ენთო ლამპა. ფარდაჩამოფარებული ფანჯრიდან ოთახში დღის პირველი სინათლე ატანდა. დიდხანს იდგა პერი ფანჯარასთან და გასცქეროდა ქალაქს, რომელიც იღვიძებდა. რამდენიმე მქრქალი ვარსკვლავი ისევ კიაფობდა ცაზე, ხოლო ქუჩაზე უკვე არახრახდნენ ხის ფეხსაცმელები და ფორნების ბორბლები.

პერი ასე იდგა და ფიქრობდა, რომ ყოველივე, რაც ამ ღამეს განიცადა, უსათუოდ დატოვებს მის ცხოვრებაში კვალს. თუმცა, თავის გრძნობებში ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო. მთლად შთანთქმული იყო ამ დიდებული წუთით და მშვიდად ვერ განესაჯა ყოველივე.

ბოლოს მაგიდას მიუჯდა და თავისი სამგზავრო პორტფელი ამოიღო. უნდოდა ვისმესთვის სული გადაეშალა და გადაწყვიტა იაკობასთვის წერილი მიეწერა. გუშინ იაკობას მხოლოდ ის აცნობა, რომ შინ ჩამოვიდა. დღეს კი ასვ სწერდა:

„მინდა დაუყოვნებლივ გაუწყო, რომ რამდენიმე წუთის წინ მამაჩემი გარდაიცვალა. არ დაგიმალავ, ძალიან მოხარული ვარ, რომ აქ ჩამოსვლა გადავწყვიტე. რა უთანხმოებანიც არ უნდა იყოს ჩვენს შორის, დარწმუნებული ვარ, მამას მუდამ კეთილი გულისწადილი ამოძრავებდა. ის ძალიან დიდებულად გარდაიცვალა. საუცხოო სიკვდილით მოკვდა. უკანასკნელ წუთამდე ცნობიერება არ წართმევია და სიკვდილს საოცარი სულიერი სიმტკიცით შეხვდა...“

პერს უნებლიეთ ხელი გაუჩერდა. კიდევაც წამოწითლდა, როცა დაწერილი გადაიკითხა. რამდენიმე წუთს დარცხვენით ღრღნიდა კალმისტარს, მერე კი უცბად დახია წერილი და ახლის წერა დაიწყო:

„ძვირფასო მეგობარო! სამწუხარო მოვალეობა მაკისრია გაცნობო, რომ დღეს დილით მამაჩემი გარდაიცვალა. მე მხოლოდ გამოთხოვება მოვასწარი მასთან, ასედაც მსურდა. ცნობიერება არ დაუკარგავს, და ბოლო წუთამდე სიმშვიდეს ინარჩუნებდა, მაგრამ აქ არაფერია გასაკვირი, მთელი მისი ცხოვრება ხომ, თუკი შეძლება ასე ითქვას, განუწყვეტელი მზადება იყო სიკვდილისათვის. ახლა ძალიან მეჩქარება და ამიტომ ვამთავრებ. მალე უფრო დაწვრილებით მოგწერ“.

ხელი მოაწერა და ჩაფიქრდა. სახეზე ყოყმანი გამოეხატა, მერე უცბად გადაწყვიტა და მიაწერა: „შესაძლოა, დასაფლავებაზე დავრჩე".

* * *

ხუთი დღის შემდეგ შედგა პასტორ სიდენიუსის დაკრძალვა. დილიდანვე მთელ ქალაქში ჩამოშვებული იყო ალმები, გრძელ ქუჩას, რომელიც ეკლესიიდან სასაფლაოსკენ მიემართებოდა, ქვიშა მოაყარეს და ნაძვის ტოტები მოფინეს. ქალიშვილებმა დასაფლავების წინა ღღით ეკლესიაც ბალახით მორთეს, ხოლო საკურთხეველს და ჩამოფლეთილ ემბაზს კი სამწლოვიარო კრეპი გადააკრეს. ორივე ბრინჯაოს ჭაღში ოცდათოხივე სანთელი აანთეს და როცა შუადღის შემდეგ მრევლმა ეკლესიის გავსება დაიწყო, მას ორღანის ყრუ ვიში შეეგება.

ეკლესიაში ისეთი სიჩუმე დამკვიდრებულიყო და ხალხსაც ისეთი სერიოზული სახეები ჰქონდა, ეტყობოდათ, მხოლოდ ცნობისმოყვარეობისათვის არ მოეყარათ აქ თავი. პასტორ სიდენიუსს დიდი დამპყრობლების ხვედრი ხვდა წილად. როგორც კი მტრის წინააღმდეგობას საბოლოოდ ძლევენ, დიდ დამპყრობთა მიმართ სიძულვილი მაშინვე გაღმერთებით იცვლება. სიცოცხლეში განსვენებულს კიცხავდნენ უფლებისმოყვარეობის, უხსოვარი დროიდან ქალაქში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებათა ათვალწუნების, ჩაცმასა და ცხოვრების მთელ ყაიდაში უმკაცრესი ზომიერების დაცვის, — ესე იგი, სწორედ იმ თვისებათა გამო, რითაც მისი გარდაცვალების შემდეგ დიდად იყვნენ აღფრთოვანებულნი და მოციქულისებრ თავგამოდებაში და ღვთისმოსაობაში ართმევდნენ. ცხადია, თვითონ პასტორი სიდენიუსიც ამ წლების განმავლობაში რამდენადმე შეიცვალა. რაკი ხალხი თავის თავს თანდათან უფრო ანდობდა ეკლესიის მზრუნველობას, სიდენიუსის ხასიათში უფრო და უფრო იმარჯვებდა მისი საუკეთესო თვისებები — სიკეთე და გულისხმიერება. მაგრამ, ასე თუ ისე, მაინც შორს იყო თავის მრევლისაგან: განზე იდგა ქალაქის საზოგადოებისაგან, ხოლო მისი სახლის კარი მხოლოდ უბედურებაში ჩავარდნილთათვის იყო ღია. სამაგიეროდ, უკვე აღარასოდეს ივიწყებდა იმ ადამიანებს, ვისაც ერთხელ მაინც მიუმართავს მისთვის რწმენის საკი-

ოხებზე. არავინ წასულა მისგან ისე, რომ თავი სულიერად უფრო ძლიერი და გამდიდრებული არ ეგრძნო. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ გონებაშეზღუდული კაცი იყო, იშვიათი ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი, მოაზროვნე და მჭევრმეტყველიც გახლდათ და მუდამ გატაცებით ადევნებდა თვალყურს საჭირბოროტო ღვთისმეტყველურ კამათს, ხოლო ზოგჯერ თავისი კალმით უშუალო მონაწილეობასაც ღებულობდა მასში. ქალაქის მოსახლეობას სიამოვნებდა, როცა მის სახელს პოულობდა რელიგიურ ჟურნალებში და ბროშურებში, რომლებიც ახლა უკვე ყველა ოჯახს მოსდიოდა; ყოველივე ამან ერთად აღებულმა ხელი შეუწყო პასტორისადმი დამოკიდებულების შეცვლას — მრევლი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რამდენად სჯობს სიდენიუსი სასულიერო წოდების სხვა წარმომადგენლებს, იმ დახვეწილად ჩაცმულ პრობსტებსა და კონსისტორულ მრჩევლებს, რომლებითაც თვითონ ოდესღაც ასე ამაყობდნენ.

ყოველივე ამას პასტორის ხანგრძლივი ავადმყოფობაც დაემატა და ის დიდებული სიმშვიდეც, რომლითაც იტანდა ტანჯვას და ემზადებოდა სიკვდილისათვის. ნახევარ წელზე მეტხანს იყო პასტორი ლოგინს მიჯაჭვული, მთელი ამ ხნის განმავლობაში შესანიშნავად გრძნობდა, რომ უაურნებელი სენი სჭირდა, მაგრამ არამც თუ ჩიოდა, სხვებსაც კი ნებას არ აძლევდა, შებრალებოდათ.

— არ გაბედოთ ასე ლაპარაკი,—მკაცრად უთხრა ერთხელ კაცს, რომელსაც უნდოდა მისთვის ნუგეში ეცა და გამოჯანმრთელების იმედი ჩაენერგა. — განა ღვთის შვილები არა ვართ? განა მადლიერნი არ უნდა ვიყოთ, როცა ჩვენი ციური მამა თავისკენ გვიხმობს?

ეკლესიაში შავი კუბო იდგა. განსვენებულის უკანასკნელი ნების მიხედვით, კუბო სულ უბრალო იყო, ყოველგვარი მორთულობის გარეშე, თუ არ ჩავთვლით ნაძვის ტოტების ჯვარს მის სახურავზე. სიდენიუსი ყოველთვის სასტიკად ილაშქრებდა, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, ადამიანის საცოდავი შისწრაფების წინააღმდეგ, რომ შეელამაზებინათ სიკვდილი და „მოერთოთ ჭიების მსხვერპლი“. კუბოს გარშემო საპატიო ყარაულად არანაკლებ ორმოცდაათი პასტორი იდგა, ყველა მათგანს სრული შესამოსელი ემოსა. ხოლო წინა რიგებში ქალაქის გამგებელნი განლაგებულიყვნენ — საზეიმომუნდირებიანი ჩინოვნიკები, მუნიციპალიტეტის მრჩევლები და გარნიზონის ოფი-

ცრებიც კი, რომელთაც გაპრიალებული ხმლები გაეშიშვლებინათ და მუხლებზე თვალისმომჭრელად მბზინავი ჩაჩქანები ედოთ.

პერი სულ უფრო მეტი გაოცებით იყურებოდა ირგვლივ. უკვე მოასწრო და მრავალი ნიშნის მიხედვით მიხვდა, რამხელა გამარჯვება მოიპოვა ეკლესიამ ამ დღემდე საამქვეყნო ფუსფუსით გართულ ქალაქში, მაგრამ დღეს საბოლოოდ შეირყა ყველა მისი წარმოდგენა მამის და მისი პიროვნების მნიშვნელობის შესახებ.

ერთი მეორის მიყოლებით მიდიოდნენ კუბოსთან პასტორები, ადიდებდნენ ღმერთს და მადლობას სწირავდნენ მიცვალებული თავამოძმის და მისი დიდებული საქმეების გამო. როდესაც ორატორების ნაკადი შეწყდა, რვა ახალგაზრდა პასტორმა კუბო მხრებზე შეიდო და მთელმა ხალხმა ფეხით გაიარა გრძელი გზა ქალაქის სასაფლაომდე.

პერს ვერაფერი გაეგო. ნუთუ ეს მისი მამა იყო, ის, რომლის გამოც ბავშვობისას რცხვენოდა, რადგან მთელი ქალაქი დასცინოდა? ნუთუ ეს მამამისს ასაფლავებენ ახლა, თავადივით? ნუთუ მის კუბოს შესდევენ უკან დასევდიანებული მოქალაქენი? ეს ფიქრები თავში არ ეტეოდა. მოულოდნელად და სამარცხვინოდ განხორციელდა ერთი ყველაზე უფრო გაბედული ბავშვური ოცნება, იმ დროინდელი, როცა პერი ფიქრობდა, ვიღაცამ გამომცვალა, თორემ სინამდვილეში მეფის მოტაცებული ვაჟი ვარ, როდესმე დავბრუნდები მშობლიურ სახლში და მამაჩემის დიდებას გავიზიარებო.

უკან დაბრუნებისას პერი ძმის, თომასის გვერდით მოხვდა. თომასს სრული შესამოსელი ემოსა, რადგან სხვა პასტორებთან ერთად წესი აუგო მამას. ყველა ძმებს შორის, წლოვანებაში დიდი განსხვავების მიუხედავად, თომასი ყველაზე ახლოს იყო პერთან, შესაძლოა იმიტომ, რომ ისიც ბევრს იტანჯა ბავშობაში მამის სიმკაცრის გამო. სტუდენტობის წლებში თავისუფალ აზრთა მიმართულებამ მასზე გაცილებით დიდი გავლენა მოახდინა, ვიდრე ეს მამას სურდა და თავისი კეთილი ნებით არ ჩაუცვამს თომასს დანიის ოფიციალური ეკლესიის მსახურის სამოსი — სუდარის მსგავსი გრძელი შავი შალითა, რომელიც, უნდა ითქვას, სრულიად არ ეხამებოდა მის წითელ ლოყებს და ღია ცისფერ ბავშვურ თვალებს.

პერმა შენიშნა, რომ მთელი ამ დღეების განმავლობაში, როგორც კი მარტონი დარჩებოდნენ, თომასი ცდილობდა გაელღო მათი გამყო-

ფი ყინული. მაგრამ პერს არ სურდა შერიგება. ის არ აჰყვა ძმის აძ ეწყინარ პირმოთნეობას, თუმცა წინათ სწორედ ეს თვისება ეხმარებოდა თომასს, რომ პერის ნდობა დაემსახურებინა. დღესაც, დასაფლავებიდან დაბრუნებისას, პერი ცდილობდა თომასისათვის ლაპარაკის გაბმის საშუალება არ მიეცა. რატომღაც თავს უხერხულად გრძნობდა და ინსტინქტურად ეშინოდა კეთილმოსურნე თავისიანთან მასლაათისა.

თომასი ამჯერადაც იძულებული გახდა ძმასთან დაახლოების ფიქრი თავიდან ამოეგდო; ამიტომ დანარჩენი გზა დუმილით განვლეს.

შინ დაბრუნებისას ყველანი დედის ლოგინთან შეგროვდნენ — დედა მთლად დასუსტდა და დასაფლავებაზე წასვლა ვერ შესძლო. დიდი ხნის მეტისმეტად დაძაბული ცხოვრების შემდეგ მამის გარდაცვალებისთანავე გამოელია ძალ-ღონე და ექიმმა ბრძანა მშვიდად გყავდეთო. ამიტომაც ამ დღეებში პერს თითქმის სრულიად არ უნახავს დედა. მხოლოდ ერთხელ დაუძახეს და რამდენიმე წუთის განმავლობაში იჯდა მის საწოლთან; მაგრამ დედას მხოლოდ იმაზე ეყო ძალა, რომ რამდენიმე ჩვეულებრივი შეკითხვა მიეცა. ჰკითხა, როგორ ცხოვრობო.

დღესაც საქმე რამდენიმე არაფრისმთქმელი სიტყვით და ხელისჩამორთმევით დამთავრდა, მერე პერი ზევით ავიდა თავის ოთახში და ბარგის ჩალაგებას შეუდგა. ვეღარ ითმენდა, სურდა ჩქარა გასცლოდა აქაურობას და გადაწყვიტა საღამოს მატარებლით წასულიყო.

საბაბი არ ჰქონდა რაიმეზე ესაყვედურა თავისი მახლობლებისათვის. არა მარტო თომასი, დანარჩენი ძმები და დებიც თითქმის უსიტყვოდ შეთანხმებულიყვნენ, რამდენადაც შეეძლოთ და სინდისი აძლევდათ ნებას, ცდილობდნენ მასთან თავაზიანი ყოფილიყვნენ. პერი თითქმის მთელ დროს თავის ოთახში იჯდა, ან ქალაქში თუ მის გარეუბნებში დაეხეტებოდა; ასე გაატარა მთელი ერთი დღე-ღამე, მაგრამ ისარგებლა შემთხვევით და დაათვალიერა ლიმფორდის მახლობლად ახლახანს აგებული ცემენტის ქარხანა. ეს ქარხანა დიდი ხანია აინტერესებდა.

არც დედას, არც ძმებს, დებსაც კი არ დაუძრავთ კრინტი მისი ნიშნობის თაობაზე, ხოლო რადგან ვერ იფიქრებდა, შესაძლოა ებერხარდმა დაუმალა მათ ეს ამბავიო, შინაურების დუმილი საგონებელში აგდებდა. მეორეს მხრივ, კმაყოფილი იყო, რომ ლაპარაკის დროს

არც ერთხელ არ იყო ნახსენები იაკობას სახელი, თუმცა პერი ახლა უკვე აღარ აპირებდა მასთან კავშირის გაწყვეტას. ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, როცა მთელი კვირა გაატარა შინ და როგორღაც გონს მოვიდა, გამოფხიზლდა და კარგად განსაჯა ყოველივე. ნაღვინევზე აღგზნების დროს მიღებული გადაწყვეტილება, როგორმე დაეპყრო ევროპის ერთ-ერთი ფინანსების მეფის ოქროს ტახტი, მთლად გაუქრა პირქუშ ოთახში, მომაკვდავი მამის ლოგინთან გატარებული ღამის შემდეგ. ახლა აღარც კი ფიქრობდა ამაზე. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ რცხვენოდა თავისი ფიქრით ღალატისა, არ სურდა ვინმესთან იაკობაზე ლაპარაკი.

შებინდებისას ყველანი ხელახლა მამის საფლავზე წავიდნენ. პერმა იცოდა, რომ დედა მარტო დარჩა და გამოსამშვიდობებლად ჩავიდა.

— გვერდით მომიჯექი, შვილიკო, — სთხოვა დედამ მოწუწუნე, სევდიანი ხმით, რომელსაც პერი ბავშვობიდან კარგად იცნობდა.— მე და შენ მაინც ვერ ვისაუბრეთ, ბავშვებმა კი მითხრეს, უკვე გამგზავრებას აპირებსო.

— ჰო, დროა სამუშაოს მივხედო.

დედამ ერთ ხანს შეიცადა, კიდევ ხომ არ იტყვის რაიმესო. მაგრამ, როცა დაინახა, პერი მეტი არაფრის თქმას არ აპირებდა, თვითონ დაიწყო ლაპარაკი:

— სამუშაოს?.. ჩვენ არც კი ვიცით, პეტერ ანდრეას, რას აკეთებ. ან როგორ ცხოვრობ. მგონი, გერმანიაში იყავი... ბერლინში?

— ვიყავი.

დედამ კიდევ შეიცადა, მერე თქვა:

— ჰო, მე და მამა მივხვდით, ალბათ, მდიდარი მფარველები გაიჩინა, რახან ასეთ ცხოვრებას ეწევაო. მუდმივი სამსახური ხომ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არა გაქვს.

პერმა ყურები ცქვიტა. ახლა მიხვდა, რომ დედამ მართლაც არაფერი იცოდა მისი ნიშნობის შესახებ. მაშასადამე, შინაურებმა დაუშალეს, უნდოდათ აეცდინათ მისთვის ახალი წყენა. იქნებ... იქნებ ებერხარდმა არაფერი უამბო არც მშობლებს, არც ძმებს, არც დებს? საერთოდ ებერხარდი კი იზამდა ამას, მაგრამ ხმას თუ არ ამოიღებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ წყენას მოერიდებოდა.

სანამ პერი ამაზე ფიქრობდა, დედამ გამოსწია იმ პატარა მაგი-

ლის უჯრა, ლოგინის თავთან რომ იდგა და რაღაც ნივთი ამოიღო იქიდან.

— ვიდრე წახვიდოდე, უნდა გაიგო, პეტერ, რის თქმა სურდა შენთვის მამას, სანამ სამუდამოდ დახუჭავდა თვალებს. წმინდად სწადდა, რომ ოდესმე ჭკუაში ჩავარდებოდი და მორჩილების გზას დაადგებოდი. ისე დღე არ გავიდოდა, რომ ამის შესახებ არ ელაპარაკა და თავის ლოცვებში არ მოეხსენებინე. მაგრამ ახლახან, როცა გაიგო, საზღვარგარეთ წახვედი და ადვილი შესაძლებელი იყო მეტად ველარც ენახე, მთხოვა მისი სიკვდილის შემდეგ ეს ნივთი სამახსოვროდ გამომეგზავნა შენთვის.

დედამ პერს რაღაც პატარა საგანი გაუწოდა, სწორედ ის, უჯრიდან რომ ამოიღო. ეს იყო მამის ძველებური ვერცხლის საათი, რომელიც მისთვის ძალიან ძვირფას ნივთს წარმოადგენდა და სანამ ლოგინად არ ჩავარდა, სულ ატარებდა. ამ საათს თავის ერთადერთ აქვეყნიურ საუნჯეს უწოდებდა.

— ამ საათს, — განაგრძო დედამ, — საინტერესო თავგადასავალი აქვს. მამა აუცილებლად თვითონ მოგიყვებოდა, რომ შეძლებოდა და ერთხელ კიდევ მაინც ესაუბრა შენთან. ახლა მის მაგიერ მე უნდა გიამბო ეს ამბავი. როცა ამ ამბავს მოისმენ, გაიგებ, რატომ გაკუთვნა იგი სწორედ შენ.

დედამ სული მოითქვა და თვალდახუჭულმა — ასე იწვა ხოლმე მამა ავადმყოფობის დროს — დაიწყო თხრობა:

— ეს მოხდა იმ შორეულ დროს, როცა მამაშენი ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო და გიმნაზიაში სწავლობდა. ერთხელ ჩავიდა შინ, სოფელში, იქ გაატარა საშობაო არდადეგები და ის იყო უკან უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ამ დროს პაპამ მოსთხოვა თავისი ჩემოდნის გასაღები, რათა, როგორც მან თქვა, შეემოწმებინა, ყველაფერი კარგად იყო თუ არა ჩალაგებული, ხომ არაფერი დაავიწყდა. მამაშენს ძალიან ეწყინა, — ის საერთოდ ფიცხი იყო ახალგაზრდობაში, — და ძალიან გაბრაზებული წავიდა, ხეირიანად არც კი გამომშვიდობებია თავის რძალს. მაგრამ როცა საღამოთი გიმნაზიაში მივიდა და ჩემოდანი გახსნა, დაინახა, რომ ყველაფერი ისევე ეწყო, როგორც თვითონ ჩაალაგა. არავის არაფრისთვის არ ეხლო ხელი. მხოლოდ კუთხეში იდო ქაღალდში გახვეული პატარა საგანი... საათი აღმოჩნდა... სწორედ ეგ. ახლა შენ რომ გიჭირავს ხელში. პაპამ გადაწყვიტა მამაშენისთვის

ეჩუქებინა და განვებ მოიგონა საბაბი, რათა შეუმჩნეველად ჩაედო ჩემოდანში. დაე ბიჭს გაუხარდეს, როცა სახლიდან შორს იქნება და ნივთების ამოლაგებას დაიწყებსო. როცა ამას მიხვდა, მამაშენი აქვითინდა, ტიროდა საკუთარ უმადურობაზე, ნანობდა წინდაუხედავ საქციელს. მერე ჩაიცვა, იმავ ღამით გაიარა ორმოცი კილომეტრი ფეხით მშობლიურ სახლამდე და მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა კარგად გამოიტირა პაპას მკერდზე და პატიება სთხოვა. ახლა, ჩემო შვილო, ხომ გესმის, რატომ უფრთხილდებოდა ნამაშენი ყმინდა საგანივით მთელი სიცოცხლის განმავლობაში ამ საათს. მახსოვს, ერთხელ ღვთის ჯილდო უწოდა მას. რადგან სწორედ იმ ღამეს, როცა მისი სული დამშვიდდა და მძიმე გზა განვლო თავისი მიწიერი მამის სახლამდე, გაეხსნა მეორე გზაც — მშვიდობის, სინათლის და ციური მამის წყალობისაკენ მიმავალი გზა.

რაც უფრო გრძელდებოდა თხრობა, მით უფრო მძიმდებოდა საათი პერის ხელში. დედა გაჩუმდა, პერს კრინტი არ დაუძრავს. ოთახში მთლად ჩამობნელდა. დედამ თვალები გაახილა, მაგრამ პერის სახეს უკვე ვეღარ ხედავდა.

მეტი აღარ ულაპარაკიათ. მალე პერი წამოდგა, დედამ გამოსალიხოვრად შუბლზე აკოცა და ჩასჩურჩულა:

— ღმერთმა გარდმოგივლინოს მშვიდობა და მოსვენება.

რამდენიმე წუთის შემდეგ პერი სადგურისკენ მიდიოდა. და-ძმები უკვე დაბრუნებულიყვნენ სასაფლაოდან, მაგრამ პერი მარტო წავიდა, გადაჭრით უარი თქვა, გაცილება არ მინდაო.

როდესაც ერთი საათის შემდეგ სიგნე ზემოთ, მის ოთახში ავიდა, მაგიდაზე მამის საათი დაინახა. პერს განგებ დაედო ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, რათა არავის ჰგონებოდა, თითქოს სიჩქარეში დააგიწყდა მისი წაღება.

თავი XIII

პერი ისევ ბერლინში დაბრუნდა. მაგრამ მალე მიხვდა, რომ უზრუნველმა დღეებმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ფრიტიოფი სამშობლოში გაემგზავრა და ახლა მარტო იყო ამ დიდ, უცხო ქალაქში. ბევიანი შემოდგომა იდგა, ყველა კაფესა და მაღაზიაში დილიდანვე ანთებდნენ სინათლეს, მთელი დღის განმავლობაში ციდან წვრილი თქო-

რი იცრებოდა, ხოლო როცა ნამდვილი წვიმა მოვიდოდა, ასფალტზე ღიდხანს იდგა წყლის გუბეები. პერი თითქმის სულ შინ იჯდა და მეცადინეობდა. იმედოვნებდა, დაძაბული მუშაობით ჩაეხშო შინიდან ჩამოყოლილი დარდი, მაგრამ თავის ოთახშიც ვერ პოულობდა ვერც სიმშვიდეს, ვერც სიმყუდროვეს. მისი დიასახლისი, ფრაუ კუმინახი — პატარა, ფეთხუმი, პირდაუბანელი ქალი, რომელსაც ყელზე ვეებერთელა სიმსივნე ჰქონდა, მთელი დღეების განმავლობაში კომბოსტოს ხარშავდა. პერის ოთახში ღუმელი ხრჩოლავდა. ყველაფერ ამასთან, ზედა სართულიდან, სადაც სამკერვალო სახელოსნო იყო, დილიდან გვიან ღამემდე მოისმოდა ათეული მანქანის მწყობრი ჭრიჭინი, რასაც ზოგჯერ გააფთრებამდე მიჰყავდა პერი.

ამ ბოლო დროს პერი გადაჭარბებით მგრძნობიარე გახდა და ამან ხელი შეუწყო, რომ დიდი ქალაქის ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეებიც აღმოეჩინა. მალე ახლოს გაეცნო მილიონობით მოსახლეობის ცხოვრებას და ჩვეულებებს და ამან მეტისმეტად გაუფუჭა გუნება.

ოთახს რომ ქირაობდა, პერი საესებით გასაგებად მოელაპარაკა დიასახლისს, არ შემოუშვებ სხვა მდგურებს, რომელნიც ხელს შემიშლიან მუშაობაშიო. დიასახლისმა დიდის ამბით შეჰფიცა, არავის არ შემოვუშვებო და პოლიციის ნებართვაც კი უჩვენა. საიდანაც ჩანდა, რომ მას ნება ეძლეოდა გაექირავებინა არა უმეტეს ორი ოთახისა, სწორედ ისინი, რომლებიც პერს მიაქირავა. თანაც მთელ ბინაში სწორედ ეს ორი ოთახი იყო სულ და კიდევ ერთი ციცქნა ნახევრად ბნელი სენაკი სამზარეულოს უკან, სადაც მხოლოდ ერთი ვიწრო რკინის საწოლი ეტეოდა. იქ ფრაუ კუმინახს ეძინა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე დღის შემდეგ პერისთვის ნათელი გახდა. რომ ბინაში მის გარდა ცხოვრობდა კიდევ ერთი კაცი. ღამე პერი რამდენჯერმე გაღვიძა მამაკაცის ხველებამ და როცა ყური დაუგდო, აღმოჩნდა, რომ ხველის ხმა ისმოდა წინაკარიდან, უფრო სწორად საკუჭნაოდან. პერმა დიასახლისს გამოკითხა, მაგრამ ენადგაკრეფილი მოხუცი ქალი იფიცებოდა, ცილს მწამებო. ერთ კვირა დილას პერი სამზარეულოში თავს წაადგა ახალგაზრდა ფერმკრთალ ყმაწვილს, რომელიც სარკის ნატეხის წინ უპიჯაკოდ იჯდა და წვერს იპარსავდა. დიასახლისი ახლაც მოჰყვა ახსნა-განმარტებას. ამის მერე პერმა ხელი აიღო ჭეშმარიტების დადგენის შემდგომ ცდებზე, თუმცა ძალიან ეეჭვობდა, რომ ბინის ყველა კუთხესა და კუნჭულში ბინადრობდა არა ერთი, არა-

ეედ რამდენიმე მდგმური. ერთხელ ღამით მოესმა ნაცნობი ხველაც და ბოხი და მგრგვინავი ხვრინვაც, თანაც, რამდენადაც პერს შეეძლო განესაჯა, ხვრინვა დიასახლისის ოთახიდან ისმოდა. გამოკითხა ხალხს და გაიგო, რომ ბევრი ბინის მეპატრონისთვის ოფიციალური ბინის დამქირავებელი წარმოადგენს თეჯირს. ამ თეჯირით იფარება ყველა უთავშესაფარო პირისადმი უკონტროლოდ ბინის მიქირავება. ასეთი ხალხით კი სავსეა დიდი ქალაქი. ამასთან, ესენი ვინმე ვიგინდარები კი არ არიან, ან უსაქმურები, ვისაც ჯიბე ნებას არ აძლევს წესიერად გასეირნოს ღამე, არამედ შედარებით შეძლებული ხალხი: ნოქრები, ფაბრიკის მუშა-ხალხი, დალაქების შეგირდები, ოფიციანტები და სხვები, ე. ი. ისინი, ვისთვისაც მუდმივი ბინა ზედმეტი ნებივრობა იქნებოდა. თავისუფალ დროს ისინი ქუჩაში ატარებენ, ლუხდანებში, საცეკვაო მოედნებსა და საროსკიპოებში. მათ მხოლოდ სჭირდებათ ადგილი, სადაც შეიძლება რამდენიმე საათი წათვლიმონ ღამით. ქონება არ გააჩნიათ და თავისუფლად დაეხეტებიან ქალაქის ერთი ნაწილიდან მეორეში. არსებობისათვის განწირულმა ბრძოლამ, რომელიც დიდ ქალაქებში არც ერთი წამით არ წყდება, თავს მოახვია მათ ცხოვრების ეს ნირი, ძალიან მალე შეეთვისენ და სრულიად ბუნებრივად მიიჩნიეს ასეთი ცხოვრება. ვინც მოხეტიალე ცხოვრებას მიეჩვია, ვინც არაფერთან და არავისთან არ არის დაკავშირებული, მისთვის უფრო ადვილია თავისი სარჩოს შოვნა. ოჯახური მყუდროება, მოსვენება, უზრუნველყოფილი არსებობა — ასეთი ადამიანებისათვის სრულიად უცხო მცნებებია, ისინი არც კი ნაღვლობენ ამ სიკეთეზე. რაზე უნდა დაიჩივლონ? უბრალოდ, ისინი სულ სხვა ყაიდის ხალხია, გათავდა და მორჩა.

ერთხელ პერმა დილაადრიან გაიგონა, რომ მისი სახლის პატრონი წინკარში ვიღაც მამაკაცს ელაპარაკებოდა. პოლიციელი აღმოჩნდა, დალაქის შეგირდის შესახებ ცნობების მისაღებად მოსულიყო. დალაქის შეგირდი ღამით ქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში მიუყვანიათ. მას თავის „ღამის თავშესაფარად“ ეს მისამართი უჩვენებია. საწყალი ლუდხანაში მჯდარა, მაგრამ უეცრად ყელიდან სისხლი წასკდომია, საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ კი მალევე გარდაცვლილა. როცა აქამდე მდუმარე ფრაუ კუმინახმა ეს მოისმინა, უეცრად მეტყველების უნარი დაუბრუნდა. ეს რაღა ჭორია? პოლიციამ ხომ შესანიშნავად იცის. რომ მას არ შეიძლება ჰყავდეს მდგმურები. ვიღაც დალაქიო!

ება, როგორ შეეძლოთ ეფიქრათ, რომ წესიერი ქალი, რომელსაც ასეთი კეთილშობილი მდგმურები ჰყავს, თავის სახლში ვილაც მაწანწალას, ჭუჭყიან კონკიჟღარუნას შეუშვებს და თანაც ჭლექიანს, ისეთს, რომელიც პირდაპირ ქუჩაში კვდება.

პერს შებურძგლა მისი უკანონო მეზობლის მისამართით ნათქვამ ამ სიტყვების გაგონებაზე, თითქოს სამარესთან წარმოთქვესო. ნათქვამი რომ ის ახალგაზრდას ეხებოდა, რომელიც ღამღამობით სადღაც წინკარში ჭერქვეშ ბინადრობდა, პერს არც ერთი წუთით ეჭვი არ შეჰპარვია; თანაც მას შემდეგ ერთხელაც აღარ გაუგონია კედელს იქიდან ნაცნობი ხველა. პერს თავიდან ვერაფრით ვერ მოეშორებინა ის ფიქრი, რა მოელოდა თვითონ მას, თუ უეცრად აქ ავად გახდებოდა და მოვლა დასჭირდებოდა. ახლა, როცა თავს მთლად ჯანმრთელად ვერ გრძნობდა, ასეთი საშიშროებისათვის მით უფრო მეტი საფუძველი ჰქონდა. პერი გზაში გაცივდა შინიდან წამოსვლისას და ამ სინოტივეში ვერაფრით ვერ გამოჯანმრთელდა.

ნაწილობრივ ამ მიზეზის გამოც იჯდა ასე ხშირად შინ. არ ცდილობდა განეახლებინა ნაცნობობა ფრიტიოფის ხელოვნების თანამოძმეებთან, არ დადიოდა სამიკიტნოში ლაიპციჰერშტრასეზე და მახლობელ პატარა რესტორანში სადილობდა. კომერციის საიდუმლო მრჩევლის ოჯახშიც აღარ მიუდგამს ფეხი.

მარტოობაში მყოფი პერი თითქმის ყოველდღე სწერდა წერილს იაკობას, და თუმცა რაც შეეძლო ცდილობდა დაეფარა, რომ მოუსვენრობამ შეიპყრო, წერილების თვითეულ პწკარში მაინც ყველაფერი გამოსჭვიოდა. ჩვეულების წინააღმდეგ თავის თავზე თითქმის არაფერს ატყობინებდა, სამაგიეროდ, მეტისმეტად დაწვრილებით აუწერდა ბერლინის ამბებს, ან უადგილოდ ხუმრობდა ფრაუ კუმინახზე, გარდაცვლილ დალაქზე ან კომბოსტოს მჟავე სუნზე, მუდამ რომ ცხვირში უღიტინებდა — ამით იაკობას ართობდა.

ამასობაში ნოემბერი მიიწურა. ერთ მშვენიერ დღეს პერმა ივენის მეშვეობით წერილი მიიღო „ბლეკბურნი და გრიზი“-საგან, სწორედ იმ ინგლისური სამშენებლო ფირმისაგან, სადაც პერს სიმამრმა მისცა რეკომენდაცია. თუმცა ფირმა სულაც არ სთავაზობდა გარკვეულ ადგილს, სამაგიეროდ ამ წერილით ნებას რთავდა პრაქტიკულად გასცნობოდა შესასწავლ საგანს, თვალყური ედევნებინა ფირმის მიერ ჩატარებულ საირიგაციო და მელიორაციულ სამუშაოთა მსვლელო-

ბისათვის. ამჟამად პერისთვის ესეც მეტისმეტად მნიშვნელოვანი იყო და ამიტომ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ბერლინი. ამ ქალაქს ისედაც ყველაფერი გამოწურა, რაც შეეძლო, და ჰაერის გამოცვლაც აუცილებლად არგებდა. თვით დრეზაკის შესახებ, სადაც საინჟინრო სამუშაოები სწარმოებდა, პერმა მხოლოდ ის იცოდა, რომ ეს იყო პატარა ქალაქი ავსტრიის ალპებში. მან გადაწყვიტა დრეზაკში გამოეზამთრებინა, როცა ჩამოთბებოდა, ვენაში და ბუდაპეშტში წასულიყო, მერე კი დუნაის შესართავისკენ გამგზავრებულიყო და ენახა, რა ამოსაშრობი სამუშაოები ტარდებოდა იქ. იქიდან კი, პარიზისა და ლონდონის გავლით, პირდაპირ ნიუ-იორკში გამგზავრებულიყო.

გზად პერი ლინცში საგანგებოდ შეჩერდა, რათა ცხრაასფუტიანი ეიადუკი ენახა. ლინცში საღამოს ჩამოვიდა და აქედან ჩამავალ მზის სხივებში პირველად დაინახა ალპების მოვარდისფრო-მოთეთრო მწვერვალები, საღამოს ნისლში წარსულ დროთა ანარეკლივით რომ მიცურავდნენ. მეორე დღეს პერი უკვე თვით მთების გულში იყო; რაკი შესანიშნავი ამინდი იდგა და თანაც მობეზრდა მოგზაურ გერმანელთა კომპანია, რომლებიც ძალად ეტმასნებოდნენ, პერი მატარებლიდან პატარა სადგურზე ჩამოვიდა, დანარჩენი დრო სუფთა ჰაერზე გაატარა. აღარც კი გახსენებია, რომ წლის ამ დროს სეირნობა არ არის სასარგებლო. პერს მოეჩვენა, რომ თვალუწვდენელი თოვლიან-ქვიშიანი უდაბნოს ხმა უხმობდა. ეს ხმა იზიდავდა სულ ზევით და ზევით, პირდებოდა იდუმალ გათავისუფლებას ყველაფრისგან, რაც აქამდე ტვირთად აწვა და აღონებდა.

პერი მარტო, უმეგზუროდ მიდიოდა იქით, საითაც მთის ბილიკს მიჰყავდა. მიხვეულ-მოხვეული ბილიკი მაღლა, შიშველ და ციცაბო ფერდობისკენ მიიკლაკნებოდა. სადგურში გააფრთხილეს, უმეგზუროდ არსად წასულიყო, მაგრამ მან სძლია რაღაცნაირი შებოჭილობის გრძნობა, რომელიც ამ უჩვეულო გარემოში დაეუფლა და მაინც გაბედულად გაუდგა გზას... მაშ აი, თურმე როგორი ყოფილა მთები! პერი ღრმად ისუნთქავდა მწკლარტე, ცივ ჰაერს, გასცქეროდა მის ქვევით ხეობაში მოცურავე ღრუბლებს, და ისეთ სიახლოვეს გრძნობდა ბუნებასთან, როგორიც არასოდეს განუცდია.

ბავშვობაში პერს უყვარდა ტყეში და მდელოზე თამაში, მუდამ იქით მიიწევდა, რათა ცოტახნით მაინც ეგრძნო თავი თავისუფლად და ოჯახური ტვირთი დაევიწყებინა. მას შემდეგ ბუნებასთან ასე ახ-

ლოს არასოდეს ყოფილა. შინ, ნიუბოდერში, ბუნებას წიგნებისა და რუკების მიხედვით სწავლობდა. თანაც რაკი მიისწრაფოდა, მომავალში ბუნება თავისი გარდამქმნელი გეგმების განსახორციელებლად გამოეყენებინა და ამისათვის საჭირო მასალების საწყობად ექცია, ამით მკრეხელობას სჩადიოდა. ბუნება — ეს უბრალოდ ქვები და მიწა იყო და უნდა გამოეყენებინა ამაღ და ამად, რომელიმე მინდვრის დანახვისას პერი მაშინვე ნიველირებზე და საზომ ლენტებზე ფიქრობდა; საკმარისი იყო ვაგონის ფანჯრიდან გამოეხედა, რომ მისი ფანტაზია დაუყოვნებლივ იწყებდა იმ ადგილმდებარეობის გარდაქმნას, რომელიც კვერდით ჩაუქროლებდა, ახალი გზების გაყვანას, ზეღ ჭაობების ამოშრობას, ხიდების აგებას და არხების გათხრას.

ახლაც ასე იყო. თვით ბუნების სილამაზეს კი არ მოუხდენია მასზე ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება. ფერებისა და ხაზების ჰარმონია უწინდებურად არაფერს არ ეუბნებოდა მის გულს. მაგრამ რაღაც გაურკვეველ მოუსვენრობას გრძნობდა და ბუნების სიდიადისა და იდუმალებისადმი განსაკუთრებული მგრძნობიარე გახდა. მატერიის უსასრულობა, ფორმათა ძლევამოსილება, მარადისობის მსგავსი ღრმა სიჩუმე მასში უცნაურ, წინათ უცნობ აზრებსა და განწყობილებებს იწვევდა.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პერს იმდენად თვით ბუნება არ იპყრობდა, რამდენადაც ის გრძნობები, რომელიც ამ ბუნებამ მაშინ გაუღვიძა, როცა მთლად მარტოდმარტო იყო. ის უკვე ავიდა რამდენიმე ათასი ფუტის სიმაღლეზე. წინ უსასრულო თოვლიანი ვაკე გადაშლილიყო. ვაკე დამრეცად ადიოდა ზემოთ და ჩამავალი მზის სხივებით განათებული მოჟანგისფრო-რუხი შიშველი მთაგრეხილი კვეთდა. პერი დიდხანს მიდიოდა აღმართში და ქოშინი აუვარდა, წამდაუწუმ ჩერდებოდა სულის მოსათქმელად. ჯოხზე დაყრდნობილი იდგა და ველურ, მდუმარე უდაბნოს ათვალიერებდა, თან საკუთარი შეგრძნებები აკვირვებდა. თავის თავს ეკითხებოდა, ნეტა რა ძალა შესწევს უსიცოცხლო ქვებს შორის, ერთფეროვან, აუღელვებელ სიჩუმეში ხანგრძლივ სეირნობას, ასე რომ იზიდავს და ამაღლებს ადამიანის სულსო. რატომ არის, რომ არარსებობის ერთ-ერთი გამოვლენა, ბგერების სრულიარარსებობა თავისუფლების საზეიმო გრძნობით აღავსებს სულს? შესაძლოა შინაგანი სმენით ის მაინც იჭერს რომელიღაც ბგერას? ნუთუ თავისებურად მართალნი არიან ჭორწმუნენი, როცა „იმქვეყნიურ

სამყაროსთან“ ურთიერთობას ამტკიცებენ? იქნებ სამყაროს სივრცეში არსებობენ ისეთი ბგერითი რხევანი, რომლებიც ადამიანის ყურს არ ესმის? და ის, რასაც ჩვენ სიკვდილს ვუწოდებთ, ხომ არ არის ყოფიერების სხვა ფორმა, რომელიც მხოლოდ გამოღვიძებული „სულისუშუალო აღქმისათვის არის მისაწვდომი?

პერს გაახსენდა, რომ ბუნების სიჩუმეს „უზენაესის ხმა“ უწოდა ერთმა პასტორმა, რომელმაც მამამისის საფლავზე სიტყვა წარმოთქვა. ამით მას უნდოდა აეხსნა, რატომ იყო, რომ ძველი წინასწარმეტყველნი ორეოფობისა და უძლურების წუთებში უდაბნოში გარბოდნენ. უზენაესის ხმა! ყოველივე ეს სწორია იმ გაგებით, რომ სამყაროს ცარიელი და უტყვი სივრცის პირისპირ ადამიანის გონებას იმ „სიცარიელის შიში“ ეუფლება, რასაც ყველა სულიერს მიაწერდნენ ჯერ კიდევ ჩვენი წინაპრები. შიში ჰალუცინაციებს წარმოშობდა, ჰალუცინაციები — ახალ შიშს, ასე ხდებოდა ეს მთელი საუკუნეები, სანამ ადამიანებმა არ შექმნეს თავისთვის ღმერთი და არ დაასახლეს ჯოჯოხეთი და სამოთხე.

პერი ასი ნაბიჯით მაღლა ავიდა და ხელახლა შეჩერდა სულის მოსათქმელად. საითაც გაიხედავ, ყველგან ყინულის უდაბნო და უსიცოცხლო სიმშვიდეა. თოვლში ჩაფლული უზარმაზარი ქვები უნებლიე თრთოლას იწვევდნენ იმ ძალთა წინაშე, რომლებიც მძაფრობდნენ პირველყოფილ ღამის სიბნელეში, როცა ჩვენი დედამიწა იქმნებოდა. სანამ პერი ჭვრეტით იყო გართული, თავბრუდამხვევი გრძნობა დაეუფლა, თითქოს შორეულ დღეებში ცხოვრობდა. დრო ხელში შემოადნა, როცა უცქეროდა ამ უძრავ, გულგრილ სიმშვიდეში გაყინულ ვეებერთელა ქვებს. ეს ქვები ისევე შიშველი და მიუკარებელნი იყვნენ, როგორც მილიონი წლის წინათ. მაშინ ისინი, ბიბლიაში ასეა ნათქვამი, ის-ის იყო „შექმნა შემოქმედის ხელებმა“. შემოქმედის? გავარვარებული ნისლიანობა! მზის სისტემის დაშლა!.. მერე კი? სიცარიელე! სიცარიელე! ყინულოვანი სიცივე! მკვდარი სიჩუმე.

მხოლოდ შებინდებისას დაბრუნდა პერი სადგურში. აქ უკვე შეშინებოდათ, ხოლო სასტუმროში, სადაც თავისი ნივთები დატოვა, იმასაც კი ამბობდნენ, ხომ არ გავგზავნოთ ხალხი მოსაძებნადო. პერი დაიღალა მომქანცავი დღის შემდეგ, ბევრი ფიქრით თავი დაუმძიმდა და უნდოდა რაც შეიძლება მალე ჩაწოლილიყო ლოგინში, მაგრამ

სხვა საქმე გამოუჩნდა... დილიდანვე, ჩამოსვლისთანავე შენიშნა, რომ ქალაქში რაღაც არაჩვეულებრივი ხდებოდა. სასტუმროს ალაყაფის კარი მწვანით იყო შემოსილი, მოსამსახურეს არაქათი აღარ ჰქონდა, სასტუმროს პატრონმა კი ძლივს იშოვა თავისუფალი წუთი, რომ პერისთვის ოთახი ეჩვენებინა. ახლა გამოირკვა, თურმე, დღეს აქ ქორწილს იხდიდნენ. აუარებელი ხალხი შეგროვდა, პერიც მიიწვიეს ზეიმში მონაწილეობის მისაღებად. ჯერ უარი თქვა, მაგრამ ვერ მოასწრო თავის ოთახში ასვლა, რომ კარზე დაუკაკუნეს და ხელიხელჩაკიდებული ორი ქალიშვილი შემოვიდა. რევერანსი გაუკეთეს პერს და ერთმანეთის მუჯლუგუნების კვრით და ხითხითით, თან ერთიმეორეს ლაპარაკს არ აცლიდნენ, წარმოთქვეს გრძელი სიტყვა. პერმა მხოლოდ ის გაიგო, რომ ნეფე-დედოფალი სთხოვდა პატივი ეცა მათთვის და მათი სტუმარი ყოფილიყო. რაღას იზამდა. იძულებული გახდა წასულიყო და მთელი ღამის განმავლობაში ეჭამა, ესვა და ეცეკვა, სანამ ღვინო თავში არ აუვარდა.

რა თქმა უნდა, მართლაც, სხვა რაღა დარჩენოდათ, თუ პერს არ მიიპატიჟებდნენ, მაგრამ მათი სტუმართმოყვარეობა ყოველგვარ საზღვრებს სცილდებოდა. მამაკაცები თითქმის ძალით აჩეჩებდნენ პერს თავიანთ ცოლებს, ოღონდაც მისი გული მოეგოთ. მაღალ და გაშლილ ჭიშკრის ქვეშ გარმონისა და ციტრას ხმაზე ბრაგუნობდნენ ლურსმნებდაჭედილი ჩექმები. დარბაზში ორი გრძელი მაგიდა გააწყვეს, ერთზე იდო მოოქვრილრქეებიანი მრგვალი შემწვარი თხა. ღვინო დიდი თუნუქის ტოლჩებით შემოჰქონდათ. მთელი ღამე ქეიფობდნენ; ყველა დათვრა და მამაკაცებმა და ქალებმა ისე აიშვეს თავი, ძალიან მოურიდებლად ეჭცეოდნენ ერთმანეთს, ეს კი არაფრით არ ეგუებოდა აუარებელ ჯვარცმებსა და ხატებს, რომლებიც სახლებს ამკობდნენ და ყველა გზის გაყოლებით იყვნენ გამოფენილი.

ბოლოს პერმაც გემო გაუგო ამ სოფლურ ღრეობას. გაახსენდა, რომ ფრიტიოფი მუდამ ამტკიცებდა, ჭეშმარიტ ბედნიერებას მხოლოდ ბუნების შვილები იცნობენო. ერთი-ორჯერ ემთხვევიან ჯვარს და უკვე გადაჭრილია ყველა ცხოვრებისეული გამოცანა, აღარაფერია დასაღონებელი და სადარდებელი.

თავდაპირველად პერი აპირებდა მეორე დილით განეგრძო გზა,

Ჩაგრამ გავიდა ერთი დღე, მეორე, მერე კიდევ ბევრი დღე, ვიდრე ადგილიდან დაიძრებოდა. ქორწილზე გაეცნო ერთი ქალიშვილი, რომლის გამოც ჩარჩა აქ. ეს ახალგაზრდა გლეხი ქალი იყო, საკმაოდ მკვრივი და მოუქნელი, როგორც საერთოდ ალპიის ქალები; სასაცილო აპრეხილი ცხვირი და მწიფე ᲭვაᲜისფერი თმა ᲰᲭონდა. პერს უყვარდა ᲐᲭ ფერის თმა. პერი მოცეკვავეების საცქერლად მერხზე ჩამოჯდა, ხოლო გვერდით ეს ქალი უჯდა. ნელ-ნელა გააბეს ლაპარაკი. პირველად ᲝᲘᲗᲥᲛᲘᲡ ვერ აგებინებდნენ ერთმანეთს. ამაზე ორივეს ძალიან ეცინებოდა და მალე დამეგობრდნენ. ოცდაორი წლის ქალი იყო, ქალაქის მახლობლად დედასთან ერთად ცხოვრობდა, დედა ოცგულდენიანი რამდენიმე მონეტის ხათრით ხალისით დათანხმდა თვალი დაეხუჭა და არ დაენახა, რაც ხდებოდა.

ᲐᲮᲐᲚᲛᲐ კავშირმა პერი გაიტაცა და უსაზღვრო აღგზნებით მიეცა მას. ეს, ცხადია, მხოლოდ ფიზიკური გატაცება არ იყო. ისევე, როგორც პერის სხვა გრძნობების უმრავლესობაში, აქაც მთავარ როლს გონება თამაშობდა და არა გული, თანაც პერს ძალიან რცხვენოდა, იაკობას რომ უღალატა. მაგრამ მისთვის აუცილებელი იყო რაიმეთი გართულიყო და ამით თავი აერიდებინა უსარგებლო ფიქრებისათვის, რითაც მამის სიკვდილის შემდეგ ᲘᲡᲔ იტანჯებოდა (ახლა შეიგრძნო მან ეს), შეიძლება გაგიჟებულიყო ტანჯვით. პერი მიხვდა, რომ უნდა გასცლოდა მარტოობას. თუ თავის გოგოსთან არ იჯდა, მაშინ სამიკიტნოში ჩადიოდა და იქ ატარებდა დროს მიკიტნისა და ქალაქის სხვა მცხოვრებთა საზოგადოებაში. ღვინო მდინარესავით სჩქეფდა, საუბარი წუთითაც არ წყდებოდა, ჰაერი ოთახში თამბაქოს ბოლისაგან ლურჯდებოდა, ხოლო პერის ირგვლივ სულ უფრო მეტი და მეტი ხალხი იყრიდა თავს და ცხელ-ცხელ, ძალზე დაუჯერებელ ამბებს ყვებოდნენ ქალაქში პერის წარმოშობაზე, მის აურაცხელ სიმდიდრეზე.

ერთი კვირის შემდეგ პერმა უეცრად აიკრა ბარგი და შგზავრობა განაგრძო. ღვინით გახურებული ბრბო აცილებდა სადგურამდე, ხოლო ქერა ქალიშვილი ამ დროს თავის სახლში საწოლზე იჯდა და შწარედ ტიროდა.

პერს მამის ჩრდილი აკვიატებოდა და თან მისდევდა.

* * *

დრეზაკი ვიწრო, მზისაგან დავიწყებულ ხეობაში მდებარეობს. ხეობა გადაჭიმულია მილნახევარზე, მის ფსკერზე მირბის მთის ნაკა-

დული, რომელიც უამრავ პატარ-პატარა ჩანჩქერებს ქმნის. ხეობის ორივე მხარეს ფერდობები თეთქმის თვით თხემამდე ტყითაა დაფარული, ხოლო სამხრეთიდან ჰორიზონტს ვეებერთელა შიშველი მოყავისფერო-მორუხო ფერის კლდე ფარავს, რომლის თოვლიანი მწვერვალი თითქმის მთელი წლის განმავლობაში ღრუბლებითაა დაბურული. ამ კლდეს ჰოჰგოლინგი ეწოდება. ქალაქი სწორედ ამ კლდის ძირს შეჰფარებია და ერთადერთი ქუჩა გააჩნია—ერთმანეთს მჭიდროდ მიკრული ორ მწკრივად განლაგებული ხის სახლები. ნაკადულის მარჯვენა ნაპირზე გადაჭიმულია სასოფლო გზა, ეს გზა გადადის ქუჩაში, ქუჩა კი უსასრულოდ იკლაკნება და სულ მაღლა მთაში ადის. ქალაქიდან ცოტა ქვემოთ ნაკადული გარს უვლის დაბალსა და ძალია წინ წამოწეულ ფრიალო კლდეს, აქ აღმართულია ნახევრადდანგრეული ძველებური სასახლე, რომელიც კბილს წააგავს; სასახლეში სასამართლოა მოთავსებული. ქალაქის ზემოთ კი ცაში ისარივით ამართულა ეკლესიის სისხლივით წითელი წვეტი.

სულ რაღაც ცხრა თვის წინ მთის მდინარის ორივე მხარეზე გაშლილი იყო პოხიერი მდელოები, ხოლო თვით ჩანჩქერის მახლობლად ორი სამხერხაო და წისქვილი იდგა. ახლა ხეობის ფსკერზე ფიქალის ბელტები, ხვინჭკის გროვა, კლდეების ნამტვრევები და წაქცეული ხეებია ერთმანეთში არეული და აჩონჩხილი. ათობით ხეა ცისკენ ფესვებ-ამოშვერილი და წვერებით თიხიან შლამში ჩაფლული. აქა-იქ ვეებერთელა რიყის ქვებსა და გადმობრუნებულ ფესვებს შორის ჯერ კიდევ ჩანს ზოგიერთი ნარჩენი — დამპალი კოჭი ან მანქანის დაჟანგული ნაწილები. ქალაქის მთელი ქვედა მხარე რკინიგზის სადგურიანად ერთ გაზაფხულის ღამეს წაილეკა, როცა მთელი კვირის გადაუღებელი წვიმების შემდეგ ჰოჰოგოლინგმა თავისი თოვლიანი ქოჩორი შეიბერტყა. წყალი ისე უეცრად მოასკდა, რომ ხალხი საცვლებისამარა გამოცვივდა სახლებიდან. ხუთი კაცი და ორმოცდაათამდე ძროხა ნიაღვარმა გაიტაცა და კლდეებზე გადაჩეხა.

მხოლოდ რვა თვის შემდეგ ძლივსძლიობით შესძლეს რკინიგზის ხაზის სანახევროდ გაწმენდა. სასოფლო გზის წალეკილ უბნებზე დრეზაკის მისადგომზე დროებით ხის ბოგირები გადეს, გარდა ამისა, რამდენიმე აფეთქება მოახდინეს, რათა მდინარის კალაპოტი შეეცვალათ; აპირებდნენ წყლის სათადარიგო ჩასადენი მოეწყოთ აქ იმ ფრიალო

კლდის შემოვლით, რომელზეც სასახლის ნანგრევები იყო და რომელიც ნაწილობრივ წყალდიდობის მიზეზს წარმოადგენდა. აღდგენით სამუშაოებზე ასამდე კაცი მუშაობდა, აქვე, დრეზაკში ამჟამად „ბლეკბურნი და გრიზის“ ფირმის სამი ინჟინერი ცხოვრობდა.

პერი თითქმის ქალაქის ცენტრში დაბინავდა, სარაჯის ქვრივთან. ქვრივს კრამიტით გადახურული ყავისფერი ძელური პატარა სახლი ედგა. სახლის გადახურული აივანი ხეობაზე გამოდიოდა. პერმა ზედა სართულზე ორი ხალვათი, მაგრამ დაბალჭერიანი ბნელი ოთახი დაიქირავა და ლაშქრულად მოეწყო, რის გამოც, ცხადია, ეს ოთახები უფრო არ დამყუდროვებულან. მიუხედავად იმისა, რომ წესრიგი ავადმყოფურად უყვარდა და კომფორტისადმი დიდი მიდრეკილება ჰქონდა, პერს სულაც არ გაჯნდა უნარი თავის ირგვლივ სიმყუდროვე შეექმნა, — თითქოს მისი შინაგანი მღელვარება დაუყოვნებლივ დაღს ასვამდა ყველა ბინას, სადაც კი შევიდოდა. კაბინეტის კარი აივანზე გადიოდა, აქ პირველ ხანებში პერი ხშირად იდგა ხოლმე საღამოობით ბალდში გახვეული და გასცქეროდა, ბნელი ხეობის იქით მთვარის შუქზე როგორ ბრწყინავდა ჰოჰგოლინგის თოვლიანი ფერდობები. მის ქვემოთ სიბნელეში ჩუხჩუხებდა ნაკადული. პერი მკაფიოდ ხედავდა, როგორ სწრაფად და არათანაბრად მოედინებოდა იგი გრანიტის აჩხორილ ბელტებზე. აქა-იქ ანათებდნენ საგუშაგო სინათლეები, რომლებიც იმ ადგილებში ენთო, სადაც დღისით აფეთქებები ეწყობოდა.

ძლიერი ბუნების წინაშე უძლურების საზეიმო და ამავე დროს მძიმე გრძნობა, რომელიც პერს ალპების უზარმაზარი ქვების პირველ დანახვაზე აღეძრა, აქ უფრო გაუმწვავდა. ახლა ამ საშინელი ნგრევის შემხედველ პერს, რომელიც თავის წიგნში ძლევამოსილად აცხადებდა, კაცობრიობა, ჯერჯერობით სტიქიის საცოდავი მონა, მალე თავის ტრიუმფალურ ეტლში ჭექა-ქუხილს შეაბამს და შოლტის მაგიერ ქარიშხლით გარეკავსო, არ შეეძლო არ ეღიარებინა, რომ კაცობრიობა, უწინდელივით მთლიანად ბუნებაზეა დამოკიდებული. აქ რამდენიმე კვირის ცხოვრების შემდეგ მან წერილი მისწერა იაკობას. ქალი მოუთმენლად მოელოდა, როდის გამოვიდოდა პერი და აშ-

კარად დაიცავდა თავის ბროშურას. ბროშურა, როგორც იქნა, გამოქვეყნდა და ღვარძლიანად დაესხნენ თავს.

„მეკითხები, წავიკითხე თუ არა „ინდუსტრიტიდენდე“ და ცხადია, გაკვირვებს, რომ სულაც არ გამოვეპასუხე ჩემი წიგნის ამ გამანადგურებელ განაჩენს. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა მეპასუხა მათთვის? და რა მნიშვნელობა აქვს ამ კრიტიკას? შენ მწერ, რომ გაგიხარდებოდა იმის დანახვა, თუ როგორ ვაცამტვერებ ჩემს მოწინააღმდეგეს, როგორ ჩრჩილის მიერ შეჭმულ წინდასავით იშლება ჩემს ხელში მისი მცდარი ანგარიშები. ვშიშობ, რომ ყოველივე, რაც მოხდა, ძალიან ახლოს მიგიღია გულთან. ღმერთო ჩემო, ლაპარაკი ხომ სრულიად ჩვეულებრივ წიგნს ეხება, თანაც ისეთს, რომლითაც ახლა თავადაც არა ვარ მთლად კმაყოფილი. ზოგიერთი ადგილი უბრალოდ ბალღურად დაწერილი მეჩვენება, კარგი იყო, გამოეტოვებინათ ეს ადგილები. ამას გარდა, რარიგ სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს —არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ უმნიშვნელო ბატონობა მოვიპოვეთ ბუნებაზე; სწორედ აქ უნდა ვეძებოთ, ძირითადად, იმ ფაქტის ახსნა, რომ ძალიან ბევრნი შედარებით უფრო განათლებულ ხალხთაგანი ბუნებაში მხოლოდ სამარადისო შემოქმედის უცვლელი ძლიერებისა და ნების გამოხატვას ხედავენ“.

იაკობამ არ უპასუხა ამ წერილზე და პერს მეტად აღარ უხსენებია მასთან არც თავისი წიგნი, არც მისი ბედი. სულის სიღრმეში პერი სულაც არ იყო ნაწყენი იმ დუმილით ან, უკეთ რომ ვთქვათ, გულგრილობით, რომლითაც შეხვდა მის წიგნს პრესა, თუ არ ჩავთვლით ნაკლებად პოპულარულ „ინდუსტრიტიდენდეს“. საერთოდ, ამ ზამთარში პერი იაკობას უფრო იშვიათად და ისიც მოკლე წერილებს სწერდა. პერი ახლა უფრო მეტს სწერდა ამინდზე, აღდგენით სამუშაოებზე და სხვა ამგვარ რამეებზე, უამბობდა ყველანაირ ამბებს ქალაქის ცხოვრებიდან, უფრო ხშირად იუმორისტული ტონით. ეს ტონი სჭირდებოდა, რათა დაეფარა თავისი ზნეობრივი კრიზისი, პერს ახლა სწორედ ეს აწუხებდა და მისი მნიშვნელობა მხოლოდ ახლა შეიგრძნო მთლიანად.

უნდა ითქვას, რომ პერის ცხოვრებაც არ იყო ძალიან მდიდარი მოვლენებით, გარდა ისეთებისა, რომელთა შესახებ მიწერისაც რცხვენოდა. ყოველდღე ხვდებოდა სამუშაოებზე ფირმა „ბლეკბურნი და გრიზის“ ინჟინრებს, მაგრამ ჯერ მათთან დაახლოებული არ იყო. ესენი

გახლდათ ვისკის მოყვარული სამი მშვიდი კაცი. სიგრძით და სიგანით ჰქონდათ გადასერილი მთელი დედამიწა და „გრენლანდიელ“ პერს, როგორც მათ მონათლეს, შეურაცხმყოფელი შემწყნარებლობით ექცეოდნენ, რადგან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პერი ძალიან ცუდად ლაპარაკობდა ინგლისურად, თუმცა მათი ურთიერთობა შეიცვალა, როცა ერთად იდღესასწაულეს შობა სამიკიტნო „კეთილ მეზობელში“, აქ ისინი მუდმივი სტუმრები იყვნენ. პერმა ისე დაათრო ეს ხალხი, რომ ორმა იქვე, მიკიტნის ლოგინზე მკვდარივით დაიძინა, ხოლო მესამე ურიკით მიიყვანეს შინ. პერმა გადაწყვიტა, ახლა ჩემი ღირსება დაცულიაო, და მართლაც, სამივე ინჟინერი ამ დღიდან სულ სხვანაირად ექცეოდა. თუმცა პერი არც ახლა ახვევდა მათ თავს თავის მეგობრობას და „კეთილ მეზობელში“ მხოლოდ ხანდახან თუ შეივლიდა.

ზამთრის გრძელ ღამეებს პერი შინ ატარებდა, ყოველთვის გვიანობამდე უჯდა წიგნებს. მან წმინდა იუტლანდიური დაჟინებით ხელახლა მიჰყო ხელი თავისი გონების გამდიდრებას ისეთი ცოდნით, რასაც არაფერი ჰქონდა საერთო მის სპეციალობასთან; მაგრამ თუ ერთი წლის წინ მხოლოდ ის სურდა, შესაძლებლობა ჰქონოდა ელაქლაქა ამ ქვეყნად ყველაფერზე და არ ჩამორჩენოდა დროის მოთხოვნებს, ამჯერად ამოძრავებდა მხურვალე და გულწრფელი მისწრაფება, შეეძინა რაც შეიძლება ღრმა და მრავალმხრივი ცოდნა, რაც შეიძლება უფრო მტკიცე და დასაბუთებული შეხედულებანი ცხოვრებაზე. ახლა განსაზღვრული სისტემით კითხულობდა. რადგან საქმე მუდამ მათემატიკასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან ჰქონდა, პერი დაეჩვია განუწყვეტელი მსჯელობით მტკიცებათა გამოყვანას, ამიტომ, როცა შენიშნავდა, რომ რომელიმე წიგნი მეორეზე უთითებდა, ახლა იმას წაიკითხავდა და ასე კვალდაკვალ მიჰყვებოდა აზრის განვითარების მთელ მსვლელობას თვით უძველეს შრომებამდე — სანამ არ გამოინახებოდა პირველდაწყებითი დასაბუთება, ყველაზე მარტივი და უტყუარი მტკიცება, რომელიც ერთბაშად სპობდა ყველა ეჭვს. ეს რომ იაკობას არ გაეგო, წიგნებს უშუალოდ ერთი კოპენჰაგენელი წიგნით მოვაჭრისაგან იწერდა, ივენის ჩვეულებრივი დახმარების გარეშე. თანდათან მის საწერ მაგიდაზე გაჩნდა ფილოსოფიის, ესთეტიკისა და თეოლოგიის შრომების მთელი ბიბლიოთეკა.

მაგრამ რაც უფრო მეტს კითხულობდა, უფრო მეტად იბნეოდა. სრულ სიბნელეში, ხელის ცეცებით, თითქოს თვალხუჭობანას თამა-

შობსო, დაუღალავად ეძიებდა იმ საბოლოო, გადამწყვეტ სიტყვას, რომელიც სამუდამოდ მოუსპობდა ცრურწმენებს „იმქვეყნიურ სამყაროზე“. ყოველთვის, როცა ეჩვენებოდა, რომ მტკიცება ხელთ ჰქონდა, უეცრად იდეათა ხმაშეწყობილი სამყაროს სულ სხვა მხრიდან ესმოდა მოწოდება „ჩემკენ“, ან აწყდებოდა ყრუ კედელს — ძველი ბერძენი, ან რომაელი ფილოსოფოსის მისთვის ხელმიუწვდომელ შრომას. მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა. ბრმად სწამდა წიგნი. ეს რწმენა თვითნასწავლებს თანდათან უვითარდებათ. პერი ხანდახან მთელი დღეობით არ გამოდიოდა გარეთ და ცდილობდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, შედეგისათვის მიეღწია. საჭირო იყო ეჩქარა. გადიოდა კვირეები, თვეები, მან კი თავის თავს სიტყვა მისცა არ წასულიყო დრეზაკიდან, ვიდრე ყველაფერს არ გაარკვევდა, რაც მისთვის გაუგებარი იყო და მტკიცე რწმენას არ მიიღებდა.

ერთ საღამოს, მარტის დასაწყისში, პერი მდინარის მეორე მხარეს მდებარე ერთ-ერთი სამუშაო მოედნიდან შინ ბრუნდებოდა. დღისით ძალიან დაიღალა და ძლივს მოლასლასებდა. ფეხზე მაღალყელიანი, ჭაობში სახმარი ჩექმები ეცვა. ჰაერში უკვე გაზაფხულის სუნი იდგა. მთებში სულ უფრო ხშირად გრიალებდნენ ზვავები, მდინარეში წყალმა რამდენიმე ფუტით აიწია. ახლოვდებოდა წყალდიდობის წლისთავი და პერსაც, რომელსაც უსარგებლო ფიქრებითა და მრისხანე ვეებერთელა ქვებს შორის ,,კარჩაკეტილი ცხოვრებისაგან ნერვები დაუსუსტდა, ადგილობრივ მცხოვრებთა ნერვიულობა გადაედო. გაზეთები უკვე იუწყებოდნენ, რამდენიმე სახიფათო ზვავი ჩამოწვაო.

მზე ის-ის იყო მოეფარა მთის ქოჩორს. დაისის სხივებში გიზგიზებდა ჰოჰგოლინგის ,,ჭაღარა მწვერვალი, მის ფერდობებს თოვლის ზვავი ჩამოსწოლოდა.

ნაკადულზე გადებულ დროებით ხიდზე ჩვეულებისამებრ იდგა ადამიანთა გროვა და გრძელი ბარჯები ეჭირათ ხელში, დინების მიერ მოტანილ ხის მორებს იჭერდნენ. პერს უყვარდა აქ შეჩერება და „მეთევზეების“ ცქერა: წარმოუდგენელი სიზუსტით ახვედრებდნენ ისინი ხის სულ პატარა ნაჭრებსაც კი, რომელთაც მორევი იტაცებდა. დღეს კი პერმა გულგრილად ჩაუარა გვერდით და გერმანულ „Grüß Gott“-ზე დანიურად მიუგო: „საღამო მშვიდობისა“.

ოცნებით სამშობლოში იყო, იმაზედაც ფიქრობდა, მიიღებდა თუ არა დღეს ბოლოს და ბოლოს იაკობას წერილს. კვირაზე მეტი იყო,

მისგან აღარაფერი ისმოდა და ამ უეცარი დუმილის მიზეზი ვერ გაეგო. მართალი რომ ითქვას, პერს თვითონაც კარგა ხანია არაფერი მიუწერია მისთვის, ნამდვილ ტანჯვად ექცა ამ გულგრილი, არაგულწრფელი სტრიქონების ამოღერღვა. მაგრამ პერი თუ დუმს, იაკობამ მით უფრო უნდა მოიწეროს. ხომ შეიძლებოდა პერი ავად გამხდარიყო, შეიძლებოდა უარესი რამაც დამართოდა, რა იცის, რა არის მიზეზი, რომ არა სწერს.

— წერილები არ არის? — ჰკითხა დიასახლისს, მოხუც ფრაუ ბაბის, რომელმაც ფანჯრიდან დაინახა პერი და საჩქაროდ გაუღო კარი.

— არა, ბატონო ინჟინერო, — მიუგო ქალმა და მოკრძალებით დაუკრა თავი.

ოთახში შესვლისთანავე პერმა მაინც უნებური მზერა ესროლა საწერ მაგიდას; აქ დღეგამოშვებით ჩვეულებრივად ელოდნენ მოგრძო კონვერტები, რომლებზედაც დიდი ჩრგვალი ასოები ეწერა.

პერმა გულგრილად აიჩეჩა მხრები და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. სტვენას მოჰყვა და ამაოდ ცდილობდა კარგ გუნებაზე დამდგარიყო. მერე ჩუმად ჩაჯდა ძველ სავარძელში ბუხრის წინ, სადაც როკებიანი შეშის ღერები იწვოდა. ბნელოდა, მყუდროებას მოკლებული ოთახის კუთხეებიდან სიბნელე პერისკენ მოცოცავდა, ისე კი იჯდა მუხლებზე ხელებდაბჯენილი და ცეცხლს დასცქეროდა.

იაკობას დუმილი აღელვებდა. ნეტა ავად ხომ არ გახდა? არა, ასე რომ იყოს, ივენი აუცილებლად აცნობებდა. რაღაც სხვა ამბავია, მაგრამ რა?

პერმა წარმოიდგინა იაკობა. ვინ იცის, ახლა სადღესასწაულო მაგიდას უზის თავისი ოჯახის წევრებთან ერთად. დიდი, მდიდრულად გაწყობილი სუფრა, ყვავილები, ხილით სავსე ლარნაკები, მაგიდის თავზე დიდი, კაშკაშა ჭაღი... ფილიპ სალომონს ხელსაწმენდი შემოუხვევია და მაგიდის თავში მოვარაყებულ ტყავგადაკრულ მაღალზურგიან სავარძელში ზის. ივენი, ნანი და სხვა შვილები ასაკისა და სქესის განურჩევლად, ვისაც სად მოუხდება, იქ სხდებიან, უზრუნველად ყბედობენ, ერთმანეთს სიტყვას აწყვეტინებენ... მხოლოდ იაკობა დუმს და ჩვეულებისამებრ, გულგრილი, სერიოზული და ფერმკრთალი სახე აქვს.

„ბრძენი ბუ“ — ხუმრობით ასე ეძახდა მამა. „ყოყოჩი ქალბატონი“—ასე მონათლა არც თუ ისე კეთილმოსურნე ნანიმ.

უეცრად ახალი სახე წარმოუდგა ამ მოჩვენებაში — ეიბერტი. პერმა იცოდა, რომ იაკობას ადრინდელმა თაყვანისმცემელმა კვლავ დაიწყო მათთან სიარული. იაკობამ თვითონ მოსწერა ახლახან პერს ამის შესახებ. სულის სიღრმეში მან, ალბათ, ბოლომდე ვერც კი დასძლია თავისი სისუსტე გონიერებისა და თავშეკავების ამ უნაკლოდ თმადავარცხნილ მოციქულისადმი. თუ კარგად ჩაუფიქრდებოდა, იაკობა ბოლო წერილებში აშკარად რაღაცას ფარავდა, ქალს თითქოს რაღაცაში ეჭვი ეპარებოდა თუ რაღაცას უმალავდა კიდეც პერს. იქნებ იაკობამ პერთან კავშირის გაწყვეტა გადაწყვიტა და თავისი დუმილით სურს ვაჟი განხეთქილებისათვის შეამზადოს? ასე რომ იყოს, მაშინ?

ისინი რაიმე ამაღლებულ გრძნობებს ხომ არ დაუკავშირებია! არც ერთს არ გააჩნდა ასეთი გრძნობები ერთმანეთისადმი და არავითარ შემთხვევაში არც მათი სულები ერწყმოდნენ ერთმანეთს ჰარმონიულად. ბოლო დროს უფრო და უფრო ხშირად უმოწყალო სიცხადით გრძნობდა პერი, რომ ისა და იაკობა ყოველმხრივ სულ სხვადასხვანაირი ადამიანები არიან. პერს ჩინებულად ჰქონდა შეგნებული, კიდევაც რომ აეძულებინა თავისი თავი და გაეზიარებინა იაკობასთვის ის, რითაც ამჟამად დაკავებული იყო, იაკობა, სულ ერთია, ვერაფერს გაუგებდა. პერს ახსოვდა, რა გესლიანად დასცინოდა ქალი ადამიანთა რელიგიურ ძიებებს. იქნებ, მართლაც ორივე მხრისთვის უკეთესი იყოს, რომ სწორედ ახლა დაშორდნენ, სანამ რაიმე დიდი უბედურება არ მომხდარა?

ასე ნაღვლიან ფიქრებში გართული იჯდა პერი, როცა კარი წყნარად გაიღო და ოთახში ფრაუ ბაბი შემოვიდა. ეს პატარა ქალი სახით, აღნაგობით, გაუბედავი ფუსფუსითა და მოძრაობით თაგვს მოგაგონებდათ და პირველი დღიდანვე პერს ტრინე წარმოუდგა თვალწინ. ტრინე — ეს ნიუბოდერელი „უბრალო სული“. ზოგჯერ პერს უკვირდა, განთავისუფლებულიყო ცრუ გრძნობისაგან, რომ თითქოს ეს ქალი, რომელიც ახლა მზრუნველად დაფუსფუსებდა მის ირგვლივ, მართლაც მისი საბრალო ყრმობის მონურად ერთგული „სული“ იყო და ალპიელი მოხუცი ქალის სახე მიეღო.

დიასახლისს უნდოდა ლამპა აენთო და სავახშმოდ სუფრა გაეშალა, მაგრამ რაკი ბუხრის შუქზე დაინახა, პერი ჯერ ისევ იჯდა და

ტალახებშემხმარი ჩექმები არ გაეხადა, საწოლ ოთახში შევიდა და იქიდან მისი ფოსტლები გამოიტანა.

— ფეხსაცმელებს ხომ არ გამოიცვლით, ბატონო ინჟინერო? — ჰკითხა ქალმა და ფოსტლები წინ დაულაგა იატაკზე.

პერმა არ უპასუხა, როცა ქალმა ლამპა აანთო და დარაბების დახურვას შეუდგა, მხოლოდ მაშინ შენიშნა. მერე დიასახლისი კვლავ წავიდა.

პერი ისევ ბუხართან იჯდა. ხელები მუხლებზე დაეწყო, ჩაფერფლილ ცეცხლს მიშტერებოდა და კვლავ ნაღვლიან ფიქრებში იყო გართული. მაგრამ ამ წუთს იაკობა აღარ ახსოვდა. მუდამ, როცა კი შებინდებისას ფიქრებს მიეცემოდა, მაშინვე შინ, დედასთან, მშობლიურ სახლში და მამის საფლავთან გადადიოდა. ახლაც, უეცრად თითქოს ეიღაცამ ხელი ჰკრაო — ასე ემართებოდა ყოველთვის, როცა ძილში ან ცხადლივ მამის საათი გაახსენდებოდა. თუმცა ახლა ჩინებულად ესმოდა, რომ მაშინ უფრო მეტად ცრუმორწმუნე შიშის გამო მოიქცა ისე, ვიდრე სიჯიუტის ან იმის გამო, რომ ვინმეს გამოწვევა სურდა, პერი ცდილობდა სწრაფად ამოეგდო თავიდან ეს მოგონებანი და სხვა რამეზე ეფიქრა.

სწრაფად წამოდგა. ფრაუ ბაბიმ სამზარეულოდან ლანგარით ვახშამი შემოიტანა.

— რით მიმასპინძლდებით დღეს?

— შაშხით, ბატონო!

— სულ შაშხი და შაშხი, — აბუზღუნდა ყმაწვილი კაცი, რათა როგორმე გაეფანტა ნაღვლიანი ფიქრები. — ხომ შეგეძლოთ, მოგეფიქრებინათ და რაიმე სხვა საჭმელი გაგეკეთებინათ.

სანამ დიასახლისი ჭურჭელს ალაგებდა, პერი აივანზე გავიდა და სახე ჰოჰგოლინგიდან მონაბერ გრილ ნიავს შეუშვრია, უკვე მთლად დაბნელდა. მხოლოდ სამუშაო მოედნებზე ენთო რამდენგანმე ცეცხლი და სადგურის ახალ შენობასთან ციმციმებდა ჩამწკრივებული ფარნები.

ირგვლივ სიწყნარე იყო. მხოლოდ წყლის ჩუმი შხაპუნი და ვაგონების რახრახი, რომელიც შორი მანძილიდან ყრუდ ისმოდა, არღვევდა მყუდროებას. ერთხელ ზვავის გრიალის ხმამაც მოაღწია. მთის სწვერვალებზე მძიმე შავი ღრუბლები ჩამოწვა, მაგრამ პერის თავს ზემოთ ვარსკვლავებით მოჭედილი ცა კაშკაშებდა.

ბევრჯერ მდგარა აქ ღამღამობით უნაყოფო კითხვით გატანჯული, ნაღელიანი პერი და მნათობების კაშკაშა ფერხულისთვის უცქერია. ზოგჯერ ფიქრობდა, სწორედ ეს ცის ოქროს დამწერლობანი წარმოადგენენ სიკვდილ-სიცოცხლის ყველა გამოცანის გადაწყვეტასო. მაგრამ მხოლოდ მათთვის, ვინც მათი წაკითხვა იცისო. მერე რა საიღუმლო დამწერლობანია! როგორც უძველეს, ემბლემატურ წერილში, კაცობრიობის ბავშვობას რომ მოწმობდა, აქაც ცეცხლოვანი პუნქტირით იყო მოხაზული ცხოველთა პრიმიტიული ფიგურები: ლომის, დათვის, გველის, ხარის — მთელი დაკარგული სამოთხე, კაცობრიობის პირველი ანბანი. ხოლო გარეულ ცხოველთა შორის უფრო ნათლად და მკაფიოდ, ვიდრე დანარჩენი ვარსკვლავთა სურათები, ბრწყინავდა ჯვრის ნიშანი: მას შარავანდედივით ერტყა ცის იკანკლედი.

პერი შეკრთა: ხეობიდან გაბმული სტვენა ისმოდა. თავის მოახლოვებას იტყობინებოდა ჩრდილოეთიდან მომავალი ჩქარი მატარებელი. ორთქმავლის წითელმა, ცეცხლოვანმა თვალებმა წყვდიადი გაპო: ისმოდა, როგორ მისცეს კონტრორთქლი და ორი წუთის შემდეგ მატარებელი სადგურის წინ ქანცგაწყვეტილი ცხენივით შედგა. მაგრამ ძალიან ცოტახანს იდგა. გაიღო და ხელახლა დაიხურა რამდენიმე ვაგონის კარი, დაჰკრა სადგურის ზარმა და მემანქანემაც დაძვრის საყვირი მისცა.

პერმა თვალი გააყოლა განათებულ მატარებელს, სანამ გველისებრი ჩუმი სისინით არ დაიმალა ჰოჰგოლინგისქვეშა გვირაბში. და როგორც უკვე ბევრჯერ გაუელია გულში, ახლაც გაიფიქრა, საკმარისია: მოვინდომო და სულ რამდენიმე საათის შემდეგ ასეული მილით დავწორდები ამ ქვის გალიას, რომელშიც უკვე მალე სამი თვე იქნება, ჩაკეტილი ვარო. მეორე დღეს მატარებელი გააქროლებს ჩრდილოეთ იტალიაზე, ნათელსა და თავისუფალ, მზის სინათლითა და ყვავილების სურნელებით სავსე იტალიაზე. თავად პერია თავისი თავის პატრონი, არაკითარი ნალდებულებებით არ არის შებოჭილი... მაგრამ მერე რა? რა აზრი აქვს სადღაც შორს გამგზავრებას, თუკი ჯერ არ განთავისუფლებულა კოშმარისაგან, რომელმაც შებოჭა მთელი მისი ფიქრი, წართვა ძალა, ენერგია და მოქმედების უნარი? არა, სწორედ აქ, სადაც ბრძოლა დაიწყო, გამარჯვებამდე უნდა მიიყვანოს იგი. აქ, საფლავივით პირქუშ ხევში გაუსწორდება ყველა აჩრდილს, სძლევს მათ... ან თვითონ დაეცემა ბრძოლაში.

როცა პერი ოთახში დაბრუნდა, სუფრა უკვე გაშლილი იყო. ფრაუ ბაბი ელოდა სკამთან, რათა, როგორც კი პერი დაჯდომას გადაწყვეტდა, სკამი მიეწიო.

— რა გაეწყობა, — დაიწყო პერმა და რაც შეეძლო ცდილობდა გამხიარულებულიყო. — ღვთის წყალობით, შევუდგეთ შაშხის ჭამას.

— ნუ განმირისხდებით, ბატონო ინჟინერო, — მონანიების ტონით დაიწყო მოხუცმა ქალმა. — ახლა ძალიან ძნელი საშოვნელია ახალი ხორცი.

„ხმითაც ტრინეს ჰგავს“, — გაიფიქრა პერმა.

— გულთან ასე ახლოს ნუ მიიტანთ ამას, — უკვე მთლად გულჩოწყალედ უთხრა პერმა, —მესმის, რომ ტყუილად ავტეხე აურზაური, მაგრამ ამ ბოლო დროს ვერ გამიგია, რა მჭირს.

— მეც ასე ვფიქრობდი. ეს რამდენიმე დღეა ძალიან ცუდად გამოიყურებით.

— მართლა? — გააგრძელა პერმა და მაშინვე უარესად იგრძნო თავი. ცოტა ხნის შემდეგ დაახველა და შენიშნა, რომ ხმა ჩახლეჩოდა. ალბათ, იმან თუ იჩინა თავი, ბერლინში რომ გაცივდა. ექიმს უნდა მოელაპარაკოს და ფილტვები გაასინჯოს.

ამ დროს ქვემოთ დარეკეს და ფრაუ ბაბი კარის გასაღებად ჩავიდა. დაბრუნდა ლოყებაწითლებული და პერს აცნობა, ვიღაც მანდილოსანს თქვენი ნახვა სურსო.

— მანდილოსანს? — ჰკითხა პერმა და ჩანგალი გვერდზე გადადო, — ეს რაღაც შეცდომაა, მე აქ არავის არ ვიცნობ.

— აქაური არ არის. ალბათ, მატარებელს თუ ჩამოჰყვა.

— მატარებელს? — ჰკითხა პერმა და გაკვირვებით შეხედა დიასახლისს.

კიბეზე ნაბიჯების ხმა მოისმა და ზღურბლზე გამოჩნდა სამგზავრო კოსტუმში გამოწყობილი შავთმიანი მომღიმარი ქალი. მხრებზე ძვირფასი მოსასხამი ჰქონდა მოგდებული.

— შენი ხმა გავიგონე, — თქვა მან. — საღამო მშვიდობისა! მხოლოდ არ შეგეშინდეს, გეთაყვა.

პერი წამოხტა.

— იაკობა, შენა ხარ?

— სწორედ მე ვარ, — დაუდასტურა ქალმა. თავი მშვიდად ეჭირა, ასე იცოდა ხოლმე ისეთ წუთებში, როცა ძალიან ღელავდა, თუმ-

ცა სუსტი ნერვების პატრონი იყო. ხოლო ახლა ასეთი მღელვარებისათვის განსაკუთრებული მიზეზები ჰქონდა, რადგან გულში ეშინოდა, პერს მაინცდამაინც არ გაუხარდება ჩემი დანახვაო.

— მაგრამ როგორ... საიდან?

— ცხადია, დეპეშით უნდა მეცნობებინა, მაგრამ გზაში ვერსაიდან ვერ შევძელი გამოგზავნა. გარდა ამისა, ძალიან მინდოდა შენთვის სიურპრიზი გამეკეთებინა. ვიმედოვნებდი, შინ დამხვდებოდი... აბა, ბოლოს და ბოლოს მომეხმარე გახდაში. თავაზიანობის ნატამალიც კი არ გაგაჩნია.

იაკობამ სამგზავრო მოსასხამი და შლიაპა მოიხადა, გაისწორა თმა და დარეტიანებულმა პერმაც, როგორც იყო, გაბედა მოხვევა. ქალი თუმცა თრთოდა სურვილისაგან პერს მკერდში ჩაკვროდა, მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ორივე ხელით პერის თავი მიიზიდა და შუბლზე აკოცა.

— ასეთ შემთხვევაში იტყვიან, კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო, თუ, არ გაგხარებია ჩემი მოსვლა?

პერი მართლაც ვერ იტყოდა ასე უცბად, რა გრძნობები გამოიწვია მასში იაკობას ჩამოსვლამ. ჯერ იყო და იფიქრა, იაკობა ჩემს დაბაზვერავად ჩამოვიდაო. სინდისი არ ჰქონდა სუფთა და იმიტომაც იფიქრა ეს, მაგრამ ახლა, როცა ეხვეოდა და ჩასცქეროდა დიდრონ შავ თვალებში, რომლებიც აღსავსენი იყვნენ სიყვარულითა და ერთგულებით, პერი უეცრად ყველაფერს მიხვდა და თითქოს იმ წუთსვე დაიმსხვრა რკინის გვერგვი, რომელიც მის მკერდს ბოჭავდა. კერტეშინელ სარაჯის ქალიშვილისადმი უმანკო სიყვარულის შემდეგ ეს პირველად იყო, რომ სულიერმა მღელვარებამ პერს თვალთაგან ცრემლები აფრქვევინა.

— აი, თურმე რატომ არ მწერდი წერილს!

— მერე, ვერაფერს ვერ მიხვდი?

როცა იაკობამ პერის გაბრწყინებულ თვალებს შეხედა, თვითონაც ვერ შეძლო ცრემლების შეკავება და როგორც კი ფრაუ ბაბი, როგორც იქნა მიხვდა, აქ ზედმეტი ვარო და კარი გაიხურა, ქალმა თავის გრძნობებს გასაქანი მისცა. მან ვნებიანად შემოხვია პერს კისერზე ხელები.

— მაშ, ცოტათი მაინც გენატრებოდი... აი მეც ჩამოვედი. შენთან ვარ! ბოლოს და ბოლოს ამიხდა ნატვრა! არა, სიზმარში არა ვარ!—

თვალებდახუჭული იაკობა მკერდზე მიეკრა პერს. — არა, ეს სიზმარი არ არის. მე მესმის, როგორ სცემს შენი გული! პერ, ჩემო ძვირფასო! ჩემო მეგობარო! ჩემო საყვარელო!

დიდხანს იდგნენ ასე ურთიერთჩაკრულნი. პერი მდუმარედ უსვამდა ხელს თმაზე. ჯერ კიდევ ვერ პოულობდა სიტყვებს — ისე ძლიერ ელდანაცემი იყო და ისე ბევრი კითხვები ერეოდა თავში. ბოლოს იმდენად მოვიდნენ გონს, რომ შეეძლოთ უკვე დალაგებულად ლაპარაკი, შეკითხვების მიცემა და მათზე პასუხის გაცემა.

— რატომ არ გაცნობე ჩემი ჩამოსვლის შესახებ?—ასე დაიწყო იაკობამ, როცა ხის დივანზე ერთმანეთის გვერდით ხელიხელჩაკიდებულნი დასხდნენ და ყოველ წუთს კოცნით წყვეტდნენ ლაპარაკს. — იმიტომ, რომ არ შემეძლო. გაიგე, მე ხომ სულ ბოლო წუთამდე არ ვიცოდი, როგორ ვოვახერხებდი ყოველივეს. მე ეს დიდი ხნის წინათ ჩავიფიქრე. მიმაჩნდა, რომ აუცილებლად უნდა მომენახულებინე, ვიდრე უფრო შორს არ წასულხარ... მეჩვენებოდა, რომ ძალიან ცამშორდი და ამ დაუსრულებელი ზამთრის განმავლობაში ისე ცოტას მწერდი შენს თავზე, აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა!.. მაშინ მამას და დედას ვუთხარი, თითქოს კლარა ჰერცის ნახვა მინდოდა ბრესლავლში. ხომ იცი, ბრესლავლში ბავშვობის მეგობარი მყავს. მშობლებმა ეს სრულიად ბუნებრივად ჩათვალეს, მაგრამ შენთვის მოწერას მაინც ვერ ვბედავდი... უბრალოდ, გამბედაობა არ მეყო... ათას მრავალნაირ მიზეზს შეეძლო ჩემთვის ხელის შეშლა... და სწორედ სულ უკანასკნელ წუთს — წარმოიდგინე როგორ შემეშინდებოდა! — ივენმა განმიცხადა, შენთან ერთად წამოვალო. როგორც იქნა მოვიშორე—და აი, აქ ვარ.

ვიდრე იაკობა უამბობდა, პერმა რამდენჯერმე დახარა თვალები. მან იცოდა, ქალი მეტისმეტად ალალმართალი იყო და ხმაში სევდა რომ დაეტყო. (ამან უნებლიეთ გასცა), მიხვდა, ალბათ, როგორ ეძნელებოდა იაკობას მშობლებთან და ოჯახის წევრებთან ტყუილის ლაპარაკი. მაგრამ ქალმა დათმო ყოველივე, ყველა საშიშროება გადალახა, ყველანაირი საფრთხე და ცრურწმენა არაფრად ჩააგდო — მხოლოდ იმიტომ, რომ მიხვდა, რამდენად საჭირო იყო მისი ჩამოსვლა აქ.

პერს ვერ გაებედა მისთვის შეხედვა, რადგან რცხვენოდა, რომ ცოტა ხნის წინ ფიქრით ცილი დასწამა.

—ახლა, — გაუბედავად ჰკითხა მან, — ახლა აქ დაბინავდები?

— ორიოდე დღით. ჭეტ ხანს შინაურებს უწერილოდ ვერ დავ-ჯოვებ. ბრესლავლში წასვლა მომიწევს. არის აქ რაიმე სასტუმრო, საღაც შემეძლება ნომერი ვიქირაო?

— რა გინდა სასტუმროში, ცუდი სამყოფია. დარჩი აქ, მე კი მა-ნამდე თვითონ გადავბარგდები სასტუმროში. შენ უკვე ნახე ჩემი და-ასასლისი. კარგი ქალია და მოგიკლის.

— მაშ, როგორც გინდა. ახლა კი, ჩემო მეგობარო, — მან დე-ლობრივი ალერსით გადაუსვა პერს ხელი თმაზე და შეეცადა თვა-ლებში ჩაეხედა, — ახლა შენი ჯერია. მომიყევი, როგორ ცხოვრობ აქ? ცუდად? მე მგონია, ცოტა დაღლილი გამოიყურები.

პერი შეკრთა და თვალი მოარიდა.

— არა, რა მიჭირს, თუმცა მაინცდამაინც მხიარულად ვერა ვარ. სამუშაო საინტერესოა და ძალიან ჭკუის სასწავლიცაა ჩემთვის.

იაკობამ ნელა აიღო ხელი. ცოტა ხანს დუმდნენ. მერე ქალი ხე-ლახლა მიბრუნდა პერისკენ და თავზე ხელი დაადო.

— პერ, — ჰკითხა მან, — რატომ არ მენდობი? ნუთუ ფიქრობ, რაიმეს გამომაპარებ?.. არა, თავს ნუ იმართლებ; გთხოვ, გულწრფე-ლი იყავი ჩემთან. რატომ არ უნდა ესაუბრობდეთ გულახდილად? მაშინაც კი, თუ მე ყველაფერს ვერ გავიგებ? ხომ ვიცი, რომ თქვენ, ქრისტიანებს, მორწმუნენი ხართ თუ ურწმუნონი, მიდრეკილება გაქვთ ყველანაირ ცდუნებებისადმი. უკვე წინასწარ მოვემზადე საი-მისოდ, რომ შენც ასეთი ხარ. მაგრამ ასევე მტკიცედ ვარ დარწმუნე-ბული, რომ შესძლებ თავის გართმევას.

— მართალი ხარ, — უთხრა სირცხვილისაგან გაწითლებულმა პერმა, და თავი გაინთავისუფლა მისი ხელებიდან, რათა ამდგარიყო,— მე მართლაც როგორღაც დავიბენი. — მან კუთხიდან კუთხემდე გადა-ჭრა ოთახი, — მაგრამ ეს სასაცილოა. დიახ, თითქმის სასაცილოა. აქ მარტოობა და დაწყევლილი პასტორული სისხლია დამნაშავე: წინა-პარ ეკლესიის მსახურთა ბრბო გაცოცხლდა უცბად ჩემში. მაგრამ ამან უკვე გამიარა. გარწმუნებ, ისევ საკუთარ თავად ვიქეცი.

იაკობა ჩაფიქრებული უსმენდა. მერე უცბად ადგა და მასთან მივიდა. პასუხის ნაცვლად მსუბუქად მოუთათუნა პერს ლოყაზე ხე-ლი და უთხრა:

— დღეისთვის კმარა ამაზე ლაპარაკი, ჩემო მეგობარო. ახლა კი

ᲠᲝᲛᲘᲡᲛᲘᲜᲔ! ძᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲮᲨᲐᲛᲖᲔ ᲨᲔᲛᲝᲒᲔᲡᲬᲐᲠᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲮᲚᲐ ᲕᲘᲒᲠᲫᲔᲜᲘ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲛᲒᲔᲚᲘᲕᲘᲗ ᲛᲨᲘᲐ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲞᲘᲠᲨᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲩᲐᲛᲡᲕᲚᲘᲐ. ᲘᲡᲔᲕ ᲨᲔᲜᲘ ᲕᲐᲮᲨᲐᲛᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲚᲐᲓᲝ.

— ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ, ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ! — ᲬᲐᲛᲝᲘᲫᲐᲮᲐ ᲡᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲚᲘᲗ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ ᲞᲔᲠᲛᲐ, — ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲓᲐᲕᲣᲫᲐᲮᲔᲑ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲡ. ᲝᲚᲝᲜᲓᲐᲪ ᲙᲘ ᲛᲐᲜ ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲒᲔᲛᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲫᲚᲝᲡ ᲓᲐ...

— ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲔᲠᲗᲘᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲨᲘᲐ, ᲪᲔᲪᲮᲚᲡ, ᲐᲜ ᲦᲝᲠᲡ ᲕᲒᲐᲕᲐᲠ — ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲗᲨᲐᲜᲗᲕᲐᲕ. ᲛᲝᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲡ; ᲛᲔ ᲙᲘ ᲐᲛᲐᲡᲝᲑᲐᲨᲘ ᲪᲝᲢᲐ ᲛᲝᲕᲙᲝᲮᲢᲐᲕᲓᲔᲑᲘ. ᲝᲚᲝᲜᲓ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ ᲩᲐᲜᲗᲐ ᲛᲝᲛᲘᲢᲐᲜᲔ. ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲓᲐᲕᲢᲝᲕᲔ, ᲙᲘᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ.

ᲞᲔᲠᲛᲐ ᲛᲐ�გᲘᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲨᲚᲐ ᲑᲠᲫᲐᲜᲐ, ᲤᲠᲐᲣ ᲑᲐᲑᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲛᲝᲥᲐᲜᲪᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ. ᲘᲐᲙᲝᲑᲐ ᲐᲛᲐᲡᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲬᲝᲚ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲥᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲞᲔᲠᲛᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲙᲣᲚᲣᲚᲔᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲔᲨᲐᲚᲐ ᲡᲐᲤᲔᲗᲥᲚᲔᲑᲗᲐᲜ. ᲮᲝᲚᲝ ᲛᲣᲥᲘ ᲜᲐᲪᲠᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ ᲙᲐᲑᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲐᲙᲔᲪᲘ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲧᲔᲚᲝᲗᲝ, ᲨᲐᲕᲘ ᲐᲠᲨᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲮᲐᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲑᲠᲔᲣᲛᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲐᲑᲗᲘᲗ ᲛᲝᲔᲠᲗᲝᲗ. ᲥᲐᲚᲛᲐ ᲥᲐᲛᲠᲘᲓᲐᲜ ᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲐ ᲐᲛᲝᲘᲦᲝ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲡ ᲡᲐᲦᲘᲚᲔᲨᲘ ᲩᲐᲣᲑᲜᲘᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲘᲖᲘᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲘ, ᲕᲜᲔᲑᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲣᲙᲝᲪᲜᲐ ᲡᲐᲮᲔ ᲓᲐ ᲝᲠᲘᲕᲔᲜᲘ ᲛᲐ�გᲘᲓᲐᲡ ᲒᲘᲣᲡᲮᲓᲜᲔᲜ.

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲞᲔᲠᲡ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲣᲮᲐᲠᲝᲓᲐ ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲫᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲔᲚᲘᲪ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲗᲐᲕᲡ ᲘᲙᲥᲕᲔᲑᲓᲐ. ᲡᲣᲚᲘ ᲣᲛᲫᲘᲛᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲘᲤᲘᲥᲠᲔᲑᲓᲐ, ᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲣᲡᲐᲑᲐᲛᲝᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲡ ᲓᲘᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚ, ᲪᲠᲣ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲞᲔᲠᲘ ᲐᲠᲪ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲐᲒᲔᲑᲓᲐ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲘᲚᲣᲖᲘᲐᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ. ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝᲗ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲝᲑᲠ ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲐᲙᲝᲑᲐ. ᲓᲐ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲟᲣ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲓᲔᲕᲜᲘᲜᲐ, ᲐᲠᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲣᲠᲐᲓ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲣᲫᲚᲣᲠᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘ, ᲐᲠᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲝᲑᲐ ᲞᲔᲠᲡ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲐᲠ ᲘᲖᲘᲓᲐᲕᲓᲐ. ᲮᲝᲚᲝ ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲡ ᲕᲜᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲣᲪᲘᲕᲔᲑᲓᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲡ.

ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲐᲗᲘᲓᲐᲡᲗᲐᲜ ᲘᲡᲮᲓᲜᲔᲜ, ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲛᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲘᲡ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲔᲡ ᲨᲔᲔᲤᲔᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲔᲚᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲛᲐᲗᲘᲓᲐᲡ, ᲥᲐᲗᲥᲐᲗᲐ ᲗᲔᲗᲠᲘ-ᲡᲣᲤᲠᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲤᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲘᲚᲔᲜᲫᲘᲡ ᲝᲠᲘ

ძველისძველი შანდალი აანთო. პერმა პირველად იგრძნო, — ნამდვილად ვნება მოერია (თუმცა გადმოკეცილი საყელო იაკობას სულ არ შვენოდა). უკვე დიდი ხანი იყო, რაც პერს ასე ახლოს არ ენახა ახალგაზრდა ქალი, ამ ქვის გალიაში ისე ცხოვრობდა, როგორც ბერი მონასტერში და მხოლოდ ფუჭი ტვინისჭყლეტით იყო გართული. ახლა სისხლში ხელახლა აუჩქეფდა ცხოვრების წყურვილი; ხელახლა დაუბრუნდა გამბედაობა და ნებისყოფა და გონება აუღელვა.

პერი ჭიქას ჭიქაზე ცლიდა აქაურ მაგარ ღვინოს. იაკობასაც ენთებოდა ლოყები და მიუხედავად იმისა, რომ შიოდა, ბევრჯერ შეწყვიტა ტრაპეზი, რათა მორიგი სადღეგრძელო წარმოეთქვა. პერისათვის ჭიქა მიეჯახუნებინა, ან ეკოცნა. როცა ბოლოს სუფრიდან ადგნენ, პერმა უთხრა:

— შენ ხომ ჯერ არ გინახავს, როგორ მოვეწყე აქ. წამოდი, ბარემ ნახე, როგორი ხედია აქედან.

მან იაკობას მხრებზე წამოსასხამი მოახვია და აივანზე გაიყვანა. მხოლოდ ეული ნათურები ციმციმებდნენ ბაქნის გასწვრივ და თვით ქალაქში. მაგრამ სამაგიეროდ მთელი ცა ვარსკვლავებით იყო მოფენილი. ღრუბლები მთის ქედებიდან ღრმა ხევში ჩამოცურებულიყვნენ და მთელი ღამით დასასვენებლად მიწოლილიყვნენ. მხოლოდ ჰოჰგოლინგის თოვლიან ფერდობებზე დაცურავდა მსუბუქი მუქი ბოლი.

პერმა დაიწყო მოყოლა, როგორ იდგა მრავალი ღამის განმავლობაში აქ, სმენადაძაბული იჭერდა ბუნების ხმას, ჩაბნელებული ნაკადულის ხმაურში რომ ესმოდა და ეგონა, უკანასკნელი ცოცხალი არსება ვარ ამ ამოწყვეტილ პლანეტაზეო. მაგრამ იაკობა მის ლაპარაკს უკვე ყურს არ უგდებდა—მან პერს მკერდზე მიაყრდნო თავი და წამღაუწუმ აწყვეტინებდა თხრობას—ტუჩებს საკოცნელად უწვდიდა. მერე პერიც დადუმდა. დიდხანს იდგნენ ასე და ჩახვეულნი ერთმანეთს არწევდნენ, ახლა ისინი მხოლოდ თვალებით ლაპარაკობდნენ და აჰ მუნჯურ ლაპარაკს ხანგრძლივი კოცნით ბეჭედს უსვამდნენ.

უეცრად ჰოჰგოლინგის მწვერვალიდან მოისმა ზვავის გაბმული გუგუნი. პერმა თავი ასწია და ყური მიუგდო, მაგრამ იაკობა არც განძრეულა. რამდენიმე სეკუნდის შემდეგ გუგუნი განმეორდა, პერმა იაკობას ყურადღება მიაპყრობინა, მაგრამ ქალს არც ახლა გაუღია ხმა. მთელ ქვეყანაზე აღარაფერი ესმოდა იაკობას, გარდა თავისი და პერის გულისცემისა.

როცა ხელახლა დაბრუნდნენ ოთახში, პერმა უთხრა, უკვე ძალიან გვიან არის და ალბათ, დროა მოისვენოო. იაკობამ არაფერი თქვა. ოდნავ შემკრთალი პერი საწოლ ოთახში გავიდა, რომ თავისი თეთრეული და რაღაც წვრილმანი აეღო. როცა სასადილო ოთახში დაბრუნდა, ქალი ფანჯრისკენ პირმიბრუნებული იდგა.

— მაშ, წავედი სასტუმროში, — თქვა პერმა და გამოსამშვიდობებლად მიუახლოვდა იაკობას. ქალი არ მობრუნებულა. პერმა ორჯერ აკოცა ლოყაზე, ქალი კვლავ არ იძროდა, არც ხმას იღებდა. მაგრამ როცა პერმა უკვე ნამდვილად დააპირა წასვლა, იაკობამ ჩუმად, მაგრამ მტკიცედ შეაჩერა ხელის მოძრაობით.

პერმა გაკვირვებით შეხედა ქალს.

იაკობამ ფიცრის დივანზე მიუთითა და უთხრა:

— აქაც შეგიძლია დაიძინო. მაშინ უფრო ახლოს ვიქნები შენთან და შენი მოვლაც შემეძლება. ვერ ვიტან სასტუმროებს.

პერი მისკენ დაიხარა. ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული, სწორად გაუგო თუ არა და უნდოდა თვალებში ჩაეხედა. მაგრამ ქალი მიეკრა და მისი ხელი გულზე მიიდო.

მეორე დილით კაშკაშა მზე ფარდებიდან შეიჭრა იაკობას ოთახში და გააღვიძა ქალი. მან ნიდაყვზე წამოიწია და გაკვირვებული, ფართოდ დაღებული თვალები მოავლო ირგვლივ. მეორე ოთახის კარი შეღებული იყო, იქ ვიღაც ფეხაკრეფით დადიოდა. ხმაურის გაგონებაზე იაკობას გაეღიმა.

— პერ! — მხიარულად დაუძახა მან.

პერის ნაბიჯების ხმაზე იაკობა სახეზე წამოჭარხლდა. ვიდრე ვაჟი კარს გააღებდა, მის შესაგებებლად ხელები გაიწოდა.

ფრთხილი ნაბიჯებით მიუახლოვდა პერი და მისი საწოლის წინ შუხლებზე დაეცა.

— რა ტკბილად გეძინა! — უთხრა მან და ხელზე ხელი მოკიდა.

— პირდაპირ განცვიფრებული ვარ! — ეს ნახევარი წელიწადია, საერთოდ ერთხელაც არ დამიძინია ისე, თუ დასაძინებელ წამალს არ ძივიღებდი, აქ კი, არც ვიცი, რა მომივიდა, როცა შენ წახვედი... შენ... შენ, როგორც ვხედავ, უკვე ჩაგიცვია და. ქუჩაშიც გასულხარ, — დილის სიგრილისაგან თმაზე კარგი სუნი გიდის.

— მე მხოლოდ აივანზე გაკედი. არ მინდოდა დიდი ხნით მოგშორებოდი.

— ა, ახლა მივხვდი! მაშ, შენი ფეხის ხმა იყო, ძილში რომ მესმოდა? ალბათ, დიდხანს დასეირნობდი იქ და სულაც არ გძინებია. ჰო? სულ არ გიძინია? თვალიც არ მოგიხუჭავს? საბრალო — ალბათ, ძალიან ხმელია დივანი. ასეც ვიცოდი.

— არა, დივანი არაფერ შუაშია. იცი რა, იაკობა...

—რაო, ჩემო მეგობარო? — იაკობამ მხოლოდ ახლა შენიშნა, რა აღელვებული და შეწუხებულიც კი იყო პერი და თავადაც შეწუხდა, — რა მოხდა?

— იაკობა, შინდა გამოგიტყდე. ვერ მოვისვენებ, ვიდრე არ გაგანდობ... ვიდრე პატიოსნად არ გეტყვი, რომ...

— ყველაფერი ვიცი, რის თქმაც გინდა და არაფრის მოსმენა არ მსურს. წარსული დავიწყებულია, ჩემო პერ!

— მაგრამ შესძლებ კი ჩემს პატიებას? შესძლებ დაივიწყო, რომ სიყვარულზე ტყუილად გელაქლაქებოდი, თანაც გტანჯავდი და სიყვარულისა არც კი მესმოდა არაფერი, როცა კოცნაზე კოცნით გპასუხობდი? პატიოსნად მინდა გითხრა, რომ ეს ასე იყო, — მხოლოდ წუხელამ გავიგე, რა არის სიყვარული, და სირცხვილით ვაღიარებ, რომ სულმდაბალი ვიყავი და ცხოვრებისა ბევრი არა მესმოდა რა. შეგიძლია მაპატიო?

— აჰ, ჩემო მეგობარო, — უთხრა ცოტათი დანაღვლიანებულმა იაკობამ და მისი თავი გულზე მიიკრა. — უკვე დიდი ხანია ყველაფერი გაპატიე.

* * *

გავიდა რამდენიმე დღე. იაკობა და პერი ადიოდნენ დამრეც ბილიკზე, რომელიც მთის კალთაზე მიიკლაკნებოდა. მთის კალთებზე ზოგან ბუჩქები ამოზრდილიყო, ხოლო ზოგან მთლად მოტიტვლებულიყო მიწა. შუადღე იყო. მზე აცხუნებდა მოჟანგისფრო-რუხ ქვებს, გაზაფხულს ჰაერი ბალახისა და წიწვის ფისის მსუყე სურნელით გაეჟღინთა.

ისინი ახლა დოლომიტის ალპების სამხრეთ ფერდობებზე იმყოფებოდნენ. იაკობას ჩამოსვლიდან ერთი დღის შემდეგ დატოვეს

ჯრეზაკი, რათა ზაფხულს შეგებებოდნენ. ეს ორი თავისუფალი ადამიანი რვა დღე დაეხეტებოდა ეცტალის მთებში, ღამეს მაღალმთიან სასტუმროებში ათევდნენ, გლეხებისაგან პურსა და კვერცხს ყიდულობდნენ, ხოლო წყურვილს ტყის წყაროს წყლით იკლავდნენ. მესამე დღეს იაკობამ შინ წერილი გაგზავნა, სავსებით დამშვიდებული ატყობინებდა დედას, სადაც იმყოფებოდა და თავის საქციელს იმით ხსნიდა, რომ წინ ვერ აღვუდექი ცოუნებას, ყველაზე ადრე შევხვედროდი გაზაფხულს, ამიტომაც ალპების გავლით შემოვუარე გზას და ბრესლავში ისე წავედიო. პერის სახელს ის პირდაპირ არ ასახელებდა, მაგრამ მაინც სწერდა დედას, ჩემზე არ იდარდო, რადგან „საიმედო თანამგზავრი შევიძინეო“...

ახლა იაკობა დაკლაკნილი ბილიკით ნელა და ფრთხილად მიცოცავდა მაღლა, ცალი ხელით ქვედატანს იწევდა, მეორეთი კი ალპურ ჯოხს ეყრდნობოდა. პერი კვალდაკვალ მისდევდა. მხარზე უბრალო მწვანე ზურგჩანთა გადაეგდო, მთელი მათი ხაბაკ-ხუბაკი იქ ეწყო. იაკობა ხშირად ჩერდებოდა და პერისკენ მოტრიალდებოდა, რომ მოხვეოდა და ეკოცნა მისთვის. ორივეს მოჰკიდებოდა გაზაფხულის მზე. კულულები, რომლებიც ყოველთვის კოხტად ჰქონდა ხოლმე დალაგებული იაკობას, ახლა ბოშა ქალივით ჩამოსწეწოდა. ქალს თვალები ებრწყინავდა, ხოლო ტუჩები წითლად უღვიოდა.

მწვერვალის დამპყრობად იაკობა არ გამოდგა. ყოველ ნახევარ საათში ისვენებდნენ, ყველა ნაკადულზე პერს ხელით გადაჰყავდა, ყველა ციცაბო დაღმართზე იჭერდა. მაგრამ პერს აზრადაც არ მოსდიოდა ჩივილი, იაკობა ბუმბულივით მსუბუქი აღმოჩნდა და მისი ხელში ჭერა ძალიან სასიამოვნო იყო. ამასთან, ყოველთვის, როცა კი ტყეში ან ხეობაში შეისვენებდნენ, ეს მორიგი ლირიული ან მხიარული სასიყვარულო სცენის სასურველი საბაბი იყო და როცა დღის გრძელ გზას გალევდნენ, ხსოვნაში ყველაზე მეტად სწორედ ასეთი სცენები რჩებოდათ.

პერისთვის ეს დღეები მეორედ დაბადება და მეორედ მონათვლა იყო. ცხოვრება უეცრად მის წინაშე მთელი სისავსით და სილამაზით გადაიშალა, ვერც კი წარმოედგინა, თუ შეიძლებოდა ასეთი მშვენიერი ყოფილიყო ცხოვრება. იმდენი ახალი რამ აღმოაჩინა, მთვრალივით დადიოდა, აქამდე უცნობი ბევრი გრძნობა გაეღვიძა.

ყოველივე, რასაც ბედისაგან მოითხოვდა, ახლა საცოდაობად და არარაობად ეჩვენებოდა იმ ტკბობასთან შედარებით, რასაც ერთი, ერთადერთი კოცნა ანიჭებდა. იაკობასაც ახლა სულ სხვა თვალით უცქერდა. ამიერიდან ის უყვარდა, როგორც ქალი, რომელმაც ახალი ცხოვრება აჩუქა, რომელმაც გააფართოვა მისი სამყაროს საზღვრები, როგორც ქალი, რომლის კოცნამაც შელოცვებივით განდევნა მისი გზიდან სიკვდილის აჩრდილი.

მაგრამ ბედნიერმა დღეებმა ჩაიქროლეს. მშობლების შიშით იაკობას უკვე აღარ შეეძლო განშორების ნაღვლიანი წამის გადადება. მათ გადაწყვიტეს საღამომდე ბოტკენში დარჩენილიყვნენ. იქიდან იაკობა ღამის მატარებლით ჩრდილოეთისკენ უნდა გამგზავრებულიყო, ხოლო პერი დრეზაკში დაბრუნებულიყო, რათა მოეგვარებინა საქმეები და ადრე დასახული გეგმით განეგრძო მოგზაურობა.

დილიდანვე ორივე მიყუჩდა. როცა მათი თვალები ხვდებოდნენ, იაკობა ცდილობდა გაეღიმა, მაგრამ ისე გრძნობამორეული ეალერსებოდა პერს, აშკარად ეტყობოდა შიში და მღელვარება. წუთითაც არ შორდებოდა ვაჟს და ნელა მიღოღავდა მის გვერდით, ვაჟის მხარზე მიეყრდნო თავი, პერს კი წელზე შემოეხვია ხელი. როცა საკოცნელად შეჩერდებოდნენ, იაკობა თვალებს ხუჭავდა, რათა უფრო დამტკბარიყო თავისი მცირეხნის ბედნიერებით და თავისი სულის სამალავებში შეენახა ეს ბედნიერება.

ისინი ბილიკის მოსახვევს მიუახლოვდნენ. აქ რამდენიმე ჭიანი წაბლი ხარობდა და მათგან ქვიან მიწას პატარა ჩრდილი ეფინა. გადაწყვიტეს აქ შეესვენათ. პერმა გაშალა სამგზავრო პლედი და დაღლილი იაკობა მაშინვე ზედ დაეშვა. უეცრად გაახსენდათ, რომ დაეიწყებოდათ საუზმე, რომელიც ზურგჩანთაში ედოთ. ორივემ გადაიხარხარა და ცოტა ხნით გამხიარულდნენ.

პერმა მწვანე ქერელის ტილოს ტომარა გახსნა და იქიდან სურსათის ამოლაგებას შეუდგა. ამ დროს შენიშნა, რომ ბილიკის მეორე მხარეს ქვებს შორის ჯვარი ესო. ჩვეულებრივი ხის ჯვარი იყო, ამისთანას უამრავს შეხვდები: ორი-სამი ნიდაყვის სიმაღლისა, ჯვარცმული მაცხოვრის ულაზათო და უსიამოვნო გამოსახულებით.

— დასწყევლოს ღმერთმა! — შეიგინა პერმა, — ინებე ახლა ამ საფრთხობელით დატკბობა! უმჯობესია წავიდეთ.

— ნუ, — შეევედრა იაკობა, — ადგილიდან დაძვრის თავიც კი არა მაქვს, სანამ ერთ ლუკმას მაინც არ შევჭამ.

— მაშ კარგი, ავდგეთ და ზურგი შევაქციოთ... ერთი შეხედე, იაკობა, რა სილამაზეა!

ხეობისაკენ პირმიბრუნებულები დასხდნენ, მათ ფეხქვეშ მზით გაბრწყინებული ხეობა გადაშლილიყო. იაკობა და პერი ორივე ყბით სანსლავდნენ თავიანთ ღარიბულ საუზმეს — ხმელ პურს, ცოტა ყველს და რამდენიმე კვერცხს. იაკობას გვერდით ქვაზე მჯდარმა ყმაწვილმა კაცმა, ჭამას რომ მორჩნენ, სიგარა გააბოლა და ასე ისხდნენ ხელჩაკიდებულნი, საუბრობდნენ და ოქროს მირაჟით ტკბებოდნენ.

უცბად პერმა თავი ასწია და ყური მიუგდო:

— გესმის? — ჰკითხა მან იაკობას.

— რა?

— ნუთუ არ გესმის? ისევ ზარს რეკენ!

— სად?

— სადღაც ხეობაში.

— არა... მაგრამ შენი მჯერა... რა მახვილი სმენა გაქვს!

— ხომ საზიზღარი ხმა აქვს?... აქაც კი, ამ ზღაპრულ სამეფოშიაც საძაგელი აჩრდილები დევნის კაცს.

— ზარის ხმას შენ ვერ გამოგაპარებს კაცი, — გაიღიმა იაკობამ.

პერმა უამბო, როგორ სძულდა ეს ხმა, როგორ ეშინოდა მისი ჯერ კიდევ პატარა ბიჭობაში, როგორ ეწეოდა ეს ხმა ყველა აკრძალულ გზაზე და ყურებში მრისხანე გაფრთხილებად ედგა. იაკობამ ალერსიანად მოუჭირა ხელზე ხელი და უთხრა, ეს გამუდმებული რეკვა მეც მოზეიმე მუქარის ხმად მეჩვენებაო. ახლაც მახსოვს, ჯერ კიდევ სულ პაწაწა ვიყავი და კვირაობით, ზარები რომ რეკვას გაბამდნენ, შორეულ კუთხეში მივიკუნჭებოდი, არავინ დამინახოს-მეთქი, როგორ ეტირი ბრაზისაგან; ხოლო როცა წამოვიზარდე, ხშირად სკოლიდან დაბრუნებისას გარნიზონის ეკლესიის ზარებს კადნიერ მზერას ვტყორცნიდი, რადგან ჩემი ორი თანაკლასელის ოჯახებს იქ მუდმივი ადგილები ჰქონდათ და ძალიან ამაყობდნენ ამითიო.

— უყურე, პერ! ჯერ კიდევ მაშინ ერთნაირი აზრები და გრძნო-

ბები გვქონია. ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ ერთმანეთი ვიპოვეთ.

პერი მოეხვია, ლაპარაკი გააბეს მომავალზე, მოახლოვებულ ახალ საუკუნეზე, როცა ადამიანს ბოლოს და ბოლოს დაუბრუნდება სულის ადრინდელი თავისუფლება, როცა მასში კვლავ გაიღვიძებს მოქმედების წყურვილი და თავგადასავლებით გატაცება, როცა ტაძრების ნანგრევებზე საკურთხეველს აუგებენ ძალასა და გმირობას.

— იცი რა, — უთხრა პერმა, — ამ ბოლო დროს ხშირად მაგონდება ერთი ამბავი. იგი ერთხელ შინ მოვისმინე ჩვენი მოხუცი ცალთვალა ძიძისაგან. ეს არის გლეხი ბიჭის თავგადასავალი, რომელმაც განიზრახა თავისუფალი მსროლელი გამხდარიყო. იქნება შენც გახსოვს ეს ამბავი?

— თავისუფალი მსროლელი? მერე რას ნიშნავს ეს?

— მაშასადამე, არ იცი. თავისუფალი მსროლელი არის კაცი, რომელიც ისვრის ჯადოსნური ტყვიებით და ნებისმიერ მიზანს ახვედრებს ნებისმიერი მანძილიდან. მაგრამ იმისათვის, რომ ასეთი ჯადოქრული ძალა შეიმატო, სავსე მთვარის დროს გზაჯვარედინზე უნდა გახვიდე, სადაც ჯვარცმა დგას და ტყვიით გააპო ქრისტეს გული... შიგ გულში უნდა მოახვედრო.

— ა-ა, ეს ხომ ოპერა „ჯადოსნური მსროლელია“.

— დიახ. და აი, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ჩემი ძიძის მოთხრობის გმირ ყმაწვილს გამბედაობა არ ეყოფა. როგორც კი კონდახს მხარზე მიიყრდნობს, რომ კარგად დაუმიზნოს, თითები აუკანკალდება, ხოლო როცა მოინდომებს ჩახმახს დააცემინოს, ხელი უბუჟდება. მთელი სიცოცხლე ასეთ ყველაზე ჩვეულებრივ ვაი-მონადირედ გაატარა. მე მგონი, ეს ამბავი იძლევა იმის ნათელ სურათს, თუ რა უძლურია ადამიანი ცრუმორწმუნეობის ურჩხულების წინაშე. ადამიანს არასოდეს არ ეყოფა გამბედაობა, საკუთარი სარგებლობისთვისვე განგმიროს წმინდანის გამოსახულება. ეშმაკმა უწყის, რა არის ეს... სულ ბოლო წუთში ყოველთვის ეჭვი იჩენს თავს. — პერმა პირი იბრუნა ჯვარცმისაკენ და უფრო მეტი გატაცებით განაგრძო: — შეხედე ამ გამოფიტულ ღვთაებას! როდის გვეყოფა ბოლოს და ბოლოს გამბედაობა, რომ სახეში შევაფურთხოთ და ამით გამოვხატოთ ჩვენი ზიზღი? კარგად შეხედე, იაკობ! რა უტიფარი მოკრძალებაა! რა საზიზღარია, ყველას დასანახად რომ გამოუჩენია თავისი შერცხ-

ვენა. მაგრამ მისი მეფობა მალე დასრულდება. ჩვენ თვითონ ვიქნებით თავისუფალი მსროლელნი. ოღონდ ჯადოსნური ტყვიების სროლაა საჭირო! უყურე!

პერი ფიცხლავ წამოიჭრა, ქურთუკის ქვეშ ქამარზე ჩამოკიდებული ბუდიდან ბძიმე რევოლვერი იძრო და იაკობამ ვერც კი მოასწრო მისი შეჩერება, რომ ჩახმახი დააცემინა და შეძახილით: „მე საჯაროდ ვაცხადებ ახალი საუკუნის მოსვლასო!“ პირდაპირ ჯვარცმას ესროლა. ჯვარცმა მოიღრიცა და ჰაერში ნაფოტებად დაიშალა.

იმავ წუთს თითქოს ოხვრამ გადაუარა მთელ სამყაროს. ხეობიდან ყრუ გრიალი მოისმა, გრიალი თანდათან ძლიერდებოდა და მთებში მიწისქვეშა მეხივით ჭექდა.

პერი შემოტრიალდა. სახეზე მიტკლისფერი ედო. მაგრამ როცა მიხვდა რაც მოხდა, თავშეუკავებელი ხარხარი აუვარდა. გაახსენდა, აქ ამოსვლისას რამდენიმე ადგილას შენიშნა წარწერა სამ ენაზე: „ეკო არ დაგავიწყდეს!“

—მაშ ასე, იგრიალეთ, აჩრდილებო! — ჯიბრით იყვირა მან, ხელახლა გატენა რევოლვერი და პირდაპირ ჰაერში გაისროლა. ხეობა ხელახლა აივსო ღრიალით და გუგუნით, თითქოს მთის სულების ხროვა გამოცვივდაო.

— პერ, შენ ჭკუაზე შეიშალე! — იყვირა იაკობამ. ისიც წამოხტა და მთლად აღტაცებული, კისერზე ჩამოეკიდა. — რა გემართება?

— მე მხოლოდ აჩრდილი ჩამოვიშორე გზიდან! ახლა კი წავიდეთ, დროა! დრო ძვირფასია. ორი საათის შემდეგ უკვე საფოსტო ეტლში უნდა ვისხდეთ, ხოლო ხუთი საათის შემდეგ — ხუთი საათის შემდეგ დავშორდებით.

— ახ, პერ, მოდი, უმჯობესია ამაზე ნუ ვიფიქრებთ, — უთხრა იაკობამ და მის მხარზე თავდაყრდნობილმა თვალები მინაბა.

ასე მიდიოდნენ წინ ხელიხელჩაკიდებულნი მბრწყინავი მზის შესახვედრად, მიდიოდნენ ნელ-ნელა, ნიავი კი გაზაფხულის ცხარე სურნელებას აგებებდა.

თავი XIV

ეს რამდენიმე წელია, განახლების ძლიერმა პროცესმა დანიის დედაქალაქის ცხოვრება სულ სხვა ყაიდაზე მოაწყო. კოპენჰაგენი ისე

გაიზარდა და იცვალა სახე, პროვინციელი ან უცხოელი, ვინც რამდენიმე წელი წასული იყო აქედან, მხოლოდ დიდი გაჭირვებით თუ იცნობდა ქალაქს. ევროპიდან დოქტორ ნათანის შემწეობით მოგორებულმა კულტურული აღმავლობის ტალღამ არა მარტო სულიერი აყვავება გამოიწვია, არა მარტო რევოლუციურად განწყობილი მწერლების, მეცნიერების და პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფი წარმოშვა, არამედ ასპარეზზე გამოიყვანა მრავალი გაბედული ახალგაზრდა, ვინც წმინდა პრაქტიკულ დარგებში ეძებდა თავისი ძალების გამოყენების საშუალებას. პერ სიდენიუსი მხოლოდ ერთ-ერთი პატივმოყვარე და ხალისიანი ახალგაზრდათაგანი გახლდათ, ერთი მრავალთაგანი, რომელიც ახალი დროის მეწარმოებამ და დიდ ინდუსტრიალურ ქვეყანათა თითქმის ზღაპრულმა განვითარებამ გაიტაცა. ერთი იმათგანი, ვინც, როგორც ბოროტი ენები ირწმუნებოდნენ, „ოქროს ბზინვამ დააბრმავა". ვიდრე თავის სახაზავ დაფაზე დახრილი პერი ნიუბოდერის ღატაკურ სენაკში უსტვენდა, ასეთივე გაბედული მეოცნებენი ისხდნენ ზოგი სავაჭრო სახლის ბუღალტერიის ტრიალა სკამზე, ზოგი ბანკის მაუდგადაკრულ მაღალ საწერ მაგიდასთან ტაბურეტზე, ზოგიც ბოლო მერხზე იურიდიული ფაკულტეტის აუდიტორიაში და იდუმალად ემზადებოდნენ ხელისუფლების საკენესთან დასადგომად. ყველაზე უფრო ჭკვიანებმა და მარჯვეებმა უკვე მოახერხეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილების დაკავება, სადაც მანამდე რეაქციული მთავრობის პარტია და სამეფო კარის ჭკუამოკლე დიდკაცობა მეფობდა.

კოპენჰაგენი ახალი დროის და მისი რაობის უსწრაფესი გამარჯვების სწორ გზაზე იდგა. მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობის გადიდებამ და სწრაფმა ზრდამ კი არ ჩააყენა ის მსოფლიოს უმსხვილეს ქალაქთა რიცხვში, თვით ქუჩის ბრბო, გართობათა ხასიათი, პრესის ტონი, მაღალი საზოგადოების ცხოვრების სტილი დღითი-დღე უფრო და უფრო ევროპული ხდებოდა.

სამაგიეროდ, პროვინციაში, განსაკუთრებით პატარა დაბებში, ცხოვრება ზუსტად ძველებურად და უცვლელად მიმდინარეობდა. აქ უწინდებურად ყველაფერზე ჩინოვნიკი მეფობდა, რაკი უნივერსიტეტი დავმთავრებინა, უწინდებურად დღევანდელი დღის გმირად სტუდენტი ითვლებოდა, რომელსაც არდადეგებზე ჩამოსვლისას აბრეშუმის ქუდი საჰაერო ბურთივით ედო ხუჭუჭა თავზე.

სამოქალაქო მრჩეველის ტიტულის შემწეობით თუნდაც ღმერთივით ძლიერი ვაჭრის ან მეწარმის სახელმწიფოს დიდგვაროვან მსახურებთან გათანაბრება პროვინციაში წარმოუდგენელი იყო.

არც სოფელში იყო გათვალისწინებული წარსულთან ურთიერთობის გაწყვეტა. თუმცა ზოგან ზეთისსახდელ პატარა ქარხნებზე უკვე ბოლავდნენ ნამდვილი ქარხნის მილები, ხოლო სამკალმა და სალეწმა მანქანებმა ზოგ ადგილებში უკვე შეცვალეს ცელები და საცეხველები, მაგრამ მიუხედავად ყველა ამ ტექნიკური სიახლისა, მიუხედავად განათლების დონის ამაღლებისა, სოფლის მოსახლეობა დღითი დღე ღარიბდებოდა. სულ უფრო მატულობდა გლეხთა კარმიდამოს დამგირავებელთა რიცხვი. და ყოველწლიურად კიდევ რამდენიმე მილიონით იზრდებოდა დანიის სახელმწიფო ვალი.

მაგრამ დანიელი ფართოუკანალიანი გლეხი ძველებურად ამაყად ცხოვრობდა თავის ხუტორში და ურყევად სწამდა, რომ სწორედ ის არის ერის ჭკუა, მისი მთავარი ძალა, მისი მომავალი. ეს რწმენა საუკუნეთა სვლაში ეროვნულ დოგმად იქცა და გრუნდტვიგიანულმა სკოლებმა დააკანონეს კიდეც. სოფელი და ქალაქი სკაგენიდან გესერამდე, ზღვიდან ზღვამდე მოწიწებით იხრიდა ქედს დანიის პოხიერი ყანის რძისა და თაფლის წინაშე.

ამასობაში ქვეყნის მდინარეები და ფიორდები სულ უფრო თხელდებოდა და თხელდებოდა. ძველი სავაჭრო გზები, სადაც გასულ საუკუნეში ნაოსნობა იმდენად იყო გამოცოცხლებული, რომ ცალკეულ მოქალაქეებს შეეძლოთ საკუთარი, თითქმის ოცი ძლიერიალქნიანი გემის შემცველი ფლოტილიის ყოლა, ახლა მხოლოდ სათევზაო გემებს ემსახურებოდა. მხოლოდ ქარის წისქვილები იყენებდნენ როგორღაც ენერგიის აურაცხელ მარაგს, რომელსაც ქვეყანას მოუსვენარი ქარები უგზავნიდნენ. ზღვის ნაპირების გაყოლებით კი აგორდებოდა და ჩამოგორდებოდა ხოლმე ტალღის ქოჩორი და ცარიელ სივრცეში უნაყოფოდ ხარჯავდა თავის ძალას. სანამ სხვა ერები სისხლისა და ოქროს ნაკადებს ღვრიდნენ, რათა როგორმე მოეპოვებინათ ზღვის სანაპიროს ნაჭერი ან რომელიმე სატვირთო ნავსადგური, მთელ ოთხას კილომეტრზე სკაგერაკის გასწვრივ სკაგენიდან ესბერგამდე უნაყოფო უდაბნო გადაჭიმულიყო, სადაც, ნამდვილ ქალაქებზე რომ ოლარაფერი ვთქვათ, ერთი ნავსადგურიც კი არ ჩანდა.

უფრო მეტიც, ზოგ ადგილებში ხალხი თვითვე უწყობდა ხელს

ბუნების ძალებს ნგრევაში. აგუბებდნენ ყურეს, აშრობდნენ სრუტეებსა და ტბებს, რათა უფრო მეტი საკვები ბალახი დაეთესათ საქონლისთვის. იქ, სადაც ოდესღაც ნავსადგურში შორეული ქვეყნების ქარით მოქროლილი მძიმედ დატვირთული იალქნიანი გემები შედიოდა, ახლა მწვანე მდელოები გადაჭიმულიყო, სადაც მაღალი წველადობის მერძეული საქონელი სძოვდა და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, გეგონებოდათ, ყველაფერი ყვავისო. თუკი გამონაკლისის სახით იუტლანდიის რომელიმე ტიალ ადგილზე მდინარის კალაპოტს ჩაწმენდნენ, ისიც ისევე მხოლოდ იმიტომ, რომ გაეზარდათ სათესი ფართობები, გაედიდებინათ გლეხთა ოჯახების რიცხვი, მოემრავლებინათ უფრო მეტი ღარიბები —სწორედ ამას აქიაქებდა ასე პერი თავის პატარა ბროშურაში.

კოპენჰაგენი კი თანდათანობით ხდიდა ქაფს მთელ ქვეყანას და ღედაქალაქის თავისებურ დანამატად აქცევდა მას. აქეთ მოისწრაფოდა მუშა ძალა, რომელიც გამოყენებას ეძებდა, აქეთ მაღალ მოგებას მოსდევდა პროვინციების კაპიტალი.

საყოველთაო ინტერესს ახლა მხოლოდ ის იწვევდა, რაც უშუალოდ თვით კოპენჰაგენს და მის ბედს ეხებოდა; ეს იყო ერთ-ერთ მიზეზთაგანი, რის გამოც პერის წიგნმა, სწორედ იმ მიზნით რომ იყო დაწერილი, საზოგადოება აემოძრავებინა, ყურადღება ვერც თვით ღედაქალაქში მიიპყრო და ვერც მის გარეთ. ვერ უშველა მისი ცოლისძმისა და ერთგული მეგობრის ცდამაც კი. ივენი თხოვნით მოსვენებას არ აძლევდა მრავალრიცხოვან რედაქციებს, განგაში აეტეხათ. ყველა, ვისაც ის ელაპარაკებოდა, გულგრილად იჩეჩდა მხრებს. იუტლანდიაზე გასაყვანი არხის პროექტი? მოტორები, რომელთაც მოძრაობაში ტალღების ძალა მოიყვანს ბლოვანს-ჰუკის კონცხის მახლობლად? არა, ეს არ არის სენსაციის მასალა. დიურინგსაც არ გაუდიდებოდა ცოდვა, უფრო თავაზიანად რომ მოქცეულიყო, მაგრამ მანაც თავი აარიდა, მოიმიზეზა, უკვე უსიამოვნება შემხვდა იმ პატარა სტატიის გამო, თავის დროზე ივენის ინიციატივით რომ დავწერე ამ საკითხზეო.

ასეთივე წარუმატებლობა ხვდა წილად ივენის იმ ცდასაც, რომ თავისი მეგობრის დიადი გეგმებით ფინანსისტები და მეწარმენი დაეინტერესებინა. თუმცა ივენი არ ზოგავდა არც ფეხებს, არც ენას, რათა პირადად მოეხდინა ზემოქმედება საქმიანი სამყაროს წამყვან

წარმომადგენლებზე და, პირველ რიგში, საკუთარ მამაზე, რომელმაც მეტისმეტად მტკიცე უარი განაცხადა ამ საქმეში მონაწილეობაზე.

ფილიპ სალომონს არასოდეს დიდად არ სწამდა თავისი ქალიშვილის საქმროსი, ხოლო ფილიპის ცოლი, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც თავისი ქმრის აზრებს იზიარებდა. თუმცა არც ერთი მათგანი პირდაპირ არაფერს ამბობდა ამაზე, ორივენი თავთავიანთთვის იმ იმედით სულდგმულობდნენ, იაკობა ბოლოს და ბოლოს გონს მოვა და დროულად გაწყვეტს ამ კავშირს, რომელიც, ყოველმხრივ, დარდისა და გულგატეხილობის მეტს არაფერს მოუტანსო.

ყოველივე ეს იქამდე მივიდა, რომ ერთ მშვენიერ მარტის დღეს, ნახადილევს, ფილიპმა (სადილზე ფილიპ სალომონს ჩვეულების წინააღმდეგ ორი სიტყვაც კი არ უთქვამს) ივენი თავისთან სასაუბროდ მიიხმო. დილის ფოსტით ფრუ სალომონმა იაკობას წერილი მიიღო. აქამდე ოჯახი დარწმუნებული იყო, იაკობა თავის ბრესლაველელ მეგობარ ქალთან არის სტუმრადო. წერილი კი მესაზღვრეთა პატარა ავსტრიულ ქალაქიდან მოვიდა და სტრიქონთა შორის შეიძლებოდა ამოკითხვა, რომ იქ იაკობა თავის საქმროს შეხვდა და რომ მათ ერთად გაისეირნეს მთებში.

ფილიპ სალომონს კრინტი არ დაუძრავს იაკობას ამ აღიარებაზე, ერთბაშად პერის პროექტზე ჩამოაგდო ლაპარაკი, გამოჰკითხა ივენს, როგორ მიდის შენი მეგობრის ეგრეთ წოდებულ აღმოჩენათა დასამუშავებული საქციო საზოგადოების შექმნის საქმე, ამ ბოლო დროს არაფერი გამიგია მის შესახებო.

ივენმა წარბი შეიკრა და ხელი ჩაიქნია.

— იცი რა, მამა, უმჯობესია სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. შენ შეკითხები, როგორ მიდის საქმეები? როგორ შეიძლება მიდიოდეს თუ ისინი, ვისაც ეს საქმე ყველაზე მეტად ეხება, სრულ გულგრილობას იჩენენ? ხომ გეუბნებოდი, საკმარისია პერზე სიტყვა ჩამოვაგდო, რომ ყველა მაშინვე იმას მეკითხება, როგორ ეკიდება ამ საქმეს მაწაშენიო. მთელმა ბირჟამ შესანიშნავად იცის, რომ იაკობა პერზეა დაინიშნული.

— თავადაც ამას ვფიქრობდი, — უპასუხა ფილიპ სალომონმა ჩვეულებრივი სიმშვიდით, ყურადღებაც კი არ მიუქცევია შვილის აღ-

ელვებულ და უპატივცემლო ტონისათვის. — ერთი კარგად ამიხსენი გეთაყვა, როგორ თანხაზეა, მართალი რომ ვთქვათ, ლაპარაკი?

— რად შეკითხები? ხომ წაიკითხე მისი წიგნი!

— ცხადია, ცხადია. მაგრამ მახსოვს, ჯერ კიდევ მაშინ გითხარი, რომ მაინცდამაინც ბევრ რამეს ვერ ჩავწვდი. მას ხომ ძალიან თავისებური წერის მანერა აქვს ამგვარ საკითხებზე. ამიტომაც გადავწყვიტე მეკითხა შენთვის, ხომ არ შეგიძლია ძალიან მოკლედ გადმომცე წიგნის ძირითადი შინაარსი... მომცე მოკლე, მაგრამ კონკრეტული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორი მოსაზრებით, ასე ვთქვათ, ხელმძღვანელობს შენი მეგობარი.

ამაზე სასიამოვნო შეკითხვა მამას არც შეეძლო მიეცა ივენისათვის. საჩქაროდ მოიტანა საჭირო ნახაზები, ქაღალდები და იმდენი ილაპარაკა, მთელი საათით მიაჯაჭვა მამა სკამზე.

პერის პროექტი, მოკლედ გადმოცემული ბროშურაში, შემდეგში მდგომარეობდა:

სრუტე გროდიუბის შუაგულში, იქ, სადაც ის ერტინგის ყურეს ერთვის, მდებარეობს უდაბური, დაუსახლებელი კუნძული ლანგლი. თუ ამ კუნძულს ნახევარკუნძულ სკალინჰენის მხრიდან გავხედავთ, კუნძული წარმოგვიდგება როგორც დიუნების გრძელი, მორუხო-მწვანე ჯაჭვი, რომელთა შორის აქა-იქ ციმციმებს ჩალით დახურული მუშათა ქოხები. ძველებურ ფარვატერს კუნძულის ნაპირების გაყოლებით ერტინგამდე მივყავართ. ოდესღაც აქ მთელ სამხრეთ-დასავლეთ იუტლანდიაში ყველაზე უფრო მოსახერხებელი ადგილი იყო გემების განსატვირთავად. ახლა მას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, გარდა თევზის საცოდავი ნანადირევისა და მხოლოდ საბაჟო და რამდენიმე დიდი, მიტოვებული სავაჭრო კანტორა მოგვაგონებს მის წარსულ სიდიადეს.

პერი ამტკიცებდა, მიუტევებელი შეცდომაა ესბერგისაგან მსხვილი ნავსადგურის შექმნა, როგორც ეს გააკეთეს სამოციანი წლების ბოლოსო. კიცხავდა ამ ღონისძიებას — ნაწილობრივ ნავსადგურის სიშორის გამო, უფრო მეტად კი იმიტომ, რომ ესბერგი ქვეყნის დანარჩენ ნაწილთან მხოლოდ რკინიგზის საშუალებითაა დაკავშირებული.

პერის წინადადება იმაში მდგომარეობდა, რომ სამხრეთ-იუტლანდიის განსატვირთავი პუნქტი ძველ ადგილზე, ან ოდნავ უფრო ჩრდილოეთით, პატარა ქალაქ ტრაპთან, მდინარე ვარდეს შესართავთან გა-

დაეტანათ. აქედან შეიძლებოდა მოგვარებულიყო გემთმსვლელობის ურთიერთობა ქვეყნის ცენტრთან. საჭიროა მდინარის კალაპოტის გაღრმავება და მოწესრიგება, შემდეგ მისი დაკავშირება რამდენიმე რაბის საშუალებით მდინარე ვაილესთან და ამით სამხრეთ არხის დამთავრება, ერთისა იმ ორთაგან, რომლებმაც, მისი პროექტის თანახმად ორივე მდინარის დელტებთან ერთად უნდა შეაერთონ სამხრეთი და ბალტიის ზღვები.

პერი წერდა, მხოლოდ მას შემდეგ, როცა გაყვანილი იქნება ერთი ამ გზათაგანი მაინც, შესაძლებელი გახდება სერიოზული ლაპარაკი კონკურენციაზე ჩრდილოეთ გერმანიის სანავსადგურო ქალაქებთან, განსაკუთრებით ჰამბურგთანო. ამ ქალაქის მზარდი უპირატესობა, მისი აზრით, დანიის დამოუკიდებლობისათვის რეალურ მუქარას ქმნიდა. თვითეული მარცხი გასაღების ბაზრებისათვის ბრძოლაში, რომელიც მალულად თუ აშკარად—თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკას განსაზღვრავს, წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო დამღუპველი გახდება დანიისათვის, გამარჯვება კი—რაც უფრო გადაინაცვლებს აღმოსავლეთისაკენ სიმძიმის ევროპული ცენტრი რუსეთის პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობის ზრდის მეოხებით—უფრო და უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს.

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ შექმნილ ვითარებაში ლანგლი შესძლებდა განსაკუთრებული მდგომარეობის დაკავებას, — როგორც ტვირთგადასასროლი და განმტვირთავი პუნქტი. მაგრამ პერი ცდილობდა შეექმნა კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობები ამ პატარა, დიუნებით დაფარული კუნძულის აყვავებისათვის. პერის იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ მოეწყო ღია პორტი და გემები გაენთავისუფლებინა საბაჟო ბეგარისაგან; თავის წიგნში ის აღწერდა აყვავების ფანტასტურ სურათს, გამოწვეულს ამ ღონისძიებით: როგორი ნავსაშენები, ნავსაკეთებლები და საწყობები აიმართებიან კუნძულის ოქროს ქვიშაზე, რა სწრაფად აიგება დიდი ქალაქი— ჩრდილოეთის ვენეცია—მდინარის დელტაში. ქარის ენერგია, რომელიც ფუჭად იკარგება, მოძრაობაში მოიყვანს მის სრულყოფილ ქარის მოტორებს, ხოლო ჩრდილოეთის ზღვის მოქცევის ენერგია გამტარებით სკალინჰენის გავლით იმ მოწყობილობის დახმარებით წავა, რომელიც პერის სრულიად დამოუკიდებელ გამოგონებას წარმოადგენს.

სწორედ რომ ვთქვათ, გაბედული პროექტის ამ საინჟინრო ნაწი-

ლით ცდილობდა ივენი თავის მხარეზე მიეზიდა კოპენჰაგენის საქმიანი სამყარო. მას არ შეეძლო არ დაენახა, რომ თვით არხის გაყვანა მთელი ერის საქმე იყო და მისი განხორციელება შეეძლო მხოლოდ მთელ სახელმწიფოს, რაც შეეხება კუნძულის ტერიტორიის მექანიზაციას და ათვისებას, ისევე, როგორც მდინარის შესართავთან არსებული ნაკვეთებისა, ამის განხორციელება კერძო ინიციატივის დახმარებითაც შეიძლებოდა. მით უფრო, რომ სამუშაოთა გაქანება შეიძლება შეიზღუდოს იმ მხარდაჭერის ზომასთან შეფარდებით, რომლის მიღწევასაც ისინი შესძლებენ. რაც მთავარია, უნდა დავჯერდეთ იმას, რაც უფრო მეტად ხელსაყრელია არსებულ ეტაპზე. პერი ფიქრობდა, რომ აქ გემთსაშენის, სამთრაშაოს და ზეთისთვის კასრების დამამზადებელი გიგანტური ფაბრიკა უნდა აეგოთ, რადგან ამჟამად ამ სამუშაოს ასრულებენ მთელ ქვეყანაში გაბნეული პატარა ფაბრიკები და ნედლეულს მათ სახმელეთო ტრანსპორტით აწოდებენ. მშენებლობის ხარჯთა თანხა პერმა ხუთი მილიონით განსაზღვრა.

სანამ ივენი მამის წინაშე ამ პერსპექტივებს ავითარებდა, მამა უფრო და უფრო ყურადღებით უსმენდა და სახეზე, შეიძლება ითქვას, დარეტიანებულის გამომეტყველება ჰქონდა. შვილს ძალიან გაუგრძელდა სიტყვა, ამიტომ მამამ ცოტა ხნის შემდეგ შეაწყვეტინა ლაპარაკი.

— გმადლობ, ჩემო მეგობარო. სხვა დროს უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკოთ. ნება მიბოძე, მხოლოდ ერთი შეკითხვა მოგცე. როგორ არის, გულახდილად რომ ვთქვათ, იმ გამოგონებათა საქმე, რომელნიც, როგორც სიდენიუსი ამბობს, მას ეკუთვნის. უკვე მიღებულია მათზე პატენტი?

— ჩვენ შევიტანეთ განცხადება აქაც და საზღვარგარეთაც. დღეიღეზე ველი პასუხს პატენტების გამცემი კომისიიდან.

— იცი რა, ივენ, მე მგონია, თქვენ ჯერ ეს საკითხი უნდა მოგვარებინით და მხოლოდ ამის შემდეგ გამოგეტანათ ის პროექტი საჯაროდ. სანამ ხელზე არ გექნებათ პატენტი, თქვენს წამოწყებას არავითარი ნიადაგი არ გააჩნია. ყველაფერი, რაზეც შენ ლაპარაკობდი, ძალიან მიმზიდველად ჟღერს, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ფუჭი ოცნებაა და მეტი არაფერი. პატენტიანი გამოგონება კი, იმის მიუხედავად, რამე მნიშვნელობა გააჩნია თუ არა, რეალურია.

ივენმა ხელები კისერზე შემოიწყო, სკამის ზურგზე გადაწვა და უიმედო მზერა მიაპყრო ჭერს.

— მაშასადამე, შენ საერთოდ ვერაფერი გაგიგია, — უთხრა მამას. მერე ხელახლა დაიხარა მაგიდისკენ, ხელები პერის ნახაზებზე დააწყო, თითქოს ამ ჟესტით მამისაგან იცავდა მათ და თითქმის აყვირდა:

— ფაბრიკები ხომ სწორედ იმიტომ არის გათვალისწინებული, რომ ჩვენი გამოგონების მნიშვნელობა უჩვენოს. ფაბრიკების არსებობა კი თავის მხრივ მოითხოვს მდინარის შესართავთან ნავსაკეთებლების, ხიდების და მუშათა ბინების აგებას. ყოველივე ეს განუყრელად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. სწორედ ეს წარმოადგენს გეგმის ყველაზე უფრო ძლიერ მხარეს.

— არა, ჩემო მეგობარო, ჩინებულად გაგიგე. მაგრამ სახლის მშენებლობისას საჭიროა გვახსოვდეს ერთი კარგი წესი: აშენება უნდა დაიწყო საძირკველიდან და არა სახურავიდან. არავინ არ დაგიჯერებთ, რომ ასეთი უზარმაზარი მშენებლობა მხოლოდ რომელიღაც მექანიზმის გამოსაცდელადაა წამოწყებული... ახლა მთავარია — როგორმე დაიწყოთ საქმე. დაიწყეთ, მერე თავისთავად გაიზრდება.

— აი მუდამ ასეა! რა ნაცნობია ეს ჩემთვის! თუ სადმე როდისმე ჭეშმარიტად დიადი იდეა დაბადებულა, პირველად, ვიდრე აღიარებას მოიპოვებდა, აუცილებლად შეცდილან მის ჩახშობას. აღარც კი ღირს გეგმაზე ვილაპარაკოთ. შენ უბრალოდ არა გჯერა სიდენიუსისა. ამით ნათქვამია ყველაფერი.

— რა შუაშია მერე, მჯერა თუ არა? ძვირფასო ივენ, აბა მე რა გამეგება არხების და ნავსადგურების აგებისა? და რა გაგეგება შენ ქარის წისქვილებისა? გიმეორებ: საქმეს იმ მხრიდან არ შედგომიხართ, საიდანაც საჭირო იყო. პირველი თქვენი შეცდომა ის არის, რომ უთავბოლოდ მოიქეცით, ერთ გროვაში აურიეთ დაუკავშირებელი ამბები. მეორე—წინასწარ არ შეიძინეთ პატენტები. ნეტა ის მაინც შეეძლოს შენს მეგობარს, რომ დაიმოწმოს იმ ცნობილ მეცნიერთა აზრები, ვინც პროექტს გაეცნო: ეს რაღაც გარანტია მაინც იქნებოდა მისი აღსრულებისა. მაგრამ მოლოდინი იმისა, რომ ადამიანები ასე ხელაღებით ჩაებღაუქებიან ყველასათვის უცნობ ახალგაზრდის პროექტს... მეტისმეტი გულუბრყვილობაა, ჩემო შვილო.

— მართალი რომ ითქვას, არანაკლები გულუბრყვილობა იქნებო-

და იმ ადამიანების მხარდაჭერის იმედი, რომელთა მიმართაც პროექტი ნამდვილი გამოწვევაა. სიდენიუსი ხომ ჩვენი მშობლიური ბიუროკრატიზმისა და ჯანჯლობის წინააღმდეგ ილაშქრებს, მთელი მისი წიგნი—ეს საბრალმდებლო აქტია. დაბოლოს—შემიძლია გამოგიტყდე—უკვე დიდი ხანია მიმართა ჩვენს ეგრეთ წოდებულ „ავტორიტეტებს", როგორც ცალკეულ პირებს, ისე ოფიციალურ დაწესებულებებს, მაგრამ ყველგან დაცინვას, ან, უკეთეს შემთხვევაში, გულგრილობას შეხვდა. პოლკოვნიკი ბერეგრავი—შენ იცნობ, დიურინგის ბიძაა — შეჰპირდა ერთხელ პროექტის გამოქვეყნებას ინჟინერთა სასაზოგადოების ჟურნალში, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, შეეშინდა. ისინი ყველანი ერთნაირები არიან. სიდენიუსმა მათი სიბეცე ამჩნია, ამიტომაც შეკავშირდნენ, რომ გაანადგურონ ის. ნამდვილად ვიცი, ბრაზისაგან ლამის გაგიჟდნენ.

— ჰო, ჰო! მაშასადამე, თქვენ, უპირველეს ყოვლისა, გინდათ ამა თუ იმ გზით გადალახოთ წინააღმდეგობა... სხვა არაფერი დაგრჩენიათ. იქნებ შენმა მეგობარმა კიდევ ერთხელ სცადოს ბედი ბერეგრავთან, რაც უნდა იყოს, ძალიან გავლენიანი კაცია.

— არ გამოვა. იმ საუბრის დროს, რომლის შესახებაც გიამბე, ისინი შეტაკებამდე მივიდნენ და სიდენიუსმა შეურაცხყო პოლკოვნიკი.

— რა ვუყოთ, დაე მაშინ ბოდიში მოიხადოს. არა მგონია, ბერეგრავი შურისმაძიებელი იყოს.

— ბოდიში მოიხადოს? სიდენიუსმა? კარგად ჩანს, რა ცუდად გცნობია. ერთი რუსეთის მეფე მოიხდის ბოდიშს და მეორე ეგ.

— აბა სხვა რაიმე სცადეთ. შემიძლია წინასწარ გითხრა, რომ თუ ასეთი ხალხი მხარს არ დაგიჭერთ, ფონს ვერ გახვალთ.

— გამიგონე მამა, რას გინდა მიაღწიო, კაცმა რომ თქვას? მთელი ჩვენი საუბარი უაზრობაა, თუ შენ მხარს არ დაგვიჭერ. ხომ აგიხსენი, რომ საერთო გულგრილობა გამოწვეულია პირველ რიგში საქმისადმი შენი დამოკიდებულებით.

— ამიტომაც მინდოდა შენთან მოლაპარაკება. პირდაპირ გეტყვი, ჩემი დამოკიდებულება თქვენი წამოწყების მიმართ არ შეცვლილა და ძნელად თუ შეიცვლება მომავალშიც. ასე რომ არ ეთაყვანებოდე შენს მეგობარს, თავად დაინახავდი, რომ უფლება არა მაქვს ჩვენი ფირმა მსგავს ავანტურებში ჩავაბა... ყოველ შემთხვევაში, ამჟამად

ისე გაქვთ საქმე, რომ არ შემიძლია ამის გაკეთება, მაგრამ მე მინდა სხვა რამ შემოგთავაზო: მოგანდობ გარკვეულ თანხას, ეს თანხა შენს განკარგულებაში იქნება... შეგიძლია იმოქმედო საკუთარი რისკით და საკუთარი სახელით. ბევრჯერ გაგიცხადებია, დამოუკიდებელი საქმიანობისაკენ მივისწრაფიო, ზოგიერთი მოსაზრებით მიმაჩნია, რომ ახლა შესაფერი შემთხვევა გვაქვს...

ივენმა თვალები მოჭუტა და დაუფარავი ეჭვით შეხედა მამას. სხვა მხრივ ყველაფერში მამა-შვილი ერთმანეთის მიმართ სრულ ნდობას გრძნობდა, მაგრამ საქმეებში არავის ენდობოდნენ.

— სესხად ხომ არ მთავაზობ? თუ ფირმის ხარჯები მე უნდა დავფარო?

— ისე მოეწყე, როგორც შენთვის უფრო მოსახერხებელი იქნება. სრულ თავისუფლებას განიჭებ. რაც შემეხება მე, მოვიცდი, ვიდრე ამ საქმეს მსვლელობას მისცემ. კმარა ლაპარაკი, დროა ვიმოქმედოთ.

— მაგრამ შენ, ვიმედოვნებ, გაგეგება, რომ პატარა თანხა ამ საქმეში არ იკმარებს! მხოლოდ დასაწყისისათვის რამდენიმე ასეული ათასი დაგვჭირდება.

— ნაკლებიც გეყოფათ. დღეისათვის კმარა. იფიქრე ჩემს წინადადებაზე, ხვალ კი კონკრეტულად განვიხილოთ.

* * *

ათი დღის შემდეგ — აპრილის დასაწყისში — იაკობა დაბრუნდა. ერთი კვირა მეგობარ ქალთან გაატარა ბრესლავლში, უეცრად გულმა შინისაკენ გასწია. იაკობა რომ ჩამოვიდა, საშინელი ქარბუქი იყო, ხოლო მეორე დღეს დილიდანვე თავის ოთახში ჩაიკეტა და შეუდგა პერისადმი წერილის წერას.

„ამგვარად, ისევ შინ ვარ და, როგორც იქნა შემიძლია ნორმალური წერილი მოგწერო. ალბათ, უკვე მიიღე ჩემი ორი ეპისტოლე ბრესლავიდან. ვამჯობინებდი, შენამდე არ მოეღწია, რადგან აბდაუბდაა ფორმითაც და შინაარსითაც. (ვწერდი მალულად, ღამით, როცა ვინმესთან სტუმრობის შემდეგ, ან თეატრიდან საშინლად დაღლილი ვბრუნდებოდი). ამ წერილებში მე სულ რაღაცაზე ვჩივი, თუმცა სინამდვილეში მინდოდა უსასრულოდ მეხადა შენთვის დიდი მადლობა, ჩემო საყვარელო, ყველაფრისათვის, რაც ჩვენ ერთად განვიცადეთ. ერთი კვირა, ბრესლავლში რომ გავატარე, ბუნდოვანი სიზმარი მგო-

ნია; ხანდახან თავს ვეკითხები: ნამდვილად კი ვიყავი ბრესლავლში? და სინდისის ქენჯნას განვიცდი ჩემი მეგობრის და მისი მეუღლის წინაშე, რომლებიც, რაც შეეძლოთ, ცდილობდნენ ჩემს გართობას. — პატიჟებდნენ სტუმრებს, დავყავდი თეატრებში და კონცერტებზე, დოღზეც კი წამიყვანეს, თუმცა ვერ ვიტან დოღს. მაგრამ ფიქრით ბუდამ შენთან ვიყავი, დაგდევდი დრეზაკშიაც, აუსერჰოფშიაც და ხელახლა ცხადად განვიცდიდი ყოველივეს მშვენიერ სიზმრებში.

გუშინ საღამოს, როგორც იქნა, შინ დავბრუნდი და მაშინვე მოშახარეს ახალი ამბავი, რომელმაც ძალიან გამანაწყენა, თუმცა დიდი ხანია მომზადებული ვიყავი ამისთვის. ის მოხდა, რომ გუშინწინ შედგა ნანისა და დიურინგის ნიშნობა. მე ამით ძალიან უკმაყოფილო ვარ. დიურინგი ჩემთვის, როგორც ჟურნალისტიც და როგორც ადამიანიც. ბეტისმეტად ანტიპათიური იყო მუდამ, მაგრამ თავად ნანი, მგონი, კმაყოფილია. დიურინგიც ახლა მთელი გატაცებითაა შეყვარებული, რამდენადაც კი შეუძლია სიყვარული. როდესაც ჩამოვედი, ჩვენებთან იჯდა. შენ წარმოიდგინე ჩემი გაკვირვება იმის ღანაღვაზე, რომ ისევე მოკალათებულიყვნენ კაბინეტში, როგორც ოდესღაც მე და შენ, ჩურჩულებდნენ და იცინოდნენ, მაგრამ არა ღირს ნაღვლიან ფიქრებს გავყვეთ. ჩვენი დროც მოვა. მე ერთი რამ მანუგეშებს, რაც არ უნდა იყოს, ათი დღე-ღამე გავიდა მას შემდეგ რაც დავშორდით, მთელი ათი დღე-ღამე, ღმერთმა უწყის, დღეებისა და ღამეების რა რაოდენობიდან, რომლებიც კიდევ შეცვლიან ერთმანეთს, ვიდრე შევძლებ, რომ კვლავ მოგეხვიო.

სადა ხარ ახლა შენ? ვენაში? თუ ბუდაპეშტში? თვალწინ მიდგახარ— ვაი რომ, ძალიან ნათლად გხედავ: ყავისფერი სამგზავრო ქურთუკი გაცვია, ისევ ისეთი შესანიშნავი ღაჟღაჟა ლოყები გაქვს და ოცნებით ისევ და ისევ გიკოცნი. სიზმარში ისევ ვნახე ლაუგენდალის მახლობლად მდებარე დიდი ტყე. არასოდეს არ დამავიწყდება იმ მშვენიერი გრძელი დღის არც ერთი წუთი, იქ რომ გავატარეთ. გახსოვს ჩიტი, ჩვენს თავს ზევით რომ გალობდა? დასვენება წყაროსთან, სადაც (თავად თქვი ასე) ჩემი ხელებიდან შესვი ყოფილი ცოდვების მონანიება?.. მაგრამ ნუღარ ვახსენებთ ამას.

საერთოდ, მოხარული ვარ, რომ ისევ დავბრუნდი შინ და ჩემს ოთახში შენი პორტრეტებით და სხვა ნივთებით გარშემორტყმული ვზივარ! ეს ნივთები შენს თავს მაგონებს და ძალიან მაკლდა თვალში

ბრესლავლში. დღეის შემდეგ ისინი ჩვენს წიგნებთან ერთად ჩემთვის ნუგეში და თავშესაფარი იქნება მარტოობის დროს. აბა თუ გამოიცნობ, რომელ წიგნს მოვკიდე ხელი უპირველეს ყოვლისა? პაულსენის „ჰიდროსტატიკის მოკლე კურსს!“ ალბათ, გახსოვს, რომ ჯერ კიდევ ზამთარში შენი რჩევით წავიკითხე პაულსენის „დინამიკა“ და აღფრთოვანებაში მოვედი, ისეთი ნათელი წიგნია. მართლაც, ნამდვილი პოეტია, ის, არსებითად, ჩვენი დროის ერთადერთი ლირიკოსია. ზოგიერთმა გვერდებმა, რომლებიც აჩქარებას ეძღვნება, არანაკლებ ამაღელვეს, ვიდრე ოდესღაც გოეთეს ფილოსოფიურმა ლექსებმა.

ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ აქ რაღაც მოვლენები მზადდება, და ეს შენ შეგეხება. გუშინვე მოასწრო ივენმა რამდენიმე გაუგებარი სიტყვის ჩაჩურჩულება „სააქციო საზოგადოების შექმნის“ შესახებ, დღეს კი, დილით ჩაის დასალევად ჩავედი და გვერდით რომ ჩამიარა, ფრიად იდუმალი გამომეტყველება ჰქონდა. იღლიაში დიდებული ახალი პორტფელი ამოეჩარა. როგორც კი შევძლებ კიდევ რაიმეს გაგებას, დაუყოვნებლივ გაცნობებ.

ახალი ამბავი მეტი ჯერ არაფერია. მამა და დედა ძალიან ტკბილად მექცევიან, როგორც ყოველთვის, თუმცა ეტყობათ, რომ ჩემი და შენი შეხვედრით აღფრთოვანებულნი არ არიან. მაგრამ ეს უკვე მათი საქმეა. დღეს ძალიან ალერსიანი მზეა და ჩიტები გალობენ; ჯერ კიდევ გუშინ ზამთარი იდგა, ჩამოვედი საშინელ ქარბუქში, ასეთი ქარბუქი გაზაფხულობით მხოლოდ ჩვენთან იცის ხოლმე ჩრდილოეთში. წამით კიდევაც შემეშინდა, რომ ჩვენი მატარებელი ნამქერში ჩარჩებოდა და ღამის გათევა სოფლის სამიკიტნოში მომიწევდა, მაგრამ უკვე უშენოდ.

არ დაგღლი მგზავრობის დაწვრილებით აღწერით. ერთ სამგზავრო შემთხვევას გიამბობ მხოლოდ. ცხადია, მესმის, რამდენად უმნიშვნელოა თაყისთავად, მაგრამ რაკი წინასწარ ვაღიარებ ამას, ხომ აღარ დამცინებ, ყბედიაო. ოდესღაც გიამბე ბერლინის სადგურზე მომხდარი სცენის შესახებ, რომლის მოწმეც შემთხვევით აღმოვჩნდი რამდენიმე წლის წინათ. ამ შემთხვევაში თავზარი დამცა და მისი კვალი ჯერაც არ გამქრალა ჩემს მეხსიერებაში, იმ საშინელ დახვედრაზე გეუბნები, შრომისმოყვარე და ღირსეულ რუს ებრაელებს რომ მოუწყვეს. მათ ხომ მხოლოდ თავიანთი წარმოშობის გულისთვის წაართვეს სამ-

შობლო და სახლ-კარი, მანამ კი გაძარცვეს, გააბახეს და მგონი, დაახეიბრეს კიდევაც. საქონელივით ერეკებოდნენ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ, ხოლო ბრბო დასცინოდა. ასე გაიარეს ცივილიზებული ევროპა, რათა თავშესაფარი ამერიკის ნახევრად ველური პრერიებში ეპოვნათ. ალბათ, გახსოვს, ეს რომ გიამბე.

და აი, ამ მგზავრობის დროსაც. და ისევ ბერლინის სადგურზე, ხელახლა შემახსენეს, რომ ვეკუთვნი მუდმივი დევნისათვის განწირულ იმავე ტომს. კუპეში ერთ ქალთან ერთად ვიჯექი, მატარებელი ის-ის იყო უნდა დაძრულიყო, რომ უეცრად გაიღო კარი და შემოვიდა ვიღაც ხანში შესული ბატონი, ახალგაზრდა ოფიცერი ახლდა. როგორც კი დაინახა ჩემი ბედუკუღმართი სახე, მაშინვე გავარდა კუპედან, უკან კი მლიქვნელური სიცილით ოფიცერი მიჰყვა. გამყოლს, რომელსაც უნდოდა მათი გასვლის შემდეგ კარი დაეკეტა, ხმამაღლა, ისე რომ მეც გამეგონა, აუხსნა: „აქაურობა ნივრის სუნით ყარსო“.

აი, სულ ეს იყო. ცხადია, მკითხავ, რატომ მინდოდა, აუცილებლად შენთვის მომეთხრო ეს. გაიგე, რომ აქ .იმდენად ფაქტი არ არის საინტერესო, რამდენადაც ჩემი დამოკიდებულება მისდამი. ეს ამბავი დღემდე ჩემში თავისებურ მოკრძალებულ გაკვირვებას იწვევს. საქმე ის არის, რომ რაიმე სერიოზული შთაბეჭდილება ამას ჩემზე არ მოუხდენია, მხოლოდ ცოტათი ნერვები მომეშალა. როცა იმავე კუპეში მყოფმა მგზავრმა ქალმა იმ კაცების წასვლის შემდეგ ჩემთან საუბრის გაბმა სცადა, აშკარად იმიტომ, რომ დამვიწყებოდა, რა შეურაცხყოფაც მომაყენეს, კი არ შევაწყვეტინე, როგორც აუცილებლად ვიზამდი შარშან ან შარშანწინ, არამედ თავაზიანად გავუბი მასლაათი, ვითომც აქ არაფერი მომხდარიყოს.

ხომ მიხვდი? ბავშვობიდან შეურიგებელს მეძახდნენ, ახლა კი გაბრაზება ვერ შევძელი. ასე იმოქმედა ჩემზე ბედნიერებამ. ბრმა და უგუნური კაცობრიობა ჩემში სხვა გრძნობებს უკვე ვეღარ იწვევს, გარდა დაუსრულებელი სიბრალულისა, ყოვლის მოტევების გრძნობისა.

ღმერთო, მე უკვე მესამე ფურცელი დავიწყე, მაგრამ მგონია, ჯერაც არ მითქვამს მთავარი იქიდან, რითიც გული მაქვს სავსე. სულ ერთია, დღეისათვის კმარა. უბრალოდ, უფლება არ მაქვს მეტი დრო წაგართვა, ის შენ ძალიან გჭირდება. მაგრამ მიძნელდება შენთან განშორება. ვიცი, როგორ დავცარიელდები, როცა წერილს დავაწებებ.

კიდევ ერთი უკანასკნელი კოცნა და კიდევ ერთი, სულ უკანასკნელი ნახვამდის“.

* * *

მამასთან საუბრის შემდეგ რამდენიმე კვირა გავიდა. ივენმა, როგორც იქნა, შესძლო და რამდენიმე ფინანსისტი ცნობილ ადვოკატ მაქს ბერნარდს შეახვედრა. პერის მხარეზე ბერნარდის გადაბირებას ივენი ადრეც ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ. ადვოკატი დაეთანხმა მოეგროვებინა რამდენიმე თავის საქმიან ნაცნობთაგანი, რათა ივენისთვის საშუალება მიეცა, გაეცნო მათთვის პერის პროექტი, ხოლო შემდეგ მისი განხორციელების საშუალებები მოენახათ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ორმოცი წლისა არ იყო და წარმოშობითაც ებრაელი გახლდათ, მაქს ბერნარდი მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდა დედაქალაქში. გარდა სხვა დამსახურებისა, მას მიაწერდნენ შემდეგ დამსახურებებსაც: მან ინიციატორის და მოთაეის როლი ითამაშა გამბედავ და შეუპოვარ მეწარმეთა გაერთიანებაში, რომელთაც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში პირისაგან მიწისა აღგავეს ძველი კოპენჰაგენი, ხელახლა ააშენეს და ამით პროვინციული ქალაქიდან ევროპის მასშტაბის დიდ ქალაქად აქციეს. ამ ასპარეზზე ბერნარდმა ბევრი მტრის შეძენა მოასწრო, მაგრამ მტრებიც კი აღიარებდნენ, რომ ბრწყინვალე საქმოსანი იყო, რომ შესანიშნავი მახვილი გონება ჰქონდა, და ბადალი არ ჰყავდა არც ლოგიკური აზროვნების უნარში, არც იურისპრუდენციის და კომერციის დარგების ცოდნაში. სამაგიეროდ, მისი მეგობრები ასევე უდაოდ დაგეთანხმებოდნენ, რომ მაქსს სიცარიელე ჰქონდა იქ, სადაც სინდისი უნდა იყოს და რომ თავისი პირადი სარგებლობისათვის შეეძლო სულაც არ ენაღვლა, ისე შელეოდა რომელიც გინდათ ამაღლებულ გულისწადილს.

მუდამ, როცა კი დანიის მოქალაქენი აღელვებულნი იყვნენ რომელიმე მორიგი მსხვილი გაკოტრებით, სააქციო საზოგადოების კრახით, ან ხელმოცარული საქმოსნის თვითმკვლელობით და ახალი დროის არსის წინააღმდეგ პროტესტის ხმას იმაღლებდნენ, საყოველთაო აღშფოთება ჩვეულებრივად მაქს ბერნარდზე ინთხეოდა. ბრბოსათვის ის ზნეობის ზოგადევროპული დაცემის განსახიერება იყო, რადგან ყველა დარწმუნებული გახლდათ, ბოლო დროს ძირითადი მიზეზი ამ დაცემისა ებრაული თავმოთნეობა გახდაო.

მაგრამ ბერნარდი ისეთი კაცი არ იყო, თავი შეეწუხებინა ფიქრით, რას იტყვიან ჩემზეო. პირიქით, თავისებურ კმაყოფილებასაც კი გრძნობდა, როცა შეშინებული ცნობისმოყვარეობით უცქეროდა ხალხი, განსაკუთრებით ქალები, ჩვეულებრივ საათებში თავის კანტორაში მიმავალს ან იქიდან დაბრუნებულს. ყველა დანახვისთანავე სცნობდა ამ პატარა კაცის თავისებურ აღნაგობას, იუმორისტული ჟურნალების ფურცლების მუდმივი სტუმარი რომ იყო. ყოველთვის ძალიან დახვეწილად ეცვა, დადიოდა ოდნავ წინ წახრილი, ხელები შემცივნებულივით სერთუკის ჯიბეებში ეწყო და დახრილ ქუთუთოებს ქვემოდან გამვლელთ ჩამქრალი, ცივი მზერით ათვალიერებდა.

სინამდვილეში მთლად ისეთი არ იყო, როგორიც უნდოდა ყოფილიყო. მათ, ვინც ბავშვობიდან იცნობდა, ახსოვდათ წყნარი, გულჩათხრობილი, მუდამ წიგნებში ჩამჯდარი ოდნავ სევდიანი ბიჭი, მხიარულ მეგობრებს თავს რომ არიდებდა, ეშინოდა ან შეურაცხოფა არ მიეყენებინათ მისთვის, ან რაიმე ოინი არ მოეწყოთ, რაკი ებრაელი იყო და ტანადაც ერთიციცქნა. მამამისს კოპენჰაგენის ერთ-ერთ შესახვევში საწვრილმანო ჰქონდა გახსნილი და შვილით უკმაყოფილო იყო, რადგან მისი ვაჟი ვაჭრობას წიგნის კითხვას არჩევდა. თექვსმეტი წლის ასაკში ჩინებულად ჩააბარა მისაღები გამოცდები და იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა. იმ ხანებში ჩინოვნიკობას აპირებდა, მოსამართლედ გახდომა სურდა. ბავშვობაში განცდილმა დევნამ სამართლიანობისადმი მისწრაფება გაუღვიძა. უმაღლესი მოსამართლის ხავერდის წითელი წამოსასხამი ძალიან ადრე გახდა ბიჭის პატივმოყვარულ ოცნებათა საზღვარი.

მაგრამ შემდეგში აგრძნობინეს, როგორც არაქრისტიანს, მოსამართლის კარიერის იმედი არ უნდა ჰქონოდა. ესე იგი, ამაზე პირდაპირი მითითება არ არსებობს, მაგრამ პრაქტიკულად მისი ოცნება განუხორციელებელია. და თუმცა კონსტიტუციაში ნათქვამია, ყველა მოქალაქე ერთნაირი უფლებით სარგებლობსო, დღემდე არ მომხდარა, ებრაელი დანიაში მოსამართლე გამხდარიყოს.

რაც სამართლის კანდიდატი გახდა, ბევრჯერ შეუნიშნავს, რომ მისი ხან ერთი და ხან მეორე უნიჭო, მაგრამ ქერათმიანი თანატოლი ადვილად ადგება დიდების, აღიარების და პატივის გზას, ხოლო მისთვის საძულველი კომერციის გარდა სხვა გამოსავალი არ რჩება. პი-

რადი ღირსების წმინდა სემიტურმა გრძნობამ, ქედმაღლობით ნაკარნახევმა იმისმა შიშმა, სიბრალულის საგნად არ გამხდარიყო, თანდათანობით გამოუშუშავა გარეგნული თავდაჭერა. ხალხში ყოფნისას ჯერ კიდევ იმ დროს გულგრილ, დამცინავ ევროპელის ნიღაბს იფარებდა, მაგრამ გული პირველ მეჯლისზე მიმავალ ქალიშვილივით მღელვარებით უცემდა.

ამიტომაც, არავის გაჰკვირვებია, როცა ადვოკატის წოდების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ ჩაება მთელ რიგ მეტისმეტად რისკიან ავანტურაში. სააღმშენებლო კანტორების დაარსება და სააქციო საზოგადოებების ორგანიზაცია მის სპეციალობად იქცა და მაშინვე საშინლად შეაძულა თავი კოლეგებს, რადგან ისეთ საშუალებებს იყენებდა, რომლებიც იურიდიულ სამყაროში მანამდე ნებადაურთველად ითვლებოდა. ასე, მაგალითად, უცხოეთის მიბაძვით მან მჭიდრო კონტაქტი დაამყარა პრესასთან. რეპორტიორების მოსყიდვის და რედაქტორებისა და გამომცემელთა თავის მხარეზე გადაბირების გზით, რომელთაც მრავალრიცხოვან სააქციო საზოგადოებაში რევიზორების ან მმართველების კარგ შემოსავლიან თანამდებობებს აძლევდა, მან თანდათანობით გარს შემოიკრიბა დაინტერესებულ თანამონაწილეთა საიდუმლო შტაბი, რომელთა დახმარებითაც საზოგადოებრივ აზრს ქმნიდა ხოლმე და უმოწყალოდ სდევნიდა თავის მოწინააღმდეგეებს.

ათ წელსაც არ ვაუვლია, რომ მაქსი ქალაქის ერთ-ერთი უმსხვილესი გადასახადის გადამხდელი და დანიის დედაქალაქის ერთ-ერთი ხელისუფალი გახდა. როცა იმდენი იხმაურა, რამდენიც მის ნებადაერთველ მეთოდებს სჭირდებოდა, საქმიანი სამყარო იძულებული გახდა ქედი მოეხარა მისი ტალანტის წინაშე, და რაც მთავარია, მისი წამოწყებების არაჩვეულებრივი წარმატების წინაშე. თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე უძველეს, ყველაზე მეტად არისტოკრატულ სავაჭრო სახლს და ერთადერთ ბანკს, რომლებსაც ჯიუტად არ სურდათ მასთან საქმე ჰქონოდათ, სხვა ვერავინ ბედავდა წინ აღდგომოდა მის დღითი დღე მზარდ ძლიერებას.

მაგრამ არ გეგონოთ, რომ ბერნარდი ამით დამშვიდდა და მისი პატივმოყვარეობა დაკმაყოფილებელი იყო. თუ წინათ მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, უბრალოდ ეცხოვრა, უზენაესი სასამართლოს კოლეგიის წევრის შესაფერისად, ახლა შეუდარებლად უფრო გრანდიოზული მიზნები გაუჩნდა უსამართლობამ მხოლოდ გამოაწრთო პატარა

დაჩაგრული ბიჭი, მიანიჭა მას ბელადის ნებისყოფა, გამგებლობის დაუკმაყოფილებელი წყურვილი აღუძრა.

ბერნარდს ჩინებულად ესმოდა, რომ თავისი ეროვნების წყალობით ვერასოდეს ვერ დაიკავებდა ისეთ მაღალ პოსტს, რომელიც ახლა ბრძოლის ერთადერთ შესაფერის იარაღად მიაჩნდა. სამაგიეროდ თანამიმდევართა დიდ შტაბში, რომლებიც მან დროთა განმავლობაში თავის ირგვლივ შემოიმჭიდროვა, და თავისი ნების მორჩილ აღმსრულებლად აქცია, ბევრმა უკვე მიაღწია ფრიად მნიშვნელოვან პოსტს, ხოლო ბერნარდის გეგმა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ თუნდაც მათი შემწეობით როგორმე თავის ხელში მოექცია მთელი ძალაუფლება.

ამიტომაც, რაღა გასაკვირია, რომ ივენი, რაც შეეძლო ცდილობდა ბერნარდი პერის მხარეზე გადაებირებინა და ახლა, როცა ეს მოახერხა, საბოლოო გამარჯვება აღარ ეეჭვებოდა.

მაქს ბერნარდის მოწვევით გეგმის განსახილველად შეიკრიბა შვიდი ბატონი. აქ იყო ვინმე ბანკირი გერლოვი — მაქსის პირადი მეგობარი და ერთგული თანამებრძოლი, მსხვილი, ჩასხმული კაცი. ერთი შეხედვით უსიცოცხლო და ზანტი გეგონებოდათ, თუმცა ფხიანობით თავის კომპანიონს ცოტათი თუ ჩამორჩებოდა და მასზე ბევრად მოხერხებული და ეშმაკი იყო. ბირჟის ხალხი გერლოვს მაქს ბერნარდის ჭკუას ეძახდა. სწორედ ის წამოაყენებდა ხოლმე ახალ იდეებს და გონივრული სიფრთხილით ამუშავებდა ყველა საერთო წამოწყების გეგმას, მაქსი კი იმ შეუდრეკელ და ვაჟკაცურ ძალას განასახიერებდა, რომელიც გეგმების განსახორციელებლად იყო საჭირო.

არავითარი საერთო ინტერესი არ გააჩნდათ, ამიტომაც შეეგუენ ასე კარგად ერთმანეთს. ბანკირი სულაც არ იყო პატივმოყვარე კაცი. თუ მაქს ბერნარდი მხოლოდ ძალაუფლებისაკენ მიისწრაფოდა, ბანკირს მოგების გარდა სხვა მიზანი არ გააჩნდა და დაგროვების გარდა სხვა სურვილი არ აღეძვროდა. წარმოდგენილიც კი არ ჰქონდა, სად უნდა წაეღო ამდენი ფული. ცოლი არა ჰყავდა, მხოლოდ ერთი რამით იყო გატაცებული და ეს გატაცება ფრიად იაფი უჯდებოდა: მთელი დღის შრომით მოქანცული მდიდრული რესტორნის ცალკე კაბინეტში შეძვრებოდა და მარტოდმარტო, გაზეთებში ჩაფლული, სადილად შვიდ-რვა თავ კერძს გააჩანაგებდა, მერე კი, ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, ჩვეულებრივ წყალს დააყოლებდა.

ახლა ბანკირი მაქს ბერნარდის დიდ, მშვენივრად მოწყობილ კაბინეტში იდგა. ხარივით დაეღუნა თავი და ხელები სერთუკის კალთებქვეშ ამოიდო. სათვალის შუშებიდან ისეთი ჩლუნგი თვალებით იყურებოდა, გეგონებოდათ ზეზეურად სძინავსო. ერთ-ერთ მოწვეულს ელაპარაკებოდა. ამ ჭყეტელატანსაცმლიან ქერა ახალგაზრდა კაცს კარგად იცნობდა კოპენჰაგენის ყველა თეატრის მოყვარული და ესტერჰადეს მცხოვრები; აქ ის „მოოქრული რქების“ სახელით გამოდიოდა. საერთოდ კი სივერტსენი ერქვა და თავის დროზე ცნობილ კოლონიურ საქონლის მოვაჭრის ერთადერთი ვაჟი გახლდათ. მამის სიკვდილის შემდეგ, ოცდაშვიდი წლის ასაკში, საკმაოდ შეძლებული კაცი შეიქნა. მეტისმეტად გატაცებული თეატრალი იყო. პირზე მხოლოდ როლების განაწილება, კულისებსიქითა საინტრიგო ამბები და თეატრალური კრიტიკა ეკერა. დიურინგს მეგობრობდა და, როგორც თვითონ ამბობდა, „აღტაცებული იყო მისით, როგორც ჯენტლმენით და როგორც ჟურნალისტით“. თავის დროზე დიურინგმა გააცნო მაქს ბერნარდი. დიდი დრო არ დასჭირებია, იმას, რომ სივერტსენი ბერნარდის ერთგული ყმა გამხდარიყო. ბერნარდი თავის სურვილებისამებრ განაგებდა სივერტსენის მილიონებს, მაგრამ ეს ახალგაზრდა უქნარა კაცისათვის სულაც არ იყო საზარალო საქმე, სულ ერთია, ადრე თუ გვიან თეატრით გატაცება გააკოტრებდა, რადგან მუდამ ნაღდ ფულს იხდიდა იმ მაღალ პატივში, რომ თავისი მეგობარი ან გულის სწორი ეწოდებინა რომელიმე სცენის აღზრდილისათვის.

მოპატიჟებული იყო აგრეთვე ბატონი ნერეხავე. რომლის სახელიც ხშირად შეგხვდებოდათ მაქს ბერნარდის საქმიან სტუმართა სახელებს შორის. თავად თავს „ყოფილ მიწათმფლობელს“ ეძახდა და მართლაც. ოდესღაც საკუთარი კარ-მიდამო ჰქონდა იუტლანდიაში, მაგრამ მას შემდეგ მთელმა ოცმა წელმა გაიარა და ნერეხავე უკვე დიდი ხანი იყო, მეტად მოუსვენარი ცხოვრებით ცხოვრობდა დედაქალაქში: ჯერ იმით დაიწყო, რომ გამსესხებელ სალაროს პატრონი და მეძველმანე გახლდათ, მერე სახლებისა და სხვა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას მაკლერობდა, ბოლოს კი მსხვილი მასშტაბის სპეკულაციას მიჰყო ხელი და ნამდვილი კაპიტალისტი გახდა.

პირველად მასები ერქვა, მაგრამ როცა სარდაფის დუქანი კანტორით შეცვალა, ბარემ გვარიც გამოიცვალა. სამაგიეროდ შეინარჩუნა მიწათმფლობელის წოდება, რომელიც კლიენტებს ნდობას უნე-

რგავდა მის მიმართ და რაკრაკა იუტლანდიური „რ"-ც, რომელსაც კოპენჰაგენელები გულწრფელობის ნიშნად თვლიდნენ. მაქს ბერნარდი მას მთელ დანიაში ყველაზე გაიძვერა თაღლითს უწოდებდა.

როგორც კი შეკრებილნი მიუსხდნენ მაგიდას, სადაც უკვე ელაგა პერის ნახაზები და გაანგარიშებანი, ივენმა სიტყვა აიღო. საზოგადოება პირველ ნახევარ საათს შემწყნარებლური ყურადღებით უსმენდა ამ გულმოდგინე, უკანასკნელ წვრილმანამდე გაზრებულ მოხსენებას. მერე ყურადღება გაიფანტა და გადამდგარმა მიწათმფლობელმა წმინდა სოფლური მოურიდებლობით რამდენჯერმე დახედა საათს.

როცა ივენი სიტყვას მორჩა, ხანგრძლივი დუმილი გამეფდა. ყველა მაქს ბერნარდის მისჩერებოდა, მაგრამ მაქსი ჯერჯერობით თითქოს რაღაცას ელოდა.

ბოლოს სიტყვა გერლოვმა აიღო, მან ივენს მთელი რიგი შეკითხვები მისცა და თანდათან საუბარში ყველა ჩაება.

გამოირკვა, რომ ფილიპ სალომონივით ყველა აქ დამსწრეს აუცილებლად მიაჩნდა, ამ საკითხზე აღიარებული ავტორიტეტების აზრი ჰქონოდა ხელთ და საზოგადოების წინაშე მას დაყრდნობოდნენ. ამასთან დაკავშირებით დაასახელეს რამდენიმე გვარი და ბოლოს ინჟინერ-პოლკოვნიკი ბერეგრავზე შეჩერდნენ. მის სახელს ასეთ საქმეებში უზარმაზარი წონა ჰქონდა.

ივენმა დიდი გატაცებით გაიმეორა მამასთან ნათქვამი: გონივრული არ იქნება მხარდაჭერის იმედი ვიქონიოთ იმ ადამიანთა მხრივ, ვისაც საფუძველი აქვს პერის პროექტი პირდაპირ თავიანთ თავზე, თავდასხმად ჩათვალონო. მე კი ნამდვილად ვიცი, რომ პოლკოვნიკი ბერეგრავი წმინდა პირადული მოსაზრებით გეგმის წინააღმდეგიც წავა და მისი ავტორისაც.

ამაზე ბანკირმა გერლოვმა მხოლოდ ის მიუგო, რომ თუ გადაეწყვეტთ და სააქციო საზოგადოებას შევქმნით, ბერეგრავს ადგილი უნდა შევთავაზოთ გამგეობაში და რადგან გამგეობის ყველა წევრს კარგი ხელფასი ექნება, პირადი მტრობაც ადვილად გადაილახებაო.

— თუ უფრო სერიოზული დაბრკოლებები არ არის მოსალოდნელი, — მშრალად დაასკვნა მან, — მაშინ შეიძლება საქმე მოგვარებულად ჩაითვალოს.

პერის ელექტრულ მანქანებს და სხვა გამოგონებებს, რომელ-

თაც ივენმა ეპოქალური უწოდა, დამსწრენი ეჭვით შეხვდნენ. ფილიპ სალომონისაგან განსხვავებით, აქ უწინარეს ყოვლისა, ნავსადგურის პროექტი აინტერესებდათ და ახლა საკითხავი ისღა იყო, შესძლებდნენ თუ არა ფართო საზოგადოების დარწმუნებას, რომ კუნძულანგლი ყველაზე შესაფერისი ადგილია ღია პორტის შესაქმნელად. მაქს ბერნარდმა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განაცხადა, პროექტის მხოლოდ ამ ნაწილს სჭირდება განხილვაო. სამაგიეროდ, გადაჭრით წინ აღუდგა მათ, ვინც ამბობდა, გეგმა შევამციროთ, რათა უფრო რეალური გახდესო.

— შემდგომი შემცირება მკვლელობას უდრის, — თქვა მან. — მე, ჩემის მხრივ, მტკიცედ მწამს, რომ ღია ზღვის პროექტი მთლიანად უნდა განხორციელდეს... ეს ერის საერთო საქმეა, და საჭიროა მთელი ხალხის სიმპათია მისკენ მივიზიდოთ, როგორც სამართლიანად თქვა ბატონმა სალომონმა... სხვანაირად შეიძლება თავიდანვე ჯვარი დავუსვათ მთელ წამოწყებას.

ივენი განცვიფრებული იყო. იცოდა, ბერნარდი დიდხანს მტკიცე უარზე იდგა, ჩაბმულიყო ამ ისტორიაში. ვერც კი იოცნებებდა მის ასეთ მხარდაჭერაზე. დანარჩენებიც განცვიფრდნენ, ბერნარდმა რომ ასეთი მგზნებარე სიტყვა თქვა პროექტის შესახებ, რომელიც, მათი აზრით, მეტისმეტად საეჭვო იყო.

მაქს ბერნარდი და ბანკირი გერლოვი რომ პერის პროექტს ინტერესით მოეკიდნენ, ამას, ცხადია, თავისი ფარული მიზეზი ჰქონდა. ყური მოჰკრეს, ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკთაგანი, რომლის მმართველებთან განუწყვეტელი ბრძოლა ჰქონდათ, აპირებდა ღია პორტის აგების დაფინანსებას, ოღონდ იუტლანდიაში კი არა, კოპენჰაგენში. მეგობრებმა გადაწყვიტეს თავიანთი მეტოქეებისთვის წინ გაესწროთ პერის უკვე წვრილმანებამდე დამუშავებული გეგმის მეშვეობით. მართლაც, ამ გეგმის თაობაზე მაშინვე შეიძლებოდა პრესაში დისკუსიის დაწყება. თუმცა, ისინი არც კი იმედოვნებდნენ, რომ საქმიან სამყაროს თავის მხარეზე გადაიბირებდნენ; სიდენიუსის პროექტს აფეთქება უნდა მოეხდინა და ორ ბანაკად გაეყო ღია პორტის შექმნის მომხრეები, რადგან ამ ღონისძიებისადმი ინტერესი მოსახლეობას უკვე აღძვროდა, და მაქს ბერნარდის მოწინააღმდეგენი იმედოვნებდნენ მთლიანად ჩაეგდოთ ხელში პროექტი.

დამატებითი მოლაპარაკების შემდეგ შეკრებილებმა გადაწყვიტეს

თითიც არ გაენძრიათ იმ დრომდე, ვიდრე ბერეგრავს წინადადებას არ მისცემდნენ, საზოგადოების გამგეობის შემადგენლობაში შესულიყო. თანხმობის მიღების შემთხვევაში საჭირო იყო დაუყოვნებლივ დაენიშნათ მეორე შეხვედრა, რათა უკვე ბერეგრავთან ერთად მოესაზრებინათ, საიდან შესდგომოდნენ საქმეს.

* * *

ამასობაში პერი ვენაში ჩავიდა. ორიოდე კვირა დუნაის ჭაობის შესართავთან გაატარა, რომ კალაპოტის მოწესრიგებისა და ნავსადგურის აგების გრანდიოზულ სამუშაოთა მსვლელობას გასცნობოდა.

ხან ცხენით, ხან ნავით, ხან მონჯღრეული ტივით, ყოველნაირ ამინდში დადიოდა და ხშირად არ იცოდა, სად შეეფარებინა ღამით თავი.

პერი შეუჩვეველი იყო მოგზაურობის სიძნელეებს და ქანცი გაუწყდა. ჩამოსვლის მეორე დღესვე საზაფხულო კაფეში იჯდა და ოცნებობდა, ნეტავი ისეთი თანამოსაუბრე მაშოვნინა, რომელსაც ლურსმანის ჩასობისა და მიწახაპიას გარდა სხვა რამეზედაც ველაპარაკებიო. მას შემდეგ, რაც იაკობა წავიდა, ინჟინრების მეტი თვალით არავინ უნახავს. მაგრამ ისინი კარგად ნაცნობი, ყოველმხრივ განათლებული, მის მიწა-წყალზე აღზრდილი ინჟინრები კი არ იყვნენ, არამედ ტექნიკის მცოდნე ხალხი, რომლებიც კონკურენციის კანონებმა წარმოშვა, მეტისმეტად კომპეტენტური ადამიანები ყველაფერში, რაც უშუალოდ მათ ვიწრო სპეციალობას ეხებოდა, სამაგიეროდ უვიცნი სხვა დანარჩენ საკითხებში და მოკლებულნი სხვა ინტერესებს, გარდა იმისა, რაც არსებობისათვის ბრძოლას და მათ საკუთარ კეთილდღეობას ეხებოდა.

დუნაიზე, კოლეგებთან, ზუსტად ისეთივე ურთიერთობა ჰქონდა, როგორც ზამთარში დრეზაკში, სადაც სამი მშვიდი, ვისკის მოყვარული ინგლისელი ცხოვრობდა; არც პირველებთან, არც მეორეებთან პერს არ შეეძლო იმ დიდ საკითხებზე გაება საუბარი, რაც იმ დროს აწუხებდა. ასეთ ხალხს შორის თავს მუდამ უცხოდ გრძნობდა. თუმცა აღფრთოვანებული იყო მათი ერთგულებით თავიანთი საქმისადმი, მათი გონიერებით, საკუთარი ძალების რწმენით, წაბაძვის ღირს ხალხადაც კი მიაჩნდა, სულის სიღრმეში მაინც ებრალებოდა

ასეთი ადამიანები, რომელთა სულიერი მოთხოვნილება და იმედები მათივე სიგარის ბოლს ვერ გასცდენოდა.

ახლა პერი კაფეს აივანზე იჯდა და ხელში გაზეთი ეჭირა. სანამ ფიქრით იაკობასთან იყო, ურომლისობასაც ამ დიდ და უცხო ქალაქში განსაკუთრებით მწვავედ გრძნობდა, მან, ძველი ჩვეულების თანახმად, უაზროდ გადაავლო თვალი ვენის სასტუმროებში ახლახან ჩამოსულთა სიებს, ხომ არავინ არის დანიიდანო და უეცრად შეკრთა: ბარონესა ფონ ბერნდტ-ადლერსბორგის სახელს წააწყდა.

ამ ზამთარში ერთხელაც არ გახსენებია ეს ქალი. პერი ახლა სულ ადარ ფიქრობდა გარეგნულ ბრწყინვალებასა და დიდებაზე, უკვე ადარც კი ახსოვდა, მაცდუნებელი ძია ჰენრიხი წამოსვლის წინ რომ ურჩევდა, უბედური მოხუცი ქალის კეთილგანწყობილებით ისარგებლე და ბარონი გახდიო.

მაგრამ ძალიან მონატრებული ჰყავდა მშობლიურ ენაზე უბრალო ადამიანურ საკითხებზე მოლაპარაკე ხალხი და გადაწყვიტა ბარონესა მოენახულებინა. ქალი თავის დასთან, ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე ფონ პრაგენთან ერთად ვენის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფეშენებელურ სასტუმროში შეჩერებულიყო. ორივე მანდილოსანი აქ რამდენიმე დღის წინ იტალიაში გზად გავლით ჩამოსულიყო.

აშკარა იყო, გერმანულ სანატორიუმში თითქმის ერთი წლის მკურნალობის კურსს მაინცდამაინც ვერ ერგო ბარონესასათვის. თუმცა სახის მეწამული ფერი ცოტათი გაკრთომოდა, ახლა უკეთ ფლობდა მიმიკას და ხელებიც ადარ უკანკალებდა, მაგრამ საუბრის დროს ძველებურად ერთი თეძოდან მეორეზე გადახტებოდა ხოლმე და ვერც ჭკუა უჭრიდა მაინცდამაინც. ბარონესას კვლავ ძველებურად უყვარდა პერი. მისი დანახვა ისე გაუხარდა, კინაღამ კისერზე ჩამოეკიდა და საუბრის დროს რამდენჯერმე წაავლო ხელში ხელი, იმის მადლობის ნიშნად, რომ მოინახულა.

სანატორიუმში თავისი ყოფნა მოხუც ქალს არ უხსენებია, მხოლოდ ის თქვა, ჩემმა „ძვირფასმა დაიკომ“ წამომიყვანა იქიდან და რომში წასვლას ვაპირებთ, რათა (ეს საიდუმლოდ, ჩურჩულით უთხრა პერს, რადგან ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე მეორე ოთახიდან გამოვიდა), როგორმე მივაღწიოთ პაპთან აუდიენციასო.

ბარონესამ მაშინვე დაუწყო ხვეწნა პერს, შენც ჩვენთან ერთად წამოდიო, ხოლო როცა გაიგო, პერი ხვალვე პარიზში გამგზავრებას

აპირებსო, ისეთი ფშლეკუნი ბორთო, პერი იძულებული გახდა დაპირებოდა, ერთ კვირას, სანამ აქ იქნებით, კიდევ დაკრჩები ვენაშიო.

იმავე დღეს, ნასადილევს პერი მანდილოსნებს პრატერში სეირნობისას თან ახლდა. როცა იაკობასადმი წერილში პერი ამ შეხვედრას იხსენებდა, ჰოფეჰერმეისტერის ცოლს ასე აღწერდა:

„ბარონესას და ორმოცდაათი წლის წარმოსადეგი ქალია. ტანმაღალი და ჩასუქებული. ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი იქნებოდა. ახლაც კი მოულვარე თვალები აქვს. უფრო თავშეკავებული ბუნებისაა, ვიდრე ბარონესა და არც თავის დასავით ყბედია. მეტისმეტად ღვთისმოსავი ქალია, გუშინ ხანგრძლივი და მეგობრული საუბარი გვქონდა სულის უკვდავების შესახებ. მგონი, სურს, რომ თავის რჯულზე მომაქციოს. რა ვუყოთ, სიამოვნებით მივიღებ გამოწვევას. როგორც ჩანს, ამ ქალს ბევრი განუცდია, წაუკითხავს და უფიქრია და მიუხედავად თავისი ღვთისმოსაობისა, პირფერი ქალი არ უნდა იყოს. ძოკლედ რომ ვთქვათ, ძალიან საინტერესო ნაცნობობა გავაბი...“

ამ წერილმა იაკობა რატომღაც ააფორიაქა და საჩქაროდ მისწერა პერს პასუხი, სადაც, სხვათა შორის, ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია არც ჰოფეჰერმეისტერის ცოლზე, არც მის დაზე.

„მხოლოდ ერთი რამ მტკენს გულს, როცა დრეზაკში ჩვენს შეხვედრაზე ვფიქრობ: მაინც ვერ მოვილაპარაკეთ ყველაფერზე, რაზედაც ზამთარში მამის სიკვდილის შემდეგ ფიქრობდი და წუხდი, მაგრამ მოკლე დღეები იყო,დრო ჩიტივით მიფრინავდა, ხოლო სიყვარული თავისას ითხოვდა. შენ შეიძლება თქვა, ეს ლაპარაკადაც არ ღირს, მხოლოდ ისაა, რომ მარტოობამ ნერვები მომიშალაო. ეს მართლაც ასეა. მაგრამ ახლა მაინც (ხომ სწორს ვამბობ?) ყველაფერი უნდა გავანდოთ ერთმანეთს და მეტად ნუღარ დამიმალავ, რა გაღელვებს. შომეცი ამისი პირობა!

ჩვენთან აქ რელიგიური ფანატიზმისა და შეუწყნარებლობის მორიგი თარეში დაიწყო. ალბათ უკვე გწერდი, რომ გერმანიიდან დაბრუნდა ნათანი, და ამ მოვლენის გამო, როგორც მგონია, ნამდვილი პანიკა ატყდა ქრისტიანთა ბანაკში. ეს რამდენიმე დღეა რაღას არ სჩადიან, რათა მეხივით დაატყდნენ თავს ახალ დროს და მის მოციქულებს. სწორედ გუშინ „ბერლინგსკე ტიდენდეში“ წავიკითხე სამსვე-

ტიანი სტატია, ეს იყო რომელიღაც მრჩევლის დასაფლავებაზე კოპენჰაგენის ეკლესიის წინამძღვრის სიტყვის მოკლე შინაარსი. ამ სტატიის შენთვის გამოგზავნაც კი მინდოდა. ჩემს ცხოვრებაში ამაზე უფრო სულელური და თავხედური არაფერი წამიკითხავს. თავისთავად ცხადია, წმინდა მამა შეუდგა თანაგრძნობის უხვად ხარჯვას იმ „უბედურთა" მისამართით, ვინც მოკლებულია სამუდამო ნეტარების იმედს, მათ მიმართ, ვისთვისაც სიკვდილი მხოლოდ საშინელების კარიბჭე და უძირო არარაობაა. და გზადაგზა — გარდაუვალი აღფრთოვანებული განდიდება რწმენისა, ურომლისოდაც „ცხოვრება ჭეშმარიტად აუტანელი იქნებოდა". საინტერესოა, საიდან იცის მან ეს? თავად გამოსცადა თუ? ჩემს მეზობელ ძიას, ფილიპს უყვარდა ხოლმე თქმა, ღუმელის მსგავსად მიმაჩნია, რომ ცხოვრება—ეს ცეცხლი, ბოლი და ტკაცანია და რომ „საკვამლე მილს ზემოთ აღარაფერი აღარ არისო". მიუხედავად ამისა, ღრმა მოხუცებულობამდე ბედნიერი და მხიარული იყო. როცა უკვე სასიკვდილო სარეცელზე იწვა და ექიმებს ვერაფრით ვერ გაეგოთ, რა სჭირდა, ძია დასცინოდა ამ ექიმებს და ამტკიცებდა, საშინლად მტანჯავს, რომ ვერ გამიგია, კაცმა რომ თქვას, რისგან ვკვდებიო. ეს ერთადერთი მაგალითი არ არის, ჩვენს ოჯახშიც და ჩემს ნაცნობთა შორისაც ძალიან ბევრ ურწმუნოს ვიცნობდი: მიუხედავად ამისა, რომელ წინამძღვარსაც გინდა შეშურდებოდა, ისე ამაყად და მშვიდად გაეცალნენ ისინი სააქაოს.

ხშირად ვფიქრობ, რომ სიკვდილის უსაზღვრო შიში, რომელიც თავდაპირველად საშინელი სამსჯავროს შესახებ მოძღვრებიდან აღმოცენდა, თავის წარმოშობას არანაკლებ უნდა უმადლოდეს იმ გარემოებასაც, რომ ქრისტიანობა, სხვა წამყვან რელიგიებისაგან განსხვავებით, წარმოიშვა და ვითარდებოდა უბრალო და თანაც ჩაგრული ხალხის წრეში. სიკვდილის შიშსა და მონურ მორჩილებას შორის რაღაც კავშირი უნდა არსებობდეს. არასოდეს არ დამავიწყდება ის შთაბეჭდილება, რომელიც ერთხელ მოახდინა ჩემზე გერმანულ მუზეუმში პომპეის გათხრების დროს აღმოჩენილი გვამების თაბაშირის ტვიფრებმა. მათ შორის იყვნენ ბატონი და მისი ყმა: როგორც ჩანდა, ორივეს დაჰყროდა ცხელი ნაცარი და სანამ დაიხოცებოდნენ, რამდენიმე წუთს ეტანჯათ. მაგრამ რა განსხვავება იყო მათი სახის გამომეტყველებაში! ყმას სახეზე საშინელება აღბეჭდოდა, ზურგზე გართხმულიყო, თვალები უაზროდ გადმოეკარკლა, წარბები თითქმის

თმის ძირებამდე ასვლოდა, ყვირილისაგან მსხვილი ბაგეები მთლად გახლეჩოდა — ნათლად წარმოვიდგინე, რომ ალბათ დასაკლავი ღორივით ღრიალებდა. სამაგიეროდ, ბატონს სიკვდილის დროსაც კი შეენარჩუნებინა მეფური სიდიადე: თვალები დაეხუჭა, ლამაზ, მჭიდროდ მოკუმულ ბაგეებზე გარდუვალის წინაშე ამაყი და მშვენიერი მორჩილების ბეჭედი აჯდა.

ჩემის აზრით, ყველაზე სერიოზული ბრალდება, რასაც ქრისტიანობასა და ქრისტიანული რწმენას უყენებენ სულის უკვდავების საკითხში ის არის, რომ ის ართმევს ცხოვრებას თავის ფარულ აზრს და ამით ულამაზოს ხდის. თუ ჩვენს ყოფნას ამ დედამიწაზე აღვიქვამთ მხოლოდ როგორც გენერალურ რესპეტიციას ნამდვილი წარმოდგენის წინ — სადღა წავა სიცოცხლის სიხარული? გინდაც დარწმუნებული არ ვიყო იმაში, რომ დიადი და ამაღლებული შედეგი ყოველგვარი არსებობისა განადგურებაა და რომ სულით მდიდარ ადამიანს განოიცნობენ სწორედ იმით, თუ რამდენად ხალისიანად ურიგდება ის ყოველგვარ სიკეთეზე უარის თქმის აზრს და რამდენად შეუძლია აღიქვას სიკვდილი, როგორც სიცოცხლის ჰარმონიული დასასრული; რომ არა მწამდეს, ასეთი გზით დედა-ბუნებას ვუბრუნებთ იმ ძალებს, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში ჩვენს სხეულში დაბორიალობდნენ და რომ ქრისტიანული ოცნებები უკვდავებაზე და მარადიულ ნეტარებაზე ისეთივე გულუბრყვილობაა, როგორც პირველყოფილ ადამიანთა რწმენა, საიქიოში ვინადირებთ და სამხედრო ზეიმებსაც მოვაწყობთო — მაშინ... დაიცა, რის თქმა მინდოდა, კაცმა რომ თქვას?.. მაპატიე, მაგრამ ამ აზრს სხვა დროს დავასრულებ. თუმცა არა, მომაგონდა. მე მხოლოდ ის მინდოდა შეთქვა, კიდევაც რომ არ ვთვლიდი სიკვდილს აბსოლუტურად ყველაფერ სიკეთეზე უარის თქმად, ადამიანის არსების ბუნებისათვის სრულ გადაცემად და გარემო სამყაროსთან ადამიანის ურღვევ შეერთებად, მაშინაც არ მენდომებოდა გამეგო, რა მომივიდოდა, როცა ამ დედამიწას და ყოველივე იმას დავტოვებდი, რაც ამ ქვეყნად მიყვარდა. ღმერთო ჩემო, ხომ არცერთ ჩვენგანს არ ეყოფა გამბედაობა აზრად გაივლოს, ჩემს მიწიერ მომავალს წინასწარ განვჭვრეტო. უფრო მეტიც, ჩვენ გვიხარია, რომ მარადიულმა სიბრძნემ დაგვიმალა ჩვენი მომავალი ბედი. ადამიანები რომ ცოტათი მაინც იყვნენ დარწმუნებულნი, რა მოელით მათ, — გინდაც ბედნიერება ელო-

ღეთ, — მაშინ სიცოცხლე ნამდვილად „აუტანელი გახდებოდა“. ასევე ითქმის, უფრო მეტადაც კი, „სამარადისო“ სიცოცხლეზე.

ახ, ეს უჭკნობი ღვთისმეტყველება! ესეც ხომ „მამათა მემკვიდრეობაა“ — ეს სიტყვები ჩვენში კულტურის ყველა მტრის სიმბოლოდ იქცა. რა სამწუხაროა, რა დამამცირებელია, დაბოლოს რა აუტანელია, რომ დღემდე ყოფიერების უმარტივესი საკითხების გადასაწყვეტად ბრძოლა და დროისა და ძალების დახარჯვაა საჭირო. ნუთუ აქამდე გაურკვეველია, რომ ჩვენ, ქრისტიანებმა და იუდეველებმაც, უნდა მოვიშოროთ ეს „მემკვიდრეობა“ თუნდაც მხოლოდ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დამემკვიდრება შემთხვევის ამბავია და ასევე შეგვეძლო მიგვეღო მემკვიდრეობით სულ სხვა რამ? როდემდე გაგრძელდება ეს, კიდევ რამდენ ზიანს მოვუტანთ ჩვენ, ადამიანები, ერთმანეთს მანამ, ვიდრე მივხვდებით და ჩვენს ერთადერთ რელიგიად, ხდობის დამმსახურებელ ერთადერთ დოგმად ვაქცევთ იმის მტკიცე რწმენას, რომ შემთხვევითი და კერძო კი არა, თუ რამე გაგვაჩნია საერთო-საკაცობრიო, სწორედ ის გვეხმარება არა მარტო საკუთარი ცხოვრების, არამედ ერის ცხოვრების მოწყობაშიც!..“

* * *

მაქს ბერნარდთან თათბირზე ივენს დაავალეს პირადად მოლაპარაკებოდა პოლკოვნიკ ბერეგრავს, საზოგადოების მმართველობაში ადგილი შეეთავაზებინა და ამით ცდილიყო პოლკოვნიკისათვის გაეჭარვებინა წინასწარი აზრი როგორც თვით პროექტზე, ისე მის ახალგაზრდა ავტორზე.

ივენი ამ დიპლომატიურ მისიას არ აღუფრთოვანებია. თუმცა, როცა საქმე პერის ინტერესების დაცვაზე მიდგა, საკმაო სიმტკიცე გამოიჩინა და მეგობრის ხათრით რამდენჯერმე, ხატოვნად რომ ვთქვათ, კიბიდან დააგორებინა საკუთარი თავი, მაგრამ მოხუცი პოლკოვნიკისადმი რატომღაც პატივისცემით იყო გამსჭვალული. ივენს ხშირად შეხვედრია ეს წითელსახიანი პატარა ტანის კაცი და ბევრი რამეც სმენია მის ფიცხ და პირდაპირ ხასიათზე. ბერეგრავის ღვიძლი დისწული დიურინგი ღიმილით ყვებოდა, პერის სახელის გაგონებაზე ძია დღესაც ცოფებს ყრისო.

ივენმა თავისი ეჭვები ძია ჰენრიხს გაანდო, ძია საჩოთირო შემთხვევებში მუდამ რჩევით ეხმარებოდა ხოლმე; ამჯერად კარგა ბევრი

კინკლავის შემდეგ დათანხმდა, გაეწვდინა იევნისათვის დახმარების ხელი.

— ვნახოთ, ვნახოთ, რის გაკეთება შეიძლება. თქვენს ბერეგრავს ცოტათი ვიცნობ. ცოტა რამ გამიკეთებია მისთვის. საკმარისია სიტყვა გადავუკრა და თქვენი იქნება. მეტი რაღა გინდათ?

ამ ტრაბახში სიმართლის ნატამალიც ერია: ძია ჰენრიხს ნამდვილად მეტად თავისებური ნაცნობობა აკავშირებდა ბერეგრავთან. იგი არაფრით არ გამოტყდებოდა და ვერც მისი ნათესავები შეიტანდნენ ეჭვს, რომ ეს ვითომდა ნაბობი ჩუმად საკომისიო საქმიანობას ეწეოდა და ეს საქმიანობა მისი შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო. კერძოდ, რომელიღაც ინგლისური ფირმის აგენტის თანამდებობაზე მოღვაწეობდა; ეს ფირმა თუჯისა და ფოლადის კოჭების გლინვას აწარმოებდა და ძია ჰენრიხიც ამ საქმეების გამო წელიწადში ორჯერ ფირმის პრეისკურანტით პოლკოვნიკთან ცხადდებოდა.

ივენთან საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ მან ხელახლა ინახულა თავისი კლიენტი. წინკარში თითქმის ნახევარი საათის ლოდინის მერე, როგორც იქნა, შესვლის ნებართვა მიიღო და ნასაუზმევი აშარხლებული პოლკოვნიკიც მეტისმეტად კარგ გუნებაზე დაუხვდა.

ძველ მეომარს მოურიდებლად გაეღიმა პატარა, მახინჯი ებრაელის დანახვაზე, რომელსაც ნაცრისფერი გეტრები ეცვა, ცილინდრი ეხურა და მისასალმებლად გაწვდილ ხელში ხელთათმანები ეჭირა — პროვინციულ სცენაზე ასეა მიღებული არისტოკრატიის სახის შექმნა.

— ისევ აქა ხართ? — თქვა პოლკოვნიკმა და საწერ მაგიდას ისე მიუჯდა, სტუმრისთვის დაჯდომა არ შეუთავაზებია. — აბა, როგორ არის საქმეები, გეთაყვა, დევნილო?

ბატონმა დელფტმა მოცისფრო მონოკლი მოიმარჯვა და ვითომდა აღფრთოვანებისაგან ჩაიხითხითა. ალღოთი მიხვდა, მოლაპარაკებისათვის მეტად შესაფერისი ატმოსფერო იყო და მასაც საკმაო ჭკუა გააჩნდა, რომ წყენა არ შეემჩნია.

მართლაც, ცოტა საუბრის შემდეგ მოახერხა და პოლკოვნიკს შორიგი შეკვეთა გამოსტყუა.

აიღო თავისი ქაღალდები, თითქოს წასვლას აპირებდა, დაიხურა ცილინდრი, ხელთათმანები აიქნია, მერე უცებ ბებერი შიმპანზეს მსგავსი ფაქიზად დავარცხნილი თავი გვერდზე გადახარა და ღიმილით თქვა:

— ბატონი პოლკოვნიკი ნებას დამრთავს ერთი მეტად საჩოთირო შეკითხვა მივცე?

— კიდევ რის შეკითხვა გსურს?

— ხომ არაფერი სმენია ბატონ პოლკოვნიკს ერთი დიდი ეროვნული საქმის თაობაზე, რომელიც სწორედ ახლა იჩარხება?

— არაფერი მსმენია.

— ვითომ არაფერი?

— ჩემი საქმეებიც მყოფნის... თქვენთვის ალბათ ცნობილია, ყოველგვარი ავანტურიდან განზე ვდგავარ.

ბატონმა დელფტმა მეტად ცბიერად გაიღიმა. შეკვეთის საქმე მოგვარებულია, დადგა დრო პოლკოვნიკს „დევნილის“ გამო ანგარიში გაუსწოროს.

— ახ, კი, კი! — მან დახუჭუჭებული თავი გადააქნია. — დროება გამოიცვალა. ახლა სცენაზე ახალგაზრდობა გამოდის. ძველ, გამოცდილ მეომრებს გვერდს უვლიან... აღარავის სურს მათ ანგარიში გაუწიოს. სიტყვა ახალგაზრდებს ეკუთვნით...

— რისი თქმა გსურთ ამით? — მოუთმენლად გააწყვეტინა პოლკოვნიკმა, მის ხმაში ლითონის ჟღერა გაისმა.

— მე ვლაპარაკობ ღია პორტის გრანდიოზულ პროექტზე. პროექტი ახალგაზრდა კაცს, მთლად ჭაბუკს დაუმუშავებია. გვარად სიდენიუსია.

— ახ, ეს ის მყვირალაა! — თქვა პოლკოვნიკმა. — სწორედ რომ შემთხვევით ვიცნობ. თავის დროზე თავისი „ეროვნული წამოწყებით“ ყველას ჩამოგვირბინა. ხალხი ნამდვილად შეიშალა, ვერ ითმენენ, სურთ, რაც შეიძლება ჩქარა გადაყარონ თავიანთი გროშები; მაგრამ ნაეკვოა, ვინმემ სერიოზულად მიიჩნიოს სულელი ლაწირაკის ფანტაზიები.

— რაც შეეხება საძულველ ლითონს, ის უკვე საკმაოზე მეტია. მე ეს დანამდვილებით ვიცი.

— რას ამბობთ?

— საქმე უკვე მოგვარებულია. მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოების ნებართვას ელიან. თქვენ მართალი ხართ, ბატონო პოლკოვნიკო. დანის ფულები ერთ ადგილას ვერ ჩერდება, მათ უკვე დაიწყეს ცეკვა, და ვიდრე მუსიკა არ შეწყდება, ველარც ვერაფერი შეაჩერებთ. გარდა ამისა, ბატონ სიდენიუსს ფინანსიურ სამყაროში დიდი გავლენა აქვს.

პოლკოვნიკმა არაფერი უპასუხა. სქელი წარბები შეიკრა; სისხლი სახიდან ახლა თვალებისაკენ მიაწვა და ხარივით ჩაუსისხლიანდა.

— მაშ მართალს ამბობენ, რომ ეს მცირეწლოვანი თავხედი ფილიპ სალომონის ქალზე დაინიშნა? დელფტ, თქვენ უნდა იცოდეთ ამის შესახებ. ბატონი სალომონი ხომ თქვენი სიძეა.

— ო, ბატონო პოლკოვნიკო! ჩემი ბაგეები დამუნჯდნენ. იქ, სადაც საქმე სიყვარულის საიდუმლეობას ეხება, ჩემი აგენტურა არ მუშაობს.

პოლკოვნიკს გაეცინა.

— თქვენ ნამდვილი დიპლომატი ხართ!.. თუმცა რა ჩემი საქმეა! თუ ხალხი ვერ ითმენს, რომ თავისი ფული წყალში არ გადაყაროს-- ინებონ. ცოდვა იქნებოდა. მათთვის ასეთი სიამოვნება მოგვეკლო კარგ მადას გისურვებთ, ბატონებო. ერტინგის ყურეში მრავალი ტონა ოქრო დაეტევა.

— ახ, რა სამართლიანი ბრძანდებით, ბატონო პოლკოვნიკო!

— მე პირადად არა მსურს ჩავერიო ასეთ საყალთაბანდო საქმეში. ამისი გაგონებაც კი არ მინდა. ყოველივე კარგს გისურვებთ, ბატონო დელფტ.

— მაქვს პატივი, — მიუგო პატარა ებრაელმა და მეტად დიდი პატივისცემით დაუკრა თავი.

პოლკოვნიკი კვლავ მაგიდასთან იჯდა და ულვაშებს იწიწკნიდა. მსგავსი ახალი ამბები ამ აპოპლექსურ მოხუცს აცოფებდა ხოლმე. ოდესღაც, მუყაითი ახალგაზრდა რომ იყო, ისიც ცდილობდა, გამოწვევა ესროლა ეროვნული ძილისათვის და თავის სფეროში ბელადი და პირველაღმოჩენი გამხდარიყო, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველანაირ სიახლეთა ყველაზე გაცხარებულ მოწინააღმდეგედ იქცა. ძველი ფორმაციის ლიბერალთა უმეტესობის მსგავსად სძულდა ახალგაზრდები, იღბლიანი ნოვატორები და შურდა მათი, ხოლო პერის მიმართ ზიზღი მანიად ექცა. პოლკოვნიკი მოთმინებას კარგავდა იმის გაფიქრებაზეც კი, ყოველივეს, რასაც მე ვერ მივაღწიე, ამ გაუთლელმა გაგრიამ უნდა მიაღწიოს, რომელმაც გაბედა და საკუთარ სახლში აბუჩად ამიგდოო. მით უფრო, სულის სიღრმეში სწამდა პერის ბევრი კარგი თვისებისა, თვითონ მას რომ დააკლო ბუნებამ: იშვიათი ნიჭისა და შეუდრეკელობისა. ღია პორტისა და არხის კომბინირებულ პროექტში ბერეგრავს არ გამოპარვია თუმცა ბოლომდე დაუმუშავე-

ბელი, მაგრამ გენიალური იდეა. ამ იდეას, თუ მოხერხებულად გამოიყენებდი, შეიძლება უდიდესი მნიშვნელობა ჰქონოდა ქვეყნის მომავლისათვის; და თუ მიუხედავად ამისა, პოლკოვნიკი ბერეგრავი თავის გავლენას იყენებდა, რათა ხელი შეეშალა პერის პროექტის წარმატებისათვის, ეს მხოლოდ იმიტომ ხდებოდა, რომ (ძველი ფორმაციის სხვა ლიბერალების მსგავსად) ან ეგონა, ან თავდაცვის ინსტინქტით ცდილობდა თავი დაერწმუნებინა, ვითომ ამით ვებრძვი ახალ აზრთა მიმართულებას, რომელიც ხალხს გარყვნითა და უძველესი ჩვეულებების მოსპობით ემუქრებაო.

ბერეგრავს უხსოვარი დროიდან იცნობდნენ, როგორც არაცრუმორწმუნე და თავისუფლად მოაზროვნე კაცს,—ამიტომაც იყო, როგორც კი ლაპარაკი საკმაოდ კომპეტენტური პიროვნების პოვნაზე ჩამოვარდა, რომელსაც ამავე დროს ისეთი სახელი ექნებოდა, რომ ამ სახელით პერის იდეებს მხარს დაუჭერდა, ფილიპ სალომონსაც და მაქს ბერნარდსაც მაშინვე ბერეგრავი მოაგონდათ. თანაც ყველამ იცოდა, რომ ბერეგრავი მეტად პატივმოყვარე იყო და ფულიც უყვარდა, ხოლო ასეთი კაცი გარეშე მოწმის როლში ვერ დარჩება, თუ მის თვალწინ ახალი ადამიანები წამოწყებას წამოწყებაზე ახერხებენ და ამას მათთვის სიმდიდრე და დიდება მოაქვს იმ დროს, როცა მისი საკუთარი სახელი თანდათან მივიწყებას ეძლევა.

მეორე დღეს ბატონი დელფტი კვლავ ეახლა ბერეგრავს. პოლკოვნიკს ფოლადის რელსების ზომების შესახებ ცოტა რამის განმარტება დასჭირდა და დელფტმა განგებ მოიმიზეზა, ზოგიერთი ცხრილი თან არ წამომიღიაო, რათა ამ საბაბით ხელახლა მისულიყო ბერეგრავთან.

როგორც მოსალოდნელი იყო, პოლკოვნიკმა ლაპარაკი მაშინვე პროექტზე ჩამოაგდო და დაინტერესდა, რომელი ბირჟის საქმოსნები და საფინანსო დაწესებულებები უჭერენ პერს მხარსო. ბატონმა დელფტმა ჯერ იყო და, თავი ისე დაიჭირა, თითქოს შეკითხვა ვერ გაიგო. მერე ღიმილით თავი გადააქნია და თქვა:

— ახ, ბატონ პოლკოვნიკს სიდენიუსის ყბადაღებული პროექტი აქვს მხედველობაში? ბევრი არაფერი მწამს მისი. ეს მკვდრად შობილი პროექტია.

— გააჩნია, ვინ როგორ ფიქრობს! მაგრამ ყური დამიგდეთ: თქვენ არ იყავით, გუშინ ამავე ადგილზე რომ იდექით და მიყვებოდით, ავ-

ტორმა დარბაისლური მხარდამჭერლები იშოვა და ეს რომ ასეა, ნამდვილად ვიცით?

— გაიხსენეთ, ბატონო პოლკოვნიკო, მე მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერაზე ვლაპარაკობდი. გადაჭრით განვაცხადე, ახლა საფიქრალი მხოლოდ ის არის, მოიწონებს თუ არა სახელმწიფო მას. მის მოწონებას კი ვერ ეღირსებიან.

— რატომ ვერა? თუ ფული ნამდვილად არის, რატომ იტყვის უარს სახელმწიფო?

ბატონმა დელფტმა თავი მხრებში ჩარგო და თითქოს ძალიან შერცხვაო, აწრიალდა.

— მე ვფიქრობ, ბატონი პოლკოვნიკი უსიტყვოდაც გამიგებს.

— მაშ კიდევ რა? რა ვერაგული საიდუმლოებაა? რაზე ლაპარაკობთ?

ბატონმა დელფტმა არაფერი უპასუხა და რამდენჯერმე გაიქნია თავი. ამ წუთს ის მართლა გაწვრთნილ მაიმუნს მიაგავდა.

— აბა, ჩამოყაჭეთ! — დაუღრიალა ბერეგრავმა.

— იცით რა, ბატონო პოლკოვნიკო... მე უბრალოდ ვფიქრობდი... მთავრობა რისკს არ გასწევს-მეთქი... აი როგორაა საქმე.

— რისკს არ გასწევს! რატომ არ გასწევს? არაფერი მესმის.

— მე არ მინდა, ბატონ პოლკოვნიკს დრო წავართვა. ნება მომეცით გამოგემშვიდობოთ...

— რაღაცას ნუ ჩმახავთ. ახლა კეთილ ინებეთ და სათქმელი ბოლომდე თქვით. რა მდგომარეობას შეუძლია, თქვენის აზრით, სახელმწიფოს ხელი შეუშალოს, მოიწონოს კარგი და გონივრული გეგმა, თუ ამისთვის ფული არსებობს?

— სწორედ იმას, რომ ის კარგი და გონივრულია.

— ფუ! მე უკვე თავი მისკდება. ამიხსენით რიგიანად, როგორაა საქმე.

— მოკლედ... თუ გულახდილად ვიტყვით... თქვენ ფიქრობთ, ბატონო პოლკოვნიკო, რომ ჩვენი სამხრეთის მეზობელიც ასე ადვილად შეურიგდება ჰამბურგისთვის საშიში კონკურენტის წარმოშობას? მე პირადად ასე არ ვფიქრობ. არაფრის გულისთვის არ შეურიგდება.

პოლკოვნიკი სკამის ზურგს გადააწვა და დოინჯი შემოიყარა. ისედაც წითურ სახეზე თითქო ხანძარი მოედო.

— ჩემს სიცოცხლეში არ მსმენია ამის მსგავსი ბოდვა! როგორ მოგვიდათ თავში ასეთი სისულელე? თქვენ ამტკიცებთ, რომ გერმანელები თქვენი პროექტის გამო ომს გამოგვიცხადებენ? ამას ამტკიცებთ, ხომ?

— ღმერთო ჩემო, რომელი ომი! სრულიადაც არ არის აუცილებელი ომის გამოცხადება. ომს არა, მაგრამ აი ერთი მოკლე და გადამწყვეტი ნოტა გერმანიის მთავრობისაგან დანიის მთავრობისადმი. დამიჯერეთ, ბატონო პოლკოვნიკო, ნოტა ამ შემთხვევაში სრულიად საკმარისი იქნება.

პოლკოვნიკს არაფერი უთქვამს, თვალები დახუჭა და, ხელზე ნიკაპდაბჯენილი, ნერვიულად უჭერდა კბილებს საჩვენებელი თითის სახსარს.

ბატონმა დელფტმა მხრები აიჩეჩა.

— აი მცირე ერთა ხვედრი! ყველას წინაშე ქედი უნდა მოიდრიკო... და შეურაცხყოფა აიტანო. ეს ძალიან, ძალიან საწყენია, მაგრამ ასეთია ცხოვრება. პატარები დიდებს უნდა დაემორჩილონ, დაემორჩილონ და ფრთხილად მოიქცნენ, ძალიან ფრთხილად, — გაიმეორა მან, რაკი დაინახა, ერთი დარტყმით საკუთარ ნიშნის მოგებითაც შეიქცევდა თავს და სასურველ მებრძოლურ სულსაც გააცოცხლებდა მოხუც პოლკოვნიკში, რომელსაც ტანზე აქამდე აჩნდა გერმანელთა ნატყვიარი.

პოლკოვნიკი ხმას არ იღებდა, ბატონმა დელფტმა ისარგებლა შემთხვევით და საჩქაროდ გამოემშვიდობა.

სწორედ დროულად მოიქცა ასე. კარის გახურვა ძლივს მოასწრო, რომ პოლკოვნიკი კრაზანისაგან დაკბენილი ხარივით წამოხტა სკამიდან და როგორც ყოველთვის, როცა ხელთ არავინ ჰყავდა, კაბინეტიდან სასტუმრო ოთახში გავარდა, რათა საკუთარ ცოლზე აეროყარა ჯავრი. სამზარეულოდან გამოიხმო ცოლი და მიუხედავად იმისა, რომ თვალცრემლიანი ქალი არწმუნებდა, ფაფა ჩამეწვება თავზე თუ არ დავადექიო, პოლკოვნიკმა მას დაანთხია პირდაპირ მისი უდიდებულესობისადმი მიმართული შეურაცხყოფა სიმხდალისა და უბადრუკობის საძულველი არსის წინააღმდეგ, რამაც ომის შემდეგ მოიცვა დანიელი ხალხი.

იმ დღეს ძია ჰენრიხი თავის სიძესთან სადილობდა. სხვათა შორის, ძალიან ხშირად იყო სადილად სიძესთან. როცა ყველა აიშალა სუფრიდან, მან გვერდზე გაიხმო ივენი და ნაღვლიანი და დარცხვენილი ხმით, როგორითაც იცოდა ლაპარაკი ყოველთვის, როცა გამონაკლისის სახით ვინმეს უანგარო სამსახურს უწევდა, უთხრა:

— აბა, მეგობარო, შეგიძლია წახვიდე პოლკოვნიკთან. უკვე ნზადა მყავს.

ეჭვი რომ არ გამოეწვია, ივენი მაშინვე არ წასულა პოლკოვნიკთან. რამდენიმე დღე შეიცადა. მან ბერეგრავს წერილი მისწერა, სთხოვდა, ცოტა დრო გამომიყავით, რომ მოკლედ გაგაცნოთ ჩემი საქმეო.

წერილის მიღების შემდეგ პოლკოვნიკმა მთელი დღე მეტად მტანჯველ ფიქრებში გაატარა. ჯერ ერთი, თვითონ წერილის ტონმა განაიარაღა. ივენი მეტისმეტად კარგად ფლობდა ადამიანთა ნდობის მოპოვების წმინდა ებრაულ უნარს — მოხერხებულად გაეღიზიანებინა მათი პატივმოყვარეობა, ხოლო პირფერობის წინაშე პოლკოვნიკი უძლური იყო. ამასთან, თვით სალომონის გვარშივე ისმოდა ოქროს წკრიალი, რომელიც მეტისმეტად იზიდავდა ფულისადმი ხარბ პოლკოვნიკის ყურებს.

რაც მთავარია, პოლკოვნიკის ხასიათს არ ეგუებოდა გულხელდაკრეფილი ჯდომა და იმის ცქერა, რას აკეთებენ სხვები. მიუხედავად იმისა, რომ სამოცდაათი წლისა იყო, ჯერ კიდევ მეტისმეტად ძხურვალე სისხლი გააჩნდა და საკუთარი სურვილით უქმად ყოფნას არ ისურვებდა. არასოდეს არ ყოფილა მთლად საიმედო მიმდევარი დანიელი რეტროგრადებისა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა სწყალობდა, ახალგაზრდობისდროინდელი მეამბოხე სული მთლად არ ჩამქრალიყო მასში. თუმცა ერთხელ და სამუდამოდ მიიღო ყოველივე ახალის მიმართ აღშფოთებული კაცის პოზა, მაგრამ მისი შურისა და გაბრაზების უკან ამ ახლისადმი იდუმალი სიმპათია იმალებოდა. რაკი სიბერემდე მოუსვენარ და ფიცხ ადამიანად დარჩა, მიჩვეული იყო სიმართლის პირში მიხლას, ყველაფერი ახალგაზრდული და გაბედული დიდ გავლენას ახდენდა მასზე. ამიტომ პერისადმი საკმაოდ ნაზი გრძნობებიც გააჩნდა.

მაგრამ, როცა რამდენიმე დღის შემდეგ ივენი პოლკოვნიკს ესტუმრა, პოლკოვნიკი მეტად ცივად შეხვდა. მხოლოდ როცა ივენი

გამოუტყდა, მთელი საქმის წარმატება მხოლოდ თქვენს გადაწყვეტილებებზე არის დამოკიდებულიო, მოხუცმა იფიქრა, სწორედ ახლა მაქვს დრო, დავნებდეო.

სამაგიეროდ მან წამოაყენა მთელი რიგი პირობები — და მათ შორის პერის დაუყოვნებელი დაბრუნება, რადგან სანამ პროექტს საფუძვლად მიიჩნევდნენ, მასში ბევრი რამ იქნება შესაცვლელიო.

მერე პოლკოვნიკმა განაცხადა, ჩვენი ერთად მუშაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ნაყოფიერი, თუ პერი თვითონ მთხოვს ხელმძღვანელობის ხელში აღებას და თვითონ გადადგამს პირველ ნაბიჯს შესარიგებლადო.

ივენი ეეჭვდებოდა, უარი ეთქვა მეორე მოთხოვნაზე. მაგრამ ველარ გადაათქმევინა. ჯერ კიდევ ახსოვდა, რომ პერმა გამოთხოვებისას უთხრა: „როცა ჩვენ ხელმეორედ შეეხვდებით, ბატონო პოლკოვნიკო, თქვენ მოხვალთ ჩემთან, და არა მე თქვენთანო". ხომ არ შეიძლებოდა ეს ქედმაღლური წინასწარმეტყველება ასე სიტყვასიტყვით წესრულებულიყო!

ივენი შეეცადა კიდევ რაიმე დათმობისთვის მიეღწია, მაგრამ პოლკოვნიკი, რომელიც საგრძნობლად ნერვიულობდა მთელი საუბრის განმავლობაში, სიბრაზისაგან წამოჭარხლდა და სიტყვა შეაწყვეტინა:

— კმარა დავა, ჩვენ უკვე ყველაფერზე საკმაოდ ბევრი ვიმსჯელეთ.

მაშინ ივენი წამოდგა და ნაღვლიანად გასწია შინისაკენ.

თავი XV

შუა აპრილში პერი რომში აღმოჩნდა. მან ვერ გაუძლო ბარონესას ვედრებას, მართალი რომ ვთქვათ, ვერ გაუძლო ცთუნებას, შემდეგშიაც ჰქონოდა ურთიერთობა ბარონესას დასთან და მოისურვა თან გაჰყოლოდა რომში.

პერს თავადაც არ ესმოდა კარგად, რატომ იზიდავდა ასე ორმოცდაათი წლის ჭაღარა და ჩასუქებული ქალის საზოგადოება. პერისა და ამ ქალის ასაკში ისეთი სხვაობა იყო, სიყვარულზე, ცხადია, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, თუმცა ვერ უარყოფდით, რომ ბარონესას და ჯერ კიდევ მშვენივრად გამოიყურებოდა და სახის ფერიც ისეთი შეენარჩუნებინა, ბევრ ახალგაზრდა ქალიშვილს შეშურდებო-

და. მაშასადამე, სინდისი პერს სუფთა ჰქონდა და შეეძლო დაწერილებით აეწერა, რა შთაბეჭდილებასაც ახდენდა მასზე ეს ქალი, მაგრამ ვერ ამჩნევდა, რომ იაკობას თავის მხრივ ერთი სიტყვაც არ დასცდენია არც ამ ნაცნობობაზე, არც პერის გულის გადაშლაზე გაუცია პასუხი.

პერს ყველაზე მეტად ის იზიდავდა, რომ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე დედასავით ექცეოდა. ეს ქალი ძალიან მზრუნველობდა ყმაწვილი კაცის სულიერ კეთილდღეობაზე და პერს უამებდა გრძნობებს, რომელთა არსებობა მანამდე არც კი იცოდა. ყოველივე ამას ისიც დაერთო, რომ უცნაური შეუსაბამობა იყო ამ ქალის გულწრფელ ღვთისმოსაობასა და მისივე ლაზათიან, მეტისმეტად დახვეწილ მორთულობასა და მანერებს შორის, იმ მაღალფარდოვან ბიბლიურ გამოთქმებსა, რომელთაც ეს ქალი პერთან ყოველ საუბარში ურთავდა და მეტისმეტად ცბიერ ჩაცინებას შორის, რომელიც ზოგჯერ წუთიერად გაიელვებდა მის ბაგეებზე, ან მის ჯერ კიდევ შუქიან მუქლურჯი თვალების სიღრმეში აციმციმდებოდა. ეს ღვთისმოშიში ქალი, მაღალი საზოგადოების მანდილოსანი, მარადიული გამოცანა იყო პერისთვის.

რომში მყოფი დანიელები ენას იქავებდნენ ორ არისტოკრატ ქალსა და მათ ახალგაზრდა თანამგზავრზე ლაპარაკით. განსაკუთრებულ ცნობისმოყვარეობას პერისა და ბარონესას ურთიერთობა აღეიძებდა. ამ მანდილოსნის დამოკიდებულება პერისადმი მგზავრობის განმავლობაში მოკრძალებულ საოცნებო თაყვანისცემაში გადაიზარდა. საკმარისი იყო ვინმეს რაიმე ეამბნა მისთვის, რომ თვალებაცრემლებული ქალი მთხრობელს აწყვეტინებდა: „ოხ, თქვენ ეს ბატონი სიდენიუსისთვის უნდა გეამბნათ“. ანდა: „როგორ გაუხარდება ჩვენს ძვირფას მეგობარს!“ რომში ჩამოსვლისთანავე მან პირველ რიგში რომელიღაც მოქანდაკეს პერის ბიუსტი შეუკვეთა.

ყმაწვილი ჩინებულად ხვდებოდა, რომ ხნიერი მანდილოსანი სათამაშოდ იქცა მის ხელში. პერმა დაწერილებით უამბო თავისი გეგმების შესახებ და ბარონესა მაშინვე შეჰპირდა დახმარებას. ქალმა გაიგო, რომ აპირებდნენ შეექმნათ სააქციო საზოგადოება, რომელსაც უნდა განეხორციელებინა პერის იდეები და ისე აღფრთოვანდა, გადაწყვიტა გაეყიდა თავისი ერთ-ერთი მამული და ამით მხარი დაეჭირა წამოწყებისათვის.

პერმა ვერაფრით ვერ აიძულა თავი, ესარგებლა ამ უბედური, ავადმყოფი ქალის სისუსტით. მაღალ 'მეუძლებლად მიიჩნია ეს მას შემდეგ, როცა შეძრწუნებული ახალგაზრდა მიხვდა, რითაც აიხსნებოდა ბარონესას ასეთი დიდი სიმპათია მისდამი: აღმოჩნდა, რომ პერს ეს ქალი თავისი გარდაცვლილი ძმის უკანონო შვილად თვლიდა. ამ შეცდომაში არა ნაკლებ დამნაშავე იყო თვით პერი. ზოგჯერ ფიქრებში წასული ქალი „ძვირფას ძმისწულს" ან „ძვირფას შვილსაც" კი უწოდებდა. პერს ასეთი გრძნობების გამომეღვანება სულაც არ სიამოვნებდა, მაგრამ რომ უარეყო ეს ამბავი, თავიდან უნდა დაეწყო იმ ძველი სულელური ისტორიის ქექვა. ეს კი არ სურდა

თანაც, თავად ეს ახალი და უჩვეულო ცხოვრება ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტად იტაცებდა. რომში წასასვლელად არ მომზადებულა, არც დიდი იმედები დაუმყარებია იქ წასვლაზე. ამიტომ ბევრი სალოცავად მიმავალივით სიცოცხლე არ გამწარებია გულგატეხილობისაგან. მზეს დახარბებული ჩრდილოელი ახალგაზრდა მშვიდად ტკბებოდა ნათელი ცით და თბილი მსუბუქი ჰაერით. დუნაის შესართავთან ჭაობებში ხეტიალის დროს პერი ხელახლა გაცივდა, ამიტომ, ვენაში ყოფნისას სულ ნაღვლიანად იყო, როგორც ყოველთვის, როცა ავად ხდებოდა ხოლმე. მაგრამ უკვე იტალიისაკენ მიმავალი პერი თითქოს გარდაიქმნა. არასოდეს ასე ჯანმრთელი არ ყოფილა სულით და ხორცით. მუქი წამწყვეტებული წვერით დაფარული სახე მზისგან სულ გაუშავდა და ამიტომ თვალები უფრო ლურჯი უჩანდა. როცა პერს ძლიერ ტანზე კოხტად მომდგარი ახალი ბაცი ნაცრისფერი საზაფხულო კოსტუმი ეცვა და ნასადილევს თავისი მანდილოსნებით მონტე პინჩიოზე სეირნობდა, ბევრი შავთვალა მზეთუნახავი მარაოს ქვეშიდან ანთებულ მზერას ესროდა.

პერი ჰოფეჰერმეისტერის მეუღლეს ხანგრძლივად ესაუბრებოდა ხოლმე რელიგიურ თემებზე. მაგრამ მათი მასალათი სულაც არ ახდენდა ისეთ გავლენას, როგორიც ქალს სურდა. ამ მანდილოსანთან რელიგიაზე საუბარი პერს იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც ამით სრულებით არ იწუხებდა თავს. თუ რამე წაიკითხა დრეზაკში ზაპთარში მარტო ყოფნის დროს, აქ ძალიან გამოადგა. პერი სიამოვნებით ამჩნევდა, ' ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ მშვენივრად შეა-

ფასა მისი განათლება ფილოსოფიის დარგში და უხაროდა, ყველა კამათში უპირატესობა რომ ჰქონდა.

მიუხედავად თავისი სამისიონერო მოღვაწეობის წარუმატებლობისა, ჰოფეჰერმეისტერის მეუღლე სულაც არ გამოთქვამდა რაიმე უკმაყოფილებას. მართლმორწმუნე ქრისტიანს რაც შეეფერებოდა, მართლაც ძალიან თავისუფლად მოაზროვნე და შემწყნარებელი პიროვნება იყო (ასე სწერდა პერი იაკობას). პერი და ეს ქალი ღღითი დღე უფრო და უფრო მეგობრდებოდნენ.

პერი სხვა სასტუმროში ცხოვრობდა, მაგრამ ყოველდღე მოდიოდა, რათა თანხლებოდა სეირნობის დროს ან ყოფილიყო მათთან ერთად სკანდინავურ საზოგადოებაში; აქ ისინი ახალ გაზეთებს კითხულობდნენ. პერი დიდებისმოყვარე იყო და ფრიად ეამებოდა, რომ კეთილშობილების ათინათი ამ ორი არისტოკრატი ქალის მეშვეობით მასაც ეცემოდა. სიამოვნების მღელვარებას განიცდიდა, (თუმცა ცოტა არ იყოს, სინდისი ქენჯნიდა), როცა სასტუმროების მსახურნი და მათი მსგავსი ხალხი ბრწყინვალე ტიტულებით მიმართავდნენ. თანამემამულეებს კი მხოლოდ ცოტა ხანს სჯეროდათ მისი ბარონობა, რადგან თუმცა ჰოფეჰერმეისტერის ცოლთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად პერი გარეგნულად დაიხვეწა, ხალხი ძველებურად მაინც გამოიცნობდა ხოლმე მოხდენილი ფრაკის ქვეშ შინნაქსოვ ქურთუკს; თუ თავიდან პერი კიდევ იწვევდა მათში ეჭვს, დროთა განმავლობაში იმდენი იყბედა, იმაზე გაცილებით მეტი გაიგეს მისი ცხოვრებისა და გეგმების შესახებ, ვიდრე თვითონ სურდათ.

პერი რომში სალოცავად არ ჩამოსულა. მუზეუმებს ისევე გულგრილად ჩაუვლიდა, როგორც ეკლესიათა ღია კარებს, რომელთაგანაც, ორივე მანდილოსნის და სხვა ტურისტების აზრით, მიდიოდა გზა ჭეშმარიტი რომისაკენ: ოთხას აკლდამასავით ბნელ, საკმეველით გაჟღენთილ, ცვილის სანთლის ალით და ზეთის ლამპარით განათებულ საპყრობილისაკენ, სადაც შუასაუკუნეების უკვდავი სული მთელი თავისი ძალით ცოცხლობდა, სადაც ქუჩის ხმაურში შენარჩუნებული იყო სიჩუმის სამყარო — ცათა სასუფეველის კარიბჭე, სადაც არ ისმოდა ლაპარაკი, სადაც ეღერდნენ მხოლოდ საგალობლები და არასოდეს არ წყდებოდა ლოცვა.

პერს კი ამ ქალაქთა ქალაქში, მუდმივ ქალაქში, მსოფლიო სუ-

ლის მავზოლეუმში ძველი რომი, ანტიკური ნანგრევები იზიდავდა. მაგრამ აქაც იმდენად არქიტექტურული სილამაზენი კი არ აინტერესებდა, რამდენადაც კედლების წყობა, ნაშენის სიმაგრე, — ერთი სიტყვით, ის ტიტანური ძალა, რომელმაც თავისი გამოხატულება ამ ორიათასწლიან უზარმაზარ ნანგრევებში ჰპოვა. ამიტომაც ყველაზე მეტად პერს კარაკალასა და დიოკლეტიანეს თერმები და კოლიზეი იზიდავდა. საათობით შეეძლო უდაბურ ამფითეატრში მჯდარიყო და იმით გართულიყო, რომ ფიქრებით ამოეყვანა ეს კედლები. პერი ამფითეატრს ირგვლივ სამშენებლო ტყეს არტყამდა, ასუფთავებდა ვეებერთელა სამუშაო მოედანს და ავსებდა გიგანტური ქვის ლოდებით. მოედანზე მოგროვილიყვნენ ხარების გამრეკები. ასობით დაღლილი ყმა და ბაბილონის კოშკის საძირკველზე ქვას ქვაზე ადებდნენ.

ამ ოცნებებს პერი ისევ წიგნებთან მიჰყავდა. ანტიკური კოლოსები, უღვიძებდნენ მოთხოვნილებას, რაც შეიძლება მეტი გაეგო რომაელ ხალხზე და მის ბედზე, არ დაკმაყოფილებულიყო სკოლის სახელმძღვანელოებით შეძენილი ზერელე და ნახევრადდავიწყებული ცნობებით. სკანდინავიის საზოგადოების ბიბლიოთეკიდან პერმა მომზენის „რომის ისტორია" გამოიტანა. ისე ენერგიულად შეუდგა კითხვას, როგორი ენერგიითაც დროდადრო იცოდა ხოლმე საქმისათვის ხელის მოკიდება და ეს სქელი წიგნი სულ მოკლე ხანში წაიკითხა.

პირველად იყო პერის ცხოვრებაში, რომ მის აზრებს ისტორია დაეუფლა. აქამდე მისი მზერა წინ იყო მიპყრობილი, დიდი ხნის ნანატრ დიდ ცვლილებათა დროისაკენ. წარსული არასოდეს აინტერესებდა. ახლა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა. პალატინის მაღლობზე ნანგრევთა შორის მზით გამთბარი სვეტის ნატეხზე ზურგმიყრდნობით ჯდომა და წიგნების კითხვა იმ ხალხის გმირობის შესახებ, ვინც მსოფლიოს დაპყრობა ამ ბორცვიდან დაიწყო. წიგნებს საუკუნეთა სიღრმეში, საძულველი ქრისტიანობის საზღვრებს იქით, კულტურის სამეფოში გადაჰყავდა. ეს სამეფო არ გახლდათ შებილწული იმ სულიერი ძალის გავლენით, რომელიც, მისი აზრით, ჩვენი დღეების უპირველესი წყევლა იყო. რესპუბლიკისდროინდელ გმირულ ფიგურებს შორის პერი პირველად წააწყდა იმ იდეალურ ხასიათებს, რომელთაც ამაოდ ეძებდა წინათ. აქ, ამ შემ-

ოქმედ, ჭკვიან და პრაქტიკულ წარმართ ხალხში პოულობდა პერი თვითმყოფი ადამიანური ბუნების აუმღვრეველ ნიმუშებს, ტიტანების იმ თაობას, რომელთა შესახებაც აქამდე მხოლოდ ოცნებობდა, რადგან ბუნდოვნად გრძნობდა მათთან თავის ნათესაობას.

იაკობასადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში პერი აღფრთოვანებით ატყობინებდა ქალს: „არსად და არასოდეს ასე მკაფიოდ არ შემიგნია, რამხელა ღანაშაულია კაცობრიობის წინაშე მთელი ქრისტიანული რელიგია. არსად და არასოდეს ასეთი სირცხვილით არ შემიგნია, კიდევ რამდენად უნდა ავმაღლდე, რომ თუნდაც მხრებამდე მივწვდეთ იმ თაობას, რომლის ადამიანურ დიდებაშიც გაბედა და ეჭვი შეიტანა ამ ფერმკრთალსახიანმა, ამ უკანონოდ შობილმა ნაზარეთელმა. გაგიგონია კუზიანი მეფის ზღაპარი? რაკი ზეცას ერთხელ მოესურვა დაბრეცილფეხებიანი კუზიანი აღმატებულება წარმოეშვა, მთელ ქვეყანაში გამოსცეს კანონი, რამაც თავდაყირა შეატრიალა ყველა მცნება. პატარას დიდი უწოდეს, მრუდეს — სწორი. სწორი ზურგი მას შემდეგ კუზიანად ითვლებოდა, ბუმბერაზები—ქონდრისკაცებად. ჩვენ დღემდე ამ უგნურ ქვეყანაში ვცხოვრობთ!“

ათიოდე დღის შემდეგ ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ დეპეშა მიიღო ქმრისაგან: ავად გამხდარიყო და სთხოვდა, ჩამოდიო. ორივე და გასამგზავრებლად მოემზადა, თუმცა ბარონესამ ცოტა იწუწუნა, ისე ვტოვებ რომს, პაპთან აუდიენციას ვერ მივაღწიე, რაზედაც მუდამ ოცნებობდიო.

ძალიან გულთბილად გამოეთხოვნენ ერთმანეთს. ჰოფეჰერმეისტერის მეუღლემ პერს პირობა ჩამოართვა, რომ აუცილებლად ეწვეოდა მას და მის მეუღლეს კერლსხოლმში, სადაც რამდენიმე ხანს ბარონესაც დარჩებოდა. ბარონესამ, რომელიც უკვე მატარებელში იჯდა, ვაგონის ფანჯრიდან გამოყო თავი, თვალცრემლიანი ცხვირსახოცს იქნევდა და ყვიროდა: „ნახვამდის, ნახვამდის“.

პერს ცოტა ხანს რომში შეჩერება მოუხდა მისი მზრუნველი კეთილისმყოფელის მიერ შეკვეთილი ბიუსტის გამო. თვითონაც დაინტერესდა ბიუსტით. გარდა ამისა, არსად მიეჩქარებოდა. აქ თავს შესანიშნავად გრძნობდა, თანაც, ამბობდნენ, ალპების იქით გაჭიანურებული ცივი გაზაფხული დგასო და იქ გამგზავრება არ ეხალისებოდა. სი-

შარტოვის შიშიც არ გამონელებოდა, ამიტომ აქაც, რომშიაც იმას ცდილობდა, უფრო მეტად ხალხში ყოფილიყო.

ივენმა უკვე სიტყვა გადაუკრა, ალბათ საჭირო იქნება მოგზაურობა შეწყვიტო, რადგან პროექტის წარმატებისათვის შეიძლება აუცილებელი გახდეს შენი აქ ყოფნაო. ბოლო წერილში ივენმა პირდაპირ ჰკითხა, შეგიძლია თუ არა, თუ საჭირო გახდა, ერთ დღეში გამოემგზავროო.

ამ წერილზე პერმა სულაც არ უპასუხა. მას აღიზიანებდა ცოლისძმის ყოველდღიური წერილები, გამუდმებული შეკითხვები, მითითებები და შეხსენებები. პერი ვერც კი ამჩნევდა, როგორ შეეცვალა დამოკიდებულება იმ საქმისადმი, რომელიც თავისი ცხოვრების მიზნად მიაჩნდა. ცვლილება მოხდა სწორედ იმ წუთიდან, როცა ამ საქმის განხორციელების შესაძლებლობა აღმოჩნდა. პროექტს მის თვალში სრულიადაც არ დაუკარგავს თავისი ღირებულება, მაგრამ ადრინდელი ინტერესი გაუქრა, როგორც კი პროექტი რევოლუციური იდეიდან იქცა ისეთ რაიმედ, რაც შეუძლია მოსინჯოს და მოყნოსოს რომელიც გინდათ ბირჟის საქმოსანმა და სპეკულანტმა. ის აჯამური ენაც კი, რომლითაც ივენი წერდა, ეს გაუგებარი ვაჭრული ჟარგონი პერში მთელი წამოწყებისადმი ზიზღს იწვევდა. თითქმის ყოველ წერილში იყო ახალ-ახალი დათქმები, ახალი შეზღუდვანი, ახალი დათმობებისა და ფანდებისაკენ მოწოდებანი, ისე რომ, გაბრაზებული პერი წერილებზე არ პასუხობდა.

პერი ახლა გამუდმებით იმაზე ფიქრობდა, რა აღმაშფოთებელი შეუსაბამობაა წარსულ დროთა სიდიადესა და წვრილმან ანგარიშიანობას შორისო, სევდა უფრო მეტად ერეოდა და თავის ფიქრებს აღარავის ანდობდა. იმ ბოლო წერილში ივენმა გაბედა და სიტყვა გადაუკრა, ცუდი არ იქნებოდა პოლკოვნიკ ბერეგრავისათვის მიგვემართაო, ე. ი. იმ ადამიანისათვის, რომელიც თავის დროზე პერის განადგურებას ცდილობდა. ამან მოთმინების ფიალა აუვსო. ახლა კი დაუზარელი ცოლის ძმა ღირსეულ პასუხს მიიღებს.

რაკი საშშობლოდანაც არასასიამოვნო ამბები მოსდიოდა, პერს რომში უზრუნველი და უქმი ცხოვრება გაუტკბა. ბევრი თანამემამულე გაიცნო აქ, მათ შორის მანდილოსნებიც, რომელთა საზოგადოებამ მალე დააავიწყა ჰოფეჰერმეისტერის მეუღლის წასვლა. საღამოებს ჩვეულებრივ ქალაქის განაპირას სოფლის სამიკიტნოებში მათთან

ატარებდა. აქ, ძველებური ტრადიციის მიხედვით, სკანდინაველები იკრიბებოდნენ, რომ ჭეშმარიტი მხატვრებივით უზრუნველად მისცემოდნენ ცხოვრების სიხარულს. მარჯვედ სწევდნენ სავსე ჭიქებს, ისმოდა სიმღერები და იმართებოდა დისპუტები (თბილ ამინდში — ყეფრაკებოდ და უსერთუკებოდ) და პერი ტკბებოდა ამ არტისტული თავისუფლებით. მუდამ მშვენიერ გუნებაზე იყო. იაკობას თავდავიწყებულმა სიყვარულმა პერს გაზაფხული გაუღვიძა, ახლა გაზაფხული ყვაოდა. ნათელი და სასიხარულო გრძნობების ყველა ყლორტმა ზრდა იწყო და ყველა, ვინც პერს ირგვლივ ეხვია, ყოველ წუთს აღფრთოვანებაში მოდიოდა, რა დაუშრეტელი ქორფა სული გააჩნია ამ კაცსო, პერი ბევრს სვამდა, არ ითრობოდა, ხოლო ზოგჯერ ბავშვური სიცელქე მოერეოდა ხოლმე და მაშინ კომპანიას პამპულობით ართობდა. როდესაც გვიან ღამით ხმამაღალი სიმღერით ბრუნდებოდნენ შინ, ყვავილებით მორთული პერი ჩვეულებრივად წინ მიუძღოდა პროცესიას და ხელგაყრილი მიჰყავდა მოთენთილი ორი მანდილოსანი, ახალგაზრდები ან მოხუცები.

ერთხელ მორიგი ქეიფის დროს პერს ქოჩორა გერმანელი მხატვარი შეხვდა, ერთი იმათგანი, ვინც შემოდგომაზე ბერლინში ფრიტიოფმა გააცნო. რომში ეს მხატვარი მოულოდნელად მოდაში შემოვიდა. ეს იყო ტანდაბალი კაცუნა, ვიქტორ-ემანუილისებური წვერი ჰქონდა. ორდიუმიან ქუსლებზე იდგა. პერმა და ამ კაცუნამ, ჭიქას ჭიქაზე რომ უჭახუნებდნენ, მაშინ განაახლეს ძველი ნაცნობობა და პერმა მიიღო მიპატიჟება, მეორე დღეს სწვეოდა ამ საბელგანთქმული პირის სახელოსნოს.

აქ სიურპრიზი ელოდა. მოლბერტზე სახელოსნოს შუაგულში იდგა თითქმის დასრულებული პორტრეტი. პორტრეტზე მთელი ტანით გამოხატული იყო წითურთმიანი ებრაელი ქალიშვილი. პერმა მაშინვე იცნო მისი სახის ნაზი ნაკვთებიც და ფურირმის უწყინარი თვალებიც. ეს იყო იაკობას ბიძაშვილი, რომელიც ბერლინში ცხოვრობდა, კომერციის საიდუმლო მრჩევლის ქალიშვილი, ორმოცდაათმილიონიანი ქონების ერთადერთი მემკვიდრე.

— ეს ქალიშვილი რომშია? — გაუკვირდა პერს.

— .იყო. გუშინ გაემგზავრა შინ. იცნობთ?

პერმა უთხრა, რამდენჯერმე ვყოფილვარ მისი მშობლების ოჯახშიო, მაგრამ ამ ნაცნობობის წვრილმანები არ უთქვამს. მაინცდა-

ბაინც არ უნდოდა გაეხსენებინა, რომ ერთ დროს კადნიერი გეგმა ჰქონდა, ხელში ჩაეგდო ფინანსთა მეფის ქალიშვილი, რომლის ცოლად შერთვასაც გერმანელ არისტოკრატთა ნახევარი ოცნებობდა.

— როგორ არის? არ გათხოვილა? — კითხულობდა პერი და თვალი ვერ მოეწყვიტა მშვენიერი სახისათვის, ქალიშვილი ისეთივე მოკრძალებული, გამომცდელი მზერით იყურებოდა, როგორც შაშინ, ბუსიკის საღამოზე.

— გათხოვდა. აქ ქმრით ჩამოვიდა. აი იღბლიანი რეგვენი!

— რა გვარია მისი ქმარი?

— ბიბერი. ექიმი ბიბერი.

— აჰ, ჰო, შევხვედრივარ მათ ოჯახში. სილამაზით არ გამოირჩეოდა. ერთი ღიპიანი კაცია.

— ნეტა რომელ სილამაზეზე მელაპარაკებით! — წამოიძახა ტანმორჩილმა გენიოსმა და ამეთვისტოს ბეჭდებით მოოჭვილი ხელით შეიგრიხა თავისი მეომრისებური წვერის გაფანჩული ბოლოები.

— ქმარიც მდიდარია? — ჰკითხა პერმა.

— ქმარი? ღარიბზე ღარიბია. ნუთუ ტრაფერი გაგიგიათ? მეტისმეტად საინტერესო ისტორიაა. მზრუნველმა მშობლებმა ოჯახი გაკოტრებული ბარონებითა და ოფიცრებით ავსეს, რათა ქალიშვილს შესაფერისი საქმროს შერჩევა შესძლებოდა. მეშჩანური წარმოშობის ახალგაზრდობას ახლოსაც არ იკარებდნენ, ხოლო, იმაზე თუ უნდა ეღელვათ, ჩვენი ქალი სქელ ბიბერს არ გაჰყვეს ცოლადო, ცხადია, თავში აზრადაც არ გაუვლიათ. ბიბერი მათი შინაური ექიმის ასისტენტი იყო და არჩევანიც სწორედ მასზე შეჩერდა.

— ჰო, მართლაც, — ჩაიბურტყუნა ჩაფიქრებულმა პერმა, რომელსაც ახალგაზრდა ქალის სახისათვის თვალი ვერ მოეშორებინა.

— რაკი ტირგარტენში მათ სასახლეში ყოფილხართ, ალბათ შენიშნავდით, რომ ქალიშვილისთვის ეს მოვარაყებული გალია იყო. დედას სულ არ დაურცხვენია, ისე დაიქირავა საყვარლები, ხოლო მამა ერთი ჩვეულებრივი ვიგინდარაა. ქალიშვილი, რაც შეეძლო ცდილობდა ამ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევას. მე მგონია, ეს ქალიშვილი მისთხოვდებოდა ყველა წესიერ კაცს, ვინც კი გაბედავდა მის იქიდან წაყვანას.

პერმა პორტრეტს ზურგი შეაქცია და პატარა მოლაყბე მხატვარს მიაშტერდა.

— მაშ ამ კაცმა წაიყვანა ეს ქალი?

— წაიყვანაო, მთლად ასე ვერ იტყვი. მაგრამ მან შესძლო და სწრაფად მოისაზრა, როგორ უნდა მოქცეულიყო. მიუხედავად სიმახინჯისა, მიუხედავად სიღარიბისა და მდაბიო წარმოშობისა — ბიბერის მამა მგონი მეძველმანე ყოფილა, — მას ეყო გამბედაობა... ან რწმენა საკუთარ ძალებში... უფრო სწორად რომ ვთქვათ — თავის იმედი ჰქონდა, რათა ბედი ეცადა. იქნებ თავი ლამაზი კაცი ჰგონია! გინდ სასაცილოც იყოს ეს ამბავი, ხედავთ, გაიმარჯვა... შენიშნეთ, ახალგაზრდავ, ბედის ბრძნული დაცინვა, რომელიც ამ ისტორიაში იმალება? გასაგებია თუ არა თქვენთვის, რომ ცხოვრებაში არა აქვს დიდი მნიშვნელობა იმას, თუ ვინ ხარ შენ, არამედ მნიშვნელოვანი ის არის, თუ ვინ გგონია შენი თავი. როგორ ფიქრობთ, კაპრალი ნაპოლეონი შესძლებდა საფრანგეთის იმპერატორად გახდომას, გიჟური აზრი რომ არ დაუფლებოდა, ჩემს ძარღვში საფრანგეთის მეფეთა უძველესი სისხლი ჩქეფსო?

ასე თქვა სახელგანთქმულმა, მაგრამ ტანმორჩილმა გენიოსმა, თიოისწვერებზე შედგა და ხელახლა შეიყო ხელები თავის მეომრისებურ წვერებში. პერმა კი სევდიანად აარიდა თვალი და დიდხანს იჯდა მდუმარედ, თავის ფიქრებში ჩაფლული.

* * *

ამასობაში კოპენჰაგენში ჯვარი დაიწერეს ნანიმ და დიურინგმა. დიურინგი ჩამოშორდა „ფალკენს“ და დაიკავა ძველი, საპატიო გაზეთის „ბორგებლადეტის“ მთავარი რედაქტორის ადგილი. ეს გაზეთი განსაკუთრებით პოპულარული იყო საქმოსანთა შორის.

მისი სიმამრი ფილიპ სალომონი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა სიძის ღაწინაურებაში, დიურინგი ყველაფერში უმაღლესი სასამართლოს ადვოკატის მაქს ბერნარდისაგან იყო დავალებული. დიურინგი ბერნარდის ყმათა რიცხვს ეკუთვნოდა. ერთი იმათგანი იყო, ვიზედაც მისი ლამაზი გარეგნობის, შემგუებლობის უნარისა, ყველა ადამიანური კანონებისა და ჩვეულებებისადმი ნაადრევად გამომჟღავნებული სიძულვილის გამო დიდ იმედებს ამყარებდა. დიდი კაცის დახმარებით დიურინგმა უკვე ოცი წლის ასაკში დაიკავა თვალ-

საჩინო ადგილი „ფალკენის“ თანამშრომელთა შორის და ამ პოსტზე ყოფნისას ბრმა მორჩილებით მოიპოვა თავისი კეთილისმყოფელის სრული ნდობა, მეგობარიც კი გახდა მისი.

მაგრამ როცა აცნობა ნანიზე ღავინიშნეო, მაქს ბერნარდმა აშკარა უკმაყოფილება გამოხატა. სახე ორი ღრმა ნაოჭით დაესერა და ეუბნება:

— ეს ქალი ხომ ებრაელია! ახ, დიურინგ, დიურინგ, პირდაპირ შანცავიფრებთ. უფრო ჭკვიანი მეგონეთ... უკვე კარგა ხანია ყურადღება მიგაქცევინეთ მრჩეველ ლინდპოლმის ქალიშვილზე. მდიდარიც არის და ლამაზიც. შშვენივრად შესძლებდით კარგი შთაბეჭდილება მოგეხდინათ მასზე.

მაგრამ პირველად იყო მთელ სიცოცხლეში, რომ დიურინგი თავის ბატონსა და მბრძანებელს არ დაემორჩილა. აშკარად შეყვარებული იყო ნანიზე. ნანისთანა ქალებთან დიურინგი იბნეოდა და ეს იყო მისი ერთადერთი სისუსტე.

მაქს ბერნარდი მიხვდა, რომ იძულებული იქნებოდა, ამ საკითხში დათმობაზე წასულიყო. არც თვითონ ჰქონდა ქვის გული, რომ გულგრილი ყოფილიყო ქალის ლამაზი მხრების დანახვაზე და ამიტომ ყველა სახის სისულელეს აპატიებდა, რასაც ქალების გამო სჩადიოდნენ. იმით დაკმაყოფილდა, რომ დიურინგს სიტყვა ჩამოართვა, დანიშვნა მანამ არ გაეხმაურებინა, ვიდრე მისთვის უფრო დარბაისლურ და დამოუკიდებელ ადგილს არ იშოვიდა ვანიის ჟურნალისტიკაში. ერთ კვირასაც არ გაუვლია, რომ დიურინგმა უკვე დაიკავა „ბორგერბლადეტის“ რედაქტორის შესაშური პოსტი.

მაქს ბერნარდს ამით სურდა ფილიპ სალომონისათვის დაესწრო. ეშინოდა, თუ დიურინგი იმავე პოსტს სიმამრის ხელიდან მიიღებდა, გავლენას მასზე ასე თუ ისე დაკარგავდა.

და აი დიურინგმა და ნანიმ ქორწილი გადაიხადეს. იქორწინეს ძალიან სადად, ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე. ერთ მშვენიერ დღეს ნანი დაბრუნდა ქალაქიდან შინ, თან „ბორგერბლადეტის“ ახლად გამომცხვარი რედაქტორი მოიყვანა ხელგაყრილი და მშობლებს ღიმილით წარუდგა, როგორც ფრუ დიურინგი. დილაადრიან შეირბინეს მტვრიან მაგისტრატში და ქორწინების რეგისტრაციაში გატარდნენ, თან ძლივს იკავებდნენ სიცილს, (ასე მხიარულად მოყვა ეს ამბავი ნანიმ). მერე წავიდნენ რესტორანში და ერთად ისაუზმეს დიუ-

რინგის რომელიღაც ნაცნობების საზოგადოებაში, შემთხვევით რომ აღმოჩნდნენ იქ.

სადილის დროს მაგიდაზე, რომელიც რამდენადაც სიჩქარემ ამის საშუალება მისცათ, საზეიმოდ იყო გაშლილი, ფილიპ სალომონმა თავისი ქალიშვილისა და მისი მეუღლის სადღეგრძელო თავისდაუნებურად ისე დიდის ამბით წარმოთქვა, მისი ტონი სულაც არ შეეფერებოდა აქ ახალგაზრდების მხიარულ უდარდელობას. დედასაც ძალიან აუჩვილდა გული. თუმცა ეს სიბერეში შესული წყვილი ძალიან ცდილობდა საკუთარი შვილების გავლენით დროს აჰყოლოდა, მაგრამ ასეთი სიურპრიზის მერე თავიანთი მოჩვენებითი სიყვარული ახალი წესებისადმი მთლად გაუქრათ. სულის სიღრმეში მომავლისაგან არაფერს კარგს არ მოელოდნენ, ყველაზე მეტად კი ქალიშვილების თავნებობა სწყინდათ.

მაგრამ თანდათან საერთო სიხარულმა ისინიც აიტანა და სუფრაზე ახალდაქორწინებულთა პატივსაცემად ერთი მხიარულება ატყდა. ამ მხიარულების სული და გული უმცროსი სალომონები იყვნენ. მხოლოდ იაკობა იჯდა პირქუშად და გულგრილად. ერთადერთი ის იყო, რომ საგანგებოდ არც მორთულა. იაკობა ისე აღაშფოთა ნანის თავქარიანობამ სიყვარულის წმინდა საიდუმლოებისადმი, სულაც არ აპირებდა სუფრასთან მისვლას, მაგრამ დედას აღარ გაუტეხა ხათრი. შეუძლოდ ყოფნას იმიზეზებდა და მართლაც ვერ გრძნობდა მთლად კარგად თავს. სადილობის დროს რამდენჯერმე ნერვიული კანკალი აუტყდა და თავბრუ დაეხვა.

როგორც კი ყველანი აიშალნენ სუფრიდან, ქალი თავის ოთახში წავიდა და მეტად აღარ გამოჩენილა.

იაკობა დაჯდა და პერთან მორიგი წერილის წერას შეუდგა. სხვა საშუალება, რომ სეკდა ჩაეხშო და თავიდან მოეშორებინა მტანჯველი ეჭვი, რომელიც სულიერადაც და ფიზიკურადაც ქანცს უწყვეტდა, მან არ იცოდა.

რაიმე განსაზღვრული ეჭვი არ ჰქონია, ფიქრადაც არ გაუვლია საქმროს ორგულობა და თუმცა პერი მოკლე და მშრალ წერილებს წერდა და ამ წერილებში ტლანქად ცდილობდა ძველებური დამაჯერებელი ტონი ჰქონოდა, იაკობა სულაც არ წუხდა ამაზე. იგი ისეთი ამაყი და უბიწო ბუნებისა იყო, მოტყუების შესაძლებლობაც კი ვერ წარმოედგინა. იმ წუთიდან, რაც ერთმანეთისა გახდნენ, იაკობა პერს

აღიქვამდა, როგორც თავის თავის განუყოფელ ნაწილს. ჯერაც არ დავიწყებოდა, რა მადლიერებისა და ბედნიერების გამომეტყველებით უბრწყინავდა პერს თვალები, როცა პირველად ჩაიკრა გულში იაკობა. სიყვარულის წმინდა საწინდრად ინახავდა ამ მოგონებას. იმ წამში მან მტკიცედ შეიგნო, რომ ისიც ქალია, რომ მასაც შეუძლია იყოს სასურველი, თუმცა წინათ ზოგჯერ ეჭვი ეპარებოდა ამაში.

მაგრამ საკმარისი იყო იაკობას ეფიქრა იმათზე, ვისთანაც ყოველდღიურ ურთიერთობაში იმყოფებოდა პერი, ვისაც წილად ხვდა პერის გვერდით ცხოვრება, მისი ხელის ჩამორთმევა, მისი ხმის მოსმენა, ღიმილის დანახვა, რომ მაშინვე საშინელი სიძულვილი აღეძვრებოდა უცხო ადამიანებისადმი, რომელთაც გადაჭარბებით ენიჭებათ ის, რაზეც მას მხოლოდ ოცნება შეუძლია. იაკობას შურდა ქვებისა, რომლებზეც პერის ფეხები აბიჯებდნენ, ჰაერისა, რომელიც მის მზეზე დამწვარ ლოყებს ეალერსებოდა. ეჭვიანობდა ოფიციანტებზე, რომელნიც პერს ემსახურებოდნენ, მოსამსახურეებზე, დილ-დილობით მის ლოგინს რომ ალაგებდნენ, იმ ლოგინს, რომელსაც ჯერ კიდევ უდის პერის სხეულის სუნი და შენარჩუნებული აქვს მისი სხეულის სითბო.

სასტუმრო ოთახში კი ამ დროს დედა ამაოდ ცდილობდა დიურინგისა და ნანის წინაშე იაკობას მაგიერ მოებოდიშა. ნანიმ ფრიად გესლიანად კომენტარი გაუკეთა დის წასვლას.

— მუდამ ნერვები აქვს აშლილი, — თქვა დედამ. — ძალიან ვწუხვარ იაკობაზე.

ნანიმ გაიღიმა და არაფერი უპასუხა, მაგრამ როგორც კი ეტლში ჩაჯდა, რომ დიურინგთან ერთად წასულიყო მის ელეგანტურ ბინაზე, სადაც ღამის გატარებას აპირებდნენ, ჩაეხუტა დიურინგს და უთხრა:

— მიხვდი, რაც ემართება იაკობას? ალბათ, შენიშნე, როგორ იქცეოდა მაგიდასთან? საბრალო, შურით სკდება. პირდაპირ გიყდება, რომ მე კი არა, თვითონ არ მიდის თავის სახლში თავის ძვირფას პერთან ერთად.

მეორე დღეს ახალგაზრდები რამდენიმე კვირით საზღვარგარეთ მიემგზავრებოდნენ. ამ მოკლე ვადაში ისინი თითქმის მთელი ევროპის შემოვლას აპირებდნენ. ყველაზე მეტად ესპანეთი იზიდავდათ, რადგან ნანის სურდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ხარების ბრძოლა ენახა.

ამიტომაც მოგზაურობის უმეტესი ნაწილი მატარებლების კუპეებში და სასტუმროების ნომრებში უნდა გაეტარებინათ. მაგრამ სწორედ ასეთი უთავბოლო ცხოვრება და ყველანაირ ადამიანებთან დაუსრულებელი შეხვედრები ანიჭებდა ყველაზე დიდ სიამოვნებას ახლადდაქორწინებულთ. თავიანთ თაფლობის თვეშიაც კი არ ეძებდნენ ისინი განმარტოებას. სიმართლე რომ ითქვას, ჭეშმარიტი სიყვარულით არც ერთს უყვარდა და არც მეორეს. ცოტა ხნის შემდეგ დიურინგის მთელი სიყვარული გაწაფულ ალერსამდე დავიდა და თუმცა ნანი შედარებით უმანკო იყო, ამან ხელი არ შეუშალა, ქმრის ალერსი თითქმის ბიწიერი სიამოვნებით მიეღო.

ნამდვილად კი მეუღლეებს ჩვეულებრივი პატივმოყვარეობა აკავშირებდა, რადგან ქორწინება ორივეს ერთნაირად აამებდა. დიურინგს მაგალითად ეამაყებოდა იმის დანახვა, რომ ნანის აღმოსავლური სილამაზე დიდ ყურადღებას იპყრობდა. უფრო ამაყობდა, თუ შეამჩნევდა, რომ ხალხი მათ ცოლ-ქმრად კი არა, საყვარლებად თვლიდა. დიურინგი მშვენივრად გრძნობდა, რომ თავდაჭერის მანერითაც და მორთულობითაც ნანი ყველაზე უფრო მოხდენილ მსუბუქი ყოფაქცევის ქალს ჰგავდა. კაცმა რომ თქვას, სწორედ ამით მოხიბლა თავისი მომავალი ქმარი. ახლა დიურინგის თავმომწონებას სასიამოვნოდ აღიზიანებდა შურიანი მზერა, რომლითაც მათ მამაკაცები აცილებდნენ ამ ცოდვილ პარიზშიაც კი.

ნანიც, თავის მხრივ, ამაყობდა ქმრის ელეგანტური და დახვეწილი გარეგნობით. მისი საშუალო სიმაღლის მოხდენილი ტანი და სახე, ჩარჩოდ ოქროსფერი თმები რომ შემოვლებოდა, ყველა სასტუმროში იპყრობდა ყურადღებას. ნანი თვითონაც ამბობდა, რომ დიურინგი გერმანელ პრინცს ჰგავსო. მას ისიც ახარებდა, რომ დიურინგი ებრაელი არ იყო. ნანი ხშირად ნანობდა თავის წარმოშობას, თუმცა ყველას საწინააღმდეგოში არწმუნებდა; სამაგიეროდ ახლა პატიოსნად აღიარებდა, დიდად მოხარული ვარ სამუდამოდ გამოვეთხოვო სალომონის გვარს და ფრუ დიურინგად ვიწოდებოდეო.

ლაბოლოს, ის ამაყობდა ქმრით იმიტომაც, რომ მთავარი რედაქტორობის გამო შეეძლო ისეთ ადგილებში შესულიყო უფასოდ, სადაც უბრალო მოკვდავთ ბილეთი უნდა აეღოთ, თუ საერთოდ შეაღწევდნენ იქ. ნანის თუმცა კარგად და ძვირფასად ჩაცმა ძალიან უყვარდა, ქალიშვილობაშივე ძალიან ძუნწი იყო. ეს ხასიათი გათხო-

ვების შემდეგაც გაჰყვა. დიურინგის ხელგაშლილობაზე მალულად წუხდა. ყოველთვის, როცა რაიმეს ფული უნდა გადაეხადა, პირდაპირ ჭკუას კარგავდა. ყველა სასტუმროში ნანი დღეში ათჯერ იძახებდა მოსამსახურე ქალს, რადგან გამუდმებით იცვლიდა ტუალეტს; შაგრამ როცა მიდიოდა, ან სულ არ უტოვებდა ფეხის ქირას ან, დიდი-დიდი, მაგიდაზე ნახევარფრანკს თუ დაუგდებდა.

ციემა გაზაფხულმა და წვიმებმა ახალგაზრდა წყვილი სამხრეთისაკენ გააქცია. პარიზიდან მათი გზა პირდაპირ მადრიდისაკენ მიდიოდა. მაგრამ, რადგან ხმები მოვიდა, მადრიდში ქოლერის ეპიდემიამ იფეთქაო, ისინი პირინეიზე გადავიდნენ, საფრანგეთის რივიერა უკან მოიტოვეს და იტალიაში აღმოჩნდნენ.

პერი ჯერ ისევ რომში ცხოვრობდა. იაკობამ წერილით გააფრთხილა დიურინგების ჩასვლის შესახებ, თუმცა ეს სულაც არ იყო საჭირო. დანიის გაზეთები, რომელთაც პერი რეგულარულად კითხულობდა სკანდინავიის საზოგადოებაში, ყოველდღიურად იუწყებოდნენ ახალშეუღლებულთა თვითეულ ნაბიჯს.

ფრიად პოპულარული, მაგრამ არც თუ მაინცდამაინც საპატიო თეატრალური რეცენზენტი მოულოდნელად წარჩინებულ პირად იქცა. ჯერ არ მომხდარა, რომ უდიპლომო ახალგაზრდა კაცისთვის, რომელსაც უძრახველი რეპუტაციაც კი არ ჰქონდა, შეუმოწმებლად, უეცრად მიენდოთ ისეთი გაზეთის ხელმძღვანელობა, როგორიც „ბორგერბლადეტი“ იყო. ამჯერად მაქს ბერნარდს მართლაც გაუჭირდა თავისი გაეტანა. ვიდრე ბედნიერი ახალგაზრდა კაცი ევროპაში ხავერდგამოკრულ კუპეებით მოგზაურობდა და თავისი მომხიბლავი მეუღლის ალერსით ტკბებოდა, დანიის იმ გაზეთებმა, რომელთა ხელში ჩაგდებაც მაქს ბერნარდს ჯერ ვერ მოეხერხებინა, მის წინააღმდეგ გაფთრებული კამპანია გააჩაღეს მორალის სახელით. დიურინგის დანიშვნა იქცა ახალი და ძველი ფორმაციის ადამიანთა შორის მარად ჩაუმქრალი მტრობის ახალი აფეთქების სიგნალად. დიურინგის სახელი იქცა ბრძოლის დროშად, რომლის ქვეშ შეეჯახნენ ფხიანობა და უძლურება, ქედმაღლობა და კარგად დაფარული შური. უფრო პატარა გაზეთები დიურინგის შესახებ ვრცელ სტატიებს წერდნენ და მის ფოტოსურათებსაც ურთავდნენ, სატირული ფურცლები დიურინგზე ჭრელ კარიკატურებს ათავსებდნენ, ხოლო ამასობაში ათასი პირით მთელ ქვეყანაში ირხეოდა ხმა, ლაპარაკობდნენ ათასგვარ აბდაუბდას

დიურინგის დახვეწილი ჩვევების, მისი ბინის ატლასის კედლების და სარდანაპალის შესაფერის ორგიებისა და ღრეობის შესახებ.

ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ დიურინგისა და მისი მეუღლის მოსალოდნელმა ჩამოსვლამ დიდი მღელვარება გამოიწვია რომში მცხოვრებ დანიელთა შორის. პერს განსაკუთრებით აბრაზებდა ზოგი მანდილოსნის სათნო აღშფოთება, მეტისმეტად რომ იყვნენ დაკავებულნი ამ პოპულარული წყვილის საქმეებით. პერი ისე არასოდეს არ დამცირებულა, რომ სხვისი ბედნიერება შეშურებოდა, რადგან თავი ,რჩეულ გამონაკლის პიროვნებად მიაჩნდა, რომელიც ყოველგვარ მეტოქეობაზე მაღლა დგას. თუმცა, ამ ბოლო ნახევარ,ი წლის მოხეტიალე ცხოვრებამ, როცა მაღალი წრის ცხოვრებაში გაწაფულ სულ ახალ-ახალ ხალხს ეცნობოდა, თვითანალიზსა და შედარებას მიაჩვია. პატარა მხატვართან ვიზიტმაც, ამ უკანასკნელის მოთხრობამ დოქტორ ბიბერის ზღაპრულ წარმატებებზე პერი დაარწმუნა, რომ ხასიათში აქვს საკალალო სისუსტე, რომელიც აუცილებლად უნდა დასძლიოს. დიურინგის დიდება დღითი დღე იზრდებოდა და პერს ისევ ის განწყობილება ეუფლებოდა, რაც მხატვრის სახელოსნოში შეექმნა და ახლა მის ქცევებს წარმართავდა. ეს განწყობილება თან სდევდა მთელი გზა, როგორც საკუთარი უძლურების იდუმალი შეგნება. რომშიც კი, მაშინაც, როცა მეტისმეტად თავაწყვეტილად მხიარულობდა, გულში ფარულ სევდას გრძნობდა.

პერმა სკანდინავიის საზოგადოებაში შემთხვევით ყური მოკრა, ახლადდაქორწინებულთ რომში დღის მატარებლით მოელიანო და ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა სადგურზე დახვედროდა მათ. პერი თავს ირწმუნებდა, რაკი მე და დიურინგი ქვისლები გავხდით, ოჯახური კეთილდღეობისათვის უმჯობესია მეგობრულად ვიყოთო. ნამდვილად კი ეშინოდა, თუ ვინიცობაა ცივად და უცხვირპიროდ ღაიჭერდა თავს, ყველა მაშინვე მიხვდებოდა, რომ შური სტანჯავდა.

ამგვარად, პერმა ნანისთვის იაფფასიანი თაიგული იყიდა, სადგურზე დახვდა მათ და რომში ჩამოსვლა მიულოცა. პატარა, მკვირცხლი რედაქტორი, როგორც ყოველთვის, თავაზიანობით დნებოდა. მან მადლობის სიტყვები ჩაიბურტყუნა და დიდსულოვნად გაუწოდა პერს ხელი, თან გაიღიმა. კიდევ კარგი, ეს ღიმილი მხოლოდ ნანიმ დაინახა.

თვით ნანიმ შეხვედრისას წრფელი სიხარული გამოამჟღავნა,

პერს სიძის ეძახდა და იაკობასა და ყველა შინაურების მოკითხვაც გადასცა. მოვეიანებით კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, რადგან შეთანხმდნენ ერთად ესადილათ ფრანგულ რესტორანში.

ნასადილევს დიურინგს ყოველგვარი გულღიაობა გაუქრა, მოურიდებლად ამთქნარებდა და პირზე სათუთ ხელს იფარებდა. სამაგიეროდ ნანი წუთითაც არ გაჩუმებულა, შეუჩერებლივ ჭიკჭიკებდა და რაც შეეძლო, ცდილობდა სტუმრის გართობას, რათა პერს მისი მეუღლის უტაქტობა არ შეენიშნა.

ვერე ყავის დასალევად პიაცა კოლონაზე ღია კაფეში წავიდნენ. აქაც, როგორც ყველგან, ნანიმ საერთო ყურადღება მიიპყრო თავისი სილამაზით, სითამამით და მორთულობით. არშიებიანი ქუდიდან დაწყებული ბაბთებიან ტუფლებამდე — თავით ფეხამდე თეთრები ეცვა. მსუბუქი ქსოვილი გედის ბუმბულივით ირხეოდა მის საუცხოო ტანზე.

პერი გონს ვერ მოდიოდა ენცვიფრებისაგან, იმდენად ლამაზი ეჩვენა ნანი, თითქმის დავიწყებოდა. მისი სილამაზე.

კაფეში მრგვალ მაგიდასთან ნანის პირდაპირ რომ იჯდა, პერმა ბევრჯერ შეფარვით შეავლო თვალი მის შიშველ ყელს, აფუებულ მკერდს და უნებლიედ გაახსენდა, რომ ერთ დროს კინაღამ ცოლად სთხოვა ამ ქალს, თანაც მაშინ ნანი ნამდვილად თანხმობით უპასუხებდა.

გვიან საღამოს, როცა პატარა კომპანია დაიშალა, გადაწყვიტეს მეორე დილით პერს სასტუმროში შეევლო ნანისთან და მთელი დღის გასმავლობაში გაერთო ქალი, რადგან დიურინგი დანიის საკონსულოში უნდა წასულიყო იტალიის ეკონომიური ცხოვრების შესახებ მასალების შესაგროვებლად და მოგზაურობის შთაბეჭდილებების დასაწერად, რომელიც თავის ახალ გაზეთში უნდა გაეგზავნა. ასეთი გეგმა თვითონ ნანიმ შესთავაზა, ხოლო დიურინგი მაშინვე დათანხმდა მისთვის დამახასიათებელი გალანტური სიმშვიდით.

ქორწინების წინ ახალგაზრდა მეუღლეებმა ერთმანეთს ერთადერთი პირობა წაუყენეს: ქორწინების შემდეგაც თვითეული ინარჩუნებს სრულ თავისუფლებას. ერთ-ერთი მეუღლეთაგანის ოდნავი ცდაც კი, შეზღუდოს მეორის დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით მეორე სქესის პირთა მიმართ ურთიერთობაში, განიხილება როგორც საკმარისი საბაბი განქორწინებისათვის.

როცა პერი მეორე დღეს დანიშნულ საათზე ნანისთან მივიდა, დიურინგს უკვე ვეღარ მიუსწრო. ნანი წასასვლელად მზად იყო და თავის გუშინდელ თეთრ ტანსაცმელში მორთული პერს ელოდა. ქალი წამოდგა საუზმისათვის გაშლილ პატარა მაგიდიდან (საუზმე, სხვათა შორის, შედგებოდა მხოლოდ ერთი ფინჯანი შოკოლადისა და ბისკვიტებისაგან) და ყოველგვარი ზედმეტი სიტყვების გარეშე, ისე, რომ არც კი მისალმებია, ჰკითხა: „აბა, რას გავაკეთებთ? გადავწყვიტე, დღეს კარგად ვიმხიარულო“.

პერმა უამბო, რომ მეზობელ მოედანზე, სწორედ ახლა რომ ჩამოუარა გვერდით, გაიხსნა დიდი ბაზარი, სადაც რომის ყველა კუთხიდან ჩამოტანილ ყველანაირ ძველმანს და ხარახურას ყიდიან. როგორც კი ბაზრის ამბავი ისმინა, ნანიმ დაუყოვნებლივ იქ წასვლა მოისურვა. ასეთი უხვი ხარახურის დანახვის შესაძლებლობამ მეტისმეტად აღაფრთოვანა. მერე კიო (დაუმატა ნანიმ), ეტლი დავიქირაოთ და ქალაქის შემოვლით „ღირსშესანიშნაობანი“ დავათვალიეროთო.

ბოლოს ქალმა ყურადღებით შეათვალიერა ნომრის ორივე ოთახი, პერს პირში ნუშის ნამცხვარი ჩაუდო და გაუდგნენ გზას.

ჯერ კიდევ შორიდან მოესმათ ბაზრის მოედნის ხმაური და ღრიანცელი; მოედანს რომ მიუახლოვდნენ, ნანიმ პერს სთხოვა ხელკავი გამიკეთეო. ცოტა არ იყოს, გამბედაობამ უმტყუნა, როცა ამდენი ხალხი და ფარდულების რიგებს შორის ვიწრო გასავლელები დაინახა. შიშით ცერად უცქერდა საეჭვო კონკია-ჟღარუნებს, რომლებიც ყოველი მხრიდან მიემართებოდნენ მოედნისაკენ ან პირდაპირ ქუჩაზე დახვავებულ ძველმანების გარშემო გროვდებოდნენ. ნანი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომის მცდაბიონი უსუფათო ხალხიაო, ამიტომ მაშინვე აიწია ქვედატანი და რაც უფრო ღრმად შედიოდნენ ძველმანების ბაზარში, მით უფრო მაღლა იწევდა და თეთრ ტუფლებს აჩენდა.

დღეს პერს ქალი უფრო მომხიბლავი ეჩვენა. თავბრუ დაეხვა, რადგან ნანის ხელგაყრილი მოჰყვებოდა და თანაც, როცა მათ წინ ძალიან დაკონკილი ან ნახევრადშიშველი ფიგურა აღიმართებოდა და თავისი საქონლის ქებას მოჰყვებოდა, თითქოს მფარველობის ძებნაში, ქალი მთელი ტანით ეკვროდა პერს. პირველად პერმა არ იცოდა, როგორ დაეჭირა თავი და ცოტათი შემკრთალიც კი იყო, რად-

გან „ცოლისდის უფლებებით“ ნანი მოურიდებლად იქცეოდა. მაგრამ ერე შეწყვიტა იაკობაზე ფიქრი და წუთიერ განწყობილებას დანებდა.

ასეთ ჭყლეტაში არც შეიძლებოდა კარგად მოქცევაზე ფიქრი. პერი იძულებული იყო ხან მხრით, ხან კი მთელი ტანით დაეცვა ნანი მუჯლუგუნებისა და ხელის კერებისაგან. ბოლოს 'მესთავაზა, ბრბოდან გავიდეთო, მაგრამ ქალს ამის მოსმენაც არ უნდოდა. მიუხედავად იმისა, რომ საშინლად ეშინოდა ამ მხიარული კონკია-ქალრუნებისა, რომლებიც უფრო და უფრო მჭიდროდ ერტყმოდნენ გარს მათ. მიუხედავად ყაყანისა და ნივრის და ოფლის ძლიერი სუნისა ნანი შესანიშნავად გრძნობდა თავს და თითქოს ვინმე უღიტინებსო, ისტერიამორეულივით სიცილით კვდებოდა.

— რა მხიარულად ვარ! — განაცხადა, როცა ზედახოცვაში მიიკელევდნენ გზას, — ოტოს, ალბათ, აქ თავის სიცოცხლეში ვერ შემრაითრევ.

უცბად ის ფარდულის წინ, რომლის გვერდითაც ისინი მიდიოდნენ, საშინელი ალიაქოთი ატყდა, ვიღაც ორი ყმაწვილი ერთმანეთს წაეჩხუბა; მათ გარშემო მაშინვე ცნობისმოყვარეთა წრე შეიკრა.

პერს უნდოდა აქედან წაეყვანა ნანი, მაგრამ ქალი მას დაეყრდნო და უსიტყვოდ გაიყოლა პერი ბრძოლის ადგილთან ახლოს, თან თითისწვერებზე აიწია, რომ კარგად დაენახა.

მებრძოლები ერთმანეთს წმინდა იტალიური აღგზნებით დაეტაკნენ. მთელი ძალღონით იქნევდნენ მუშტებს, შავი თვალები უბრწყინავდათ, წითელი ტუჩებით გინებას და წყევლას ანთხევდნენ, მათი გინება და წყევლა თითქმის მთელ მოედანზე ისმოდა.

პერი, ცოტა არ იყოს, შეაკრთო ნანის მღელვარებამ. ქალს წითელ-ყვითელი ფერი გადასდიოდა სახეზე და ტუჩები უკანკალებდა. ჩანდა, მთლად დაავიწყდა, რომ მის გვერდით დიურინგი არ იდგა. — ისე მჭიდროდ ეკვროდა პერს ყოველთვის, როცა ბრბოს თავზე მუშტები აღიმართებოდა ხოლმე.

— უეცრად რომ ხანჯლები იძრონ? — ჩაიჩურჩულა მან.

პერმა გაიცინა. ხშირად დაკვირვებია აქ მსგავს ქუჩის სცენებს და ყოველთვის ეგონა, რომ ტემპერამენტიანი მებრძოლები ახლა კი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენო, მაგრამ სინამდვილეში ისინი არტისტებივით ჰხოლოდ თავიანთი გმირული ჟესტებით ტკბებოდნენ,

და ჩხუბი ისე მთავრდებოდა, ერთმანეთს არავითარ ზიანს არ აყენებ-ენენ. მხოლოდ ნარჩევ-ნარჩევი სიტყვებით იგინებოდნენ.

ასე მოხდა ახლაც. როცა მეტისმეტად გაშმაგდნენ, ბრძოლა უკ-ბად შეწყდა და ორივე მეტოქემ ნელა გასწია შინისაკენ, მაყურებლე-ბნა ისინი ნამდვილი არტისტებივით ოვაციებით გააცილეს.

— როგორ? — უკვე ყველაფერი მორჩა? — გულგატეხილმა ნა-ნიმ პერს შეხედა.

— წარმოიდგინეთ, კი. ჩვენთან, დანიაში, უფრო საინტერესოდ ჩხუბობენ. — მიუგო პერმა და ნანი უკან დასწია, რომ მაყურებლე-ბის დაშლამდე გასულიყვნენ ბრბოდან.

როგორც იქნა, დიდი გაჭირვებით მიაღწიეს მოედნის ბოლოს, აქ შეიძლებოდა თავისუფლად წაეწიათ წინ. მაგრამ უეცრად ნანი შეჩერ-და და თითქმის დაიყვირა:

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ არაფერი გვიყიდია! — და პერი უმოწ-ყალოდ უკანვე წაათრია.

პერზე ჩაბღაუჭებული ნანი ქველი ხის ფარდულისაკენ მიიწევდა, აქ ყალბი სიძველეებით ვაჭრობდნენ. ბანდიტის მსგავს მოხუცს ჭაღა-რა, გაბურძგვნილი თმა ფრინველივით წვრილ კისერზედაც ჩამოსჩე-ჩოდა. იგი ნანის აღმოსავლური პირფერობით მიესალმა და ქალმა მა-შინვე, ისე რომ არც კი შეეკრებია, ცეცხლის ფასად შეიძინა ვერცხ-ლის თასი და ოქროს ბალთა, ხოლო ფულის გადახდა ყოველგვარ ცერემონიის გარეშე პერს მიანდო.

მერე განაცხადა, მზად ვარ ქალაქის დასათვალიერებლად წავი-დეო. პერმა ეტლი დაიქირავა და გასწიეს.

დაიწყეს პიაცა დელ პოპოლოთი, ეს ნანიმ მოითხოვა. რადგან ოდესღაც წაეკითხა რომანი, რომელსაც ასეთი სათაური ჰქონდა, მერე შონტე პინჩიოთი გრეგორიანის ქუჩაზე დაეშვნენ, მივიდნენ კვირინ-ალთან, გასცდნენ მას და მერე ბორცვებზე იარეს, დიოკლეტიანეს კოშკებს, კაპიტოლიუმს და ფორუმს ჩაუარეს.

მეეტლეს უბრძანეს სწრაფად ევლო. არსად ჩერდებოდნენ. ნანი ძალიან კმაყოფილი იყო იმ სანახაობით, რაც გზადაგზა თეატრალურ დურბინდში მოჩანდა. მას არ ავიწყდებოდა, სადაც საჭირო იყო, აღ-ტაცებით წამოეძახა რამე, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ საკუთარი თავით იყო გართული, — უკეთ რომ ვთქვათ, გართული იყო იმაზე ზრუნვით, რომ შთაბეჭდილება მოეხდინა თავის თანამგზავრზე.

ნანის კარგა ხანია ბრაზი ერეოდა. ვერ ეპატიებინა პერისათვის, რომ მან სხვა ამჯობინა და ყოველთვის ეძებდა შურისძიების შესაფერის შემთხვევას. ეგონა, ეს შემთხვევა, როგორც იქნა მომეცაო. ამიტომ იყო, რომ იმ წუთიდან, რაც მატარებლიდან ფეხი ჩამოდგა, მთელ თავის მომხიბვლელობას პერის მოსაჯადოებლად იყენებდა.

იაკობაზე ფიქრით ნანი თავს არ იწუხებდა. იგი მეტისმეტად განებივრებული არსება იყო და თავისი დისთვის ვერ ეპატიებინა, რომ იაკობა მის მიმართ საყოველთაო აღტაცებას არ იზიარებდა და კიდევაც ბედავდა პირში მიეხალა, არაგულწრფელი ხარ და იმისი სურვილით გიდები, როგორმე ყველას მოეწონოო. გარდა ამისა, ამ ქალს, როცა სურდა თავისი სურვილი ან უბრალოდ კაპრიზი დაეკმაყოფილებინა, სინდისი არასოდეს დიდად არ აწუხებდა. თუმცა ნანი მამას „სანიმუშო ბავშვად“ მიაჩნდა, რადგანაც ყოველთვის ისე ჯანმრთელად იყო, შეშურდებოდა კაცს, მაგრამ ყველაზე მეტ სიამოვნებას მაშინ გრძნობდა, როცა რაიმე სისაძაგლეს ჩაიდენდა. ჯერ კიდევ სკოლის მერხზე იჯდა, როცა მშვენივრად იცოდა, როგორ მარჯვედ ევნო თავის თანაკლასელთათვის, ხოლო როგორც კი ცოტა წამოიზარდა და დაქალდა, სპორტის ახალმა სახემ გაიტაცა: საქმროებს საცოლეებთან აჩხუბებდა და ქალიშვილებს ეჭვიანობით ტანჯავდა. ნანის მზაკვრობა მით უფრო სახიფათო იყო, რომ ამ ქალს ისეთი ღარიბული წარმოსახვის უნარი გააჩნდა, წინასწარ ვერც კი განჭვრეტდა, თავისი ქცევით რა ღიდ სიბოროტეს სჩადიოდა. როგორც ბავშვი წაუკიდებს ცეცხლს მეზობლის სახლს, რათა ნაპერწკლებით დატკბეს და ამაში დიდ უბედურებას ვერ ხედავს, ასევე ნანიც, მერე, როცა დაინახავდა რა ჩაიდინა, თვითონვე ოხრავდა ხოლმე.

მაგრამ ახლა, როცა პერთან მარტო აღმოჩნდა, ქალმა ხელახლა განიცადა სწორედ ის გრძნობა, რაც მუდამ ეუფლებოდა ამ კაცის გვერდით: პერი ნას უცნაურ შიშს ჰგვრიდა. ნანის ჯერ არ დავიწყებოდა, რომ ერთ დროს პერს უფრო მეტად შეეძლო მისი ხელში ჩაგდება, ვიდრე სხვა ვინმეს და ამის გახსენებაზე გულდაჯერებულობა ხელიდან ეცლებოდა, ხოლო როცა პერი უდიერად მოიქცა და იერიშებზედაც კი გადავიდა, განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება. ქალმა გადაწყვიტა, პერმა, ცხადია, ეტლში ჩაჯდომისას შემთხვევით არ მომიჭირა ასე ძლიერ ნიდაყვზე ხელიო. გარდა ამისა, ვაჟი რამდენჯერმე ძალიან ახლოს მიუცოცდა და ქალი კიდევაც მიიწია, რომ

ბიძგის დროს არ მიხლოდა. თუმცა პერის არმიყობა მას დიდ კმაყოფილებას გვრიდა, განსაკუთრებით თუ იაკობა მოაგონდებოდა ამ დროს. მაგრამ, ცოტა არ იყოს, ისიც აწუხებდა, რომ მალე როლებს გაცვლიდნენ და მონადირიდან ნანადირევად იქცეოდა.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ნანი წუთითაც არ გაჩუმებულა, წამდაუწუმ იგრილებდა ბუმბულების მარაოთი და გამომწვევად იცინოდა. პანთეონი, ტიტეს თაღი, ტრაიანის სვეტი — ყველაფერი გვერდით მისრიალებდა და ნანიზე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა.

მხოლოდ კოლიზეის შესახედაობამ გამოაცოცხლა ცოტათი, თავისი მყუდრო ადგილის მიტოვებაც კი გადაწყვიტა და ეტლიდან მოედნის დასათვალიერებლად კადმოვიდა.

— ახლა მადრიდში უნდა ვიყო და ხარების ბრძოლით ვტკბებოდე, — ტიტინებდა ნანი თავისი ესტერჰადული კილოკავით და პერს ბინდიან გრილ გადასასვლელებისაკენ ეჭაჩებოდა. ეს გადასასვლელები ვეებერთელა და უდაბურ ქვის ქვაბურისაკენ მიემართებოდნენ. — მაგრამ საზიზღარმა ქოლერამ შეგვიშალა ხელი. ძალიან, ძალიან მწყინს.

პერი სიძველეთა ჭაღარა ძეგლების დანახვისას უნებლიე მოწიწებას გრძნობდა, ნანი კი ტიტინებდა და ტიტინებდა. გიგანტურ სამსხვერპლო ფიალის ფსკერზეც კი, სადაც ოდესღაც იმდენი სისხლი დაღვრილა, ნანი შეუსვენებლივ ჭიკჭიკებდა. ბინოკლით თვალს ავლებდა ცისკენ აღმართული სკამების რიგს და გულში იმას ფიქრობდა, ჯობდა ყვავილებით მოჩითული მუსლინის კაბა ჩამეცვა და წითელი აბრეშუმის ესპანური წამოსასხამი მომეხურაო. კავალერისტი ივერსენი კინაღამ ჭკუაზე შეიშალა, წამოსვლის წინ ნანი თეატრში ამ ტანსაცმელში რომ ნახა.

პერმა დაუწყო ამფითეატრის მოწყობილობის ახსნა, უჩვენა იმპერატორისა და ქურუმი ქალების წამოწეული ლოჟები, აუწერა, როგორ ავსებდნენ მოედანს წყლით და მერე როგორ გაითამაშებდნენ ზღვის ბრძოლების და წყლის ურჩხულებთან ბრძოლების სცენებს. როგორც იქნა, ნანი დაინტერესდა და ყური დაუგდო. განსაკუთრებით დააინტერესა რიკულებიანმა კარებმა, რომლიდანაც იარაღის ჟღარუნით გადიოდნენ გლადიატორები, რათა ბრბოს გასართობად ვინმე მოეკლათ ან თვითონ ყოფილიყვნენ მოკლულნი. ქალს გაახსენდა ერთი

სურათი, რომელზედაც გამოსახული იყო გლადიატორი. ირგვლივ ამფითეატრის ხალხით სავსე რიგებია, შუაში დგას ღონიერი ფალავანი, სხეული კუნთებად ქცევია. მთლად შიშველია, მხოლოდ პრიალა ჩაფხუტი ახურავს და თეძოებზედაც რაღაც შემოუხვევია. როცა ნანი სკოლას ამთავრებდა, ეს სურათი ესტერჰადეზე წიგნის დუქნის ფანჯარაში ეკიდა და გოგონა განგებ ცდილობდა ზედმეტად გაევლო ამ ფანჯრის წინ. ახლა ქალმა ცოცხლად წარმოიდგინა, რომ სწორედ იმ ადგილას, სადაც ახლა თვითონ იდგა, ოდესღაც ასეთივე მაღალ, კუნთებიან შიშველ მამაკაცს დამარცხებული მტრის გასისხლიანებულ გვამზე დაებიჯებინა ფეხი და ღიმილით ღებულობდა იმპერატორის ტაშს და უზარმაზარი ბრბოს აღტაცებას. ქალს უნებლიეთ ნესტოები ღაებერა და ზურგში ავხორცმა ჟრუანტელმა დაუარა: იგივეს განიცდიდნენ ალბათ თეთრტანსაცმლიანი ქურუმი ქალები, როცა სისხლის სუნს შეიგრძნობდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ქალმა ხელახლა გაუყარა პერს ხელი, რათა კარეტასთან დაბრუნებულიყვნენ, ფარული მზერა შეავლო პერის ტანს და ცოტა ხნით მიყუჩდა.

პერმა შესთავაზა დანარჩენი ღირსშესანიშნაობანი დავივიწყოთ და რომელიმე ბორცვზე სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად ავიდეთო. ნანი ცოტა ყოყმანის შემდეგ დაეთანხმა და მეეტლემ ბრძანება მიიღო ტიბრზე გადასულიყო. ისინი ცნობილი კლაკნილი გზით ავიდნენ იანიკულზე, საიდანაც ქალაქის შესანიშნავი ხედი იშლებოდა — კამპანის თვალუწვდენელი სივრცეები და ალბანის მთების შორის მბრწყინავი მწვერვალები.

მოულოდნელად პერი ალაპარაკდა. ნანი თითქმის სულ ზურგით იჯდა მისკენ და ისე ეჭირა თავი, ვითომ ყურადღებით უსმენდა ვაჟის მონათხრობს სხვადასხვა ნაგებობებზე, რომელთა კოშკები და გუმბათები ოქროსფერი-მოყვითალო ნისლით იყვნენ დაბურულნი, ქალაქს რომ შემოხვეოდა. აქამდე თუ ღელავდა, ახლა, ამ უკაცრიელ ბორცვზე ნამდვილად შიში დაეუფლა. საკმარისი იყო პერი ოდნავ განძრეულიყო, რომ ქალი ნერვიულად კრთოდა. მერე უეცრად განაცხადა, დავიღალე და შინ წასვლა მინდაო.

პერი ცდილობდა გადაეთქმევინებინა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ნანიმ მეეტლეს უბრძანა, ეტლი მოაბრუნე და ისევ სასტუმროში წამიყვანეო.

სასტუმროს კარებთან დასცილდნენ ერთმანეთს. დიურინგი უკვე დიდი ხანია დაბრუნებულიყო საკონსულოდან. მაგიდას უსერთუკოდ უჯდა და რაღაცას წერდა. გვერდით რომ გაუარა, ნანიმ მხოლოდ ქმრის კისერი და ვიწრო ზურგი დაინახა და განცვიფრდა, იმდენად ხანშიშესული, ეოხუციც კი ეჩვენა ქმარი.

— აჰ, შენც მოხვედი! — თქვა დიურინგმა და არ მოტრიალებულა. ისე მიესალმა.

ქმრის მშვიდმა ხმამ გააცოფა ნანი და მოკლედ მოუჭრა:

— ჰო, ეს მე ვარ,—ხელთათმანები გაიხადა და დივანზე მიყარა.

— აბა, კარგი დრო გაატარე? — აუღელვებლად განაგრძობდა დიურინგი.

— დიდებული! საოცარი! ცოტაღა დამაკლდა, რომ საერთოდ არა-ლოდეს აღარ დავბრუნებულიყავი შინ.

— ნუთუ! საინტერესოა, საინტერესოა! ხომ მაპატიებ? ცოტაღა დამრჩა და დავამთავრებ.

— ცხადია.

დიურინგი დუმილით განაგრძობდა წერას, ხოლო ნანიმ თავიდან ქუდი მოიგლიჯა და ოთახის მეორე მხარეს საკარძელში ჩაეშვა. ნანის ეგონა, ქმარი ვერ მხედავსო და არც კი ეკვობდა, რომ დიურინგს პოზის შეუცვლელად შეეძლო თვალი არ მოეშორებინა მისთვის სარკეში. ის თან ნანის სახეს ადევნებდა თვალს და თან გაბედულად დაწერილ სტატიას კითხულობდა. ამ სტატიაში დიურინგი საქმის ცოდნით, სერიოზული მენტორული ტონით „ბორგერბლადეტის“ მკითხველებს იტალიის ეკონომიური ცხოვრების მოკლე მიმოხილვას სთავაზობდა.

დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში სიჩუმე სუფევდა. ნანის ფიქრად სულ ის უტრიალებდა, კვლავ მარცხი განვიცადე პერთანო. ვერ შეეგნო საკუთარი სისუსტე და აუტანლად დამამცირებლად თვლიდა სწორედ ამ სისუსტეს. არა, მას ნამდვილად უცნაური რაღაც სჭირს. ჯერ კიდევ პარიზში შენიშნა თავს, რომ ადრინდელი ნანი აღარ იყო. დანამდვილებით იცოდა, ამის ფიქრის საბაბი არ ჰქონდა, თორემ ორსულობას მიაწერდა ყოველივეს. დილაობით რომ ადგებოდა, ხშირად ტანჯავდა თავის ტკივილი და საშინლად ეხვეოდა თავბრუ. ახლა როგორი ახირებული კაპრიზები ერეოდა! თანაც ისეთ საშინელ, უხამს სიზმრებს ხედავდა, ვერც კი ბედავდა ქმრისთვის ეამბნა...

იმ ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში, რომლებიც ახალგაზრდა წყვილმა რომში გაატარა, პერი კიდევ რამდენჯერმე შეხვდა მათ, და, როგორც ჩანდა, ფრიად გულახდილი არშიყობა ნანისთან დიურინგზე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა. რედაქტორი პერს ადრინდებულად ოდნავ შემწყნარებლური თავაზიანობით ექცეოდა, მაგრამ ნანის უკვე ეგემა მწარე გამოცდილება და ცდილობდა ვაჟთან მარტო არ დარჩენილიყო.

მხოლოდ გამგზავრების დღეს, უკვე სადგურზე, ნანიმ კვლავ ნებაზე მიუშვა თავი. მან გამომშვიდობებისას გრძნობით მოუჭირა ხელზე ხელი პერს და სწორედ მატარებლის დაძვრის წინ, კუპეს ღია ფანჯარასთან მდგარმა, მსახიობის შეუდარებელი ხელოვნებით თავისი შომხიბლავი თვალების ვნებიანი მზერა ესროლა. ეს მზერა სიტყვებზე უთლად ამბობდა, რომ გრძნობამ, რომელსაც დიდხანს და იდუმალად ებრძოდა, ბოლო წუთში სძლია.

ნანის ხელში ლამაზი და ძვირფასი ყვავილების პატარა თაიგული ეჭირა. ეს პერის გამოსათხოვარი საჩუქარი იყო და აი, როცა მატარებელი დაიძრა, ქალმა ბაქანზე ნახევრადგაშლილი ვარდი დააგდო.

შორიდან ეს შემთხვევით ამბავს ჰგავდა, მაგრამ ასეთივე წარმატებით შეგეძლოთ საიდუმლო აღიარებად, სიყვარულის მშვენიერ საწინდრად მიგეღოთ.

პერი დაიხარა ყვავილის ასაღებად და არ იცოდა, რა ეფიქრა. როცა ხელახლა ასწია თავი, ფანჯარაში უკვე აღარავინ იყო. თვალებით გააცილა ვაგონი, მაგრამ მატარებელი თვალს მიეფარა, ხოლო ნანიმ არ გამოიხედა.

პერმა მთელი დღე უმიზნოდ იხეტიალა რომის გარეუბნებში და მხოლოდ საღამოს დაბრუნდა შინ. ამ დღეს მტკიცედ გადაწყვიტა, ჩამოშორებოდა იაკობას.

ასეთი აზრი დიდი ხანია მოსდიოდა თავში. სანამ აქ ცხოვრობდა, იაკობა მისთვის თანდათან უფრო და უფრო უცხო ხდებოდა, დღითიდღე უფრო და უფრო შორდებოდა მას. პერისათვის ნათელი გახდა, რამდენად სხვადასხვა ადამიანები არიან ის და იაკობა და რომ ეს უცნაური და აუტანელი ბუნების ქალი სულ არ არის მზად დარდიმანდული ცხოვრებისათვის, რომელიც პერს მუდამ ელიაჩნდა ახალი აღორძინების საბოლოო მიზნად და რომლის მთელი სიმშვენიერე მთლიანად მხოლოდ აქ შეიცნო. ჩირაღდნებით სვლამ და წინწილების წკა-

რუნმა უნდა დააფრთხოს შინ ნაჩეკი ჯადოქრობა. მაგრამ, იმისათვის. რომ საკუთარი ცხოვრება ლხენით აავსებინოს, პერს უფრო ნანის ტიპის ქალი სჭირდება.

თანაც იაკობა არც ისე ახალგაზრდა გახლდათ. პერი ყოველთვის წუხდა, რომ ქალი ერთი წლით უფროსი იყო მასზე, ხოლო ავადმყოფური სიგამხდრის გამო არც ერთი დღით არ გამოიყურებოდა თავის წლოვანებაზე ახალგაზრდად. მისი ტიპიური ებრაული სახე თანდათან აღიზიანებდა პერს. როცა ქალმა წერილში მოუთხრო, როგორ შეურაცხყო მატარებელში ბრესლავიდან შინ დაბრუნებისას ორმა გერმანელმა, ამან ვაჟი მხოლოდ გააოცა და არ ესიამოვნა, თუმცა იაკობა მომხდარი ამბის შესახებ ისე სწერდა, აშკარა იყო, თავს შეურაცხყოფილად სულაც არ გრძნობდა.

და მაინც, პერს ახლაც არ უკვირდა, რომ თავის დროზე იაკობა ამჯობინა დას. კარგად ახსოვდა, რა ვითარებაში წარმოიშვა ეს გატაცება; ახსოვდა ზამთრის საღამო სალომონების სახლში, როცა ნანი ის-ის იყო დაბრუნდა სტუმრობიდან და პერის მზერამ უნებლიეთ გაღაირბინა აბრეშუმებში გახვეულ სადღესასწაულოდ მორთულ ნანიდან იაკობაზე. იაკობა იჯდა, შავი კაბა ეცვა, წიგნი ეჭირა, ჩაფიქრებულს ნიკაპი ხელზე დაეჯენა; ეს რომ გაახსენდა, პერი მიხვდა, მაშინაც ასე იმიტომ მოიქცა, თითქოს მისგან დამოუკიდებლად, ფარულად ვიღაც აქეზებდა საამისოდ; იმიტომ, რომ უმანკოებისადმი მემკვიდრეობით მიდრეკილება გააჩნდა; იმიტომ, რომ გააჩნდა შეუგნებელი მიდრეკილება საკუთარი თავისადმი განდგომისა და საკუთარი სურვილების აღკვეთისა. ყველაფერ ამას მჩუწვდომელი გზით წინათაც ბევრჯერ განუსაზღვრია მისი ცხოვრება და მისი ქცევები.

პერი მშვენივრად გრძნობდა, რომ განშორება იაკობას დიდად შეურაცხყოფდა და ძალიან ატკენდა გულს. მაგრამ ხომ არ შეუძლია მთელი თავისი ცხოვრება დაღუპოს ერთი მოუფიქრებელი ნაბიჯის გამო? და საერთოდაც, ქალის ცრემლებზე გაცილებით სერიოზული ამბებია განსაცდელში ჩაყენებული. პერის წინაშე ისეთი გრანდიოზული ამოცანა დგას, მას უბრალოდ უფლება არა აქვს უგულვებელყოს თავისი იშვიათი ნიჭი — თავის ნებას დაუმორჩილოს სხვა ადამიანები, განსაკუთრებით ქალები. მეტად აღარ აპირებს თავის შებოჭვას უბედურება ისაა, რომ აქამდე თამამად არ იყენებდა თავის ძალებს.

მაგრამ ახლა უკვე საჭიროა იალქნები აღმართოს. ივენისაგან სწორედ ახლა მოვიდა სასწრაფო დეპეშა, პერს დაუყოვნებლივ შინისაკენ უხმობდა, რათა პირადი მონაწილეობა მიეღო პროექტის განხილვაში. ჩვეულებრივად პერი რამდენიმე დღეობით არ პასუხობდა წერილებზე. ახლა კი მაშინვე აცნობა, მოვდივარო. ნანის თვალების მომხიბლავი გამოწვევა იზიდავდა. გარდა ამისა, აშკარა იყო, რომ დადგა მოქმედების დრო. საქე თავად უნდა აიღოს ხელში.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა რაც შეიძლება ფრთხილად მოაზადოს იაკობა მოსალოდნელი განშორებისათვის. უნდა დაარწმუნოს, რომ მასვე უჯობს, სანამ გვიანი არ არის, დაშორდეს პერისთანა მძიმე ხასიათის კაცს. მაგრამ მსგავსი ამბები უცბად არ გვარდება. საჭიროა ფრთხილად შეაგუოს ქალი განშორების აზრს, რათა ტკბილად, მეგობრულად, უსაყვედუროდ დაშორდნენ ერთმანეთს.

არც პერისთვის არის ადვილი იაკობაზე უარის თქმა, პერი ხომ ძალიან ბევრით არის დავალებული ამ ქალისაგან. მაგრამ თავის თავისუფლებას მასაც კი ვერ შესწირავს, რადგან არა აქვს უფლება თავისი შემავალი სარისკო გახადოს. ბოლოს და ბოლოს დროა დაამტკიცოს, რომ ტყუილად არ მოუვლია კეისარის სამშობლო და კარგადაც შეითვისა, როგორ უნდა გადალახოს ეჭვები მღვრიე რუბიკონი და ჯიქურ გაემართოს თავისი ნების აღსასრულებლად. ამგვარად, Jacta est alea — წილი ყრილია!

(პირველი წიგნის დასასრული)

რედაქტორი ე. გოგოლაშვილი
მხატვარი რ. მახარაძე
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექრედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორები: ლ. არჩვაძე, ნ. თავაძე
გადაეცა წარმოებას 1/IX 67 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/IV 68 წ.
ქაღ. ზომა. 60—84 1/16. ნაბეჭდი ფურცელი 24,25
სააღრ.—საგამომც. თაბახი 20,58.
ტირაჟი 20.000 შეკვ. № 1395.
ფასი 1 მან. 18 კაპ.
გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის № 5.

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა,
თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба»,
Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15